

ამირანაშვილი
გულბადი

წიგნად აკინძული სიცოცხლე

ამირანაშვილი გულბადი

წიგნად აკინძული სიცოცხლე

ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი

და

მოქანდაკე ნინო წერეთელი

ცხოვრებისეული სიუჟეტები

თბილისი 2023

წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილის შესახებ მოგონებათა ციკლს.

წიგნის მეორე ნაწილი მოიცავს მასალებს მოქანდაკე ნინო წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავის აღსანიშნავად. სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ნინო წერეთლის შესახებ მის მეგობართა მიერ ნაამბობ ცხოვრებისეულ სიუჟეტებს.

წიგნი ეძღვნება

გულბად და ჯუანშერ

ამირანაშვილთა

აღმზრდელი დიდედის

ასინეთ ჩხენკელის (1881-1957) ხსოვნას

გამომცემლობა «ლოგოსი»
ISBN 978-9941-8-6059-1

წიგნის შექმნის იდეა

წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილის (1899-1975) შესახებ მოგონებათა ციკლს, რაც არც თუ ისე დაბინდულად შემორჩა ჩემს დღევანდელ მეხსიერებას.

მიუწვდომელი სამყაროს შესაცნობად ყოველი ადამიანისთვის ბუნებრივად გამოყოფილი დრო «ისე სწრაფად გარბის», რომ ჩვენი მეხსიერებიდან მომეტებული სიჩქრით გაედინება და ხშირ შემთხვევაში სამარადისო მივიწყებით შთაინთქმება ამქვეყნიური ცხოვრების უთვალავი მოვლენა, პირამდე სავსე მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ფაქტებით. გარდასულ წლებს გაყოლილ ცხოვრებისეულ ცვლილებებს თუ გადავავლებთ თვალს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ XXI საუკუნის ქართული საზოგადოების ინტერესის გასაღვივებლად ცოტა რამ თუ შემომრჩა მოსაგონრად შალვა ამირანაშვილის ღვთისნიერი ცხოვრებიდან და მიზანდასახული მოღვაწეობიდან. მინდა ბევრი რამ გავიხსენო და წარმოვადგინო ბეჭდურად, რომ წიგნის სახით მაინც დიდხანს მოემსახუროს დაინტერესებულ თაობებს მოგონებებმა შალვა ამირანაშვილის პიროვნების შესახებ. ჩემთვის მიუღებელი იყო მხოლოდ ის, რომ უკვე კარგა ხანდაზმული შალვა ამირანაშვილი არ ჩქარობდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგონებების სახით ორი სიტყვა მაინც დაეტოვებინა მომავალი თაობისათვის. თითქმის ყოველთვის მოურიდებლივ და უდიერადაც ჩავჩიჩინებდი მამას, დაუყოვნებლივ დაეწყო მოგონებების აღნუსხვა შრომატევადი ღვაწლმოსილებით და პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე მისი ცხოვრებიდან. მის მიერ დაწერილი მოგონებების გაცნობისთანავე აუცილებელ სიამოვნებას აგრძნობინებდა ყოველ დაინტერესებულ მკითხველს. გულდაწყვეტით თქმულ ჩემს ხშირ შეხსენებას, ჩაღიმებით პასუხობდა: «მაგის დროც მოვაო». საქვეყნოდ ცნობილმა «სამუდამო მხარემ» მზით შემთბარი თებერვლის ერთ უწყინარ საღამოს ზუსტად 76 წლით შემოსაზღვრა სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის ამქვეყნიური ყოფიერება. თან, დამცინავი ღიმილით ჩაუსიტყვა: «შენი ცხოვრების ხანგრძლივობა შენ ჭკუას მოკითხეო». ამ ლოზუნგს ამოფარებულმა მარადიულმა სამყარომ თავის უკიდეგანო გზას გააყოლა ღვთისნიერი მშობლების დაუჯერებელი შვილი.

წინამდებარე ნაშრომში ნაკლებად ვეხები შ. ამირანაშვილის მეცნიერული დამსახურებით მოპოვებულ მიღწევებს; ყურადღებით მოვეკიდე მხოლოდ: მამის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ ფაქტების გადმოცემას; მის მიერ განსაკუთრეული აღფრთოვანებით მონათხრობი ამბების გახსენებას; მისი ცხოვრების თანმდევ უჩვეულო მოვლენების ზუსტ ასახვას; როგორც ნათესავებთან, ისე უშუალო მეგობრებთან და საზოგადოების ბევრ ცნობილ თუ უცნობ პიროვნებებთან გულახდილობით აღსავსე ურთიერთობების აღწერას და ალბათ სხვაც, რაც მოგონებათა წერის პროცესში თუ გამახსენდა.

წარსულის აღდგენაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა იმ მოგონებებმა, რომლებიც მომაწოდა შალვა ამირანაშვილის მეცნიერული მოღვაწეობის და საზოგადოებრივი ცხოვრების მომსწრე თვითმხილველთა დიდმა ნაწილმა.

შალვა ამირანაშვილის ერთ სიცოცხლედ ღირს ისტორიად ქცეული ის ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია მისი მასწავლებლის, თავგანწირვამდე სამშობლოს სიყვარულით აღსავსე დიდი ექვთიმე თაყაიშვილის სახელთან. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად: შალვა ამირანაშვილის (1944 წლის 22 ოქტომბერი. მოსკოვი.) და ექვთიმე თაყაიშვილის (1944 წლის 23 ნოემბერი. პარიზი.) მიერთ აღძრულ ინიციატივათა საფუძველზე, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მთავრობათა ლიდერების (გენერალ შარლ დე გოლის და მარშალ ი.ბ.სტალინის) ერთობლივი ძალისხმევით (1944 წლის 02-09 დეკემბერი) საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტილი იქნა ისტორიული საკითხი: საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართული საისტორიო და საეკლესიო საგანძურის უკლებივ დაბრუნება (1945 წლის 11 აპრილს) საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკისთვის. ეროვნულ განძთან ერთად, ოცდაოთხწლიანი ემიგრანტული ცხოვრების შემდეგ საბჭოთა კავშირში ხელშეუხებელი სიცოცხლისა და მოღვაწეობის სახელმწიფო გარანტიით უზრუნველყოფილი (სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის ვ.მ.მოლოტოვის განკარგულებით) საქართველოში დაბრუნდა გულმხურვალე პატრიოტი, გულწრფელი მამულიშვილი და ქართული განძის თავგადადებული მცველი, ოთხმოცდაორი წლის მხნე მოხუცი, ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი. ამ მოვლენებთან დაკავშირებით დიდია ექვთიმე თაყაიშვილისა და შალვა ამირანაშვილის მიერთ გაწეული ღვაწლი, რაც დაწვრილებით და ზუსტად გვაქვს აღწერილი მოგონებების ფარგლებში. ამ საკითხებთან დაკავშირებით ყველას გულწრფელ მადლობას ვუხდი მოწოდებული იმ მასალისთვის, რაც ამ წიგნის ფურცლებზე მოთავსდა.

«წიგნის» მეორე ნაწილი მოიცავს მოგონებებს მოქანდაკე ნინო წერეთლის (1902-1939) შესახებ. ნინო წერეთელს ხშირად იხსენებდნენ: სამი წლის განმავლობაში მისი ცხოვრების თანაზიარი მეუღლე ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი; მასთან აღსავსე მეგობრობით და პოეტური ურთიერთობით დაკავშირებული იოსებ გრიშაშვილი; მისი თანამოაზრე დაქალი მოქანდაკე თამარ შარაშიძე; მწერალ დავით კლდიაშვილის ასული, თბილისის ქალთა გიმნაზიის პირველი კლასიდან დამეგობრებული ქეთევან კლდიაშვილი. ნინო წერეთლის ცხოვრების მთელ მანძილზე ერთადერთ გულწრფელ მეგობრად იყო აღქმული ულამაზესი ქართული გარეგნობის ქეთევან კლდიაშვილი, ნინო წერეთლის შვილებისათვის დედობრივი სიყვარულით აღსავსე, ჩემთვის ძვირფასი ადამიანი.

ამ მეგობრების ხმის ტემბრით წარმოთქმული ყოველი სიტყვა ნინო წერეთლის შესახებ, ახლაც მიმეორდება თანმდევი ინტონაციით და ცხადად წარმომიდგენს განვლილ წელთა პერიოდში ცოცხლივ აღქმულ დედა-მოქანდაკეს. დღემდე დაუვიწყარია ჩემში დასულდგმულებული უცნაური წარმოსახვაც, რაც სამარადისო განცდად ჩამომიყალიბდა და დროდადრო თითქოს ამომიტივტივებს წარსულში ჩაკარგულ რეალობას.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ვახტანგ ჯავახაძეს, რომელმაც შემომთაზა თუ როგორი სტილით ამეკენძა მოგონებები მშობლების შესახებ.

ეს იყო უდიდესი დახმარება, რომელმაც გამიმართლა ნაშრომი.

შალვა ამირანაშვილი

ქართული კულტურის წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში მოხსენება წაკითხული 1964 წელს. აუდიოჩანაწერი.

დიდი კვლევითი ძიების შედეგად საქართველოს ისტორიის, ქართული და კავკასიური ენების, საქართველის ნივთიერი და მხატვრული კულტურის დარგში, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ქართულ მოსახლეობას და მის მოძმე ტომებს უხსოვარი დროიდან ეჭირათ ნაწილი კავკასიის ტერიტორიის, რომელზედაც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში წარმოიქმნა ქართველი ერი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, რომელსაც აერთიანებდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და თავისებური შინაარსის მქონე კულტურა.

როგორც ირკვევა, ქართული ენა ყველა ქართველი ტომისათვის იყო საერთო ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე და შემდეგ კი, ხანგრძლივი განვითარების შედეგად, განსაკუთრებით საქართველოს ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს არსებობის პირობებში იგი კავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის წარმოადგენდა საერთო ენას.

საქართველოს პალეოლითური კულტურა ენათესავება ხმელთაშუაზღვის სანაპიროს სირიისა და პალესტინის კულტურას. ნეოლითური კულტურა ჩვენი ქვეყნის, ენათესავება მცირე აზიისა და ყირიმის ნეოლითს. გვიანი პერიოდის ნეოლითს ეკუთვნის პირველი ნიმუშები სახვითი ხელოვნების, სკულპტურული გამოსახულება ქალის — ნაყოფიერების ღვთაების, ქვის სტელები ტოტემური ცხოველების გამოსახულებით.

უკვე, მესამე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე საქართველო და აგრეთვე სხვა რაიონები წარმოადგენდნენ მეტალურგიის თვალსაჩინო ცენტრებს, ჯერ სპილენძის, შემდეგ ბრინჯაოს და რკინის. ქართველ ტომ ხალიბებს დიდი წვლილი აქვთ მეტალურგიის განვითარების ისტორიაში მცირე აზიისა და ანტიკური ქვეყნების. ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის თრიალეთზე აღმოჩენილი მდიდარი სამარხები; ოქროს თასი

შემკული ხვეული ორნამენტით და ფერადი ქვებით; ვერცხლის თასი რიტუალური შინაარსის მრავალ პოზიციანი კომპოზიციით, ნაყოფიერების თემის გამოსახულებით, დიდი ზომის მოხატული კერამიკული ნივთები და სხვ.

თქმულება, კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული გმირის შესახებ შექმნა იმ ტომების რელიგიურმა მითოლოგიურმა შემოქმედებამ, რომლებიც თავიდანვე მთიან ქვეყანაში ცხოვრობდნენ. შედარებითი მასალების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ამირანმა-პრომეთეოსმა შეასწავლა ადამიანს რკინის დამუშავება, მისი უპირატესობა, რამაც ღვთის რისხვა გამოიწვია.

ამირანის თქმულება წარმოიშვა იმ პერიოდში, როდესაც ჩვენში რკინის წარმოებასთან ერთად მოხდა დიდი გარდატეხა. პატრიარქატულმა წყობილებამ დაჰკარგა თავის სოციალური მნიშვნელობა და მამრობითი ძალის უპირატესობა. რკინის უპირატესობის იდეა კი შეიჭრა ცხოვრებისა და იდეოლოგიის ყველა სფეროში.

ანტიკური პერიოდის ქართული კულტურის ზოგადი ისტორია, მისი განვითარების ძირითადი ხაზები ნათლად გამოირკვა უკანასკნელი დროის არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ბერძენთა ახალშენები: ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი) [ხელს უწყობდნენ] ანტიკური საბერძნეთის და საქართველოს კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის გაცხოველებას. განსაკუთრებული ეფექტი მოგვცა მმართველთა წრის პიტიახშების სამაროვნებმა, რომლებშიც ნაპოვნია ვერცხლის თასები, ლანგრები, შემკული რელიეფური ქანდაკებები, ოქროს სამაჯურები, მანიაკები, ბეჭდები, პორტრეტული გემმები ბერძნული წარწერებით. დიდი უმრავლესობა ამ ინვენტარის, განსაკუთრებით კი ოქრომჭედლობის ნიმუშების ადგილობრივ მხატვრულ წარმოებას უნდა მივაკუთვნოთ.

ქართული ხელოვნების ისტორიული განვითარება უფრო ცხადი ხდება ჩემთვის იმ ხანიდან, როდესაც საქართველოში გავრცელდა ქრისტიანული სარწმუნოება და თანდათანობით შეიცვალა ქართული კულტურის სახე, მიეცა მას ახალი მიმართულება და შინაარსი. ჩამოყალიბდა ქართული ხელოვნების ახალი მხატვრული ფორმები. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქრისტიანული იდეოლოგიის გავრცელება და დამკვიდრება ისტორიულად მოხდა ფეოდალური წყობილების ჩამოყალიბების პერიოდში. საისტორიო წყაროები ადასტურებენ, რომ ახალი რელიგიური მოძღვრება საქართველოში შემოვიდა ორი მთავარი გზით: აღმოსავლეთ საქართველოში სირია-პალესტინიდან, ხოლო დასავლეთ საქართველოში ბიზანტიიდან, ბერძენთა ახალშენების საშუალებით. ის გარემოება, რომ ახალი რელიგიური მოძღვრება IV ს-ის დასაწყისში გახდა სახელმწიფო რელიგიად, საგულისხმოა იმით, რომ საქართველომ საკუთარი მხატვრული ტრადიციების საფუძველზე შექმნა სავსებით დამოუკიდებელი და მეტად თავისებური ხელოვნება, რომელიც პასუხობდა ახალი მოძღვრების მიერ დასახულ ამოცანებს. სწორედ იმ

პერიოდში, როდესაც არც აღმოსავლეთ ქვეყნებში და არც რომის იმპერიის დიდი ცენტრებში ქრისტიანულ ხელოვნებას არ გააჩნდა სავსებით ჩამოყალიბებული სანიმუშო ძეგლები ხელოვნების არც ერთ დარგში. ქართულმა ხელოვნებამ საკუთარი ქართული ტრადიციის საფუძველზე შექმნა საკულტო არქიტექტურის, კედლის მხატვრობის და ეგრეთწოდებული მცირე ხელოვნების ძეგლები, რომლებიც თავის ფორმით და შინაარსით სავსებით პასუხობენ ქართული ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიას, მხატვრულ გემოვნებას. ქართული ბაზილიკები, როგორიცაა მაგალითად ბოლნისის სიონი, ან გუმბათოვანი ტაძრები, მაგალითად მცხეთის ჯვარი და სხვ., თავისი მხატვრული ფორმით და კონსტრუქციის მიხედვით არსებითად განსხვავდებიან ბიზანტიური და აღმოსავლეთ ქრისტიანული ქვეყნების ძეგლებისაგან. გასაოცარია ის გარემოება, რომ ფეოდალური ხანის ქართული სახვითი კულტურის ძეგლები, მხატვრული სახით უფრო ახლო დგანან რომაული ხანის დასავლეთ ევროპის ძეგლებთან, ვიდრე მაგალითად, ბიზანტიურთან. ეს გარემოება მით უფრო საგულისხმოა, რომ საქართველოს მჭიდრო კულტურული კავშირი ჰქონდა თავისი სამონასტრო ცენტრების საშუალებით.

საუკუნეების მანძილზე ქართული არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, მოზაიკები და ფრესკები, ოქრომჭედლობა, ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმება, ქანდაკება, ჩუქურთმა ქვაზე და ხეზე, მინანქრის ხელოვნება წარმოადგენს შუასაუკუნეების ხელოვნების დიდ საგანძურს, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

ქართული მხატვრული შემოქმედების ზუსტად დათარიღებული ძეგლები საშუალებას გვაძლევს თითოეული ქართველი დიდი ოსტატის ინდივიდუალური შემოქმედებითი სახე დავადგინოთ. საყოველთაოდ ცნობილია ქართული არქიტექტურის ისეთი მაღალმხატვრული ძეგლები, როგორიცაა ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვარი, წრომი, ბანა, ოშკი, ხახული, ქუთაისის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, ნიკორწმინდა და სხვა მრავალი. საამშენებლო ხელოვნების მაღალი დონე, ფასადების მხატვრული გაფორმება, პროპორციულობა იმდენად თავისებურად არის გადაწყვეტილი, რომ დასახელებულ ძეგლებს ანიჭებს თვალსაჩინო ადგილს არქიტექტურის ზოგად ისტორიაში.

ქართული კულტურის სიდიადეს კარგად გრძნობდნენ ჩვენი წინაპრები. X ს-ის ცნობილ ქართველ მწერალს იოანე ზოსიმეს ეკუთვნის სპეციალური ტრაქტატი «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი», სადაც ქართული ენა არამც-თუ გასწორებულია ბერძნულთან იქამდის, რომ ისინი დანი არიან ვითარცა მარიამ და მართა და მეგობარნი, არამედ მას უპირატესობაც კი აქვს: «ყოვლისა იდუმალ ამას ენასა შინა დამარხულ არს». იგი საერთაშორისო საქრისტიანო ენადაც კია გამოცხადებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მიერ შექმნილია მეტად ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფია, საკუთარი სანოტო ნიშნების სისტემით. მიქელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბერავი და სხვანი არიან ის გამოჩენილი მოღვაწენი და ფუძემ-

დებლები ქართული ეროვნული ჰიმნოგრაფიის, რომელთა სახელს ვერასოდეს ვერ დაივიწყებს მუსიკის ზოგადი ისტორია.

ქართული ხელოვნების ისტორიაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ წმინდანების ცხოვრებას. უპირველეს ყოვლისა ეს მასალა გამოყენებული იყო პოლიტიკური თვალსაზრისით. ქართველი მოღვაწენი ამით ასაბუთებდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას. ამავე დროს აღნიშნული ცხოვრებანი ასახავდნენ საქართველოს სინამდვილეს. ზოგ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ქართული ხალხური შემოქმედების გავლენას. დავით გარეჯელის ცხოვრება მოგვაგონებს ფრანცისკანელის ცხოვრებას. სამი საუკუნით ადრე ქართველი წმინდანის ცხოვრებაში ასახულია ის მოტივი, რომელიც საფუძვლად დაედო ქართული ჰუმანიზმის ჩამოყალიბებას, ქართული ხელოვნების აღორძინებას.

ქართულ კედლის მხატვრობაში ასახულია ის თემები, რომლებიც ფართოდ გავრცელებული იყო საერთოდ რელიგიურ ხელოვნებაში. საკუთარი ტრადიციის საფუძველზე ყველა ეს საერთო თემა გადამუშავებულია არსებითად, შეტანილია ახალი, უფრო ემოციური, ცხოვრებასთან დაკავშირებული ელემენტები. ამავე დროს, მრავალ შემთხვევაში შეცვლილია კომპოზიციური სქემის ტრადიციული გამოსახულება. საყოველთაოდ ცნობილია ბიჭვინთის მოზაიკის მხატვრობა, წრომი, გელათის ფრესკები, დოდოს ტაძრის, ატენის, ყინწვისის, ვარძიის, ბეთანიის, უბისის, წალენჯიხის და სხვ. აღნიშნული ძეგლების მხატვრულ-ისტორიული ანალიზი, განსაკუთრებით კი, შედარება ბიზანტიურ კედლის მხატვრობის ძეგლებთან გვაძლევს ქართული კედლის მხატვრობის განვითარების ისტორიულ სურათს, რომელიც სტილით და შესრულების მანერით არსებითად განსხვავდება ბიზანტიური კედლის მხატვრობისაგან.

ხელნაწერი წიგნების მხატვრული გაფორმება საქართველოში იყო მაღალ მხატვრულ დონეზე. ძველად, დიდ სამონასტრო ცენტრებში არსებობდნენ სემინარიები, აკადემიები. გელათის და იყალთოს აკადემია, სადაც ზოგადი განათლების გარდა ამზადებდნენ მხატვრებს, კალიგრაფებს, ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების ოსტატებს.

ქართული კულტურის დიდ სამონასტრო ცენტრებში შეიქმნა ისეთი თვალსაჩინო ძეგლები ქართული მინიატურის, როგორიც არის ბერთის ოთხთავი, გადაწერილი 889 წელს; ადიშის ოთხთავი 897 წელს გადაწერილი; ჯრუჭის ოთხთავი, დასურათებული 940 წელს; გელათის XI საუკუნის; ვანის XII საუკუნის დამლევის და სხვ. მოღწეული დათარიღებული ძეგლების მიხედვით შესაძლებელია ქართული წიგნის ილუსტრაციებისა და მხატვრული გაფორმების ისტორიის დადგენა IX საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. ქართული მასალა არსებითად განსხვავდება ბიზანტიური მასალისგან. ამავე დროს, იგი მეტად მნიშვმელოვანია მრავალ შემთხვევაში თვით ბიზანტიური მინიატურის ისტორიის ზოგიერთი ბუნდოვანი პერიოდის გასარკვევად.

ქართული მინიატურის ნიმუშები ასურათებდნენ ქართული საერო მწერლობის ორიგინალურ ძეგლებს და აგრეთვე სხვა ენებიდან ნათარ-

გმნ თხზულებებს. ქართული საერო მწერლობის ისეთი ძეგლები, როგორიც არის «ვეფხისტყაოსანი» ან ნათარგმნი ძეგლი «შაჰ-ნამე», «ზილხანიანი», «ვისრამიანი» და სხვ. დასურათებულია ქართველი ოსტატების მიერ. ნათარგმნ თხზულებათა ილუსტრაციები და მორთულობა შესრულებულია თავისებურად, ქართული საერო ტრადიციების საფუძველზე.

ქართულ ოქრომჭედლობას ახასიათებს მრავალსაუკუნოვანი მხატვრული ტრადიციები, რომელთა სათავე წინაქრისტიანულ ხანაში უნდა ვეძიოთ. ჩვენს განკარგულებაშია უმდიდრესი მასალა ზუსტად დათარიღებული, მრავალ შემთხვევაში ხელმოწერილი გამოჩენილი ოსტატების მიერ. ჩვენში, საუკუნეების მანძილზე რამდენიმე მხატვრული სკოლა არსებობდა. საყოველთაოდ ცნობილია XII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ოსტატების სახელები: ბექა და ბეშქენ ოპიზართა სახელები და სხვ.

ქართული მინანქრები, თავისი მაღალი მხატვრული ღირსებით და ფერების ორიგინალური შეფარდებით საყოველთაოდ ცნობილია. მინანქრის დამზადება საქართველოში, როგორც უკვე დღეს ჩანს ახალი მასალებიდან, დაწყებულია გვიან ანტიკურ ხანაში. შუასაუკუნეების ხელოვნებაში მინანქრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღეს. ამჟამად, ქართულ მინანქრებს პირველი ადგილი უჭირავთ მსოფლიოში.

ძველი ქართული ხელოვნების მნიშვნეობა ზოგადი მხატვრული ისტორიის თვალსაზრისით დაუფასებელია. დღეს ჩვენში, გაშლილი მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით, ყოველდღე, უფრო და უფრო მკაფიო სახით ჩანს ის თვალსაჩინო ადგილი, რომელიც ძველ ქართულ მხატვრულ კულტურას უჭირავს ზოგადი კულტურის ისტორიაში.

ამ მასალით სარგებლობისთვის მადლობას ვუხდი საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს და თბილისის რადიო-მუზეუმს.

დადებულია ტელესაიტზე https://1tv.ge/ 2020 წლის 24 მაისს. შ. ამირანაშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

ამირანაშვილი გულბადი

წიგნად აკინძული სიცოცხლე
მოგონებათა კვალდაკვალ

I

1). მიპატიჟება რაჭაში

შალვას მშობლები: ფოთის გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებელი იასონ ამირანაშვილი და ხონის დაწყებითი სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული ასინეთ ჩხენკელი ახალი დაქორწინებული იყვნენ, როდესაც მათმა მეგობარმა შალვა სირბილაძემ საშობაო-საახალწლოდ მიიწვია თავისთან რაჭაში. იმ წლის ბოლოს, ზამთარი საქართველოში რატომღაც იგვიანებდა და რაჭას მიწვეული სტუმრები შეუფერხებლივ ასულან ონში, სადაც მათი მასპინძლი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. იასონი ამირანაშვილი და შალვა სირბილაძე სიყრმის მეგობრები იყვნენ და ნუ იტყვით, რომ ჯერ კიდევ მათი მშობლები ხშირად მასპინძლობდნენ ერთმანეთს იმერეთსა თუ რაჭაში. ტრადიციად ქცეული სტუმარ-მასპიმძლობა მემკვიდრეობით გაგრძელებულა და მათი შვილებიც: იასონ იმერელი და შალვა რაჭველი ძალაუნებურად მოქცეულან ქართული სულგრძელობის ქვეშ. იმ უთოვლო ზამთარს კი დაპატიჟებულებს, როგორც კი ფეხი შეუდგამთ რაჭის მიწა-წყალზე, ისეთი დიდი თოვლი წამოსულა და დიდხანსაც უთოვია, რომ საქართველოს შუაგულთან დამაკავშირებელი გზები მთლიანად ჩაკეტილა. იმ ახალი წლის სადღესასწაულო სუფრიანობის შემდეგ, სამასპინძლო რაჭა თავის სტუმრებიანად თოვლის ტყვეობაში მოქცეულან და საკმაოდ დიდი ხნითაც.

დადგა 1899 წლის 2 თებერვალი (როგორც ეს ჩემთვის ნათქვამი ჰქონდა ბები ასინეთს). იმ დღეს ონში ახალდაბადებული იმერელი ბავშვის ატირების ხმა შემოესმათ მასპინძელ რაჭველებს. სირბილაძეებთან სტუმრად მყოფ ჩხარელ იასონ ამირანაშვილის მეუღლეს, ხონელ ასინეთ ჩხენკელს პირმშო ძე შეეძინა (სოლომონ ჩხენკელის ასულმა სულ ცხრა შვილით გაამდიდრა იასონ ამირანაშვილის ოჯახი), რომლისთვის დაურქმევიათ მასპინძელი ოჯახის თავკაცის სახელი: შალვა.

მხოლოდ მარტის თვის დასაწყისში გახდა შესაძლებელი ონიდან დაბრუნება ჩხარში, სადაც ამირანაშვილ-ჩხენკელის პირმშო ძის, შალვას დაბადების თარიღად 13 მარტი ჩაუწერიათ (სინამდვილეში ეს იყო შალვას დაბადების მოწმობის შედგენის თარიღი), დაბადების ადგილად კი ონი. ქრონოლოგიური ცვლილების საფუძველზე 1918 წლის პირველი თებერვალი თოთხმეტ თებერვლად გამოუცხადებიათ და ახალ ქრონოლოგიურ სტილზე გადასვლის შედეგად, შალვა ამირანაშვილის დაბადების თარიღად 26 მარტი დამკვიდრებულა.

2). ჭიქა წყალი

სოფელ ჩხარის ერთ პაპანაქება ზაფხულს, ტახტზე წამოწოლილი ყმაწვილი შალვა საინტერესო წიგნს კითხულობდა მეტისმეტად თვალმოუშორებელი გატაცებით. მისთვის ზუსტად ის მომენტი იყო, როცა წიგნს ვერ გამოგლეჯდა ვერავინ. აუტანელმა სიცხემ თავისი მაინც გაიტანა და მეტად შეწუხებულ შალვას ერთადერთი სიტყვა უნებლიედ, და მაინც და მაინც ხმამაღლა, წარმოათქმევინა: «წყალი». შვილის წამოძახილი გაუგონია მამამის იასონს, რომელიც იქვე რაღაც საქმით იყო დაკავებული. უეცრად შალვას მოესმა მამის მომთხოვნი ხმა: «შალიკო, ადექი, წყალი მომიტანე!». ახალგაზრდა შალვა იმ წამსვე წამომხტარა და დაუყოვნებლივ შეუსრულა მამამისს თხოვნა. ცივი წყლით სავსე დოქი და ჯამი რომ მიურბენინა, მამამისს უთქვამს: «დალიე შვილო, წყალი!» და შალვასაც ხმაამოუღებლივ შეუვამს მამისთვის მირთმეული წყალი.

როგორც კი მიამბო ეს შემთხვევა, მამას დავეკითხე: «წყლის მოსატანად რომ გარბოდი, ხომ გწყუროდა და იქვე ჭასთან შენ თვითონ ვერ დალიე წყალი? და შემდეგ მამისთვისაც მიგეტანა!»

— მაგას როგორ გავუბედავდი მამას! მიპასუხა გადაჭრით.

3). ყირა ფოთის ეკლესია «სობორო»-ზე

მაშინ, როდესაც მამაჩემი-შალვა ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს სასწავლებლად, მასთან ერთად ფოთში საცხოვრებლად მისი მშობლების მრავალშვილიანი ოჯახიც გადავიდა. შალვას მამამ, იასონ ლუარსაბის ძე ამირანაშილმა იმავე გიმნაზაში, სადაც მისი უფროსი ვაჟიშვილი იღებდა სწავლა-განათლებას, მათემატიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. შალვას დედამ, ღვთისმეტყველების მცოდნე ასინეთ სოლომონის ასულმა ჩხენკელმა ამ ზღვისპირა ქალაქშიც, ღვთისგან დაკისრებული საქმე — დიასახლისობა განაგრძო. შალვას დაძმებიდან გამოირჩეოდა დავითი, რომელიც ბავშვობიდანვე სპორტული მიდრეკილების ახალგაზრდად ყალიბდებოდა და საოცრად მოწადინებული იყო ტანვარჯიშით გაეკვლია ცხოვრებისეულად სავალი გზა.

1907-1908 წლებში, მაცხოვრის აღდგომის სახელზე ფოთში აშენდა მართლმადიდებლური საკათედრო ტაძარი, რომელიც არქიტექტურულად ბერძნულ-ბიზანტიური სტილისტიკით იყო შეზავებული. ამ ნიშნის გამო, ახალშენებულ ტაძარს «აია-სოფია»-ს უწოდებდა მაშინდელი ქალაქის ქართული მოსახლეობა, რაც ტრადიციით შემორჩა მას დღემდე. რუსული კულტურის მომეტებული გავლენის გამო, ამ ეკლესიას «სობორო»-ს უწოდებდნენ რუსულენოვნად აღზრდილი თავმომწონე ფოთელები.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინა წელს, მოხდა მეტად დასამახსოვრებელი ამბავი, რომელიც ბები ასინეთმა მიამბო და რაც დღემდე შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

ერთ საღამო ხანს შალვას მშობლები ასინეთი და იასონი სუფთა ჰაერზე გასეირნების მიზნით აღმოჩნდნენ სობოროსწინა მოედანზე. უცებ მათი ყურადღება მიიპყრო ერთჯგუფად მდგარმა ახალგაზრდებმა, რომლებსაც სობოროს თავზე მოთავსებულ ჯვრისათვის მიეპყრათ ყურადღება. მოსეირნე ცოლ-ქმარმა ტანდემად აიხედა მაღლა სობოროს ჯვრისკენ და უეცრად შემონთებული მათი გაოცება, უსაზღვრო საზღვარსაც გასცდა.

ვიღაც ახალგაზრდა ასულიყო სობოროს ტაძრის გუმბათზე და ჯვრის ერთ-ერთ მკლავზე ყირა გაეჭიმა. ახალგაზრდა ერთხანს გაუნძრევლივ ეყრდნობოდა ჯვრის მკლავს, ხოლო ფეხები ერთმანეთთან მიტყუპებული ეჭირა. შემდეგ რამოდენიმე წამით ცალ ხელზე გადაიხარა და ფეხები მაკრატელასამებრ გაშალა. შემდეგ ისევ დაუბრუნდა პირვანდელ მდგომარეობას და ტანმოვარჯიშისთვის დამახასიათებელი მწყობრი მოძრაობით შეჯერებული ილეთით მოშორდა ჯვრის სახელურს. გუმბათზე სხარტი მოძრაობით დაეშვა თავქვე და ეკლესიის შიდა სივრცეში გაუჩინარდა.

— ვაი შენს პატრონს, უბედურს! გაისმა ასინეთის სასოწარკვეთილი ხმა. მას ასევე მიბაძა მისმა მეუღლემ იასონმაც და გაკვირვებულმა წარმოთქვა:

— ეგ უპატრონო, რომ ჩამოვარდნილიყო, ნამდვილად ჩვენ დაგვბრალდებოდა.

რამოდენიმე ხანში თავმომწონე ახალგაზრდა ეკლესიიდან გამოვიდა და თამამად გაემართა შეჯგუფულად მდგარ თანატოლებისკენ.

ასინეთ ჩხენკელი და იასონ ამირანაშვილი განცვიფრებით შესცქეროდნენ ახალგაზრდას და თვალებს არ უჯერებდნენ. მათკენ მოაბიჯებდა მათი შვილი, ათი წლის დავით ამირანაშვილი, რომელსაც სახეზე მორიდებული ღიმილი უთამაშებდა.

4). სტუმრად ენათმეცნიერ ნიკო მართან

«მე სრულიად ახალგაზრდა ვიყავი (ალბათ, მისი სტუდენტობის პერიოდს თუ იხსენებდა მამა ჩემთან საუბარში), როცა პირველად ვნახე და თავმომწონედ გავეცანი ენათმეცნიერ ნიკო მარს. შეხვედრისთანავე ბატონმა ნიკოლაი იაკოვლევიჩმა სახელ «ამირან»-ის ეტიმოლოგიაზე დამიწყო ახსნა-განმარტება და დიდხანსაც მესაუბრა. მე გატაცებით ვუსმენდი და ყველაფერი თვალნათლივ მახსოვს, რაც მითხრა», განმიმარტა მამამ, როგორც კი შემატყო, რომ ინტერესით ვუსმენდი.

— თუ მაგდაგვარადაა საქმე, დაიწყე მოგონებების წერა, შევეხმიანე მოურიდებლივ, რამდენ ვინმეს შეხვედრილხარ და გისაუბრია, ვინ მოითვლის შენ მეტი. დაჯექი და დაიწყე მოგონებების წერა, ძალიან საინტერესო იქნება ჩვენთვის და ალბათ ყველასთვის.

— ჯერ ადრეა, მაგის დროც მოვა, მიპასუხა გადაჭრით და განაგრძო: სულ ყველაფერს ზუსტად ისე დავწერ, როგორც თავს გადამხდა.

გადიოდა წლები, და იმ დათქმულ დროს, როცა უნდა დაეწყო წერა, ვეღარ მოესწრო.

უმდიდრესად დასაწერი ამბები უთქმელად თან გაიყოლა.

5). ებრაული ენის მასწავლებელი

«მაშინ ფოთის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოსწავლე ვიყავი», დაიწყო მოყოლა შალვამ და ჩვენც გავინაბეთ სასმენად.

«სასწავლებლიდან სახლში რომ ვბრუნდებოდი, ქუჩის ერთ-ერთ სახლზე მიკრული განცხადება წავიკითხე: ებრაული ენის შესწავლის მსურველებს, ვთხოვ მომაკითხონ ამა და ამ მისამართზე.

სიხარულისგან ფრთაშესხმული მივედი სახლში და მამას ვთხოვე ჩემი სწავლა დაეფინანსებინა. ჩემდა გასაკვირად, მამამ მიუარა და დარწმუნებით მითხრა: «მეტი საქმე არა მაქვს, ებრაელს ფული გადავუხადოო». და დამიმატა: «ჯობს ევროპულ ენებს დაეუფლო». გული დამწყდა და სანუგეშოდ ვერაფერს ვისაზრებდი.

გავიდა სულ ცოტა ხანი და ფოთის გიმნაზიის დირექტორმა ალეკსანდრ იაგელოვმა გამომიძახა. მან მთხოვა: «შეძლებული კაცის შვილს, მეორე კლასიის მოსწავლეს, გაკვეთილების მომზადებაში დახმარება ჭირდება, რასაკვირველია გასამჯელოს გადახდით. თქვენი კანდიდატურა ამ საქმისათვის შესაფერისად მივიჩნიე. ალბათ, თანახმა იქნებით.» მე, დაუფიქრებლივ, იმ წამსვე დავეთანხმე. და მორიდებით ავუხსენი დირექტორს: «ოღონდ, ერთი პირობით: ერთი თვის სწავლების თანხის წინასწარი გადახდით». დირექტორმა უცნაურად შემომხედა და მაშინვე ტელეფონით ესაუბრა შეძლებული ოჯახის პატრონს.

თქვენი სურვილი დაკმაყოფილებულია; ხვალ გაკვეთილების შემდეგ მიხვალთ ამა და ამ მისამართზე. ერთი თვის შესაბამისი თანხა მაგიდაზე დაგხვდებათ. ვერ წარმოედგინა გიმნაზიის დირექტორს, რაში მჭირდებოდა წინდაწინ გადახდილი თანხა. «საქმის ჩამწყობი» გაკვირვებული გამომემშვიდობა და წარმატება მისურვა ჩემ მიერ წამოწყებულ ყოველგვარ საქმეში.

როგორც კი გამოვემცნაურე ჩემს გადამრჩენ ოჯახს და პირველი გაკვეთილი ჩავუტარე მეორეკლასელს, სირბილით გავვარდი ებრაულის მასწავლებელთან, თანხა მაგიდაზე დავუდე და პირველმა გაკვეთილმაც სასიამოვნო საუბარში ჩაიარა. ასე რომ სწავლაში გადიოდა თვეები. ებრაული ენის დაუფლებაში მეორე წელიც მოტრიალდა; დადგა 1914 წელი და პირველი მსოფლიო ომის დაწყების თვეც. რამდენიმე დღეში, ებრაულის გაკვეთილზე ფულით ხელში მასწავლებელთან მისულს, მისი ბინის კარები გარდი-გარდმოდ გადამკვეთი მოგრძო ფიცრებით აჭედილი დამხვდა. მისმა მეზობელმა მითხრა: «წუხელ ღამით აიყვანესო». გულმოსულმა წინასწარ აღებული სწავლის ფული ჩემი მოწაფის მშობლებს მივუბრუნე, გამოვემშვიდობე სამუდამოდ და გულჩათუთქული დავბრუნდი სახლში».

6). თეატრალური ჩხარი

XX საუკუნის 10-იან წლებში, ზაფხულის საღამოებით გაგრილებულ სუფრაზე პურმარილობისა და ღვინის სმის გარდა, ჩხარელთა გასართობს წარმოადგენდა ყოველ შაბათობით თეატრალური სანახაობები, რომლის წარმართვას უძღვებოდა ფოთის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე შალვა ამირანაშვილი.

ქართული მწერლობის კლასიკოსთა ნაწარმოებების მისედვით ახალგაზრდა შალვა წერდა თეატრალურ სცენარებს, კრებდა სოფლის ბავშვებს და ლუარსაბ ბაბუს სახლის ეზოში (იქ, სადაც ახლა პეტრე და შალვას სახლ-მუზეუმია დაარსებული) დგამდა სპექტაკლებს. სოფლელებს განსაკუთრებით მოსწონდათ და უყვარდათ კიდეც ხუთ წლის პეტრეს გამოსვლა სცენაზე, რადგანაც მისთვის დაკისრებულ მონოლოგს ის თავისებურად ასრულებდა. ეზოში შეკრებილი მაყურებელი მთლად გაისუსებოდა, როცა სცენაზე გამოჩნდებოდა ყველასათვის საყვარელი ბავშვი პეტრე ამირანაშვილი. სიტყვებით დაწყებული მონოლოგის პირველი ფრაზის შემდეგ, იგი სიმღერით ამბობდა მომდევნო ფრაზებს და არაჩვეულებრივ ჟღერადობაზე აგრძელებდა სათქმელს. იგი მთელი გულით მღეროდა მონოლოგს, მისი ბიძაშვილი შალვა გაკვირვებული უყურებდა, მომღიმარი მაყურებელი კი ტაშით აჯილდოვებდა პეტრეს ბავშვურ ხასიათს. საინტრესო ის არის, რომ მსახიობები ამირანაშვილები იყვნენ, და მაყურებლებიც უმეტესწილ ამირანაშვილები. და ალბათ ამიტომაც ყველასათვის საყვარელი პეტრე ხანგრძლივ ტაშს იმსახურებდა.

ახალგაზრდა შალვა დროს უქმად არ კარგავდა. იგი მხატვრობითაც იყო გატაცებული. ჩვენს ოჯახს შემორჩა მის მიერ ზეთის საღებავებით დახატული სამი სურათი. მისივე დასათაურებით: ერთი: «მოლოდინი», მეორე: «მანდილოსანი» და მესამეც: ავტოპორტრეტი, ერთნაირად დახატული ტილოს ორივე მხარეზე. მის მიერ შესრულებული რამოდენიმე სხვა ნახატი წარსულმა შთანთქა.

შალვას ბაბუა ლუარსაბ ამირანაშვილი (ის ასთორმეტი წლის გარდაიცალა) წინა დღით კარგა ნაქეიფარზე, დილაადრიან პახმელიიდან არაყით გამოსულა მომეტებულად, და ქეიფ-ქეიფ გაყოლია სამარადისო გზას.

ლუარსაბის სახლი ყოველ ზაფხულობით იქ ჩასული ამირანაშვილებით ივსებოდა, და მხიარული ნათესაობა ერთმანეთის სიყვარულით ტკბებოდნენ.

II

1). ჩაძინებული ლექტორი

სტუდენტ შალვას ლექციებს უკითხავდნენ: ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე და სხვა გამოჩენილი მეცნიერები.

შალვას ნაამბობიდან:

«ერთ-ერთ ლექციაზე, ლექტორს წინადადება არ ჰქონდა ბოლომდე დამთავრებული, რომ უეცრად თვალები მოელულა და იმ წამსვე მოულოდნელად ჩაეძინა. ხელი რომ არ შემეშალა მისთვის, გავისუსე სიჩუმის შეგრძნობამდე. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ჩაძინებული ლექტორი გამოფხიზლდა და ჩემდა გასაკვირად, ჩაძინებამდე დაწყებული წინადადება ბოლომდე სწორად დაასრულა. ჩემთვის დავინტერესდი, თუ რა მოვლენასთან გვქონდა საქმე, რომ ათი წუთის წინ გაწყვეტილი წინადადება ლექტორმა აზრობრივად მართებულად წარმართა გამოღვიძებისთანავე».

ჩემი შეკითხვა «თუ ვინ იყო ლექციაზე ჩაძინებული ლექტორი», მამამ უპასუხოდ დატოვა და მრავალგზის ჩემი მცდელობის მიუხედავად, არც არასდროს გაუმხელია ჩემთვის.

2). ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით გამოცდაზე პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილთან.

შ. ამირანაშვილის ნაამბობიდან:

სახელმწიფო გამოცდაზე პროფ. გიორგი ჩუბინაშვილმა შემომიტანა მოჭედილ ჩარჩოში ჩასმული ხატი მაცხოვრისა და დამისვა კითხვა, განმესაზღვრა მისი რაობა. ოცი წუთის საუბრის შემდეგ გამოვიტანე დასკვნა: ხატი არის ქართული და მისი შექმნის თარიღია მე-XI საუკუნე.

— დათარიღებაში არ ცდებით, ხატი ნამდვილად მე-XI საუკუნისაა, ხოლო ხატის რაობის განსაზღვრაში ცდებით: ხატი ბიზანტიურია.

მე, დამატებითი არგუმენტებით მომიხდა ჩემი კონცეფციის დადასტურება.

გიორგი ჩუბინაშვილმა ისევ განცვიფრდა, უცნაურად შემომხედა და მხრები აიჩეჩა. მაშინვე დაავლო ხელი ხატს და აუდიტორიიდან უხმოდ გავიდა.

— ვხვდები, რა ნიშანსაც დაგიწერდა! მიხვედრით ვუთხარი.

— ნიშანს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მიპასუხა დასაჯერებლად.

3). ივანე ჯავახიშვილის მოწოდება სტუდენტებისადმი

1920 წლიდანვე, საქართველოს დემოკრატიული მთავრობისათვის დადასტურებულად იყო ცნობილი, რომ რუსეთიდან სამხრეთ კავკასიაში შემოსული მე-11 არმია რამოდენიმე თვეში დასაპყრობად შემოუტევდა თავისუფალ საქართველოს, მის გასაერთიანებლად რუსეთს დაქვემდებარებულ ამიერკავკასიის ფედერაციაში. საბჭოთა დროშა აფრიალდა აზერბაიჯანში 1920 წლის აპრილიდან, ხოლო მოგვიანებით სომხეთში 1920 წლის ნოემბრიდან. ჯერი მიმდგარი იყო 1801-1917 წლებში რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მოქცეულ და ორ გუბერნიად

გაყოფილ საქართველოზე, რომელიც 1918 წლის 26 მაისიდან პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალური განვითარების დემოკრატიის გზას დადგომოდა. აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოებამ ასეთივე საფრთხის წინაშე ჩააყენა საქართველოს დეოკრატიული რესპუბლიკაც, რომელმაც შეიარაღებული ძალების მობილიზაცია გამოაცხადა 1920 წლის მიწურულს. საქართველოს ჯართან ერთად კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში საბრძოლო-საწრთვნელ ვარჯიშებს ატარებდა თბილისის სამხედრო-საარტილერიო სკოლის ახალგაზრდობა. მათ უმრავლესობას შეადგენდა ქართველ თავად-აზნაურთა ოჯახის შვილები. ისინი საქართველოს სამხედრო ისტორიაში ცნობილნი იყვნენ სახელით: ქართველი იუნკერები.

ამ ძნელბედობის ჟამს, ივანე ჯავახიშვილის მოწოდებით იუნკერებს წამოემატა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც, რომელთა შორის იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი შალვა ამირანაშვილი.

შ. ამირანაშვილის მონაყოლიდან:

«უნკერთა სამხედრო ბანაკში ყოფნის დროს, თუ თავისუფალ საათს გამოვნახავდი, წიგნის კითხვით ვერთობოდი. დიდი არაფერი მევალებოდა. ქვემეხის მსროლელთა ოთხკაციან ჯგუფში ვიყავი გაერთიანებული და ჩემს მოვალეობას შეადგენდა ნაღმის მიწოდება მსროლელთათვის».

4). «მედროგე» შალვა

შალვა ამირანაშვულის მონაყოლიდან:

«იუნკერთა» სამხედრო ნაწილში ყოფნის დროს მზარეულთათვის წყლის მოტანა დამავალეს მდინარის მსგავსი ღელედან. ამამხედრეს დროგზე, სადაც წყლის კასრები იყო განლაგებული და წასასვლელად მომზადებულს მეგობრებმა ღიმილით შემომძახეს: «წიგნის წაღება არ დაგავიწყდესო». როცა მივედი იმ ადგილას, საიდანაც წყალს ეზიდებოდნენ, მეტისმეტად ახლოს მივაყენე დროგი დამრეც ნაპირთან. რამოდენიმე კასრი რომ ავავსე და მოვათავსე დროგზე, ისედაც ცალ გვერდზე გადაქანებულს წონაწორობა შეეცვალა, აყირავდა და წყალში მოადინა ზღართანი. დროგში შებმული ცხენიც დროგთან ერთად ცალგვერდულად წამოწვა წყალში. გავხედე ცხენს, რომელსაც თავს ევლებოდა წყალი და სასუნთქი ნესტოები უჩანდა მხოლოდ. დროგის მარწუხებიდან საჩქაროდ გავათავისუფლე ცხენი, რომელიც სამშვიდობოდ ნაპირზე გამოვიდა მომეტებული ხვიხვინით (ალბათ მკიცხავდა მისებურად). დაგვიანებულმა მალევე შევამჩნიე, რომ საქვემეხო ნაწილის სამი მეგობარი მომიახლოვდა. ერთმა უბელო ცხენი ოსტატურად დაიჭირა, მეორემ გადაბრუნებული დროგი ბორბლებზე წამოაყენა და ორივემ ცხენი დროგში შეაბა, ხოლო მესამე მეგობარი დაცარიელებული კასრების ბოლომდე

შევსებაში მომეხმარა. ნაწილში რომ მივედით, უკვე ნასადილევი იუნკერები ღიმილით შემხვდნენ.

5). არტილერისტი შალვა

შ. ამირანაშვილის ნაამბობიდან:

კოჯრის ბატალიონში ერთ დღეს იუნკერები საველე მეცადინეობაზე იყვნენ გასული, მე კი ვმორიგეობდი სამხედრო ნაწილში. უცებ ატყდა სამხედრო განგაში. ჩვენმა მეზარბაზნე ოთხეულმა, და ე. ი. მათ შორის მეც ვიცოდით თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით ასეთ ვითარებაში. ნაწილში, საშუალოკალიბრიანი ოთხი ზარბაზანი გვედგა. იქვე ეწყო სასწავლო ნაღმებიც. მოვამზადე ოთხივე ზარბაზანი, და დავიწყე რიგრიგობით სროლა ცარიელი ნაღმებით. თხუთმეტ წუთში განგაში შეწყდა და მეც შევწყვიტე სროლა.

საველე მეცადინეობიდან დაბრუნებულმა უფროსმა, მადლობა გამოიცხადა და დანანებით წარმომითქვა: მტვრისაგან დასაცავად ზარბაზნის ლულას ჩამოცმული აქვს ბიაზის თავსარქმელი შემახსენა ნაწილის უფროსმა. შენ კი, მისი მოხსნა სიჩქარეში დაგვიწყებოდა და ცარიელი ნაღმებიდან გამოყოფილ ჰაერის ჭავლმა სულ დაგლიჯა ლულაზე წამოცმული შესაბურავი.

მართლაც, გავხედე ჩემს ნამოქმედარს და გული დამეწვა.

1921 წლის იანვარში კოჯრის სამხედრო ნაწილის მეთაურმა მიიღო ექვთიმე თაყაიშვილის წერილობითი თხოვნა, რომელსაც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ნებართვა ჰქონდა დართული. ამ დოკუმენტის თანახმად, მე გადავდიოდი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის წევრის ე. თაყაიშვილის პირად განკარგულებაში. საქართველ;ოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შესაძლო ემიგრაციისათვის მევალებოდა ქართველი ხალხის კუთვნილი სამუზეუმო და საეკლესიო ნივთების აღწერა, შეფუთვა და მომზადება საზღვარგარეთ გასატანად, რაც შევასრულე კიდეც დროულად და ყოველგვარი სათანადო პირობების დაცვით.

6). შალვა ამირანაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გამოშვების კურსდამთავრებული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წლის 26 იანვარს, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოს ივანე ჯავახიშვილის რუდუნებით და მეთავეობით. პროფესორთა კოლეგიამ ახლადშექმნილი უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩია ქიმიის დარგის საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი, რუსეთის აკადემიის აკადემიკოსი პეტრე მელიქიშვილი.

ქალაქ ფოთის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების (1917 წელი) შემდეგ 1918 წლის დასაწყისში, ახლადდაარსებული ეროვნული უნივერსი-

ტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სტუდენტად ჩაირიცხა შალვა ამირანაშვილი.

თბილისის უნივერსიტეტის თავიდანვე ერთადერთ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, 1918 წლის 30 იანვარს პირველი ლექცია წაიკითხა ქართული უნივერსიტეტის სულისჩამდგმელმა, საქვეყნოდ ცნობილმა და საყოველთაოდ აღიარებულლმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა. სწორედ ამ ლექციას ხშირად იგონებდა მამა ჩემთან საუბარში. ლექციას და ივანე ჯავახიშვილის პატრიოტულ პათოსს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე სტუდენტთათვის.

სტუდენტმა შალვა ამირანაშვილმა საკვვლევ დარგად თვითონვე დაისახა ხელოვნებათმცოდნეობის შესწავლა, რომელიც ჯერ კიდევ ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში აირჩია სამეცნიერო კვლევის დარგად. როგორც მამის სიტყვებიდან დამამახსოვრდა, სტუდენტ შალვა ამირანაშვილის არჩევანი მოსწონებია ივანე ჯავახიშვილს და გზა დაულოცავს მისთვის.

სტუდენტ შალვა ამირანაშვილს ლექციებს უტარებდნენ სახელმოხვეჭილი მეცნიერები: საქართველოს ისტორიას უკითხავდა ქართველი ხალხისათვის უძვირფასესი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი; არქეოლოგიასა და ეპიგრაფიკას, სიძველეთმცოდნეობასა და საეკლესიო ისტორიას ასწავლიდა დემოკრატიული საქართველოს პატრიოტულად მოყვარული, დიდებული ექვთიმე თაყაიშვილი; ლექტორ თაყაიშვილსა და სტუდენტ ამირანაშვილს გაცნობისთანავე მამა-შვილური ურთიერთდამოკიდებულება დაუმყარებიათ ერთმანეთისადმი; ბატონი ექვთიმე მეცნიერული გზამკვლევი გამხდარა შალვასთვის; ხელოვნებათმცოდნეობის თეორიისა და ისტორიის დარგში განსაკუთრებით ძვირფასი იყო გიორგი ჩუბინაშვილის მიერ საგნის უბადლო ცოდნით წაკითხული ლექციები, რაც შალვა ამირანაშვილისთვის აუცილებელ მნიშვნელობას იძენდა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგში მეცნიერულად ჩამოყალიბებისათვის. ქართული ლიტერატურის ისტორიას შესაშური პათოსით უკითხავდა სტუდენტებს ღვთისნიერი კორნელი კეკელიძე; მისი ლექციის დროს გადაჭედილი ყოფილა აუდიტორია, როგორც მეტყოდა ხოლმე მამაჩემი. ქართველური ენების წარმოშობისა და სტრუქტურის ისტორიას უკითხავდა უბადლო მკვლევარი აკაკი შანიძე. არ შეიძლებოდა, რომ ასეთი ძვირფასი მეცნიერების მიერ წაკითხული ლექციების შემდეგ არ აღძროდა დაუოკებელი სურვილი მოსმენილის ზედმიწევნით დაუფლებისადმი, რისკენაც მთელი მონდომებით მივისწრაფოდით ჩვენ, სტუდენტები, ამთავრებდა მონაყოლს მამაჩემი. მაშინდელი ახალგაზრდების ენთუზიზმსა და პატრიოტულ პათოსს აძლიერებდა საქართველოს თავისუფლება, რომელიც სულიერად ზრდიდა ყოველ სტუდენტს ეროვნული სულისკვეთებით.

სწავლასა და სამეცნიერო კვლევა-ძიებაში გაირბინა შალვა ამირანაშვილისათვის სტუდენტურმა ოთხმა წელიწადმა. ამ პერიოდის დამაგვირგვინებელ ფაქტად ითვლება ის, რომ ჯერ კიდევ სტუდენტმა შალვა ამი-

რანაშვილმა გამოაქვეყნა პირველი სტატია სათაურით: «ცოტა რამ ხელოვნებაზე», რომელსაც იმდროინდელ სამეცნიერო წრეებში აღიარება დაუმსახურებია.

და აი დადგა 1922 წელი. ეს წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პირველი გამოშვების წელი იყო. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ თავისუფალ სამყაროში დაარსებულმა ქართულმა უნივერსიტეტმა არსებობა განაგრძო გასაბჭოებული საქართველოს პირობებში, რამაც ეროვნულობას ფრთები შეუკვეცა. და მაინც, სწორედ ამ წელს, უნვერსიტეტის სრული კურსი დაამთავრეს შემდეგდროინდელ ცნობილ მეცნიერებად ჩამოყალიბებულმა პატრიოტმა სტუდენტებმა: ისტორიკოსმა სიმონ ჯანაშიამ; ქართველოოგმა ვარლამ თოფურიამ; ენათმეცნიერმა არნოლდ ჩიქობავამ; ხელოვნებათმცოდნემ შალვა ამირანაშვილმა და კიდევ ბევრმა, სხვადასხვა დარგის დიდ მკვლევარებად აღიარებულმა მამულიშვილებმა.

III

ქართული საეკლესიო და სამუზეუმო განძის დაბრუნება რუსეთიდან 1923 წელს

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე, ორ გუბერნიად (თბილისისა და ქუთაისის) გაყოფილ საქართველოში დაიწყო რუსეთის იმპერიული პოლიტიკის განუხრელი გატარებისა და ასევე რუსული კულტურის ინტენსიური დანერგვის პროცესი. ამ საქმის მესვეურთა მიერ განსაკუთრებული სისასტიკით მიმდინარეობდა ქართველი ხალხის თვითმყოფადობის დამადასტურებელი ისტორიული ძეგლების განადგურება და ძირფესვიანად მოსპობა, ყოველივე ქართულის აღმოფხვრა-ალაგვმვა პირისაგან ქართული მიწისა. მომეტებული სიმძლავრით ხორციელდებოდა საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ქრისტიანული კულტურის ისტორიული ტრადიციების იძულებითი მივიწყება და სამუდამოდ გაქრობა. საქართველოს თვითმყოფადობისა და ეროვნულობის საზიანოდ მიმართულ ასეთ მოქმედებებს თან სდევდა ქართული საეკლესიო კედლის მხატვრობის მიზანდასახული შერყვნა-გადაფხეკა ან შეთეთრება; ასევე საუკუნეებგამოვლილ ქართულ ფრესკებზე არსებული ასომთავრული წარწერების გაუჩინარებამდე ამოშლა. დროდადრო პირდაპირ მიმართავდნენ ქართველ ოსტატთა მიერ შექმნილ საეკლესიო ძვირფასი ნივთების გაზიდვა-გატანას და დაბინავებას რუსეთის იმპერიის სიძველეთსაცავებში. სწორედ, ასეთი მავნე საქმეებს მომეტებული აქტიურობით წარმართავდნენ სპეციალურად ამ საქმისათვის რუსეთიდან შემოგზავნილი მაღალჩინოსნები, და განსაკუთრებით ეგზარხოსები. ისინი წარმოუდგენელი სისასტიკით ასრულებდნენ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ქართული საეკლესიო განძეულობის დატაცება-დასაკუთრებას, და მათზე აღბეჭ-

დილი ქართული წარწერების გულმოდგინედ ამოფხეკას. ხშირ შემთხვევაში რუსეთში გატანილი ქართული საეკლესიო ნივთები გასაყიდად ხვდებოდნენ ევროპისა თუ ამერიკის სააუქციონერო ბაზრებზე.

XIX საუკუნის მთელ მანძილზე რუსული იმპერიული მისიის განხორციელებას სათავეში ედგნენ თბილისსა და ქუთაისში დანიშნული რუსი გუბერნატორები. ისინი შენიღბულად, ხან დაუფარავადაც, ხელმძღვანელობდნენ ქართული ისტორიული განძეულობის გაზიდვას არაგვის ხეობით ჩრდლოეთისკენ. რუსეთში მიედინებოდა ქურდული ხერხებით დასაკუთრებული ქართული კულტურის ისტორიულობის მაუწყებელი და ეროვნულობის დამადსტურებელი მატერიალური სიძველეები. ამ პერიოდში და შემდეგაც, გამეტებული სიძლიერით იძარცვებოდა საქართველო და განმკითხავი არავინ იყო! ყოველთვის შველას ითხოვდა რუსიზაციის წყალობით გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველი ხალხი და მაინც, გადასარჩენად ხელის გამწვდომი არავინ ჰყავდა! ჯვრის უღელტეხილით საქართველოდან რუსეთში გაიზიდა ქართული უნიკალური ხატები და ჯვრები, ოქროთი და ვერცხლით შემკული საეკლესიო ნივთები, საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის ხელნაწერები, ქართული საისტორიო დოკუმენტური მასალა, ქართული და არაქართული აურაცხელი მონეტები და მედალიონები, ასევე, არქეოლოგიურად მოპოვებული მატერიალური კულტურის უნიკალური ნივთები... ამ მხრივ რუსულმა პოლიტიკამ დაამცრო და დააკნინა სულიერად და მატერიალურად მდიდარი საქართველო, რომელიც როგორც სახელმწიფო, არ არსებობდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში.

ქართული ეროვნული საგანძურის საქართველოდან რუსეთში გატანის დაუნდობელი ორგანიზატორი იყო 1867-1878 წლებში ქუთაისის გუბერნატორი გრაფი ვლადიმირ ვასილიევიჩ ლევაშოვი. მან რუსეთის საწყობები შეავსო ისტორიული მნიშვნელობის ქართული საეკლესიო ძვირფასეულობებით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

ხახულის (მდებარეობს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომელიც ამჟამად თურქეთის სახელმწიფო საზღვრებშია მოქცეული) ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის უძვირფასესი მარგალიტი, ტიხრული მინანქრით გაწყობილი და ძვირფასი ქვებით შემკული ტრიპტიქონი ანუ სამნაწილიანი კარედი, რომელიც აფხაზთა და ქართველთა მეფის დავით აღმაშენებლის (1089-1125) მიერ გადმოსვენებული იქნა გელათის მონასტერში. კარედის შუა ნაწილზე გამოსახული იყო წმიდა მარიამი ვედრების პოზაში. ქართული ტექნოლოგიით დამზადებული მინანქრით მოპირკეთებული კარედის ნაწილები გატანილი იქნა რუსეთში, საიდანაც გაიყიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჟამად, წარმოდგენილია მეტროპოლიტენ-მუზეუმის ექსპოზიციაში.

როგორც ხელოვნებათმცოდნე შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, ვ. ვ. ლევაშოვის მიერ გატაცებული იქნა «მინანქრით და ძვირფასი ქვებით შემ-

კულ ყდაში ჩასმული XI-XII საუკუნეების პერიოდში გადაწერილი სახარება, რომლის ერთი ნაწილი ბერლინის სასახლის მუზეუმშია დაცული, ხოლო მეორე ნაწილი ბელგიელი კოლექციონერის პირად საკუთრებას წარმოადგენს».

კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. ერთმორწმუნე რუსეთის «კულტურული» პოლიტიკის წყალობით იძარცვებოდა ქრისტიანული საქართველო!

შ. ამირანაშვილი გადმოგვცემს, რომ პეტერბურგელმა ფოტოგრაფმა საბინ გუსმა ეგზარქოსის დახმარებით ვითომც «ხატების განახლების მიზნით» გაიტანა ჯუმათისა და შემოქმედის მონასტრებიდან (გურიის ეპარქია) ოქრო-ვერცხლით ნაჭედი ხატები და ქართული ტექნოლოგიით დამზადებული მინანქრით შემოსილი საეკლესიო ძვირფასეულობანი. საერთოდ კი, რუსეთში გაჰქონდათ ყოველი ქართული ისტორიული ნივთი, რომელიც კი ძარცვის საქმისათვის საქართველოში მოვლინებულ რუს სიძველეთმცოდნეებს ჩაუვარდებოდათ ხელში. მათ შორის, საფარის მიძინების სახელობის ეკლესიის (ახალციხის ეპარქია) კანკელის ფილები, ჩუქურთმებით შემკული, რომელიც რუსეთში გატანილი იქნა გრაფინია პრასკოვია სერგეევნა უვაროვას მიერ და დაბინავებული მოსკოვის საისტორიო მუზეუმში; ამავე მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენდა წებელდისა და ბედიის (საქართველოს აფხაზეთი) ტაძართა კანკელის ფრაგმენტები, მითვისებული რუსული იმპერიული პოლიტიკით თავმომწონე ხელოვნებათმცოდნე მეცნიერთა მიერ. ვინ მოსთვლის გატაცებულ ქართულ ხელნაწერებს, რომელთა უდიდესი ნაწილი მოთავსებული იყო პეტერბურგის სააზიო მუზეუმში. საქართველოს მონასტრებიდან და ეკლესიებიდან წაღებული იქნა ტიხრული მინანქრით შემკული ოქრო-ვერცხლის ისტორიული ნივთების უდიდესი ნაწილი, რომელიც კი დაისაკუთრა რუსმა კოლექციონერმა მ. პ. ბოტკინმა.

რუსული იმპერიული ძარცვა სამი წლით შეაჩერა საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობამ 1918 წლიდან. მაგრამ რუსეთის ფედერაციამ 1921 წლის თებერვალ-მარტში სამხედრო ძალისმიერი მეთოდით განახორციელა დემოკრატიული საქართველოს სრული ანექსია და ქართული ისტორიული სიძველეები ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. არ იყო ცნობილი, თუ რას მოიმოქმედებდა რუსეთის ფედერაციული მთავრობა, ჯერ კიდევ ცარიზმის დროს საქართველოდან გატანილი და რუსეთში დაბინავებული ქართული ისტორიული სიძველეების მიმართ.

საქართველოს კუთვნილებაში არსებული სამუზეუმო და საეკლესიო ნივთები, რომლებიც ცარიზმის დროს გატანილი იყო მათი ისტორიული სამშობლოდან და როგორც ნაძარცვი ნივთები საიდუმლოდ ინახებოდა რუსეთის სიძველეთსაცავებში, XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის რეალობაში მოექცა.

რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ი. ლენინის წინადადებითა და ინიციატივით ცენტრალური აღმასრულებელი კომი-

ტეტის პრეზიდიუმმა 1922 წლის 20 ივნისს მიიღო №48(4) ისტორიული დადგენილება: ცარიზმის დროს საქართველოდან რუსეთში გატანილი ქართული სამუზეუმო ექსპონატები და საარქივო კოლექციები დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს-ქართველ ხალხს. რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისრის ა. ვ. ლუნაჩარსკის და მისი მოადგილის მ. ნ. პოკროვსკის ხელმძღვანელობით და საქართველოდან წარგზავნილი სამთავრობო დელეგაციის მონაწილეობით დაისახა ზემოხსენებული დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების გეგმა.

ამ დადგენილების რეალიზაციის მიზნით შეიქმნა საგანგებო კომისია, სადაც საქართველოს მხრიდან შედოდნენ: დ. ა. ჯგუშია, ნ. ი. ჟორდანია, კ. ს. კეკელიძე, ა. გ. შანიძე, პ. ი. ინგოროყვა, ს. ნ. კაკაბაძე და შ. ი. ამირანაშვილი; ხოლო რუსეთის მხარეს წარმოადგენდნენ: ს. ტ. ოლდენბურგი, ვ. ვ. ბარტოლდი და ი. ნ. მარი (ნ. ი. მარის ვაჟიშვილი). საგანგებო კომისიამ 1922 წლის 29 აგვისტოს გადაწყვიტა: «ყველა ქართული წარმოშობის რეგალიები და სიძველენი, რომლებიც დაცულია რუსეთის ფედერაციის მუზეუმებსა და საცავებში, მათი ქართული წარმოშობის დასაბუთების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკას (ოქმი №57, §12)».

აღნიშნულმა კომისიამ ექსპერტად მოწვეულ შ. ამირანაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით შეადგინა ზუსტი სია საქართველოში გამოსაგზავნი იმ ისტორიული ნივთებისა, რომლებიც ცარიზმის დროს გატაცებული იყო საქართველოდან და ინახებოდა რუსეთის სიძველეთსაცავებში.

შალვა ამირანაშვილი წერს:

«მოსკოვში მუშაობის დროს, განსაკუთრებით მაინტერესებდა მ. პ. ბოტკინის კოლექციის ბედი, რომელშიც დაცული იყო ქართული მინანქრების ბრწყინვალე ნიმუშები, რომელთა დიდი ნაწილი მიტაცებული იყო საქართველოს საგანძურიდან: გელათიდან, მარტვილიდან და ჯუმათიდან».

გამოკითხვების შედეგად, შალვა ამირანაშილისთვის ზუსტად იქნა გარკვეული, რომ საბჭოთა რუსეთს ნაციონალიზაცია ჩაეტარებინა მ. პ. ბოტკინის კოლექციისათვის, რომელიც იმხანად ფარულად ინახებოდა ძვირფას ნივთთა სახელმწიფო საგანძურში. «მე დაუყონებლივ მივმართე ძვირფას ნივთთა სახელმწიფო საგანძურის დირექტორს, წერს შ. ამირანაშვილი, რომელმაც მაცნობა, რომ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შეუძლია მას მოგვცეს გარკვეული პასუხი, ინახება თუ არა მათ საგანძურში მ. პ. ბოტკინის კოლექცია».

არამც თუ წამოსაღებად, არამედ სანახავადაც არ უშვებდნენ შალვა ამირანაშვილს საგანძურის სახელმწიფო საცავში, სადაც მოთავსებული იყო მ. პ. ბოტკინის ექსპროპრიაცირებული კოლექცია, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც წარმოადგენდა საქართველოდან გატანილი ქართული საგანძური. ამ საკითხის დარეგულირებისათვის თავისებურად ყოყმა-

ნობდა რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისარი ა. ვ. ლუნაჩარსკიც.

საქმის შემდგომი მსვლელობისათვის საჭირო გახდა შ. ამირანაშვილს ხელთ ჰქონოდა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 20 ივნისის №48(4) დადგენილების რამდენიმე შემოწმებული ასლი.

ამის შესახებ შ. ამირანაშვილი წერს:

«1923 წლის 12 აპრილს, თხოვნით მივმართე რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სამდივნოს, მოეცათ ჩვენთვის რამდენიმე შემოწმებული ცალი მთავრობის დადგენილებისა, საქართველოსათვის საარქივო მასალების და სამუზეუმო კოლექციების გადმოცემის შესახებ».

შ. ამირანაშვილი ჩემთან საუბარში იხსენებდა:

«როცა დადგენილების დამოწმებული ასლები მივიღე და გამოვედი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოდან, სრულიად შემთხვევით შევხვდი ი. სტალინს, ა. ენუქიძეს და ა. სვანიძეს. სამივეს მოკრძალებით მივესალმე და შევჩერდი მათ წინ».

«მე კარგად ვიცნობდი ბატონ ალიოშა სვანიძეს, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა მქონდა თბილისში, ჩემი სტუდენტობის დროს. იგი მაშინ საქართველოს მუზეუმში მუშაობდა ბიბლიოთეკის გამგედ. იმჟამად, მოსკოვში მყოფ ა. სვანიძეს დავალებული ჰქონდა თვალი ედევნებინა ქართული სიძველეების ჩაბარება-მიღების საქმისათვის. იგი დაინტერესდა «ცაკ»-ში (ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში) ჩემი ყოფნის მიზეზით».

«მე მოკლედ მოვახსენე მას საქმის ვითარება და ავუხსენი შექმნილი მდგომარეობაც, რომ არ მიშვებდნენ რუსეთის სიძველეთა საგანძურში, სადაც ინახებოდა კოლექციონერ მ. პ. ბოტკინის ექსპროპრიაცირებული სამუზეუმო სიძველეები და მათ შირის ქართული საეკლესიო ძვირფასი ნივთები გელათიდან, მარტვილიდან, ჯუმათიდან, რომლებიც რუსეთის ფედერაციის დადგენილების საფუძველზე უნდა გამოგვეტანა და მოგვემზადებინა საქართველოში წასაღებად».

ამ ახსნა-განმარტების მოსმენისთანავე ა. სვანიძემ დაუყოვნებლივ მიმართა ქართულად ი. სტალინს:

— ამხანაგო სოსო, ეს ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილია. იგი თბილისიდანაა აქ მივლინებით, ქართული განძეულობის საქართველოში წაღების მიზნით. მას თქვენი დახმარება ჭირდება.

ი. სტალინმა იმწამსვე ჯიქურ შემომხედა და ერთხანს დაჟინებით მიყურა, — გაიხსენა შ. ამირანაშვილმა, მერე კიტელის გარეთა გულჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და გადაშალა იქ, სადაც მას მოთავსებული ჰქონდა საგულდაგულოდ გათლილი ფანქარი. ჩაწერა თავისი ტელეფონის ნომერი, ხელის სწრაფი მოძრაობით ბლოკნოტიდან ამოხია ჩანაწერიანი ფურცელი, გადმომაწოდა და მითხრა: «ხვალ, დილის თერთმეტ საათზე დამირეკეთ და მაცნობეთ საქმის ვითარება».

ჩვენ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

ამ ისტორიული შეხვედრის შესახებ შ. ამირანაშვილი წერს:

«ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთელი ღამე არ მეძინა. დილით ადრე გამოვცხადდი სახელმწიფო საგანძურში. დირექტორმა დამინახა თუ არა გადაჭრით მითხრა:

— ყმაწვილო, გირჩევთ ნუ კარგავთ დროს, ვიმეორებ, რაც უკვე გითხარით: მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გაირკვევა ის საკითხი, რაც თქვენ ასე ძლიერ გაინტერესებთ.

მე თხოვნით მივმართე დირექტორს, ნება მოეცა მისი ტელეფონით მესარგებლა. და როცა ნებართვა მივიღე, უშუალოდ დაველაპარაკე ი. სტალინს, რომელსაც ქართულად ვაცნობე საქმის ვითარება. მან მაშინვე მიპასუხა ქართულადვე: «დაიცადეთ, პასუხს მიიღებთ».

შ. ამირანაშვილის მონაყოლიდან:

«რუსეთის სიძველეთსაცავის მისაღებში აწკრიალდა სამთავრობო წითელი ფერის ტელეფონი. დირექტორმა, სანამ ყურმილს აიღებდა, ალმაცერად გადმომხედა. გაისმა მისი ხმა: «გისმენთ!» და სწრაფად ფეხზე წამოდგა. როცა წელში გასწორდა, ყურმილიანი ხელი აუკანკალდა. შემდეგ მთელ მის სხეულს ძაგძაგიც მოედო. მისი აცახცახებული ხმიდან კანტიკუნტად გამოკრთოდნენ სიტყვები: «დიახ», «დაუყონებლივ», «აუცილებლად», «ყოველ მიზეზ გარეშე». ცოტა ხანში მისი ტელეფონის ყურმილში წყვეტილი ზუმერის ხმა გაისმა. დირექტორმა ძლივს მოათავსა ყურმილი ტელეფონზე. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე ოფლი შეიმშრალა. გადმომხედა. მე კი საქალაქო ტელეფონით ჩვენ მშობლიურ ენაზე მადლობას ვუხდიდი ი. სტალინს».

შ. ამირანაშვილი წერს:

«სახელმწიფო საგანძურის დირექტორმა, სამთავრობო ტელეფონით საუბრის დამთავრებისთანავე სასწრაფო განკარგულება გასცა, რომ მაშინვე ეჩვენებინათ ჩემთვის მ. პ. ბოტკინის კოლექცია».

შ. ამირანაშვილის მონაყოლიდან:

«სიძველეთსაცავის მუშაკებმა მიმიპატიჟეს მეზობელ ოთახში. ჩამაცვეს მთლიანი კომბინიზონი, რომელსაც შესაკრავი დატანებული ჰქონდა ზურგის მხრიდან. სახელოებზე მანჟეტები შემომიჭირეს. კომბინიზონის ტოტებზეც ფეხის კოჭთან თასმები ჩააფსკვნეს. ზურგის მხრიდან დატანებული ღილები შეკრეს და წელზე ქამრისებური თოკი შემომარტყეს. ასეთნაირად გაკოჭილი, და ცოტა ხნით დახურულ დერეფანში ტარების შემდეგ, შეაღეს უშველებელი ფართის ოთახის კარები და თანგამყოლებმა გადამცეს იქ მომსახურე პერსონალს.

ძვირფას ნივთთა საცავში ყოველდღიურად ორი საათით ყოფნის უფლება დამრთეს, სულ სამი დღის განმავლობაში. ასეთი ვარჯიშები ჩემ მიმართ იმით მთავრდებოდა, რომ კომბინიზონის გახდის შემდეგ მათვალიერებდნენ და ფეხსაცმელებსაც მისინჯავდნენ. ჩემი მოთხოვნილებისამებრ მეორე დღისთვის თაბახის რამდენიმე ფურცლის (რომელსაც ითვლიდნენ) და ორი ფანქრის შეტანის უფლება დამრთეს. სულ სამი

დღის მუშაობა დამჭირდა, რომ მთლიანად აღმეწერა საქართველოდან გატანილი და მ. პ. ბოტკინის კოლექციაში მოხვედრილი, საგანძურად ფასეული ყოველი ქართული ნივთი.

შ. ამირანაშვილი წერს:

«საბედნიეროდ, ქართული მინანქრების კოლექცია მთლიანად აღმოჩნდა. შევადგინე მათი სია და მიღება-ჩაბარების აქტი. კოლექციაში აღმოჩნდა გელათიდან წაღებული ღვთისმშობლის ხატი მინანქრისა, რომელიც ერთ დროს ამშვენებდა ხახულის კარედი ხატის ცენტრალურ ნაწილს; იქ იყო აგრეთვე ჯუმათისა და შემოქმედის ეკლესიებიდან გატაცებული ხატები, ჯვრები და კიდევ სხვა განძეულობა. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ეს განძეულობაც საქართველოში ჩამოვიტანეთ და ამჟამად ქართული მინანქრების ეს ძვირფასი კოლექცია, სხვა ეროვნულ საისტორიო ნივთებთან ერთად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული».

რუსეთის სიძველეთსაცავებიდან ქართული საეკლესიო ნივთების გამოტანასა და საქართველოსათვის გადმოცემას სხვადასხვაგვარი გაუთვალისწინებელი დაბრკოლებებიც ეღობებოდა, რაც აუცილებელ გადალახვას საჭიროებდა. ასეთი ხასიათის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა რუსი არქეოლოგის პრასკოვია სერგეევნა უვაროვას მიერ საფარას წმიდა მარიამის მიძინების ეკლესიიდან გატაცებული მოჩუქურთმებული და რელიეფური ქანდაკებებით შემკული კანკელის ფილები, რომლებიც საქართველოდან გატანის დროიდან ინახებოდა მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო არქივში.

შ. ამირანაშვილის დასკვნით, «საფარის კანკელის რელიეფური კომპოზიციები შესრულებულია XI საუკუნის პირველ ნახევარში და მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობით, ოსტატობის მაღალი დონით წარმოადგენს ქართული ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებს». განსხვავებული მოსაზრების იყვნენ რუსი მეცნიერები, რომელთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ცნობილი ისტორიკოსი და ნუმიზმატიკოსი ა. ვ. ორეშნიკოვი. საფარის ეკლესიის კანკელზე აღბეჭდილი მხატვრული კომპოზიციის სტილისტიკა, ასევე შესრულების ტექნიკა და დეტალების გამოსახვა მან მიიჩნია ბიზანტიელი ოსტატის ნახელავად, რასაც მხარი აუბეს ხელოვნებათმცოდნეობის რუსული სკოლის წარმომადგენლებმა. ა. ვ. ორეშნიკოვის აზრით, საფარის ეკლესიის კანკელი წარმოადგენდა ბიზანტიური ხელოვნების ნაწარმოებს და ამის საფუძველზე, არ უნდა გატანილიყო მოსკოვიდან, და ისიც საქართველოში ჩასატანად. ამდენად, საფარის ეკლესიის ისტორიულ კუთვნილებაში არსებული და ქართველი ოსტატის მიერ ხელნაკეთი კანკელი, რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისარიატის 1922 წლის 29 აგვისტოს განკარგულების საფუძველზე რჩებოდა რუსეთის სიძველეთსაცავში, როგორც არაქართული წარმოშობის ნივთიერი კულტურის ძეგლი.

რუს მეცნიერთა მოსაზრების წინააღმდეგ გამოვიდა ახალგაზრდა ქართველი ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი. შ. ამირანაშვილის მეცნიერული დონის წარმოდგენისა და შეფასებისათვის საჭიროა გავიხსენოთ: ამ დარგის სპეციალისტად იგი მოამზადეს ისეთმა დიდმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ისტორიის მეცნიერებათა კლასიკოსი ივანე ჯავახიშვილი; ქართული კულტურის ძეგლთა და არქეოლოგიურ მასალათა, საერო და სასულიერო მატერიალურ სიძველეთა და ქართულ ხელნაწრეთა მეცნიერული კვლევის დარგის გამოჩენილი სპეციალისტი ექვთიმე თაყაიშვილი; ქართული ენათმეცნიერების მეთაველები გიორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე; ქართული ხელოვნების ისტორიისა და საეკლესიო არქიტექტურის უბადლო მკვლევარი გიორგი ჩუბინაშვილი. ამ გამოჩენილ მეცნიერთა მიერ აღზრდილმა შალვა ამირანაშვილმა ამაგი დაუფასა დიდებულ მასწავლებლებს. იმჯერად, 1923 წელს დიდი ამოცანის გადაწყვეტის წინაშე მარტოდმარტო აღმოჩნდა შალვა ამირანაშვილი, მაგრამ როგორც ზემოხსენებულ მეცნიერთა მიერ მომზადებულმა მაღალკვალიფიკაციურმა მეცნიერმა ისტორიული პაექრობა საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვიტა.

კერძოდ, საფარის ეკლესიის კანკელის სადაურობის (ბიზანტიურია თუ ქართული) საკითხის დასადგენად, რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისრის ა. ვ. ლუნაჩარსკის გადაწყვეტილებით დაინიშნა დისპუტი, რომელსაც უხელმძღვანელა განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ მ. პ. პოკროვსკიმ.

შ. ამირანაშვილის მოგონებიდან:

«სამეცნიერო კამათის დაწყებამდე, სადისპუტო დარბაზის შესასვლელთან ვიდექი და იქვე, სტენდზე გამოფენილ ახალ წიგნებს ვათვალიერებდი. ჩემგან შორიახლოს, ხანში შესული ორი რუსი მეცნიერი შეჩერდა, რომლებიც ერთმანეთს დიდი აღფრთოვანებით და თანაც გაცხარებით ესაუბრებოდნენ. მათ მიერ გამოთქმული ყოველი ფრაზა სიტყვა-სიტყვით მესმოდა, რამაც ძალაუნებურად მიიპყრო ჩემი ყურადღება».

რამდენჯერაც არ უნდა მოეყოლებინა მამას ეს ამბავი, იმდენჯერ ვეკითხებოდი, ეთქვა ჩემთვის იმ ორი მეცნიერის სახელი და გვარი, რომელთა საუბარსაც გარკვევით ისმენდა თვითონ. მაგრამ იგი ყოველთვის უარზე იყო და თავს იმით იმართლებდა, რომ ამას, და ბევრ ყველაფერს, დავწერ ზუსტად ისე, როგორც სინამდვილეში იყო. მაგრამ... მისთვის მოულოდნელად შეწყდა მისი სიცოცხლე.

შალვა ამირანაშვილის მონაყოლიდან:

— თქვენ დაესწრებით პაექრობას? მიმართა პირველმა მეცნიერმა მეორეს.

— მოგცლია ერთი! რასაკვირველია არა. ტყუილ-უბრალოდ რატომ უნდა დავკარგო ჩემთვის ძვირფასი დრო, უპასუხა მეორემ.

— მე კი გადავწყვიტე დისპუტს დავესწრო. მაინტერესებს როგორ წარიმართება მსჯელობა ქართველ და რუს მეცნიერთა შორის, დაჯერებით წარმოთქვა პირველმა.

— არ გირჩევ, მეგობარო. რა უნდა იყოს საინტერესო, ან თუნდაც მიმზიდველი, და ისიც საქართველოდან! ჯიუტობდა მეორე და გასაქცევად ეჭირა თვალი.

— საქმე ისაა, რომ პაექრობაში მონაწილეობას იღებს ტფილისიდან ჩამოსული ჩვენთვის უცნობი ხელოვნებათმცოდნე. რუსეთის ფედერაციის სამთავრობო გადაწყვეტილების საფუძველზე, ეს ახალგაზრდა მეცნიერი სრული უფლებით არის აღჭურვილი, რომ რუსეთიდან საქართველოში გაიტანოს ქართული წარმოშობის საეკლესიო განძეულობა. ტფილისიდან მოვლინებული მკვლევარი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებს ეძებს რუსეთის სიძველეთსაცავებში, რაც ერთობ, არც კი უნდა ეძებოს აქ. ამჯერად მან თვალი დაადგა ბიზანტიური ხელოვნების უნიკალურ ქმნილებას, საფარას ეკლესიის კანკელს, რომელიც ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ხელოვნების უნიკალური ნიმუშია. ეს საეკლესიო განძი, როგორც რუსეთის იმპერიის საკუთრება მემკვიდრეობით გადაეცა რუსეთის ფედერაციას. ამიტომ იგი რუსეთში უნდა დარჩეს. ქართველი ხელოვნებათმცოდნე კი ამტკიცებს, რომ საფარას ეკლესიის კანკელი ქართველი ოქრომჭედელი ოსტატის მიერ არის შექმნილი.

წასასვლელად გამზადებულმა მეცნიერმა, საუბარი შეაწყვეტინა პაექრობაზე დარჩენის სურვილით შეპყრობილ მეცნიერს, და მოულოდნელად სიტყვა ჩამოართვა მას:

— კამათი ხომ არ უნდა წარიმართოს იმ ბიზანტიური კანკელის შესახებ, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, სოფელ საფარადან მოსკოვში ჩაიტანა ცნობილმა რუსმა არქეოლოგმა გრაფინია პრასკოვია სერგეევნა უვაროვამ (1840-1924), ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს?

— სწორედ, რომ პ. ს. უვაროვას მიერ ჩამოტანილ კანკელს უმიზნებს ტფილისელი ხელოვნებათმცოდნე, კვერს უკრავს პაექრობით დაინტერესებული მეცნიერი და თავისებურად ასკვნის: კანკელი ბიზანტიურია და იგი რუსეთში უნდა დარჩეს, როგორც არაქართული ექსპონატი. ამას ისტორიული რეალობაც ადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოს მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან და ოქროვერცხლზე მომუშავე ხელოსნებიც ძირითადათ ბერძნები იყვნენ. ბიზანტიელი ბერძნები მათი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით ამკობდნენ ქართულ ეკლესიათა შიდამოწყობილობებსა და ნივთიერი კულტურის ნაწარმს. წყალი არ გაუვა, რომ საფარას ეკლესიის კანკელთანაც ასეთი ვითარების შედეგით გამოწვეულ ხელოვნებასთან გვაქვს საქმე.

— ყველაფერი ნათელია! დაასკვნა წამსვლელმა მეცნიერმა და დაუმატა: წავიდეთ სახლებში!

— არა, მე მაინც დავრჩები! მოვუსმენ ტფილისელი ქართველის უსაფუძვლო მტკიცებას, ბიზანტიურ ნიმუშს თუ როგორ წარმოაჩენს ქართულად!

— კარგი, რა გაეწყობა, თუ მართლაც გინდა, დარჩი დისპუტზე, ბოლოს და ბოლოს დაეთანხმა გასასვლელისკენ მომართული მეცნიერი და ერთობ დაინტერესდა:

— ეს მაინც მითხარი, რა გვარისაა უცნობი ხელოვნებათმცოდნე?

— გვარი მეტად გრძელი აქვს, ისე რომ ვერც კი დავიმახსოვრე, წააწია პასუხი წამსვლელ მეგობარს და დაუმატა: ხოლო მას, რაღაც «ხალვა»-ს მსგავსი სახელი აქვს, უპასუხა პაექრობის მოსმენით დაინტერესებულმა მეცნიერმა, გამოემშვიდობა წამსვლელ მეგობარს და შევიდა სხდომათა დარბაზში.

შ. ამირანაშვილი წერს:

«დისპუტის მონაწილეთა ყურადღება მივაქციე ერთ მეტად დამახასიათებელ გარემოებას: კერძოდ, საფარის კანკელის ერთ ფილას, რომელზედაც გამოსახულია მეტად რთული კომპოზიცია — ღვთისმშობლის დაბადება. ღვთისმშობლის დედა ხის მოჩუქურთმებულ სარეცელზე წევს, რაც სავსებით უცნობია ბიზანტიური, ძველსლავური და დასავლეთ ევროპის ხელოვნებისათვის, ხოლო გვხვდება ქართულ ხელოვნებაში. სადავო საკითხი საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდა».

რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისარიატის 1923 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე საფარის, წებელდისა და ბედიის ეკლესიათა ქართული ძვირფასეულობანი, სხვა ზემოხსენებულ ისტორიულ ნივთებთან ერთად, გადაეცა საქართველოს. მისი მოპოვებისა და თბილისში ჩამოტანის საქმეში დაუფასებელი როლი შეასრულა შალვა ამირანაშვილმა.

IV

1). პეტროგრადის ტრამვაიში

შ. ამირანაშვილის ნაამბობის გახსენება:

1923 წელს, როდესაც მივლინებული ვიყავი პეტროგრადში (შემდეგდროინდელ ლენინგრადი) ქართული სამუზეუმო განძის საქართველოში წამოსაღებად. რატომღაც ყოველ დილით სამუშაოზე დროზე მისვლას ვაგვიანებდი. ერთხელაც, ერთ-ერთ მაღაზიაში შევიძინე ნიკოლოზისდროინდელი მაღვიძარა საათი «ბუდილნიკი», რომელიც ქათინაურებით ლაპარაკს დაჩვეულმა ნოქარმა მომიმართა, ამიწყო, კოლოფში კოხტად მომითავსა, ლენტით გარდი-გარდმო ლამაზად შეკრა და ბანტშეფსკვნილი გამომატანა. კულტურული მომსახურეობით კმაყოფილი, ჩავჯექი ტრამვაიში, რომელიც ოც წუთში ნაქირავებ ბინასთან ახლოს ჩერდებოდა. დაღლილი და ოდნავ მთვლემარე რუსი მგზავრები თავთავიანთ ოცნებებით იყვნენ გართულნი. ჩემს ჩამოსვლამდე ჯერ კიდევ ათი წუთის მგზავრობის დრო მრჩებოდა, როცა მოულოდნელად ჩემმა მაღვიძარა საათმა ჩართო მომეტებულად ხმამაღალი ზარი. ტრამვაის

ვაგონში თითქმის ჩაყვინთულმა მგზავრებმა ერთიანად ჩემკენ გამოიხედეს. თვალებში შევრჩი შეცბუნებული ქართველი, რომელიც კოლოფის გახსნას ვცდილობდი და ამღერებული საათის ჩაჩუმებას. ახმაურებულმა საათმა თავისი ბოლომდე გაიტანა. უცნაურ ხმაზე გამოფხიზლებულ დაღლილებს, ყველას ერთიანად გაეღიმა, ზოგიერთებსაც სიცილი წასკდათ და «კაცო, კაცო»-ს ძახილით ჩემკენ იცქირებოდნენ. ყველას სიამოვნებდა ქართველად შეცნობილი პიროვნების რუსული ყაიდით «გაშაყირება».

2). გზად საქართველოსკენ

რუსეთის ფედერაციის სიძველეთსაცავებიდან და მუზეუმებიდან წამოღებული იყო ცარიზმის დროს რუსეთში გატანილი ქართული კულტურის ნივთები, ისტორიული ხელნაწერები და სხვადასხვა დოკუმენტური მასალა. ქართული საგანძურით მთლიანად დაიტვირთა საბარგო ვაგონი, რომელიც შეაბეს სამხრეთისკენ მიმავალ სატვირთო მატარებელს. ვაგონის ტამბურზე იდგა წითელარმიელის ფარაჯაში გამოწყობილი ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი, რომელიც უვაზნო შაშხანით ხელში საგანძურის ხელშეუხებლობას იცავდა. რომ არავინ მიახლოებოდა ვაგონს, მას ორივე მხრიდან დიდი რუსული ასოებით ეწერა: «არ მიუახლოვდეთ, ვაგონში ტიფით ავადმყოფებია!!!». მოსკოვიდან წამოსული სატვირთო მატარებელი, ბაქოზე გავლით, ორი კვირის შემდეგ შემოვიდა თბილისის რკინიგზის სადგურში.

ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებისთანავე, 1923 წელსვე, შალვა ამირანაშვილმა წერილი გაუგზავნა საფრანგეთში მყოფ თავის მასწავლებელ ექვთიმე თაყაიშვილს და აცნობა რუსეთიდან ქართული განძეულობის საქართველოში დაბრუნების დასრულების შესახებ. საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის გამოჩენილმა მკვლევარმა ექვთიმე თაყაიშვილმა საპასუხო წერილით დამატებით შეატყობინა (წერილი დაცული იყო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივში, ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) შალვა ამირანაშვილს, საბჭოთა კავშირის მასშტაბით თუ კიდევ სად ინახებოდა ცარიზმის დროს საქართველოდან გატანილი ქართული სიძველეები. ამავე წერილით ექვთიმე თაყაიშვილმა ასევე აუწყა თავის მოწაფეს, რომ საქართველოდან 1921 წელს საფრანგეთში გატანილი «ქართული განძეულობა კარგად არის შენახული და იმედოვნებს, რომ მალე ქართველ ხალხს დაუბრუნდება».

3). დავითგარეჯის ფრესკების ფოტოგრაფირება

მამის მონაყოლიდან:

«20-იანი წლების მეორე ნახევარში დავითგარეჯაში ვმუშაობდი ფრესკების გადასაღებად. ერთ დღეს მუშაობის პროცესში, ჩემს შეუმჩნევლად

იმდენად მოსაღამოვდა, რომ ფოტოგრაფირება დროითი ხანგრძლიობის მომეტებულ რეჟიმს მოითხოვდა. ბოლო ფოტო მქონდა გადასაღები. აპარატურა მოვამზადე, კლდეში შეჭრილი ეკლესიის გვერდითი ნავის კედელს მიკრული ფრესკა ფოტოაპარატის ფოკუსში დავაფიქსირე, ობიექტივი ჩავკეტე და კასეტა გავაღე ანუ თავსახური ფირი ბოლომდე ამოვწიე. ეკლესიის იატაკად გაწყობილ ქვაფენილზე გავწექი და ობიექტივის ჩამკეტ-გამღები მცირე ტროსის მოძრავი ღილაკი ხელში მოვიმარჯვე. ამ დროს კიდევ უფრო მეტად ჩამობნელდა, ისე რომ ფოტოგრაფირების პროცესს ჩვეულებრივზე მეტი დრო ჭირდებოდა. ობიექტივის გამღებ ღილაკს ცერა თითი დავაჭირე თუ არა, ჩემგან იქვე ახლოს, გამოსრიალდა უხსენებელი და თავის აწევისთანავე გაირინდა. მე თვალი შევავლე არასასურველ მასპინძელს და გავშეშდი იმდენად, რომ თითქმის აღარც ვსუნთქავდი (როგორც ზღვისპირა ქალაქის მაცხოვრებელი კარგად ვცურავდი და დიდი ხნითაც ყვინთვა შემეძლო). ასეთ მდგომარეობაში ორი თუ სამი წუთი ვიყავით ერთმანეთის პირისპირ გაუნძრევლად. უხსენებელი ალბათ დარწმუნდა, რომ თავს არ ვესხმოდი და დაწყებული გზა განაგრძო. ცივი ოფლი იმდენად მომდებოდა, რომ გასაწური ვიყავი. ამ აუტანელ მომენტში აპარატი თავის საქმეს აკეთებდა: ითვისებდა და კასეტის ფირზე აფიქსირებდა საუკუნეებგამოვლილ თვალწარმტაც ფრესკას. როგორც იქნა ცერა თითის მოძრაობით ობიექტივი ჩავკეტე და ხელის ნელი მოძრაობით კასეტა დავხურე. სასწრაფოდ ავბარგდი და საჩქაროდ დავადექი დამრეცი მთის გვერდულს გაყოლილ საცალფეხო ბილიკს, რომელიც მთავარ ბანაკამდე გამიძღვა».

4). შალვას ძმა დავითი

ნათესავთაგან არავის უთქვამს ჩემთვის, თუ საიდან გაიგო ჩვენი მისამართი ჩვენთვის უცნობმა ვიღაც ლენინგრადელმა ქალმა, რომლისგან შალვას ძმამ დავითმა პირველი სასიყვარულო წერილი მიიღო. ახალგაზრდული პერიოდის ვნებით და უცნაური გატაცებით შეპყრობილმა დავითმა არ დააყოვნა სასიყვარულო პასუხის გაგზავნა. პერსპექტივაში ორივესთვის ბედნიერების მომტანი სიყვარულით გაჟღენთილმა ბარათებმა ლენინგრადსა და თბილისს შორის დაიწყეს გადარბენ-გადმორბენა. ცოტა ხანში ისე გახშირდა მათ მიერ აგზნებულად ნაწერი სიყვარული, რომ შემთხზველებს, უერთმანეთოდ ვერც კი წარმოედგინათ მომავალი ცხოვრება. ფრთაშესხმულ წერილებში მალე ერთმანეთის მოსიყვარულეების ფოტოებიც მოხვდნენ და თავს ინუგეშებდნენ იმით, რომ ბოლოს და ბოლოს ცხადშიც უთუოდ ნახავდნენ სასურველ ერთმანეთს. ჩრდილოეთელი ქალის ხალასი სიყვარულით იმდენად მძლავრად განიმსჭვალა ტემპერამენტიანი სამხრეთელი ბიძაჩემი დავითი, რომ მალე ამ საქმეს სერიოზული ელფერიც მოეცხო. როგორც იტყვიან, ერთ მშვენიერ დღეს, ყველასათვის შეუმჩნევლად, ბიძაჩემმა დავითმა დაჰკრა ფეხი და გავარდა ლენინგრადში ქალის ჩა-

მოსაყვანად. წინასწარ წერილობით დათქვეს, რომ ამა და ამ დღეს შეხვდებოდნენ ერთმანეთს სადგურის ბაქანზე და აღარასოდეს დაშორდებოდნენ მთელი მათი შეგნებული სიცოცხლის თუ ცხოვრების მანძილზე.

სიყვარულით დამტკბარ ბედნიერებასთან შესახვედრად თბილისიდან დაძრულმა მატარებელმა, რომელიც თითქმის საუკუნის ხანგრძლიობით მიჰქროდა დავითისთვის, ლენინგრადის სადგურში დაასრულა მოძრაობა. მატარებლიდან გადმოსული დაღლილი მგზავრები სხვადასხვა მიმართულებით მიმოიფანტნენ. კიდევ ცოტა ხანიც და ბაქანი, სადაც პაემანი ჰქონდათ დანიშნული უსაზღვროდ შეყვარებულებს, ისე დაცარიელდა, რომ კანტი-კუნტად მოძრავ ზოზინა მგზავრებთან ერთად იქაურობა სიცარიელით შეივსო. დავითმა ერთიანად მიმოიხედა ირგვლივ, საითაც თვალი მიუწვდებოდა და შეამჩნია, რომ ქალის ნასახი არ ჩანდა არსად. ამდენი სასიყვარულო დავიდარაბის ამტან დავითს გულს შემოეყარა, ნუთუ წერილობით აზვირთებული ბედ-იღბალი უკვალოდ ნევის წყალში უნდა გადაეყარა. მხოლოდ ლანდივით ჩანდა, რომ ყოველ არსებათაგან დაცარიელებულ ბაქანზე, თითქოს ყველასგან მიტოვებული მოხუცი ქალი ძლივს იდგა ფეხზე. აღელვებული მამაკაცის დანახვაზე ქალი ერთ წამს წაბარბაცდა კიდეც. თითქმის მის სიახლოვეს მდგარმა დავითმა, სხარტი მოძრაობით ხელი შეაშველა, რომ არ წაქცეულიყო ცხოვრებისეული წლების სიმძიმით დატვირთული ბებრუხანა. ერთი შეხედვით, დანაოჭებული სახის გამომეტყველებით აღქმული ქალი საკმაოდ ხანში შესული ჩანდა და იქვე მდგარ მოგრძო სკამზე ჩამოჯდომაში მიეშველა თავაზიანი ქართველი ახალგაზრდა.

— როგორც გატყობთ, თქვენ აქაური არ უნდა იყოთ, აკანკალებული ხმით და სუფთა არისტოკრატიული გამოთქმით მიმართა მოხუცმა ქალმა უცნობს.

ამ სიტყვებზე დავითმა მარჯვნივ და მარცხნივ გაიქნია თავი. ახალგაზრდის უარისთანავე, ძლივს ამოღერღა უცნობმა ორიოდ სიტყვა:

— მომიტევეთ, რომ გეკითხებით, საიდან ბრძანდებით?

— ეს წუთია თბილისიდან ჩამოვედი, აი იმ მატარებლით, ხელი გაიშვირა და ქალი გაახედა ქშინვისგან დამშვიდებული ორთქმავლისკენ, რომელსაც გადაბმულ ვაგონთა წყობა უმშვენებდა სიგრძეს. შემდეგ რატომღაც მოურიდებლივ განაგრძო: «აქ ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი უნდა დამხვედროდა, და, როგორც ჩანს, ნამდვილად იგვიანებს, რატომღაც ჯერ კიდევ არ ჩანს», გარკვევით და უცნობითვის გასაგები რუსულით აუხსნა მოხუც ქალს ქართველმა.

— თქვენ, დავიდ იასონიჩ ამირანაშვილი, ხომ არა ხართ? დადებითი პასუხის მოლოდინით შეეკითხა გამომცნაურებისმოყვარე ინტერესით შეპყრობილმა მოხუცმა ქალმა და ცოცხლად მოძრავი ცისფერი გუგებით მრავალმნიშვნელოვნად დააკვირდა თბილისიდან ახლად ჩამოსულ სტუმარს.

დავითი სახტად დარჩა და წამიერ გაოცდა, ვერ მოესაზრა თუ საიდან უნდა სცოდნოდა მისი სახელი და გვარი ამ სიცოცხლეგამოლეულ ინტელიგენტ ქალს. ალბათ, გულში დაასკვნა დავითმა, ჩემი შეყვარებულის ნათესავი, ან თუნდაც ბებია ხომ არ არის ეს უცხო ქალი, და რაღაც მიზეზის გამო მის მაგიერ ჩემთან შესახვედრად მობრძანდა. საპასუხოდ ხმა ვეღარ ამოიღო და განცვიფრებით დაუწყო ცქერა მისთვის სრულიად უცნობს, თითქმის არაამქვეყნიურ ადამიანს.

— დავიდ იასონიჩ, ამოღერღა უცნობმა, ის ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თქვენ უნდა შეხვედროდით, მე გახლავართ, მაინც სასოწარკვეთით წარმოთქვა და დაამატა: დიახ, თქვენთვის რა საკვირველიც არ უნდა იყოს, ის ქალი, თქვენგან რომ სასიყვარულო წერილებს იღებდა, მე ვარ! დასაჯერებელი წმინდა რუსილით მოახსენა დავითს, ჯერ კიდევ მისთვის უცნობმა ქალმა.

— როგორ თუ თქვენ? კითხვა დაუსვა გაოცებით და დაუმატა: თქვენ ალბათ მეხუმრებით! ღრანჭის მოქცევით ჩაუღიმა დავითმა. აი ფოტო იმ ქალის, რომელიც მიყვარს და ჩვენ ცოლ-ქმრობა შევფიცეთ ერთმანეთს, სწორედ რომ მის წასაყვანად ჩამოვედი ლენინგრადში. გულჯიბიდან ამოიღო ფოტო და საჩვენებლად გაუწოდა მისთვის უცხო მოხუც ქალს.

— ეს ფოტო მე გამოგიგზავნეთ თბილისში. ეს ფოტო სამოცი წლის წინათ გადამიღეს, მაშინ თვრამეტი წლის ვიყავი, ლამაზი, მიმზიდველი, სიცოცხლით სავსე, მიუკარებელი ქალიშვილი. შემომხედეთ დაკვირვებით, ხომ ხედავთ, ჩემთვის უბედურად განვლილმა წლებმა რას დამამსგავსეს! წარსულსა და ახლანდელ დროში საოცარი სხვაობაა და არავითარი მსგავსება! წარსულს გაყოლილი ბედნიერი წლები და ბედუკუღმართად დატრიალებული ახლანდელი დრო ერთ მთლიანობაში აისახა ჩემს ცხოვრებაში! რა განგებამ მიმაღწევინა ოთხმოც წელს, გაკვირვებული ვარ პირდაპირ! სიკვდილმა რატომ დამტოვა ამდენ ხანს და არც აპირებს ჩემკენ გამოსეირნებას.

— როგორ თუ თქვენი ფოტო გამომიგზავნეთ! მიღებულ ფოტოზე სიცოცხლით სავსე, უდარდელი ცხოვრებით განებივრებული ქალიშვილის სახეა გამოსახული! თქვენთვის სათქმელად ადვილია, ხოლო ჩემთვის დასაჯერებლად ძალზე მეტად ძნელი, რასაც თქვენ მეუბნებით! ეს თქვენი ფოტო არ არის! თქვენ რაღაც იცით და ალბათ მიმალავთ რატომღაც იმ ადამიანს, ჩემს შეყვარებულს, რომელსაც უნდა შევხვედროდი! არ ცხრებოდა დავითი.

— ეს დაუჯერებელია, რასაც ამბობთ თქვენ, პატივცემულო ქალბატონო! კატეგორიული ტონით და მკაცრადაც მიმართა დავითმა თავგზააბნეულად მოლაპარაკე მოხუც ქალს.

— აქ არავითარ შეცდომას არა აქვს ადგილი! ჩემო დავიდ იასონიჩ! უნდა დაიჯეროთ, რომ სასიყვარულო წერილებს მე გწერდით! ხოლო თქვენი პასუხები საგულდაგულოდ მაქვს შენახული, ერთი ერთზე დაწყობილი შენი გულახდილი წერილები; ვერ მოვისაზრებდი, თუ ჩემთვის ვი-

ღაც უცნობი ქართველი, ასეთი გაღვივებული სიყვარულით მეტრფოდა! ალბათ ეს, შენი დამსახურებაა პირადად! ჩემთვის მთავარი იყო ის, რომ ვიღაცას ვუყვარდი და ამით ვსულდგმულობდი ყოველწამიერ! მე, თითქმის ყოველდღიურად მრავალჯერად ვკითხულობდი შენს მიერ გამოგზავნილ წერილებს და აშკარად მსიამოვნებდა, რომ ჩემი ბებრული პიროვნება ასეთი ახალგაზრდული მისწრაფებით გიყვარდა. შენს წერილებში ღვიოდა ჩემი ბედიც და იღბალიც და ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ სიცოცხლით შევსებულ დღეებს განვიცდიდი მთელი ჩემი სასიყვარულო არსებით! მე გწერდი წერილებს და იმწამს ვცხოვრობდი მომეტებული ჟინით და ვნებით, რაც ჩემი ბებრული ცხოვრების არსებობის აუცილებლობაში მარწმუნებდა. შენ ბოლო სიყვარული იყავი ჩემთვის, და ყველაზე საუკეთესო, შენ ხომ თანაბრად და ერთნაირად სიტკბო და მწარე განმაცდევინე! რისკენაც ასე აღფრთოვანებით მივისწრაფოდი! შენ შემდეგ ჩემს სიცოცხლეს ფასი აღარ ექნება და ბედნიერად გარდავალ შეუცნობელ უცხო მხარეში, უსიყვარულო სამყაროში!

დავითი გაოგნებული უსმენდა და ხმას არ იღებდა.

— აი ყველა ის წერილი, ჩემო ძვირფასო დავიდ, რაც მიღებული მაქვს შენგან! თქვა და სიმპათიური მოძრაობით ჩემს სიყვარულად ათვისებულმა არსებამ ჩანთიდან ამოიღო საგულდაგულოდ შეკრული და ბაბთით გადაფსკვნილი დასტა ჩემი წერილებისა, დამანახა და ხელში ჩამიკუჭა სამუდამოდ. მე შევიცანი ჩემ მიერ გაგზავნილი წერილები და იმ დროს იქ რომ არ ვყოფილიყავი, ჯობდა მართლადაც.

— ეს ნამდვილად შენი წერილებია, ძვირფასო დავიდ, ნახეთ, რომ არ შემეშალა სხვისაში! ჩვენ ქალები ყოველთვის ქალები ვართ და ხანდახან გვიყვარს გასეირნება! ეს კარგად დაიმახსოვრე მომავლისათვის, ბედად მორგებულ წყვილთან ცხოვრებისას! დავით იასონის ძემ დახედა გამორთმეულ წერილებს და გულნატკენი მოძრაობით სად წაეღო, აღარ იცოდა.

— ეგ შენი წერილები უკვე აღარ მჭირდება! მან შეასრულა თავისი მოვალეობა და მთელი ორი წელი სიყვარულსა და ბედნიერებაში მამყოფა. ახლა კი, როგრც ვგრძნობ, ჩემი დღეები დათვლილია და სამარადისოდ ამითვისებს თითქოს ჩვენგან დამოუკიდებლივ არსებული გარე სამყარო!

სიმპათიურად გამომეტყველი და ლამაზი სახის ნაკვთებშერჩენილი მოხუცი ქალი ძლივს წამოდგა სადგურის მოასფალტებულ ბაქანზე ასფალტში ჩამჯდარი მოგრძო სკამიდან. მას აღარც კი შეუხედავს დავითისთვის და ისე, მიზანდაცლილი მოძრაობით გასასვლელისკენ დაიძრა. დავითმა თვალი გააყოლა სადგურიდან გასულ მოხუცი ქალის დამჭკნარ სილამაზეს, რომელიც მისი ახალგაზრდული სიყვარულით იყო პირამდე სავსე. სამუდამო წარსულს ზურგმიბჯენილმა, იქვე შეჩერებულ ტრამვაიში ძლივს აიტანა ტანი. ტრამვაი-სიყვარული დაიძრა, თანდათანობით ნამატი სიჩქარით რიხინ-რიხინით გაგორდა ლიანდაგებზე და ჯერ კიდევ გაუმქრალ დილის ნისლში სადღაც უკვალოდ გაუჩინარდა.

დავითის თვალსაწიერი მხოლოდ მისთვის წამიერად შეფენილ არარაობას წვდებოდა. ორი წლის პირველ სიყვარულში ცხოვრებაგავლილმა დავითმა სამხრეთისკენ მიმავალ მატარებელს დაუწყო ლოდინი.

5). ავთო ამირანაშვილის ნაამბობის გახსენება

თეატრალურ წარმოდგენად მახსენდება და თვალწინ მელანდება ავთო პავლეს-ძე ამირანაშვილის (მომღერალ პეტრე ამირანაშვილის ძმიშვილი) მონაყოლი:

«იყო 1936 წელი. მაშინ გერმანულ ენაში საშემოდგომო გამოცდა გამომყვა. ბევრ ჩვენ ნათესავებთან ერთად, იმ წელს ახალდაქორწინებული შალვა ამირანაშვილი და ნინო წერეთელი პირველად ერთად ეწვივნენ ჩხარს. შალვას ნამდვილად ეამაყებოდა მშვენიერი გარეგნობისა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით დაჯილდოებულ ნინო წერეთლისადმი სოფლური მასპინძლობა.

ავთომ მიამბო:

ჩემზე ცელქი ბავშვი, არმც თუ სოფელში, არამედ მთელ ქვემო იმერეთში მეორე ჩემნაირი არ მოიძებნებოდა. ამირანაშვილების რძალს, რომელმაც მშვენივრად იცოდა ფრანგული და გერმანული ენები, დაევალა ჩემი მეცადინეობა გერმანულში. მე, ჩემდათავად ვერიდებოდი ჩემს მასწავლებლად დანიშნულ ჩვენ რძალს, მაგრამ როგორც კი დამიჭერდა ანუ ხელში ჩამიგდებდა, იმწამსვე წიგნს გადამიშლიდა და ვიწყებდით მეცადინეობას. ასეთი რამ დღეში რამოდენიმეჯერ მეორდებოდა. გერმანულის სწავლით თავმობეზრებულს, ბავშვის ტვინს რომ შეეფერება ისეთი რამ მომაფიქრდა.

ორ ხეს შორის გავაბი ჰამაკი, მივიპატიჟე უცხო ენების მცოდნე ჩვენი რძალი ნინო, რომელიც კოხტად მოთავსდებოდა ხოლმე ჰამაკში, დახელთავებული ჰქონდა ჩემი გერმანული წიგნი, ხოლო მე ფრიადოსანი მოწაფესავით ან უფრო სწორად, როგორც დამნაშავე ვიდექი მის წინ. ვიდექი გაუნძრევლად და ვუცქერდი მასწავლებელს. მე თვითონაც არც კი მესმოდა, რომ რაღაცას ვლუღლუღებდი ჩემთვის გაუგებარ ენაზე. იმერულ სიცხეს და მუხის ტოტებზე შემომჯდარ ჭრიჭინებს თავისი გაჰქონდათ. მასწავლებელი ნინო ჰამაკს მიეჩვია, მე კი გერმანულს ვერ დავუდე გული. ხშირად მასწავლებელს ვატყობდი, რომ ქვემო იმერული სიცხისაგან თვალები ელულებოდა. მე კი მაშინვე ჰამაკს ოდნავ წავკრავდი ხელს და შემდეგ თანდათან მომეტებულად ვარწევდი. ჩვენ რძალს ისე ტკბილად ჩაეძინებოდა გერმანულ წიგნთან ერთად, რომ ძილში მგონი გერმანულ სიზმრებსაც ხედავდა. მე კი ამ დროს ჯერ ფეხაკრეფით, ხოლო შემდეგ თავქუდმოგლეჯილი სირბილით, გახარებული ვეშვებოდი მდინარეზე საბანაოდ. თითქმის ყოველდღე ასე, მასწავლებლის ძილით და მოწაფის ბანაობით გრძელდებოდა ჩემი გერმანულის გაკვეთილები.

საოცარია ბავშვობის პერიოდი, რომელსაც ვერასდროს ვერ დააბრუნებ აწმყოში. თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებთ, რომ წარუშლელი წარსული სამუდამოდ შთაბეჭდილია ადამიანის გონებაში.

V

1). რაც ბავშვური გონებით აღქმული შემორჩა მეხსიერებას

მამა მახსოვს 1939 წლის ზაფხულიდან. მაშინ ანაგის ქუჩის (ახლა შარტავას ქუჩა) თექვსმეტ ნომერში, ე. წ. «სპეციალისტების სახლში» ვცხოვრობდით, ბოლო სადარბაზოს ბოლო სართულზე, მარცხენა მხარეს.

მახსოვრობიდან ამოტივტივებულ მოგონებაში ჩამრჩა მამის დიდი კაბინეტი, რომლის სამ კედელზე მიდგმული იყო ჭერს მიბჯენილი წიგნებით სავსე უშუშო თაროები. მეოთხე კედლის როლს ასრულებდა შუშაბანდი, გარე მხრიდან მას მიტმასნული ღია აივნით. კაბინეტის შუაგულში იდგა ოთხკუთხედი ფორმის მოყავისფრო მაგიდა, რომელსაც ოთხივე მხრიდან მიდგმული ჰქონდა სავარძლები. ყოველი მხრიდან მაგიდაზე შემოწყობილი იყო დასაწერად გამზადებული თეთრი ფურცლები, თავის მხრივ შემორაზული გადაშლილი წიგნებით. ეს იმიტომ, რომ (რაც მერე შევიტყვე), მამა თითქმის ერთდროულად ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოს, ხან ერთი მხრიდან შემოუჯდებოდა მაგიდას და ხან სხვა მხრიდან, როგორც იმ მომენტში ესაჭიროებოდა საქმეს.

მამის შინ ყოფნის დროს კაბინეტს საერთოდ არც კი ვეკარებოდით, ოჯახის არც ერთი წევრი. მაგრამ, როცა მამა სახლში არ იყო, მხოლოდ კაბინეტში გვსიამოვნებდა თამაში მე და ჩემს უმცროს ძმას. ახლაც დავიწყებული არ მაქვს და შორეული მახსოვრობიდან ამომენთებიან ფერებით აჭრელებული სხვადასხვა ზომის კუბიკები: დიდი თუ პატარა, მოგრძო თუ ფართო და მათგან მოზღვავებული სიამოვნება მიღვივის ახლაც. იატაკზე ვაშენებდით სახლებს და ხიდებს, გაგვყავდა გზები და გვირაბები. როდესაც მოგვბეზრდებოდა თამაში, უმცროს ძმას ნებას ვრთავდი დაენგრია ყველაფერი, რაც აწყობილი გვქონდა, და ისიც სიხარულით გადაივლიდა ზედ. მერე მე მიხდებოდა კუბიკების ჩაწყობა დიდ ყუთში, ძმა რატომღაც არ მეხმარებოდა, გარბოდა და ბების ჩაუჯდებოდა კალთაში.

ჩემს მეხსიერებას დღემდე შემორჩა 1939 წლის ივლისის ერთ დღეს (როგორც ეს შემდგომ დამიდასტურა მამამ) მომხდარი უცნაური ამბავი. ჩვენი ბინის მოპირდაპირედ ცხოვრობდა წარმოსადეგი, და მასთან ერთად სასიამოვნო შესახედაობის ქალბატონი, რომელიც ნამდვილად იმსახურებდა ამ მიმართვას. მეზობლების დაკვირვებით, იგი უცნაური თვისებებითაც გამოირჩეოდა, რასაც მასთან ურთიერთობაში ვერ ვგრძნობდით თითქოს. ერთხელაც ჩვენი ოჯახის წევრებმა გვიან შეამჩნიეს, რომ უკვე მეორე დღე იყო, რაც «შესანიშნავი ქალბატონის» ბინაში არავინ შედიოდა და არც არავინ გამოდიოდა; არა და, მეზობელი დიასახლისი ნამდვილად შინ გვეგულებოდა. ერთი შეხედვით, თითქოს ჩანდა, რომ შიგ-

ნიდან საგანგებოდ ჩარაზულიყო მოპირდაპირე ბინის კარი. ყური რომ მიგეგდო, ჩაკეტილი ბინიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ძლივს მოისაზრეს უფროსებმა, რომ აუცილებელი იყო სათანადო ზომების მიღება. მამამ გამოიძახა მილიცია და სასწრაფოც. როდესაც ისინი მოვიდნენ საჭირო შეიქნა მიყრუებული ბინის კარის შემტვრევა. იმ მომენტში იქ შეკრებილთაგან ფიზიკურად მამაზე ძლიერი არავინ აღმოჩნდა. ჩვენი ბინის შესასვლელიდან მამა გაექანა და მხრით დაეჯახა მეზობლის კარს. მომენტალურად შეამტვრია საკეტი, და მომეტებული ინერციის დახმარებით მაშინვე მოპირდაპირე ბინის შესასვლელში აღმოჩნდა. კარშემტვრეული ბინიდან წამლების მძაფრი და უცნაური სურნელება შემოგვეფრქვა სახეებში. ცხვირთან ხელაფარებულნი, ჩვენც შევედით და გაოცებულებმა დავინახეთ მეზობელი, რომელიც საწოლიდან გადმოვარდნილიყო და იატაკზე უსულოდ ეგდო. მომაკვდავის გარშემო ეყარა წამლის აბები და შუშის გაცარიელებული მცირე ზომის ფორმები. ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო ქალს თავი მოეწამლა. სასწრაფოს ექიმმა პულსი გაუსინჯა, სიკვდილის პირზე მისული ჯერ კიდევ სუნთქავდა. იმწამსვე იქვე, პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, მოასულიერეს და საავადმყოფოში წაიყვანეს. მეზობელი გადარჩა და მთელი დარჩენილი სიცოცხლე მომეტებული სირცხვილის გრძნობით მის უგუნურებას იხსენებდა. ეს საშინელი ამბავი ჩემს ბავშვურ მეხსიერებაში იმთავითვე აღიბეჭდა და მეტი დეტალებით მახსოვს ახლაც.

თავმომწონედ აღვიქვამდი მამის შავი ფერის მანქანას, რომელსაც «ემადინს» ეძახდნენ. მანქანა ემსახურებოდა მამას, როგორც ხელოვნების მუზეუმ «მეტეხის» დირექტორს. გერმანელებთან ომის დაწყებისთანავე მანქანა ჩამოართვეს და მძღოლთან ერთად ომში გაიწვიეს.

დედა, მოქანდაკე ნინო წერეთელი 1939 წლის თებერვალში სისხლის მოწამლვით გარდაიცვალა ვერესუბნის ხიდთან (ამჟამად გალაკტიონის ხიდი) ახლომდებარე საავადმყოფოში (ახლა აქ სასწრაფო დახმარებაა განთავსებული).

დედის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენს სახლთან ახლოს თათრებს გასაყიდად მატყლი მოეტანათ. გაყიდულ მატყლს იქვე თითონვე უპენტავდნენ მყიდველს. დედის ერთერთმა ნათესავმა, რომელიც იმ მომენტში ჩვენთან სტუმრად მოდიოდა, იყიდა მატყლი შალვას ბავშვებისთვის ახალი ლეიბ-საბნის შესაკერად. გაპენტილი მატყლი დედ-მამის საძინებელ ოთახში საფენზე გაშალეს. საღამო ხანს სამუშაოდან დაბრუნებულმა დედამ იატაკზე გაშლილ მატყლს თავი მოუყარა ოთახის კუთხეში. მატყლის შეგროვების მომენტში (როგორც ეს შემდეგ შევიტყვე მამისაგან), ხელის უნებლიე მოძრაობით დედა შეეხო მის ლოყაზე წინადღით ამობურცულ მცირე ზომის მუწუკს. მეორე დღეს დილით დედას სარკეში რომ ჩაუხედავს, მარცხენა ლოყა მთლიანად გაწითლებულიყო, ხოლო მუწუკი ძირმაგარად ფესვმომაგრებულიყო. იმ დილითვე ოთხი თვის ჩემმა ძმამ არ მიიკარა დედის რძე. ეს მომენტი მეტად დამაფიქრებლად უნდა გააზრებულიყო არა მარტო ნინოსთვის, არამედ მისი

მეუღლისთვის და საერთოდ, მთელი მათი ოჯახისთვის. მეზობელ სადარბაზოში ქირურგი ცხოვრობდა, რომლის მოსაყვანად გაქცეულა მამა. ქირურგი გალეშილი მთვრალი და უგონოდ დაძინებული დახვედროდა, რომელიც ვერ გაუღვიძებიათ. გამოძახებულ უბნის ექიმს უთქვამს, რომ სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაეყვანათ, მაგრამ ნინო, თავის ჭკუაგონების ამარად დარჩენილს (რომლითაც რაღაც უსაშველოს გრძნობდა თითქოს), გადაუწყვეტია, ერთი ღამეც გაეტარებინა მისი ბედნიერების მომტან ოჯახში. მხოლოდ მეორე დღისთვის წაუყვანიათ საავადმყოფოში და ის უკანასკნელი ღამე, ბავშვებთან ჩახუტებულს, თეთრად გაუთენებია. დაავადება რთულდებოდა და აუტანელი მხურვალება მომეტებული სისწრაფით მთლიანად მოსდებოდა მისი სახის მარცხენა მხარეს. არსაიდან ჩანდა არავითარი საშველი, რომელიც, თითქოს, დედის მწუხარე ფიქრების ლაბირინთებში ჩაკარგულიყო.

მაშინ თურმე თბილისის საავადმყოფოებში სამედიცინო მკურნალობა ისაზღვრებოდა მხოლოდ დანაყული სტრეპტოციდით. ამ «ყოვლისშემძლე» წამალს წამდაუწუმ აყრიდნენ ცეცხლმოდებულ დამუწუკებულ სახეზე. პენიცილინის ერთი ნემსი გადაურჩენდა სიცოცხლეს დედას! ეს საშველი კი, ჯერ კიდევ მომავლის საქმედ იყო მიჩნეული. 1939 წლის 17 თებერვალს ნინო წერეთელი ბედისწერის მსხვერპლი გახდა. სიკვდილის დიაგნოზად ჩაიწერა: «ციმბირული წყლულის ბაქტერიის სხეულში მოხვედრის შედეგად გამოწვეული სისხლის მოწამლვით ნინო წერეთლის გარდაცვალება». ციმბირული წყლულის ბაქტერიის წყაროდ თათრებთან ნაყიდი მატყლი დასახელდა. შალვა და ნინოს შვილების საკეთილდღეოდ ნაყიდმა მატყლმა და უნებლიედ დედის ხელით შეზავებულმა მოქმედებამ ცხოვრებას გასაზრდელად დაუტოვა დედით ობოლი ბავშვები. რატომ გაუკუღმართდა მზრუნველი ხელით გასაზრდელი ორი ბავშვის დედის (რომელიც მესამეზეც ორსულად ყოფილა) ბედი და რატომ გაიწირა დედის სიცოცხლე, ღმერთსაც არ შეეძლო სცოდნოდა.

ჩემი ძმა სულ ოთხი თვის იყო და მის თოთო გონებას არც კი დაეტყო დედის არ არსებობა. ალბათ ეს უკეთესიც იყო ჩემთან შედარებით, რადგან მე, უდედოდ დარჩენილი, მთელი ბავშვობა ვეძებდი დედას და სამუდამოდ მოუშუშებელი მწუხარება თანდათან ისადგურებდა ჩემში, რაც მომატებული წლებით მიძლიერდებოდა. უდედოდ დარჩენილი ჩემი ძმა საკვებს მოითხოვდა, მაგრამ იმ მწუხარების დღეებში მისთვის არავის ეცალა. სწორედ ამ დროს ჩვენი ბინის კარი შემოაღო მამის მეგობრის, ცნობილი არქეოლოგის გიორგი ნიორაძის მადლიანმა მეუღლემ ქალბატონმა ქეთევანმა, რომელსაც იმ წელს, იმ თვესა და იმ დღეს შეეძინა პირმშო გოგონა, რომელ წელსაც, თვესა და დღესაც დაბადებული იყო ჩემი ძმა. ქალბატონი ქეთევანი მივიდა ოთხი თვის ატირებულ ბავშვთან, ხელში აიყვანა და დედური სიყვარულით მკერდთან მიიწვინა. ბავშვი დიდხანს არ მოსცილებია რძეს, ჩაძინებულს კი პირი არ გაუშვია საწოვარისთვის. ასე გაგრძელდა მეორე, მესამე და შემდეგ დღეებშიც. დედამძუძე -ქეთევან ნიორაძე თავის რძეს თანაბრად უნაწილებდა ორივეს:

საკუთარ შვილსა და ძუძუმტე შვილს, რომელსაც ამ სიკეთის წყალობით თავის შვილად მიიჩნევდა. ამ უჩვეულო მოვლენის გამო დალი ნიორაძის და ჯუანშერ ამირანაშვილის და-ძმობა სამაგალითო იყო იმდროინდელ მეზობლობაში და ახლო საზოგადოებაშიც. რძით დაძმობა გაგრძელდა წლების მანძილზე და ისინი, ჭაღარაშერეულ სიბერეს მიახლოებულნი, ახლაც დაძმობენ.

მე კი გონების მიყრუებულ სიბნელეში ჩამკარგვოდა დედის ალერსი და ამაოებით შებინდული მწარე ნაღველი: არ მახსოვს, რამდენ ხანს დავეძებდი დედას მაგიდის ქვეშ ან კარადაში, რომელიმე სხვა ოთახში და აივანზეც; შევიხედავდი სამზარეულოში ან ბინის კარებს გამოვაღებინებდი ვინმეს და გავხედავდი სიცარიელით დამძიმებულ კიბეებს ან კედელს ატუზული დიდხანს ვიდექი დედის სამუშაო ოთახში, სადაც იმჯერად კიდევ თიხის სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი მასულდგმულებდა. მავიწყდებოდა ყველაფერი და ისევ თავიდან ვიწყებდი მიუღწეველის ამაოდ ძებნას. მამაჩემის დედა ასინეთი ხშირად მეალერსებოდა, აცრემლებულ თვალებს ხელისგულით მწმენდდა. ჩემთვის გაუგებარი სიტყვებით მანუგეშებდა, მოფერებით და ალერსით სულ სხვა გარემოში გადავყავდი...

როგორც მითხრეს, გაგუდული დავბადებულვარ! მომასულიერეს და სიცოცხლის კალაპოტში მიკრეს თავი! თურმე ცხოვრების აზრს ყოველჯერ თავისი გააქვს და დაბედებულ ყოფიერებას, მუდამ უნდა უმადლოდეს სიცოცხლით აღვსილი ადამიანი! მხოლოდ ზეციურ ძალაზეა მინდობილი ჩვენ მიერ უმართავი ბედიც! ღვთის ანაბარად დარჩენილ ადამიანთა სიცოცხლის შეწყვეტას, თითქოს თავისებურ დარდს მაინც აყოლებს მარადიული ყოფიერებით უზრუნველყოფილი მამაზეციერიც. მაგრამ უფალმა თვით უწყისს ვის, სად, როდის შეაწყვეტინებს ამქვეყნად ცხოვრებასა თუ არსებობას!

მაშინ კი შალვა ამირანაშვილის ოჯახში დატრიალებული უსაზღვრო ტრაგედიის შემყურე ყოველი ახლო თუ შორეული ნათესავი, გულწრფელად თანაგრძნობას გამოხატავდა ჩვენს მიმართ; სევდაშემოწოლილ მწუხარებას გვიზიარებდა თანაგრძნობის გამოსახატავად ჩვენს ოჯახში შემოსული ხალხის ნაკადი; შემოდიოდა ყველა: ნათესავები, მეზობლები, ნაცნობები და უცნობებიც. შემოდიოდნენ კულტურისა და ხელოვნების დარგის მოღვაწეები. თავს გვევლებოდნენ ზემო იმერეთის სოფელ ჭორვილადან (სადაც მღვდელმსახურ დავით წერეთლის ოჯახში დაბადებული და აღზრდილი იყო ნინო წერეთელი) ჩამოსული ერთიანად შავებში შემოსილი ნათესაობა. სამძიმარზე მოსულმა გულმწუხარე ქართველობამ უკანასკნელ გზას გაუყენა პირველი ქართველი მოქანდაკე-ქალი, ნახევარსიცოცხლე გავლილი, სრული 36 წლის ნინო წერეთელი.

ხელოვნების დარგში მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მემკვიდრედ აღიარებული ერთგული მოწაფე ნინო წერეთელი, გულს ჩაღვრილი ცრემლით თავისებურად დაიტირა მისმა უბადლო მასწავლებელმა იაკობ ნიკოლაძემ. მანვე ქანდაკებაში გააცოცხლა დაუვიწყარი მოქანდაკის სახე, რო-

მელიც ნინო წერეთლის საფლავზე დაიდგა. ამისათვის წერეთლებისა და ამირანაშვილების გვართაგან მარადიული მადლობა დიდებულ «ქართველ როდენს», უბადლო იაკობ ნიკოლაძეს!

2). ჩემი და ჩემი ძმის აღმზრდელები: ბები და ბაბუ

დედის-ნინო წერეთლის გარდაცვალებისთანავე ჩემი და ჩემი უმცროსი ძმის აღზრდა დაივალეს მამის მშობლებმა: იასონ ამირანაშვილმა და ასინეთ ჩხენკელმა. მათ აღზრდილი ყავდათ თავიანთი ცხრა შვილი, რომელთაგან უფროსი იყო მამაჩვენი – შალვა. ბაბუმ და ბებიმ (როგორც ჩვენ ვეძახდით მათ) თავიანთ შვილებს მიგვათვალეს ჩვენც: გულბადი (შინაურულად მეძახდნენ: კუკური) და ჯუანშერი (ბავშვობაში ბუხუნი, სტუდენტობის პირველი კურსიდან დღემდე: ბახო). ფრჩხილებში მოთავსებული ჩვენი სახელები ბები ასინეთის მიერ იყო შერქმეული. სტუდენტობის პერიოდის ძმებ ამირანაშვითა მეგობრის, ისტორიკოს გიორგი (ჰასან) ნადირაძის მიერ ბუხუნი მონათლული იქნა «ბახო»-დ, რაც დღესაც ეამაყება ნათლულს. (მახსოვს, სახელით ნათლობა რესტორნით დაასველა ბახომ).

ჩვენი დიდი პაპა აზნაურ ლუარსაბ ამირანაშვილი, რომელსაც ცოლად ყავდა ასპიროზ ჭუმბურიძე, ვრცელი მამულეთის მფლობელი იყო სოფელ ჩხარში (ქვემო იმერეთი, თერჯოლის რაიონი). მათი მეორე ვაჟიშვილი იასონი მათემატიკის მასწავლებლი იყო ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში. იასონის დაუოკებელი სურვილი იყო მისი პირმშო ვაჟიშვილი შალვა მასავით მათემატიკოსი გამოსულიყო. მაგრამ თვითონვე შალვამ (შესაძლებელია დედის – ასინეთ ჩხენკელის შთაგონებით) მიზნად დაისახა ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლა და ბოლომდე გაყვა ბავშვობის წლებში შერჩეულ სპეციალობას.

ასინეთ სოლომონის ასული ჩხენკელი, ისიც აზნაურის საგვარეულოს წარმომადგენელი, წარმოშობით ხონიდან იყო. ღვთისმეტყველების სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული, თავის დროის განათლებული და საკმაოდ ერუდირებული, ძველი და ახალი აღთქმების უბადლო მცოდნე, ნათესავების ხელისგამწვდომი და დამხმარე, აზრიანად მოსაუბრე და სასიამოვნო შესახედაობის მანდილოსანი ქალი იყო.

თავდავიწყებამდე მიყვარდა ბაბუ და ბები. როგორც დედის ალერსს მონატრებული ბავშვი, ხშირად ვეფერებოდი ბების და დღესაც მახსოვს როგორ ვკოცნიდი თეთრად შეფერილ თმებზე. ბები მეალერსებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ჩემი ძმა არ ხედავდა ამას და პირიქით, ჩემს ძმას ეფერებოდა მაშინ, როცა მე მათ ვერ ვხედავდი. ეს შევამჩნიე ძალიან გვიან და გულწრფელად გამიხარდა კიდეც, რომ ასე იქცეოდა.

და მაინც, ჩვენს ნორმალურ ბავშვობასა და ერთიან ოჯახად ცხოვრებას ერთი ადამიანის სიცოცხლე აკლდა. დედის ნაკლულობით გულდათუთქული მე და ჩემი ძმა დღითიდღე ვეჩვეოდით ბედით რგუნებულ უბედობას. ჩვენს წინ მორევად აზვირთული ცხოვრებისეული გზის გავლას,

თუ ღმერთი ბოლომდე გვაცლიდა, მაინც მამისამარად უნდა გაგვევლო, რაშიც წამოგვეხმარა მამის ღვთისნიერი მშობლები, მათი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე.

ოჯახის მოუშუშებელი ჭრილობა ხშირად გვახსენებდა თავს როგორც ჩვენ, ისე მამისა და დედის ახლო თუ შორეულ ნათესაობას. ბედად დაბედებულ უდედოდ ცხოვრებისგან გამოწვეული ცრემლები ჯერ კიდევ კარგად არ გვქონდა შემშრალი ძმებს, რომ დაუჯერებელი მდგომარეობის წინაშე აღმოვჩნდით ორივე. და ჩვენთან ერთად ორივე გვარი: წერეთლები და ამირანაშვილები. სწორედ ასეთი გულსჩაქსოვილი სიმწუხრის დროს მამაჩვენმა მოულოდნელი და დაუჯერებელი ნაბიჯი გადადგა. რა სისასტიკე ამოძრავებდა მას და რატომ მოიქცა ჩვენს მიმართ მაინ ასე დაუნდობლად, ჩემთვის უპასუხოდ არის დარჩენილი. ამ გადასახედიდან ვფიქრობ, რომ ჩვენი აღზრდა ცხოვრებით დაღლილ თავის მშობლებს უანდერძა და დედის გარდაცვალებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ უქალოდ დარჩენილმა თავისთავს თითონვე უპატრონა (მართლა სასტიკი შეფასებაა, მაგრამ იმ მომენტში მამაჩვენი მეტი სისასტიკის ღირსიც იყო).

3). მოულოდნელი ნაბიჯი

ამ ნაბიჯის გადადგმით, მამამ მოუშუშებელი ჭრილობა მოგვაყენა დედით ობოლ ბავშვებს და ნინო წერეთელის გარდაცვალებით დამწუხრებულ მისი საგვარეულოს მთელ ნათესაობას. ჩვენთვის განუცხადებლად, რეგისტრირებული ქორწინებით დაუკავშირდა დონისპირეთიდან თბილისში ჩამოსახლებული კაზაკის სილამაზით განთქმულ ქალიშვილს, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტს, ოცი წლის პიანისტს ვალენტინა სერგეევნა სტროევას. მის «კაზაჩკურ» გარეგნობას განსაკუთრებულ თვალწარმტაცობის ელფერს მატებდა დედით ბოშა («ციგანკა») ქალის ჩამომავლობაც. მშობელთა ტანდემით დაჯილდოებული მომხიბვლელობისა და მაღალკვალიფიციური პიანისტობის წყალობით ვალენტინა სერგეევნა საკმაოდ ცნობილ პიანისტად იყო აღიარებული თბილისელთა ქართულ საზოგადოებაში. შესახედაობით საოცრად მიმზიდველ ქალს (რაც სიბერეშიც გამოჰყვა მას) და მოსიყვარულე ქართველი კაცისთვის ნამდვილად ხელის გულზე სატარებელს, წორედ ისეთი მამაკაცი ჭირდებოდა როგორიც იყო შალვა ამირანაშილი, რომელიც ცხოვრების მანძილზე არც სიყვარულს, და არც არაფერს არ დააკლებდა რჩეულს. მაგრამ მაინც საოცარია, თუ სად იპოვა დედით ობოლი ბავშვების მამამ, ან ვინ გააცნო ისინი ერთმანეთს, ან შემთხვევით ხომ არ გადაეყარნენ ურთიერთს: ორმოცი წლის შალვა და ოცი წლის ვალენტინა, მე ნამდვილად არ ვიცი და არც მჭირდებოდა რომ მცოდნოდა. ამის შესახებ ჩემთვის არც არასოდეს არაფერი უთქვამს ჩვენს ნათესაობას. ასეთ შემთხვევაში იტყვიან, რომ ბედმა შეახვედრა ისინი ერთმანეთს. მიუხედავად ცხოვრებისეული დავიდარაბისა, შალვამ ეს ბედი ხელიდან არ გაუშვა. მა-

ინც არ მგონია რომ მაშინ უკვე, მოშუშებული ჰქონოდა ნინო წერეთლის გარდაცვალებით მიყენებული ჭრილობა ეგოსტურად მოფიქრალ მამას; ჭრილობა, რომელსაც თურმე შალვა ამირანაშვილი სიცოცხლის ბოლო დღემდე ატარებდა გულში; მისი სიკვდილის დღეს, როდესაც მე და მისი სიძე გივი გუმბარიძე შალვა ამირანაშვილის სულის ბოლო ამოსუნთქვას გარდიგარდმო ერთად ვედექით მას მხრებში, გაოგნებული და სიკვდილის ეშაფოტზე მოუბრუნებლად შემდგარი შალვა ნელი ხმით თავის სანუგეშოდ იმეორებდა: «ნინა, მოვდივარ». გივი მორიდებით დამეკითხა: «ნინა ვინ არის». მე მოკლედ ვუპასუხე: «დედაჩემი, ნინო წერეთელი».

მხოლოდ ამ სიტყვების გამო, შალვა ამირნაშვილის პანაშვიდებზე დადიოდნენ და გასვენებაშიც ბოლომდე გააცილეს საუკუნოდ მომდურებულმა წერეთლებმა. მათ შორის ნინო წერეთლის ბავშვების უსაზღვროდ მოსიყვარულე დამ მარგო წერეთელმა, რომელმაც შალვა ამირანაშვილის ცხედართან კიდევ ერთხელ სიმწრის ცრემლებით დაიტირა ორივე ერთად: ნინო და შალვა. ცრემლი დააყოლა და ცრემლითვე შეავსო შალვა და ნინოს სამწლიანი ბედნიერებით სრულიად აღსავსე სიცოცხლე. ეს მოხდა 1975 წლის თებერვალში.

ხოლო, მაშინ მამამ მიღებული გადაწყვეტილება დაგვიანებულად ყველას მტკიცედ გამოგვიცხადა, რომ ხელი მოაწერა ვალენტინა სერგეევნა სტროევასთან და საქორწინო მოგზაურობით მიემგზავრებოდნენ კისლოვოდსკში.

ვალენტინა სერგეევნა სულით სპეტაკი, ზნეობრივად წმინდა ქალი იყო, მამის ნათესაობიდან მასთან სამდურავი არავის არ ჰქონია და სტროევას მიმართ რაიმე აუგი არც არასდროს გაუვლიათ მათ გულსა თუ გონებაში. ვალენტინა სერგეევნა ცოლად გაჰყვა იმ ადამიანს, რომელმაც შეიყვარა იგი, და ამიტომ არც გრძნობდა თავს დამნაშავედ. ქალს, რომელსაც ჯერ კიდევ დიდხანს ახალგაზრდული ცხოვრებით უნდა ეცხოვრა, გასაზრდელად დახვდა ორი ბავშვი, რომლებიც სრულიად უცხოები იყვნენ მისთვის. ვალენტინა სერგეევნამ ყოვლგვარ ღონეს მიმართა და სცადა მაინც დაემყარებინა დედაშვილური ურთიერთობა მცირეწლოვან გერებთან. მან სავსებით დამაჯერებლივ იცოდა, რომ გასაზრდელად დახვდებოდა ორი ბავშვი, და მაინც პირადი გადაწყვეტილებით გადადგა მხოლოდ მისი მეობიდან გამომდინარე მისთვის სასურველი ნაბიჯი. ის გულკეთილი და მეუღლის ნათესაობის უზომოდ მოსიყვარულე ქალი აღმოჩნდა. გერებთან მიმართებაში და ქმრის ნათესაობაში თავისებურად ცდილობდა სიკეთე და სიყვარული დაენერგა მის ბედად რგუნებულ ასეთ ოჯახში. ამ მდგომარეობაში მოხვედრილ ვალენტინა სერგეევნას ჩვენ მიმართ არავითარი ბრალი არ მიუძღოდა. არც ამირანაშვილები, და არც წერეთლები არაფერში არ დებდნენ ბრალს ამ სპეტაკ ადამიანს, რომელიც ორშვილიან მამაკაცს გაყვა ცოლად.

მაგრამ შალვას შვილებში, განსაკუთრებით უფროსში სამუდამოდ გამჯდარიყო წარსულის დაუოკებელი ტკივილი, რომელიც არც თუ ისე იშ-

ვიათად ახსენებდა თავს უდედოდ დარჩენილ ძმებს. მაშინ ჩვენი ბები ასინეთის გულში რომ ჩამეხედა, სწორად შეფასებულ მრავალ ცხოვრებისეულ ამბავს ნათლად ამოვიკითხავდი. ბებიმ იმ ადამიანის შვილების აღზრდა ითავა, რომელიც წუთიერ გრძნობას აჰყვა და დაუფიქრებლად ენდო. პირდაპირ რომ ვთქვათ, მან «ფეხებზე დაიკიდა» მშობლები და შვილები, თავის ცხოვრებისეული «მოკლე ჭკუით» მაინც მოუზომელი ნაბიჯი გადადგა. ჩვენი ოჯახისთვის მაინც უცხო იყო ლაღად გაზრდილი, სიყვარულის და ბედნიერების მოტრფიალე ახალგაზრდა ვალენტინა სერგეევნა. სწორადაც რომ, და მართებულადაც რომ, თავს დამნაშავედ არ გრძნობდა ქალბატონი «აია» (როგორ მას ჩვენ ძმები ვეძახდით, «ვალია»-ს ვერ გამოვთქვამდით) და სრულიად მართალიც იყო. ვამართლებ მეც ამ შორეული გადასახედიდან. უდანაშაულო ახალგაზრდა ქალს სხვისი ორი ბავშვი უნდა აღეზარდა, თავი რომ დაგვენებებინა მათ შორის არსებულ ენობრივ ბარიერისთვის.

შალვა ამირანაშვილი ყოველთვის და ყველგან მამაკაცი იყო, და მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა დროებითი გაჭაცებები, რაც კაცისათვის უშესანიშნავ ცხოვრებისეულ წამებს წარმოადგენს. ხელს არავინ უშლიდა, პირიქით, აქეზებდნენ კიდეც. მაგრამ მან სხვა გზა აირჩია.

საქორწინო მოგზაურობიდან, დაწყვილებულმა: მამამ და ვალენტინა სერგეევნამ პირდაპირ ჩვენს ბინაში შემოაბიჯეს. სწორედ იმ ბინაში, სადაც ჯერ კიდევ ნინო წერეთლის მოსანატრებელი იერი სულდგმულებდა და შეუმჩნეველი ძალით გვაცოცხლებდა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს. უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია, რომელიც გაუგონარი მდგომარეობით იყო შექმნილი. ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ჩემთვის ვფიქრობ მხოლოდ, მამაჩემის მაგიერ ასეთ მდგომარეობა მე რომ შემქმნოდა, გარდაცვლილი მეუღლის ნაცხოვრებ ბინაში ახალშერთულ ცოლს არ შემოვიყვანდი და მის წინაშეც მართალი ვიქნებოდი, და მეტიც, ნინო წერეთლის საწოლში სხვასთან არ ვინებივრებდი. ყველას წინაშე მართალიც ვიქნებოდი. მამის ჭკუაც... და მისი მორალიც...

მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, მოხდა ისე, რაც ზნეობრივად არ უნდა მომხდარიყო. დაქორწინებულები დედით ობლების დედ-მამის საძინებელში შევიდნენ და დედის სიყვარულით ჯერ კიდევ მამისათვის თბილ საწოლში უდიერად მოთავსდნენ. იმწამიერ შექმნილი მდგომარეობა აუტანლად ამაზრზენი იყო შალვას ღვთისნიერი დედისთვის, რომელიც მაშინ ატირებულა და მერე ყოველთვის, ძალიან დიდხანს, ჩუმი ცრემლებით ტიროდა. ბების გახედვაც არ უნდოდა სასიყვარულო თვალებით ნაფერებ ნინოს ოთახისკენ, სადაც მის შვილთან უცხო ქალი ნებივრობდა და თვალცრემლიანი გვეალერსებოდა ჩვენ. იმ დროს, ცოტაოდენ მაინც მოზრდილი რომ ვყოფილიყავი, ამ საქციელს არ ვაპატიებდი მამას, და შეიძლება, მომეკლა კიდეც. ჩემი აზრითა და რწმენით, მამამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. თავის ახალ ცოლთან ერთად შალვა ამირანაშვილს თავიდანვე სხვაგან, ცალკე ბინაზე უნდა ეცხოვრა, რაც არ შეუ-

რაცყოფდა მისი ადრეული ცხოვრების წარსულს. ამას კი მიხვდა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო.

ჩვენი ოჯახის მიმართ უდანაშაულო ვალენტინა სერგეევნა თავიდანვე და მერეც სრულიად სამართლიანად იქცეოდა და ყოველმხრივ ცდილობდა სიკეთის დანერგვას უცხო დედის შვილებში.

გავიდა სულ ცოტა ხანი, და ყოველგვარი მორიდების გარეშე დაგვიცარიელეს დედის სამუშაო ოთახი. გაიტანეს დედის საქანდაკებო დანადგარი ანუ დაზგა, რომელზედაც დედის მიერ ვიღაცის დაუმთავრებელი ბიუსტი იყო თიხაში გამოყვანილი; გაიტანეს მცირე ზომის რამოდენიმე ნაკეთობა, რაც დედისთვის ესკიზის როლს ასრულებდა; აღარ ჩანდნენ დიდ ფურცლებზე ფანქრით შესრულებილი ნახატები; ვერ ვხედავდი დედის სამუშაო იარაღებს; ყოველი ნივთი, რაც იმ დროს დედასთან მაკავშირებდა უკვალოდ გაქრა. შთაინთქა დედისგან დატოვებული სახსოვარი, რაც ანუგეშებდა ჩემს ბავშვურ წარსულს. ყველაფერი ერთიანად ჩაყარეს სადარბაზოს სარდაფში, საიდანაც უკვალოდ გაქრნენ ის ნივთები. მალე სარდაფიდანაც ვიღაცეებმა გაიტანეს ყველაფერი, რის წაღებაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ძმებს სანუგეშოდ დაგვიტოვეს მოქანდაკე დედის სამუშაო დანადგარი, ე.წ. «სტანოკ»-ი, რომელიც დედის მეტს არავის არაფერში არ ჭირდებოდა. როდესაც, ანაგის ქუჩაზე მდებარე სპეციალისტების სახლიდან ვაკეში უნივერსიტეტის პირველი კორპუსის პირდაპირ გადავედით საცხოვრებლად, დედის ნივთებიდან მხოლოდ «სტანოკი» და მცირე ზომის რამდენიმე სამუშაო იარაღი გადაგვყვა, რომელიც ბები ასინეთს ჰქონდა თავისთან დამალული. შემდეგში ის «სტანოკი» შალვამ აჩუქა ჩემი ბიძაშვილის, მომღერალ მედეა ამირანაშვილის მეუღლეს, მოქანდაკე ოთარ ფარულავას, რომელიც იყო ოპერის სოლისტ მარინა ფარულავას და კინომსახიობ ია ფარულავას მამა. ხშირად ვსტუმრობდი ოთარ ფარულავას მის სახელოსნოში. გულის ტკივილთან ერთად დედის ნაქონი ნივთის ნახვა სიამოვნებასაც იწვევდა ჩემში. ოთარი ახალმოდუღებული ინდური ჩაით და თურქული ხმელი «პეჩენიით» მიმასპინძლდებოდა. მას არასოდეს დაუკარგავს ნათესაური ურთიერთობა შალვასთან და მის შვილებთან. ის სპეტაკი სულისა და ვაჟკაცური ბუნების კაცი იყო, მოქანდაკეობის მაღალოსტატობით გამოირჩეოდა. მის მიერ შექმნილი პორტრეტული სახეების მსგავსებას ორიგინალთან ყოველთვის განცვიფრებაში მოჰყავდა შალვა ამირანაშვილი და ყოველი სხვა მნახველი.

დედის კუთვნილი ნივთებიდან ბინის დაცარიელება ბავშვობიდან მოყოლებულ სინანულის გრძნობას მიღვივებდა, რაც ყოველთვის მდევდა და არ მიშუშდებოდა. შეუჩვეველ ცხოვრებას მაინც ვერ ვეჩვეოდი, რა სიტყვითაც არ უნდა ვენუგეშებინე უფროსებს. მის უნებურად ამ მდგომარეობის გამომწვევი, მაგრამ სრულიად უდანაშაული ვალენტინა სერგეევნა თავისას ცდილობდა, გვეფერებოდა და გვეალერსებოდა. არ ვიცი ჩემი ძმა როგორ, მაგრამ მე ვიშმუშნებოდი თურმე და უჩვეულო მოძრაობით

ვიშორებდი უცხო ადამიანის მოალერსე ხელს. მახსოვს რამოდენიმე მომენტი იმ უჩვეულო მდგომარეობიდან. მე და ვალენტინა სერგეევნა აივანზე გავსულვართ. ორპირი ქარის გამო აივნისა და ოთახის გამყოფი კარი თვითნებურად ჩაკეტილა ე. წ. «ინგლისური» საკეტის მეშვეობით. იმ მომენტში ბინაში უფროსებიდან არავინ იყო. ოთახში დარჩენილა მარტო ორი წლის ძმა. ვალენტინა სერგეევნამ მოუხმო ჩემს ძმას და მოუწოდა: «ბუხუ, ბუხუ, მამოჩკა მოია, ვოტ ტაკ, ვოტ ტაკ» ეუბნებოდა და ხელით აჩვენებდა, რომ გასაღები გადაეტრიალებინა. მისდა გასაკვირად, მიხვდა ბუხუ, რასაც თხოვდა მას «აია». ბუხუ საკეტს დაეჭიდა ცალი ხელით და ვერ ატრიალებდა; მერე მოიშველა მეორე ხელიც და კარი გაიღო. დედინაცვალმა ხელში აიყვანა გერი და დედაშვილურად ჩაკოცნა.

მეორე შემთხვევა, რაც დამამახსოვრდა, ისევ ბუხუსთან კავშირში: იმ დღეს, სახლში რომ დაბრუნდა ვალენტინა სერგეევნა, ხელისთითებზე მოგრძო ფრჩხილები წითელი ფერით უბრწყინავდა. ბუხუს შეუხედავს მისთვის და მოულოდნელად შეუკითხავს: «აია, ასე კაქია?». ვალენტინა სერგეევნას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბუხუსთან დედური კონტაქტი თანდათანობით მყარდებოდა, მაგრამ ჩემთან ურთიერთობა საგრძნობლად გართულებული ყოფილა. და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემდა შეუმჩნევლად გონებაში ჩამრჩენოდა ის არდავიწყება, რომელიც ჩემდა უნებურად ყოველთვის ამომიტივტივდებოდა, როცა ამის საჭიროება არ არსებოდა.

თვალნათლივ მახსოვს მამის სიდედრი, ვალენტინა სერგეევნას დედა, ქართველებისათვის უჩვეულო შესახედაობის ბოშა-ქალი, რომელიც ხანდახან თუ შემოივლიდა სტუმრად ჩვენთან და ისიც მხოლოდ მისი შვილის სანახავად. კარების გაღებისთანავე მოსალმების მაგიერ გაიძახოდა: «მაია დოჩკა ჟივა?!».

მახსოვს, ჩვენთან სტუმრად ფოთიდან ჩამოვიდა მამის დის შვილი ვასიკო. მან ჩაგვიყვანა ორივე ძმა ეზოში და ტროტუართან ახლომდებარე კიოსკში გვიყიდა ხალვა, რომელსაც იქვე მადიანად შევექცეოდით. რვა თუ ცხრა წლის ვასიკომ თავისებურად პატივი გვცა მის ბიძაშვილებს. არ დაიჯერებთ, და იმ ხალვის გემო ახლაც მმგვრის მადას.

ჩემსა და ვალენტინა სერგეევნას შორის აღმოცენებული და თანდათან გაღვივებული თითქოს-და შეუწყობელი ურთიერთობა ერთმანეთის მიმართ გამოწვეული იყო ბუნებრივად შექმნილი განწყობით, რომელიც იმართებოდა ჩემში ჩასახული დედის სამყაროდან. და ალბათ ამიტომ, თავიდანვე ვერ აღვიქვამდი მას როგორც დედას, და ეს ბუნებრივად მემჩნეოდა მასთან ყოველდღიური ურთიერთობისას. თითონაც, რაც შეიძლება ერიდებოდა ჩემთან ახლო კონტაქტს, რომ ჩემი ბავშვური ფსიქიკა უფრო მეტად არ დამზიანებოდა. და მაინც არ მგონია, რომ ბუნებრივად წარმოქმნილი გართულებული ურთიერთდამოკიდებულება ყოფილიყო მიზეზი მეტად დაძაბულად მიმდინარე ოჯახური მდგომარეობისა.

4). საცხოვრებლად ბები-ბაბუსთან

მამის დედამ ასინეთ ჩხენკელმა მაინც არ აპატია თავის უფროს შვილ შალვას, ნინო წერეთლის ნაცხოვრებ ბინაში სრულიად უდანაშაულო ვალენტინა სერგეევნას შემოყვანა. ჩემს ბავშვურ მეხსიერებას შემორჩა მხოლოდ ის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბები ასინეთმა დაგვავლო ხელი უდედოდ დარჩენილ შვილიშვილებს და სახელდახელოდ შეკრულ ბარგთან ერთად საცხოვრებლად გადაგვიყვანა ბაბუს ბინაში, რომელიც მდებარეობდა ე. წ. «ზემელის» უბანში: რუსთაველის მოედნიდან მთაწმინდის ფერდობისკენ ამავალი ქუჩის შესახვევში. მაშინ 1941 წლის გაზაფხული იდგა.

ბები და ბაბუს გარდა, მათ სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა შალვას მომდევნო ძმა, სპორტული ვარჯიშის დიდოსტატი დავითი, რომელსაც მხარს უმშვენებდა სიმეტრიულად ჩამოთლილი მომცრო ტანისა და ულამაზესი რუსული სახის მქონე მეუღლე ლიუდმილა. იგი იყო უკეთილშობილესი და საოცრად სათნო, მოკრძალებული და მეტისმეტად თავაზიანი, მხოლოდ სიმართლის მთქმელი და ჭეშმარიტების ამღიარებელი, ხშირ შემთხვევაში მოურიდებლად წამომძახებელიც. საცხოვრებლად მათ ეკავათ მცირე ზომის მესამე ოთახი. დავითი და ლიუდა 31-ე საავიაციო ქარხანაში მუშაობდნენ. დილის შვიდ საათზე გადიოდნენ სახლიდან და საღამოს რვა საათზე ბრუნდებოდნენ სამსახურიდან.

შუა ოთახში მოთავსებული იყვნენ: შალვას ალალი და, საქართველოს კაპელას წამყვანი მომღერალი (მეცო-სოპრანო) ნინა ამირანაშვილი, მისი მეუღლე, კავშირგაბმულობის სამინისტროს თვალსაჩინო თანამშრომელი მიხეილ გაჩეჩილაძე და მათი შვილი ლოკონებიანი თმით დამშვენებული მედეა. ერთი წლისაც არ იყო მედეა, რომ გამოგვიმჟღავნა თავისებური ხასიათი: «კაპასობა, ჯიუტობა და მომთხოვნელობა». მედეას მშობლებს მოგვიანებით შეეძინათ ბიჭი, სახელად ბადრი, რომელსაც ხუთი წლის ასაკში აღმოაჩნდა საოპერო ტენორი. მუსიკალურ განათლებას დაწაფული დის დახმარებით ბადრიმ ბავშვობიდანვე შეისწავლა იტალიური არიები, ჩვენ კი სიამოვნებით ვუსმენდით მის ყოველ ნამღერს და დიდ პერსპექტივას ვხედავდით მასში. მან დაამთავრა კონსერვატორია ვოკალის განხრით, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ახალგაზრდა მომღერალს რატომღაც აღმოაჩნდა «სცენის შიში», რომელიც ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად ვერ დაძლია და თავი გაანება ღმერთისგან ნაჩუქარ სპეციალობას.

წინა დიდი ოთახი ეკავათ ბები-ბაბუს და მათ მეცხრე შვილს გივის, რომელმაც 1940 წლის ივნისში დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი და ამავე წლის სექტემბრიდან ჩაირიცხა ასპირანტურაში. ამ წინა ოთახს, ბებისთან ერთად საცხოვრებლად მივემატეთ ჩვენც, შალვას და ნინოს შვილები; ფეხი რომ მოვიკიდეთ ბები-ბაბუს ბინაში, გასულ დროსთან ერთად სამუდამოდ გვავიწყდებოდა ჩვენი ადრეული ბავშვობა; ასევე ის ბინა, სადაც სიცოცხლეს რომ

ვეზიარეთ და ფეხი ავიდგით ორივე ძმამ. იმ ბინის სულდგმულთაგან დაბინდულად მაინც გამომყვა სანატრელი დედის სახე, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტებოდა.

5). უბანი «ზემელი»

ჩვენი საცხოვრებელი უბნის ანუ ე.წ. «ზემელ»-ის მთავარ ღირშესანიშნაობას წარმოადგენდა რუსთაველის ძეგლი, რომელიც ბავშვურად აღქმულ პოეტურ სულს მიღვივებდა (ბიბლიის გარდა, ძილის წინ სასულიერო განათლებამიღებული ბები «ვეფხისტყაოსანსაც» გვიკითხავდა და ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს გასაგებად გვიხსნიდა). ძეგლის არქიტექტურულ კომპლექსს ამშვენებდა ფაფარაყრილი ლომისფერი ლომების ღმუილისმომგვრელი გამძვინვარებული სახეები, რომელთა ბასრკბილებიან პირთაგან გამაყრუებელი თქრიალით გადმოედინებოდა წყლის მსხვილი ჭავლები და ოთხკუთხედი ფორმის მოგრძო აუზის შევსებას ამაოდ ცდილობდნენ. თლილ მონოლითში ერთიანად გაცოცხლებული მხატვრული სიუჟეტი, ჩემთვის და ალბათ ბევრი ჩემისთანისთვის წარმოსახავდა გონებაში გაელვებულ აღმაფრენას: ტარიელის შერკინებას ხვად ლომთან ან საკოცნელად ჩახუტებას ჰაერში ატაცებულ ძუ ვეფხვთან. მასიურად დამონტაჟებული ყვითელი არქიტექტურა, მაინც გაურკვევლობის ელფერით იბინდებოდა ჩემში.

რუსეთის იმპერიულობის პერიოდიდან «ზემელ»-ზე აშენებულ ნაგებობათაგან დღესაც რუხი ფერების მწუხრით გამოიყურება თბილისელი სომეხი დიდვაჭარის ალექსანდრ მელიქ-აზარიანცის სახსრებით აშენებული სევდისმომგვრელი არქიტექტურით დამშვენებული მონუმენტური ქმნილება. ძეგლის სტატუსის მქონე შენობის ფასადი მოპირკეთებულია თლილი ქვისგან ფაქიზად ამოყვანილი ნაღვლიანი ქანდაკებებით. დამწუხრებული იერით მოხდენილად შემკული და დამშვენებული შენობა თბილისის შუაგულშია ჩადგმული, სომეხ კაცს რომ გაუხარდება, ისე. ამ სახლის ფასადის მოპირდაპირედ, იქ სადაც ახლა საქართველოს ეროვნული აკადემიის ყვითელი შენობაა აღმართული, ჩემი ბავშვობის დროს ტროტუარს გასდევდა ერთსართულიანი მოგრძო უნივერმაღი. მელიქ-აზარიანცის სახლის გვერდითი ფასადის მოპირდაპირედ მდებარე სახლის პირველ სართულზე (რომელთაც ყოფდა ვერეს დაღმართი) მოთავსებული იყო გერმანელი ჰომეოპატის ევგენი ზემელის საქვეყნოდ ცნობილი აფთიაქი. გერმანელი საქმოსანი კეთილი საქმით იყო დაკავებული: კერძოდ, სამედიცინო მომსახურეობას უწევდა ახლო-მახლოდ მცხოვრებ თბილისელებს. მოგვიანებით, რუსთაველის ძეგლთან ახლოს, ნახევარსარდაფში გაიხსნა იმ უბნისათვის მეტად საჭირო რესტორანი, რომელიც სამფუნქციური იყო: დილით ხაშზე გვეპატიჟებოდა, შუადღეს სასადილოდ, ხოლო საღამოთი დაკისრებულ რესტორნულ მოვალეობას ასრულებდა. სულ ეს იყო და ეს, ჩემი ბავშვობის პერიოდის უბნის არქიტექტურული ღირშესანიშნაობა. ამ უბნის უბნელობა სიამაყის გრძნო-

ბას იწვევდა ჩემში და ასეთი განცდით მაინც, ვგონებ ვჯობდით კიდეც ზოგიერთ სხვაუბნელებს.

ევგენი ზემელის აფთიაქში მომსახურეობა სრულდებოდა მაღალ დონეზე და მაინც, წამლის მყიდველთა მოსაზიდად მოსაზრებულმა ევროპელმა ორიგინალურ ხერხს მიმართა. კოლმეურნეობის მოედნიდან მომავალ 1, 2 და 5 ნომრის ტრამვაის ვატმანებს ყოვეთვიურად ფულს უხდიდა იმაში, რომ მელიქ-აზარიანცის სახლთან გაჩერებაზე «Дом Азарянца»-ს ნაცვლად გასაგებად ეყვირათ: «Остановка Земель».

იქაურ შემოგარენელთა სიცოცხლის მაჯისცემაზე აწყობილ «ზემელის» უბნის ცხოვრების რიტმი ყოველი მოსახლის სუნთქვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ასე გრძელდებოდა ყოველთვის, მე და ჩემი ძმის იქ ცხოვრების ათი წლის მანძილზე და ალბათ შემდეგშიც ასევე წარიმართებოდა.

ამ პერიოდში მამა ხანდახან თუ შემოგვივლიდა სანახავად. მისი ნახვა ჩვენზე მეტად უხაროდა მის ძაღლს, მოწითალო ფერის ყურებჩამოყრილ სეტერს, რომელსაც მამა «ბიჭი-კრიჭი»-ს ეძახდა. მამასვე დაურქმევია ეს სახელი და თავს იწონებდა ძაღლის ნათლიობით. ეს იმიტომ, რომ შალვას შეძახილზე: «ბიჭი!, კრიჭი!» ძაღლი ისე აბრეცდა და დაბრეცდა ზედა და ქვედა ტუჩებს, რომ ბრწყინავი კბილები ყველა ერთიანად უჩანდა მარგალიტებივით. ასეთ მდგომსრებაში იყო მანამ, სანამ არ ეტყოდა მამა: «კარგი, კარგი, გეყოფა».

VI

1). შალვას უმცროსი ძმის გივის გაწვევა ჯარში

შალვას ძმა გივი, იასონისა და ასინეთის ნაბოლარა შვილი იყო და ნამდვილად ღმერთის ნაბოძებად ითვლებოდა, რადგანაც ეყოლათ მაშინ, როცა ბავშვების კეთებას მობეზრებულ საქმედ მიიჩნევდნენ. გივისა და მის წინამორბედს შორის განსხვავება ათ წელზე მეტი იყო.

გივი ამირანაშვილმა პირად საბუთებში ერთი წლით გაიხანგრძლივა სიცოცხლე, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (მაშინ «ტბილუდ» სახელი ერქვა) სამშენებლო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გამხდარიყო. სრული კურსის დამთავრებისთანავე არქიტექტურის განყოფილების ასპირანტურაში ჩააბარა გამოცდები, მაგრამ 1940 წლის ბოლოს გაწვეული იქნა საბჭოთა კავშირის წითელი არმიის რიგებში საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესასრულებლად. გაანაწილეს საქართველოს რესპუბლიკის მესაზღვრეთა №26 ქვედანაყოფში, რომელიც ქ. სოხუმის მახლობლად იყო დაბანაკებული.

ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ხალხთა ომის დაწყებიდან სულ რამდენიმე თვეში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში არსებული სამხედრო ნაწილები გადმოისროლეს თბილისთან ახლომდებარე

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, საქართველოს ეროვნული საბრძოლო დივიზიის შესაქმნელად.

2). ომის «სუსხი»

1941 წლის 22 ივნისს დაწყებულმა ომის «სუსხმა» რიგრიგობით შემოუბერა ჩვენი უბნის თითქმის ყოველ ოჯახს. «პავესტკას» მიჰყვებოდნენ უბნელი ახალგაზრდები, ჯერ სამხედრო კომისარიატში, შემდეგ კი ფრონტისკენ. ომის ქარ-ცეცხლმა ჩვენი ბინის კარიც შემოაღო.

1941 წლის ზაფხულის მიწურულს ჩვენს სანახავად კიკეთში ამოვიდა ბიძაჩემი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გივი, რომელმაც სათითაოდ ყველა ჩაგვკოცნა. როდესაც ხელში ამიყვანა, მახსოვს რომ მოვხადე სამხედრო ქუდი, ე. წ. «პილოტკა» და ჩავიკუჭე ხელებში. გივი ამირანაშვილის «პილოტკა», ახლაც ინახება ჩვენს ოჯახში, 1941 წლის დეკემბერში მის მიერ ფრონტიდან გამოგზავნილ უკანასკნელ წერილებთან ერთად.

1941 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში გივი ამირანაშვილმა შემოირბინა დედ-მამისეულ ბინაში, «ზემელთან» ახლოს მოსკოვის შესახვევ №2-ში, სადაც დაიბადა, აღიზარდა და წარმოსადეგ ახალგაზრდად ჩამოყალიბდა. აღელვებულმა და სახეშეწითლებულმა, მთელი ოჯახისათვის სამწუხარო ამბავი შეგვატყობინა. ტყვიის მსროლელთა 224-ე ქართული დივიზია, რომლის 143-ე პოლკში გადიოდა სამხედრო წვრთნებს ბიძაჩემი გივი, მეორე დღის 12 საათზე საეშელონო მატარებლით გამოვიდოდა ვაზიანიდან და გაემგზავრებოდა ფრონტისკენ. ამ ნათქვამისთვის ოდნავი ღიმილით დაუმატებია: «თბილისის სადგურში ათი წუთით გაჩერებას შეგვპირდნენო». აცრემლებულმა ერთხანს გვიყურა, შემდეგ უეცრად მოწყდა ადგილს და უკანმოუხედავად, სწრაფად გაუჩინარდა.

მეორე დღის დილიდანვე მამა, ბები და ბაბუ აწრიალდნენ და საღღაც წასასვლელად დაიწყეს მზადება. მოღუშულები იყვნენ, და იმ მომენტში მხოლოდ ერთი სიტყვით მაინც თუ გადაულაპარაკებნენ ერთმანეთს. ხშირ-ხშირად საათს დახედავდნენ და ერთმანეთს გადახედავდნენ უსიტყვოდ. რამოდენიმე ხანში ცოტა ხნით სკამებზე ჩამოსხდნენ და მათი სახეების გამომეტყველებაზე შესამჩნევი დაფიქრების შემდეგ, სამივე სწრაფად წამოდგა. გაოცებული ვიდექი და ასეთად მოღუშულებს და სიტყვაუთქმელებს, მათ პირველად ვხედავდი. სიტუაციის მიზეზში ვერ გავერკვიე და ანაზდად გადავწყვიტე, მათი განცდის თანაზიარი გავმხდარიყავი როგორმე. ისღა მოვიფიქრე, რომ ტირილით ავდევნებოდი გარეთ გასულებს და ცრემლებიც წამსკდა მაშინვე. დამწუხრებულად თქმული სიტყვებით ისინი სახლისკენ მაბრუნებდნენ, მე კი შორიახლო მანძილის დაცვით მაინც მივდევდი მათ. ამ დროს მამამ მანქანა გააჩერა. მე პირველი შევარდი მანქანაში და უკანა სავარძლის კუთხეში ჩავჯექი. ბები და ბაბუ ხმაამოუღებლივ ჩემთან ერთად ჩასხდნენ, მამა კი მძღოლის გვერდზე მოთავსდა. გზა ისე გავიარეთ,

რომ ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია და არც მძღოლი ალაპარაკებულა, თითქოს შეგვამჩნია რაღაც მწუხარება. მანქანიდან რომ გადმოვედი, რკინიგზის სადგური ამეტუზა თვალწინ თავისი უჩვეულო სურნელებით. სადგურისკენ აჩქარებით მიმავალ ხალხის ნაკადს ჩვენც შევუერთდით და წამსვე რკინიგზის ბაქანზე აღმოვჩნდით. ზოგიერთებიც სადგურის მოპირდაპირე მხრიდან ლიანდაგებზე გადმოდიოდნენ და სადგურის ბაქანს ავსებდნენ. თორმეტი საათისათვის სადგურში ტევა არ იყო, მხრებით ძალაუნებურად ერთმანეთს ვეხებოდით კიდეც. ვიდექით გასუსულები და თვალებით ერთმანეთს თანავუგრძნობდით შექმნილ სიტუაციას. უკლებლივ ყველას ერთი სატკივარი გვუფლებოდა. ერთმანეთის აჩქრებულ გულისძგერას ვგრძნობდით. ყველამ ერთად შევიკარით სუნთქვა და ჟრუანტელმაც ერთიანად დაგვიარა, როდესაც მოგვესმა ორთქმავლის შემზარავი შეკივლება. შორიდან გვესმოდა მატარებლის მონოტონური ხმაურიც, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. თითქმის ყოველი ან თუნდაც ყველა, გულის სიღრმეში მაინც ვგრძნობდით, რომ სამხედრო ეშელონით, სადღაც სასიკვდილოდ გასაწირ ქართველ მეომართა სიცოცხლე გვიახლოვდებოდა. მთლიანად დავიძაბეთ, სხეულში მოძრავი ადუღებული სისხლი თავის ტვინში ერთიანად გვიგროვდებოდა და ამოფრქვევასაც აპირებდა თითქოს. ცივი ჟრუანტელიც განუწყვეტლივ მოძრაობდა და წრეს გვირტყამდა მთელ სხეულში. წამიერად სუყველა ერთიან ემოციურ გრძნობად ვიქეცით. სულიერად ვგრძნობდით, თითოეულის გულისძგერას აყოლილი მატარებლის ხმაური თუ როგორ ძლიერდებოდა. სადგურთან მოახლოებისას ეშელონის მონოტონურმა სიჩქარემ, თანდათან კლება დაიწყო და სმენასაყოლილი შემაშფოთებელი ხმაურიც ნელდებოდა. საკმაოდ დაკლებული სიჩქარით სადგურში შემოსვლისას ორთქმავალმა გახანგრძლიებული შემზარავი შეკივლებით თითქოს მოგვესალმა სასოწარსაკვეთად განწირულ ხალხს. იმ დროს მოსასმენად აუტანელი ქშინვით და ნელი სვლით მოგვიახლოვდა თითქმის პირამდე ადუღებული ორთქმავალი. თვალსაწიერში გამოჩნდა მას მიტმასნული პირველი საბარგო ვაგონი, მერე მეორე, მას მოყვებოდა მესამეც... ყოველი ვაგონის შუა კარი ბოლომდე იყო გადახსნილი, ფართო კარის პირად ერთმანეთზე მიწყობილად ისხდნენ ჯარისკაცები ჩექმებიანი ფეხებით გარეთ; მათ ზემოდან მოაჯირზე დაყრდნობილების ტევა არ იყო; მათი ზურგიდან იმზირებოდნენ ჯარისკაცთა ცრემლებით სავსე თვალები, აჩქარებით მოძრავი თვალის გუგებით. ყველამ ერთად დაიწყო ყვირილი, ხოლო ბაქანზე ერთიანად ატყდა შეძახილები, რაც გულიდან ამოხეთქილ ყვირილში გადაიზარდა. სხვადასხვა სახელები ირეოდნენ ერთმანეთში; ყველას ყველაფერი ესმოდა და არავის არაფერი. ამტყდარ წივილ-კივილში მოგვიახლოვდნენ ჯარისკაცებდასუნძლული სატვირთო ვაგონები. ჩვენ, ბაქანზე მდგომნი, ყველანი ჯარისკაცის მშობლები და ნათესავები ვიყავით და ვცდილობდით უკანასკნელად მოვფერებოდით და ჩაგვეკრა გულში, რომლებსაც შესაძლებელია ვეღარც კი ვნახავდით; ხოლო ისინი ყველა

ჩვენი შვილები და ნათესავები იყვნენ! რომლებიც უკანასკნელად გვნახავდნენ, რაც შერჩებოდათ და გაყვებოდათ სანუგეშოდ. გაუსაძლისი ემოცია პიკს აღწევდა და არავინ იცოდა რა მოხდებოდა. ვინ იცის, შეიძლება ჩვენც გავყოლოდით ჩვენ შვილებსა და ახალგაზრდა ნათესავებს! მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. გასაჩერებლად მომზადებულმა მატარებელმა, ჩვენდა გასაოცად უეცრად სვლას უმატა. ერთერთმა ჯარისკაცმა მაინც შეამჩნია თვალებანთებული მამა და «გიორგი»-ს ძახილით ქუდი-«პილოტკა» გადაუგდო მას. მერე თითქმის ყველა ვაგონიდან ხალხში ცვიოდა სამხედრო ქუდები... მატარებელმა უმატა და უმატა სიჩქარეს. ბაქანზე მდგარი ხალხის მიერ შეძახილ სახელთა სიმრავლე ერთიანად ნასროლ ჭექა-ქუხილის შეძახილს ჰგავდა. დედების წივილ-კივილში გულსაკლავად წარმოთქმული შვილთა სახელები წამსვე შთაინთქმებოდა მოძრავი ვაგონებიდან გადმოსროლილ სახელებში. სასოწარკვეთილთა შეძახილები ექოს მსგავსი გამოძახილებით შემზარავად იფრქვეოდა ჰაერში. ორივე მხრიდან იმედდაკარგულთა შეძახილებს გულსაკლავად ბოლომდე ფარავდა მოძრავი ბორბლების ხმაური. ორთქმავალმა გამოსამშვიდობებელიც შეჰკივლა ხალხის გასაგონად. გულის ძარღვის მომეტებული ფეთქვით ვგრძნობდით, რომ ლიანდაგსგაყოლილი ეშელონი თანდათან იკარგებოდა და ახალგაზრდულ სიცოცხლეს მიაქროლებდა თითქმის მოუსავლეთში. გვშორდებოდა განწირულთა სიცოცხლე და ოდესმე მათ ნახვას ჩვენს გულებში დასადგურებული იმედი ფარავდა. ყველანი ვგრძნობდით, რომ ცეცხლოვან ლაბირინთებში სამუდამოდ გაქრებოდა ყველაფერზე ძვირფასი: ომში წასულ მამათა, ძმათა, შვილთა სიცოცხლე. და მაინც ამ გრძნობის თანაზიარად ვიმედოვნებდით, ომმოხდილი თითო ადამიანი მაინც დაგვიბრუნდებოდა თბილისურ უბნებს და მას ჩავიკრავდით გულში ყოველი შინმოუსვლელი ქართველის სიცოცხლის სანაცვლოდ. ჩვენ ყველამ მატარებლის ბოლო ვაგონს იმედის თვალი გავაყოლეთ, რაც სამუდამოდ აღბეჭდილიყო ჩვენს ცრემლიან თვალებში. სადგურში უჩვეულო სიჩუმემ გულმოკლულად დაისადგურა. დიდხანს, ჩვენს გრძნობებსა და გონებაში საქართველოს მომავლის გამგრძელებელთა სიცოცხლეს ვაცილებდით უნუგეშო დუმილით. აქა-იქ გაისმოდა ჩუმი ქვითინი და ცრემლით ლოყებდაღარული უხმო ტირილის ამოკვნესაც. ერთმანეთის ნახვის უკანასკნელი იმედის ძაფიც გაუწყვიტეს მამებსა და შვილებს, და-ძმებსა და ნათესავებს, დარჩენილებსა და შინმოსასვლელად წასულებს. რომ გაჩერებულიყო ეშელონი, სიტყვით აუწერელი ამბავი მოხდებოდა. ნამდვილად, მთელი ბაქანი გავყვებოდით იმ ეშელონს საომრად. ალბათ, ასეთივე შეხვედრები და გაცილებები მეორდებოდა საქართველოს ყოველ სადგურში, რომელსაც კი ქართველი მეომრებით დატვირთული საეშელონო მატარებელი გაივლიდა.

გულში დაგუბებული მწარე ნაღველით ბოლომდე შევსებულები, ვტოვებდით რკინიგზის ბაქანს. თითქოს ტრაგედიის მონაწილენი ვშორდებოდით წამებში მომხდარ გაუსაძლისობას და უფრო შემზარავად ვგრძნობ-

დით აუწყობლად გადადგმული ჩვენი ნაბიჯებით გამოწვეულ აუტანელ ექოს.

3). გივი ქერჩის ბრძოლებში

ქართველებით დატვირთული ეშელონი დანიშნულ პუნქტში გაჩერდა. 1941 წლის 18-20 ნოემბრის დღეებში მებრძოლები საქართველოდან დაბანაკდნენ ტამანის ნახევარკუნძულზე, სტავროპოლის მხარეში შემავალ დაბა სლავიანსკოეს მახლობლად. რამდენიმე ათასი ჯარისკაცისგან შემდგარ გაერთიანებას მიაკუთვნეს «224-ე ქართული დივიზიის» სახელი და შეუერთეს 51-ე წითელ არმიას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალ-ლეინტენანტი ვლადიმირ ნიკოლაევიჩ ლვოვი (1941 წლის დეკემბრიდან 1942 წლის 9 მაისამდე, მის დაღუპვამდე). 1941 წლის ნოემბრიდან 1942 წლის თებერვლამდე ქართულ დივიზიას მეთაურობდა პოლკოვნიკი ა. პ. დეგტიაროვი, ხოლო 1942 წლის თებერვლიდან ქართული დივიზია ჩაიბარა ქართველმა პოლკოვნიკმა ვალერიან სერგის-ძე ძაბახიძემ და მეთაურობდა მის დაღუპვამდე (1942 წ. 14 ივნისი).

51-ე წითელი არმიის რიგებში შემავალი ტყვიის მსროლელთა 224-ე ქართულმა საბრძოლო სადესანტო დივიზიამ მონაწილეობა მიიღო ქერჩი-ფეოდოსიის ოპერაციებში, რომელიც მიმდინარეობდა 1941 წლის 25 დეკემბრიდან 1942 წლის 2 იანვრის ჩათვლით (თარიღი, როდესაც დაიღუპა ბიძაჩემი გივი იასონის-ძე ამირანაშვილი). მათ ამ პერიოდში შეტევა განავითარეს გერმანელთა მე-11 არმიის წინააღმდეგ, რომლიც მეთაური იყო ვერმახტის გენერალ-პოლკოვნიკი ერიხ ფონ მანშტეინი. ზღვაზე ამტყდარი დიდი ღელვისა და მტრის განუწყვეტელი ცეცხლის პირობებში ქართველი მეომრებით დატვირთული სადესანტო გემების უმრავლესობამ მხოლოდ 1941 წლის 30 დეკემბერს გადალახა ქერჩის სრუტე. ქართულმა სადესანტო ნაწილებმა განუწყვეტელი ბრძოლებით დაიკავეს პლაცდარმი ქერჩთან ახლომდებარე სანაპირო ზოლში და შემტევითი ბრძოლებიც განახორციელეს მტერზე. სწორედ რომ 1941 წლის 30 დეკემბრიდან 1942 წლის 2 იანვრამდე ბრძოლებში დაიღუპა შალვას უმცროსი ძმა, იასონისა და ასინეთის ნაბოლარა შვილი გივი. 1942 წლის დასაწყისში ბიძაჩემ გივი ამირანაშვილისაგან მივიღეთ 1941 წლის 24 დეკემბრის თარიღიანი სამკუთხედი წერილი, რომელიც ბოლო წერილი იყო მისგან მოწერილი. 51-ე არმიის, 224-ე ქართული დივიზიის, 143-ე პოლკის მებრძოლი გივი იასონის-ძე ამირანაშვილი იტყობინებოდა, რომ «ამ საღამოს გავდივართ ტემრიუკის ნავსადგურში და იქიდან გემებით გაგვიყვანენ ყირიმისკენ. ჩამოგვსხამენ ქერჩის ზღვისპირა ზოლში, სადაც ჩავებმებით ბრძოლაში.» ეს სიტყვები ბოლო ნაწერი აღმოჩნდა მისთვის.

ეს წერილი უკანასკნელი იყო გივი ამირანაშვილისაგან, რომელიც მივიღეთ უკვე მისი დაღუპვის შემდეგ. ეს მაშინ არ ვიცოდით. ოჯახის თითოეულ წევრს არასდროს არ გვქონია გადაწურული იმედი, სადესანტო

მებრძოლ გივი ამირანაშვილის ნახვისა. ყოველთვის მოუთმენლად ველოდით მისგან რაიმე სახის ცნობას, მაგრამ თურმე ამაოდ. ჩვენ მაინც ველოდებოდით და იმედს არ ვკარგავდით.

ერთ დღეს ვიღაც უცხომ შემოაკაკუნა შემოსასვლელ კარებზე და იმ დროს სახლში მარტოდ მყოფ იასონ ამირანაშვილს შეეკითხა «რაიმე ცნობას თუ ფლობდა მეომარ გივი ამირანაშვილის შესახებ». გივის მამა იასონს უპასუხია, «რომ მისი შვილი გივი, დიდი ხანია რაც აქ აღარ ცხოვრობდაო». ამის შესახებ ხელწერილი აუღია უცნობს, გივის მამა იასონისაგან და უთქმელად წასულა.

გივი ხომ 1940 წლის ბოლოს გაიწვიეს ჯარში სავალდებულო სამსახურის შესასრულებლად და გერმანიასთან დაწყებულ ომს წითელარმიელის ფარაჯაში ჩაცმული შეხვდა.

4). «პახარონკა» ფრონტიდან

1942 წლის გაზაფხულზე ფრონტიდან «პახარონკა» მივიღეთ. მაშინ სახლში ბაბუ და მამა ყოფილან. მე და ჩემი ძმა წაყვანილი ვყავდი ბების რუსთაველზე სასეირნოდ. ამას ხშირად აკეთებდა ბები, გვაცნობდა თბილისის ქუჩებს და თან გვიყვებოდა თბილისში მომხდარ ამბებს. მამას და ბაბუს ერთად წაუკითხავთ გივი ამირანაშვილის დაღუპვის ამბავი და შეთანხმებულან, გივის დედისთვის არ გაემხილათ. სიმწუხარეს სიმწუხარე მოჰყვა. იმავ საღამოს იასონ ბაბუ ცუდათ გამხდარა და რამოდენიმე საათში გარდაიცვალა. ექიმმა ტვინში სისხლის ჩაქცევა დაადგინა. ოჯახის ყოველი წევრი შავებით შეიმოსა. იმავე წლის ბოლოს, დეკემბერში მამა ავად გახდა ფილტვების ანთებით. ისეთი ცხელი იყო, რომ ჭამის თავიც არ ჰქონდა. ბებიმ მანდარინი მოიტანა და მისი წვენით უსველებდა ტუჩებს. ავადმყოფს ესიამოვნა და მანდარინის რამოდენიმე ნაწილიც უმალ გადაყლაპა. ამის შემდეგ მამას გამოჯანმრთელებაც დაეტყო და მალე ფეხზეც წამოდგა. სიმწრის ოფლმა მთელ ოჯახს ერთიანად გადაგვირბინა. ღმერთს მადლობას ვწირავდით! ჩვენგან ჩუმათ, ბების თურმე, ეკლესიაში ულოცია და სანთლებიც აუნთია.

1942 წლის გაზაფხულზე გივი ამირანაშვილის შესახებ ფრონტიდან «პახარონკის» მიღებისთანავე მწუხარებით გარემოცული ბიძაჩემი დავითი და მისი ლამაზი მეუღლე ლიუდმილა სამხედრო კომისარიატში გამოცხადებულან ომში წასვლის სურვილით. შალვას შუათანა ძმა დავითი 31-ე სამხედრო ქარხანაში მუშაობდა მაღალკვალიფიციურ თანამდებობაზე და იმდროისთვის ქვეყნისათვის საჭირო საქმეს აკეთებდა. ამიტომ მას ომში გაწვევაზე უარი უთხრეს. ხოლო მისი მეუღლე ლიუდმილა, როგორც ქირურგი-მედდა, ომის ცხელ წერტილებში გაგზავნეს. ჩვენი რუსი რძალი მედლებით გულმკერდდატვირთული დაგვიბრუნდა. «ბედი მქონიაო!» ხშირად ხმამაღლა ამბობდა კიდეც.

ომის პერიოდის ოჯახის მწუხარება ჩემ უმცროს ძმას თვითნებურად დაეტყო. მან თავისებურად აღიქვა შექმნილი მდგომარეობა. ერთ

დღეს ყველას გასაგონად გამოგვიცხადა: «მივდივარ გიტრერის მოსაკლავად»! მაგრამ, როცა ვინმეზე ბრაზმორეული იყო ან რომელიმე ჩვენთაგანზე ნაწყენი, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდებოდა და თავისთვის გაიძახოდა: «არ მოვკლავ გიტრერის! აი, არ მოვკლავ, გიტრერის!».

იასონ ბაბუს გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე ხანში ჩვენი ოჯახის მწუხარებას ახალი მწუხარება დაერთო. მე და ჩემს ძმას გარდაგვეცვალა სულ ახალგაზრდა დეიდა, დედაჩვენის უმცროსი და, მხატვარი ეთერ წერეთელი, რომელიც გართულებულმა ფილტვების ანთებამ იმსხვერპლა. იგი სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო და ფერწერის სპეციალობას ეუფლებოდა.

1943 წლის სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ ომის მსვლელობამ მიმართულება ასოთხმოცი გრადუსით შეიცვალა და დასავლეთისაკენ დაიწყო შეუჩერებელი წინსვლა. ამ ისტორიულმა მომენტმა გაგვაძლიერა ყველა, თბილისის მაცხოვრებელთა უმრავლესობის ოჯახში «პახარონკის» მიღებით დაგროვილი მწუხარების მიუხედავად. ყველანი ომის მსვლელობაზე ვფიქრობდით და ყოველთვის ვიმედოვნებდით, რომ შინმოუსვლელი ოდესმე გამოგვეცხდებოდა საღ-სალამათი.

1943 წლის სექტემბრიდან ჩვენს სახლთან ახლომდებარე საბავშვო ბაღში გაგვამწესეს. დილით რომ ვემზადებოდით ბაღში წასასვლელად, სკამზე კოხტად დალაგებული გასუფთავებული ტანსაცმელი გვხვდებოდა (წინადღით ფეხბურთის თამაშის დროს მტვერში ამოთხვრილის ნაცვლად). საწოლთან ახლოს იატაკზე ეწყო გაწმენდილი ფეხსაცმელებიც. ძმამ როგორც იქნა დაიმახსოვრა, რომელი ფეხსაცმელი თუ რომელ ფეხზე უნდა ჩაეცვა. შემდეგ, «ნასკებზე» გვეკითხებოდა: «რომელი ფეხისააო». იგი ბავშვობიდანვე გამჭრიახი გონებით გამოირჩეოდა და ხშირ შემთხვევაში თავისებურად გვემასხრებოდა. რომ ვპასუხობდით, ჩაიცინებდა. ბები მსუბუქად გვასაუზმებდა. შემდეგ გამოგვაცილებდა და საბავშვო ბაღისკენ მიმავალ ძმებს თვალს დიდხანს გვაყოლებდა. ჩვენი ბინა ყოველთვის სუფთად გამოიყურებოდა, რაც ბების აუცილებელი შრომის შედეგს წარმოადგენდა. და თუ სადმე იატაკზე უდიერად გადაგდებულ დაკუჭულ ქაღალდს ან რაიმე უვარგის ნივთს ნახავდა, ბები დაიხრებოდა, აიღებდა და სანაგვე ყუთში ჩააგდებდა. არასდროს უთქვამს, ვინ გადააგდო, ან რატომ არ ჩააგდეთ სანაგვეში. მისი ყოველი ქცევა სამაგალითო იყო ჩვენთვის. სწორედ ამის გამო, ჩვენ თვითონვე ვცდილობდით, რომ სისუფთავე და სიწესრიგე ყოფილიყო ჩვენს ბინაში.

საბავშვო ბაღში ერთი დასამახსოვრებელი ამბავიც მოხდა. ბაღის ერთ მხარეს ქუჩისაგან ყოფდა შვეული გისოსები. ბავშვები ვთამაშობდით, მოწყენილ თუ ვიღაცაზე გაბრაზებულ ბუხუს სახე მიედო გისოსებზე და ქუჩის ცქერით ირთობდა თავს. იგი ჯგუფის დანარჩენ ბავშვებზე ერთი წლით უმცროსი იყო, და ამას თავისი გაჰქონდა. უცებ მისი სლუკუნი მოგვესმა. გავიხედეთ მისკენ და დავინახეთ, რომ მას გისოსებს შორის თავი გავარდნოდა გარეთ ქუჩისკენ და ვეღარ ახერხებდა უკანვე შემოტანას. ჩვენ ჩვენებურად წამოვეხმარეთ, მაგრამ ამაოდ.

გისოსებს ხან ყურები ედებოდნენ, თავის ოდნავ მოტრიალებით კი ნიკაპი რჩებოდა გარეთ ქუჩისკენ. ჯგუფის ხელმძღვანელი რომ ვერაფერს გახდა, გაიქცა ვიღაცის მოსაყვანად. ამ მდგომარეობაში მყოფ ბუხუზე ეცინებოდა ყველას, ჩემს გარდა. გამოჩნდა ვიღაც კაცი, რკინის ლომით ხელში. ღონივრად გასწია ცალი გისოსი და გაჭედილი თავიც განთავისუფლდა. ორივე ძმა, ადრიანად სახლში გაგვიშვეს. სახლში ადრე მოსვლის მიზეზი ორივემ დავმალეთ.

VII

1). მუზეუმ «მეტეხი»-ს მზადება ევაკუაციასთვის

მეორე მსოფლიო ომის ფრონტის ხაზი ჩრდილო-დასავლეთიდან კავკასიონს მოადგა. იქმნებოდა მოხალისეთა ქართული რაზმეები და ორი თუ სამკვირიანი სამხედრო წრთვნის გავლის შემდეგ იგზავნებოდნენ ცეცხლის ხაზზე სამშობლოს დასაცავად. თბილისი თანდათან აღიქვამდა მოახლოებულ ხიფათს. მოსახლეობა უფრო მეტად განიცდიდა ცეცხლით შედუღაბებული ბრძოლების ექოს, რაც საიდანღაც გადმოგვეცემოდა თითქოს.

რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ მამის მონაყოლიდან მახსენდება, რომ ხელოვნების მუზეუმ «მეტეხის» დირექტორს, შალვა ამირანაშვილს მტრის თბილისში შემოსვლის შემთხვევაში სამუზეუმო ექსპონატების გადასამალავად სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე მომზადებული ჰქონდა ცეცხლგამძლე სამალავები.

უკვე მშვიდობიანობის პერიოდში მე დავინტერესდი, თუ ტერიტორიულად სად იყო მხატვრულ ექსპონანტთა სამალავები. მამამ მაინც არ მიმხელდა მათ ადგილმდებარეობას. თურმე, ნუ იტყვით და, ეს, მუდმივ სახელმწიფოებრივ საიდუმლოებას წარმოადგენდა და მშვიდობიანობის დროსაც საიდუმლოდ დაიტოვა, წინდახედულობით პირმოკუმულმა მამამ.

2). მამა «ადაკემიკოსია»

1943 წლის ნოემბრის თვის დასაწყისი იყო. ერთ ღამეს ძმა ბუხუს უდროოდ გაღვიძებოდა, საწოლზე წამომჯდარიყო და რაღაცის თქმას აპირებდა. მეც გამღვიძებოდა თურმე. «რაო, შვილო?», წყნარად მიმართა გამოფხიზლებულმა ბებიმ. «მამაჩემი ადაკემიკოსია» უთქვამს ბუხუს, თავი ბალიშში ჩაურგია და ტკბილად გაუგრძელებია ძილი. მართლაც, მოგვიანებით მივიღეთ ცნობა, რომ «ერმიტაჟის» დირექტორის, აკადემოკოს იოსიფ ორბელის წარდგინებით საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი. ეს დიდი სიხარული იყო ჩვენთვის, როგორც მისი ოჯახისათვის, ისე ყოველი მეზობელი ოჯახისათვისაც. უბანში მოგვევლინა

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რითიც ვამაყობდით ყველა.

ომის მსვლელობის შესახებ მიღებული ინფორმაციით აღსავსე დღეები და თვეებიც ერთ ძაფზე აკინძულად მიყვებოდნენ ერთმანეთს. ოთახის კედელზე მილურსმული შავკარდონიანი მრგვალი რადიოთი მოსმენილი ცნობები თანდათან გვაგრძნობინებდნენ მონატრებული მშვიდობის სიახლოეს.

3). ბაგრატიონ-მუხრანსკაიას გვარის ქალბატონი ანა: «მადამ ბონ-ჟურ»

ჩვენი სახლიდან არც თუ ისე შორს, მაგრამ მეტად შემაღლებულ გორაკზე, წითელი აგურისგან ნაშენ და გისოსებიანი ფანჯრებით მოხდენილად ჩასმულ ერთსართულიან მოგრძო სახლში, ცხოვრობდა (მათი შთამომავლობა ცხოვრობს ახლაც) ბაგრატიონ-მუხრანსკაიას სამეფო გვარის ერთ-ერთი ჩინებული ოჯახი. მამაჩემს შალვას კეთილმეგობრული ურთოიერთობა ჰქონდა ამ ძვირფას ოჯახთან, რაც მრავალწლოვან ხანგრძლიობას მოითვლიდა. 1944 წლის ადრიან გაზაფხულზე როცა ბაგრატიონთა ფერდობზე თოვლი ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო შემდნარი, ხოლო ირგვლივ უკვე გამთბარი ჰაერის მონატრებული სურნელი იფრქვეოდა, მამამ ორივე ძმა სტუმრად მიგვიყვანა შემაღლებული თხემიდან მედიდურად გადმომყურე სამეფო გვარის ერთ-ერთ ოჯახში. მუხრანელ ბაგრატიონთა საბრძანებელის შესასვლელის კარი მოკრძალებული ღიმილით გაგვიღო ჯერ კიდევ ახალგაზრდული იერით გამომყურე და შთამომავლობით არისტოკრატიული გარეგნობით დაჯილდოებულმა ქალბატონმა. მასპინძელმა, ჩემთვის უცხო ენაზე მამა-შვილები მიგვიპატიჟა სასტუმრო ოთახში, რომლის კედლებზე მიდგმული იყო ძველებური ფორმებით აჩუქურთმებული ავეჯი. ახალგაცნობილი ქალბატონის ხმის ტემბრი და მანამდე გაუგონარი სიტყვები: «ბონ ჟურ, მეზ ამფან!», გამოთქმული უცნაური ინტონაციით იმთავითვე სამუდამოდ დამამახსოვრდა იმავე წარმოთქმით. ქალბატონმა შეუსრულა თხოვნა მამაჩვენს: ესწავლებინა ჩვენთვის ფრანგული ენა. უცნაურმა შეხვედრამ სათანადო შედეგი გამოიღო: ამ ჩვენ ფრანგულის მასწავლებელს სახელად «მადამ ბონჟური» შევარქვით. გაკვეთილებზე ხან ჩვენ ავდიოდით მასთან, ხან კი თვითონ ჩამოდიოდა ჩვენთან. რაც მაშინ მისგან ავითვისე ფრანგული, ჩაბეჭდილია ჩემში და ქართულივით ის მახსოვს დღესაც. სიკეთით აღსავსე და უმაღლესი კულტურის გამომვლინებელი, წარმომავლობით (მის წარმომავლობას ინატრებდა ამქვეყნად შობილი ღვთისნიერი) იყო მუხრანელ ბაგრატიონთა შთამომავალი ან ნათესავი, სახელად ანა (მამასთვის მაშინ არ მიკითხავს ჩვენი მასწავლებლი ბაგრატიონი იყო თუ მათი ნათესავი). ჩვენ ძმებმა დედა-შვილური ურთიერთობა ვიგრძენით მისგან და სანატრელი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა თავიდანვე.

კვირაში ორჯერ გვქონდა ფრანგულის მასწავლებელთან შეხვედრის ბედნიერება და ჩვენც, თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდით ჩვენთვის სასიამოვნო ურთიერთობას. თითქმის მოწყურებული ვსწავლობდით ახალ ენას და ასევე, «მადამ ბონჟურის» რეჟისურით ვდგამდით წარმოდგენებს, მხატვრული გამოთქმით ვამბობდით ლექსებს, ფრანგული ინტონაციით და ყველასათვის გასაგებად გამოვთქვამდით ზოგჯერ ჩვენთვის გაუგებარ ფრანგულ სიტყვებსაც.

1944 წლის ივნისის ბოლო დღეებში გამოვეთხოვეთ საბავშვო ბაღს, სადაც თურმე ჩვენთან მეგობრობდა (და ერთ «გარშოკზეც» მსხდარვართ) გამოჩენილი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის გიორგი ნატროშვილის პირმშო ვაჟიშვილი თამაზი, რომელმაც მამამისივით მწერლობით გაიკაფა ცხოვრებისეული გზა. რატომღაც ჩვენ იგი დავიწყებული გვყავდა და ვერც გავიხსენეთ, როდესაც უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზე გამოვემცნაურეთ ერთმანეთს. ჩვენ თავი ვინუგეშეთ იმით, რომ მან ადვილად დაგვიმახსოვრა, როგორც ძმები ამირანაშვილები და ამიტომ გაუადვილდა ჩვენი ამოცნობა. ჩვენ ძმებმა ტრადიცია არ დავარღვიეთ. ჯერ ერთად საბავშვო ბაღში, მერე ერთად დავამთავრეთ სკოლა, შემდეგ ისევ ერთად უნივერსიტეტი და ერთად ვმუშაობდით მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. ეს მაშინ, როცა ჩვენ შორის განსხვავება წელიწადნახევარზე ოდნავ მეტი იყო.

ისევ როგორც ერთად დავდიოდით საბავშვო ბაღში, 1944 წლის პირველი სექტემბრიდან სკოლაშიც ერთად მიგვაბარეს. და ყოველთვის ერთ მერხზე ვისხედით: პირველ კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ანუ სკოლის დამთავრებამდე.

4). თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის დირექტორი: ბატონი ჯაჯუ ჯორჯიკია (უნებლიე ექსპერიმენტი)

1944 წლის სექტემბერში გაგვამწესეს თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც თითქმის ორი კილომეტრით იყო დაშორებული ჩვენი სახლიდან. ყოველთვის მშურდა უბნელი თანატოლების, რომლებიც იქვე ახლოს, ბარნოვის ქუჩაზე მდებარე ვაჟთა მეშვიდე საშუალო სკოლაში სწავლობდნენ. ჩვენი სკოლის დირექტორი ბატონი ჯაჯუ ჯორჯიკია, თურმე, ნუ იტყვით და, მამის მეგობარი ყოფილა. ჩემ ძმას არ იღებდა სკოლაში, «პატარააო და დაიჩაგრებაო»; მამას კი უთქვამს, «ძმებს ვერ დავაშორებო». მაშინ ბატონი ჯაჯუ დათანხმებულა და მამისთვის უპასუხია: «ჯერ ვერ ჩავრიცხავ, სიარულით კი იაროს სკოლაში, ვნახოთ, შეიძლება დაიწყოს კიდეც სწავლაო».

იმ წლის ოქტომბრის თვეში ჩემს ძმას ექვსი წელი უსრულდებოდა. დირექტორის თხოვნით კლასის დამრიგებელმა ძმები ამირანაშვილები ერთ მერხზე მოგვათავსა. ჩემზე წელიწადნახევრით უმცროს ძმას გაკვეთილებზე მერხთან ჯდომა რომ მობეზრდებოდა, ხან ფანჯარის რაფას მიადგებოდა და ეზოში იყურებოდა, და ხან კლასის კარებსაც მო-

ურიდებლად აღებდა, გადიოდა და დერეფანში წინ და უკან სეირნობდა. როცა დაიღლებოდა, ასევე მოურიდებლად შემოაღებდა კლასის კარებს და მერხზე დაჯდებოდა დასასვენებლად. იყო შემთხვევები, აიღებდა ცარცს, იატაკზე დახატავდა კვადრატებს და სიმარტოვეში კლასობანას თამაშობდა კლასში. დამრიგებელი მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევდა ჩემი ძმის მოურიდებელ საქციელს და დირექტორს თხოვნას მეტისმეტი მოთმინებით უსრულებდა. ზუსტად ორ თვეში თავისებური ბავშვობა მობეზრდა ბუხუს და სერიოზულად შეუდგა სწავლას. ცოტა ხანში წამოგვეწია კიდეც და წარმატებითაც პასუხობდა წინა დღით ნასწავლ გაკვეთილებს. ექვსი წლის მოწაფემ შესანიშნავად დაძლია პირველი კლასი.

თბილისის პირველი ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორ ჯაჯუ ჯორჯიკიასთვის ექვსი წლის ბავშვის პირველკლასელობა პირველი ექსპერიმენტი იყო მთელ საქართველოში და წარმატებულიც.

VIII

1). 1944 წლის 22 ოქტომბერი: დასამახსოვრებელი თარიღი

1944 წლის ოქტომბრის თვის მეორე ნახევარში შ. ამირანაშვილი, როგორც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ახლადარჩეული (1943 წ. ოთხი ნოემბერი) წევრ-კორესპონდენტი გაემგზავრა მოსკოვში, სსრკ მეცნიერერებათა აკადემიის სესიაზე მონაწილეობის მისაღებად. სესიის გახსნის დღესვე, ჯიხურში შეძენილ ერთ-ერთი ცენტრალური («პრავდა» ან «იზვესტია») გაზეთიდან შეიტყო, რომ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გენერალი შარლ დე გოლი 1944 წლის დეკემბრის თვის პირველ დეკადაში ვიზიტად ჩამოვიდოდა მოსკოვში საბჭოთა კავშირის მთავარსარდალ იოსებ სტალინთან შესახვედრად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებისა და ხელმოწერების მიზნით.

ამ ინფორმაციის გაცნობიერებისთანავე შ. ამირანაშვილის მეხსიერებაში გააზრებულად ამოტივტივდა დაუვიწყარი მოგონება წარსულში მომხდარი ერთი ისტორიული ფაქტის შესახებ. კერძოდ, XIX საუკუნის განმავლობაში, იმპერიული რუსეთის მიერ ორ გუბერნიად ქცეული საქართველოს როგორც ეროვნული საცავებიდან, ისე ქართული ეკლესიებიდან რუსი ეგზარხოსების მიერ მალულად ამოღებული იქნა საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ქართული განძეულობის უმდიდრესი ნაწილი. ქურდულად დასაკუთრებული ქართული ისტორიული ფასეულობა ფარულად გაიტანეს საქართველოდან და დააბინავეს მოსკოვის, პეტერბურგისა და სტავროპოლის მხარის სიძველეთსაცავებში (და კიდევ სხვაგან, რომლის შესახებ ინფორმაცია თავის ჩანაწერებში აღნიშნული აქვს ექვთიმე თაყაიშვილს). 1923 წელს განხორციელდა რუსეთში დაბინავებული ქართული სიძველეების უდიდესი ნაწილის დაბრუნება

საქართველოში, რაც უშუალოდ განხორციელდა ი. სტალინის დახმარებით.

მცირე ისტორიული ექსკურსი:

რუსეთის ფედერაციის საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირიდან სამხრეთ კავკასიაში შემოსულმა მე-11 არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918 წ. 26 მაისი — 1921 წ. 24 თებერვალი) დაპყრობა და მისი სრული ანექსია განახორციელა 1921 წლის თებერვალ-მარტის თვეებში.

საქართველოს თავისუფლების დასაცავად თავგანწირული ბრძოლების წარმართვისა და მტრის მოგერიების სანაცვლოდ დემოკრატიულმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას თაოსნობით აიკრა გუდა-ნაბადი და გაუდგა ევროპის გზას. საქართველოს დასაცავად გამოსულ გულანთებულ ქართველებთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო «იუნკერებად» წოდებულმა ქართველთა ახალგაზრდობამ. ისინი კოჯორ-ტაბახმელას მხრიდან სიცოცხლის ფასად იცავდნენ თბილისს და რამდენჯერმე შეტევაც განახორციელეს რუსეთიდან შემოსულ დამპყრობელის წინააღმდეგ. მტრის მრავალრიცხოვნობამ და უკეთ შეიარაღებამ თავისი გაიტანა და 1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებლობას გამოესალმა უმთავრობოდ დარჩენილი საქართველო.

1921 წლის 25 თებერვიდან 10 მარტის პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ქართველ ინტელიგენციის ნაწილთან ერთად საქართველოდან გაიხიზნა საფრანგეთში. გამჭრიახი დემოკრატიული მთავრობა ხელცარიელი არ წასულა საზღვარგარეთ. ევროპაში ცხოვრების უზრუნველსაყოფად მათ გაიტანეს სახელმწიფო ხაზინა მთლიანად და ასევე ხელს გააყოლეს საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხის მიერ შექმნილი საეკლესიო და სამუზეუმო ისტორიულ საგანძური. წინააღმდეგ შემთხვევაში ე. ი. საგანძური რომ არ გაეტანათ, საქართველოს ისტორიის კლასიკოსი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის მართებული დასკვნით «საბჭოთა საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა» და ღმერთმა უწყის, რა ბედიც ეწვეოდა! XX ს-ის 20-იან და 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობდა, რომ ძნელია ვივარაუდოთ, გადაურჩებოდა თუ არა ქართული განძი საბჭოურ ძნელბედობას. საფრანგეთში გატანილი ქართული საეკლესიო და სამუზეუმო გაძეულობის მცველად და მეთვალყურედ დანიშნული იყო დემოკრატიული საქართველოს მთავრობის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი. მან პირნათლად შეასრულა ქართველი ხალხის ისტორიული საგანძურის მოვლა-პატრონობაზე დაკისრებული ისტორიული მისია.

ქართული საუნჯის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების საკითხი ყოველთვის წარმოადგენდა ექვთიმე თაყაიშვილის ყოველდღიურ

საზრუნავს. ამ საქმის გადაწყვეტამ მალე პოლიტიკური ელფერი მიიღო, რაც საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ლიდერთა დონეზე მოსაგვარებელი აღმოჩნდა.

1944 წლის ოქტომბრის თვე იდგა. შ. ამირანაშვილის მართებული მოსაზრებით მხოლიდ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის უმაღლეს წარმომადგენელთა შორის გამართული მოლაპარაკების შემთხვევაში დადებითად გადაწყდებოდა საქართველოდან საფრანგეთში 1921 წელს გატანილი ქართული სამუზეუმო და საეკლესიო განძეულობის სამშობლოში დაბრუნების საკითხი.

ამ საქმის აღძვრის მიზნით ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილმა მიმართვა შეადგინა ი. სტლინის სახელზე და 1944 წლის 22 ოქტომბერს ჩააბარა კრემლის კომენდატურას. ამავე დროს, ქართული განძეულობის მეთვალყურემ, საფრანგეთში ემიგრანტად მცხოვრებმა ექვთიმე თაყაიშვილმა 1944 წლის 23 ნოემბერს წერილობით მიმართა საბჭოთა კავშირის საელჩოს, რათა ეშუამდგომლა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლის წინაშე საქართველოსათვის დაებრუნებინა ქართველი ხალხის ეროვნული საკუთრება. წინმსწრებით აღვნიშნავ, რომ შალვა ამირანაშვილისა და მისი მასწავლებლის ექვთიმე თაყაიშვილის პოლიტიკურად გამართლებულმა მცდელობებმა დადებითი შედეგი გამოიღეს.

2). ინციდენტი კრემლის კომენდატურაში

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1944 წლის 22 ოქტომბერს, ი. სტალინის სახელზე შედგენილი წერილის მიღებაზე თავიდანვე კრემლის კომენდატმა უარი განუცხადა შ. ამირანაშვილს.

«За невыполнение ваших прямых объязанностей Вы пойдете под трибунал. А это в период военного времени: Расстрел!» მკაცრად და მთელი სერიოზულობით შეუტია კრემლის კომენდანტს შალვა ამირანაშვილმა. მხოლოდ ამ სიტყვების შემდეგ, კრემლის შეტეხილმა კომენდანტმა დაუყოვნებლივ ჩაიბარა შალვა ამირანაშვილის მიმართვა ი. სტალინის სახელზე.

3). პოლიტიკური ისტორიიდან: მსოფლიო ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირის აღიარება სრულუფლებიან ერთ სახელმწიფოდ

როგორც ცნობილია, 1932 წელს ევროპულმა სახელმწიფოებმა და შემდეგ მსოფლიომ საბჭოთა კავშირი ცნეს ერთიან სახელმწიფოდ. ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია საფრანგეთში გახიზნული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გაუქმება, რადგან დემოკრატიულმა საქართვეოლომ არსებობა შეწყვიტა. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის სახელით საფრანგეთის ნაციონალურ ბანკში შესანახად ჩაბარებული ქართული სამუზეუმო და სა-

ეკლესიო საგანძური, როგორც უპატრონოდ დარჩენილი ქონება (რომელსაც მიემატა ქონების შენახვისათვის 13-წლიანი საბანკო დავალიანება) ფრანგული სახელმწიფო კანონების საფუძველზე დაექვემდებარა კომფისკაციას. ქართული ეროვნული საუნჯე, უკლებლივ ყოველი ისტორიული ნივთი მთლიანად გადავიდა საფრანგეთის ნაციონალური ბანკის საკუთრებაში. ყოველგვარი იურიდიული წესების დაცვით საფრანგეთის ნაციონალური ბანკის კუთვნილებაში აღმოჩნდა ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯე. საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით 1935 წელს მარსელის რეგიონალური ბანკიდან ქართული განძი გადატანილი იქნა პარიზის სათაო ბანკში. ქართული განძის მეთვალყურედ დაინიშნა პიერ ჟოდონი.

4). საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლის ვიზიტი მოსკოვში 1944 წლის 2-9 დეკემბერი

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გემერალი შარლ დე გოლი 1944 წლის დეკემბრის თვის პირველ დეკადაში ვიზიტად იმყოფებოდა მოსკოვში საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალ იოსებ ბესარიონის ძე სტალინთან სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკების მიზნით. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდისთვის საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება. ორი სახელმწიფოს ლიდერთა შორის დადებული ხელშეკრულების სრული ტექსტი გამოქვეყნდა 1944 წლის 19 დეკემბერს, №293 გაზეთ «Известия»-ში.

საფრანგეთში გამგზავრებამდე მოსკოვში ჩასული შ. ამირანაშვილი და პ.შარია შეხვდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს. ამ შეხვედრაზე ვ. მ. მოლოტოვმა დაუდასტურა ქართველ მისიონერებს, რომ მისი თანდასწრებით ი. სტალინი მოელაპარაკა შარლ დე გოლს ქართული განძის შესახებ და მიიღო მისგან დაპირება 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართული სამუზეუმო და საეკლესიო გამძეულობის საქართველოში დაბრუნების თაობაზე. ვ. მ. მოლოტოვმა ისიც დაადასტურა, რომ საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩის ბოგომოლოვის ინფორმაციით პარიზში ჩასვლისთანავე გენერალმა შარლ დე გოლმა უბრძანა ქართული განძის ფრანგ მცველს პიერ ჟოდონს ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე გადაეცა ქართული განძეულობა საბჭოთა კავშირის საელჩოსათვის, რაც განხორციელდა კიდეც 1944 წლის 10-15 დეკემბრის დღეებში. ასე, რომ ქართული განძეულობა მზად არის საქართველოში წამოსაღებად. დაასრულა სიტყვა ვ. მ. მოლოტოვმა და გზა დაულოცა ქართველებს. აი, რა იყო საფრანგეთში გატანილი ქართული განძეულობის საქართველოში დაბრუნების საფუძველი.

IX

1). მზადება საფრანგეთში გასამგზავრებლად

საფრანგეთში გამგზავრებამდე რამოდენიმე დღით ადრე, შ. ამირანაშვილი გამოძახებული იქნა ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში, სადაც მოთხოვეს მას წერილობითი თანხმობა საფრანგეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ისტორიული მნიშვნელობის მისიის შესრულებისას შ. ამიარანაშვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ან მოულოდნელი გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახის (ოთხი სულის შემადგენლობით: მეუღლე ვალენტინა სერგეევნა სტროევა, შვილები: გულბადი, ჯუანშერი, ნათელა ამირანაშვილები) უზრუნველყოფა მოექცეოდა სახელმწიფოს იურიდიულ ვალდებულებაში. ამ დოკუმენტისათვის დაუფიქრებლივ მოუწერია ხელი ოჯახის თავს შალვა ამირანაშვილს. მრავალი წლის გასვლის შემდეგ, ჩემს შეკითხვაზე: «ხელის ერთი მოსმით გვწირავდი ოთხსულიან ოჯახს?», მამამ განმიმარტა: «სულიერად ვგრძნობდი და დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ყველაფერი მშვიდობით დასრულდებოდა. ერთი წამითაც არ მიფიქრია სხვაგვარად».

2). გზად საფრანგეთისკენ

ორ ქართველ მგზავრთან (პეტრე შარია და შალვა ამირანაშვილი) ერთად მოსკოვიდან გამოფრენილმა თვითმფრინავმა გადაკვეთა საბჭოთა კავშირის საზღვარი და ჯერ თეირანში დაეშვა, ხოლო შემდეგ კი კაიროში, სადაც ერთი დღე-ღამით შეჩერდნენ წინასწარ დაჯავშნულ სასტუმროში.

მამა მიამბობდა:

«მე და პეტრე შარიამ მანქანით შემოვიარეთ კაიროს ფართე და ვიწრო ქუჩები, შორიდან თვალი შევავლეთ საუკუნეებგამოვლილ პირამიდებს. მინდოდა კაიროს ბიბლიოთეკაშიც მოხვედრა, სადაც XIII ს-ის არაბი ისტორიკოსის ალ-ფარაბის ნაშრომის ათტომეულია დაცული, რომლის ერთერთ ტომში მოთავსეულია შოთა რუსთაველის მიერ არაბულ ენაზე შექმნილი პოეზია, მაგრამ დროის სიმცირის გამო ეს არ მოხერხდა».

ჩემს შეკითხვაზე, თუ საიდან ქონდა მას მიღებული ეს ინფორმაცია, არ მიმხელდა ეგოისტურად მოაზროვნე მამა.

3). შტორმი ხმელთაშუაზღვაზე, ბენგაზიდან მარსელში გადაფრენის დროს.

შ. ამირანაშვილის მონაყოლიდან:

კაიროდან ჩავფრინდით ლივიის ქალაქ ბენგაზში. აქაც ერთი დღით შესვენების შემდეგ თვითმფრნავმა გეზი მარსელისკენ აიღო. აფრიკის კონტინენტიდან ევროპისკენ გამოფრენის დროს, ხმელთაშუაზღვაზე შესანიშნავი მზიანი ამინდი იდგა. ერთი საათის ფრენის შემდეგ ამინდი მყი-

სიერად შეიცვალა. მოულოდნელად ამოვარდა ძლიერი ქარი, რომელმაც ჩვენი თვითმფრინავი ნაფოტივით ისე აათამაშა, რომ საიდანაც ქარიშხალი შემოუბერავდა ჩვენი თვითმფრინავი მასთან ტანდემში მოძრაობდა. ამის გამო გზადაგზა აღებული გეზი ეკარგებოდა შტურმანს, რომელიც რის ვაი-ვაგლახით უბრუნდებოდა დასახულ მარშრუტს. შექმნილი მდგომარეობა იმდენად იყო გართულებული, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო კატასტროფა. ინგლისელ ქალთათვის დამახასიათებელი «უშნო» სილამაზის სტიუარდესა ქალმა მგზავრებს კისერზე წამოგვაცვა წყალზე მოტივტივე მაშველი რგოლები, სადაც დამაგრებული იყო წყალგაუმტარ ქაღალდში კოხტად შეხვეული ორი დღისთვის საჭირო ულუფა. ასევე დაგვირიგეს მოგრძო დანებიც, წყლის სამყაროს მკვიდრ მასპინძელთაგან თავდასაცავად დაუპატიჟებელი სტუმრობისთვის. რამოდენიმე ხანში აკვანივით დარწეული თვითმფრინავის ილუმინატორიდან ყველამ დავინახეთ, იმ დროს ჩვენი შვების კუნძულად ქცეული კორსიკა. თვალსაწიერში ჩანდა აეროპორტი, მის ტერიტორიაზე უმისამართოდ მოძრავი სასწრაფო და სახანძრო მანქანები, ასევე ვამჩნევდით თავგზააბნეულად მორბენალ თეთრხალათიანებსაც. თვითმფრინავი წრეს წრეზე არტყამდა უკვე მერამდენეჯერ და ხელსაყრელ წუთს ეძებდა დასაჯდომად. ქარის ძლიერი ჭავლი წამიერ შეწყდა და ამ მომენტშივე თვითმფრინავიც მოწყვეტლივ დაეშვა დასაფრენ ბილიკზე. ბორბლებით შეეხო თუ არა ტრასას, მყისიერ ძლიერ დაამუხრუჭა. ქარიშხლის დაგვიანებულმა ნაკადმა მაინც საგრძნობლად შეატორტმანა საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონის მშობლიურ ქალაქ აიაჩოს აეროპორტში მშვიდობით დაშვებული ფათერაკგამოვლილი თვითმფრინავი. ჩვენ გადმოვედით და სული მოვითქვით კორსიკელი იმპერატორის ბავშვობის პერიოდიდან გამოყოლილი სურნელოვანი ჰაერით. აეროპორტის მომსახურე პერსონალმა თვითმფრინავს მომდგარ მანქანებში ღიმილღიმილით ჩაგვსხეს განსაცდელს თავდაღწეული მგზავრები და სწრაფად მიგვიყვანეს აეროპორტის მოსაცდელი დარბაზის შესასვლელთან.

სულ ერთ საათში გამოიდარა და ევროპელთა მზეც გამობრწყინდა. მბორგავი ამინდიც ისე გაისუსა, თითქოს არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა ცოტა ხნით ამტყდარ ქარიშხალში. ფათერაკგამოვლილი თვითმფრინავის გმირმა ეკიპაჟმა გაბრუებული მგზავრები თავმომწონედ მიგვიპატიჟა გაშინაურებულ სალონში და სულ ნახევარი საათის ნარნარი ფრენით ჩაგვიყვანეს მარსელიოზით განთქმულ ქალაქნავსადგურ მარსელში.

მარსელიდან პარიზისკენ რომ გავფრინდით განსაცდელს გადარჩენილები ახალ ხიფათს გადავეყარეთ. საიდანღაც გერმანელი მეზენიტეები ცეცხლით გაგვიმასპინძლდნენ და თვითმფრინავის თითქოს-და არაფრისმაქნისი კუდი საგრძნობლად დააზიანეს. გამოცდილმა პილოტებმა ისევ ტარანისებური სისწრაფით დასვეს თვითმფრინავი სადღაც მინდორში, დაბა დიჟონთან. სასოწარკვეთილმა მგზავრებმა სასწრაფოდ დავცალეთ კუდდამწვარი თვითმფრინავი. სათანადო ზომების მი-

ღების შემდეგ არაქათდაცლილი თვითმფრინავი მაინც მოამზადეს გასაფრენად, მაგრამ თავგანწირვით ფრენის გაგრძელებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

გადარჩენილი თვითმფრინავიდან პილოტი დაუკავშირდა პარიზს. სულ რამოდენიმე საათში პარიზში გასამგზავრებლად ორ ქართველს შემოგვთავაზეს ევროპის ჭიპიდან წამოსული საბჭოთა კავშირის საელჩოს მანქანა.

პარიზში ჩასვლისთანავე (1945 წლის 2 იანვარი) მოვინახულე ჩემი მასწავლებელი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც უკვე საბჭოთა კავშირის საკონსულოს სახლში ცხოვრობდა.

«როგორ დაბერებულხარ, შალვა, ძლივს გიცანი», შეხვედრისთანავე მითხრა თმებგათეთრებულ ორმოცდახუთი წლის კაცს მხნედგამომყურე ოთხმოცდაორი წლის ექვთიმე თაყაიშვილმა.

4). პარიზის ბუკინისტურ მაღაზიებში

შ. ამირანაშვილის ნაამბობიდან:

პარიზში ყოფნისას, თუ თავისუფალ დროს გამოვნახავდი, დიდხანს ფეხით დავდიოდი მის თვალწარმტაც ქუჩებში, მივადგებოდი მოედნებსა და უბნებს, რომელთა შესახებ ბევრი მქონდა წაკითხული. განსაკუთრებით მიტაცებდა სიცოცხლით სავსე მონმარტრი, დედანში ვეცნობოდი ფრანგული არქიტექტურის ისტორიულ ძეგლებს. გულგრილად ვერ ჩავუვლიდი წიგნებით აჭრელებულ ბუკინისტურ მაღაზიებს, რომლებსაც ხშირად ვსტუმრობდი. ჯიბის ფულად გამოყოფილი ფრანკებით ჩალის ფასად ვიძენდი ხელოვნების უნიკალურ ნაშრომებს. ყუათიანი საჭმელსასმელს მონატრებული ომსგამოვლილი ფრანგები ყიდდნენ ყველაფერს, რასაც ფასი ედებოდა და რის გაყიდვაც შეიძლებოდა. თვალწარმტაც პარიზის ქუჩებში მოსეირნემ მალევე შევამჩნიე, რომ ვიღაც ფრანგი კვალაკვალ დამდევდა თუ დამყვებოდა, შორიდან მათვალიერებდა თუ მითვალთვალებდა. აინტერესებდა გაეგო, თუ რა მიზანსწრაფვით ვიყავი გამსჭვალული, რა შინაარსის პიროვნება სულდგმულებდა ჩემში. მეც არ გამომპარვია მისი შეუკავებელი მეთვალყურეობა და ისე ვიქცეოდი, თითქოს ყურადღებასაც არ ვაქცევდი მას და აინუშიაც არ ვაგდებდი მის ადევნებას. ასე გრძელდებოდა არც თუ ისე დიდხანს. ევროპელებს, და მათ შორის მომეტებულად ფრანგებს, ოდითგანვე ჩვევად ჰქონიათ, რომ ნაშუადღევს თუ არ წაიხემსებდნენ, დღის მეორე ნახევარს მათთვის აზრი ეკარგებოდა. მე კი, (მიამბობდა შალვა) წიგნების დასათვალიერებლად თუ საყიდლად, ხან ერთ მაღაზიაში შევიდოდი, ხან მეორეს ვსტუმრობდი. თურმე ნუ იტყვით, რამოდენიმე დღით ჩემზე აკიდებული ფრანგი თითქმის ყოველთვის შუადღის ულუფის გარეშე რჩებოდა. ამის გამო, ერთ დღეს მომიახლოვდა ჩემი მდევარი და ოდნავი აღელვებით მთხოვა, რომ კაფეში შევსულიყავი; ისიც შემომყვებოდა და თუნდაც ერთი ყლუპი ყავით ფიზიკურად მომაგრდებოდა. მართლაც, ორივემ ერ-

თად არაბულად შემზადებული ყავა დავაგემოვნეთ ტრადიციული ფრანგული ნამცხვრის კრუასანის დაყოლებით. იმიერიდან, ე. ი. მომდევნო დღეებში ჩემი თანამესუფრე აღარ მინახავს და შემდეგშიც არც არსად შემხვედრია.

5). უცნაური დაპირისპირება

როგორც ეს მამაჩემმა შალვამ მიამბო:

საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომლებთან ერთად მე, პეტრე შარია და ექვთიმე თაყაიშვილი მიწვეულნი ვიყავით საფრანგეთის მთავრობის, ფრანგული შეიარაღებული ძალების და პოლიტიკური საზოგადოების ერთობლივ შეხვედრაზე, რომელიც მიეძღვნა გერმანიის საზღვრებთან საბჭოთა ჯარების მიახლოებას. ევროპულ ვახშამზე, პირველი სასმისით შეისვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის სადღეგრძელო. მეორე სასმისი მიუძღვნეს საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს გენერალ შარლ დე გოლს. მესამეთი ადიდეს საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი «წითელი არმია», ხოლო მეოთხედ ითქვა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სადღეგრძელო. დაუწერელი მოტივაციით, როგორც პირველ სამ სადღეგრძელოზე, ამ მეოთხე სადღეგრძელოზეც, სუფრის უკლებლივ ყველა წევრს, ეხებოდა ფეხზე წამოდგომა. მოხდა მოულოდნელი: ყველანი ფეხზე წამოვდექით გარდა ერთი ჩვენიანისა, რომელიც თუნდაც 82 წლის ექვთიმე თაყაიშვილის მიბაძვით მაინც, ფეხზე უნდა წამომდგარიყო. უეცრად, სკამსმიკრული ამ ერთი კაცის გამო მასპინძელთა მხრიდან გაურკვეველი გაუგებრობა შეიქმნა. სტუმრის მოულოდნელმა საქციელმა მიიპყრო იქ მყოფ მასპინძელთა მთელი ყურადღება. საბჭოთა ქვეყნიდან მოწვეულ სტუმართაგან ერთ-ერთი, თითქოს-და რაღაცით მოტივირებული, შეურხევლად იჯდა სკამზე და არც კი აპირებდა წამოდგომას.

— პეტრე ადექი, უხერხულია რომ ზიხარ, ფეხზე დადექი ცოტა ხნით მაინც, საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სადღეგრძელოა! ვუთხარი გარკვევით.

— ერთი მაგათი შეიარაღებული ძალების დედაც...! კბილებშუა გამოცრა გინება სკამსდაწეპებულმა სტუმარმა.

— ყველა ჩვენ გვიყურებს, ნუ ირცხვენ თავს და ნუ გვარცხვენ, სასწრაფოდ წამოდექი! გავუმეორე გასაგებად და ხმამაღლაც.

— აი მესმის, საბჭოთა კავშირის შეიარეღებული ძალები! მათთან შედარებით ფრანგები, და თუ გინდ საერთოდ ევროპელი მეომრები უსუსურები არიან და მეტი არაფერი! ერთი მაგათიც... თავისას არ იშლიდა პეტრე შარია.

მე მხარში წავავლე ხელი და შევეცადე მის წამოყენებას. ის კი უხეშად მიძალიანდებოდა და სკამს არ შორდებოდა. ჩვენი ძიძგილაობა ფრანგებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ. ამ დროს ჩვენკენ გამოემართა

ერთი მაღალჩინოსანი სამხედრო, მოგვიახლოვდა, ჩვენგან ერთი ფეხის ნაბიჯზე შედგა, და პირადად მე შემეკითხა:

— საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სადღეგრძელოზე, რატომ არ დგება ფეხზე თქვენი მეგობარი?

— ფრანგული არ იცის! და ვერ გაიგო სადღეგრძელო! ვუთხარი სიმართლედ თავზე დამდგარ ფრანგ სამხედროს.

— გთხოვთ უთარგმნოთ ჩემი სიტყვები თქვენს მეგობარს, წარმოთქვა სკამსდაკრული ქართველის თავსწამომდგარმა ფრანგმა სამხედრომ და მწყობრი სიტყვებით დამარცვლით წარმოთქვა:

— რატომ არ დგებით ფეხზე და რატომ არ სვამთ საფრანგეთის შეიარაღებული ძალბის სადღეგრძელოს? მეტისმეტი მომთხოვნელობით გაისმა სამხედრო ოფიცრის ხმა ფრანგულად.

შალვამ ფრანგი სამხედროს მიერ თქმული სიტყვები სიტყვასიტყვით უთარგმნა პეტრეს. პეტრე შარია თავჩაქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა.

სიჩუმე ისევ ფრანგმა სამხედრომ დაარღვია. ჩემი მეგობრის უმოქმედობით შეურაცყოფილი მოთმინებიდან გამოვიდა. მან ყველასათვის მოულოდნელად ხელის სხარტი მოძრაობით ამოუგდო პეტრე შარიას მისი პიჯაკის ბორტებსშუა გაჩხერილი ჰალსტუხი და სიმწრისაგან ნათქვამი სიტყვები დაუმატა:

— საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შეურაცყოფისა და ფრანგული საზოგადოების მიმართ უპატივისმცემლოდ მოპყრობის გამო დუელში ვიწვევ საბჭოთა სტუმარს! მკაცრი მომთხოვნელობით წარმოსთქვა სიტყვები და ანიშნა შალვას, რომ ზუსტად ეთარგმნა სკამსდაკრული მეგობრისათვის. შალვამ დაუყონებლივ ზუსტი თარგმანი შეასრულა. პეტრე შარია მაინც არ განძრეულა, მხოლოდ შალვას და ექვთიმეს გასაგონად ერთი კი წაილაპარაკა თავისთვის: «ერთი მაგათი...».

შემზარავი პაუზა ცივი ჰაერივით მოეფინა მთელ დარბაზს. უეცრად შექმნილი აუტანელი სიტუაცია მეტისმეტად დაიძაბა. სატრაპეზო მაგიდიდან ცოტაოდენ მოშორებით ფრანგი სამხედრო ოფიცერი ქართველ მოწინააღმდეგეს ელოდებოდა. იქ დამსწრე ყველა ფეხზე იდგა სასმისებით ხელში, ერთი კაცის გარდა, რომელიც გაუნძრევლად იჯდა სკამზე და საბედისწეროდ გასუსულიყო. შემაშფოთებელი სიჩუმე ისევ ფრანგმა სამხედრომ დაარღვია:

— თუ ჰალსტუხამოგდებული არ გამოდის ჩემთან დუელში, მაშინ მისი მოვალეობა იკისროს მისმა მეგობარ-თარჯიმანმა. გთხოვთ, მისიე! ამ ფრანგული სიტყვებით მიმართა ოფიცერმა ფრანგულის მცოდნე შალვა ამირანაშვილს და ხელის ჩვეული მოძრაობით მიიპატიჟა უდანაშაულო ქართველი იქვე, თითქოს-და სახელდახელოდ მომზადებულ მოგრძო ხალიჩაზე, რომელსაც ეშაფოტის როლი უნდა შეესრულებინა.

შალვამ ერთიც გადახედა დამნაშავეს. შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილს თვალი გადაავლო მამაშვილურად. «ვაიმე, შვილო!» მხოლოდ შალვას გასაგონად წარმოთქვა სასოწარკვეთილმა ექვთიმემ.

შალვა ამირანაშვილმა აუჩქარებლად, რამოდენიმე მძიმე ნაბიჯით ფრანგი სამხედროს მიერ მითითებული ადგილი დაიკავა. უბრალო მობოდიშებით გადასაწყვეტი სიტუაცია თავის რთულ კულმინაციას უახლოვდებოდა. სუფრას გამოეყო შუამავალი ოფიცერი და ორი სამხედროც, რომლებმაც სეკუნდანტობა იკისრეს. ყველაფერი ზუსტად ისე კეთდებოდა, როგორც საუკუნეებს გადაყოლილ დროებაში. მათ გადათვალეს ნაბიჯები, შეამოწმეს ორი იარაღი. თვითნებურად ირგვლივ შემზარავმა და აუტანელმა სიჩუმემ დაისადგურა. სასწორზე იდო ადამიანის სიცოცხლე. მხოლოდ დუელის წამძღოლი არბიტრის ჩუმი ხმა ისმოდა. ის ეთათბირებოდა სეკუნდანტებს. კენჭისყრის შედეგად პირველი სროლის უფლება მოიპოვა ქართველმა. შუამავალმა მიმართა ქართველს, რამის თქმას ხომ არ აპირებდა. შალვა ამირანაშვილმა სიტყვა ითხოვა: «ჩემი მეგობრის უმსგავსო საქცელის გამო ბოდიშს ვიხდი», ფრანგულად გააჟღერა ნათქვამი. ფრანგმა სამხედრომ არ მიიღო მოწინააღმდეგის მობოდიშება. შეურაცყოფილმა ყველას გასაგონად ხმამაღლა წარმოთქვა უარი. გადაწყდა დუელი. სეკუნდანტმა დატენილი იარაღი მიუტანა შალვას, გაუხსნა და შიგ მოთავსებულ ტყვიაზე შეახედა, შემდეგ ჩაკეტა, ჩახმახი ყალყზე შეაყენა და სასროლად მომზადებული იარაღი ხელში ჩაუდო ქართველ მედუელეს. შალვამ მაშინვე იარაღის პირი ზემოთ ჭერისკენ ასწია და ნიშანს დაუწყო ლოდინი. იგივე მანიპულაცია ჩაატარა ფრანგი ოფიცრის სეკუნდანტმაც. ფრანგმა მედუელემ იარაღიანი მტევანი მკერდთან მიიტანა და მარჯვენა მხარით მოტრიალდა შალვასკენ. გასუსული დარბაზი სასიკვდილო განაჩენის შესრულებას ელოდა.

ეშაფოტზე დამდგარი შალვა ფიქრობდა თურმე: «უდროოდ არ გამივარდეს ეს შეჩვენებულიო» (ფრაზა შალვა ამირანაშვილის მონაყოლიდან). შემზარავად გაგრძელებული პაუზის შემდეგ გაისმა გასროლის მაუწყებელი ნიშანი. შალვას იარაღმა მაშინვე იგრიალა და გამოსროლილი ტყვია ჭერს შეერჭო. ჯერი ფრანგ ოფიცერზე მიდგა. მოწინააღმდეგემ პირდაპირ დამიმიზნა ფართოდ მოტიტვლებულ შუბლში. ვგრძნობდი, რომ მცდიდა, გავინძრევი თუ არა. ფრანგებში აქა-იქ ხმები გაისმა: «მისიე, ნუ დგეხარ პირდაპირ მკერდით»; «შეტრიალდით მარჯვენა მხრით მისკენ»; «ჩქარა შეტრიალდით, ნუ აყოვნებთ». შალვამ ჩაიღიმა და მიუგო მათ სასიამოვნო ჟღერადობის ფრანგულით: «სულ ერთი არ არის, პირდაპირ დავდგები, თუ გვერდულად, იმდენად დიდი ვარ, რომ მოინდომოს აცდენა, მაინც ვერ ამაცდენსო». (შალვა დევივით მოყვანილი, ფართე მხარბეჭიანი და სიმაღლითაც ორ მეტრამდე კაცი იყო). იუმორისმომგვრელმა ჩემმა ფრანგულმა პასუხმა ოდნავ განმუხტა დაძაბული სიტუაცია. მოწინააღმდეგეს შესამჩნევად ჩაეღიმა და გასროლის მომენტში იარაღის ლულა მყისიერ ზემოთ ასწია. შემდეგ მწყობრი ნაბიჯით გამოემართა ჩემკენ, ხელი ჩამომართვა და ლოყით ლოყაზე შემეხო. გულკეთილად შემომხედა თვალებში და მითხრა: «თქვენი მეგობრობის ღირსიც არ არის თქვენი მეგობარი. ის რომ გამოსულიყო დუელში, შუბლში გავურჭობდი ტყვიას! ახლა კი, გთხოვთ, წამობრძანდეთ

თქვენ და თქვენი სიმპათიური მოხუცი, ორივე ჩემს გვერდით დაბრძანდეთ და ერთად გავაგრძელოთ სუფრა.» მითხრა და სუფრის თავთან მიპატიჟებულებს ფრანგებმა ადგილები დაგვითმეს. მე და ექვთიმეს საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა. მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე მუდამ მაფიქრებდა მხოლოდ ის, თუ რატომ მოიქცა ასე დაუნდობლად პეტრე შარია, და პასუხს მაინც ვერ ვპოულობდი.

6). ლექცია ქართველ ემიგრანტებთან

საბჭოთა კავშირის ელჩმა საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვმა მთხოვა (გაიხსენა ჩემთან საუბარში შ. ამირანაშვილმა), ლექცია წამეკითხა პარიზში მყოფ ქართველ ემიგრანტებთან, რომლებმაც თავი დააღწიეს გერმანულ კონცლაგერებს და თავშესაფარი პოვეს საფრანგეთში. ლექციის თემა იყო «ქართული ისტორიული საგანძურის დაბრუნება საქართველოში». მქონდა საბჭოთა საელჩოს დავალებაც. ლექციის კითხვის დროს ტკბილსიტყვაობით უნდა გამეწია პროპაგანდა ქართველ ტყვეთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ. პოლიტიკურად მოტივირებული სინამდვილე ქართველმა ტყვეებმა ჩემზე კარგად იცოდნენ. ჭკუიდან გადასული უნდა ყოფილიყო ვინმე მათგანი, რომ დაბრუნებულიყო საბჭოთა კავშირში. რადგან მეორე მსოფლიო ომის პერიოდის საბჭოთა კანონით, სამშობლოში დაბრუნებულ ტყვედჩავარდნილებს რაცხდნენ მოღალატეებად და მათ უმასპინძლდებოდნენ დახვრეტით ან ციმბირში ათწლიანი ვადით გადასახლებით, ოჯახთან ყოველგვარი მიმოწერის გარეშე, რაც საბოლოოდ სიკვდილით მთავრდებოდა.

დარბაზში, ლექციის წასაკითხად შესულ შ. ამირანაშვილს დაახლოებით ორასამდე ქართველი ტყვე შემოეხვია და მას სთხოვეს წერილების წაღება საქართველოში, რადგანაც ტყვედყოფილ ემიგრანტთა მიერ გაგზავნილი არც ერთი წერილი არ აღწევდა ადრესატს. შ. ამირანაშვილმა მტკიცე უარი განუცხადა მათ. ემიგრანტებმა სხვა ხერხს მიმართეს.

ლექციის კითხვის დროს მომხსენებელმა შეამჩნია, რომ თაბახის ფორმის ერთ ფურცელზე ემიგრანტები სასწრაფოდ რაღაცას წერდნენ და ნაწერ ფურცელს ერთმანეთს გადასცემდნენ. ფურცელმა რომ მოიარა თითქმის ყოველი იქ დამსწრე ქართველი, ადგა ჩემი კომპლექციის ემიგრანტი, რომელსაც ხელიდან ხელში გარდამავალი ფურცელი ეჭირა, ჩაიცვა ჩემი საწვიმარი ლაბადა და დარბაზიდან გავიდა. დაახლოებით ათ-თხუთმეტ წუთში ჩემს ლაბადაში შემოსილი ზორბა კაცი შემოვიდა დარბაზში, გაიძრო ჩემი სამოსი და საკიდზე ჩამოკიდა, ზუსტად ისე, როგორც ეკიდა. შემდეგ ხმაამოუღებლივ წამოიჭიმა იქ, სადაც ადრე იჯდა. დარბაზი სასიამოვნოდ შეიშმუშნა. ნიშნისმოგებით უცქერდნენ და თან უღიმოდნენ ურთიერთს.

ლექციის დამთავრების შემდეგ თვალცრემლიანი ემიგრანტები შემომეხვივნენ, მემშვიდობებოდნენ, გრძნობდნენ, რომ საქართველოში მშვიდობით დავბრუნდებოდი. ზორბა აღნაგობის ემიგრანტი მომიახლოვდა

და ყურში ჩამჩურჩულა: «თქვენი «პლაშჩის ლიპებში» მოვათავსეთ ფურცელი, სადაც ჩაწერილია თიოეული ჩვენთაგანის გვარ-სახელი და მისამართები საქართველოში. გთხოვთ, მიხვიდეთ ფურცელზე აღნიშნულ მისამართზე და ჩვენი სიცოცხლე დაუდასტუროთ ჩვენს ნათესაობას» დაამთავრა სათქმელი. მერე ფრანგულად ლოყაზე ლოყით შემეხო და ხელი მძლავრად ჩამომართვა. მე გაოცებული ვუყურებდი მას და ვგრძნობდი, მამაშვილურ საქმეს მავალებდნენ. ყველამ კარგად იცოდა, რომ უკანასკნელად ვემშვიდობებოდით ერთმანეთს.

გვიან გავიგე მამისგან:

როგორც კი ჩამოვიდა საფრანგეთიდან, მან შემოიარა თბილისის უბნები და ქუჩები, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსაც სწვევია. რომ ვეკითხებოდით, რა დაარბენინებდა აქეთ იქით, გვპასუხობდა, ისტორიული ძეგლების სანახავად დავდივარო და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებისთვის გეგმას ვადგენო.

მხოლოდ მოგვიანებით ჩემთან საუბრის დროს წამოცდა, რომ საფრანგეთიდან წამოღებულ მისამართებზე დადიოდა და ყოველ ოჯახს ატყობინებდა ომში დაკარგული მათი ოჯახის წევრის გზა-კვალს და მათ სიცოცხლე-ჯანმრთელობას უდასტურებდა.

ეს რომ სათანადო სამსახურებს დროზე გაეგოთ, პოლიტიკურ ფათერაკს ნამდვილად ვერ აცდებოდა რისკიანი მამა.

X

ქართველი ხალხის ეროვნული საგანძური

1945 წლის 11 აპრილს ისტორიული ამბავი მოხდა თბილისის აეროპორტში. იმ დღეს ერთი მეორის მომდევნოდ დაეშვა პარიზიდან მომავალი სამი თვითმფრინავი. ორი მათგანი გადმოსატვირთად თბილისში დარჩა, ხოლო მესამემ ფრენა განაგრძო მოსკოვისკენ.

თბილისის აეროპორტში დარჩენილი ერთ-ერთი თვითმფრინავის კარებში გამოჩნდა სასახელო ქართველი მამულიშვილი, 82 წლის მოხუცი, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 24 თებერვლის ჩათვლით) მთავრობის წევრი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 24 წლის განმავლობაში საფრანგეთში ემიგრანტად მცხოვრები პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი.

პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ექვთიმე თაყაიშვილი გადმოვიდა თვითმფრინავიდან, ორივე ხელი აღაპყრო ზეცას და გულიდან ამოხეთქილი სიტყვები წარმოთქვა: «მე მოვიხადე ვალი საქართველოს წინაშე». შემდეგ, თავის სანუგეშებლად მისი უფროსი მეგობრის, აკაკი წერეთლის სიტყვები გაიხსენა: «ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო...».

ექვთიმე თაყაიშვილის მომდევნოდ თვითმფრინავიდან გადმოვიდნენ უკვე პატრიოტებად აღიარებულნი: ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი და საქართველს კომპარტიის პასუხისმგებელი მუშაკი პეტრე შარია. ორივემ პირნათლად აღასრულა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება: პარიზიდან თბილისში ჩამოიყვანეს ექვთიმე თაყაიშვილი და ჩამოიტანეს ქართველი ერის ისტორიული საკუთრება: საერო და საეკლესიო საგანძური, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო საკუთრების სახაზინო ქონებასთან ერთად 1921 წლის მარტში გატანილი იქნა საქართველოდან საფრანგეთში.

გადავხედოთ ისტორიულ წარსულს:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ბოლშევიკური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო სახაზინო ფასეულობასთან ერთად 1921 წლის მარტის დასაწყისში ბათუმიდან საფრანგეთში გატანილი იქნა სამუზეუმო და საეკლესიო განძეულობაც.

კითხვა:

ემიგრაციით საფრანგეთში გამგზავრებულ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას ქონდა თუ არა იმის იურიდიულ-სამართლებრივი უფლება გაეტანა საზღვარგარეთ სახელმწიფო ხაზინა და ისტორიული ძვირფასეულობა, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ საკუთრებად ითვლებოდა. მითუმეტეს, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის კუთვნილ განძს არ წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე ქართულ სიძველეთსაცავებში დაგროვილი არც ისტორიული ფასეულობანი და არც საქართველოს ეკლესიებში დაცული ქრისტიანული საგანძური. მაგრამ დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ ნოე ჟორდანიას კარგად ესმოდა, რომ დასავლეთ ევროპაში ხელცარიელად ემიგრაცია სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა, და ისიც უცხოეთის მიწაზე. ამიტომ ევროპაში გახიზნულმა საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა გაეტანა სახელმწიფო ხაზინა და ქართველი ხალხის კუთვნილი ისტორიული საგანძური.

ასევე ისმება კითხვა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას რომ არ გატანა საზღვარგარეთ ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯე, დარჩებოდა თუ არა ხელშეუხებელი (არ გაყიდნენ საზღვარგარეთ) XX ს-ის 20-30-იან წლების საბჭოთა კავშირში წარმოშობილი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო და მასზე დამატებული პოლიტიკური რეპრესიების პირობებში.

ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ქართული სამუზეუმო განძეულობის გატანა-შემოტანის შესახებ დაწერილია მრავალი საგაზეთო და საჟურნალო სტატია; შექმნილია მეცნიერული და ლიტერატურული ნაშრომები; გადაღებულია დოკუმენტური და მხატვრული ფილმებიც; საქართველოდან საფრანგეთში გატანილი ქართული განძეულობის მცველად დანიშნული ექვთიმე თაყაიშვილს ხში-

რად ვიხსენებთ რადიო და სატელევიზიო გადაცემებით. ამ ინფორმაციებში მხოლოდ გაკვრით არის ნათქვამი: «ქართული განძის ჩამოსატანად საფრანგეთში გაგზავნეს შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია».

ჩვენს საზოგადოებაში დღემდე გაურკვეველია: ქართული ეროვნული განძის ჩამოსატანად საფრანგეთში რატომ გაგზავნეს მაინც და მაინც შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია; რატომ, და ვინ შეაჩერა არჩევანი ხელოვნებათმცოდნეზე და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელზე. რა იყო ამის მიზეზი ან საფუძველი. ასეთი გადაწყვეტილების მიღების გარემოებები უცნობია პოლიტიკური და სამეცნიერო საზოგადოებისათვის, და საერთოდ, ქართველი ხალხისათვის. ამიტომ დავისახეთ მიზნად წარმოვადგინოთ აქამდე უცნობი საისტორიო მასალა, თუ რატომ გაიგზავნენ შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია ქართველი ერის კუთვნილი საგანძურის საქართველოში დასაბრუნებლად.

საფრანგეთში გატანილი ქართული განძეულობის მეთვალყურედ და მცველად დანიშნული ექვთიმე თაყაიშვილი XX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში წერილს წერილზე აგზავნიდა საქართველოში, რათა საბჭოთა მთავრობას დროზე მიეღო სათანადო ზომები სამუზეუმო და საეკლესიო განძეულობის სამშობლოში დასაბრუნებლად. საქართველოს საბჭოთა მთავრობამ არ უპასუხა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოგზავნილ არც ერთ წერილს, რადგანაც XX ს-ის 30-იან წლები (ფაშიზმისა და ნაციზმის აღმოცენება ევროპაში, რეპრესიები საბჭოთა კავშირში) არ ჩათვალა ხელსაყრელ პერიოდად განძის დასაბრუნებლად.

1935 წლის 9 აპრილს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის ბატონ ვუკოლ ბერიძის სახელზე გამოგზავნილ წერილში ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი იტყობინება, რომ მარსელის ბანკში ქართული სამუზეუმო საგანძურის შენახვისათვის დაწესებული თანხის გადაუხდელობისა და ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ლეგიტიმაციის შეწყვეტის გამო 1935 წლის დასაწყისში საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებით მარსელის ბანკში დავანებული ქართველი ერის კუთვნილი ისტორიული ნივთები გამოცხადდა უპატრონო ქონებად და ფრანგულ კომფისკაციას დაექვემდებარა. საფრანგეთის იურიდიულ-საბანკო კანონმდებლობის საფუძველზე უპატრონოდ მიჩნეული ქართული განძეულობა 1935 წელსვე გადავიდა საფრანგეთის ნაციონალურ სათაო ბანკის საკუთრებაში და საქართველოს წარმომადგენლების ინფორმირების გარეშე გადატანილი იქნა მარსელის რეგიონალური ბანკიდან პარიზის ნაციონალურ სათაო ბანკში.

საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით პარიზის სათაო ბანკის მოხელეებმა დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო და სამუზეუმო ბეჭდებით დალუქული ყუთები გახსნეს (საერთაშორისო სამართლის საფუძველზე რის უფლებაც მათ არ უნდა ჰქონდათ) და შეადგინეს უკანონოდ ხელში ჩაგდებული ქართული ეროვნული საგანძურის ე. წ. «ფრან-

გული» აღწერილობა. საქართველოს კუთვნილი ეროვნული საგანძურის «ფრანგული» სიის შედგენაში მონაწილეობა არ მიაღებინეს დემოკრატიული საქართველოს მთავრობის არც ერთ წევრს, და მათ შორის არც ქართული განძის პასუხისმგებელ მეთვალყურეს ექვთიმე თაყაიშვილს. იმ მიზეზის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობა 1935 წლიდან საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის საკუთრებად მიიჩნევდა ქართულ განძეულობას. კომფისკაციის საფუძველს წარმოადგენდა მისი მეპატრონის დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ლეგიტიმაციის გაუქმება და ასევე იმ ვალის გადაუხდელობა, რაც დაუგროვდა საქართველოს მთავრობას მთელი ცამეტი წლის განმავლობაში. ამას დაემატა მარსელის ბანკში ქართული განძეულობის შენახვისათვის დაკანონებული პროცენტული განაკვეთის ცამეტწლიანი დავალიანება, რაც თანხური რაოდენობით გაუთანაბრდა ბანკში ჩადებულ ნივთთა შეფასების თანხას. რადგანაც 1934 წლიდან საქართველოს დემოკრატიული მთავრობა გამოცხადდა კანონგარეშე, ამიტომ საფრანგეთის სახელმწიფო და საბანკო კანონების საფუძველზე საქართველოს ყოფილ დემოკრატიულ მთავრობას ჩამოერთვა კანონიერი უფლება ქართული განძის საკუთრებაზე. ამ პერიოდიდან მოყოლებული საფრანგეთის მთავრობის მიერ კომფისკაციაქმნილი ქართული განძეულობის ფრანგული დაცულობისა და ხელშეუხებლობის, და საერთოდ მისი მდგომარეობის შესახებ ვერავითარ ცნობებს ვერ იღებდა განძეულობის მეთვალყურე ექვთიმე თაყაიშვილი.

1935 წლის აპრილიდან ექვთიმე თაყაიშვილი განიცდიდა დიდ წუხილს იმ მოსალოდნელი საშიშროებისგან, რომ უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქართველი ერის ისტორიული საგანძური არ მომხდარიყო კომერციულ გარიგებაში თვით საფრანგეთში ან ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანაში, ანდა თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებში. საფრანგეთის ნაციონალური ბანკის მიერ ქართული განძის კომფისკაციამდე, ე. ი. 1934 წლამდე მსოფლიოს შეძლებული კოლექციონერებისგან და ევროპის მდიდარი მუზეუმებიდან ხშირი იყო ქართული განძის მაღალი ფასით შესყიდვის სურვილი და ამის განსახორციელებლად დამატებით თავაზობდნენ ქართული ნივთების გამოსასყიდი თანხის სრულ დაფარვას. 1935 წლამდე ქართული საგანძურის უიარაღო მცველი მტკიცე უარით ისტუმრებდა ყოველ სავაჭრო შემოტევას და შუამავალ-გამრიგებლებს პასუხობდა სიტყვებით: «ქართული ისტორიული განძი წარმოადგენს ქართველი ხალხის ეროვნულ საკუთრებას და ყოველი ყუთი დალუქულია საქართველოს სახელმწიფო ბეჭდებით; «მე კი, გასაგებად პასუხობდა ქართული განძის საყიდლად მომართულ ყოველ შემომტეველს, ამ ნივთებზე მცველ-მეთვალყურის მოვალეობა მაქვს დაკისრებული და მესაკუთრის უფლებით არ ვარ უფლებამოსილი», განუმარტავდა მათ ჩვენი პატრიოტი თანამემამულე.

1935 წლის აპრილიდან 1943 წლის დეკემბრის ჩათვლით ქართული ნივთები ინახებოდა პარიზის ნაციონალურ ბანკში, ფრანგი მოხელის პიერ ჟოდონის მეთვალყურეობით. 1944 წლის იანვარში, მაშინ, როცა

დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ მძვინვარებდა ნაციზმი და გერმანელთა მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის: «ქართულ განძზე დაუფლების» თავიდან აცილების მიზნით, საფრანგეთის მთავრობამ შესაბამის ზომებს მიმართა: ქართული განძეულობა სახელმწიფო სათაო ბაკიდან გადაიტანა ვერსალის სასახლის საცავში გადასამალავად.

საომარი მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა 1944 წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც საბჭოთა კავშირის ჯარებმა დაიწყეს აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლება გერმანელ დამპყობელთაგან.

სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ 1944 წლის ოქტომბერში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმ «მეტეხის» დირექტორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხელოვნებათმცოდნე პროფესორი შალვა ამირანაშვილი იმყოფებოდა მოსკოვში, აკადემიის სამეცნიერო სესიაზე. აკადემიის ჯიხურში შეძენილი ცენტრალური გაზეთიდან მან შეიტყო, რომ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე, გენერალი შარლ დე გოლი 1944 წლის დეკემბრის პირველი დეკადის დღეებში ვიზიტად ეწვეოდა მოსკოვს, საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალ ი. ბ. სტალინთან შეხვედრის მიზნით.

ამ ინფორმაციამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობის წინაშე დააყენა შალვა ამირანაშვილი. მისი მოსაზრებით, ქართველი ხალხის კუთვნილი საგანძურის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების საკითხი აუცილებელია დაისვას საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ლიდერთა შეხვედრის დროს. შ. ამირანაშვილის აზრით მხოლოდ უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე მოლაპარაკების საფუძველზე შესაძლებელი იქნება უმტკივნეულოდ გადაწყდეს ქართველი ხალხისთვის ესოდენ საჭირბოროტო საკითხი. აუცილებლობამ მოითხოვა საფრანგეთიდან საქართველოში ქართული ისტორიული განძეულობის გადმოტანის შესახებ ი. სტალინი უშუალოდ მოლაპარაკებოდა გენერალ შარლ დე გოლს. ამ ამოცანასთან ერთად ისიც იყო გასათვალისწინებელი, რამდენად მართებულად მიიჩნევდა ი. სტალინი მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული პრობლემების მხარდამხარ აღეძრა საკითხი 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართული სამუზეუმო და საეკლესიო განძეულობის საქართველოში დაბრუნების შესახებ. მთავარი მაინც იყო ის, რომ ასეთი ხელსაყრელი მომენტი აღარასოდეს აღარ დადგებოდა; და, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა მომავალში! შექმნილ სიტუაციას აუცილებლად გამოყენება ჭირდებოდა, ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად.

საგაზეთო ინფორმაციის მიღების დღესვე, რაც ერთპიროვნულად შ. ამირანაშვილისათვის უძნელესად გადასალახავ მომენტს წარმოადგენდა, მან შეადგინა თხოვნა ი. სტალინის სახელზე:

საბჭოთა კავშირის უმაღლეს
მთავარსარდალს, მარშალ
სტალინს იოსებ ბესარიონის-ძეს

გთხოვთ, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარესთან გენერალ შარლ დე გოლთან შეხვედრის დროს აღძრათ საკითხი საქართველოდან 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართველი ერის ისტორიული საკუთრების — სამუზეუმო და საეკლესიო განძეულობათა სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

უღრმესი პატივისცემით
ამირანაშვილი შალვა იასონის-ძე
საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ
ხელოვნების მუზეუმ «მეტეხი»-ს დირექტორი
1944 წლის 22 ოქტომბერი

თხოვნა, შედგენილი ერთ ეგზემპლარად, მოთავსებული გახსნილ კონვერტში, ჩაიბარა კრემლის კომენდატურამ 1944 წლის 22 ოქტომბერს.

ი. სტალინის სახელზე გაგზავნილ იმ წერილებს, სადაც წარმოდგენილი იყო საგარეო საქმეებთან დაკავშირებული საკითხები, თავდაპირველად ეცნობოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი. შ. ამირანაშვილის თხოვნაში აღძრული საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ი. სტალინის პრეროგატივას. ამიტომ შ. ამირანაშვილის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თხოვნა იმავ დღესვე მოხვდა ი. სტალინისათვის განკუთვნილ ფოსტაში.

და მართლაც, ერთი თვეც კი არ იყო გასული, რომ 1944 წლის 16 ნოემბერს, იხსენებდა შ. ამირანაშვილი, ის გამოიძახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, კ. ნ. ჩარკვიანთან, რომელმაც მას გააცნო მოსკოვიდან მიღებული ინფორმაცია. მან განუმარტა შ. ამირანაშვილს, რომ ი. ბ. სტალინის ინიციატივით საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო სამთავრობო დადგენილება საფრანგეთიდან ქართული განძეულობის დაბრუნების შესახებ.

სავსებით ცხადი გახდა, რომ შ. ამირანაშვილის 1944 წლის 22 ოქტომბრის მიმართვის გათვალისწინებით საბჭოთა კავშირის მთავრობამ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ დასახა ქართული ეროვნული განძის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნება. საბჭოთა კავშირის მთავრობამ 1944 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში მიიღო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადგენილება 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართული სამუზეუმო განძის საქართველოში დაბრუნების შესახებ. ამიტომ იქნა გამოძახებული ამ საქმის წამომწყები შ. ამირანაშვილი 1944 წლის 16 ნოემბერს საქართველის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში კ. ნ. ჩარკვიანთან, რომელიც კრემლის მიერ ინფორმირებული იყო ამ საქმის ვითარებით.

საქართველ;ოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანის მოგონებიდან.

— საფრანგეთიდან საქართველოში ქართული განძის ჩამოტანის შესახებ ტელეფონით მესაუბრა ი. სტალინი და დამისახა, წარმომედგინა

კანდიდატურა, ვის შეიძლება განეხორციელებინა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ეს მისია. მე, დაუყოვნებლივ მოვახსენე თქვენი კანდიდატურა, შალვა იასონოვიჩ, რაზეც სტალინისაგან მივიღე თანხმობა. (კ. ნ. ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი. გამომცემლობა: «მერანი», თბილისი 2004 წ. გვ. 507).

«ქართული საგანძურის ჩამოსატანად საფრანგეთში უნდა გაემგზავროთ თქვენ, შალვა იასონოვიჩ», მითხრა კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანმა და დაუმატა: «თქვენთან ერთად საფრანგეთში წამოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე, ამხანაგი პიოტრ აფანასიევიჩ შარია. ორთავე კრემლის კანდიდატურები ხართ და არ ექვემდებარებით შეცვლას» — დაასრულა სათქმელი კ. ნ. ჩარკვიანმა.

შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია შეუდგნენ მზადებას ჯერ მოსკოვში, იქიდან კი საფრანგეთში გასამგზავრებლად. დასახული მისიის სრულფასოვნად განხორციელებისთვის შ. ამირანაშვილმა იხელმძღვანელა ე.თაყაიშვილის 1935 წლის 9 აპრილით დათარიღებული წერილით (ე.თაყაიშვილის ეს წერილი ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში). წერილში მეცნიერი იტყობინებოდა, რომ მის დაუსწრებლად და საერთაშორისო კანონმდებლობის გვერდის ავლით, პარიზის ნაციონალური ბანკის მოხელეების მიერ გახსნილი იქნა საქართველოს საგანძურით დატვირთული ყუთები და მოახდინეს შიგთავს ნივთთა «ფრანგული» აღწერილობა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებლად იქნა მიჩნეული, რომელიმე ქართული ისტორიული ნივთის დაკარგვის ალბათობა. ამიტომ შ. ამირანაშვილის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საფრანგეთში გატანილი ქართული სამუზეუმო ნივთების სიის აღდგენა. ახალი სიის შედგენაში, იხსენებდა ჩემთან საუბრებში შ. ამირანაშვილი, «გამომადგა სტუდენტობის დროს, საბჭოთა მთავრობის დავალებით 1921 წლის მეორე ნახევარში შესრულებული სამუშაო, რომელიც ეხებოდა საფრანგეთში გატანილი და საქართველოში დარჩენილი სამუზეუმო ნივთების ინვენტარიზაციას, სრული და მთლიანი აღწერილობის თანდართვით. მე მაშინ ვასრულებდი ტექნიკური მდივნის მოვალეობას». ამის საფუძველზე სპეციალურად მომზადებული იქნა საფრანგეთში გატანილი ნივთების ხელახალი სია ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. შ. ამირანაშვილის მიერ აღნუსხული ქართული საგანძური წარმოადგენდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, სამხატვრო ეროვნული გალერეის, საქართველოს მუზეუმის კოლექციებს და ასევე საეკლესიო განძეულობას.

საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ 1944 წლის ნოემბრის დასაწყისში მიღებული დადგენილების გათვალისწინების საფუძველზე, ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი 1944 წლის 23 ნოემბერს შეხვდა საბჭოთა კავშირის ელჩს საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვს. ე. თაყაიშვილმა ა. ე. ბოგომოლოვს გადასცა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლის სახელზე შედგენილი თხოვნა-წერილი, ქარ-

თველი ერის საგანძურის საფრანგეთის სათაო ბანკის მფლობელობისაგან დახსნისა და საქართველოში გასაგზავნად მომზადების ხელშეწყობის შესახებ.

ამრიგად, საფრანგეთიდან ქართული განძის დაბრუნების საკითხი დასმული იყო შალვა ამირანაშვილის მიერ 1944 წლის 22 ოქტომბერს ი. სტალინის სახელზე გაგზავნილ თხოვნა-წერილის საფუძველზე და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1944 წლის 23 ნოემბერს, საბჭოთა კავშირის საელჩოსადმი მიწერილ თხოვნაში, რათა საელჩოს ეშუამდგომლა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლთან ქართული განძის საქართველოში დაბრუნების თაობაზე.

მასწავლებლისა და მისი მოწაფის, ექვთიმე თაყაიშვილისა და შალვა ამირანაშვილის ისტორიულ-პოლიტიკური «ბრძოლის» ორმა ფრონტმა ქართველი ხალხისათვს სასურველი შედეგი გამოიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1944 წლის დეკემბრის თვის პირველ დეკადაში მოსკოვში ვიზიტად იმყოფებოდა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გენერალი შარლ დე გოლი, რომელიც მართავდა მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალ ი. სტალინთან. 1944 წლის 2-9 დეკემბერის დღეებში სათანადო მოლაპარაკების შედეგად დადებული იქნა ხელშეკრულება საბჭოთა სახელმწიფოსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის «კავშირისა და ურთიერთდახმარების» შესახებ. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ამ საქმის წარმოების სრული უფლებით აღჭურვილებმა: საბჭოთა კავშირის მხრიდან ვ. მ. მოლოტოვმა, ხოლო საფრანგეთის მხრიდან მისიე ბიდომ. ხელშეკრულების სრული ტექსტი გამოქვეყნდა 1944 წლის 19 დეკემბერს, გაზეთ «იზვესტიის» 293-ე ნომერში.

შ. ამირანაშვილის და პ. შარიას ფრანგული მისია 1944 წლის 27 დეკემბერს მოსკოვში ჩაფრენით დაიწყო. იქ ისინი შეხვდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს. მან მოკლედ ჩამოაყალიბა საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი წვრილმანი. აღნიშნა ისიც, რომ «იოსიფ ვისსარიონოვიჩ სტალინი, ჩემი თანდასწრებით მოელაპარაკა შარლ დე გოლს, და მიიღო მისგან დაპირება ქართველი ხალხის ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნების შესახებ». აი რა იყო ქართული განძეულობის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების ძირითადი საფუძველი!

შ. ამირანაშვილი:

«საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლის სპეციალური განკარგულებით, საფრანგეთის ნაციონალური ბანკის მიერ კომფისკაციაქმნილი ქართული საგანძური (უკლებლივ ყველა ნივთი), რომელიც ინახებოდა პიერ ჟოდონის მეთვალყურეობით ვერსალის სასახლის საცავებში, ყოველგვარი გამოსყიდვისა და სავალდებულო საბანკო გადასახადის გარეშე, 1944 წლის დეკემბრის თვის მეორე დეკადის დღეებში დაუბრუნდა მის ისტორიულ მესაკუთრეს. ვერსალის სასახლის სიძველეთსაცავიდან ქართული განძი გადატანილია საბჭოთა კავშირის საელჩოში და ვიზირებულია საქართველოში წასაღებად»

მოკლედ გაგვიმარტა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა.

«მინდა ისიც აღვნიშნო», განაგრძო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომ «საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე, გენერალი შარლ დე გოლი მისთვის დამახასიათებელი პატრიოტული სულისკვეთებით წარმოადგენს მსოფლიო ინტერნაციონალიზმის უმაღლეს გამოვლინებას».

მცირეოდენი პაუზის შემდეგ სიტყვა ითხოვა შ. ამირანაშვილმა და მიმართა ვ. მ. მოლოტოვს:

— ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ევფიმ სემიონოვიჩ თაყაიშვილი თაოსნობდა საქართველოდან საფრანგეთში ქართული ისტორიული განძის გატანას 1921 წელს. იმ წლიდან მოყოლებული, ე. ს. თაყაიშვილი მეთვალყურეობდა ქართველი ერის საგანძურს, ხშირად, მისი სიცოცხლის ფასადაც. ახლა 82 წლის მოხუცის საზღვარგარეთ დატოვება, მისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნება. ნება მიბოძეთ გთხოვოთ, შესაძლებლად ჩათვალოთ განძთან ერთად ევფიმ სემიონოვიჩ თაყაიშვილის დაბრუნება საქართველოში. ოღონდ ერთი პირობით: სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურად გარანტირებული და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ე. ს. თაყაიშვილი; ხელშეუხებელი უნდა იყოს მისი სიცოცხლე და თავისუფალი სამეცნიერო მოღვაწეობა.

— ირწმუნეთ ორივემ, შალვა იასონოვიჩ და პიოტრ აფანასიევიჩ, რომ ასეთი გარანტია ამ წუთიდანვე უკვე აქვს ევფიმ სემიონოვიჩს. ჰმ, მიფრინავთ ორნი და ჩამოფრინდებით სამნი, ან თუნდაც მეტნი, რასაკვირველია, ქართულ განძთან ერთად! ღიმილით დაგვიდასტურა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ მოლოტოვმა.

1945 წლის 2 იანვარს შ. ამირანაშვილმა და პ. შარიამ დატოვეს მარსელი და იმავე თვითმფრინავით პარიზისკენ აიღეს გეზი. დაბა დიჟონთან გადაფრენის დროს, გერმანელი მეზენიტეები ნაღმებით გაუმასპინძლდნენ მათთვის არასასურველ საჰაერო სტუმრობას. თვითმფრინავი იძულებით დაეშვა ტრიალ მინდორზე. ქართველების თხოვნით პილოტები დაუკავშირდნენ პარიზს. ცოტა ხანში მათთვის მორთმეულმა საბჭოთა საელჩოს მანქანა მშვიდობით ჩაიყვანა პარიზში ფათერაკგამოვლილი ქართველი სტუმრები. აეროპორტში მათ დახვდნენ რუსი მასპინძლები და მიიყვანეს საბჭოთა კავშირის საელჩოში. ქართველ ემისრებს გულთბილად შეხვდა საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვი, რომელმაც თავის მხრივ სავსებით ნათლად განუმარტა მათ, რომ «საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლის სპეციალური ბრძანების საფუძველზე პარიზის ნაციონალური ბანკის მიერ 1935 წელს კომფისკაციაქმნილი ქართული საგანძური უსასყიდლოდ გადაეცა მის კანონიერ მფლობელს, ქართველ ხალხს. საფრანგეთის მთავრობისაგან სათანადო წერილობითი ნებართვის მიღების

შემდეგ ვერსალის სასახლის სიძველეთსაცავიდან ქართული საგანძური გადმოტანილი იქნა საბჭოთა კავშირის საელჩოში».

«იმ საღამოსვე მე და პეტრე შევხვდით ჩვენს უძვირფასეს მამულიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს», ღიმილით გაიხსენა ჩემთან საუბარში მამაჩემმა. «შეხვედრისთანავე აღფრთოვანებულმა ჩემმა მასწავლებელმა შემომძახა: «როგორ დაბერებულხარ, შალვა, ძლივს გიცანი!». გულაჩუყებულმა სამმა ქართველმა ერთმანეთს ღიმილი შევაგებეთ.

სულ რამოდენიმე დღის შემდეგ, იგონებდა ჩემთან საუბარში შ. ამირანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით შევუდექით საფრანგეთის ბანკის მიერ დალუქული ყუთების გახსნას და მათში მოთავსებული ქართული განძეულობის ხელახალ რეგისტრაციას. რაც მნიშვნელოვანი და მთავარია, ყუთები და ერთი ფუთა-შეკვრა სრულად იყო წარმოდგენილი და მათში არსებული საგანძური უკლებლივ იყო დაცული. ქართველი ხალხის ეროვნული საგანძურის მთლიანობა და ხელშეუხებლობა თვალნათლივ მოწმობდა მისი მეთვალყურის ე. თაყაიშვილის ჭეშმარიტ მამულიშვილობასა და სიცოცხლის ფასთან გაიგივებულ თავდადებას, მიუხედავად აუტანელი სიდუხჭირისა და უკიდურესი ხელმოკლეობის პირობებში, რასაც მეცნიერი განიცდიდა თითქმის ყოველთვის, და მეტწილად მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

ოცდაოთხი წლის (1921 წ. თებერვლიდან 1945 წ. იანვრის პირველი ნახევრის ჩათვლით) შემდეგ, ქართული ეროვნული საგანძურის ხელახალი ხილვით გამოწვეულ აღფრთოვანებას ვერ ფარავდა, და ასევე, გულის სიღრმიდან ამოდუღილ სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა ჯანსაღი სულით ღვთისგან დაჯილდოებული 82 წლის მხნე მოხუცი, საგანძურის უცვლელი გუშაგი და მუდმივი გარანტი ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი.

თითქმის თვენახევრის განმავლობაში ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით შალვა ამირანაშვილმა და პეტრე შარიამ დაადასტურეს ქართული განძეულობის სრულყოფადობა. ჩატარდა ნივთების ახალი აღწერა, ძველი და ახალი სიების თანმხვდურობამ განძეულობასთან, სიზუსტის თვალსაზრისით ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. თვალებგაბრწყინებული ბატონი ექვთიმე ახალი სიცოცხლით ივსებოდა, ჩვენგან შეუმჩნევლად განიცდიდა მომეტებულ სიხარულსა და აღფრთოვანებას. მე და პეტრე თვალანთებულნი შევცქეროდით სასიამოვნო მოხუცის თავდადებამდე აღქმულ პატრიოტულ საქმიანობას. 1945 წლის მარტის დასაწყისისათვის ქართული საგანძური მთლიანად აღწერილი, მაღალხარისხოვნად შეფუთული და სრულად გამზადებული იყო საქართველოში დასაბრუნებლად.

საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩის ა. ე. ბოგომოლოვის თხოვნის საფუძველზე, მეორე მსოფლიო ომში მოკავშირე ქვეყანამ დიდმა ბრიტანეთმა გამოყო «დუგლასის» ფირმის თვითმფრინავები ქართული განძის თბილისში ჩასატანად. ამ ინიციატივას წინააღმდეგ ერთსულოვნად წავიდნენ შ. ამირანაშვილი და პ. შარია. მათ მოითხოვეს მხოლოდ და

მხოლოდ საბჭოთა თვითმფრინავები. ელჩი დაეთანხმა ქართველთა წინადადებას და ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ აცნობა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს.

ომის ცეცხლგადატანილი ქვეყნიდან წამოსული «ილ-14» ტიპის თვითმფრინავები მხოლოდ 4 აპრილს დაეშვნენ პარიზთან ახლომდებარე ორლის აეროპირტში. საქართველოში გასაგზავნი საგანძური საელჩოს სპეციალური მანქანებით ღამის განმავლობაში გადატანილი იქნა აეროპორტში. ქართული საგანძურით დაიტვირთა ორი თვითმფრინავი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში გასაგზავნი ტვირთი მოთავსდა მესამე თვითმფრინავში, რომელიც თბილისში დაფრენის შემდეგ გზას მოსკოვისკენ გააგრძელებდა.

1945 წლის 5 აპრილს, პარიზში ყოფნის რამდენიმე საათი-ღა ჰქონდათ დარჩენილი ბატონებს ექვთიმეს, შალვასა და პეტრეს.

გაზაფხულის დილის ნისლს თანდათან იფანტავდა ევროპის გული და ქალაქს, დღის სიცოცხლის მონოტონური რიტმი მომეტებული სიმძლავრით ედებოდა. საელჩოს მიერ მორთმეული მანქანიდან მათ უკანასკნელად შეავლეს თვალი დიდებულ პარიზს, არქიტექტურული ხელოვნების უნიკალურ ქმნილებას ნოტრ-დამსა და შედევრად აღიარებულ რკინის ჩონჩხს, ეიფელს... მათ თვალწინ უჩვეულო სისწრაფით გარბოდნენ მხოლოდ პარიზის სილამაზისათვს დამახასიათებელი დიდფანჯრებიანი ფასადები, აუარებელი სკვერები და ბაღები, კაფეები და ბისტროები, გაზეთებით შეფენილი ჯიხურები და ქუჩის მხატვართა მიერ აფერადებული ტილოები; მარადიულ სიყვარულს აღვივებდნენ დილის ქალაქის ქუჩებში მოსეირნე პარიზელთა ღამენათევი წყვილები...

მომეტებული გულისძგერითა და ცრემლით სავსე თვალებით ექვთიმე თაყაიშვილი ემშვიდობებოდა მის ოცდაოთხწლიან სიცოცხლეს პარიზში, ემშვიდობებოდა ერთხანს ქართული საგანძურის დამცველ ვერსალის სასახლეს, ემშვიდობებოდა თითქმის მშობლიურ ლევილს, ემშვიდობებოდა იქ განსვენებულ ყოველ ქართველს, ემშვიდობებოდა ფრანგულ მიწას მიბარებულ მის უმშვენიერეს მეუღლესა და ცხოვრებისეულ თანამებრძოლ ნინო პოლტორაცკაიას!

ორლის აეროპორტში მანქანიდან გადმოსული ექვთიმე თაყაიშვილი ერთხანს შეჩერდა და ფეხი ვეღარ გადადგა. მან კარგად იცოდა ყოველი რეპატრიანტის ბედი საბჭოთა კავშირში და გადასაწყვეტი ამოცანის გააზრების წინაშე თითონვე აღმოჩნდა. ეს საბედისწერო უძრაობა მყისვე შეამჩნია მას შ. ამირანაშვილმა და მიმართა მის მასწავლებელს: «შენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება!», რაც დაუდასტურა პ. შარიამაც.

— როგორც კი ე. თაყაიშვილმა ფეხი შედგა ტრაპზე, მესაუბრებოდა შ. ამირანაშვილი, ბატონმა ექვთიმემ ღიმილნარევი სევდით თვალებში შემომხედა და მითხრა: «ეს ჩემი პირველი მგზავრობაა აეროპლანით... და ალბათ უკანასკნელიც!».

1945 წლის 5 აპრილს აეროპორტ ორლიდან (დღეს ეს აეროპორტი შარლ დე გოლის სახელობისაა) ერთმანეთის მიყოლებით (ნახევარსაა-

თიანი ინტერვალის დაცვით) აფრინდა სამი თვითმფრინავი «ილ-14» და მათ გეზი საქართველოსაკენ აიღეს, მარშრუტით: რომი-ბენგაზი-კაირო-თეირანი-თბილისი.

— თვითმფრინავში, სიხარულის განცდასთან ერთად, სევდაც შემოერია ბატონ ექვთიმეს, განაგრძო ჩემთან საუბარი მამაჩემმა, რომელიც წარსულის გახსენებით აღფრთოვანებას ვერ ფარავდა:

— შვილებო! მოგვმართა შალვას და პეტრეს, ძალზე მოხუცი ვარ და გზაში თუ რაიმე ხიფათი შემემთხვა, სადმე უცხოეთის მიწაში არ ჩამტოვოთ! მკვდარი ჩამიტანეთ თბილისში და მშობლიურ მიწას მიმაბარეთ! თვალცრემლიანმა დაამთავრა სათქმელი დიდმა მამულიშვილმა, ჩვენი გაგებით ქართულ საუნჯეზე მეტად დაფასებულმა ბატონმა ექვთიმემ.

ამ სიტყვების მოსმენისთანავე ბატონმა პეტრემ მოხერხებულად შემოდგა ქართული კონიაკი სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე. სასიამოვნოდ მომღიმარმა რუსმა სტიუარდესამ ქართველებს ცხვიწინ ჭიქები დაგვიწყო. ჩამოვასხით კონიაკი და ბატონ ექვთიმეს დიდი ხნის სიცოცხლე ვუდღეგრძელეთ.

— მე და პეტრემ, გაღიმებული სახით გაიხსენა მამაჩემმა შალვამ, კონიაკი რუსულად გადავკარით, ხოლო ბატონი ექვთიმე ევროპულად აგემოვნებდა ამ დიდებულ სასმელს და ტუჩებზევე იშრობდა სიამოვნებას.

ჩვენს ძვირფას ექვთიმე თაყაიშვილს მთელი გზა ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული მცირე ზომის ყუთი, სადაც მოთავსებული იყო ყოველი ქართველისათვის სათაყვანებელი ისტორიული ნივთი. ეს იყო თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, რომელიც ახლა ემიგრაციაგამოვლილ სხვა ნივთებთან ერთად შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ყოველი ჩვენთაგანის უცილობელი ვალია, სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოინახულოს სახელოვანი მეფე-ქალის თამარის რვაასწლოვანი ჯვარი, რომელიც სამუზეუმო განძთან ერთად 1921 წელს გატანილი იქნა საფრანგეთში და 1945 წლის აპრილის თვეში უვნებლად დაუბრუნდა საქართველოს, ჩვენი ძვირფასი თანამემამულის ბატონი ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით.

საუკუნო ხსენება და დიდება ქართველი ხალხის ეროვნულ შვილს, წმინდანად აღიარებულ ღვთისკაცს, ექვთიმე თაყაიშვილს! ამინ!

1921 წლის 10 მარტს საქართველოდან საფრანგეთში გატანილი ეროვნული საგანძური ოცდაოთხწლიანი ევროპული «ოდისეას» (აკადემიკოს სომონ ჯანაშიას თქმით) შემდეგ გენერალ შარლ დე გოლისა და მთავარსარდალ ი. ბ. სტალინის ერთობლივი ძალისხმევით 1945 წლის 11 აპრილს ჩამოტანილი იქნა საქართველოში. ქართული საგანძური დაბინავდა:

1). ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ისტორიის მუზეუმში; 2). შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში; 3). კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

XI

1). ლურჯი ბერეტები

1945 წლის აპრილში მამა, საფრანგეთიდან თბილისში დაბრუნდა. უცხო ქვეყნიდან ჩამოგვიტანა ლურჯი ბერეტები და მოყვითალო ფერის «კლიონკის» საწვიმრები. ჰმ! ხელოვნების მცოდნემ უკეთესი, მეტი ვერაფერი მოიფიქრა! უსიტყვა-პასუხო ბავშვებს ბერეტებს გვახურავდნენ და ისე გვიშვებდნენ სკოლაში. მამა გვაცილებდა და გვანუგეშებდა: «ფრანგები ბერეტებში დადიანო». ორივე ძმა უნისონში ვპასუხობდით: «აქ საქართველოა, და არა საფრანგეთი». ჩვენს პასუხს აინუნშიც არ აგდებდა მომღიმარე მამა, და არც ჩვენთან მცხოვრები ნათესავები, რომლებიც სიცილმორეულად გულიანად დაგვცინოდნენ. ბერეტების გამო უბანში შალვას «გოგოებს» გვეძახდნენ. ზემელზე რომ ჩავიდოდით, ბერეტებს ვიხდიდით და ჩანთებში ვინახავდით. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ქალების დავალებით ვიღაც ბიჭებმა წაგვაძვრეს ბერეტები და გაიქცნენ. ჩვენი სიხარული უსაზღვრო იყო და ორივე ბედნიერად ვგრძნობდით თავს.

2). გამარჯვების მაისი

1945 წლის 9 მაისმა სიხარული შემოიტანა თითქმის ყოველ ოჯახში. და მათ შორის იმ ოჯახებშიც, რომლებსაც ფრონტიდან მიღებული ჰქონდათ ე. წ. «პახარონკა». ჩვენი უბნის მაცხოვრებლები სიხარულით გამოვეფინეთ რუსთაველის მოედანზე. ყველანი ერთად ვზეიმობდით ნანატრ დღეს, ნაცნობები და უცნობები ერთმანეთს გულწრფელად ვულოცავდით დიდ გამარჯვებას.

3). ჩხარელ ამირანაშვილთა გვარის სამკვიდრებელი

გამარჯვების წლის ზაფხულში მოვინდომეთ მოგვენახულა თერჯოლის რაიონის მამაპაპეული სოფელი ჩხარი, სადაც ჩვენი გვარიშვილები სახლობენ. სოფელი ჩხარი გაშენებულია თერჯოლიდან ძევრის გადასახვევამდე სამანქანო გზის პირიდან აყოლილ შემაღლებულ ფერდობზე, რომლის მთიანი ზოლიც ცის კაბადონს ებჯინება თითქოს. ფერდობი შეფენილია ერთმენეთისგან დაბალი ღობეებით გამოყოფილი სახნავ-სათესებით, შიგ მეჩხერად ჩარგული ხეხილით და მწკრივად გაწყობილი ავ თვალს აცდენილი მტევნებით დახუნძლული ზვრის რიგებით. შესანიშნავი სანახაობისაა სოფელ ჩხარის გარეპირი, გარშემორტყმული ხასხასა ბალახის საძოვრებით. ჩვენი სოფლის შემოგარენი ზუსტი მსგავსებაა იმ იმერული პეიზაჟისა, როგორიც დახატული აქვს საქვეყნოდ სახელგანთქმულ ჩვენებურ მხატვარ დავით კაკაბაძეს. სწორედ ასეთი

ზღაპრული სამშობლო მიწა-წყლის სანახავად თავდავიწყებით ვისწრაფოდით ძმები ამირანაშვილები.

საგვარეულო გადმოცემით, ჩვენ, ამირანაშვილები, ჩასახლებული ვყოფილვართ სოფელ ჩხარში მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულიდან. ლუარსაბის ძე იასონ ბაბუს ნათქვამი ჰქონდა ჩემთვის, რომ ჩვენი წინაპარი ყოფილა აფხაზი, გვარ-სახელით ამირან ჩაჩბა (შერვაშიძე), რომელსაც მოფერებით ხუტუნიას ეძახდნენ. შერვაშიძის გვარის ისტორიიდან ცნობილი სამი აფხაზი ძმიდან (როსტომი, ყვაპუ, ჯიღეშია) ჩვენ, ჩხარში მაცხოვრებელი ამირანაშვილები ყვაპუს ძე მურზაყანის ჩამომავალები ვყოფილვართ. ჩვენი გვარის თავკაცი აფხაზეთიდან გადმოსახლებულა ქვემო იმერეთში, საკარმიდამო ნაკვეთი შეუძენია ჩხარის ეკლესიიდან მოშორებულ გარეუბანს, სადაც სამუდამოდ დასახლებულა კიდეც. ჩვენი შერვაშიძეობა ან თუნდაც ჩაჩბობა შეიძლება ლეგენდაც იყოს, მაგრამ ჩვენი გვარისთვის ნამდვილად ურიგო არ არის და საამაყოა კიდეც, რომ ამ ლეგენდაში სიმართლის ოდნავი მარცვალიც რომ ბუდობს. ასეა თუ ისე ვჯერდებით საგვარეულო გადმოცემას, რადგან სხვა ეპონიმი ჩვენ არ მოგვეპოვება, და უკლებლივ ყოველი ჩხარელი ამირანაშვილი სიმართლეს არმოკლებულ ამ ლეგენდით ამაყობს. სწორედ ამის გამო, შეიძლება ითქვას, რომ სახელიდან წარმომდგარი შერქმეული გვარი გვქონია და ჩხარს მოკიდებული ამირანისაგან ვყოფილვართ ოჯახებად მოფენილი სოფელს მიმდებარე ფერდობს. იმერეთის მეფე სოლომონ მეორის კარზე აზნაურობაც მიგვიღია და ჩვენი გვარის მშობლიურ კუთხედ ჩხარი კანონიერად მიგვისაკუთრებია. ახლა ჩხარის მაცხოვრებელთა უმეტესობა ჩვენი გვარის ოჯახია. ამჟამად ჩხარში ჩვენი გვარის თორმეტი ოჯახი ცხოვრობს, თუ არ ჩავთვლით აქედან გადასულ ოჯახებს სხვაგან საცხოვრებლად.

4). სოფლად გამგზავრების გადაწყვეტილება

ამირანაშვილთა გვარის სამკვიდრებელის სანახავად უფროსებმა გადაწყვიტეს გამარჯვების წლის ზაფხულს შალვას შვილები წავეყვანეთ სოფელ ჩხარში, თითქოს-და საგვარეულო უღელში ჩასაბმელად. რაღაც გაურკვეველი უცნაურობის შესაცნობად და მამაპაპურ საკარმიდამოს ჩასახუტებლად რატომღაც ემოციურად მიგვიწევდა გული დედით ობლად გაზრდილ ორ ძმას. რაოდენ სასიხარულო იყო ჩვენთვის ღამის მატარებლით პირველი მგზავრობა. წარმოსახვაში გველანდებოდა მატარებლის ფანჯრიდან დანახული საქართველო; ჩვენთვის უცნობ სადგურში შესვლა, რამდენიმე წუთიანი შეჩერება და გასაცნობად გამზადებულ სხვა იერით გამომყურე მეზობელ სადგურისკენ დაძვრა. უჩვეულო გრძნობით ვიტვირთებოდით თითქოს. მატარებლიდან გვსურდა შეგვეცნო ქალაქს გარიდებულ ბუნების წიაღში ჩასმული სოფლები თვალწარმტაცად აფერადებული შემოგარენით, რაც ბავშვური სიყვარულით აღსაქვამ მთელ სამყაროდ მოგვეჩვენებოდა.

5). შემთხვევა რკინიგზაზე

ჩხარში გავემგზავრეთ ფოთისკენ მიმავალი ღამის მატარებლით, რომელიც დასავლეთისკენ მოძრავ მატარებელთა შორის ყველაზე გვიან, ნაშუაღამევს გადიოდა თბილისის სადგურიდან. მამას ჭკუაში დაუჯდა და გამცილებლად გამოგვაყოლა მისი ძმა დავითი, რომელიც ჩასვლის დღესვე დაბრუნდებოდა თბილისში. იმ ღამეს შაბათი ყოფილა, და მთელი მატარებელი იყო გადატენილი მგზავრებით. გასაყიდათ დარჩენილიყო მხოლოდ ძვირადღირებული რამოდენიმე ბილეთი საერთაშორისო კლასის ერთადერთ ვაგონში, რომელიც ბოლოში ჰქონდა გამობმული მატარებელს. მამას, სწორედ ამ ბოლო ვაგონის ორადგილიან კუპეში შეუძენია ბილეთები. დავითი ზედა საწოლზე მოთავსდა, ქვედა საწოლოს ერთ მხარეს ძმები გაგვამზადეს დასაძინებლად, ხოლო მეორე მხარე ბებიმ დაიკავა. მოუთმენლად მაინტერესებდა მატარებლის გავლა შვიდკილომეტრიან გვირაბში და ბების ვთხოვე იმ დროს გავეღვიძებინე, მატარებელი როგორც კი დაიწყებდა შესვლას გვირაბში. ემოციურად დატვირთულს, მატარებლის მონოტონურ რიტმზე მალევე ჩამეძინა კიდეც.

ბების ადრევე ჰქონდა ჩემთვის მონაყოლი სურამის ქედის ძირში შვიდკილომეტრიანი გვირაბის გაყვანის შესახებ, რომელმაც ორი საქართველო რკინიგზით დააკავშირა ერთმანეთს. გვირაბს თხრიდნენ ერთდროულად: სურამის ქედის როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მხრიდან. დროის მოგების მიზნით ასე ქონდა დაგეგმილი გვირაბის დამპროექტებელს. გათხრის ტემპის გათვალისწინებით დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან გაყვანილი გვირაბები დათქმულ დროს უნდა შეხვედოდნენ ერთმანეთს. დროზე შეხვედრის დათქმული მომენტი კი საგრძნობლად იგვიანებდა. გვირაბის დამპროექტებელს ნერვებმა უმტყუნა. ეგონა რომ დასავლეთიდან გათხრილი და აღმოსავლეთიდან გათხრილი გვირაბები აცდნენ ერთმანეთს. ვეღარ გაუძლო მის წარმოსახვაში წარმოქმნილ მდგომარეობას და დასავლეთის გვირაბის შესასვლელთან თავი მოიკლა. ამ ტრაგედიიდან რამოდენიმე ხანში გვირაბის მთხრელებს ერთმანეთის ხმა შემოესმათ! გვირაბის დამპროექტებლის მიერ ყველაფერი გაანგარიშებული იყო ზუსტად და სწორად! არასოდეს გამიგია ამ გვირაბმშენის გვარ-სახელი, მაგრამ დრო და დრო, როდესაც მატარებლის ფანჯრიდან წამიერად თვალს მოვკრავდი მის საფლავს, სინანულის და სიამაყის გრძნობა ერთდებოდა ჩემში. ახლაც, გვირაბში შემავალი და გვირაბიდან გამომავალი მატარებელი საყვირით ესალმება გვირაბმშენი ინჟინრის საფლავს. იმ დროს ეს პირველი სანახაობა იყო ჩემთვის და ჩემში ჩასახული ბავშვური ემოციით მინდოდა მეგრძნო, ინჟინრის საბედისწერო აზროვნებაში წამიერად ჩასახული სიკვდილის გარდაუალობა. — შვილო, გვირაბში შევდივართ! ძილში მომესმა ბების ხმა. თვალები დავაჭყიტე, წამოვიწიე, ფანჯარაში გავიხედე და სიბნელის მეტი ვერაფერი დავინახე. მატარებელმა დაუკლო სიჩქა-

რეს, ორთქმავალმა ერთიც შეჰკივლა და გვირაბში შემავალს ჩვეული ხმაური შეეცვალა. სიჩქარის ნელი ტემპი და ასევე გვირაბში წარმოქმნილი ოდნავშესამჩნევი გაგუდული გამოძახილი თითქოს-და გვაგრძნობინებდა მატარებლის წუხილს, ნეტავ გარეთ მშვიდობით გავსულიყავიო. გვირაბში ანთებული ნათურები ისე გარბოდნენ, რომ შემეძლო დამეთვალა. ვითვლიდი კიდეც, მაგრამ თვლა მერეოდა. საოცარი გრძნობაა, ხარ მიწის ქვეშ და იმწამსვე იქიდან გამოსვლის სურვილი გეუფლება შემზარავად. თითქოს ჩემთვის დიდი ხნის შემდეგ მატარებელი ნანატრი მშვიდობით გამოძვრა გვირაბიდან და ორთქლმავლის მემანქანემ მადლობის ნიშნად საყვირის გულთბილი შეძახილით მადლობის თქმით მიესალმა თავმოკლული გვირაბმშენის სამარადისო სამყოფელს. უცნაურობით ემოციადატვირთულმა მაშინვე ვიგრძენი, რომ მატარებლის სიჩქარემ თანდათან იმატა. ფიქრებით გართული ძილს ვაპირებდი, რომ უეცრად მატარებლის ჩვეული მონოტონური რიტმი შეიცვალა უცნაური ხმაურით. ერთ წამში, უკვე შარვალში ფეხებგაყრილი ბიძაჩემი ზედა საწოლიდან პირდაპირ ჩახტა ფეხსაცმელებში (მან ეს ილეთი სხარტად შეასრულა, იგი სპორტსმენი იყო ტანვარჯიშში) და სასოწარკვეთილმა წარმოთქვა ჩვენს გასაგონად: «ვაგონი აცდა ლიანდაგს და «შპალებზე» მოძრაობსო». იგი დადგა ჩვენთან და მოსალოდნელი საფრთხისგან ჩვენს დასაცავად მოემზადა. რამდენიმე წამში შპალებზე მოძრავი ვაგონის ერთმა მხარემ აყირავება დაიწყო, წამიც და, ზედა ნაწილით კლდეს მიყრდნობილმა ვაგონმა, სრიალი დაიწყო. ვაგონი თითქმის ორმოცდახუთ გრადუსამდე (რაც შემდეგში გახდა ცნობილი) იყო გადაქანებული და ზედა გვერდულით კლდესმიწოლილი მისრიალებდა. რამოდენიმე წამიც და ასეთ მდგომარეობაში მოძრავი ვაგონი მოულოდნელი მძლავრი დამუხრუჭებით მყისიერ შეჩერდა. ჩაქრა კუპეში მბჟუტავი ნათურა და სრულ სიბნელეში აღმოვჩნდით. ატყდა აუტანელი წივილ-კივილი. განსაკუთრებით შემზარავად ქალების ხმა ისმოდა. მე და ჩემი ძმა ჩავსრიალდით ბებისკენ. ძმა შეიშმუშნა და აყირავებულ მდგომარეობაში განაგრძო ძილი. მას ბავშვობიდანვე ეტყობოდა მტკიცე ნერვები, რაც შემდეგში იმაში გამოიხატა, რომ ყოველ სანერვიულოს ღიმილით ეპასუხებოდა. ბებიმ ძმებს თავებზე მოგვხვია ხელები, რომ მირტყმისგან დაეცავით. წინა ვაგონებთან შედარებით ჩვენი ბოლო ვაგონი მაქსიმალურად იყო გადაქანებული. წარმოიშვა გაუგონარი მდგომარეობა, არსაიდან არავითარი შველა. კარებთან, ვაგონის გამყოლი ქალის ხმა შემოგვესმა, აღელვებით დაინტერესდა, ცოცხლები ვიყავით თუ არა. იგივე გაიმეორა ჩვენი მეზობელი კუპეს კარებთან, და შემდეგაც. ვიღაც ქალს სისხლი სდიოდა და ხმამაღლა შველას ითხოვდა. რამოდენიმე ხანში სიბნელემ დღის სინათლით იწყო შეცვლა. ამ დროს გარედან გაისმა სხვადასხვა ხმით სასოწარკვეთილი შეძახილები: «ხანძარი, ხანძარი! იწვის ვაგონები, სწრაფად გადმოდით ვაგონებიდან!» მგზავრებმა დაიწყეს ჯერ თავიანთი ბარგის გადმოყრა ფანჯრებიდან, ხოლო შემდეგ თითონ გადმოდიოდნენ. ამ აურზაურში ვიღაცეებმა ხელი მიჰყვეს ქურ-

დობას. დაიტაცეს, რაც ხელში ხვდებოდათ და გარბოდნენ. მგზავრები გვიან მიხვდნენ, რომ იძარცვავებოდა მატარებელი, ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. ბებიმ გვიბრძანა, არ გაგვეღო არც ფანჯარა, და არც კუპეს კარები. იგრძნო, რომ იტყუებოდნენ ხანძრის თაობაზე. ამასობაში დღის სინათლემ იმატა და აყირავებული ვაგონის ფანჯრიდან თვალნათლივ დავინახეთ თვალუწვდენელად ჩაშვებული უსწორმასწორო ფერდობებით შემოხვეული ხრამი, რომლის ძირში თავმომწონედ მიიკლაკნოდა მდინარე ყვირილა (მისი სახელიც მოგვიანებით გავიგე). მატარებელი რომ გადავარდნილიყო ხრამში შემზარავად აირეოდა ერთმანეთში ცოცხალი და მკვდარი, დასახიჩეწბული და მომაკვდავი. სიკვდილი იზეიმებდა სიბოროტის ფასად. ბედად გადარჩენილები ალბათ თუ ვინმე დარჩებოდა. შემდეგში გაირკვა, რომ თურმე ომის პერიოდიდან თანგამოყოლილი «დივერსიის» მსხვერპლებად გვწირავდნენ, მაგრამ ღმერთის წყალობით მათ სწორად ვერ გაიანგარიშეს თავიანთი ბოროტი ზრახვების განხორციელება. არასწორი ადგილი შეარჩიეს გზის ასაყრელად. ლიანდაგების დამჭერი სოლები ამოაძვრეს მარცხნივ მოსახვევამდე. მატარებელი წინა ვაგონები უვნებლად გაივლიდნენ სოლებაყრილ ლიანდაგს, მატარებლის ბოლო ნაწილის გავლისას კი უკვე გადაადგილებულ ლიანდაგს აცდებოდნენ ვაგონები და, მათი გაანგარიშებით, ხრამისკენ გადაიყოლებდნენ მთლიანად მატარებელს. სინამდვილეში მოხდა ის, რომ მარცხნივ მომხვევი მატარებლის ბოლო ვაგონებზე იმოქმედა ცენტრიდანულმა ძალამ და ვაგონები მიაწვინა მარჯვენა, კლდოვან მხარეს. ბოლო ვაგონების კლდოვან მხარეზე ხოხვა როგორც კი იგრძნო მემანქანემ, მაშინვე ძლიერ დაამუხრუჭა ორთქმავალი. შეიძლება ითქვას, დივერსანტებს კოვზი სანახევროდ ჩაუვარდათ ნაცარში.

დილის მზემ როგორც იქნა ჩამოაღწია ხევისპირამდე, სადაც შემზარავი მდგომარეობით სასოწარკვეთილად იმედდაკარგულ მგზავრებს ლაღად მოუფინა თბილი სხივები. ჩვენ მხოლოდ ამ დროს უვნებლად გადმოვედით ვაგონის ფანჯრიდან, რაშიც სპორტსმენი ბიძაჩვენი მოგვეხმარა. გვითხრეს, წინა ვაგონებში დამსხდარვიყავით, რომელიც გააგრძელებდა გზას ფოთისკენ. ჩვენ აჩქარებული ნაბიჯით გავწიეთ გადატენილ წინა ვაგონებისაკენ და ძლივს მოვთავსდით ერთ-ერთ ვაგონში. მგზავრებმა ჩაიწ-ჩამოიწიეს და როგორც იქნა ბების მოუძებნეს დასაჯდომი ადგილი. მან ბუხუ კალთაში ჩაისვა, ხოლო ბიძაჩვენმა და მე ფეხზე დასადგომი ადგილი ვიშოვეთ. ასე ვიმგზავრეთ დაახლოებით ერთი საათი ან ცოტა მეტი, და ფათერაკგამოვლილებმა მივაღწიეთ თითქმის მშობლიურ ზესტაფონს.

სისხამ დილიდანვე თბილისში ხმა გავარდნილიყო, წუხელ გასული ფოთის მატარებელი გვირაბში გავლის შემდეგ ხრამში გადავარდნილიყო და ყველა ამოხოცილიყო. ბინისკარის მეზობლებმა, რომლებმაც იცოდნენ შალვას შვილებისა და დედის გამგზავრება წინაღამს ფოთისკენ მიმავალი მატარებლით, მწუხარებას გამოთქვამდნენ და სამძიმრითაც კი თანაუგრძნობდნენ მამას.

ზესტაფონის სადგურში ჩასვლისთანავე ბებიმ მიგვიყვანა ონკანთან და ხელ-პირის დაბანა გვთხოვა. ჩვენ თხოვნა შევუსრულეთ მას და გამოსაფხიზლებლად ცივი წყალი პირსახეზე შევისხით. შევედით სადგურის დარბაზში თუ არა, ბებიმ უთხრა დავითს, რომ ტელეგრამა გაეგზავნა შალვასთვის. საფოსტო დახლთან უშველებელი რიგი იდგა, ყველას ერთნაირად უჭირდა. ბიძაჩვენი სწორედ ამ რიგს მოერგო და ნელა მიიწევდა სადეპეშო სარკმლისკენ. მოსაცდელ დარბაზში ბებიმ ცოტა მოგვასვენა. რამდენიმე ხანში დავითიც შემოგვიერთდა და გამოვედით დახუთული სადგურიდან.

— სად მიბრძანდეებით, ბატონო? იმერულკილონარევი ქართულით თავაზიანად შეგვეკითხა სიმპატიური გარეგნობის ახალგაზრდა.

— ჩხარში. მიუგო ბიძაჩვენმა.

— დაბრძანდით ჩემს მანქანაში, ძვირს არ გამოგართმევთ, შესაფერ ფასად წაგიყვანთ. გვითხრა მშობლიური კუთხის ქართულით და იქვე მდგარი მანქანის კარი გამოაღო. მიპატიჟებაზე უარი ვეღარ ვთქვით და მანქანაში ჩავსხედით. ჩვენთვის უცხო მხარეში მიმავალი მანქანიდან უნახავებივით თვალს ვადევნებდით უცნობ არე-მარეს. მთავარი ტრასიდან მალევე შევუხვიეთ იქ, სადაც აბრაზე ჩხარი ეწერა. გავიარეთ თერჯოლაც და მივადექით ხრეშით მოკირწყლულ ოდნავ აქანებულ აღმართს. გადავიარეთ ღელეხიდი და აბრეცილ-ჩაბრეცილი ვიწრო გზით მივადექით ხისგან შენებულ, ჯერ კიდევ ვაჟკაცურად გამომყურე სახლს.

6). მშობლიურ სოფელში

— ტიტუია, შალვას ბოვშები ჩამევიდნენ! დანახვისთანავე შემოგვძახა ქალბატონმა ივლიტემ და ძმებს გადაგვეხვია, მერე ბებიც გადაკოცნა. დათიკო, შენც აქა ხარ შვილო! უთხრა ბიძაჩვენს და მასაც ჩახუტებით მიესალმა. დავითი გამოცდილი ჩხარელივით ეზოში მდგარ სამფეხა დაბალ სკამზე ჩამოჯდა სიამოვნებით. ივლიტე სახლში შეგვიძღვა და ერთერთ ოთახზე მიგვითითა, აქ მოისვენეთო, გვითხრა. თითონ თონესკენ გაემართა და ცომის ჩაკვრა განაგძო. შესანიშნავი სურნელება იდგა ეზოში, ხეხილს ივლისშივე ეტყობოდა, რომ ბარაქიანად მოსხმულიყო, ეზოს კიდეებთან განლაგებულ ბროწეულის ხეებს კი მეტად დამძიმებოდათ რკალივით დახრილი ტოტები. ძველი ბინადარის მსგავსად ეზოს ამშვენებდა კარგად შეფოთლილი და ჩვენკენ მედიდურად გადმომყურე კაკლის ერთადერთი ხე, რომელიც ამირანაშვილთა მრავალი ამბის უმეტყველო მოწმის როლს თავმომწონედ ასრულებდა. მიმზიდველ სურნელებასთან ერთად კაკლის ფოთლოვანი ტოტებიდან კეკლუცი საპატარძლოებივით იმზირებოდნენ მწვანე საფარში შეფუთული ჯერ დაუმწიფებელი ნაყოფი. იქვე ჭაც იყო ამოყვანილი, მასზე მოთავსებული წყლის ამოსატანი დანადგარით, რაზეც ჯაჭვშებმული სველი კასრი იდგა. ეზოს ამშვენებდა ხასხასა ბალახი, რომელსაც დასაბიჯებლად ვერ ვიმეტებდი. ერთი შეხედვით, ქალა-

ქის ცხოვრებას მიჩვეულ ბავშვებს ჩამოსვლის დღესვე გასაოცრად მიგვიზიდა სოფლის საკარმიდამომ, მისთვის მახასიათებელი ცხოვრებისთვის გამოსაყენებელი ნაირნაირობებით. სკამებზე კოხტად შემოდებულ ფიცრებზე მზის ფერებით შრებოდა ნერწყვისმომგვრელი ტყლაპი, აქა-იქ ჩაყოლილი, თვალებდაჭყეტილად გამომყურე ტყემლის კურკებით.

— ბებო ივლიტე, შეიძლება ტყლაპს ცოტა მოვახიო? ნერწყვგადაყლაპულმა შევეკითხე დადებითი პასუხის მოლოდინში.

— კი, შვილო, რამდენიც გინდა! ღიმილით მიპასუხა და კედელზე მიმაგრებული ჩემთვის უცნაური მომცრო ზომის წყლის კასრზე ქვემოდან მიმაგრებული რკინის ჩხირის აწევ-დაწევით, ფქვილიანი ხელები გადაიბანა.

ქალაქში გაზრდილი ბავშვები სოფლის ცხოვრების «ფერხულში» ჩავებით. დილაადრიან მოწველილი ძროხის თბილი რძით საწოლშივე გვიმასპინძლდებოდა ბებო ივლიტე და თან წინადღით გამომცხვარ პურის ნატეხსაც მორიდებით გვთავაზობდა. თვალების ფშვნეტით მივირთმევდით საუზმეს და ღია ფანჯრიდან შემონაბერი დილის ნამნარევი ნიავი თანდათან გვაფხიზლებდა. თითქოს-და ძილგატეხილები და როგორც ღამისნათევნი, უსაქმურად დავეხეტებოდით ეზოში, გვიკვირდა და გვსიამოვნებდა უცნაურობებით აღსავსე ყველაფერი. სისხამ დილით ბებო ივლიტეს ხმით «აცხა»-რებული ძროხა უერთდებოდა საძოვრისკენ ზლაზვნით მისეირნე ნახირს. რამდენიმე დღეში გავერიეთ სოფლის ბავშვებში, საბანაოდ დავიწყეთ გაპარვა და თითქმის საღამომდე იქ ვეგდეთ. სახლში ვბრუნდებოდით მშივრები და გემრიელად ვილუკმებოდით სადილად მორთმეული ივლიტეს ხელით შემზადებული ნოყიერი კერძით. მართალაც რომ, უნახავებივით ისე მივეჩვიეთ სოფელს, თბილისისკენ გახედვაც არც კი გვინდოდა.

7). მამაპაპისეული სახლი

ერთ დღეს გული ჩამწყდა ბოლომდე და, როგორც სატირლად მომზადებულს, თვალებიც ამიწყლიანდა. ბებიმ ორივე ძმა გამოგვიყვანა ივლიტეს ეზოდან, ცოტა ხანს გვატარა ორღობეში და მიგვიყვანა იმ სახლის სანახავად, სადაც, საკმაოდ დიდი ხანი იყო გასული, რაც იქ აღარავინ ცხოვრობდა. ერთი შეხედვით, სახლი საცოდავად გამოიყურებოდა და ეტყობოდა რომ, ადამიანის ხელისგან მართლაც შველას ითხოვდა. მზის სიმხურვალისგან დაბრეცილფიცრებიან და ნაცრისფრამდე გარუჯულ სახლს სიცოცხლის ნატამალიც აღარც კი შერჩენოდა. სახურავიდან საძირკვლამდე მოღუშულ სახლს ზედვე ეტყობოდა, რომ შორეული წარსულიდან უპატრონოდ იყო მიგდებული. სახურავზე მწყობრად დალაგებული ძველებური ფორმის კრამიტი ალაგ-ალაგ შესამჩნევად აყრილიყო; შორეულ წარსულში შვეულად აშვებული სახლის კედლები ახლა დამრეცად გამოიყურებოდა; დასაწყლებულად მომზირალ ფან-

ჯრის ჩარჩოებს ალაგ-ალაგ შუშებიც აკლდა. ან მთლიანად ამომტვრეულიყო, ან ნაწილობრივ ჩატეხილიყო; სულიერი არსებისგან ჯერ კიდევ შველას ითხოვდა მალევე ჩამოსაშლელად სამუდამოდ განწირული, არადა ერთ დროს სიცოცხლით სავსე სახლი თითქოს-და ადამიანის ხელს დახმარებისთვის ემუდარებოდა, განურჩევლად იმისა თუ ვინ შეხედავდა დანანებით და საშველად გაუწვდიდა ხელს: შინაური თუ გარეული, თავისიანი თუ უცხო ვინმე. ახლა სულ ერთი იყო მისთვის, ყველას გაუღებდა მონგრეულ კარებს, ვინც კი დანანებით აღიქვამდა მის ბედკრულ ყოფას და გულით მაინც გაიზიარებდა სიკვდილის პირას მისული სახლის მრავალწლოვან მწუხარებას. ეს იყო სწორედ ის სახლი, რომელიც თავის დროზე, სოფლის სხვა სახლებთან შედარებით გამორჩეული ქედმაღლობით და მედიდური თავმომწონეობის სიამაყით გამოიყურებოდა. მის მრავალწლოვან სიცოცხლეში ამირანაშვილთა მრავალი ოჯახი წარმოიშვა და აღიზარდა, რომელთაგან ბევრი მის გარშემო დასახლდა, ბევრმაც ქალაქად დაიდო ბინა. ეს იყო საქვეყნოდ აღიარებული მომღერლის პეტრეს და ხელოვნებათმცოდნე შალვას პაპის — ლუარსაბ ამირანაშვილის მიერ ნაშენი სახლი. უკვე რამოდენიმე ათეული წელი იყო გასული, რაც ამ სათაო სახლში ახალდაბადებულის პირველი ატირების ხმა აღარ ისმოდა; იმ სახლში სადაც თვით ლუარსაბ ამირანაშვილმა 112 წელი იცოცხლა. წინა დღით ნაქეიფარს, უზმოზე მომეტებულად გადაუკრავს თავისივე გამოხდილი არაყი და ზეცას ატყორცნილი სულის გარეშე არხეინად გაყოლეს მხოლოდ იქით გაკვალულ შარაგზას. ახლა კი მწუხარებას აყოლილი ბედნიერების სახლი თავის ბოლო წლების სიცოცხლეს უკვე დღეებით ითვლიდა.

და სწორედ ასეთ სახლთან თითქოს გამოსამშვიდობებლად მიგვიყვანა ბებიმ, რომელიც თავის გონებასა და გრძნობაში ცრემლმომდგარი თვალებით იხსენებდა იასონ ბაბუსთან ერთად ტკბილი ცხოვრებით გატარებულ დროს და დაუვიწყარი სიყვარულის ძალას ახლაც აძგერებული გულით ეტრფოდა. ეს იყო სწორედ ის სათაყვანსაცემო სახლი, სადაც ბაბუ იასონმა და ბები ასინეთმა გაზარდეს თავიანთი ცხრა შვილი, რომლებიც სრულასაკოვნობისას რიგრიგობით ქალაქისკენ გარბოდნენ და იფანტებოდნენ ზოგი სად და ზოგი სად. ყოველ მათგანს სანუგეშოდ ის-ღა შერჩენოდათ, რომ ზაფხულობით მშობლიურ ჩხარში იკრიბებოდნენ. ახლა კი, ამდენი ხალხის გამზრდელი სახლი, სწორედ რომ მათგან შველას ითხოვდა. ამ სახლის სიცოცხლე ორ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლიდა და ახლა შეკეთება-აღდგენას მოითხოვდა, მაგრამ ქალაქად გადაკარგულ ამ სახლის ამირანაშვილთა მემკვიდრეებს მშობლიური კერის მოვლა-პატრონობისთვის დიდი ხანია რაც, აღარ ეცალათ. მხოლოდ ბებიმ, ასინეთ ჩხენკელმა მიგვიყვანა მამა-პაპურ სახლში და ბავშვებს სურვილი აღგვიძრა გვეცნო ამირანაშვლთა ეს საცხოვრისი ჩვენს მემკვიდრეობით საკუთრებად, რომელსაც მოვლა-პატრონობას აღარ დავაკლებდით.

8). სტუმრად მეზობელ სოფელ ძევრში ბარათაშვილებთან

ჩხარში ყოფნით გული რომ მოვიჯერეთ, დაგვავლო ხელი გვარის გამგრძელებელ ორივე ძმას ბებიმ და მეზობლის ურმით აგვიყვანა სოფელ ძევრში, სადაც გათხოვილი იყო მისი ქალიშვილი მარიამი. ხრეშით მოკირწყლული ვიწრო ორღობე სამივემ: ბებიმ და მისმა ორმა შვილიშვილმა მარდად ავიარეთ. უბრალოდ მოხურული ჭიშკარი მოურიდებლად შევუღეთ სახლიკაც ასტერ ბარათაშვილის ეზოს, სადაც წლევანდელი ივლისის სიცხით სანახევროდ გადამხმარ ბალახში კოხტად ჩამჯდარიყო დამრეც ფერდობს მიტმასნილი ძველისძველად ნაშენი ხის სახლი, რომელსაც ნამდვილად არ ესადაგებოდა ახალგადახურული კრამიტი. დამრეცი ეზოს მხრიდან სახლი ერთ სართულად გამოიყურებოდა, ხოლო წინა მხარე ანუ ფასადი ორსართულად იყო ამოყვანილი.

ეზოში შესულ უცხოებს კაკლის ძირში მთვლემარე თეთრყურა შავი ძაღლი (რომელსაც რუსული ყაიდით ბელუხას ეძახდნენ) ბრილიანტისფერი კბილების ღრჭენით მყისვე გამოგვენთო ვაჟკაცური ყეფა-ყეფით. ახლო-მახლო მცხოვრებ მეზობელთა თვისტომა ძაღლებმაც მრავალხმიანად ყეფა აუბეს თავიანთ ძმობილ ბარათაანთ ბელუხას. ერთმანეთთან გადაძახილით ამ საქმის ამაგდარებმა მთელ სოფელს შეატყობინეს ქალაქელთა სტუმრობა სოფლად. ძაღლის ყეფაზე სახლის კარი ჭრიალით გაიღო, საიდანაც მკვირცხლად გამოვარდა მამიდაშვილი დიტო, ჯერ ძაღლი დაამშვიდა რომ არ დავეგლიჯეთ, მერე ჩვენთვისაც მოიცალა. სახლის ღია კარებში ფრესკასავით ჩაიხატა ქალბატონი მამიდა მარიამი, რომელიც შორიდანვე სიხარულით შემოგვეგება, ძმიშვილებს გადაგვეხვია და ჩაგვკოცნა. იმ დღეს, ოჯახი ელოდებოდა სასურველ სტუმრებს და იმერულად შემზადებული სურნელოვანი სუფრა გაშლილად დაგვახვედრეს. კოხტად დაჭრილ მოხარშულ ქათმის ხორცს მხარს უმშვენებდა ქინძით შეზავებულ-შეკმაზული ნიორწყალი, ერთმანეთზე ეწყო დატეხილი ცხელი ჭადი და ნაჭრებად ეწყო ოყად ამოყვანილი ჭყინტი ყველი. იქვე ელაგა ქალაქურად გამომცხვარი პურის ნაჭრებიც. სატრაპეზოში შემოსულმა მამიდამ ხელისგულით შემოგვიტანა სუფთა ტილოზე მოთავსებული კეცში გამომცხვარი ხაჭაპური, რომელსაც ალაგ-ალაგ ყველი გასდიოდა და ზედმოყრილი ფქვილიც ქულა-ქულად ეტყობოდა. ნამდვილად იმერულ ყაიდაზე გამომცხვარი ხაჭაპური როგორც კი მოთავსდა სუფრაზე, ძმებმა უნახავებმა ხელისგულით როგორც იქნა ყუა მოვატეხეთ და მაშინვე ვეძგერეთ სურნელოვან ხაჭაპურს. სახლიპატრონის შვილმა დიტომ ოდნავ ჩაიცინა და თავისთვის ქათმის ხორცი გადაიღო და ნიორწყლით შეაზავა.

სუფრა გაშლილი იყო შემინულ აივანზე, საიდანაც მიმზიდველად ჩანდა სახლისპირად კოხტად ჩამწკრივებული ვაზის რიგები, რომლებსაც მზრუნველი კაცის ხელი ნამდვილად ეტყობოდა.

ჩვენ გემრიელად წავიხემსეთ. შემდეგ ბები მუთაქებშემოწყობილ ტახტზე წამოჯდა დასასვენებლად, ჩვენ კი ოდნავი ხმაურით ეზოს მი-

ვაშურეთ. როგორც ოდითგან დაუწერელი წესი, ოჯახმოკიდებული ყოველი იმერელის საკარმიდამოს აუცილებლად ამშვენებდა ვაჟკაცურად გამომყურე კაკლის ატოტვილი ხე, ასხმული საჩრდილობლად გამოსაყენებელი დიდრონი ფოთლებით. ბარათაშვილთა ოჯახის ეზოსაც წლებგამოვლილი სხმოიარობით და მაინც პატარძალივით თავმომწონედ ამშვენებდა ბარაქიანად ნაყოფმოსხმული და მეტისმეტად დაფოთვლილი კაკლის ხე, რომლის სიცოცხლეც საუკუნეს მეტად აჭარბებდა. კაკლისხეს ეტყობოდა, რომ ასტერ ბარათაშვილის გვარის გამრჯე წინაპრის მიერ იყო სამარადისოდ დარგული. სწორედ ამ კაკლის ძირში ვიგრძენით სასიამოვნო სიგრილე და ისიც, რომ ჩვენს გარშემო მისგან იფრქვეოდა საოცრად მიმზიდველი სურნელება. ჭრიჭინებს, ხომ აკლებული ჰქონდა იქაურობა და მხოლოდ მათთვის ჩვეული ტონალობით რეტროსებურად უწყობდნენ ჰანგებს ზაფხულის თავშეუკავებელ სიცხეს.

პატრონის შეძახილებს დამჯერი «ბელუხა» ზლაზვნით მოგვიახლოვდა: დიდრონი თვალებით კარგად ჩაგვჩიჩმა, გაბუშტული ნესტოებით კიდეც დაგვყნოსა და ჩვენი სურნელება წამსვე დაიმახსოვრა. ანაზდად იმაშიც გაერკვა კიდეც, თუ რაც ბედენაც ვიყავით მე და ჩემი ძმა. კუდის ქნევით გვანიშნა, რომ მისი სტუმრებიც ვიყავით და შეიძლება თავისიანებად აღგვიქვამდა კიდეც.

მალე მოსაღამოვდა და ასტერ ბიძიას უფროსმა ზურიკომ საბალახოდ ნამყოფი ძროხა «მაშკა» შემოდენა ეზოში. ძროხამ, მხოლოდ მისთვის მომზადებული ჭურჭლიდან წყალი ხვრეპა-ხვრეპით მიირთვა და მერე იქვე დაგდებულ ქვამარილის ნატეხს დაუწყო ლოკვა. ამ დროს კასრით ხელში სახლიდან გამოვიდა გამრჯე მამიდა და ძროხას წველა დაუწყო. წველისას, ხანდახან მხოლოდ ძროხის გასაგებად, წამოიყვირებდა: «გააჩერე ფეხი, შე სამგლე, შენა» და რძიან კასრს მოარიდებდა. ცოტა რძე ჯიქანში ჩაუტოვა და დაბმული ხბო სახელად «კოტინა» მიუშვა. ხბომ შეირგო დედის რძე, მაგრამ არ ეყო და კარგა ხანს მაგრადაც აბღავლა მშობელი დედა, რადგან ურქებო შუბლით რქენა დაუწყო დედიკოს ჯიქანში. ძმები ქალაქელები გაკვირვებულები ვუყურებდით საღამო სოფლის სპექტაკლს და გულში გვსიამოვნებდა ჩვენ მიერ დანახული სოფლური სიახლე. შებინდებისას სახლში დაბრუნდა ასტერ თავკაცი, რომელიც კოლმეურნეობაში აგრონომად მუშაობდა. მარიამ მამიდამ მეუღლეს ვახშამი მიართვა, ხოლო ჩვენ და თავის ბავშვებს, ჯერ კიდევ თბილი, ახალმოწველილი უდუღარი რძე ჩამოგვისხა ტიხრულად მომრგვალებულ ჭიქებში. მშრომელი სოფლელების მესამე ბიჭი ნუგზარ-ნიკო ჯერ კიდევ აკვანში იყო დაბმულ-დაკრული. თუ გადაუცილებდი საკვებს, გულსაკლავად ტიროდა და დროდადრო გადაფიჩინებაც იცოდა კიდეც. ამ ტირილ-ყვირილში სასიმღერო ხმაც დაუდგა და ახალგაზრდობაში სოლისტად მიიწვიეს კიდეც გუნდ «ფაზისში». გავიცანით ძია ასტერის დედა ანუ ჩვენი მამიდა მარიამის დედამთილი ოლღა ბებია, რომელსაც ოჯახი ნამდვილად ხელში ეკავა. ყველაფერს მას ვეკითხებოდით, ის კი თავმომწონედ გვიხსნიდა და თითქოს მრუდე გზასაც აცდენი-

ლები სწორ გზაზე გავყავდით. თუ გულმოსული იყო, ისეთი დაცაცხანება იცოდა, რომ ჩემ მტერს. ხანდახან კაცის სათქმელ გინებასაც სიტყვადა-უჭერლად მოაყოლებდა. იყო სპეტაკი ქალი, მასთან საუბარი ერთ სიამოვნებად ღირდა. მისთვის განკუთვნილი ცალკე ოთახი სისუფთავის განსახიერება იყო. ყოველთვის დალაგებული და ყველაფერი თავის ადგილს მიჩენილი, სიწმინდით წკრიალებდა მისი სასუფეველი. სპეტაკი ქალბატონი ოლღას სამყოფელის კარი რომ იღებოდა, ზეცით მონაბერი სისუფთავის სურნელი იფრქვეოდა ბარათაშვილების საკეთილდღეოდ.

გვიან საღამოს მასპინძელი ოჯახის წევრებმა ყველამ ერთიანად ფეხები დაიბანა და შეგორდნენ ათეთრებულ ქვეშსაგებში. ჩვენ კი, ქალაქიდან წამოყოლილი უწესობით, ფეხდაუბანლად მივადექით საძინებლად გაშლილ თეთრეულს. მეორე საღამოს ვიკადრეთ და ძილისწინ ჩვენც დავიბანეთ ფეხები, თანდათან ვეზიარეთ ბებია ოლღას მიერ ოჯახში დადგენილ სიკეთის მთესველ კანონებს.

გავიდა მოსანატრებელი ზაფხული და მალე სოფელს შეთვისებული ძმები დავუბრუნდით ქალაქურ ცხოვრებას. მამის სამშობლო სოფელ ჩხარში და ბარათაშვილებთან ძევრში გატარებული სასიამოვნო ზაფხული ხშირად გვიმეორდებოდა ოცნებებსა და სიზმრებში.

XII

1). ჩემი ბავშვობის უბანი

ჩვენი უბანი მოიცავდა რუსთაველის მოედნიდან მთაწმინდისკენ ამავალ მთავარი ქუჩას და მის მარცხენა შესახვევს, რომლებიც მწყობრად ჩალაგებული ქვაფენილით იყო მოკირწყლული. თავის მხრივ, მარცხენა შესახვევი აერთიანებდა ორ მომცრო ქუჩას, რომლებიც ასევე მთის ფერდობისკენ აგრძელებდნენ აღმართს. ეს იყო და ეს აღმართ-დაღმართით დაფენილი მშობლებისდაგვარი მზრუნველობით აღმზრდელი ჩვენი უბანი. ჩემს დაბადებამდე უბნის მთავარი ქუჩა ნავთლუღის ქუჩად იყო მონათლული, ბავშვობის პერიოდში მოსკოვის ქუჩად სახელდებოდა, ახლა კი, ძმები კაკაბაძეების ქუჩად არის ცნობილი. ამ ქუჩაზე მოთავსებულ პურის საცხობთან შესახვევში დაწყებული შუა ქუჩა, ქვეყნის განვითარების საბჭოურ პერიოდში რევოლუციონერ კარლ ლიბკნეხტის სახელით იყო ცნობილი, ხოლო პოსტსაბჭოური პერიოდის დემოკრატიულ საქართველოში მას ეწოდა 1924 წლის აჯანყების ეროვნული გმირის სოლომონ ზალდასტანიშვილის სახელი. როგორც ვთქვით, შუა ქუჩის თავში ერთიანდებოდა მეტად მრუდედ გადმომყურე ორი ქუჩა: მოსკოვის შესახვევი (ახლა ზალდასანიშვილის შესახვევი) და რვა მარტის ქუჩა (ახლაც რვა მარტის ქუჩა). რატომღაც ვიმეორებ, სულ ეს იყო და ეს ჩვენი საუბნე ქუჩები, სადაც თითქმის ყველა უბნელმა ავიდგით ფეხი და მოსანატრებელი ბავშვობა გავატარეთ.

რვა მარტის ქუჩის ფერდობის თავზე თავმომწონედ იდგა ბაგრატიონ-მუხრანსკაიას სამეფო გვარის საკუთრებაში არსებული წითელი აგურით ნაშენი, მოგრძო ფორმის ერთსართულიანი სახლი. ეს ქუჩა გრძელ-დებოდა მთაწმინდის კიდესთან მდგარ რუსულ ეკლესიამდე, რომლის ეზოში ხშირად ვთამაშობდით ბურთს, ქუჩა ქუჩაზე ან უბანი უბანზე, რაც ზოგჯერ ჩხუბით მთავრდებოდა.

ახლა, სიბერის დროს მეამაყება ჩემი ბავშვობის უბანი, სადაც საქვეყ-ნოდ ცნობილ პიროვნებები ცხოვრობდნენ.

მოსკოვის (ზალდასტანიშვილის) ქუჩის შესახვევის თითქმის ბო-ლოში, გორაკს მიტმასნულ ერთ-ერთ სახლში ბინა დაედო გამოჩენილ ქართველ ენათმეცნიერს ბატონ თედო სახოკიას (1868-1956). ევრო-პულ განათლებას (ჟენევის და პარიზის უნივერსიტეტები) დაუფლებული ბატონი თედო სახოკია დაუბრუნდა მშობლიურ საქართველოს და თბი-ლისში განაგრძო ენათმეცნიერულ-ლიტერატურულიი მოღვაწეობა. ქარ-თველი ერის სამსახურში ჩამდგარმა თედო სახოკიამ დიდი წვლილი შე-იტანა ლექსიკოგრაფიაში, მთარგმნელობით მოღვაწეობაში, ასევე ქარ-თულ ხატოვან სიტყვა-თქმათა და ანდაზების შეკრება-გამოცემის საქ-მეში.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი ბავშვობის პერიოდში ბატონ თედო სახოკიას თავკაცობით მასთან ერთად ერთ ოჯახად აღ-ვიქვამდი მის შვილს შესანიშნავ ქალბატონ თინათინ სახოკიასს და მის შვილიშვილს ბაბუს კვალის გამგრძელებელს შუქია აფრიდონიძეს. სა-მაგალითოდ უნდა ითქვას, რომ ქალბატონმა თინათინმა, თავდაუზო-გავი ცხოვრებისეული შრომა-გარჯით, რაც შეეძლო დიდხანს აცოცხლა ყველა ქართველისათვის დიდებული ადამიანი — ბატონი თედო. სწო-რედ, მეცნიერული ძლევამოსილებით აღსავსე პაპამ, ქართულ ენათმეც-ნიერების ასპარეზზე გზა დაულოცა თავის უმშვენიერეს შვილიშვილს შუქია აფრიდონიძეს, რომელიც თანამედროვეობის ცნობილი ქართვე-ლოლოგი გახდა. და რაც მთავარია, შვილიშვილს პაპამ შეარქვა სა-ხელი «შუქია», რომელსაც თურმე ბავშვობაში ვერ იტანდა თითონ შვი-ლიშვილი, რის მოწმეებიც მის მეზობლად მცხოვრები მე და ჩემი ძმა ვიყავით. ახლა ალბათ, ნამდვილად ესახელება პაპის მიერ გაწეული სახელ-ნათლობა. მე მგონი, ბატონ თედოს შვილიშვილის გარდა, ეს სა-ხელი არავის სხვას არ რქმევია მთელ საქართველოში. შუქიასა და ძმებ ამირანაშვილებს შორის ბავშვობაში წარმოქმნილი ხალასი მეგობრობა, დროდადრო თავს გვახსენებს ახლაც. ჩვენს ბავშვურ მეგობრობაში მემ-კვიდრეობით ჩაისახა ერთ ქუჩაზე მაცხოვრებელი თედო სახოკიასა და შალვა ამირანაშვილის გულწრფელად მეგობრული ურთიერთდამოკიდე-ბულება.

ჩემი შთაბეჭდილებით აღქმულ ბავშვობის სურათებიდან დღესაც და-უვიწყარია ჩვენს ქუჩაზე ჩამსვლელ-ამსვლელი, არისტოკრატულად წარ-მოსადეგი, სპორტული აღნაგობისა და სახის მიმზიდველი გამომეტყვე-ლების, თავისუფალი საქართველოს მოტრფიალე თმაშევერცხლილი მა-

მაკაცი — ბატონი თედო სახოკია, რომელიც განუყრელი ხელჯოხით იყო მომარჯვებული. მაშინაც თვალნათლივ ეტყობოდა მის იერ-სახეს, რომ შესამჩნევი დაღი დაესვა განვლილი წლების ცხოვრებისეულ დავიდარაბას.

ჩვენი უბნის ბავშვები, სრულყოფილებით აღსავსე ამ ადამიანის ნახვით განსაკუთრებით ვიხიბლებოდით ადრე გაზაფხულიდან შემოდგომის მიწურულამდე პერიოდში. გამოჩნდებოდა თუ არა ჩვენს ქუჩაზე ბატონი თედო, იმ დროს თუ ბურთს ვთამაშობდით, ვწვეტდით ბურთის თამაშს, თუ ვყვიროდით ან ვჩხუბობდით ვწყვეტდით ყვირილსა და ჩხუბს, უკლებლივ ყველა გარინდულნი შევცქეროდით მას და ვტკბებოდით დამრეც ტროტუარზე მომავალი ბატონი თედოს მამაკაცური შესახედაოით. მას არ ეთაკილებოდა ბავშვებთან შეხვედრა და ეტყობოდა რომ, მოსწონდა კიდეც. იგი ნელი მოძრაობით თავს გვიხრიდა და გვესალმებოდა არისტოკრატიული იერით. მოაბიჯებდა ჩვენი თედო სუფთად გამოწყობილი თეთრი ფერის კოსტუმში და თეთრ ფეხსაცმელებში, თავზე კოხტად მორგებული, ლენტაშემოხვეული ჭილიფის შლაპით. იგი მთლიანად ბრწყინვალებდა და თითქოს აუტანელი ცხოვრებისეული გზის ყოველდღიურ გაკვალვას მას უმაგრებდა ხელით მარჯვედ მოჭიდული, მარადჟამს თანაზიარი, მოყავისფრო საყრდენი ჯოხი. საოცრებას ჰგავდა სიცოცხლით სავსე ადამიანი, ჩვენი თედო, რომელსაც უმანკო ბავშვური შეგნებით ჩვენი მომავალი კაცობის მისაბაძ ადამიანად აღვიქვამდით. ხანდახან, თუ პირისპირ დაგვიხელთავებდა მისი მეგობრის შალვას შვილებს — ძმებ ამირანაშვილებს, ვითომ შეცდომით ერთმანეთის სახელებს გვეძახდა და ჩვენს გაკვირვებულ შეპასუხებაზე სასიამოვნო ღიმილი უკრთოდა სახე, ხანდახან გულღიად წასკდებოდა კიდეც სიცილი.

ალბათ, ახლაც დაუვიწყარია უკვე ხანში შესულ და წაბერებულ იმდროინდელ ბავშვებში ღვთისნიერი აურით გამომყურე ჩვენი ბატონი, თედო სახოკია!

ბატონ თედოს ბინის მახლობლად, აღმართის ბოლოს, ცხოვრობდა ჩვენი თანატოლი, სახელად ბესიკი. იგი, ტანად იყო ქანდაკებასავით ჩამოსხმული ახალგაზრდა, რომელიც ვაჟკაცური სილამაზის მამაკაცად ყალიბდებოდა. იგი ყოველთვის ერიდებოდა ჩვენთან თამაშს, მხოლოდ ერთი ფიზიკური ნაკლის გამო: კოჭლობდა. თუ რატომ, არ ვიცოდით არავინ და თითონაც არ გვეუბნებოდა, ხოლო ჩვენ მორიდებისდაგვარად, არც კი ვეკითხებოდით. ბავშვობაგატარებული უბნიდან ადრევე გადავედი სხვაგან საცხოვრებლად და როგორ წარიმართა ბესიკის ცხოვრების გზა, არ ვიცოდი. ერთხელ, არც თუ ისე დიდი ხნის უკან, მეტრო «დელისთან» დავინახე ბესიკი, ჩემკენ მომავალი. იგი ძველებურად მოაბიჯებდა. მე გავჩერდი, და ჩემ მიერ შეთვისებული არასწორი ეტიკეტის დაგვარად, პირველად სალამს უმცროსისგან ველოდი. ბავშვობის დროინდელ დიდებულ ახალგაზრდაში მშვენიერი და წარმოსადეგი მამაკაცი დამდგარიყო. იგი ნახევრადგაღიმებული სახით იმზირებოდა ჩემკენ. თურმე, როგორც წესი, მოსალმებას ბატონი ბესიკი უფროსისგან

ელოდა. მე კი, ჩემი ჭკუის ამარად დარჩენილმა გვერდი ჩავუარე და მისალმებისთვის სიტყვა ვერ დავძარი. «ალბათ, ვერ მიცნო!» ინუგეშა თავი ბესიკმა და გზა განაგრძო. «მაგრამ თითონ ხომ მიცნო», გავიფიქრე და თვალი გავაყოლე ბავშვობისდროინდელ თანატოლს. მაინც რატომღაც გულნატკენმა განვაგრძე გზა და ფიქრებში ჩემ თავს ვადანაშაულებდი ბოლომდე.

თედო სახოკიას სახლიდან დაღმართისაკენ რამოდენიმე ფეხის ნაბიჯზე (მოსკოვის შესახვევ №6-ში) ცხოვრობდა სამი ძმა: ჯემალი, ჯამბული და ჯუმბერი, გვარად კეპულაძეები. ისინი არც თუ ისე ხშირად თამაშობდნენ ჩვენთან, სერიოზულობა ჭარბობდა მათში. ძმები მალე ვერეს უბანში გადავიდნენ საცხოვრებლად და საერთოდ აღარც გვეკარებოდნენ. მათთან ახლოს, იქვე ეზოში მოსკოვის შესახვევ №4-ში) ცხოვრობდა ინჟინერ მიხეილ კაკაბაძის ოჯახი. ბატონ მიხეილს ცოლად ჰყავდა უბანში სილამაზით განთქმული სახისა და სიმეტრიული მოყვანილობის ტან-ფეხით დამშვენებული მართლაც რომ ქალბატონი თინათინი. მის დანახვასა თუ თვალის ოდნავ შევლებას, დიდიან პატარიანად ყველა უბნელი ყოველჯერ ვნატრობდით. მაშინ მოდაში იყო სიმღერა: «მოხევის ქალო თინაო» და მის დანახვისთანავე გულში ავუმღერებდით სილამაზით განთქმულ ჩვენუბნელ ქალბატონს. მიხეილს და თინას ორი შვილი ჰყავდათ, უმცროსი ელიზბარი, ჩვენთან შედარებით წლოვანებით უმცროსი იყო. (რატომღაც აზრმა გამიელვა: ჩვენიუბნელი ელიზბარ კაკაბაძე, ის ელიზბარ კაკაბაძე ხომ არ არის, რომელიც კინორეჟისორ მიხეილ კობახიძის ფილმის «ქორწილი» გადამღებ ჯგუფში მონაწილეობდა ოპერატორად). ელიზბარის და ინგა იყო ჩვენი თანატოლი, მაგრამ თავის წლოვანებასთან შედარებით ფიზიკურად უფრო დასრულებული. ბიჭები, მასთან ერთად თამაშის დროს ვცდილობდით ოდნავ მაინც შევხებოდით მის ამობურცულ მკერდს.

კაკაბაძეების გვერდით მეზობლად ცხოვრობდნენ ცინცაძეები, სადაც ჩვენი თანატოლი არავინ იყო.

მოსკოვის შესახვევ №2-ის პირველი სართული ეკავა სამ ოჯახს, რომელთა წევრებს აერთიანებდა მიწურში კოხტად გამოყვანილი ფეხსალაგიანი ტუალეტი.

შემოსავალი დერეფნის მარჯვნივ მდებარე ერთ ოთახში მოთავსებული იყო ძვლებამდე გამხდარი სომეხი ვაჭრის ზარზან ტუმასიანის ექვსსულიანი ოჯახი; მას ცოლად ყავდა ქართველი ქალი — ელენე ნემსაძე და ქართველთა სიძედ გრძნობდა თავს.

დერეფნის მარცხნივ მდებარე ერთ ოთახში ცხოვრობდა უწყინარი მეზობლები: დედა და მისი ვაჟიშვილი შოთა, რომელიც ჩვენ ძმებზე გაცილებით უფროსი იყო და ზოგჯერ თუ გაგვეთამაშებოდა. მათ მალე მიიღეს სადღაც ბინა და გადავიდნენ, ხოლო მათი საცხოვრებელი ოთახი დაიკავა მოხერხებულმა სომეხმა მეზობელმა.

მესამე ოჯახად წარმოდგენილ ამირანაშვილებს ბინა დაედოთ ერთ დიდ, მეორე საშუალო და ერთიც მცირე ფართის სამ ოთახში, რომე-

ლიც ბოლოვდებოდა მთის ფერდობს მიტმასნული სამზარეულოთი. დიდ ოთახში ვცხოვრობდით ჩვენ, ექვსი სულისაგან შემდგარი ამირანაშვილები: პაპა-იასონი, დიდედა-ასინეთი, მათი უფროსი შვილი-შალვა და ნაბოლარა ანუ უმცროსი-გივი, რომელიც ფრონტზე წავიდა და აღარ დაგვიბრუნდა. ამ ოთხეულს დავემატეთ ჩვენც, შალვას შვილები: გულბადი (მეტსახელად: კუკური) და ჯუანშერი (ბუხუნი). საშუალო ზომის მეორე ოთახში ცხოვრობდა მამის დის ოთხსულიანი ოჯახი: ნინა და მისი მეუღლე მიხეილ გაჩეჩილაძე და მათი შვილები: მედეა და ბადრი. ხოლო მესამე, მცირე ზომის ოთახი ეკავა მამის საშუალო ძმას დავითს, თავის ცოლშვილით: მეუღლე ლიუდმილა რაზუმოვა და მათი შვილი ვალენტინი. ჩვენთან ერთად ცხოვრობდნენ დრო და დრო სოფლიდან ჩამოსული ნათესავებიც, ხან ერთი სული, ხან კი ორი. ყველანი ვეტეოდით და ალალად გვიყვარდა ერთმანეთი. ამდენი ხალხი ვცხოვრობდით ერთად და მოსაქმეობისთვის ტუალეტში რიგი არასოდეს დამდგარა.

ჩვენს ბელეტაჟიან სახლს მოკიდებულ ორ სარდაფში ქურთები ცხოვრობდნენ. ბები და ბაბუს ოთახის ქვემოთ, ნახევრად მიწაში ჩამჯდარი სარდაფი ეკავა ქალბატონ ფაზოს ხუთშვილიან ოჯახს. მისი მეუღლე, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ქართული, კურტნის მუშად მუშაობდა რკინიგზის სადგურში. ჩვენი სახლის მეორე სარდაფი, რომელიც მესამედით მიწას ეკვროდა, ეკავა შესახედავად წარმოსადეგ ქურთი მამაკაცის საბრის ოჯახს, რომელსაც ქართველივით ერთი ცოლი და ორი შვილი ჰყავდა.

ომისშემდგომ წელს, თუ მის მომდევნო მეორე წელს (ზუსტად არ მახსოვს), თბილისში საშინელი წყალდიდობა მოხდა. იმ ღამის თავსხმა წვიმის დროს დამრეც ქუჩაზე ნიაღვარივით მოვარდნილი წყლით ფაზოს და საბრის საცხოვრებელი სარდაფები იტბორებოდა. მომეტებული სიჩქარით მღვრიე წყლით ივსებოდა მეკურტნე მუშისა და ფაზოს საცხოვრებელი ოთახი, რომელიც ჩვენი ოთახის ქვემოთ იყო მოთავსებული. ჩვენ უკვე ძილისთვის ლოგინებში ჩაწოლილებს ამ სარდაფიდან მოგვესმა ქალბატონ ფაზოს განუწყვეტელი წივილ-კივილის საშინელი ხმა.

გადავიხედეთ ფანჯრიდან, და ზუსტად ჩვენი ფანჯრის ქვეშ, ქურთი კაცის საცხოვრისის მეტად დამრეც ჩასასვლელი კიბით, მთის პირიდან მოვარდნილი ნიაღვარი პირდაპირ მათ ოთახში ჩაედინებოდა. ოჯახის თავმა ძლივს გამოარღვია აბობოქრებული წყლის ნაკადი და უკვე ფანჯრიდან გადამყურე მამაჩემს სასოწარკვეთილი თვალებით შეხედა და ქვევიდან ამოსძახა: «მიშველე, შალვა, მიშველე!». მისი ერთი ოთახი სწრაფად ივსებოდა მღვრიე წყლით. ბავშვები მაგიდაზე აესვათ, მაგრამ წყალი უკვე მაგიდის ზედაპირზე ლივლივებდა.

— ჩქარა, ბავშვები მომაწოდე! უყვირა მამაჩემმა ბავშვების მამას, რომელიც გონს მოეგო და ცოლს ქურთული სიტყვები სწრაფად მიახალა. ჯერ თოთო ბავშვი გამოჩნდა ფანჯარაში, რომელიც საწოლზე მოვათავსეთ, შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხეც და ბოლოს, უფროსი ბავშვიც გადმოგვცეს ფანჯარაში. ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ჩაკიდეს ხელი

და გამოტოპეს სახლის კიბეებამდე, რომელიც ჩვენს ოთახს უერთდებოდა. საწოლზე შემომსხდარ ატირებულ ბავშვებს გვერდით მოუსხდნენ და ერთხანს დადუმდნენ. ბებომ ჩვენი ტანსაცმელი მიაწოდა ფაზოს, რომელმაც ბავშვებს შეუცვალა სველი ტანსაცმელი. ამის შესახებ ახლა მეფიქრება, რომ ღამეს უქმად არ აცდენდა დალოცვილი მეკურტნე, რაც სამაგალითოდ თუ გამოგვადგება ქართველებს.

საბრის საცხოვრებელ სარდაფში მხოლოდ მუხლამდე ამოტივტივდა ხიფათისშემცველი მღვრიე წყალი. გამრჯე ცოლ-ქმარი თითქმის მთელი ღამის განმავლობაში ღვრიდნენ გარეთ დაუპატიჟებლად მოვარდნილ ნიაღვრულ სტუმარ წყალს.

დილამ ისე მშვიდათ შემოგვანათა, თითქოს არაფერი მომხდარიყო წუხელ ღამით. ქურთი მეზობლის ოჯახი კიდევ ორი დღე დარჩა ჩვენთან, სანამ მათი ოთახიდან ქალაქის სამსახურმა ბოლომდე არ ამოტუმბა იქ დამდგარი თითქმის დაჭაობებული წყალი. ცოლ-ქმარი მათი საცხოვრებელი ოთახის დალაგებას შეუდგა, მაგრამ იქ დამდგარი სინესტე ძვალსა და რბილში ერთიანად ატანდა. მალე, ეს ორი დაზარალებული ოჯახი ბინებით დაასაჩუქრა მთავრობამ და სხვა მისამართზე გადავიდნენ საცხოვრებლად. ჩვენი ოთახის ქვეშ მოქცეული სარდაფი აჭედეს და დალუქეს, ხოლო საბრის ერთი ოთახი ფოკუზნიკი სომეხი მეზობლის პირად საკუთრებაში აღმოჩნდა.

ჩვენი ოთახის ქვემო სარდაფში მაცხოვრებელი ბავშვები რომ წამოიზარდნენ, სტუმრად დაიწყეს სიარული თავიანთ ძველ უბანში. ჩვენ ყოველთვის გულთბილად ვხვდებოდით მათ და წყალდიდობას ერთად ვიხსენებდით.

ჩვენი სახლიდან ცოტა მოშორებით (ლიბკნეხტის ქუჩის №18-ში) იდგა თბილისის მკვიდრის, საზოგადოებაში გამოჩენილი ქართველი-ებრაელის, ბატონ ხაიმ შათაშვილის საკუთრებაში არსებული ერთსართულიანი სახლი. მისი შვილებიდან ჩვენთან მეგობრობდა ჩვენი თანატოლი ლული შათაშვილი, რომელიც ქართული თვისებებით ხასიათდებოდა უფრო მეტად, ვიდრე მისი მკვიდრი ძმები. ალბათ ხუმრობით თუ იტყოდა ხანდახან, გვარი შოთაშვილად უნდა გადავიკეთოო. წამსვე ნიშნისმოგებით წავეხუმრებოდი: «რაღა შოთაშვილად, ბარემ რუსთაველად გადაიკეთე». ამ თქმაზე იხტიბარს არ იტეხდა და გულიანად იცინოდა. მან ნიჭიერ მოსწავლეთა ათწლედი დაამთავრა ფორტეპიანოს განხრით. როდესაც ჩვენი მეგობარი როიალს მოუჯდებოდა, ჩვენ ჩავცუცქდებოდით მისი სახლის ფანჯრებთან და გასუსულები ვუსმენდით ბეთჰოვენს, მენდელსონს, ბახს, გაიდნს... როგორც ხდება ხოლმე, ათვისებულ სპეციალობას თავი გაანება «ჩვენმა პიანისტმა» და ფიზიკის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტში. საბოლოოდ ჩამოყალიბდა უმაღალესი დონის ფიზიკოს-მეცნიერად და უცხოელებიც ხშირად იწვევდნენ კომფერენციებში. მისი უფროსი ძმებიდან სიმონ შათაშვილი მათემატიკოსი იყო და მაღალკვალიფიციურად კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო

ძმა ალბერტი კიევის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა და ნერგავდა ქართულ მეცნიერებას უკრაინაში. მათი დები გარიგებით დაათხოვეს ტრადიციას ათვისებულმა მშობლებმა და ისინიც, თავ-თავიანთ ცხოვრებისეულ სარგოს თავჩაღუნული მორჩილებით მიენდვნენ.

ჩვენთვის, ყოველი ბაშვისთვის დიდედასავით საყვარელი ქალი იყო ხაიმ შათაშილის მეუღლე ქალბატონი ხანა. ბურთის თამაშის დროს, ყიჟინით და ჟრიამულით აკლებული გვქონდა იქაურობა და სრულიად შემთხვევით ბევრჯერაც ჩაგვიმტვრევია შათაშვილების სახლის ფანჯრის მინები. როგორც კი ეს ხდებოდა იმ წამსვე ხანა ბებია გამოგვენთებოდა, ერთი მაგრად დაგვიცაცხანებდა და მეორე დღეს თითონვე ასმევინებდა შუშას «სტიოკოლშჩიკს» ფანჯრის ცარიელ ჩარჩოში. ყოველ შაბათს დასახმარებლად მე მეძახდა ხანა ბებია, რადგანაც მგონი ჩემს გარდა სხვა ბავშვები, რატომღაც თაკილობდნენ ებრაელთა სახლში შესვლას. ჩემს პირადულობას ავსებდა ის თვისება, რომ ერთნაირი სიკეთით განწყობილი ვიყავი ყოველი არაქართველის მიმართ; ასევე ჩემში არ არსებობდა განსხვავებით მემეგობროს ომში უგზოკვალოდ დაკარგულის შვილთან ან გადასახლებული მამის შვილთან. ყველასთან ერთნაირი გულღიაობით ვმეგობრობდი. მათთან მხოლოდ ხალასი ურთიერთდამოკიდებულება მაკავშირებდა. ჩემთვის არ არსებობდა უფრო კარგი და შედარებით ცუდი მეზობელის ბავშვი. ყველას ერთნაირი გულწრფელობით ვეკიდებოდი, რაც ჩემი მეობიდან გამომდინარეობდა.

შაბათობით ყოველ დაძახებაზე, თამამად შევდიოდი ებრაელებთან ოჯახში, მოკრძალებით ვესალმებოდი ბატონ ხაიმს და მათ სამზარეულოში ნავთქურას ვანთებდი, რათა წინა დღით შემზადებული კერძი ოჯახისათვის გაეცხელებინა ქალბატონ ხანას. ებრაული წესის მიხედვით შაბათობით ყოველი ებრაული ოჯახი, დიდიან-პატარიანად ისვენებდა, ისე რომ რელიგიური ტრადიციით ასანთსაც არ გაკრავდნენ, თუგინდ საჭმლის გასაცხელებლად. ამიტომაც მეძახდა ყოველ შაბათს ხანა ბებია, მეც იმწამსვე მივიჩქაროდი მათთან ნავთქურის ასანთებად. ჩემი სიკეთე მათდამი, შაბათი დღის მოვალეობად მქონდა მიჩნეული.

ერთ დღეს დილიდან წივილ-კივილის ხმა გაისმა შათაშვილების ოჯახში. ოჯახის თავს, დიდ ხაიმს, სიცოცხლის უკანასკნელ საათებს უგრძელებდნენ მემკვიდრეები. მთელი ქუჩა გარინდულიყო მეზობლობა მათთან ერთად განვიცდიდით ებრაული ოჯახის სიმწარესა და გულისტკივილს. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სუნთქვისათვის დიდ ხაიმს ჟანბგადის ბალიში ჭირდებოდა. შათაშვილების მეზობლების იაშა და მისი ძმის ბორია შტეინბერგების თაოსნობით უბნის ბავშვები რიგში ჩავდექით შათაშვილების სახლიდან აფთიაქ «ზემელ»-ამადე, რომელთა შორის ნახევარი კილომეტრი მანძილი თუ იქნებოდა. ჟანგბადით შევსებულ რეზინის ბალიშებს სირბილით გადავცემდით ერთმანეთს აფთიაქიდან შათაშვილების სახლამდე. ერთი ბალიში რომ გამოიცლებოდა ჟანგბადისაგან, იქვე მეორე სავსე ბალიშით აგრძელებდა სუნთქვას დიდი ხაიმი და გაბრწინებული თვალებით შეყურებდა მისს მრავალსუ-

ლიან ოჯახს, რომელიც თავს დასდგომოდა და ნუგეშით მაინც შველოდნენ ოჯახის თავკაცს. უბნის ბავშვები ოთხი თუ ხუთი საათის განმავლობაში ვიყავით სიცოცხლის გადარჩენის რიგში ფეხმოუცვლელად. ბოლოს, მეაფთიაქემ დიდი გულდაწყვეტით შეატყობინა ჩვენს უფროსებს: ძმებ შტეინბერგებს, რომ «ჟანგბადის უკანასკნელი ბალონიც დაცარიელდა». მათგან შეთავაზებულ ფულის აღებაზე უბნელმა მეაფთიაქემ უარი განაცხადა. ძმებმა მადლობა გადაუხადეს მეაფთიაქეს და უკანასკნელი სასუნთქი ჟანგბადი მეტად სასწრაფით თითონვე ამოურბენინეს დიდ ხაიმს უკანასკნელი წუთების სიცოცხლის გასაგრძელებლად. რამოდენიმე ხანში ხაიმის ოჯახიდან მწარე გოდების ხმა გაისმა. მათი სახლის მიმდებარედ შეკრებილი მეზობლები ნელ-ნელა დავიშალეთ. უბანში შემზარავად აუტანელმა სიჩუმემ დაისადგურა.

მეორე დილით, დაახლოებით შუადღეს, უბანს შეფენილ მრავალრიცხოვან მეზობელთა თვალწინ ებრაელთა სახლიდან გამოასვენეს ძვირფასს ნოხში გახვეული შათაშვილების გვარის მეთავე დიდი ხაიმ შათაშვილი და მათი ტრადიციული წესისამებრ წაასვენეს სინაგოგაში. თვალცრემლიანი მეზობლები, გულმოკლული ტკივილით ვაცილებდით შათაშვილთა გვარის თავკაცს, სიკეთით სავსე ჩვენუბნელ დიდ ხაიმს.

ამ მწუხრის შემდეგ ერთხანს სიწყნარემ დაისადგურა და უბნის ბავშვებს დიდ ხანს არც გვითამაშია ფეხბურთი. მაგრამ დროს თავისი გააქვს და ნელ-ნელა ჩადგა ჩვენი უბანი ჩვეულ ცხოვრებისეულ კალაპოტში.

შათაშვილების სახლის მოპირდაპირედ (ლიბკნესტის ქუჩა №9-ში) ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, თბილისის «დინამოს» ცენტრალური თავდამსხმელი ავთო ჭკუასელი ცხოვრობდა. ძმებ ამირანაშვილების გარდა, ჩვენი უბნის ყველა მოზარდი, და მათ შორის ავთო ჭკუასელიც თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლაში (ახლა 53-ე სკოლა) სწავლობდა. გაკვეთილების შემდეგ სკოლის ასფალტიან ეზოში ხშირად ფეხბურთს თამაშობდნენ მე-7 სკოლის ბავშვები და მათთან ერთად ხშირად ავთოს უბნელი ძმებიც ვმონაწილეობდით. ჩვეული წესით არჩევან-არადანით ვიყოფოდით და ყოველთვის ის გუნდი იმარჯვებდა, ვის გუნდშიც თამაშობდა ავთო. მოთამაშეები და მაყურებლები ვიხიბლებოდით ავთოს ილეთებით, რომელსაც თავისებური მანერის ოსტსტური შესრულებით და მეკარის მოტყუებით გაჰქონდა ბურთი. იგი თანატოლებში თავკაცი იყო, და მისით ვამაყობდით მასთან დაძმაკაცებული უბნელი ბავშვებიც. ხშირად, ქვებით მოკირწყლულ ჩვენს ქუჩაშიც ვარჯიშობდა ავთო. იგი, ჩემ ძმას-ბუხუს ჩააყენებდა კარებში და თითონ მარტო «გვამატავებდა» ოთხ ან ხუთ მოწინააღმდეგე ბავშვს. თავისებურად ვარჯიშობდა. იგი მოხდენილად გვივლიდა გვერდს, მას ბურთს ვერ წაართმევდი, რადგანაც ზედა ტანით უჩვეულოდ ბურთზე გადაფარებული, მოხერხებულად მიიწევდა კარისკენ.

მახსოვს 1952 წელი. იმ დღეს, ჩვენი უბნელი ავთო ჭკუასელი პირველად გამოდიოდა თბილისის «დინამოს» ძირითად შემადგენლობაში.

ჩვენი ფეხბურთელები ეთამაშებოდნენ რიგის «დაუგავა»-ს. ავთოს უბნელები და მეშვიდე ვაჟთელები ავთოს მიერ ნაყიდი «დეტსკი» ბილეთებით შევედით სტადიონზე. მაყურებლები ტაშით მიეგებნენ ახალ თავდამსხმელს, ავთო ჭკუასელს. ქომაგები ვატყობდით, რომ ავთო მეტისმეტად ღელავდა. თბილისის «დინამო»-ს მწრთვნრლმა მიხაილ იაკუშინმა ახალბედა ფეხბურთელი ცენტრფორვარდად ათამაშა. ავთო ჭკუასელს მთელი თამაში თავის თავზე უნდა აეღო და რატომღაც პირველად ამის შესრულება, მეტად გაუჭირდა. მართალია ავთოს ვერავინ ვერ ართმევდა ბურთს, მაგრამ ახალბედა ფორვარდი თავდასხმის ორგანიზებაში მოისუსტებდა და შეცდომებსაც უშვებდა. ამის გამო ინიციატივა რიგელთა მხარეს გადავიდა და პირველი ტაიმი მათივე გამარჯვებით 2-ით 1-ზე დამთავრდა. ავთო, სტვენით და არასასურველი შეძახილებით გააცილეს მოედნიდან. მეორე ტაიმში, ავთოს ნაცვლად მოედანზე გამოვიდა საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული ფეხბურთელი, ფენომენალური თავდამსხმელი ბორის პაიჭაძე. მეორე ტაიმში პირველი ოცი წუთის განმავლობაში გაძნელდა შეტევა, რადგანაც რიგელები, ყველა ერთიანად დაცვაში იყვნენ გადასული. ბორის პაიჭაძემ მაინც გამოძებნა სათავისო მომენტი. მარჯვენა მხრიდან მოწინააღმდეგის საჯარიმოზე ჩამოწოდებულ ბურთს სწორად აუღო ალღო გამოჩენილმა ქართველმა ფეხბურთელმა. მოწინააღმდეგის საჯარიმოზე ამოძრავებული ბორის პაიჭაძე მისკენ მოძრავ ბურთს დასარტყმელად ფეხით ვერ წვდებოდა. ყველასათვის მოულოდნელად, მან არაჩვეულებრივი ნახტომი გააკეთა ბურთისკენ, თითქმის ერთი მეტრის სიმაღლეზე მინდვრის პარალელურად მომენტალურად გასწორდა და თავით გაგზავნა ბურთი მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში. იმდენად სწრაფად მოხდა ეს, რომ მეკარეს ნახტომი დაუგვიანდა. ბურთი ბადეში ფართხალებდა, მეკარე კი მხარ-თეძოზე იყო გაგორებული და მუშტს ურტყამდა მობალახებულ მიწას. როგორც იქნა, ჩრდილოეთ მხარეს დამაგრებულ ტაბლოზე ანგარიში გაუტოლდა ერთმანეთს. რიგელები მამაცურად იბრძოდნენ, რომ საყაიმო რეზულტატი ბოლომდე შეენარჩუნებინათ, მაგრამ დინამოელებმა კიდევ სამჯერ დალაშქრეს დაუგაველთა სადარაჯო კარი. აი, ამ ერთ მაგალითზე, შესაძლოა შეგვეცნო ყოველმხრივ საუკეთესო თავდამსხმელი, ფეხბურთელისათვის ხანში შესული სპორტსმენი, ჩვენი ძვირფასი ბორია პაიჭაძე, გაჭირვების ტალკვესი, დიდებული ადამიანი, საუკეთესო მეგობარი! სწორედ, ბორის პაიჭაძემ ითავა ახალგაზრდა ავთო ჭკუასელის სპორტული აღზრდა და დიდი ამაგიც დასდო მისს უბადლო მემკვიდრედ ჩამოყალიბებას. შემდეგ თამაშებში ავთო ჭკუასელმა თანდათან გამოამჟღავნა თავისი სპორტული ნიჭი ფეხბურთლად ჩამოყალიბების ბუნებრივად თანდაყოლილი ალღო და თითქმის ყოველ თამაშზე ოსტატურად გაჰქონდა ბურთი. მთელი სტადიონი ყოველთვის ოვაციური ტაშით უხდიდა მადლობას სამაგალითო თავდამსხმელ ავთო ჭკუასელს, რომელიც აღზარდა ბორის პაიჭაძემ თავის მემკვიდრედ.

ავთო ჭკუასელმა განსაკუთრებით თავი ისახელა საზღვარგარეთ, კერძოდ პოლონეთში... ევროპული გასტროლის შემდეგ რამოდენიმე ქვეყანამ საფეხბურთო კონტრაქტიც შესთავაზა ამ სრულყოფილ ქართველ სპორტსმენს, მაგრამ საბჭოთა სახელმწიფო უცხოეთის ინიციატივების სასტიკი წინააღმდეგი იყო ყოველთვის. ავთო ჭკუასელი მისაბაძი თამაშით ხასიათდებოდა ყველა თავდამსხმელისათვის. მან წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ფესბურთის ისტორიაში. უბნელებს ახლაც გვეამაყება რომ ავთო ჭკუასელის ბავშვობის მეგობრები ვიყავით.

ჭკუასელების მეზობლად ბინა ეკავათ პროფესორ პაატა გუგუშვილის ოჯახს (ლიბკნეხტის №7-ში), სადაც ცხოვრობდა ჩვენი თანატოლი ჯემალ გუგუშვილი, რომელიც როგორც კი ბავშვთა ყიჟინას გაიგონებდა, მაშინვე გამოდიოდა ბურთის სათამაშოდ. იგი იმდენად ოსტატურად ფლობდა და ატარებდა ბურთს, რომ მის გვერდით თამაში ყველას გვინდოდა. მალე გუგუშვილების ოჯახი საცხოვრებლად ქალაქის ცენტრში გადავიდა. მიუხედავად ამისა, ჯემალი არ გვივიწყებდა თანატოლებს და ხშირად სტუმრობდა ძველუბანს. მათ ბინაში გადმოვიდნენ გვარად ქვარიანები, რომელთა ოჯახს ასხივოხნებდა და აცისკროვნებდა ცისფერთვალა გოგონა, წარმოუდგენელი მომხიბვლელობით აღსავსე, სასიყვარულოდ გვარიანად შეპუტკუნებული მეგი ქვარიანი. ყველა ათასგვარად განსხვავებული გემოვნებით აღიქვამდა აივანზე გადმომდგარ ამ მშვენებას. მათთან მეზობლად ცხოვრობდა ხვედელიძეების ოჯახი, რომლის თავკაცი მძღოლად მუშაობდა, არ ვიცი სად. ისინი ზრდიდნენ მცირეწლოვან ბიჭებს, მათ შორის უფროსს გივი ერქვა. ისინი არ გვერეოდნენ თამაშში, მხოლოდ გვიყურებდნენ, თუ როგორ ვთამაშობდით ბურთს. ქვარიანების ქვემოთ, პირველი სართული ეკავა რუსების ოჯახს, რომლის თავკაციც, როგორც ყველა ნამდვილი რუსი, არყის მოყვარული პიროვნება იყო და თითქმის ყოველთვის მთვრალი გორაობდა საწოლზე. მის ცხვირაპრეხილ ქალიშვილ სვეტას «დოჩკა კომსომოლას» ვეძახდით, არ ვიცი რა მიზეზის გამო, ალბათ, კომკავშირელის ნიშანს ატარებდა სკოლის ფორმაზე. ერთხელ, ბურთის თამაშის დროს, შემთხვევით, და არა სპეციალურად, ბურთი მორგებულად და მთელი სიზუსტის დაცვით, შევარდა მათი ფანჯრის ღია სარკმელში და დაეცა ცხვირაპრეხილის მძინარე მამას, რომლის საწოლიც ფანჯარასთან იდგა. გაეღვიძა ოჯახის თავს, თათარიახნად აზრზე მოვიდა, გაურჭო ბურთს პურის დანა და ჩაფუშული «კამერა-ობოლოჩკა» იმავე ფორტოჩკიდან გადმოგვიგდო. იმ დროს ბურთი ძვირად იშოვებოდა, და მისი ასეთი საქციელი მეტად დამთრგუნავი გამოდგა. ჩვენ არ ვიცოდით რა გვექნა. მათთან მეზობლად ცხოვრობდა რუსი ბიჭი სახელად შურიკ, რომელიც ჯერ «სამაკატკით» ერთობოდა, ხოლო მერე ველოსიპედი დაიხელთავა და აღმა-დაღმა დაატარებდა; შემდეგ თურმე მოტოციკლიც შეუძენია და ახალგაზრდობაც მასზე გაუტარებია.

ცოტა ქვემოთ (ლიბკნეხტის ქ. №5-ში) ცხოვრობდნენ უმშვენიერესი დები: ლერა და დული გველესიანები. მათი მამა ქუჩას არ აკარებდა

დასაქალიშვილებელ გოგოებს და ისინიც, ყოველთვის ფანჯრიდან გვიმზერდნენ ქუჩაში მოთამაშე ბავშვებს. მათ დიდრონ თვალებში რომ ჩაგეხედათ, ყოველთვის იგრძნობდით მათში დასადგურებულ ამოუცნობ სინანულს. გაუგებარი იყო, თუ როდის მიდიოდნენ სკოლაში და როდის ბრუნდებოდნენ სახლში. ჩემი ბავშვობიდან დამამახსოვრდა ფანჯრის ჩარჩოდან მომზირალი მათი ნათელი სახეები და საოცრად მეტყველი თვალები, რომლებიც ჩვენი ბავშვური გრძნობის ბადეში ჩვენდაუნებურად გახვეულიყვნენ. ამ სასიამოვნო გოგოების ბინის მეზობლად მოსკოვის ქუჩის გადაკვეთამდე ჩვენი თანატოლი არავინ გვეგულებოდა.

მოსკოვის და ლიბკნეხტის ქუჩების შესაყართან, კუთხეში პურფუნთუშეულის საცხობი იყო მოთავსებული. ამ საცხობს მაშინ «ფურნე»-ს ვეძახდით ყველა, დიდ-პატარიანად. სკოლაში რომ მივდიოდით და ამ ფურნეს ჩაუვლიდით გვერდს, ახლადგამომცხვარი ფუნთუშის სურნელებით ვტკბებოდით. საცხობს მაზუთზე ამუშავებდნენ და ოდნავ მაინც დამწვარი მაზუთის სუნიც გვცემდა ცხვირებში. ხანდახან, იქ მომუშავე სულით მოწყალე და ოდნავ ლოყებშეწითლებული ხაბაზი, სხვის შეუმჩნევლად და ავი თვალისგან დაფარულად გვიმასპინძლებოდა «ბულკებით» ბავშვებს. იმ ომიანობის დროს ეს საქციელი, ზეცით მოვლენილ მადლს ემსგავსებოდა.

აღმართისაკენ ცოტას თუ ამოცდებოდით ფურნეს, მას მიტმასნულ მოწითალო აგურით ნაშენ სახლის (ლიბკნეხტის №2) ბელეტაჟზე, ჩვენი თანატოლი ჯუმბერი (ჯუნიკო) ცხოვრობდა. ისიც, მოპირდაპირე მეზობელი დების მსგავსად, ყოველთვის სახლში იყო გამომწყვდეული, და მხოლოდ ფანჯრიდან გვიმზერდა და გვიღიმოდა სიმეტრიულად გაწყობილი დიდრონი თეთრი კბილებით. სახლში «დაბმულ» ჯუმბერს, იშვიათად თუ «აუშვებდნენ», და ისიც წამსე გამოვარდებოდა გარეთ და სიამოვნებით ერთვებოდა ჩვენთან თამაშში.

წითელი აგურით ნაშენ სახლს ეტმასნებოდა მოთეთრო ფასადის ორსართულად მომზირალი სახლი (ლიბკნეხტის №4), რომლის პირველი სართული ეკავა ერთმანეთზე უკეთესი სილამაზით გამორჩეულ ქალშვილებით გატენილ ბზიავების ოჯახს. თანატოლებში ყალიბდებოდა ოცნება, ცხოვრებისეულ უღელში თავის გასაყოფად თუ გექნებოდა საქმე, სწორედ რომ ბზიავების ოჯახში უნდა შესულიყავი და იქედან გამოგემზეურებინა წყვილად საცხოვრებისეულად შენი მოწონებული მეგზური. ამ სახლის მეორე სართულზე, ერთნახევარი ოთახი ეკავათ ძმებ ბერაძეებს და შრომსმოყვარე მათ დედას. ოჯახის თავკაცი ოცდაჩვიდმეტმა წელმა უმოწყალოდ და უმიზეზოდ შეიწირა. მარტოხელა დედამ სიმწრით გაზარდა და დაავაჟკაცა ორი ბიჭი: ზურაბი (ზუბა) და ანტონი (ტონი). თითქმის გაჭირვებაში გაზრდილმა ძმებმა ბავშვობიდანვე ალღო აუღეს ოჯახში შექმნილ სავალალო მდგომარეობას. ჩვენ ძმები ამირანაშვილები დაძმობილებულები ვიყავით ძმებ ბერაძეებთან და რატომღაც ყველაზე მეტად ვმეგობრობდით მათთან. უფროსმა ნაადრევად, ხოლო უმცროსმა მოგვიანებით ოჯახებს მოეკიდნენ და ბავშვობიდანვე შრომანაჩ-

ვევი ძმები ცხოვრების ფერხულსა და ორომტრიალში ჩაებნენ. ადრე კი ძმები ბერაძეები ბავშვობიდანვე ეხმარებოდნენ დედას, დედასთან ერთად იტანდნენ ყოველგვარ გასაჭირს. უფროსი ძმის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი თითონვე დაეუფლა თერძის პროფესიას და კოსტუმებში გამოეწყვნენ ორთავე ძმები. საროჩკებისა და ცალკე შარვლების კერვაც აითვისეს. ყოველთვის გამოწკიპულები და სუფთად ჩაცმულები დადიოდნენ ქუჩაში და ოჯახში დატრიალებულ გაჭირვებას არც იმჩნევდნენ. ჩვენ, ბავშვებს გვეამაყებოდა მათთან მეგობრობა. არასდროს არ გაგვივლია გულში, რომ მათი მამა საბჭოური პოლიტიკის მსხვერპლად აქციეს. და ალბათ ამიტომაც, უფრო ვეძმაკაცებოდით ჩვენზე უფროსს ზუბას და ჩვენს თანატოლ ტონის.

ლიბკნეხტის №6-ში ცხოვრობდა ჩხოლარიების ოჯახი, მოხუც დედამამას ჩვენზე რამოდენიმე წლით უფროსი მოზარდი ჰყავდათ, რომელსაც თვალის ჩინივით უვლიდნენ. ამბობდნენ, რომ სხვისი ბავშვი აეყვანათ გასაზრდელად და ასე ვთქვათ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ შვილობილს, თვითონ უშვილო მოხუცი მშობლები. ამ მეგობრის ბინის შესასვლელთან ხშირად ვიყრიდით თავს «კუტოკის» ბიჭები და ამ ადგილსაც ბირჟას ვუწოდებდით. დილიდან ღამემდე მიდიოდა დავა ან კამათი, ერთმანეთს ვურჩევდით საქმეს თუ საქმეებს, მოწყენილად რომ არ გვეგრძნო თავი, ვაკნატუნებდით მზესუმზირას. შეჯიბრი იყო თუ ვინ უფრო მეტად დაიგროვებდა ტუჩებზე მზესუმზირის ქერქს. შებინდებისას, როცა გავერიდებოდით ბირჟას, ბინის კარებში გამოჩნდებოდა რეზო ჩხოლარიას დედაქალბატონი ცოცხით და აქანდაზით ხელში. სიტყვაუთქმელად ასუფთავებდა ჩვენ მიერ დანაგვიანებულ ბინისპირა შესასვლელს. ჩვენ მადლობის მეტი რა გვეთქმოდა ამ მშვენიერი ქალბატონისთვის. მათი სახლის პირველი სართული ქვედა ნახევრით მიწაში იყო ჩაფლული, და თბილისური წესის შესაბამისად, იქ ქურთი აპო ცხოვრობდა თავის მრავალშვილიან ოჯახთან ერთად. ბატონი აპო მზესუმზირის ყიდვა-გაყიდვით არჩენდა ოჯახს. ხშირად ბავშვებს (განსაკუთრებით ომის წლებში) უფასოდ გვიმასპინძლდებოდა. «ჯამეთ, ალალი იღოს» თან მოაყოლებდა. ახლაც სიამოვნებით მაგონდება აპოს ოთახში დატრიალებული მოხალული მზესუმზირის სურნელება, მთელ ქუჩას გამომწვევად რომ ეფინებოდა.

ჩხოლარიების სახლის გაგრძელებაზე, ლიბკნეხტის ქუჩის №8-ის შესასვლელი ეზო ხის განიერი, ალაყაფისმაგვარი, წითლად შეფერილი კარებით იყო ჩარაზული, რომელიც იშვიათად თუ იღებოდა. ბავშვობიდანვე მაინტერესებდა, თუ ვინ ცხოვრობდა იქ. ერთხელ მე და მამა ერთად გავდიოდით იმ სახლის გასწვრივ, და მამამ მიპასუხა:

— ეს არის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილის სახლი, სადაც ახლა, მისი შვილი არჩილ ჯანაშვილი ცხოვრობს. მიპასუხა გარკვევით მამამ.

მე წამსვე სიამაყის გრძნობით აღვივსე, რადგანაც ჯანაშვილების მეზობლად ქუჩის გადაღმა, ჩვენ ვცხოვრობდით. და ჩვენ, ბავშვები ყოველდღე შევცქეროდით მათ ერთსართულიან სახლს. ვგრძნობდი იმა-

საც, რომ ჩვენი მეზობლის არჩილ ჯანაშვილის მამამ მოსე ჯანაშვილმა ამ სახლში შექმნა მეცნიერული ნაშრომები საქართველოს ისტორიის შესახებ. ჩემს თავს დავუდე პირობა რომ ჩვენი მეზობლის, ქართველი ისტორიკოსის გამოკვლევებს აუცილებლად წავიკითხავდი.

ლიბკნეხტის ქუჩის №10 სახლი იყო სამსართულიანი, რომელსაც ერთი სადარბაზო შესასვლელი ჰქონდა და ერთიც, ეზოში გასასვლელი. იმ სახლის მესამე სართულზე ჩემი და ჩემი ძმის ბავშვობის მეგობარი, ერთი წლით ჩვენზე უფროსი და ამიტომ ჭკუის დამრიგებელი, მეტისმეტად გამხდარი, ჩაყვითლებული პირსახისა და კბილებმეჩხერი ოთარ ვარდიაშვილი ცხოვრობდა, თვალწარმტაცი პირსახისა და მიმზიდველი შესახედაობის ორ უმცროს დასთან ერთად. მათ სილამაზის ეტალონად აღვიქვამდით და ეს გვესახელებოდა კიდეც მთელ უბანს. მათი ბინიდან ყოველთვის ხმამაღალი ლაპარაკის ექო ისმოდა ქუჩაში. მკვეთრად გამოირჩეოდა შეუხედავი დიასახლისის შემზარავი ხმა, რომელიც წამდაუწუმ გერებს კიცხავდა და მისი აზრით, ჭკუაზე მოჰყავდა ისინი. ერთი მხრივ ოთარი და მის დები, მეორე მხრივ მე და ჩემი ძმა ვემსგავსებოდით ერთმანეთს იმით, რომ ხუთივე უდედოდ ვიზრდებოდით. ამიტომ ჩემი რწმენით, ამ მდგომარეობის გამო ერთნაირად ჩამოყალიბებული ხასიათები უნდა გვქონოდა ხუთივეს. ჩვენ, ძმებს დედობას გვიწევდა ბები ასინეთი, ხოლო დებ-ძმა ვარდიაშვილებს მათი ამზრდელი დედინაცვალი, ქალბატონი ოლია უწევდა დედობას. ამიტომაც მისი გაზრდილი გერებიც «დედოლია»-ს ეძახდნენ მას. და რაც მთავარია ჩემი ბავშვობის დროს, მესამე სართულიდან ამ ქალბატონის გადმოძახილი ხმის ტონალობა დღესაც მიწივის ყურში; რადგანაც ჩემს ჭკუანაკლულ ახალგაზრდობისას, როცა სიძეობა შევთავაზე ბინაში მარტოდ დარჩენილ დედოლიას, კინწისკვრითა და წივილ-კივილით დამიშვა მესამე სართულიდან. მათი მამა ალექსანდრე (შურა) ვარდიაშვილი ინჟინერი კაცი იყო და როგორც ზოგიერთ საბჭოთა მომსახურეს, «ლევი» შემოსავალიც ჰქონდა. ოთართან რომ ვსტუმრობდით, იგი იკვეხნიდა ამას, გამოაღებდა ტანსაცმლის კარადის კარს, მისი ქვედა ნაწილის კუთხეში მოთავსებულ ბიაზის თავშეკრულ «ტოპსიკას» გახსნიდა და დიდი რაოდენობით იქ მოქუჩულ ოქროს სამპროცენტიან ობლიგაციებს გვიჩვენებდა. თან იღიმოდა, ისევ თავს უყრიდა მათ და იმავ ადგილას ათავსებდა. ჩვენ ვერ ვგრძნობდით, თუ ამით რის თქმა უნდოდა ჩვენი ბავშვობის მეგობარს.

ამ საოცარ სახლში ცხოვრობდა ხანთაძეების ოჯახი; მახსოვს, უფროსი ასაკის შოთა და მისი ძმა გუგა ხანთაძეები; ასევე ბავშვისასაკს გადაცილებული ელისო ხანთაძე, რომელიც გამომწვევად შესუქებული შესახედაობის იყო.

ლიბკნეხტის №12-ში მდებარე სახლი გარშემორტყმული ხეხილით, პირად საკუთრებაში ჰქონდა რუს ვასიას. გაშალაშინებული ხის ღობით შემორაგულ ეზოში იდგა უშველებელი თუთის ხე, რომლის მოზრდილი ტოტებიც ქუჩისპირს ზემოდან დაჰყურებდნენ. მაისის ბოლოს, და განსაკუთრებით ივნისის დასაწყისში ამ ხის ფართე ფოთლებიდან გამომ-

წვევად იმზირებოდნენ ცერა თითის ოდენა თეთრი თუთები. ჩვენ ბავშვები ვიყავით, და ბავშვებს მაინც არასდროს გაგვმასპინძლებია რუსი ვასია მის ბაღში მოსული ნობათით. და თითქოს ამიტომაც, ერთი სული გვქონდა მოპარვით მაინც შეგვეჭამა თეთრთვალა თუთა, განსაკუთრებით იმ დიდი ომის პერიოდში. ჯერ ეზოს დავზვერავდით, დავრწმუნდებოდით, რომ ვასია არ ყოფილიყო სადმე ჩამალული. შემდეგ მუჭაში დავიგროვებდით მოდიდო კენჭებს და ყველა ერთიანად ვესროდით ქუჩისკენ დაქანებულ ხის გატოტვილ მკლავებს. თუთები პანტა-პუნტით ცვიოდნენ ძირს. ჩვენ კი სწრაფად ვიღებდით მიწის ზედაპირიდან, სულის ერთი შებერვით ვასუფთავებდით და პირს ვიგემრიელებდით. ერთი ამბავი გვქონდა ატეხილი, როცა თუთის პატრონი სახლში არ იყო. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ჩაგვისაფრდებოდა და მოულოდნელი ყვირილით და რუსული გინებით გამოგვიდგებოდა წკეპლით ხელში. ჩვენ თავქუდმოგლეჯილები გავრბოდით, ის კი თითქოს ვერ გვიჭერდა და სიამოვნებით ეღიმებოდა. რუსის მოპირდაპირედ ცხოვრობდა ნატრული ავალიანი, რომლის სახელი გვიკვირდა და სხვადასხვა ასოციაციებს იწვევდა ჩვენში. ალბათ, ბიჭი ინატრეს მისმა მშობლებმა და ბიჭი რომ დაიბადა, ნატრული გამოუგონეს სახელად. მის ახლოს მეზობლობდა ჩვენი თანატოლი ზაურ ჩიბურდანიძე. ჩვენ მას «ზაური-კინტაურის» ვეძახდით. სამოც წელს მიტანებული ვიყავი, როცა ვაჟა-ფშაველას გამზირის პირველ კვარტალში მდებარე სატელევიზიო მაღაზიაში რაღაცის საყიდლად შევედი.

— თქვენ კუკური ამირანაშვილი ბრძანდებით ხომ? ღიმილის დაყოლებით მომმართა, მოგვიანებით გამგედ გაცნობილმა პიროვნებამ.

მე თავისქნევით დავუდასტურე და ხმაც მივაყოლე: «დიახ».

გახსოვარ მე? შემეკითხა ცნობისმოყვარედ.

— თითქოს უნდა მახსოვდეთ! და დავაკვირდი მის სახეს. სანამ მასში ნაცნობს ამოვიცნობდი, თითონვე დამასწრო:

— მე ზაური გახლავარ, ლიბკნეხტის ქუჩაზე ბავშვობა ერთად რომ გავატარეთ! სასოწარკვეთით წარმოთქვა და შემომაჩერდა.

— დიახ, დიახ, მომაგონდით, რასაკვირველია ზაური, ჩვენ ხომ ბავშვობაში «კინტაურს» გეძახდით! ნათქვამის დასადასტურებლად აღმოვთქვი ძლივს, შევიცანი თანამოსაუბრე და ფიქრებით წარსულში გახლართული ძლივს დავუბრუნდი სინამდვილეს.

ჩვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი, შევედით მის კაბინეტში და დიდხანს ვისაუბრეთ, გავიხსენეთ უბნის მეგობრები და მეზობლები.

ფეხბურთის გარდა ათასგვარი თამაშით ვერთობოდით. განსაკუთრებით «ლახტი» მოგვწონდა, იმიტომ, რომ მასში ვაჟკაცობის ელემენტებს ვხედავდით. ხშრად ფეხებახურებული ვბრუნდებოდი სახლში. მოდაში იყო «გრძელი ვირი» და «მრგვალი ვირი», «ავჭალური» ანუ «კენწლვა», რაშიც ქართველებს გვჯობდა სომეხი ჟორა; საკენწლავი იყო ნასკში გამოფსკვნილი ლობიოს ან სიმინდის მარცვლები; ჩიკორის ახურებაში ტონი რაჭველა იყო პირველი; ვთამაშობდით სალკობანას, იშვი-

ათად ვკოჭაობდით: «თოხანი», «ალჩო», «ქლესა კოჭი» ქუჩური ეს ტერმინები შემორჩა მეხსიერებას. ძლივს ვშოულობდით კამფეტის გასახვევ კარამელებს და «ჯუხტ ილი კენტ»-ს ვთამაშობდით. გოგოები უფრო ხშირად «კლასობანას» თამაშით ერთობოდნენ ან «რუჩკებიანი» თოკის ტრიალზე მოხდენილად ხტუნავდნენ. დაჭერობანას ან დამალობანას ვთამაშობდით «ცივა» «ცივას» ან «ცხელა» «ცხელას» ძახილით; «სტოპ»-ის შეძახილით გაშეშობანასაც ვთამაშობდით. ბავშვებს, განსაკუთრებით მოგვწონდა «ფანტის» თამაში: «ამ ფანტის მფლობელმა რა ჰქნას?» ასევე: «გაფუჭებული ტელელეფონი», «კალცო ს მესტა» «თოკის გადაქაჩვა», «ვისი სული გსურს?» «გდე კუპალსია ივანუშკა», იღლიაში გაყრილი და მხარზე მიდებულ ხელის მტევანზე სილის წამორტყმა, ცერა თითის ჩვენებით; უნდა გამოეცნო თუ ვისი ხელი მოხვდა მას. ფეხბურთის თამაშისითვის ვიყოფოდით «არჩევან» «არადანის» ძახილით. ჩვენი ქუჩის განუყოფელი ნაწილი იყო ოჯახისათვის საჭირო ჭურჭლეულის შემკეთებელთა და სხვა მოსიარულე ხელოსანთა შეძახილები, რომლებიც თითქოს ახლაც გვესმის ბავშვობის იმ სანატრელ პერიოდიდან: «აბა, ქვაბები მოსაკალი გავაკეთო!»; «ბატი-ბუტი, ბატი-ბუტიე»; «ბატი-ბუტი ნა ბოთელკე»; «სტარი ადიოშ პაკპაემ»; «ტაჩიტ ნაჟი-ნოჟნიცი»; «სამოვარნი პესოკ!» და ვინ მოთვლის...

ეს ყველაფერი წარსულში ჩარჩა და ახლა ხანდახან თუ ამოგვიტივტივდება გასახსენებლად.

და კიდევ ერთი ფაქტი, ქუჩას მიტმასნული ჩვენი ბავშვური ყოფიერებიდან. თორმეტ-ცამეტი წლის ასაკში, ჩვენმა მოწონებულმა გოგოებმა იმდენად აიყარეს ტანი და დაქალიშვილდნენ კიდეც, რომ ჩვენ ბიჭები, ისევ ბიჭ-ბუჭა შესახედაობის ვიყავით. ქალიშვილად ქცეულებმა გარეგარე დაიწყეს ცქერა და არც თუ ისე შორეულ მომავალში დათხოვდნენ კიდეც სხვა უბნელებზე. სანანებლად შეგვჩა ის, რომ, ჩვენი ბავშვური სიყვარული უპასუხოდ თან გაიყოლეს. ჩვენ კი მოგვიანებით დავაჟკაცებულებს უბნელი გოგოების ღალატი სამაგალითოდ გამოგვადგა. ჩვენც გარე-გარე დავუწყეთ ძებნა ცხოვრებისეულ მომავალს, როგორც თითქმის ხშირად ან ყოველთვის ხდება ხოლმე. «ასეა ეს»: ერთი მოგწონს, მეორე გიყვარს და ოჯახს ქმნი მესამესთან, რომელიც ცხოვრების ფერხულში ჩაბმულმა უნდა მოიწონო და შეიყვარო.

2). «სტუმრად» ექვთიმე თაყაიშვილთან

გასული საუკუნის 40-იან წლებში, რუსთაველის მოედნიდან მთაწმინდის ფერდობისკენ ამავალი ქუჩის შესახვევში ვცხოვრობდით. ყოველდღიური მეცნიერული შრომით გარჯილი მამაჩემი შალვა, საღამოობით თუ მცირეოდენ თავისუფალ დროს მაინც გამონახავდა, ქუჩაში სეირნობით ირთობდა თავს. ხან რუსთაველის გამზირს გაუყვებოდა და ხან ვერეს უბნისკენ გაუწევდა გული. მეტად სიამოვნებდა ნაცნობებთან შეხვედრა და არც თუ ისე იშვიათად უერთდებოდა მათ ხალისიანი საუბრით. იშვიათად

თუ ავედევნებოდი, და ისიც იმიტომ, რომ გზადაგზა საინტერესოდ მოსასმენი ამბებით მანებივრებდა. თვალნათლივ მახსოვს ის ერთადერთი საღამო, რომლის შთაბეჭდილებაც თან მდევს მთელი სიცოცხლე.

ჩემთვის დასამახსოვრებელ იმ საღამოს, მამამ ვერეს უბნისკენ გასეირნება შემომთავაზა, რაზეც ჩვეულებისამებრ უყოყმანოდ დავთანხმდი. ქუჩას მივყვებოდით მოსეირნე ნაბიჯით და ერთრიგად ჩარგულ იმ დროს ყვითლად მოელვარე ფოთლებშესხმულ ხეებით დავიწროებულ ტროტუარზე ყოველ მოჩქარე გამვლელს გზას ვუთმობდით მორიდებით. გაბერილი ჩანთებით დატვირთულებს აშკარად ეტყობოდათ, რომ შინისკენ გარბოდნენ მომეტებული სისწრაფით. აუჩქარებელი ნაბიჯით ქუჩაში ხეტიალს მიჩვეული ახალგაზრდები დროსტარების მოლოდინში ერთმანეთთან ერთობოდნენ ხმამაღალი საუბრით, რასაც ზოგჯერ ერთხმად გადახარხარება მოჰყვებოდა თითქოს-და ყველას გასაგონად. თუ ოდნავ მაინც გაუმართლებდათ, დათოვლილი მთებით მოხატული კედელსშეკიდული სურათების გამო ცივი ჟრუანტელის მომგვრელ ვერესუბნის ცნობილ სანაყინეშიც თავაზიანად მიირთმევდნენ დაბალფეხიან ჯამებში დაბურთულად მოთავსებულ თეთრ სიამოვნებას. ანდა რომელიმე მათთაგანი იუზგარა თუ წასახემსად გულიანად მიიპატიჟებდა ძმობილებს, ხანდახან კი გერმანული ანგარიშის მიმსგავსებულად ქართული ანგარიშითაც (ვისაც რამდენი ჰქონდა), სახინკლაოდ ჩადიოდნენ ზემელის უბნის სიღრმეში ჩაჭრილ სარდაფებში და იმ საღამოს გატარებული დრო აზრით იტვირთებოდა. მათ დროსტარებას მისაბაძ მომავლად ვისახავდი და ნუგეშად ის მეაზრებოდა, რომ ახალგაზრდობამდე არც თუ ისე დიდი დრო უნდა გამევლო.

მაშინ კი, მე და მამა ვერეს ბაზართან ახლომდებარე ერთერთ ვიწრო ქუჩის გადაკვეთასთან შევჩერდით. მამამ თხოვნით მომმართა: «აქ, დამიცადე, მე მალე დავბრუნდებიო», თითქმის ხვეწნით მითხრა და თქმისთანავე ზურგი შემაქცია. იმწამსვე თვალიც ვერც კი მივატანე, რომ ვიწრო ქუჩის ერთმანეთს მიჯრით მიწყობილ ნაირფორმატიან სახლების რიგში, სადღაც უეცრად გაუჩინარდა.

დათქმულ ადგილას ვიდექი თითქმის გაუნძრევლად. ავხედე ვიწრო ქუჩის აბრას და თვალი გავაყოლე წარწერას: «ვაშლოვანის ქუჩა». უაზროდ გავიფიქრე: «ვაშლებს ხომ არ ყიდდნენ აქ ძველად», რადგანაც უშუალოდ ქუჩასთან ახლოს, სახლების უკანაფასადს მიდგმულ შემინული ხის აივნებით შემორაზულ ოთხკუთხა ეზოში «ვერის» ბაზარი იყო ჩასმული. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, თბილისის ტოპონიმიკით დაინტერესებულმა შევიტყვე, რომ აქ სოფელი ვაშლოვანი ყოფილა გაშენებული, უმეტესწილ ვაშლის სურნელებით გაჟღენთილი ხეხილით, რომელიც საუკუნეების მიღმა შთაუნთქავს გასაფართოებლად აქეთ გამოსეირნებულ თბილის-ქალაქს.

ფიქრებში გართულს, ჩემთვის გაურკვევლობა ამეკვიატა: რუსთაველის ძეგლის დადგმამდე, რატომ შეერქვა ამ უბანს გერმანელი მეაფთიაქე ევგენი ზემელის სახელი; რატომ უნდა აშენებულიყო თბილისელი სო-

მეხი დიდვაჭრის, ალექსანდრ მელიქ-აზარიანცის მიერ გაღებული თანხით ქართველთა დედაქალაქის შუაგულში (სომეხ კაცს რომ გაუხარდება, ისე) სიცოცხლით სავსე უბნის გასახსენებლად სევდისმომგვრელ ფერებში გადაწყვეტილი თავისებური არქიტექტურული ფორმის შენობა? ვერეს ხეობის მიმდებარე უბანს, რატომ ეძახდნენ გარუსებულ სახელ «ვერა»-ს. რას ნიშნავდა ხარფუხი და სირაჯხანა; ისანი და ნარიყალა; ავლაბარი და სოლოლაკი. მაშინდელ ბავშვს მეგონა, რომ ისტორიულ დროთა განმავლობაში, აღმოსავლეთიდან მოსულ რამდენ უცხოელ სტუმარსაც არ უნდა გაევლო თბილისში, ყოველი ცდილობდა, რომ თავის ენაზე შერქმეული სახელებით დაეჯილდოებინა წმინდა ქართული უბნები.

ასეთ ფიქრებში გართულს, უცებ მამის ხმა შემომესმა: «ვატყობ, ძალიან შემგვიანებია შენთან დაბრუნება, მეგონა, სახლში წახვიდოდი უჩემოდ», თითქოს ცოტაოდენი მობოდიშებით და აუჩქარებლივ მითხრა, თან ოდნავი ღიმილიც დამიყოლა.

— ხომ მითხარი დამიცადეო, და მეც გიცდიდი, უშენოდ არც კი მიფიქრია სახლში დაბრუნება! ვუპასუხე ჩემი ამ საქციელით თავმომწონემ. მადლობის ნიშნად მამამ ზემოდან გადმომხედა, ახლა მომეტებულად გამიღიმა და ჩემს გასაგონად დაიწყო:

— ექვთიმე თაყაიშვილთან ვიყავი სტუმრად! ანაზდად მოვარდნილი პათოსით თითქმის წამომიყვირა. მერე ოდნავ დააყოვნა და მშვიდათ განაგრძო: «დიდებული პიროვნება და საოცარი კაცია! საკმაოდ მოხუცი, მაგრამ ყოველთვის საღად მოაზროვნე და სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო ფიქრებით სრულად დატვირთული! როგორც თანამოაზრეს, სამი წლის თავისი სამეცნიერო კვლევის გეგმა გამაცნო. მასთან დაკავშირებულ საკითხებზე საინტერესოდ ვისაუბრეთ და ჩემ მიერ შეთავაზებული ზოგიერთი შეხედულება მისაღებად მიიჩნია. შემდეგ, ჩემდა გასაკვირად, ჩაი თითონვე მოადუღა! ჩემს ყოველ მისვლაზე მასთან, სტუდენტობის პერიოდიდან ჩამოყალიბებული მამაშვილური ურთიერთობა გვიძლიერდება ორივეს! ბატონი ექვთიმე თავის ცხოვრების აზრს მეცნიერულ კვლევაში ხედავს და ამით ქართველ მეცნიერთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია. იმდენად საინტერესო ამბები გამანდო, რომ ჩემთვის დაუვიწყარი გახდა ეს საღამო და მოვა დრო, რომ მე ამ ყველაფერს დავწერ. ჩემთან საუბარში, ბატონი ექვთიმე მეტად გულახდილია და აღფრთოვანებით იხსენებს მისთვის სიზმრადქცეულ ლევილსა და პარიზულ ცხოვრებას, რასაკვირველია, ნინოსთან ერთად. მეტისმეტად წუხს, რომ მისთვის უძვირფასესი ადამიანი მის გარეშეა იქ, მარტოა დაკრძალული ჩვენს ლევილში, მაგრამ მაინც უცხოეთში. ნინოზე ფიქრები მას ახლაც უხანგრძლივებს მარტოხელად ცხოვრებას. ნინოზე ყოველი გაფიქრება სანუგეშებელია მისთვის.»

«გამომშვიდობებისას, კარგა მანძილით რომ დავშორდი მას, ბინის კარებში მდგომმა გასაგებად შემომძახა: «უნივერსიტეტში ფრანკები ხომ

არ მოუტანიათო». მეც შორიდანვე ხმამაღლა ვუპასუხე: «სწორედ დღეს დაიწყეს ხელფასის დარიგება» მეთქი. ამ სიტყვების გაგონებაზე ღიმილმა გადაურბინა მოხუცს სახეზე. «სასიამოვნო შესახედაობისაა ექვთიმე», გამიმეორა მამამ და დაუმატა: «მისგან ყოველთვის სიკეთე გამოკრთის».

ყველაფერი ეს საინტერესოდ მიამბო მამამ, რაც იმთავითვე ჩამებეჭდა ჩემს ბავშვურ გონებაში. ექვთიმეს შესახებ სიტყვაწყლიანი მამა მეტს აღარ მელაპარაკებოდა. თავისთვის იყო გადართული ფიქრებში.

ჩვენ სახლისკენ მივყვებოდით ქუჩას და რაღაც, ჩემთვის შეუცნობელი მაწუხებდა. საერთოდ, არ მომწონდა ის გარემოება, რომ ჩემ მიმართ მამა მეტისმეტად ეგოისტურად მომექცა, რომ არ მიმიყვანა ექვთიმე თაყაიშვილთან.

— მამა! მისთვის მოულოდნელი მომთხოვნელობით და მეტისმეტად მკაცრად შევძახე მას. «დიდი ხანია უკვე გასული, რაც დღედაღამ გემუდარები, მიმიყვანე ექვთიმე თაყაიშვილთან, ბოლოს და ბოლოს გამაცანი ბატონი ექვთიმე. შენ თითონვე რამდენი რამ მოგიყოლია მის შესახებ ჩემთვის! მაინტერესებს როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება; მინდა გავეცნო იმ კაცს, რომელმაც საფრანგეთი შემოიარა; მინდა თითონვე მომიყვეს მოარულ ზღაპრად ქცეული მისი ფრანგული ცხოვრების შესახებ. ბოლოს და ბოლოს მინდა პირადად გავიგო მისგან, ქართული საგანძურის გატანა-შემოტანის შესახებ. (ეს ყველაფერი მე მამის მონაყოლიდან ვიცოდი).

მამა ყურადღებით მისმენდა და დუმდა. მე კი მოურიდებლად ჩემსას ვახმოვანებდი:

— ახლავე მივბრუნდეთ, და მივიდეთ მასთან! მოვუწოდე მკაცრად მამას, რომელიც რატომღაც კრინტსაც არ ძრავდა.

— ანდა მითხარი, ზუსტად სად ცხოვრობს და მე მარტო მივალ მასთან! უშენოდ მივალ! გადავწყვიტე თამამად. მამამ მეტი ვეღარ მიოთმინა და პასუხად ერთი სიტყვა მაკადრა: «არა, შვილო!». შემდეგ ჩემს დასარწმუნებლად განაგრძო: «ექვთიმე თაყაიშვილთან მისვლის უფლება შენ არა გაქვს». რის ვაივაგლახით ძლივს დაამთავრა სათქმელი, თითქოს მწარე ნაღველი გადაცდენოდეს.

ერთხანს სალაპარაკოდ შეჩერებულმა, პირი იბრუნა და შინისკენ დაიძრა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ შემომხედა და დარწმუნდა, რომ ცხვარივით მივყვებოდი.

გაოგნებულმა და ენაჩავარდნილმა ვერ მოვისაზრე, თუ რა უფლებაზე მელაპარაკებოდა თითქოს-და ჩემი აღზრდის გზამკვლევად მიჩნეული მამა. ხანდახან გავხედავდი და ვამჩნევდი, რომ მეტად მოღუშულს ჩემთვის აღარ ეცალა.

ასე ხმაამოუღებლივ მივედით სახლამდე.

მხოლოდ ჩემი სტუდენტობის დროს შევიტყვე. რომ საფრანგეთმოვლილ ექვთიმე თაყაიშვილთან მისვლის უფლება (მეტადრე, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში, რაზეც თითონაც ჩიოდა: «ამ ბოლო დროს ჩემ-

თან არავინ შემოდისო»), სულ რამდენიმე პიროვნებას ჰქონდა ნებადართული.

მათ შორის იყო მამაჩემიც – შალვა ამირანაშვილი.

XIII

1). ქაშვეთის ეკლესიის მხატვარი

ქართული საზოგადოების როგორც ძველი თაობის წარმომადგენლებისვის, ისე ახალგაზრდებისთვის კარგად ცნობილია, თუ ვინ შეამკო მხატვრული ფერწერით ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია.

რუსთაველის გამზირის ეს ქრისტიანული სიწმინდე ფრესკული ხელოვნებით შემოსა ყველა ჩვენთაგანისათვის კარგად ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა. სახელოვანი მხატვრის მიერ სულჩადგმული საეკლესიო ფერწერა, რომელიც მხოლოდ ამ ხელოვანისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილით გამოირჩევა, ადრეც და ახლა ყოველჯერ გვაოცებს არა მხოლოდ ეკლესიაში დავანებულ მრავალრიცხოვან მრევლს, არამედ გულის წადილით ეკლესიაში სალოცავად შემოსულ ყოველ ქრისტიანს. სულიერი სიმშვიდე და შეუმჩნეველი ღელვაც გვეუფლება პირჯვრის გადასაწერად და სანთლის ასანთებად ღმრთის სავანეში შემოსულ მორწმუნეებს; ქრისტეს იდეალებით გამსჭვალულნი და ჭეშმარიტი რწმენისადმი მართლმორწმუნედ ქედმოხრილნი, უპირველეს ყოვლისა მზერას მივაპყრობთ წმინდა მარიამისა და ყრმა იესოს დედაშვილური სიყვარულით გადმომყურე ფრესკას. ღვთიური მადლით ცხებული მარიამისა და იესოს პორტრეტული გამოსახულება დიდებული მხატვრის ჭეშმარიტად უნიკალური ხელოვნებით შემკული ფერწერაა. ვუცქერთ ამ შესანიშნავ მხატვრულ ქმნილებას და სულიერად ვმაღლდებით; ვუმზერთ ცასმიკრულ ქრისტიანულ საწყისთა სიცოცხლეს და სრულად ვივსებით ღვთისგან ჩამონაბერი სიწმინდით; გულში ვლოცავთ ამ ღვთაებრივი ნეტარების დიდოსტატ შემქმნელს, ძვირფას ბატონ ლადოს!

არა მხოლოდ საეკლესიო ხელოვნების შესისხლხორცებულ ნაწილად ქცეული ფრესკული მხატვრობა, არამედ ლადო გუდიაშვილის ფუნჯით შექმნილი ყოველი შედევრი სულდგმულობს ჩვენს ემოციებში. მისი მხატვრობა ქართველ ერთან ერთან მარად ცოცხლობს, როგორც დიდი ხელოვანის ღვთაებრივი ხელწერის მარადიულობის ჭეშმარიტი მაუწყებელი.

ისე, როგორც ლეონარდო და ვინჩის მიერ შექმნილი, მიუწვდომელი სულიერი გამომეტყველების მონა-ლიზა ჯოკონდა ახლაც ჩაგვაფიქრებს და გვაღელვებს, ასევე დიდი ლადოს მიერ სულჩადგმული მხატვრული ტილოები ხუთასი წლის შემდეგაც მოაჯადოებენ ჩვენი თანამედროვეობის სიცოცხლით ნაპკურ მომავალ მემკვიდრეებს. ამიტომ არის ლადო

გუდიაშვილის სულიერი არსიდან მომდინარე შედევრები მარადიული და სრულყოფილად დაფასებულიც მსოფლიო შედევრების ხელოვნებაში.

ეს ყველაფერი ახლა, მაგრამ მაშინ, ე. ი. რა სოციალური მდგომარეობით იყო გარემოცული XX ს-ის პირველი ნახევრის პერიოდის საქართველო?

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918 წლის 26 მაისიდან-1921 წლის 24 თებერვლის ჩათვლით) მხატვრულ ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდა ლადო გუდიაშვილის ფერწერულმა ტილოებმა იმთავითვე დაიმკვიდრეს მაღალი ადგილი ქართულ ფერწერულ ხელოვნებაში. შემეცნებითი თვალთახედვით, ხელოვნების ახალ სტილად აღიქვეს და ღირსეულად შეაფასეს მხოლოდ ლადო გუდიაშვილისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხელწერა XX ს-ის ათიანი წლების საქართველოში. მხატვრის უნიკალურობა მდგომარეობდა საკუთრივ მის მიერ შემუშავებული მხატვრული სტილიდან აღქმული ხელწერის მანერაში. შემოქმედებითი ცხოვრების მთელ მანძილზე ლადო გუდიაშვილს არასოდეს უღალატია მისი სულის წიაღიდან მომდინარე ხელოვნების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებური ფორმებისათვის. უნიკალურ ფერმწერს არ ჰყოლია მისი მხატვრობის მაგვარი წინმსწრები და არც მიმბაძველი ხელოვანი. ხელოვნებათმცოდნეობაში თავდაპირველად გამოთქმული იყო მოსაზრება თითქოს ლადო გუდიაშვილს გაეგრძელებინოს ნიკო ფიროსმანაშვილისეული მხატვრული სტილი. მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი შეხედულება აცდენილია სინამდვილეს. ორივე, დიამეტრულად განსხვავებული ხელწერის მქონე მხატვარია. თითოეული მათგანი თვითნაბადი ხელოვანია ქართული მხატვრული კულტურის ისტორიისთვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლადო გუდიაშვილის ხელოვნებით შექმნილი მხატვრობა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილითა და გამომსახველობითი მანერით, უნიკალურია. ასევე, ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრული ფორმები ერთადერთია და განუმეორებელი მსოფლიო მხატვრობის თვალსაზრისით. ამიტომაც, ორივე ქართველ მხატვართა ორიგინალური ფერწერა მარადიული სიცოცხლითაა შემკობილი.

1918 წლიდან დემოკრატიულ სარბიელზე დამდგარ საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების თავისუფალი გზა დაესახა. სამწლოვან პერიოდში, ჩვენს ქვეყანას საშუალება მიეცა შეექმნა დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, დასაბამი მიეცა საზოგადოების თავისუფალ განვითარებას, ეროვნული მეცნიერების სხვადასხვა დარგების წარმოშობასა და მის შემდგომ გაფართოებას. თავისუფალ ქართულ სამყაროში სრულიად ახალი ძლევამოსილებით იფეთქა მიძინებულმა ეროვნულმა კულტურამ: არქიტექტურამ, მხატვრობამ, მოქანდაკეობამ, თეატრალურმა ხელოვნებამ, სწავლა-განათლებამ... საქვეყნო ასპარეზზე გამოჩნდნენ პიროვნებები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე იტვირთეს დემოკრატიული საქართველოს ნათელი მომავალი. ახალ სა-

ფეხურზე აღორძინდა ქრისტიანული სულიერი კულტურა, როგორც ქართველი ერის კონსოლიდაციისკენ მამოძრავებელი ეროვნული ძალა, ურთიერთდამაკავშირებელი მყარი იდეოლოგიური საფუძველი.

დემოკრატიული საქართველოს განვითარების სამსახურში სხვებთან ერთად დამსახურებულად ჩადგა ახალგაზრდა ლადო გუდიაშვილი. და აი, 1919 წელს გამომზეურდა რუსული იმპერიული მარწუხებიდან გათავისუფლებულ ქართველ ხელოვანთა პირველი ნამუშევრები. თბილისის სამხატვრო გალერეის კედლები შეივსო ლადო გუდიაშვილის ფერწერული ნამუშევრებით; გამოიფინა დავით კაკაბაძის ქართული ბუნების სილამაზით აღსავსე პეიზაჟები; შალვა ქიქოძის მცირეფორმატიანი ნამუშევრები; მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის ფერებში გამოსახული პორტრეტები; მოსე თოიძის ძველი თბილისის ხედები დახუნძლული აივნებით; გიგო გაბაშვილის შეზარხოშებული ხევსურები; ქართველ როდენად სამართლიანად წოდებულ მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მაღალოსტატობით შესრულებული პორტრეტული ქანდაკებები; დარბაზს ამშვენებდა უსაფლაოდ გაუჩინარებული თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ორი თუ სამი ფერწერული ტილოც. გამოფენაში პირველად მონაწილეობა მიიღეს პირველმა ქართველმა მხატვარმა ქალებმაც: ელენე ახვლედიანმა და ქეთევან მაღალაშვილმა. 1919 წელს გამოფენილ მხატვრულ სანახაობას აღტაცებაში მოჰყავდა ეროვნული ემოციით დატვირთული ყოველი მნახველი.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის და შალვა ქიქოძის მხატვრობამ. სამთავრობო დონეზე გადაწყდა, სამივე ხელოვანი მივლინებით გაეგზავნათ პარიზში, ფერწერის ტექნიკაში დახვეწისა და მხატვრული მსოფლმხედველობის გამდიდრების მიზნით. მოგვიანებით, ასევითვე მისიით პარიზში ჩავიდნენ მხატვარი ქალები: ელენე ახვლედიანი და ქეთევან მაღალაშვილი.

ევროპულ მხატვრულ მიმდინარეობათა გაცნობის სულისკვეთებით შეპყრობილმა ლადო გუდიაშვილმა, დავით კაკაბაძემ და შალვა ქიქოძემ 1919 წლის დეკემბერში შეაბიჯეს საფრანგეთის მიწაზე. პარიზის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიური სკოლის ხელმძღანელობამ უარი განაცხადა ქართველ სტუმართა მხატვრულ აღზრდაზე. ეს იმ გასაგები გარემოების გამო, რომ სამივე ხელოვანი სამართლიანად მიიჩნიეს მათთვის დამახასიათებელი სტილის მქონე უკვე ჩამოყალიბებულ მხატვრებად. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც დატოვეს პარიზში მხატვრობის გაგრძელებისა და ევროპულ გამოფენებში მონაწილეობის მიღების მიზნით.

პარიზში ჩასული ქართველი მხატვრები დაბინავდნენ მონპარნასის ქუჩაზე. მათი ცხოვრების განუყოფელ ნაწილებად გადაიქცნენ მონმარტრი და რგვალსახურავიანი კაფე «როტონდა», სადაც თავს იყრიდა ადგილობრივ და უცხოელ ხელოვანთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

პარიზში გატარებული ახალგაზრდობის წლები ფრანგულ სიზმრად გადაექცა ლადო გუდიაშვილს. ფეთრბგაშლილი ბატონი ლადო მხატვრულ

აღმაფრენას განიცდიდა: დაუღალავი შრომით (რაც მას ყოველთვის ახასიათებდა) ერთმანეთზე მიყოლებით იქმნებოდა იმთავითვე შედევრებად ქცეული ტილოები. მის მიერ მაღალოსტატობით შექმნილ ახალ-ახალ ნამუშევრებს თვლა არ ჰქონდა! მის მხატვრულ ხელოვნებას აღიარება და დაფასება არ აკლდა...

საქართველოდან გამოყოლილი გულწრფელი მეგობრობა ლადო გუდიაშვილს არ გაუწყვეტია არც დავით კაკაბაძესთან და არც შალვა ქიქოძესთან; ბატონ ლადოს სამეგობრო შეავსეს მოგვიანებით პარიზში ჩასულმა ელენე ახვლედიანმა და ქეთევან მაღალაშვილმა. ბატონ ლადოს, და სულიერად მის ქართველობას ასევე დაუმეგობრდნენ უცხოელებიც: დაუფასებელი ამედეო მოდილიანი და ძნელად შესაცნობი მხატვრობის შემქმნელი პაბლო პიკასო; ლადოსთან ურთიერთობაში უმწიკვლო მეგობრობით გამოირჩეოდა მწერალი ლუი არაგონი; პარიზში გაიცნო და მეგობრობის ხელი გაუწოდა სასიყვარულო პოეზიის რუს მგოსანს, სერგეი ესენინს; განსაკუთრებით აფასებდა საქართველოში დაბადებულ და აღზრდილ, პარიზში ჩასულ ბაღდათელ პოეტ-ტრიბუნს ვლადიმირ მაიაკოვსკის; ისინი ხშირად სტუმრობდნენ კაფე «როტონდას», სადაც საუბრობდნენ ხელოვნებაზე, მხატვრობაზე, პოეზიაზე.

ასეთ მეგობრულ გარემოცვაში მოქცეული ლადო გუდიაშვილის ევროპული შემოქმედებითი ცხოვრება ქუხდა მხატვრობისა და პოეზიის ფერებსა და მუზებში! უსაზღვრო მეგობრული სიყვარულის ცენტრში იყო მოქცეული ქართველი ხალხის სიამაყე, ჩვენი ძვირფასი ბატონი ლადო.

მაგრამ სამშობლოს ყივილმა მაინც თავისი გაიტანა და 1926 წელს ლადო გუდიაშვილი დაბრუნდა გასაბჭოებულ საქართველოში. ნაირფერებით გასხივოსნებული ცხოვრებიდან ლადო გუდიაშვილი უეცრად მოხვდა სულიერად ჩაღამებულ სამყაროში. გასაბჭოებიდანვე დაწყებული უსაფუძვლო ტერორი წითელი ზოლივით მიჰყვებოდა საშინელ წლებს. საკუთარ ხალხზე აღმართულმა პოლიტიკურმა სისხლიანმა ხელმა განსაკუთრებით იმძლავრა 30-იან წლებში. ასეთ პირობებშიც, საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ლადო გუდიაშვილი ჩვეული სტილით განაგრძობდა მხატვრული ტილოების შექმნას და ყოველთვის თავის სულის წარმოსახვას ფერებში მოსავდა, მაგრამ...

აქაურმა საბჭოთა იდეოლოგიამ არ მიიღო ლადო გუდიაშვილის ხელოვნება, როგორც საზღვარგარეთ ნამყოფი ადამიანის და დასავლეთ ევროპულ კულტურას ნაზიარები პიროვნების მხატვრული შემოქმედება. მისი ხელშექმნილი ტილოები ძალაუნებურად აღმოჩნდა საბჭოური მრწამსისთვის მიუღებელი და საწინააღმდეგო. და ამიტომ, ყოველგვარ ზომებს იღებდნენ ისინი, რათა ლადო გუდიაშვილის ხელოვნება შემოებრუნებინათ საბჭოურ ყაიდაზე.

ამ ძნელბედობის პერიოდში ლადო გუდიაშვილს მხარში ამოუდგა შესანიშნავი სილამაზისა და მოხდენილი გარეგნობის, ძლიერი სულისა და ვაჟკაცური შემართების ქალბატონი ნინო მგელაძე, რომელიც ლადოს სი-

ცოცხლის ბოლომდე მისი ცხოვრების თანაზიარი გახდა. რომ არა ქალბატონი ნინო, არ ვიცით, რას მოიმოქმედებდა ერთხანს სასოწარკვეთილი მხატვარი, ჩვენთვის ძვირფასი ლადო გუდიაშვილი!

ლადო გუდიაშვილის ძმის შვილიშვილი დავით გუდიაშვილი მიამბობდა: «მაშინ ხშირი იყო შემთხვევები, როცა ლადოს და ნინოს სადილად მხოლოდ ორი კარტოფილი ედოთ სუფრაზე. და თუ ვინმე მოვიდოდა ამ დროს მათთან, სტუმართმოყვარე ცოლ-ქმარი იმ დღეს მშივრები რჩებოდნენ».

ერთხელ, ჩემთან საუბარში, დავით გუდიაშვილმა გაიხსენა ლადო გუდიაშვილის მონაყოლი: «ლადო გუდიაშვილი თავისთან დაიბარა ლ. პ. ბერიამ და განუმარტა, თუ რა უნდა დაეხატა მას».

«გთხოვთ, ვლადიმირ დავიდოვიჩ, დახატოთ საბჭოთა სინამდვილე! — აუხსნა ლ. პ. ბერიამ მასთან გამოძახებულ მხატვარ ლადო გუდიაშვილს. უნდა დახატოთ მუშა, თუ როგორ შრომობს დაზგასთან ქარხანაში; უნდა დახატოთ გლეხი, თუ როგორ ამუშავებს საკოლმეურნეო მინდვრებს და მოჰყავს მოსავალი; ქარხანაც, ფაბრიკაც და საძოვრებიც უნდა დახატოთ!, მოკლედ ყველაფერი, რაც თანამედროვე სინამდვილეა!, რაც საბჭოთა ხალხის თვალწინ ვითარდება და სახეს იცვლის! თქვენი მხატვრული თემის დედააზრი უნდა გახდეს სოციალიზმის აშენება ქალაქად და სოფლად! განუმარტა ლ. პ. ბერიამ და დაუმატა: აი რა უნდა იყოს თქვენი მხატვრობის მთავარი თემატიკა! მაშინ დაგაფასებთ პარტია და ხალხიც!»

«მე არ შემიძლია დავხატო ის, რაც თქვენ ბრძანეთ», სიტყვა მოუჭრა ლადო გუდიაშვილმა და განაგრძო: «მე ჩემი შთაგონებით ვხატავ, ვხატავ იმას, რაც ჩემს სულიერ წარმოსახვაშია, რაც ჩემი ხელწერით შემუშავებული მხატვრული სტილით მამოძრავებს ჩემ მიერ სწორად არჩეულ ერთადერთ გზაზე. ამ გზიდან არასოდეს არ გადამიხვევია, და არც არასდროს ვუღალატებ არჩეულ გზას, დარჩენილი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, რანაირადაც არ უნდა მიჭირდეს ჩემს სამშობლოში». ამ სიტყვების დამთავრებისთანავე, გამომშვიდობების გარეშე ლადო გუდიაშვილი გაშორდა ლ. პ. ბერიას და ცივად მიხურა მისი კაბინეტის კარი, დაამთავრა ლადო გუდიაშვილის მონაყოლის ჩემთან გახსენება, მისი ძმის შვილიშვილმა დავით გუდიაშვილმა, რომელმაც თავის მხრივ დაუმატა: «იმდენად დიდი და სახელცნობილი პიროვნება იყო ლადო გუდიაშვილი, რომ მაქსიმალური დოზით მასზე პოლიტიკურ ზეწოლას ვერ ახერხებდნენ».

ქალბატონი ნინოს დაუღალავი შრომისა და გარჯის შედეგად ლადო გუდიაშვილს არასოდეს არ გაუგდია ხელიდან სანუკვარი ფუნჯი. ბატონი ლადო დილაადრიან შედიოდა საღებავების სურნელებით გაჟღენთილ სამხატვრო ოთახში და მხოლოდ დღის შუქზე, დაბინდებამდე თითქმის შეუსვენებლივ შრომობდა. სულიერ შვებას გრძნობდა ყოველთვის, როცა მის მიერ გასმული ფუნჯით იქმნებოდა ტილოზე მიკრული სიცოცხლე!

* * *

1947 წელი. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ჩავირბინე ხელოვნების მუზეუმ «მეტეხში», სადაც მამაჩემი — შალვა ამირანაშვილი მუშაობდა. მაშინ მუზეუმი «მეტეხი» მოთავსებული იყო საქართველოს მუზეუმის შენობის ქვედა ნაწილის მეორე სართულზე, სადაც რამოდენიმე ოთახი ეკავა. ბავშვობიდან ნათლად მახსოვს მეორე სართულის დერეფნის იატაკზე მწყობრად დაგებული სიყვითლეგადაკრული თეთრი კაფელი. შენობაში შესულს, შემთხვევით შემომეყარა მუზეუმის სიძველეთა განყოფილების (სეიფი) გამგე, სასიამოვნო შესახედაობის ხანში შესული ბრგე მამაკაცი, ბატონი ეროდიონ სონღულაშვილი, თავზე ზუსტად მორგებული განუყრელი ნაბდის ქუდით. მე და ჩემი ძმა ხშირად დავდიოდით მუზეუმში მამასთან და ძალაუნებურად თანამშრომლებიც გვიცნობდნენ. ბატონი ეროდიონი ხელის სწრაფი მოძრაობით წამწვდა ქეჩოში და ჩემს მოულოდნელად შემაჩერა. წამით შემომხედა მომღიმარი გამომეტყველებითა და სიცოცხლის სიამოვნებით შევსებული თვალებით. ხანდაზმულობის მიუხედავად ის იყო ბეჭებში ვაჟკაცურად გასწორებული, პორტრეტული ქანდაკების სახის უმშვენიერესი მოხუცი. ჩემდათავად, ყოველი შეხვედრის დროს, მას ნამდვილად აღვიქვამდი საკუთარ პაპად. ხელთა ხაფანგში გახვეულმა თავის აწევით მივესალმე მომღიმარ მასპინძელს; იგი დაიხარა, თმებზე ლოყით მომიალერსა, შემდეგ ხელი მხარზე გადამხვია და რომელიღაც ოთახის კარი შეაღო. ყოველთვის თვალს მჭრიდა და იმ დღესაც, ღია კარებში შეჩერებულს, თვალებში გამიელვა ულამაზესი ქალის გაბრწყინებულმა სახემ, რომელიც ქალბატონ მაკა ნაკაშიძეს ამშვენებდა. მასთან მორიდებული მისალმების შემდეგ მამას გადავხედე: იგი საწერ მაგიდასთან იჯდა და თავჩაქინდრული წერდა.

ქალბატონ მაკა ნაკაშიძის სასიამოვნო ნაცნობობა რატომღაც გადამეზარდა დედამისის, საბავშვო მწერალ ნინო ნაკაშიძის წიგნების კითხვაში. სწორედ ამ ნაცნობობის წყალობით გადაკითხული მქონდა დედამისის მოთხრობები, რომელთაგან «უღუ და თეთ» მეტად მომწონდა. ნინო ნაკაშიძესთან სტუმრად ვყავდი ერთხელ მამას, და ამიტომაც მოუზომლად მსიამოვნებდა მისი მემკვიდრის მაკა ნაკაშიძის სახის სასიამოვნო გამომეტყველება. დანახვისთანავე, ყოველთვის დედაშვილურ გრძნობას მიღვივებდა მაკა ნაკაშიძის სათნო პიროვნება. თითონ მუდამ მესაუბრებოდა თავდაჭერით, თითქოს შორიდან, ყოველგვარი ემოციური გრძნობის გარეშე, მეპასუხებოდა, როგორც უფროსი ადამიანი ვიღაც ბავშვს, რაც მომეტებულ წყენას იწვევდა ჩემში.

ცოტა ხანიც კი არ იყო გასული, რომ მამა წელში გასწორდა, საწერი კალამი მოათავსა მაგიდაზე, დაწერილ ფურცლებს ერთად მოუყარა თავი და მაგიდის შუა უჯრაში შეაწყო. შემდეგ წამოდგა და მითხრა:

— ამჯერად შინისკენ ფეხით წავიდეთ.

გამოვედით რევოლუციონერ ლადო კეცხოველის ქუჩაზე (რომელსაც ახლა მხატვარ ლადო გუდიაშვილის სახელი აქვს მიკუთვნილი) და ქაშვეთის ეკლესიისკენ გავემართეთ. ქუჩაში რაღაცას მეუბნებოდა, რაც სანახევროდაც არ მესმოდა. ეკლესიის ეზოში რომ შევედით, «შენ აქ დამიცადე», მითხრა ნაჩვევი კატეგორიული გამოთქმით. «არა», ვუპასუხე თამამად და გავუგრძელე გულახდილად: «მეც შემოგყვები ეკლესიაში!» დავუმატე ეს სიტყვები და თვალი შევავლე მამის გამომეტყველებას. «კარგი», ჩემთვის მოულოდნელად დამეთანხმა და შემდეგ გარკვევით მითხრა: «ოღონდ ფეხაკრეფით, და არავითარი ხმაური არ გაბედო!», ბრძანებით დამიბოლოვა სათქმელი. თავისქნევით დავეთანხმე და ორივე მორიდებული ნაბიჯებით ავყევით ეკლესიის სამხრეთ კარებისკენ ამავალ კიბეებს. ორივემ, სრულიად გასუსულებმა ნელი მოძრაობით ბოლომდე შევაღეთ ნახევრადღია კარები. ფრთხილად და ერთგვარი მორიდებითაც მივედით ეკლესიის შუაგულამდე და დავდექით ზუსტად ცენტრალურ თაღქვეშ. ნელი მოძრაობით თვალი შევავლე ეკლესიის შიდა სივრცეს, რომლის კედლები შეფენილი იყო ახალდახერხილი სურნელოვანი თეთრი ფიცრებით. ხარაჩოებად ახუნძლული ფიცარნაგის სართულები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ნახევრად დამრეცი მისადგმელი ვიწრო კიბეებით. დაფიცრულ წყობას მზერით ავყევი მაღლა და მაღლა; ხარაჩოს ზედა ფიცარნაგზე თვალი მოვკარი ვიღაც მხატვარს, რომელიც ხელის ნელი მოძრაობით ხატავდა. წამიერ მამას გავხედე; მან კი შემიმჩნია ოდნავი მოძრაობა და ტუჩებთან მიტანილი საჩვენებელი თითით მანიშნა, ჩუმად ვყოფილიყავი. შავ ხალათში შემოსილ მხატვარს ნახევართაღისებრ ჭერზე რკალი გამოჰყავდა; მეორე ხელში პალიტრა ეჭირა; იქვე იდგა მცირე ზომის კასრიც, საიდანაც სხვადასხვა ზომისა და სისქის ფუნჯისტარები იმზირებოდნენ. იმდენად მაღლა იდგა ჩემთვის უცნობი მხატვარი, რომ მის ცქერაში მოულოდნელმა ჟრუანტელმა დამიარა, გონება ფიქრით დამიმძიმდა, რაიმე ხიფათი არ შემთხვეოდა მას. მხატვარი საერთოდ ვერ გრძნობდა სიმაღლეს; ფუნჯის ყოველ მოსმაზე მოხდენილად თავს ოდნავ გვერდით გადახრიდა და ხელის ფაქიზი მოძრაობით გამოყვანილ შტრიხს აკვირდებოდა.

«წმინდა მარიამის ფრესკა!» ოდნავ გასაგონი ხმით წამჩურჩულა მამამ და ისევ ზემოთ მიაპყრო მზერა. ორივე, გაოცებულები ვადევნებდით თვალს, თუ როგორ ივსებოდა ფერებით წმინდა მარიამის ღვთიური სახე. ასე ხმაამოუღებლივ დიდხანს ვიდექით. მხატვარი გულდასმით ამოწმებდა მის მიერ მოხატულ ყოველ ნაწილს; შემდეგ საღებავით გაჟღენთილი ფუნჯები წყლიან კასრში მოათავსა და ნელი მოძრაობით ჩამოსვლა დაიწყო. ფიცარნაგ სართულებს შორის ჩადგმულ კიბეებზე მხატვარი ფრთხილად და ოსტატურად მოძრაობდა. შესამჩნევად ეტყობოდა, რომ ბევრჯერ ასულიყო და ჩამოსულიყო, არავითარი შიშის გრძნობა! ფეხით იატაკს რომ შეეხო, ნელი სვლით უკანდახევა დაიწყო, ისე რომ ახალმოხატული ნაწილისთვის თვალი არ მოუშორებია.

ჩვენ, მისთვის შეუმჩნეველი მოძრაობით განზე გავდექით და გზა დავუთმეთ ზურგით მომავალ მხატვარს. მიზანშეპყრობილი მხატვარი არც კი გრძნობდა, თუ ვინმე იყო მის გარდა იქ. აღმოსავლეთ შიდაფასადს კარგა მანძილით რომ დაშორდა, წმინდა მარიამის ფრესკისადმი თვალმოუშორებლივ მზერამიპყრობილმა წინსვლა დაიწყო. აყუდებულ კიბესთან რომ მივიდა, ასვლამდე თვალი შემოავლო ეკლესიის შიდასივრცეს. მხატვრის თვალსაწიერში ჩვენც აღმოვჩნდით. უცებ გამოერკვა და სახეზე სიამოვნება გამოელანდა. მოგვიახლოვდა, შალვას ხელი ჩამოართვა, მე კი ღიმილით მომესალმა.

— ჩემო შალვა, მიმართა ლადო გუდიაშვილმა შალვა ამირანაშვილს, სულიერ სიამოვნებას მგვრის საეკლესიო მხატვრობის შესრულება, რაც თითქოს ჩემი მიზანდასახული ცხოვრების ნაწილად გადამექცა. ალბათ ეს ასეც არის, რადგან ფუნჯის ყოველ მოძრაობაზე სიწმინდე მეუფლება და ღვთიური ძალით ვივსები. ეს ჩემგან დამოუკიდებლად ხდება, თითქოს-და ცით მოვლენილი ანგელოზი თუ მაძლიერებს. ვგრძნობ ეკლესიის შიდა სივრცეს, თუ როგორ ივსება ჩემი მხატვრობით, ჩემი შთაგონებით სულჩადგმული ფრესკებით. თითონვე მამოძრავებს ის ძალა, რაც ჩემს ცნობიერებაში ჩემს შეუცნობლივ ვლინდება. სამუშაოს ნახევარზე მეტი შესრულებული მაქვს, ცოტაც და, მთლიანად მექნება მოხატული ეკლესია წმინდანებით, რაც ჩვენი სულიერი ყოფიერების წამმართველ ძალად დამესახა! ფუნჯის რამოდენიმეჯერ მოსმის შემდეგ ჩამოვდივარ ძირს და შორიდან შევცქერი ჩემს ნამუშევარს. თან, მომდევნო სამუშაოსათვის შტრიხებს ვლამბავ გონებით და შესატმასნი ფერების ტონალობას ვირჩევ. შემდეგ ავდივარ და ვაგრძელებ მოხატვას. ძნელი სამუშაოა იმ მხრივ, რომ დღეში 15-ჯერ ან მეტჯერ მიხდება ასვლა-ჩამსვლა. აქ ხარაჩომსვლელს მეძახიან! არ მწყინს, პირიქით, მომწონს კიდეც. ფიზიკურადაც გავძლიერდი. საღებავებით შემკული შტრიხები სხვადასხვა ტონალობით ჩანან ახლოდან და შორიდან. ვხატავ ისე, როგორც ჩემი გრძნობა მკარნახობს, ჩემი შთაგონებით, ჩემი სტილით...

— ნუ ჩქარობ, ჩემო ლადო, ჩამოართვა სიტყვა შალვამ, საეკლესიო ფერწერა სიდინჯეს და საეკლესიო მხატვრობის ცოდნას მოითხოვს, რაც შენში სავსებით და სრულად არის წარმოდგენილი; შენზე უკეთესი ფერმწერი ამჟამად არავინაა; ამ საქმეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის რჩეული ხარ; იგი ენდო შენს მხატვრულ ოსტატობას და მან მოგანდო ღვთაებრივი საქმე; საერთოდ კი, შენი მხატვრული ხელოვნებით ვამაყობ ყველგან, სადაც შენი სამხატვრო ნიჭის შეფასების საშუალება მეძლევა; და მაინც, ამ ძნელბედობის ჟამს, შენს ხელოვნებას ცოტა ჰყავს დამფასებელი; მჯერა, მოვა დრო და, შენით და შენი მხატვრობით იამაყებს ქართველი ერი.

— შენი ვაჟიშვილი რა მიდრეკილებისაა, უყვარს ხატვა? მოულოდნელი შეკითხვით მიმართა ლადომ შალვას.

— რაიმე მიდრეკილება ჯერ მაგისთვის არ შემიმჩნევია! წყნარად მიუგო შალვამ და ბრაზმორეულმა გადმომხედა.

— მაგის ასაკში მხატვრობით ვიყავი გატაცებული, წარმოთქვა ლადო გუდიაშვილმა და გონებით სადღაც შორს, წლების მიღმართს გაწვდა; ერთხანს დადუმდა კიდეც და წამიერად უნებურად ფიქრებში გადაეშვა; ჩვენ გაყუჩებულები თითქმის გაუნძრევლად ვიდექით. შემდეგ შეშფოთებული გამოერკვა, ისე თითქოს ჩვენ გაგვეგოს, თუ რას ფიქრობდა, და დიდი ხნის წინ ნათქვამს მკვირცხლად დაუმატა:

— ფრესკები მაღლით მეძახიან! ალბათ დროა, მივხედო საქმეს! დაასრულა ნათქვამი და საღებავების სურნელებააყოლილი ხელის მტევნის ჩამორთმევით დაგვემშვიდობა ორივეს.

ბატონი ლადო ერთ წამს კიდევ მიაცქერდა ზემოდან დამყურე ფრესკას და აუჩქარებელი მოძრაობით დაიწყო კიბეზე ასვლა. ჩვენ ერთხანს ვუყურეთ ცისკენ მოძრავ ბატონ ლადოს, შემდეგ კი ნელი სვლით და მოკრძალებით გამოვედით ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიიდან. წარმოუდგენელი სივრცით აგზნებულად დატვირთულები, სულიერი განცდებით აღქმულ სამყაროდან უეცრად მოვხვდით გამაყრუებელი ხმაურით სიცოცხლეშევსებულ რუსთაველის გამზირზე.

წარმოუდგენელი შთაბეჭდილებით სრულად მოცული მამაჩემი გზადაგზა დიდი აღტაცებით მელაპარაკებოდა. მეც მორიდებით ვუსმენდი, რადგან ჩემს მეტი მსმენელი არავინ ჰყავდა; მე კი, ბედმორჩილებას უკვე შეგუებული, შეპასუხების გარეშე ვტოვებდი ჩემს გასაგონად ნათქვამ ჩემთვის გაუგებარ მის ყოველ სიტყვას.

— თავისებური მანერის მხატვარია ლადო გუდიაშვილი; საფრანგეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, სადაც ქუხდა მისი ხელოვნება, საქართველოში დამფასებელი თითქმის არ აღმოუჩნდა; მისი მხატვრობის თემატიკის შეფასება პოლიტიკურ სარჩულში მოაქციეს და მისი ნახატების უმრავლესობა საბჭოური ცხოვრებისთვის მიუღებლადაც ჩათვალეს; გაივლის დრო და ლადო გუდიაშვილის დიდებულ მხატვრობას მომავალში ეყოლება დამფასებელი!

თავის ყოველ ნაფიქრალს იმ წამსვე მიხმოვანებდა მამაჩემი. მე გულისყურით ვუსმენდი, მაგრამ მისი ნათქვამიდან მაინც არაფერი მესმოდა. და მართლაც, XX ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ერთბაშად დაიჭექა ლადო გუდიაშვილის ხელოვნებამ. აღორძინდა იმ ლადო გუდიაშვილის სახელი, რომელსაც ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატვა შუა გზაზე შეაწყვეტინეს, ფრესკები დაუწუნეს, კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხეს და სამხატვრო აკადემიაში ლექციების კითხვაც აუკრძალეს; რაც მოხდა 1947 წელსვე. ხოლო ათი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და საბჭოური ხელოვნებიდან გარიყულად ყოფნის პერიოდის გასვლის შემდეგ, საბჭოური პროგრესული მიმართულებებით ცვლილებების (ე. წ. «ოტტეპელ»-ის) შედეგად ლადო გუდიაშვილის ხელოვნებამ თითქოს ამოისუნთქა და გაბრწყინდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული ლადო გუდიაშვილის მხატვრულ გალერეას მნახველი არ აკლდა: არც ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში, სადაც უმეტესწილ შემონახულია მხატვრის ადრინდელი პერიოდის ფერ-

წერა და არც მის სახლ-მუზეუმში, რომელიც ყოველდღე სავსეა სტუმრებით, განსაკუთრებით უცხოეთიდან.

ლადო გუდიაშვილთან მისულ ყოველ სტუმარს, გაბრწყინებული სახით ხვდებოდა მხატვრის უძვირფასესი მეუღლე ქალბატონი ნინო. იგი ყოველ დაინტერესებულ დამთვალიერებელს გულწრფელ მეგზურობას უწევდა. აღფრთოვანებული სტუმრები გულმხურვალე აღტაცებას ვერ ფარავდნენ! ბოლოს, მხატვრობით მოხიბლულ სტუმრებთან გამობრძანდებოდა ჩვენი ძვირფასი ბატონი ლადო, გულთბილად და ხელის ჩამორთმევით მიესალმებოდა ყველას სათითაოდ.

შემდეგ, ქალბატონი ნინოს თხოვნით, სტუმრები შემოუსხდებოდნენ დიდ ოთხკუთხა მაგიდას, რომელსაც ყოველთვის ამშვენებდა სპეციალურად ლადო გუდიაშვილის ოჯახისთვის დაწურული და სუფრაზე ორი თეთრი ხელადით შემოდგმული ღია და მუქი შეფერილობის კახური ღვინო; ასევე: უზარმაზარი ოთხკუთხა ფორმის, კრემის ჩუქურთმებით გაწყობილი, თეთრად მოელვარე, და თან მადისმომგვრელად შემოყურე ტორტი; ასევე: უშველებელი მრგვალი ფორმის, ღია ოქროსფერი ნიგვზით და ფხვიერი მუქი შოკოლადით თავმოყრილი, დანახვისთანავე დაუოკებელი გემოს აღმძვრელი მეორე ტორტი; ყველგან, სადაც კი ჩასადგამი ადგილი იყო, სუფრის მშვენებას ხელს უწყობდნენ ნაირ-ნაირი ფორმისა და შეხედულობის სურნელოვანი ნამცხვრები. სამეფო სუფრა იყო გაშლილი გუდიაშვილებთან მისული განურჩევლად ყოველი სტუმრისათვის; ამასთან საოცრებას ჰგავდა ბატონ ლადოსა და ქალბატონ ნინოს გულწრფელი მიპატიჟება სუფრასთან და გულუხვი მასპინძლობა, რაც იმ დღიდანვე სანატრელ მოგონებად თუ სიზმრად გადაიქცეოდა იქ დამსწრე ყოველი ადამიანისთვის.

თვალნათლივ მახსოვს ბატონ ლადო გუდიაშვილთან სტუმრობა.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, მე და ჩემს მეგობარს, ორ პროფესიას (ირანის ისტორიასა და მხატვრობას) დაუფლებულ მანანა გაბაშვილს, საფრანგეთიდან გვესტუმრა აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერი, და ლადო გუდიაშვილის ხელოვნების მოტრფიალე ფილიპ ჟინიო. მან დაწვრილებით იცოდა ქართველი მხატვრის პარიზული ვოიაჟი და ისტორიული კაფე «როტონდა», რომელიც ევროპელ ხელოვანთა აუხსნელ ბუდედ იყო მიჩნეული. მე და მანანა ვმასპინძლობდით პარიზელ სტუმარს. ფრანგი ფილიპ ჟინიო ჯერ მივიყვანეთ ხელოვნების მუზეუმში: დავათვალიერებინეთ ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები და ლადო გუდიაშვილის ფერწერა. შემდეგ კი ფეხი გავუყევით ლადო გუდიაშვილის სახლ-მუზეუმისაკენ მიმავალ ქუჩას. საგამოფენო დარბაზში შესვლისთანავე ფრანგი სტუმარი აღაფრთოვანა კედლებზე შეკიდულმა დიდი ფორმატის მხატვრულმა ტილოებმა. მის შთაბეჭდილებაში აღბეჭდილი იყო ევროპული იმპრესიონისტული მხატვრობა. მასთან შედარებით, ლადო გუდიაშვილისათვის დამახასიათებელი ხელწერით შესრულებულმა ნამუშევრებმა უსაზღვრო აღტაცებაში მოიყვანა ხელოვნების მოტრფიალე ფილიპ ჟინიო. ბატონ ლადოს გამობრძანება დარბაზში და ფრანგ სტუ-

მართან მისალმება თეატრალურ წარმოდგენას ჰგავდა. ფილიპ ჟინიოს თხოვნით, ლადო გუდიაშვილთან ერთად მან კიდევ ერთხელ დაათვალიერა მხატვრის დარბაზი. ისინი დიდხანს გაჩერდნენ ამედეო მოდილიანის ორ მცირეფორმატიან ნახატთან, რომელიც 1920 წლის დასაწყისში ფრანგმა მხატვარმა უსახსოვრა ქართველ მხატვარს. უსაზღვროდ მესიამოვნა, როდესაც მოდილიანის ორ სურათთან მდგარ ბატონი ლადოს და მისიე ფილიპის ფრანგულ დიალოგს მოვკარი ყური. ისინი გულთბილად და ტკბილად საუბრობდნენ, უღიმოდნენ და სიტყვებით ეფერებოდნენ ერთმანეთს; ორივემ გაიხსენა ხელოვანთა მიმზიდველი კაფე «როტონდა»; ბატონი ლადო დიდი აღტაცებით უყვებოდა სასიამოვნო სტუმარს თავის ევროპულ ახალგაზრდობას. ჩვენ სუფრასთან ვიყავით მიპატიჟებული და ფეხზე მდგარნი მათ ვუცდიდით. ისინი ხელიხელგადახვეულები გამოემართნენ გაწყობილი სუფრისკენ. უნებურად გავხედე ბატონ ლადოს, რომლის თვალებშიც სიამოვნების ცრემლები ლივლივებდნენ.

როგორც ყოვეთვის, ახლაც მშვენიერი და დიდებული იყო სუფრა. ლადო გუდიაშვილის ხელოვნების მოტრფიალე ფრანგი მეცნიერი თვითნებურად თამადის როლში მოგვევლინა. მან ბრწყინვალე ფრანგული სიტყვებით შეამკო ქალბატონი ნინო და ბატონი ლადო, ქართველი ხალხი და ფრანგი ხალხი, ლადო გუდიაშვილის მხატვრობა და ფრანგი მხატვრების ხელოვნება...

გამომშვიდობებისას, მადლობის ნიშნად ფილიპ ჟინიო დაპირდა გუდიაშვილებს, როგორც კი ჩავიდოდა პარიზში, მივიდოდა კაფე «როტონდაში» და ბურგუნდიული ღვინით შესვამდა დიდი ლადო გუდიაშვილის სადღეგრძელოს!

ალბათ, ეს ასეც მოხდებოდა!

2). ლადო გუდიაშვილი შალვა ამირანაშვილის შესახებ:

«მრავალი წლის მეგობრობა მაკავშირებს მე შალვა ამირანაშვილთან, დიდი სულისა და მდიდარი სულიერი კულტურის ადამიანთან...

როგორც ცნობილია, ქაშვეთის კედლის მხატვრობა არ გაუმეორებია არც ერთ სხვა მხატვარს. შალვამ მომანდო მე აღმედგინა კედლის ეს მოხატულობანი, და ამრიგად, გასდო ხიდი ძველ და თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში.

რაც შეეხება ჩემდამი მის პირად დამოკიდებულებას, იგი იმსახურებს გულწრფელ მადლიერებას. შალვა მუდამ მხარში მედგა, ჩემი სიცოცხლისათვის უმძიმეს წუთებშიც კი. იგი დამეხმარა, რათა ჩემი ხელოვნება უაღრესად პირადული და ინდივიდუალური, გამეტანა მსოფლიო სარბიელზე...».

P.S.

ერთხელ, მე და ლადო გუდიაშვილის ძმის შვილიშვილი დავით გუდიაშვილი ერთად გამოვედით აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტიდან

(სადაც ვმუშაობდით ორივე). ერთმანეთთან მეგობრული საუბრით გავუ-ყევით ტროტუარს, ტრანსპორტის გაჩერებადე ვაკის პარკის ჩასასვლელ-თან. გზადაგზა რაღაც დავეკითხე ლადო გუდიაშვილის შესახებ. პა-სუხების შემდეგ შეჩერდა, ოდნავ ჩაფიქრდა და გულიდან ამოღვრილი სიტყვებით სინანულით შემატყობინა: «იმ წლის დასიცხულ ზაფხულს, ლადო წყნეთში რომ არ აეყვანათ, ის კიდევ დიდხანს იცოცხლებდა».

XIV

1). გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი

თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ჯგუფები ყოველთვის მცირერიცხოვანი იყო და ჩვენც, ირანისტები სულ ხუთნი ვიყავით: გულიკო ძნელაძე, პავლე თოფურია, თამაზ ნატროშ-ვილი, როლანდ ბურჭულაძე და მე-გულბად ამირანაშვილი.

ახლა ძნელია იმის თქმა, მეგობრობის ხუთი წლის ინერცია მოქმე-დებდა თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტია, რომ უნივერსიტეტის დამთავრე-ბის შემდეგაც ერთად ყოფნა გვინდოდა და ჩვენი სიხარული უსაზღვრო იყო, როდესაც ყველანი უკლებლივ ჩავირიცხეთ ახლად გახსნილ აღმო-სავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

აკადემიური კედლებით შემოსაზღვრული მეცნიერული ცხოვ-რება თითქოს ჩვეულებრივ, მაგრამ მაინც ახლებურად გაგრძელდა: სწავლის წლები კვლევითი მუშაობის პერიოდმა შეცვალა; ლექცია-სემინარებისათვის დამახასიათებელი პროცესები გადაიზარდა მეცნიე-რულ კამათსა და პრობლემის ანალიზურ განხილვაში; ძალიან ხშირად განსხვავებულ თვალსაზრისებს ისეთი სიტყვიერი შეხლა-შემოხლა და სერიოზული დაპირისპირება მოჰყვებოდა ხოლმე, რომ ერთმანეთზე გულმოსულებს იმ მომენტში ურთიერთის დანახვაც კი გვიჭირდა.

განვლილი წლები ერთმა უწყინარმა ფაქტმა გამახსენა: დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც «ლაღიძის წყლების» ეზოში გადატანილ მა-ღაზია «საუნჯე»-ს თაროებზე გამოფენილ წიგნებს ვათვალიერებდი. რა-ტომღაც მხოლოდ ერთმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. სტენდს მივუახ-ლოვდი, სასურველი წიგნი გადმოვიღე და სათაური გულდასმით წავიკი-თხე: «გრიგოლ რობაქიძე. წერილები». გონებამ მაშინვე სხვა ეპოქაში გადამისროლა: გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლების დასაწყისში აღვმოჩნდი ძალაუნებურად.

ერთხელ ბურჭულაძე ინსტიტუტში უჩვეულოდ გუნებაშეცვლილი მო-ვიდა (იმ დროს ჩვენ ერთმანეთს, უფრო ხშირად გვარებით მივმართავ-დით). ძნელაძის ქალი ზომაზე მეტად დაკვირვებული მეგობარი იყო და გაღიზიანებაც ყველაზე ადრე მანვე შეუმჩნია: «რა დაგემართა, რამ გა-გაცოფაო?», დაუყონებლივ მიმართა ძნელაძემ მისთვის დამახასიათე-ბელი მკვახე გამოთქმით.

თურმე, საჯარო ბიბლიოთეკის თაროდან, იქ სადაც ბურჭულაძე სამუშაო წიგნებს და თავის ნაწერებს ინახავდა, მისი ნაწერები მთლიანად გამქრალიყო. ნაწერები კი მოიცავდა პერიოდულ პრესაში და სხვადასხვა კრებულებში გაბნეულ გრიგოლ რობაქიძის პოეზიის შესწავლის საკითხებს, აგრეთვე გრიგოლ რობაქიძის ბიბლიოგრაფიას.

ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა საქართველოში აკრძალული იყო გრიგოლ რობაქიძე და მისი შემოქმედებით დაინრერესება-გატაცება მხოლოდ თავად ბურჭულაძის დაუოკებელ სურვილს წარმოადგენდა.

«არა უშავს, ადექი და ხელმეორედ გააკეთეო!», მეგობრულად და შეუმჩნეველი კეკლუცობით ანუგეშა კიდეც ძნელაძემ.

«გაკეთებით კი გავაკეთებ», გულწრფელად მიუგო ბურჭულაძემ და განაგრძო: «მაგრამ ახლა, სხვა პრობლემა მაწუხებს და სანამ იმას არ მოვაგვარებ, დაკარგულის აღდგენას ვერ მივუბრუნდებიო».

მე ვუსმენდი, მაგრამ როგორც ყოველთვის მათ საუბარში არ ჩავრეულვარ, რადგანაც დიდი ხანია შეჩვეული ვიყავი ამ მეგობრების უსაფუძვლო კამათს, რაც თავდავიწყებით მომწონდა როგორც პროცესი, თუმცა მათ მიერ განსახილველი საკითხები აბსოლუტურად არ მაღელვებდა. შესაძლოა ეს ჩემი ნაკლიც იყო, მაგრამ ბურჭულაძის ინტერესები მხატვრული ლიტერატურის მიმართ არასდროს მიზიდავდა. მითუმეტეს იმჯერადაც, რადგანაც შორს ვიყავი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისაგან, რომელსაც მხოლოდ მეტად ზედაპირულად, თანაც ყურმოკვრით თუ ვიცნობდი.

მოკლედ, გაირკვა, რომ თურმე ახლა ბურჭულაძეს ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული გრიგოლ რობაქიძის იმ პორტრეტის ბედი აინტერესებდა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ ტიციან ტაბიძეს ქართველ სიმბოლისტთა ჟურნალში ჰქონდა წერილი გამოქვეყნებული.

«შენც რაღა ჟურნალებში იქექები, ადექი და პირდაპირ ბატონ ლადოს ჰკითხე, რაც გაინტერესებსო», ისევ რჩევის სახით მოკლედ მოუჭრა ძნელაძემ.

აღმოჩნდა, რომ ამ საკითხზე, ბურჭულაძეს უკვე მიემართა ჩვენი განყოფილების ახალი თანამშრომლის დავით გუდიაშვილისათვის, რომელიც ლადო გუდიაშვილის ძმის შვილიშვილი იყო. ბატონ ლადოსთან მისი სტუმრობისადმი რეაქცია იმდენად მოულოდნელი იყო დავითისათვის, რომ ის შეშფოთებული დაბრუნებულა. დავით გუდიაშვილს უკითხავს ბურჭულაძისათვის: «ისეთი რა პორტრეტია, რომ როცა შევეკითხე, ლადო ხმაამოღებლივ სხვა ოთახში გავიდა, ხოლო ნინომ ამის შესახებ ლაპარაკი ამიკრძალა».

დავით გუდიაშვილის წინაშე ბურჭულაძე თავს იმართლებდა:

«ეტყობა ცუდათ უთხარი, მათ სხვა რამ ეგონათ. ხელახლა მიდი და ყველაფერი წესიერად აუხსენიო», დაუბოლოვა ნათქვამი ბურჭულაძემ.

«არა, როლანდ-ჯან, შენ თვითონ მიდი და შენ თვითონ აუხსენი», შორს დაუჭერია თავი დავით გუდიაშვილს.

ჩემი თანდასწრებით მათმა არასასიამოვნო საუბარმა ერთი მივიწყებული ეპიზოდი გამახსენა:

თარიღი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისი იყო. ახლაც თვალწინ წარმომესახა ის საღამო, როდესაც მამაჩემი-შალვა ამირანაშვილი, უცნაურად აღელვებული დაბრუნდა სახლში. მას ხელში ეჭირა თეთრ ტილოში საგულდაგულოდ გახვეული და გარდიგარდმო კანაფგადაჭიმული ბრტყელი ფორმატის რაღაც ნივთი. სახლში შემოსულ ოჯახის თავკაცს სიხარულით ვხვდებოდით ყველა და იმ დროს ჩვენთან სადილად მოსული ნათესავი, თუ შემთხვევით შემოსწრებული სტუმარი. საერთოდ, შემოსვლისთანავე, მამა ყოველთვის სასადილო ოთახისკენ გარბოდა, მაგრამ იმჯერად მისთვის უჩვეულო მოძრაობით პირდაპირ თავის კაბინეტს მიაშურა და მისი ოთახის კარიც ბოლომდე მოიხურა. მამის უცნაურმა ქცევამ რატომღაც მიიპყრო ჩემი ყურადღება. მომეტებული ინტერესით გამსჭვალულმა და მისგან ნებართვის დაუკითხავად შევუღე კაბინეტის კარი. მამამ ერთი კი შემომხედა, მაგრამ დიდი ყურადღება არ მიუქცევია ჩემთვის. მისი ამგვარი შემოხედვაც იმით იყო გამოწვეული, რომ დარწმუნებულიყო, ვინ შემოვიდაო, თორემ შემომსვლელ-გამსვლელი ჩვენს ოჯახს არ აკლდა.

მამის კაბინეტის შუაგულში იდგა დიდი ოთხკუთხა სამუშაო მაგიდა, რომლის ოთხივე მხარეს გაშლილი იყო საწერი ფურცლები, გარშემოტყმული საჭირო წიგნებით. შესაბამისი თადარიგის დაცვით, მამა ოთხ სხვადასხვა სამუშაოს ერთდროულად ასრულებდა. კაბინეტის ოთახის კედლებზე მიდგმული იყო ჭერამდე აზიდული თაროები, საიდანაც თითქმის გამომწვევად იმზირებოდნენ უსწორმასწოროდ განთავსებული ნაირფორმატიანი წიგნები.

საწერ მაგიდას ამშვენებდა მისი მუშაობის უსიტყვო მოწმეები: მოოქრული ვერცხლის ფირფიტისაგან დამზადებული ინდური ნაკეთობა, რომელიც ბუდას გამოსახავდა. იქვე იყო ძვირფასი ქვებისგან გამონათალი მცირე ზომის ნაირნაირი ქანდაკებები, რომლებიც აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელ რიტუალურ სცენებს გამოხატავდნენ. სანახაობრივად დიდ ინტერესს იწვევდა მოყვითალო ფერის ნეფრიტისგან ჩინეთში დამზადებული უნიკალური მცირე ფორმატის ძეგლი, რომელიც განასახიერებდა ყოველწლიური განახლების მამა-ღმერთს. სიცოცხლის ღვთაება იდგა მოყავისფრო საცეცხლურზე და რიტუალის შესრულების დროს (რაც ისტორიულ წარსულს ჩაბარდა) საკაეფო კვამლი იფრქვეოდა მისი ნასვრეტებიდან. ჩინურ ღმერთს მხარზე მიყრდნობილი ჰქონდა მარადისობის სიმბოლო: ახლადაყვავებული ტოტი. საწერ მაგიდაზე თავისი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი ფაიფურის მოხატულ სურებსა და ვერცხლის მუცელგაბერილ დოქებს. მაგიდაზე იდო ოვალური ფორმის თანამედროვე სინიც, რომელზედაც დახვავებული იყო შესაბამისი სეზონისთვის მოწეული ხილი (მამას მეტადრე ხიბლავდა კომში), რომლის სურნელებით გაჟღენთილი იყო წიგნებით სავსე კაბინეტი. აღმოსავლეთ მხარის

კედელზე თითქმის ჭერქვეშ ეკიდა ფერწერული მხატვრობის ორიგინალი პორტრეტი იესო ქრისტეს გამოსახულებით, რომლის ავტორის ვინაობასაც რატომღაც არ გვიმხელდა ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი.

მამა დარწმუნდა, რომ ჩემ მეტი აღარავინ შევიდოდა მასთან კაბინეტში და მორიდებით დაუწყო გახსნა მოტანილ შეკვრას, რომელიც თურმე მის მიერვე განსაკუთრებული სიფრთხილით იყო გადაკვანძილი. სურვილი გამიჩნდა, მეც მოკრძალებით მივხმარებოდი გადახლართული კანაფის გახსნაში, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო. მამამ მომარიდა, ხელით ოდნავ გამწია და რატომღაც ახლოს არ მიმიშვა: «რამე არ გამიფუჭოსო», ალბათ გაიფიქრა კიდეც. ჩემი დახმარების გარეშე თითონვე განაგრძო «გორდის კვანძად» გადაქცეული აბურდული კანაფის გახსნა. ბოლო აუჩქარებელი მოძრაობაც და კანაფთან ერთად ტილო ჩამოშორდა მხატვრულ საოცრებას. სახტად გადაქცეული მივაჩერდი განსაცვიფრებელ სანახაობას, თითქოს ვუცქერდი კიდეც ჩემთვის ჩვეული ახალგაზრდული აღტაცებით, მაგრამ ფერწერულ ტილოს აღვიქვამდი ყოველგვარი გააზრებული გაგების გარეშე.

ეს იყო არც თუ ისე დიდი ზომის ფერწერული ტილო, კოხტად ჩასმული ყავისფერ საღებავგადასმულ ხის ჩარჩოში. როგორც მახსოვს, ფერადი ტონალობით შესრულებულ ნახატში თეთრ ფერებთან მუქიც იყო შეტმასნული და უჩვეულო შინაარსს გაგრძნობინებდა მოსასაზრებლად. ემოციურად დატვირთული აზროვნება ყველაფრის წარმოდგენის შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი გაერკვია ჩემს, თითქოს დაუბინდავ ახალგაზრდულ გონებას.

სურათზე დახატული იყო ფრთებგაშლილი არწივი, რომელსაც ადამიანის თავი ჰქონდა გამობმული, «ჰოი, საოცრებავ!» ეს არწივ-ადამიანი ნახევრად პროფილში იყო გამოსახული და მას თითქოს ნაჯახით შუაზე ჰქონდა გაპობილი თავი. ნაოჭებად ჩამომდინარე მოთეთრო მასა, რომელიც ტვინს განასახიერებდა, ამ არწივ-ადამიანის ფეხებთან ტბისმაგვარ გუბეს ქმნიდა. ჩამოღვენთილ და უსწორმასწოროდ ჩამოღვრილ ცოცხალ სითხეს სხვადასხვა პოზაში მდგომი მომცრო ზომის ადამიანები დაწაფოდნენ და ხარბად ხვრეპდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნებათმცოდნის ოჯახში ვიზრდებოდი და ბევრი რამ გამეგებოდა მხატვრობაშიც, არ დავფარავ და ვიტყვი, რომ ამ სურათმა ჩემი გაურკვევლობა და მასთან ერთად, დაბნეულობაც გამოიწვია. სახლში ფერწერული მხატვრობის ორიგინალებიც საკმაოდ იყო, მამას ხშირად დავყავდი მხატვრული ექსპონატების სანახავად მუზეუმებში, ასევე ახალ-ახალ გამოფენებზეც სამხატვრო გალერეაში, ხანდახან ვსტუმრობდით მუზეუმის საცავსაც. ამის გამო მხოლოდ რეალისტური მხატვრობით ვიყავი გარემოცული და შეპყრობილიც. ამ სურათს კი ვერაფერი გავუგე: რატომ ჰქონდა არწივის გამოსახულებას ადამიანის თავი? რატომ იყო, რომ გაჩეხილი თავიდან ტვინის მასა იღვრებოდა? არწივის ფეხებთან მყოფი ადამიანები რატომ სვამდნენ გაშმაგებით გაჩე-

ხილი თავიდან გადმოქცეულ დანაოჭებულ სითხეს? და საერთოდ თუნდაც, ვინ იყო ეს არწივი-ადამიანი ან ანსახიერებდა თუ არა ვინმეს? ანდა, ვინ იყვნენ ისინი, ვინც მისი ტვინით იკვებებოდნენ. ეს კითხვები დაუყონებლივ გაჩნდა, მაგრამ ჩემთვის პასუხი არ არსებობდა და კვლავ გულახდილად ისევ ვიტყვი ზემოთ თქმულს, რომ ჩემთვის ადვილად გასაგები რეალისტური ხელოვნება უფრო მიზიდავდა.

მამაჩემი დაკვირვებით ათვალიერებდა სურათს და თავისი ჭკუით გააზრებულადაც შესცქეროდა. ბოლოს მე შემომხედა და თითქოს ჩემი ფიქრები ამოიკითხაო, ოდნავი შეღიმებით ამიხსნა, რომ ეს არის ინპრესიონისტული ფერწერა. სურათზე არწივის სახით გამოსახული იყო ცნობილი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, ხოლო მის ფეხებთან მყოფი და მის ტვინს დაწაფული ადამიანები იმ პერიოდის ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ღიად და დაუფარავად გრიგოლ რობაქიძის ინტელექტუალურ გავლენას განიცდიდნენ. მამამ ისიც მითხრა, რომ გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაში იყო წასული და როგორც იდეოლოგიურად მიუღებელი, საბჭოთა კავშირში ის მტრების რიგებში იყო ჩარიცხული. სურათი დიდი ხნის წინ ლადო გუდიაშვილმა დახატა და დღეს უმჯობესია ხელოვნების მუზეუმის საცავში ინახებოდეს, ვიდრე სხვაგან, საიდანაც ადვილი შესაძლებელია გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგოსო.

არ მიკითხავს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სურათი ლადო გუდიაშვილის სახლიდან იყო წამოღებული შესაძენად მუზეუმისათვის. ამის შემდეგ ეს სურათი მამასთან ერთად კიდევ რამდენჯერმე ვნახე ხელოვნების მუზეუმის საცავში, კედელზე იყო მიყუდებული სხვა სურათებთან ერთად.

აი, ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა უფრო მოკლედ და ემოციების გარეშე ვუამბე ჩემს მეგობრებს, რამაც მათში აღტაცება გამოიწვია. საყვედურიც მივიღე: «გცოდნია ყველაფერი და რას გვიმალავდი, აქამდე გეთქვაო». «მე რა ვიცოდი თქვენ რა გაინტერესებდათ. გეკითხათ ჩემთვის და მეც გიპასუხებდით». ამაზედაც შესანიშნავი და მორგებული პასუხი მივიღე ბურჭულაძისაგან: «შენ იმ მათხოვარს ჰგავხარ, სახელმწიფო ბეჭდით თხილს რომ ამტვრევდა, ხოლო მთელი ინგლისი ამ ბეჭედს დაეძებდაო».

ასე იყო ეს ყველაფერი და წიგნის მაღაზიაში ნანახმა გრიგოლ რობაქიძის «წერილებმა» მრავალი რამ გამახსენა. ემიგრაციაში წასვლა მის მიერ გადადგმული მტკივნეული ნაბიჯი იყო. სხვა შემთხვევაში მასაც ისეთივე სამწუხარო ბედი ელოდა, რომელმაც XX საუკუნის 30-იან წლებში მრავალი შეიწირა. დასანანია, რომ შემდგომმა თაობებმა ვერ განიცადა გრიგოლ რობაქიძის აზროვნებისა და შემოქმედების ცხოველმყოფი გავლენა. ისინი ხელოვნურად იზოლირებული აღმოჩნდნენ იმ ნამდვილად დიდი შემოქმედისგან, ურომლისოდაც წარმოუდგენელია გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული კულტურა.

საბედნიეროდ, დღეს სხვანაირი მდგომარეობაა და ქართული ლიტერატურის მეცნიერ-მკვლევართა ყურადღება გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეობის მიმართ ნამდვილად საშური და დასაფასებელი საქმეა. წარმატებას ვუსურვებ მათ ამ საშვილიშვილო საქმეში.

2). ქართული მინანქრის დამზადების უბადლო სპეციალისტი ქიმიკოსი ირაკლი ტარუაშვილი და მისი გერმანელი გერი გერმან (ბუბი) კიუნე

ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩის თორმეტ ნომერში მაცხოვრებელი გერმანელი ქალბატონი სუსანა კნიპერტი იშვიათად გამოდიოდა გარეთ ოჯახისთვის საჭირო საყიდლებზე, ანდა თუნდაც, რაიმე გადაუდებელ საქმეზე. და თუ შემთხვევით წააწყდებოდი მას, ან სპეციალურად შეხვდებოდი მშვენიერი ქართველი ქალებისგან განსხვავებული სილამაზით აღსავსე ამ უცხოელ პიროვნებას, იმ წამსვე უეცრად აღინთებოდი მისდამი ლტოლვით და მიღებული აღფრთოვანება დიდი ხნით გაგყვებოდა საფიქრებლად. თუნდაც ერთი შეხედვითაც მისკენ სწრაფვის გრძნობას აღძრავდა უკლებლივ ყოველ ქართველ მამაკაცში. ამ ქალბატონის დანახვისთანავე, მხოლოდ სიყვარულისთვის გასაწირი კაცი ხდებოდი და ანაზდათ შემოპარულ ბედისწერას თუ გადააბრალებდი ოქროსფერთმიანი ქალის მიმართ დაუოკებელ სწრაფვას. შესახედაობით ზებუნებრივად გასხიოსნებულ მზისფერთა ჰარმონიულ მსგავსებას ჰგავდა, როგორც ტალღისმაგვარი თმის ვარცხნილობით და ზაფხულის ცისფრად მოლივლივე თვალებით, ისე მიმზიდველად გამომყურე გულ-მკერდით. თუ ოდნავ მაინც მიაპყრობდი მის სიმეტრიულ აღნაგობას ყურადღებას, მისგან ყოველთვის მოზავებულად გამოკრთოდა მხოლოდ სიზმრად წარმოსახული სიტკბო. მისთვის დამახასიათებელი არაქართული სილამაზე მომეტებულად გაგრძნობინებდა, რომ მიმზიდველი თავდავიწყების ბადეში ექცედი სამუდამოდ. ევროპელობის კვალობაზე ჩვენი ქალებისგან განსხვავებული იერის მქონე გერმანელი ქალბატონი სუსანა კნიპერტი, სპეციალობით პირველი ფოტოგრაფი-ქალი იყო საბჭოთა საქართველოში.

ალბათ ასეთი გრძნობებით იყო მოცული ქართველი მამაკაცი, ქიმიკოსი და ქართული მინანქარის უბადლო სპეციალისტი ირაკლი ტარუაშვილი, როდესაც მან ხელიდან გამოსტაცა გერმანელი ერის უმშვენიერესი ქმნილება სუსანა კნიპერტი მის გერმანელსავე მეუღლეს, ჰერ ტეოდორ კიუნეს. XX საუკუნის დასაწყის წლებში ქართული ისტორიული ძეგლების ფოტოგრაფირებით გატაცებულ ჰერ ტეოდორ კიუნე თუ რატომ იმყოფებოდა საქართველოში ჩემთვის იდუმალებით იყო მოცული. იმ წლებში გერმანელი ფოტოხელოვანი ასრულებდა პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის დავალებებს ქართული ხელოვნების ძეგლების ფოტოგრაფირების საქმეში. ტეოდორ კიუნე მონაწილეობას იღებდა ექვთიმე თაყაიშვილის თითქმის ყოველ ექსპედიციასა და მოგზაურობაში, ფოტოსურათებში აფიქსირებდა საქართველოს ისტორიულ ძეგლებს: ეკლესი-

ებსა და მონასტრებს, ციხე-სიმაგრეთა შემორჩენილ ნაშთებს, კედლებზე დატანებულ ისტორიულ წარწერებს, საეკლესიო ხატებსა და ფრესკულ მხატვრობას და ბევრ სხვა იშვიათ მასალას.

გერმანელი ფოტოხელოვანის ტეოდორ კიუნეს უნიკალურ დამსახურებას წარმოადგენს XII საუკუნის ბოლო წლებში აფხაზეთში გადაწერილი მოქვის სახრების ფოტოასლის შესრულება 1913 წელს. ეს უნიკალური სახარება, სხვა ისტორიულ ნივთებთან ერთად, ქართული ეროვნული განძეულობის გადარჩენის მიზნით გატანილი იქნა პარიზში 1921 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით. და იმავე ექვთიმე თაყაიშვილის რუდუნებით, იოსებ სტალინის და შარლ დე გოლის უშუალო ჩარევით, ქართული საისტორიო განძი უკლებლივ დაუბრუნდა ქართველ ხალხს 1945 წელს. ტეოდორ კიუნემ ბევრი სასიკეთო გაუკეთა ქართველ ხალხს და მისდამი მხოლოდ მადლიერებით ვიმსჭვალებით ახლაც, როდესაც მოქვის სახარების ხელნაწერთან ერთად გვაქვს მის მიერ გადაღებული ფოტოასლები.

ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, XX საუკუნის ოციან წლებში ფოტოგრაფირების ეს უნაკლო სპეციალისტი ტეოდორ კიუნე მუშაობდა პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით. ამ პერიოდიდან მოყოლებული ტეოდორ კიუნეს მიერ მაღალკვალიფიციურად ფოტოგრაფირებული იქნა ქართული ხელოვნების მრავალი ძეგლი. სწორედ ამ დროიდან მეუღლის ხელშეწყობით ფოტოგრაფირებაში ხელი გაიწაფა ქალბატონმა სუსანა კნიპერტმა, რომელიც ქმარ-მასწავლებელს ტოლს არ უდებდა. ფოტოგრაფმა ქალმა დაგვიტოვა საეკლესიო კედლის მხატვრობის არა ერთი (შავ-თეთრი) ფოტორეპროდუქცია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოში პირველი ფოტოგრაფი ქალი უნდა ყოფილიყო გერმანელი სუსანა კნიპერტი.

ცოტა მოგვიანებით გერმანელმა ცოლ-ქმარმა ღამ-ღამობით ტკბილად გასატარებელ საქმეებსაც მიხედეს. და აი, 1928 წელს კიდევაც დაბადებულ დაგვიანებულად წამოწყებული საქმე. მათ შეეძინათ პირმშო ვაჟი, ზედგამოჭრილი გერმანელი კინდერი: გერმან კიუნე. რამოდენიმე ხანში არაფრისგან წარმოშობილმა ოჯახურმა დავიდარაბამ მაინც თავისი გაიტანა და ოთხი წლისაც არ იყო ბუბჰენი (მას ასე ეძახდა დედამისი), რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ცოლი და საკმაოდ ხანში შესული ქმარი დაშორდნენ ერთმანეთს. ყოფილმა ქმარმა ტეოდორ კიუნემ მშობლიურ გერმანიას მიაშურა, ხოლო მის ყოფილ ცოლსა და ვაჟიშვილს საქართველომ უსამშობლა.

გავიდა წლებით ათვლილი რაღაც პერიოდი და გამზადებულ დედაშვილს: ერთს მეუღლედ, ხოლო მეორეს მამად მოევლინა შესანიშნავი ქართველი კაცი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი ტარუაშვილი. მან ორივე გერმანელს თავისი გვარი უსახსოვრა, რითაც გადაარჩინა დედა და შვილი გადასახლებასა და დაღუპვას მეორე მსოფლიო ომის მძვინვარების პერიოდში. სუსანა ტარუაშვილმა თავის სამშობლოდ საქართველო გაიხადა და როცა დრო მოვიდა, მისივე დანაბარების თანახ-

მად ქართულ მიწას მიაბარეს. ამ მხრივ მისმა ერთადერთმა შვილმა სხვა გზა აირჩია და 90-იანი წლების დასაწყისში თავის ცოლ-შვილთან ერთად მამაპაპურ სამშობლოს მიაშურა, დიდი ხნის უნახავ ხნიერ მამას ჩაეხუტა და მის მოვლა-პატრონობაში გაატარა მამის დარჩენილი სიცოცხლის წლები.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ირაკლი ტარუაშვილი და მისი გერმანელი გერი გერმან (ბუბი) კიუნე ერთად ემსახურებოდნენ საქართველოს და ორივემ თანაბრად ისტორიული წვლილი შეიტანა ქართველი ერის სამსახურში.

ალბათ ჩემი თანამედროვეებიდან ცოტამ თუ იცის, რომ ქართველმა ქიმიკოსმა ირაკლი ტარუაშვილმა დაუღალავი შრომის შედეგად ამოიცნო ქართული მინანქრის შექმნის ისტორიული ტექნოლოგია, რომელიც XV საუკუნიდან დაკარგულად ითვლებოდა საქართველოში. ამ საქმის დაგვირგვინებაში მას წამოეხმარა ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი, რომელმაც ქართული და ევროპული წერილობით წყაროთა მასალებით მოამარაგა გულმხურვალე ქიმიკოსი. უპირველეს ყოვლისა ყურადღება მიაქციეს დიდი ქართველი მეფის (1703-1724) ვახტანგ მეექვსის (1675-1737) მიერ შექმნილ ხელნაწერ ნაშრომს: «წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა» (რომელიც ახლახან გამოიცა თბილისის უნივერსიტეტის მიერ). გარდა მასალებისა ამ შრომიდან, შალვა ამირანაშვილმა ამოკრიბა ცნობები 1070-1125 წლების პერიოდის იტალიაში მოღვაწე ბენედიქტელთა ორდენის წარმომადგენლის თეოფილე ბერის (Theofilus Presbiter) მიერ ლათინურად შექმნილი კომპილაციური ხასიათის ნაშრომიდან: «სხვადასხვა ხელოვნებათა აღწერილობა» (Schedula Diversarum Artium). ნაშრომში დაწვრილებით აღწერილია ზეთის საღებავების დამზადება და მხატვრობის ტექნიკა, მინის წარმოება და მასზე ხატვის თავისებურებები, საიუველირო საქმე, ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის დამუშავება, მელნისა და საღებავების მიღების წესები, ლითონზე ჭედვის ტექნიკა, ქურა და გამოწვის საქმე, და კიდევ ბევრი სხვა წესები.

ქართულ წყაროებზე დაყრდნობით და ლათინური წერილობითი მონაცემების გათვალისწინებით, ირაკლი ტარუაშვილმა აღადგინა მინანქრის მიღების ქართული ტექნოლოგია და ამასთან ერთად, შეიმუშავა მინანქრის მიღების ახალი წესი, რაც სახელმწიფო პატენტით იყო უზრუნველყოფილი. ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, კერძოდ XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში. მინანქრის საქმის ტარუაშვილისეული ტექნოლოგია გამორჩეული იყო მინანქრის ევროპული და ქართული ტექნოლოგიებისაგან.

1947 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება: ი. ბ. სტალინის დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიამ და ქართველმა ხალხმა, მრავალ სხვადასხვა საჩუქრებთან ერთად სახსოვრად მიართვან ი. ბ. სტალინს ოქროს ფირფიტაზე

ტიხრული მინანქრით მოვარაყებული საბჭოთა საქართველოს გერბის გამოსახულება. გერბის დამზადების საქმის ხელმძღვანელად დაინიშნა ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი. საქმის მწარმოებლად შეარჩიეს საიუველირიო და მინანქრის წარმოების უნიკალური სპეციალისტი ირაკლი ტარუაშვილი. ამ სამუშაოს შესასრულებლად მათ მიეცათ პერიოდი: 1949 წლის სექტემბრამდე.

სწორედ ამ პერიოდში, როცა მამაჩემმა მოუხშირა სტუმრობას მის მეგობარ ირაკლი ტარუაშვილთან, ხანდახან კუდივით მეც ავედევნებოდი მამას. საოცარი სილამაზის ქალბატონ სუსანას ნახვა ერთგვარ სიამოვნებას გვგვრიდა ამირანაშვილებს. ნამცხვრებით ხელდამშვენებული მამა შედიოდა კოხტად ამოყვანილ ბელეტაჟიან ერთსართულიან გასპეტაკებულ სახლში. ქართულ-გერმანულ ოჯახში დატრიალებული სუნამოსმაგვარი სურნელის ჩასუნთქვა შვებას გვაგრძნობინებდა სტუმრად მისულ მამა-შვილს და ხარბადაც ვისუნთქავდით კიდეც მათი ოჯახის წევრებისთვის განკუთვნილ სასუნთქ მათრობელას. ახლა მე წლოვანებით საუკუნის სამმეოთხედზე მეტს მოვითვლი და ჩემს ცხოვრებაში აღარსად შემისუნთქავს მოჯადოებულად მომქმედი ის ჰაერი, რაც ტარუაშვილ-კნიპერტ-კიუნეს ოჯახში სუფევდა. შესაძლებელია, რომ ეს ქალბატონ სუსანასგან იფრქვეოდა ჩვენდა შეუცნობლად. შერეული ოჯახის წევრებს მართლაც უხაროდათ შალვა ამირანაშვილის მისვლა, რადგანაც მოურიდებლად და მეტისმეტი გულახდილობით საუბრობდნენ ერთმანეთთან ამქვეყნიურ ყოფაზე, და მისგან გამოწვეულ ცხოვრებისეულ ავკარგიანობაზე.

ჩვენ, ძმებ ამირანაშვილებს მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა ქალბატონ სუსანას ერთადერთ შვილთან ტეოდორის ძე გერმან კიუნესთან. მიუხედავად იმისა, რომ იგი მაშინ ჩამოყალიბებული ახალგაზრდა იყო, ხოლო ჩვენ ბავშვობის ასაკს ჯერ არ ვიყავით აცილებული. ჩემ ძმას ტექნიკა იტაცებდა და მასთან უფრო ადვილად ნახულობდა საერთო ენას რადიო საინჟინრო სპეციალობას დაუფლებული გერმანელი მეგობარი ბუბი (დედამისი შვილს ეძახდა ბუბის, უფრო ხშირად ბუბჰენს და ჩვენც ამ სახელით ვიცნობდით მას). ჩემი ძმაც დიდ ინტერესს იჩენდა მისი სპეციალობის მიმართ და კარგადაც ითვისებდა ბუბის მონაყოლსა და მისგან გაგონილს. ელექტროობა და რადიოტექნიკა გახდა ჩემი ძმის მისწრაფება. სწორედ აქ გაამართლა მან, ორი წლის ბავშვობის დროინდელი თვითნებური ექსპერიმენტი. ერთხელ, ორი თითი ერთად და ერთდროულად შეყო «შტეპსელში» და წამოიყვირა: «დენმა შემიღრუტუნა». როცა თითებზე დავხედეთ, «შეუღრუტუნა» კი არა და მომწვარიც ჰქონდა ფრჩხილებთან ერთად. ის კი გულმოსული იდგა და ცრემლიც კი არ გადმოუგდია, მხოლოდ «შტეპსელს» უბღვერდა თავისებურად. მამას სამსახურის მანქანა «ემ-ადინ»-ი ემსახურებოდა. იმ დროს, ჩვენთან შემოსულმა მძღოლმა ბავშვის თითები რომ დაინახა, ჩავიდა, ტაოტი ამოიტანა და ორივე თითზე წაუსვა. მეორე დღეს სიდამწვრე, საერთოდ აღარ ეტყო-

ბოდა. ვგონებ, აქედან ჩაენერგა მისწრაფება ჩემს ძმას ელექტრონული დარგებისადმი.

ბუბი კიუნემ ისე შეაყვარა ბუხუს ტექნიკა, რომ მოზრდილობის პერიოდში ორი გაფუჭებული ტელევიზორიდან ააწყო ერთი, რომელიც ამუშავდა. როცა პირველად ტელევიზორი შევიძინეთ, ამის შემდეგაც ის გადაკეთებული ძველი, მუშაობით ახალს სჯობდა. ჩვენს ოჯახში ბუბის სტუმრობა ძალიან გვიხაროდა ძმებ ამირანაშვილებს. იგი სასიამოვნოდ გვიყვებოდა სხვადასხვა ამბებს, რაიმე ტექნიკა (გადამწვარი უთო, გაფუჭებული შტეპსელი, არასწორად გამომყურე ელექტროგაყვანილობა და სხვ.) თუ არ გვივარგოდა, იგი დაუზარებლად შეუდგებოდა საქმეს. მერე, ჩვენი გამრჯე ბები ასინეთი ვახშამს გვიწყობდა. ერთი უჩვეულო ჩვეულება დამამახსოვრდა ბუბისგან. როცა ჩაის სმით ვაგვირგვინებდით ვახშამს, ჩვენი გერმანელი სტუმარი კარგად მოდუღებულ, მდუღარე ჩაიში ცივ წყალს იმატებდა და ალბათ გემოსაც ატანდა ასეთნაირად გაგრილებულ სასმელს. ჩვენ კი ვაცდიდით ჩაის გაგრილებას და ისე ვსვამდით. ყოველთვის გვიკვირდა ბუბის ასეთნაირი ქცევა, მაგრამ არ ვეკითხებოდით რატომ იქცეოდა ასე. და ისიც არც გვეუბნებოდა, თუ რატომ იქცეოდა ასეთნაირად.

გადიოდა ხანი და მამამ მოუხშირა ქართველ გერმანელებთან სიარულს. უკვე 1949 წლის ბუღიანი ზაფხულის პაპანაქება დღეები იწურებოდა. ერთ საღამოს გამახსენდა ძველი ილეთი და გავედევნე ფალიაშვილის ქუჩისკენ სასეირნოდ მიმავალ მამას. ტარუაშვილების სახლის კარები გამოგვიღო ქართველი მამის გერმანელმა შვილმა. სტუმრად მისულები სიამოვნებით მიგვიპატიჟა შინ და მამას წასჩურჩულა:

— Почти готово, спустимся в подвал! აზრი შესთავაზა რუსულად ბუბჰენ კიუნემ, რომელმაც ქართულიც მშვენივრად იცოდა. ორივენი სარდაფში ჩასასვლელ კარებთან დადგნენ. მასპინძელმა გამოაღო კარი და ჯერ თითონ ჩაირბინა ბნელ სარდაფში და ჭერს ჩამოკიდებული ნათურა ხელის სწრაფი მოძრაობით შემოატრიალა ასანთებად.

— Спускайтесь, Шалва Ясонович! ცოტა ხმამაღლა მიიპატიჟა მამაჩემი. მამას ორი ნაბიჯიც ჯერ არ ჰქონდა ჩადგმული სარდაფის კიბეზე, რომ ოდნავ შეყოვნდა და მე გადმომხედა. ბუბჰენმა, შალვას გასაგონად ქვემოდან ქართულად ამომძახა:

— ჩამოდი შენც!

როგორც კი მამა სარდაფის დაფიცრულ იატაკს შეეხო, მე იმ წამსვე ჩავირბინე დამრეცი კიბე იმის შიშით, რომ შემოთავაზებული არ გადაეფიქრებინა გერმანელ მასპინძელს.

უნახავ სამყაროში აღვმოჩნდი. სარდაფის ნოტიო სურნელით აგვევსო ფილტვები მამა-შვილს. მე აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს და ხარბად აღვიქვამდი იქაურობას. უჩვეულო სანახაობა გადამეშალა თვალწინ. რაღაც დანადგარები, მაგიდაზე დაყრილი ინსტრუმენტები, თაროებზე შეწყობილი სხვადასხვა ზომის შუშის ბოთლები, ჯამებში მოთავსებული ნაირფერი ნივთიერებები, წყლიან ფიალებში გახსნილი ფე-

რები. კუთხეში მოთავსებული დიდი ზომის საცეცხლური და მასზე დამ-ხობილი კონუსური ფორმის ნასვრეტებიანი თავსახური და ალბათ ბევრი სხვაც, რის აღქმა იმ წამს ვერ მოვახერხე.

ჰერ ბუბჰენმა მაგიდას მიდგმული სკამი გამოსწია და დაჯდომა შეთა-ვაზა მამაჩემს. თითონ რის ვაივაგლახით გამოსწია მაგიდის შუა უჯრა, იქიდან ფერწასული მუყაოს კოლოფი ამოიღო და ცხვირწინ მოუთავსა შალვა იასონოვიჩს. კოლოფს თავსახური მოხადა და შიგ ჩადებული ბამ-ბაც მოაცილა თვალწარმტაც სანახაობას.

რაც არასდროს დამმართვნია, სწორედ ის დამემართა. ნამდვილად შევიგრძენი, რომ მე მიცქერდა მზით გასხიოსნებული ფორმის ბრწყინ-ვალე გამოსახულება, რომლის ნაირფეროვნებამ წარმოუდგენელი აღ-ქმით შემმბოჭა. მამა თითქოს ენაჩავარდნილი უყურებდა გასაოცარ ნა-კეთობას და იმწამიერ ვერც კი ამოიღო ხმა. ქართველი კაცის გამო-უვალი მდგომარობა ევროპული სულისკვეთებით გამსჭვალულმა ბუბ-ჰენმა დაარღვია:

— Ну что, Шалва Ясонович, Вам нравится наше изделие?

— Великолепно! მოულოდნელად წამოიყვირა შალვამ.

მართლაც შედევრი იყო მომრგვალებული ოქროს დისკო და მასზე ტიხრული მინანქრით ფერებში გამოსახული საბჭოთა საქართველოს გერბი, შექმნილი ქართველი მამის — ირაკლი ტარუაშვილისა და მისი გერმანელი შვილის — გერმან კიუნეს მიერ, ე. ი. მამა-შვილის ერთობ-ლივი მუშაობით და რუდუნებით! როგორც მოგვიანებით, ბუბჰენმა მე-დიდურად დაიკვეხნა, სამუშაოს ორ მესამედზე მეტი მე მაქვს შესრულე-ბულიო და ამიტომაც ამ საქმეს შეეწირა ჩემი თვალებიო. მან მინუს ორი ზომის სათვალეების ტარება დაიწყო, რაც უხდებოდა კიდეც.

დათქმულ დროზე, 1949 წლის სექტემბრის თვეში ტიხრული მინან-ქრით ოქროს ფილაზე შესრულებული «საბჭოთა საქართველოს გერბი» ქიმიკოსმა ირაკლი ტარუაშვილმა და ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირა-ნაშვილმა გადასცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე-ტის პირველ მდივანს, კანდიდ ჩარკვიანს და მისგან დიდი მადლობა და-იმსახურეს.

ი. სტალინის დაბადებიდან სამოცდაათი წლისთავის აღსანიშავად სა-ქართველოდან მოსკოვს გაგზავნილ საჩუქართა შორის ქიმიკოს ირაკლი ტარუაშვილის მიერ ტიხრული მინანქრით შესრულებულ ძვირფას იად-გარს ერთ-ერთი პირველი ადგლი ეჭირა.

XV

1). დამჯერი შვილი

შალვა ამირანაშვილის წიგნი «ქართული ხელოვნების ისტორია» 1944 წელს გამოქვეყნდა თბილისში. ომის შემდგომ პერიოდში მშრომელი ხალხი ჩვეულ საქმეს დაუბრუნდა და შალვა ამრანაშვილიც შეუდგა

მეორე გამოცემისათვის წიგნის მომზადებას. ნებისმიერ თავისუფალ დროს იგი იჯდა საწერ მაგიდასთან და თავჩაღუნული მუშაობდა.

— შვილო, ასე გულმოდგინედ რას წერ? დაინტერესდა დედამისი ასინეთ ჩხენკელი შვილის გარჯაზე.

— ახალი არქეოლოგიური მასალების აღმოჩენებთან დაკავშირებით, საჭიროა გადამუშავდეს წიგნი და გამოიცეს სრულყოფილად, მიუგო პიმშო ვაჟიშვილმა.

— ჩემზე კარგად იცი, რომ საქართველო იმყოფება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და სხვადასხვაეროვან ხალხთა საკომუნიკაციო ენად აღიარებულია რუსული. ქართულად ხომ გაქვს გამოქვეყნებული, ახლა უმჯობესია შენი წიგნი დაწერო რუსულ ენაზე და ხელნაწერი წაიღო მოსკოვში დასაბეჭდად, უწინასწარმეტყველა გამზრდელმა დედამ.

— მეორე გამოცემისათვის ქართულად მოსამზადებელი წიგნის ნახევარზე მეტი უკვე დაწერილი მქონდა, მითხრა მამამ. მიუხედავად ამისა, საწერი კალმისტარი მაგიდაზე დავაგდე, მოვამზადე საწერად თეთრი ფურცლები და, როგორც დედის სიტყვების დამჯერმა შვილმა, დავიწყე წიგნის დაწერა რუსულად.

და მართლაც, 1950 წელს, მოსკოვის გამომცემლობა «ისკუსსტვო»-მ პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე რუსულად გამოაქვეყნა შალვა ამირანაშვილის «ისტორია გრუზინსკოგო ისკუსსტვა». ეს თავისთავად ნიშნავდა ქართული ხელოვნების ისტორიის გაცნობას საკავშირო მასშტაბით.

2). საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოძახებით

1950 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოძახებული იქნა ხელოვნების მუზეუმის დირექტორი შალვა ამირანაშვილი. იმ წელს სრულდებოდა ოცდაათი წელი სომხეთის გასაბჭოებიდან (1920 წლის დეკემბერი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემუშავდა და მინისტრთა საბჭოში ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება: სომხეთის გასაბჭოებიდან ოცდაათი წლის აღსანიშნავად მოძმე სომეხი ხალხისთვის ეჩუქებინათ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საკუთრებაში არსებული დიდფორმატიანი მხატვრული ტილო. ამისათვის სპეციალურად შეარჩიეს ცნობილი სომეხი მხატვრის სურენ აივაზოვსკის სურათი «მეცხრე ტალღა», რომელიც წარმოადგენდა მუზეუმის ხელშეუხებელი მხატვრული ფონდის ერთ-ერთ უძვირფასეს რეგალიას.

ამ საქმის შესრულების კატეგორიულ მოწინააღმდეგედ აღსდგა ცენტრალურ კომიტეტში გამოძახებული ხელოვნების მუზეუმის დირექტორი შალვა ამირანაშვილი. მან დასაბუთებულად გადაარჩინა სურათი საქართველოდან გატანას და სამუდამო მფლობელობაში შეუნარჩუნა ქართველ ხალხს სომხური მხატვრობის ეს უნიკალური ქმნილება.

«ამის შემდეგ კარგა ხანს ველოდებოდი მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან ჩემს მოხსნას, მიამბობდა მამაჩემი, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, თვემ მომდევნო თვეც გაიყოლა, მოტრიალდა წელიც და მე ისევ ხელოვნების მუზეუმის დირექტორის თანამდებობა მეკავა. ალბათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებს გაღვიძებოდათ პატრიოტული გრძნობა ქართველი ერის საკუთრებაში არსებული სიძველეებისადმი და შესაფერისად დააფასეს კიდეც ჩემი მართებული აღტყინება».

3). «ბრძოლა» სამუზეუმო შენობისთვის

საქართველოს გასაბჭოებიდან 1950 წლამდე, თუ რა ფუნქციით იყო დატვირთული თბილისის ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობა, ჩემთვის ნამდვილად უცნობია. საკითხი, თუ რა უნდა განთავსებულიყო სასულიერო სემინარიის შენობაში, მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ კაბინეტში წყდებოდა. სწორედ ამ დაწესებულებაში ჰქონდა შეტანილი განცხადება ხელოვნების მუზეუმ «მეტეხის» დირექტორს შალვა ამირანაშვილს, რომ სასულიერო სემინარიის შენობა, სადაც XIX საუკუნის 90-იან წლებში რელიგიურ განათლებას იღებდა სოსო ჯუღაშვილი (ი. ბ. სტალინი), გადასცემოდა ხელოვნების მუზეუმს ოქრო-ვერცხლის ისტორიულ ნივთთა და მხატვრულ ტილოთა ექსპოზიციის მოსაწყობად. თავიდანვე სამხატვრო გალერეის ბაზაზე გროვდებოდა და ივსებოდა ხელოვნების მხატვრული ფონდები, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერი, მხატვარი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი შევარდნაძე (1885-1937). ფონდები გამდიდრებული იქნა საფრანგეთის მთავრობის ტყვეობიდან ე. თაყაიშვილისა (1863-1953) და შ. ამირანაშვილის (1899-1975) ერთობლივი ძალისხმევით გამოხსნილი სამუზეუმო და საეკლესიო ქართული განძეულობით. დაგროვილი სამუზეუმო მხატვრული მასალა საექსპოზიციოდ საჭიროებდა შესაბამის მაღალსტანდარტულ შენობას. იმჟამად, უქმადყოფილი სასულიერო სემინარიის შენობა საექსპერტო დასკვნით სავსებით აკმაყოფილებდა სამუზეუმო მოთხოვნილებას.

შალვა ამირანაშვილისგან ოდნავ განსხვავებით, უფრო მიზანშეწონილად ფიქრობდნენ საქართველოს კომპარტის ცენტრალურ კომიტეტში. ამ შემთხვევაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (შემოკლებით: ცეკა-მ) ქართველი ხალხისათვის გაუგონარი ინიციატივა დაისახა და შესაბამისი გადაწყვეტილება დასამტკიცებლად თავისივე ყაიდის საქართველოს უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს გადაუგზავნა. საქვეყნოდ მისაღები დადგენილებაც მალევე გამომზეურდა: «თბილისის ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობა გადაკეთდეს სასტუმროდ და დიდ დარბაზში მოთავსდეს რესტორანი». ბრწყინვალე გამოსავალი გამოინახა თბილისში მოსეირნე უცხოელი სტუმრებისა და მოქეიფე ქარ-

თველებისათვის. დადგენილებისთანავე,შესაბამისმა სამშენებლო სამსახურმა დაიწყო სამუშაოები.

ჩიტმა მიუტანა შალვას ახალი ამბავი, რომ ესა და ესაო. მოხერხებულმა შალვამ არც აცია, არც აცხელა და გაფრინდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში. მიდგა, მოდგა ყველა ინსტანციაში და ხალხი შეყარა: კულტურის სამინისტროში, ხელოვნების სამმართველოში, სხვადასხვა მუზეუმებში, სსრკ მინისტრთა საბჭოში და ბოლოს სსრკ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომ იქ სადაც იოსიფ ვისსარიონოვიჩ სტალინი იღებდა განათლებას, ქართველები სასტუმროსა და რესტორანს ხსნიანო. დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელობამ გამოიტანა დადგენილება: «ანულირებულ იქნას საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება თბილისის სასულიერო სემინარიის სასტუმრო-რესტორნად გადაკეთების შესახებ და აღნიშნულ შენობაში მოთავსდეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი».

1952 წელს დიდი ზარ-ზეიმით თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში საექპოზიციოდ გაიხსნა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც ქართველი ხალხის მადლით ცხებული ფუნქციონირებს დღესაც, და ეროვნული სულისკვეთებით გულანთებული ქართველი ხალხის წყალობით თავის მარადიულობას დაიცავს ყოველთვის.

4). ბინა ვაკეში

1951 წელს დავტოვეთ ჩვენი ბავშვობის თვალწარმტაცი უბანი «ზემელი» და საცხოვრებლად თბილისშივე, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის გვერდითი ფასადის პირდაპირ მდებარე ოთხსართულიან სახლში გადავედით, არქიტექტორ ნიკალაი პავლოვიჩ სევეროვის ნაცხოვრებ ბინაში. იმ სახლში შესანიშნავი მეზობლები დაგვხვდა: შალვა დადიანი, ნოდარ დუმბაძე, ერისთავების ოჯახი, სოსო დობორჯგინიძე, ალექსანდრე ნარიმანაშვილი, ოტო, რომელსაც «გროტევოლს» ვეძახსით და გურამი (მათი გვარები აღარ მახსოვს), სიკო ნაცვლიშვილი, ნიკოლოზ სოლტიში. ჩვენი სახლის ეზოს მხარეს, ხეხილიანი ეზოთი და უშველებელი თუთის ხით დამშვენებული საკუთარი სახლი ჰქონდა დეიდა მართას (იმ დეიდა მართას, რომელიც ნოდარ დუმბაძემ «კუკარაჩა»-ში აღწერა). წყნეთელი მემაწვნეები ვირებს აბამდნენ მართას ეზოში და მაწვნის გასაყიდად ქალაქის შუაგულში ფეხით დადიოდნენ, რადგანაც რომელიღაც წლიდან ვირებით შუაქალაქში სეირნობა აეკრძალათ წყნეთელებს, კოჯრელებს და თბილისში რძე-მაწვნის გასაყიდათ ყოველ ჩამომსვლელს.

ახალგაზრდობის მომენტებიდან დამამახსოვრდა ის, რომ ახალი ტანსაცმელი გვიყიდეს. ერთ დღეს ამ ტანსაცმლით გამოგვაწყვეს კიდეც, რადგან სადღაც სტუმრად მივყავდით. სანამ ბები და მამა სახლიდან გამოეტეოდნენ, მე და ჩემი ძმა ახალ ტანსაცმელში გამოწყობილები სახლისპირა შიდა ეზოში გავედით, სადაც ჩვენზე მოზრდილები ფეხბურთით

ერთობდნენ. მათ ერთხანს გვიყურეს, მერე გადაუჩურჩულეს ერთმანეთს და მოგვიახლოვდნენ. იქვე ეზოში იდგა წყლით სავსე ჟანგმოდებული დიდი კასრი (ე.წ. «ბოჩკა»). რიგრიგობით მოგვკიდეს ხელი და ყელამდე ჩაგვსვეს წყლიან კასრში ორივე და სიცილი დაგვაყარეს აკადემიკოსის შვილებს. ძლივს ამოვბობღდით და გასაწურად შინ დავბრუნდით.

5). გადასასვლელზე უნივერსიტეტთან (მეგობარ ლია კოტაშვილის მონაყოლის გახსენება)

ლექციების შემდეგ უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან გამოსულმა შალვა ამირანაშვილმა, თეთრი საღებავით მონიშნულ «ზებრა» გადასასვლელზე სამანქანო გზის გადაკვეთა დაიწყო (მაშინ მიწისქვეშა გადასასვლელი არ არსებობდა). ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან დაიწყო გადმოსვლა მშვენიერი შესახედაობის ქალმა, რომელიც თავმომწონედ და ტანის ყველა ნაკვთების ნარნარი რხევით შალვას მოპირდაპირედ ქუჩას გადმოდიოდა. ცოცხალი ხელოვნებით გატაცებულმა შალვამ თვალი შეავლო არაჩვეულებრივ სილამაზეს, მოულოდნელად ზედ ტრამვაის ლიანდაგებზე შეჩერდა (მაშინ ვაკეში ტრამვაი დადიოდა) და მოძრავ არსებას გაშტერებით მიაჩერდა ქალის უნახავივით. თვალწარმტაცობით მოცული და სახეზე შეფენილი ოდნავი ღიმილით, ასევე მომენტალურად აღძრული დაუოკებელი სურვილით და ოდნავი ჩაღიმებით დაუწყო თვალის გაყოლება ზებუნებრივი ნარნარით მოძრავ ქმნილებას.

ბატონი შალვა აღნაგობით მხარბეჭიანი და ორ მეტრამდე კაცი იყო და ყოველივე ზედმეტობის გარეშეც რომ ვთქვათ, უნივერსიტეტისწინა ვიწრო ქუჩაზე (დღევანდელთან შედარებით) ტრანსპორტის მოძრაობა თითქმის შეაჩერა. მანქანებმა წრიპინით დაამუხრუჭეს, გაჩერებიდან ახლადდაძრული ტრამვაიც მაშინვე შეჩერდა და ერთიანად ატყდა დასიგნალებისა და დაპიპინების წყვეტილ-წყვეტილი ზუმერი. მძღოლებს თავი გადმოეყოთ მანქანის კარებს ჩატანებული ფანჯრებიდან და თვალმოუშორებლივ შესცქეროდნენ ბუნებრივად წარმოშობილ წარმტაც სცენას და სასიამოვნოდ იღიმებოდნენ. შალვა ქუჩის ხმაურს ვერ გრძნობდა, გაუნძრევლად იდგა და მოუშორებლივ აყოლებდა თვალს მოძრავ არსებას, რომლის კაბას მიტმასნული სხეულის ნაკვთებიც ნაზად ირხეოდნენ. სანამ მთლიანად არ გადაიარა გადასასვლელი და არ ავიდა შემაღლებულ ტროტუარზე, ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი გაშეშებული იდგა და მეტისმეტად გრძნობდა მოძრავი ხელოვნებიდან გამომკრთალ სიამოვნებას.

შემდეგ ამქვეყნად გაცოცხლებული შალვა თითქმის ბარბაცით შემოტრიალდა და, თითქოს არაფერი მომხდარიყო, ტკბილი გრძნობებით შეპყრობილმა განაგრძო ქუჩის გადაკვეთა.

ახმაურდა ტრანსპორტი. მძღოლებიც და ვატმანიც გულიანად იღიმებოდნენ და ნელი სვლით შორდებოდნენ წარმოუდგენელ სანახაობას.

XVI

1). ნაღდი კაცი: ბაბქენ ხორეგიან

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ახლოს, ნიკო მარის ქუჩისა (ახლა: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი) და ბაზალეთის ქუჩის (ახლაც ბაზალეთის ქუჩა) კუთხეში, უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის აშენდა საცხოვრებელი სახლი. შენობის პირველი სართულის კუთხეში გახსნეს პურ-ფუნთუშეულის მაღაზია, ხოლო ფასადის მხარეს მოათავსეს მამაკაცთა ტანსაცმლის სამკერვალო. როგორც პურ-ფუნთუშეულის მაღაზია, ისე სამკერვალო, დაარსების დღიდანვე გადაიქცნენ ვაკელთათვის მეტად საჭირო ობიექტებად. პურის მაღაზია ყოველდღიური ცხოვრების ფერხულში ჩადგა, ხოლო კოსტუმების სამკერვალომ დაივალა საყოფაცხოვრებო დანიშნულების მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება: ვაკელ სწავლულ-განათლებულთა და პროფესორ-მასწავლებელთა უზრუნველყოფა ჩაცმა-დახურვით. ეს იყო ის დრო, როცა კაპიტალისტურ სამყაროდან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში სახელმწიფოს მიერ რაიმე ტანსაცმლის შემოტანაზე და გაყიდვაზე, ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

ვაკელთაგან ვისაც ხალხში გამოსასვლელად ტანზე კოხტად მორგებული კოსტუმი ჭირდებოდა, თვალი ეჭირათ სწორედ ამ სამკერვალოსკენ და გულიც მიუწევდათ ფულადი სახსრების შესაბამისად. იღლიაში ამოდებული საკოსტუმე «ატრეზ»-ით სამკერვალოში მისულ ყოველ «კლიენტს» შესასვლელშივე მომღიმარი სახით და გაბრწყინებული თვალებით ხვდებოდა ვაკელთათვის ცნობილი თერძი ანუ მკერავი, იმდროისთვის უშესანიშნავესი «ზაკროიშჩიკი» ბაბქენ ხორეგიანი. აუცილებლად ხელისჩამორთმევით მიეგებებოდა პირველად მისულ კლიენტს და რომ არ დაკარგვოდა, გამომცნაურებისთანავე ლაზათიან საუბარს გაუბამდა. თავისი საქმის დიდოსტატი ბაბქენ ხორეგიანი მეტად სასიამოვნოდ გამოიყურებოდა და ყოველთვის კოხტად იყო გამოწყობილი მისივე ხელით შეკერილ კოსტუმში. გარეგნობით სიმპათიური კაცი იყო, საშუალოზე ოდნავ მაღალი, მცირედ ანუ შესამჩნევადაც შესუქებული, საჭიროებისდამიხედვით მომღიმარე, გრამატიკულად კარგად მოლაპარაკე ქართულით, დაკისრებული მოვალეობის შესანიშნავად შემსრულებელი. ქართულად ნათქვამ წინადადებებში სომხურ სიტყვებსაც მოხდენილად ამატებდა. მკერავებად სომხები ჰყავდა მოწვეული, რატომღაც ამ საქმეში ქართველებს არ ენდობოდა. სამკერვალოს ერთ მხარეს პიჯაკის მკერავები შრომობდნენ, მეორე მხარეს შარვლების სპეციალისტები ირჯებოდნენ, შესასვლელთან ახლო კუთხეში მექუდესაც ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ჩვენში რომ ვთქათ, საქმე აწყობილი ჰქონდა აჟურად.

მასთან პირველად მოხვედრილი კლიენტის სახე და განსაკუთრებით სახელი თქმისთანავე ერთიანად ამახსოვრდებოდა პატივცემულ ბაბქენს. ასე რომ ახალგაცნობილი პიროვნების სახელისა და გამომეტყველების ათვისებაში ფენომენალური უნარი გააჩნდა პატივცემულ თერძს.

ამასთან ერთად, მასთან ვინც ხშირად იკერავდა კოსტუმს, მისი ზომებიც ზეპირად იცოდა. ხოლო ვისაც პირველად უღებდა ზომებს, სულ ერთიანად იმახსოვრებდა სანტიმეტრებს და შემდეგ ერთრიგად იწერდა. ერთ-ორ წელიწადში ისე გაითქვა სახელი უბნის მკერავმა, რომ მთელი ვაკის თითქმის ყოველი მამაკაცი, მის მიერ შეკერილი კოსტუმით დადიოდა. კლიენტურთაგან, მომდურავი არავინ ყოლია. კოსტიუმებს კერავდა ზედმიწევნით კარგად, იმ დროისთვის ახალ მოდაზე და რაც შეიძლება სწრაფად.

ბაბქენ ხორეგიანის სათქმელი ზეპირსიტყვიერება კლიენტურას კარგად ჰქონდა დამახსოვრებული:

«შენ, პრიმერკაზე მოხვალ... (დაფიქრდებოდა), ხვალ არა, ზეგ!»

«შენ, კი... (ისევ დაფიქრდებოდა), ზეგ არა, მაზეგ».

სამ დღეში კოსტუმი იყო მზად. ჰქონდა მომენტები, როცა დილით მიტანილი მატერიიდან, საღამოს, მზა კოსტუმს ახვედრებდა კლიენტს.

როგორც ყველა ვაკელი, ისე მამაჩემიც, ბაბქენ ხორეგიანის ხშირი სტუმარი იყო. როგორც ყოველი ვაკელი, მამაჩემიც მეგობრობდა ოქრო კაც ბაბქენთან.

სამკერვალოში შესულ შალვა ამირანაშვილს კარებშივე ღიმილით ხვდებოდა საქვეყნოდ ცნობილი თერძი ბაბქენ ხორეგიანი. მათი საუბარი ისე წარიმართებოდა, რომ არ მოგესმინა, არ დაიჯერებდი.

ერთხელაც სამკერვალომდე საკოსტუმე ნაჭრის მიტანაში მივეხმარე მამას. სამკერვალოს კარების შეღებისთანავე შალვა ამირანაშვილს თავაზიანად მიეგება მომღიმარი სახის ბაბქენ ხორეგიანი და დაზეპირებული სიტყვებით მიესალმა:

«ბატონ შალვას გაუმარჯოს!» და დააყოლა: «ვონც ეს, შალვა ჯან!» შალვას ღიმილი გადაევლო სახეზე და ხელი ჩამოართვა თერძს. ბაბქენმა მეორე ხელს გახედა ალმაცერად და ისიც ცარიელი რომ დაინახა, გაკვირვებულმა შეეკითხა კლიენტს:

«ჩემმა მზემ, შენი ნახვა გამიხარდა, მაგრამ «მატერიალ» მოიტანე? შეეკითხა და თვალებში ახედა შალვა ამირანაშვილს. შალვამ მე გადმომხედა. მე საჩქაროდ საკოსტუმე ნაჭერს მასზე გადაკრული ქაღალდი მოვაცალე და, მკერავის ფართე და მოგრძო მაგიდის კუთხეში მოვათავსე.

«შენი შვილია?» შეეკითხა შალვას, რომელმაც თავის დაქნევით დაუდასტურა ნათქვამი. ბაბქენი მომესალმა და ღიმილის დაყოლებაც არ დაეანანა ჩემთვის.

ბაბქენმა ჩვეული მოძრაობით საკოსტუმე ნაჭერი მაგიდაზე გაშალა, მერე შალვას მიაჩერდა და შეუქო «მატერიალი».

«ვა, კარგია აი, ჩემმა მზემ, სად იშოვე?» შეეკითხა მკერავი.

«მაჩუქეს!» დარცხვენით მიუგო შალვამ მის მიერ ნაყიდ «მატერიალზე».

«შენ გაიხარე, ეგეთი ხალხი კიდევ არსებობს?» მელასავით ჩამოეღიმა ბაბქენს და მატერიის აზომვა დაიწყო. «ტრი სოროკ არის» წარმოთქვა დანანებით, «ძნელია, მაგრამ აქედან შენთვის კოსტუმს გამოვიყვან.

ვაბშჩე, რას გეტყვი ჩემო შალვა, შემდეგში რომ გაჩუქებენ მატერიალს, უთხარი, რომ ტრი სემდესიატ გაჩუქონ. ნოქარი ისე ოსტატურად ჭიმავს მატერიალს, ვერც კი შეატყობ, ნაკლებს რომ გატანს. ასკანუმეს? შალვა ჯან!»

ქართულ წინადადებაში ბაბქენ ხორეგიანის მიერ ყოველ გარეულ სომხურ სიტყვაზე, შალვას გულიანად ეღიმებოდა.

ამას წინათ რომ შაგიკერე კოსტუმი, კარგა მაგრად მოსუქებული იყავი, ის ზომები ზეპირად მახსოვს, მააშ, დაუბოლოოვა კახურადაც. ეხლა გიყურებ და ძალიან ნაკლები ჩანხარ; რა, აღარ გაჭმევენ საჭმელს? შეეკითხა მორიდებით, თან მეტრნახევრიანი სანტიმეტრი ჯიბიდან ამოაცურა და მხარზე გადაიგდო.

«ყოველ დილით, ადრიანად, უნივერსიტეტის ბაღში დავრბივარ, ასე ვთქვათ, ვვარჯიშობ», ძლივს ამოღერღა შალვამ.

— ვაა, ეგ რა კარგ რამეს აკეთებ, რომ ივარჯიშებ, იქვე ლექციებსაც კითხულობ, აგიწყვია საქმე და ეგ არი, მალე სპორტსმენიც გახდები, პროფესორს შეუქო ნათქვამი ბაბქენმა. ჩემი ვარჯიში კი, სამკერვალოში რომ მოვდივარ და აქედან სახლში რომ ვბრუნდები, ეგ არი რა. თქვა და მართლაც გულიანად გაიცინა.

ბაბქენმა შალვას აზომვა დაიწყო, თან სანტიმეტრს უყურებდა და ციფრებს იმახსოვრებდა. წელის გაზომვა რომ დაიწყო, მეტრნახევრიანი სანტიმეტრი აღარ ეყო და მე მითხრა: «აქ თითი დააჭირე» და იმ ადგილიდან განაგრძო გაზომვა იმავე სანტიმეტრით. რომ დაამთავრა, შალვას მოსცილდა და შორიდან შეათვალიერა. «შალვა ჯან, ეხლა კოხტად გამოიყურები, მაგრამ შენი მოტანილი მატერიალიდან დვუხბორტნი არ გამოვა. ადნაბორტნის შავკერავ. ხომ იცი თვალი მიჭრის, დამიჯერე».

«თუ თვალი გიჭრის, რა გაეწყობა, შეკერე როგორც გაგიხარდება, აბა შენ იცი», დაეთანხმა შალვა.

«კანეშნა ვიცი», ჩამოართვა სიტყვა ბაბქენმა და თავმომწონედ ახედა შალვას. შემდეგ განაგრძო:

«შალვა ჯან, ერთი მორიდებული ვაპროსი მაქვს. შარვალს უბე უნდა გავუკეთო და მითხარი, ინსტრუმენტს საით მხარეს ატარებ, მარჯვნივ თუ მარცხნივ?

შალვას ყურებამდე გაეცინა და დიდხანს უცქერდა ტუჩებგახსნილი.

«სანამ შენ ატვეტს იტყვი, მე თითონ ვნახავ, საითაც ატარებ. ისე წესია მარცხნივ ატარო, რომ იმის დროს მარჯვენა ხელით რომ გამაიღო. ბაბქენმა შალვას ხელი შეუყო ფეხებშუა და უნებურად წამოიყვირა:

«მალადეც, კაცი შენ ყოფილხარ, ცავატანემ»! «ეხლა მისმინე, შალვა ჯან, შარვალს ისე შაგიკერავ, როგოც წესი, ინსტრუმენტის უბეს მარცხნივ გავუკეთებ შენს შარვალს. ჩაცმის დროს, ეგ ინსტრუმენტი მარჯვნივ არ გადაგივარდეს, თორემ შარვლის მარჯვენა ტოტს ძალიან დაეტყობა». უთხრა და სხვის გასაგონად ხმამაღლა დაუმატა: «ვოტ პანიმაიუ, მუჟჩინა!!!» «ვააბშჩე, მოდი ყურში გეტყვი, მაგრამ რასაც გეტყვი ალბათ, შენ ჩემზე კარგად იცი. ქალები მაგით აფასებენ კაცებს. კარგი

შესახედაობის კაციაო, რომ ამბობენ ქალები, იმას გულისხმობენ, რაც შარვალში გაქვს», ეუბნებოდა და მისსავე თქმულ სიტყვებზე თითონაც კარგად ხითხითებდა ოქრო კაცი ბაბქენი.

გაღიმებული ბაბქენის ნათქვამ სიტყვებს, შალვას სიცილის ხმაც ემატებოდა და უნისონში გადმოცემული შესანიშნავი ქართულ-სომხური დუეტი მართლაც სასიამოვნო მოსასმენი იყო.

კოსტუმი თუ ჩქარა გინდა, შავკერავ ჩქარა, თუ არ გეჩქარება, ისე იყოს როგორც შენ გაგიხარდება. პრიმერკაზე მოხვალ? თუმცა, რად გინდა პრიმერკა, შენი ყველა ზომა ზეპირად ვიცი. «დრუსტ ხოსუმემ ელი», თუ სეკრეტი არ არის, ალბათ ვსტრეჩზე წახვალ ახალ კოსტუმში! სადა, ჩვენ რომ ვიცით, იქა, თუ მთავრობაში? თუ ჩემთან ადრე გამოივლი, პრიმერკა გექნება და თუ ცოტა გვიან, შაკერილ კოსტუმს ჩაგაცმევ. მოკლედ, როგორც გსურდეს, ისე მოიქეცი...

* * *

«ვაა, რა ზუსტად მოხვედი შალვა ჯან, გაიხედე, შენი შარვალ-პიჯაკი ყველაზე განიერ პლეჩიკებზე ჰკიდია. ბაბქენმა გრძელი კაუჭბოლოიანი ჯოხის მარჯვე მოძრაობით კედელზე მიჭედილი ლურსმნიდან კოსტიუმი ჩამოხსნა, პიჯაკი დაიხელთავა და შალვას უთხრა: «აბა, ხელები გაუყარე!»

«გაუმარჯოს, ბაბქენს!» ეე, რა კარგად შამიკერავს, შენ აზრობ, შალვა ჯან; სარკეში ნახე, პიჯაკი რა კოხტად გაზის! აბა, ხელი მკლავში მოხარე ისე თითქოს ფურცელზე სტატიას წერ, აქაც ვმერუ ხალვათად გაქვს, ვობშჩემ კარგი პიჯაკია, ელი, შარვალს გაზომვა არ უნდა, სახლში პირდაპირ ჩაიცმევ, ისიც კარგად გექნება!

«ძმურად, ერთ რამეს გეტყვი, შალვა ჯან, უნივერსიტეტის ბაღში დილაობით ხომ დარბიხარ, ეგრე ირბინე, რომ არ მოიმატო წონაში. თუ დაგეზარება და აღარ ივარჯიშებ, ერთ თვეში ისევ ჩემთან მოხვალ! თქვა და ჩაიცინა ბაბქენმა. არ გეწყინოს, ერთ რამესაც დავუმატებ, რომ მოხვალ ოთხ მეტრა მატერიალ მოიტან, რომ შენთვის ერთი კარგი ხინკალა ქუდიც შავკერო.

შალვამ მის ტანზე მორგებული ახალი პიჯაკი აღარ გაიძრო. ძველი პიჯაკის ჯიბეებიდან რაღაცეები ახალში გადმოალაგა. ბაბქენმა ძველი პიჯაკი და ახალი შარვალი ცალკ-ცალკე გაახვია სუფთა ქაღალდში და მე გადმომცა. შალვამ მორიდებული მოძრაობით საფოსტო კონვერტით ფული გადასცა. ბაბკენმა ღიმილდაყოლებით მადლობა გადაუხადა და ფულს თვალი შეავლო. «არა, შალვა ჯან, არა, აქ ორჯერ მეტია! ზედმეტის ამღები კაცი არა ვარ! ჩვენში ეგეთი რამეები არ მოდის».

«შენ კარგად იყავი», უპასუხა შალვამ.

«თუ ეგრეა, მაშინ შემდეგი კოსტუმის შაკერვის ფულს აღარ გამოგართმევ, ასკანუმეს? ზნაჩიტ შევთანხმდით? შალვა ჯან»! დამორცხვით უთხრა ბაბქენამ.

«კანეშნა»! პასუხად ძლივს ამოღერღა შალვამ.

კიდევ ერთ რამეს გეტყვი და გაგიშვებ, წააწია სიტყვა გასასვლელისკენ მიმავალ შალვას.

«საერთოდ, აკადემიკოსი კაცი ხარ და ყოველნაირი კოსტუმი უნდა გქონდეს, ზიმნი და ლეტნი, ვესენნიც და ოსენნიც! ზაფხულობით შესანიშნავია ჩეჩუნჩის კიტელიც; ისე ვკერავ, ჩაცმით დაიხატები! მაგრამ რას იზამ, რა გაეწყობა! შენი მონაყოლი რომ ვიცი, რამდენი ვინმე გაზის თავზე! ყველა შენი შესანახია, ოჯახის ხალხი, ნათესავები, და თუგინდ სხვებიც, და ინახავ კიდეც! ბარევ, ცავა ტანემ!

მართლაც, საოცარი პიროვნება იყო ბაბქენ ხორეგიანი, და მომდურავიც არავინ ჰყავდა! მართლაც ნაღდი კაცი იყო ვაკელებისათვის ყოვლად დასაფასებელი და ყველას მეგობარი ბაბქენ ხორეგიანი!

2). დასამახსოვრებელი შეხვედრა

მე და ჩემი ძმა მერვე თუ მეცხრე კლასელები ვიყავით, როცა სადღაც დღეობაზე მიგვიპატიჟეს. აუცილებელი იყო საჩუქრად რაიმე კარგი ნივთი წაგვეღო. დასაფინანსებლად თხოვნით მივმართეთ მამას.

საჩუქრის საყიდლად ჩვენ მიერ მოთხოვნილი არც თუ ისე დიდი თანხა იმ მომენტისათვის მამას ჯიბეზე არ აღმოაჩნდა. მაშინვე გაახსენდა, რომ სწორედ იმ დღეს, როცა ჩვენ ფული ვთხოვეთ, წავყოლოდით მას მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც წოდებისთვის გამოყოფილი თანხის დარიგება იმ დღეს დაეწყოთ. და იქვე, რუსთაველის გამზირის დასაწყისში მდებარე უნივერმაღში შევიძენდით სასურველ ნივთს საჩუქრისთვის.

სამივენი ერთად, მამის მანქანით გავემგზავრეთ მეცნიერებათა აკადემიაში, რომელიც იმ დროს ძერჟინსკის ქუჩაზე (ახლა პავლე ინგოროყვას ქუჩა) სამსართულიან სახლში იყო მოთავსებული. ფართე კიბეებით ავიარეთ სამივე სართული, გავიარეთ მოგრძო დერეფანი და მივადექით ხუთი თუ ექვს საფეხურიან ხის კიბეს, რომელიც გისოსებიან სარკმელთან ბოლოვდებოდა.

«თქვენ აქ დამიცადეთ» გვითხრა მამამ და დერეფნის ერთ-ერთ ფანჯრისკენ მიგვანიშნა. თითონ კი ხის კიბის სახელურს ჩაეჭიდა და ფეხი კიბეზე შედგა ასასვლელად. აიხედა ზემოთ და იმ წამსვე, კიბეზე შედგმული ფეხი ისევ იატაკზე ჩამოდგა, მოცილდა კიბეებს და თავაზიანი მოძრაობით გზა დაუთმო კიბეზე ჩამომსვლელ ხანში შესულ პიროვნებას. უნებურად შევხედე კიბეებზე ჩამომსვლელ ადამიანს, რომლის მომცრო ტანს სიმპათიური პირსახე ამშვენებდა. განსაკუთრებულ გამომსახველობას მატებდა მრავლისმეტყველი მაღალი შუბლი და ცოცხლივ მოძრავი თვალები, კეფაზე გადავარცხნილი სითეთრეში გადასული თმა და ასევე ვერცხლისფრად მოელვარე გულმკერდს შეფენილი განუყრელი წვერი. ამ ადამიანს შესანიშნავად ეტყობოდა მასში დავანებული ძლიერი სული, რომელიც განვლილი წლებში დაგროვილი მეცნიერული და

ცხოვრებისეული გამოცდილებით იყო აღსავსე. მისი გამომეტყველებითი სიძლიერის აღქმის გამო მისდამი პატივისცემა დამეუფლა ძალაუნებურად და მოკრძალებით ვუყურებდი ჩემთვის ჯერ უცნობ ადამიანს. კიბეებზე ჩამომავალი როგორც კი ფეხით იატაკს შეეხო და თავი ოდნავ ზემოთ ასწია, მაშინვე გავიგონე მამაჩემის ბარიტონული ხმა:

— Здравствуйте, Георгий Николаевич! მიესალმა მამაჩემი ჩემთვის უცნობ პიროვნებას, მაგრამ სწრაფად აღვიქვი, რომ მისი და მისი მამის სახელები დიდი ხანი იყო რაც ჩემი და ჩემი ძმისთვის კარგად ნაცნობ სიტყვებს წარმოადგენდნენ.

— Здравствуйте, Шалва Ясонович! ბარხატულში გარდამავალი ტენორული ხმით, ოდნავი წაღიმებით და გარკვევით წარმოთქვა სიტყვები პიროვნებამ, რომლის გვარიც შესანიშნავად ვიცოდით შალვა ამირანაშვილის მთელმა ოჯახმა. აზროვნების წამიერი გაელვებით წარმომესახა ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ევროპული განათლების მქონე ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც დემოკრატიული საქართველოს დაფუძნების წელს ხელოვნების ისტორიის კურსს უკითხავდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტ შალვა ამირანაშვილს. საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი გიორგი ჩუბინაშვილი ხელოვნების ისტორიის სპეციალისტად ამზადებდა სტუდენტ შალვა ამირანაშვილს. და აი მაშინ, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ მეცნიერული კვლევებით დალოცვილ აკადემიის შენობაში. შალვამ მორიდებით გაუმხილა ბატონ გიორგის:

«Георгий Николаевич, познакомтесь пожалуйста, эти двое, мои сыновья!» უთხრა და ფანჯრისკენ, რომლის რაფასთან ჩვენ ვიდექით, გაახედა გიორგი ჩუბინაშვილი.

ბატონი გიორგი მოგვიახლოვდა, ჯერ მე ჩამომართვა ხელი და მითხრა: «გეორგ ნიკალაიჩ», შემდეგ იქვე მდგარ ჩემს ძმას ჩამოართვა ხელი და მასაც უთხრა: «გეორგ ნიკალაიჩ». ჩვენ კი, თითქოს დამნაშავეები, ხმაამოუღებლივ ვიდექით და ვერც კი წარმოვთქვით ჩვენი ძნელად წარმოსათქმელი სახელები. ერთხანს გვიყურა, შემდეგ მამაჩვენს მიუბრუნდა და ნიშნისმოგებით მიმართა:

— Шалва Ясонович! произведения естественного искусства у вас получились гораздо лучше, чем «История грузинского искусства» ეს სიტყვები განსაკუთრებული აღფრთოვანებით წარმოთქვა ბატონმა გიორგი ჩუბინაშვილმა, როგორც ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში შესატანი ფრთაშესხმული ფრაზა. ორივე მეცნიერმა, როგორც ლექტორმა, ისე მისმა ყოფილმა სტუდენტმა უნისონში გულიანად გადაიხარხარეს.

ამაღლებულ ნოტზე, შესანიშნავ ხასიათზე მოსული გიორგი ჩუბინაშილი გამოგვემშვიდობა ამირანაშვილებს და მეტისმეტად კმაყოფილი, აკადემიის გასასვლელისკენ გამართულ მოგრძო დერეფანს გაუყვა. მამამ თვალი გააყოლა ბატონ გიორგის და ოდნავ ჩაიღიმა. ტუჩთა მოძრაობა იმ წამსვე შევუმჩნიე მას და მაშინვე დავეკითხე: «მამ, რას იღიმები?»

— ეს არის ერთადერთი რამ, რაც გიორგი ჩუბინაშვილს მოეწონა ჩემი გაკეთებული, მიპასუხა თავმომწონედ.

3). ჭიდაობა უნივერსიტეტისწინა ეზოში

გასული საუკუნის შუა წლები ისე წაეწყო, რომ შალვა ამირანაშვილი ხელოვნების ისტორიის კურსს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში.

ერთხელ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, რომელიც სტუდენტობასთან ერთად მძიმე წონით კატეგორიაში პირველთანრიგოსანი მოჭიდავე ახალგაზრდა იყო, მოსულიყო უნივერსიტეტში მეგობრის სანახავად, რომელსაც წინასწარი დათქმით დილის ლექციების დამთავრებისთანავე უნდა შეხვედროდა რაღაც გადაუდებელი საქმის მოსაგვარებლად. შუადღე კარგა გადასული იყო, რომ დილის ლექციებით გულმოჯერებულმა ლექტორებმა და სტუდენტებმა ერთდროულად დაიწყეს გამოსვლა უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან. ცოდნით დატვირთულმა სტუდენტებმა, რომელთაც აღარსად არღარ ეჩქარებოდათ, ზლაზვნით შეავსეს მოწითალო აგურის ფხვნილით მოფენილი უნივერსიტეტისწინა მოგრძო ეზო. უნივესიტეტელი ახალგაზრდა და მისი მეგობარი სამხატვრო აკადემიიდან ზუსტად მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს, როცა უნივერსიტეტის შესასვლელ-გამოსასვლელ ჩარჩოში ჩაიხატა დილის ლექციების კითხვით დაღლილ-დაქანცული შალვა ამირანაშვილი. მაშინ იგი ზორბად წარმოსადეგი შეხედულების იყო და თანაც ასოც კილოგრამზე მეტს იწონიდა; მართალია, შუახანს მიღწეული, მაგრამ ორ მეტრამდე სიმაღლის მხარბეჭიანი მამაკაცი იყო. ლექციების ჩატარებიდან ვალმოხდილი ლექტორი, თითქოს დილის საქმეებისგან განთავისუფლებული და ერთობ კმაყოფილიც, დაეშვა უნივერსიტეტისწინა მოასფალტებულ თავდაღმართზე. იმ დროს უკვე მისი გონება დღის მეორე ნახევარში შესასრულებელი საქმეებით იტვირთებოდა. მოდიოდა თავჩაღუნული და ოდნავ ჩაფიქრებით, თითქოს სიარულში ისვენებდა კიდეც.

სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა მოჭიდავემ და მისმა მეგობარმა დოცენტმა ოდნავ წასაუბრებისას თვალი შეავლეს უნივერსიტეტისწინა მოასფალტებულ თავდაღმართზე ზანტად მოძრავ შალვა ამირანაშვილს.

დოცენტს, ერთი ბრწყინვალე აზრი ჩაეჭედა თავში და მიმართა მოჭიდავე მეგობარს:

— შენ, თუ შალვა ამირანაშვილს წააქცევ, კარგ პურმარილს ვკისრულობ აქვე, რესტორან «საქართველოში».

— უხერხულია, რა სისულელეს მელაპარაკები, მიუგო მოჭიდავე მეგობარმა და დააყოლა: თუმცა ერთ წონით კატეგორიაში უნდა ვიყოთ ორივე.

— ჰოდა, თუ ეგრეც არის, არ გინდა ქეიფი? წაეკიდა დოცენტი.

— ვერ გამიგია შენი ახირება, რად გინდა ამდენ ხალხში შეურაცხყოფა

მივაყენო დიდებულ ადამიანს, საუკეთესო ქართველს? უარობდა მოჭიდავე.

— ჰმ, დედალი ყოფილხარ! მეგობარს დაუწუნა სიმართლე დოცენტმა.

ამ სიტყვებზე გულმოსული და ნირშეცვლილი მოჭიდავე გაემართა შალვა ამირანაშვილისკენ. ამასობაში შალვას გამოევლო თავდაღმართიანი ასფალტი და ფეხი შეედგა წითელი აგურის ქვიშით დაფარულ მონაკვეთისვის.

— გამაჯობა, ბატონო შალვა! ხელისჩამორთმევით მისალმებისთანავე მოჭიდავე ორივე ხელით მკლავებში ჩაეჭიდა შალვას.

— გაგიმარჯოს! მიესალმა შალვა თავის სტუდენტს სამხატვროდან და ბრგედ ჩაფსკვნილი ახალგაზრდის უცნაური ქცევით ერთობ შემცბარმა, გაურკვევლად ჩახედა მას თვალებში.

— უნდა გეჭიდაოთ, ბატონო შალვა, ნიძლავი მაქვს მოსაგები! განუმარტა ჩაბღაუჭებულმა.

შალვას ხუმრობა ეგონა და ნელ-ნელა აჰყვა ახალგაზრდის ხელთა მოძრაობას. იგი ხან ერთ მხარეს გადააქანებდა შალვას, ხან მეორე მხარეს. შალვა არ უძალიანდებოდა მისი ხელების მოძრაობას. ამასობაში ორი ადამიანის უცნაურ საქციელს ძალაუნებურად ყურადღება მიაქციეს უნივერსიტეტიდან გამოსულმა პროფესორ-მასწავლებლებმა და განსაკუთრებით სტუდენტობამ. გაკვირვებულები «რა ხდებაო», უნებლიე ცნობიერებით შემოკრება დაიწყეს მოჭიდავეების გარშემო. სამხატვრო აკადემიის მოჭიდავე-სუდენტი თავისას არ იშლიდა და რაც შეიძლება ნელი მოძრაობით ილეთის გაკეთება დაიწყო, რომ არაფერი ტკენოდა შალვას და ისე წამოეწვინა იგი გულაღმა. როგორც ეს შემდეგ მამაჩემმა შალვამ მომიყვა, მას იმ წამსვე გაუფიქრია: «ე, ბიჭო, მაქცევსო!» და რაც შეიძლება სწრაფად ნახევრადწაქცეულმა შალვამ ხელ-ფეხის სხარტი მოძრაობით საჭიდაო კონტრილეთი გაუკეთა მოწინააღმდეგს. ახალგაზრდა მოჭიდავე არ მოელოდა შალვასგან ასეთ მოქმედებას, ერთი მოწყვეტით უეცრად ავარდა ჰაერში და ბეჭებით დაენარცხა წითელქვიშა დედამიწას. სიმწრის ოფლმა გადაურბინა მოჭიდავეს და სირცხვილით გამოწვეულმა ალმურმა სახე მთლიანად დაუფარა. სეირის საყურებლად მათ გარშემო შეგროვილი ლექტორები და სტუდენტები აჟრიალდნენ. შალვას მიმართ გამამხნევებელი შეძახილები, ასევე სიცილი და ტაშის ხმაც გაისმა. დარცხვენილი და გაცეცხლებული მოჭიდავე სწრაფად წამოვარდა და ისევ დაეძგერა შალვას. ატყდა ერთმანეთისადმი მოურიდებელი ხელჩართული ბრძოლა. გარშემორტყმულმა ხალხმა ერთიანად იხუვლა და იმ წამსვე გააშველეს ერთმანეთს დაძგერებული მოწინააღმდეგეები. შემდეგ შეარიგეს ისინი. მოჭიდავემ გაუღიმა შალვას და უთხრა:

— ბატონო შალვა! ჩემი მოსაგები ნიძლავი თქვენ მოიგეთ. გთხოვთ, ჩვენთან ერთად წამობრძანდეთ რესტორანში. კიდევ ერთი შეკითხვა

მაქვს თქვენთან. «კი მაგრამ, სად ისწავლეთ ეს უცნაური კონტრილეთი?»

— რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორის დროს ფოთის გიმნაზიაში სწავლისას ჭიდაობის სექციაში დავდიოდი, მიუგო შალვა ამირანაშვილმა, და კარგი წარმატებებიც მქონდა, დაუმატა დაუყოვნებლივ.

— რომ მცოდნოდა თქვენი ბიოგრაფიის ეგ ფურცელი, არ დავენიძლავებოდი ჩემს მეგობარს, რომელთანაც ნიძლავი წავაგე. ახლა მასპინძლობა მე უნდა გაგიწიოთ ორივეს. უთხრა, ხელი გადახვია და სამივემ გასწია სასტუმტო «საქართველოს» რესტორნისკენ.

ჩვენ კი იმ დღესაც, როგორც ყოველდღე, სადილად ველოდით შალვას, უიმისოდ არ ვსხდებოდით სუფრასთან. ისე მოხდა, რომ იმ დღეს, ოჯახის თავკაცის გარეშე აღარც ვისადილეთ. მამა კი გვიან საღამოს გამოგვეცხადა, კარგად ნაზარხოშევი და ნაპურმარილევი.

4). გამოცდები სამხატვრო აკადემიაში (მეგობარ თამაზ ნატროშვილის ნაამბობი)

ქართული ხელოვნების ისტორიაში ჩასატარებელი გამოცდების წინ თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი შეხვდა შალვა ამირანაშვილს და მორიდებით თხოვა:

— ბატონო შალვა, რაც თქვენ ლექციებს კითხულობთ აკადემიაში, გამოცდებზე მხოლოდ ფრიად და კარგ ნიშნებზე დაბლა არც ერთი სტუდენტის ცოდნა არ შეგიფასებიათ. მაქვს ინფორმაცია, რომ სტუდენტები გიცდენენ ლექციებს, ზოგიც საერთოდ არც კი გესწრებათ და უცოდინარები მოდიან გამოცდაზე. თქვენ კი მათ მაღალი ნიშნებით აფასებთ. ჩემი თხოვნაა, ცოდნის შესაბამისად შეაფასოთ ისინი.

დირექტივით დატვირთული შალვა ამირანაშვილი გამოეთხოვა რექტორს და აუდიტორიაში შევიდა გამოცდების მისაღებად. გამოცდაზე შესული სტუდენტები ხუთიანებით და ოთხიანებით დამშვენებული მატრიკულებით გამოდიოდნენ გამოცდებიდან. ბოლოს წამოდგა შალვა ამირანაშვილი, გამოაღო აუდიტოიის კარი, გაიხედა დერეფნისკენ და დაიძახა:

— დარჩა ვინმე გამოსაცდელი?

— ჩვენ ორნი დავრჩით, უპასუხა ორთაგან ერთ-ერთმა. ისინი პირველად ხედავდნენ შალვა ამირანაშვილს და შალვა ამირანაშვილი პირველად ხედავდა მათ.

— შემობრძანდით! კატეგორიული ხმით მიმართა გამომცდელმა ორივე სტუდენტს და ისინიც ფეხაკრეფით შევიდნენ აუდიტორიაში.

— როგორ გნებავთ, პირდაპირ დაგისვათ შეკითხვები თუ საგამოცდო ბილეთებს აიღებთ?

— ჩვენთვის სულერთია! თითქმის უნისონში წარმოთქვა ორივემ.

— ჰმ! გაიკვირვა გამომცდელმა და დასაზუსტებლად მაინც შეეკითხა:

— თუ იცით რა საგნის ჩასაბარებლად მოხვედით?

ორივემ ზუსტი პასუხი გასცა.

— მაშ თუ ასეა, პირდაპირ დაგისვამთ შეკითხვებს.

— თქვენ, მიმართა ერთ-ერთ მათგანს გამომცდელმა, მიბრძანეთ, დავით გარეჯის უდაბნოს კედლის მხატვრობის შესახებ; თქვენ კი, მიმართა მეორეს, რას იტყვით განვითარებული ფეოდალური ეპოქის ქართული ხელოვნების შესახებ.

ჩვენ პირები ოდნავ დავაღეთ და გაკვირვებით ვუყურებდით ხელოვნების ისტორიის მცოდნე შალვა ამირანაშვილს. გამომცდელმა ცოტა ხანს გვაცადა პირდაღებულებს და შემდეგ თითქმის წამოიყვირა:

— ორივეს ორები! გადით გარეთ!

ჩვენ მაშინვე შევუსრულეთ ბრძანება გამომცდელს და გამოვიძურწეთ ხმაამოუღებლივ.

კარებთანვე შემოგვეხვივნენ თანაკურსელები შეძახილებით: «ხუთიანები თუ ოთხიანები»?

— ორები მივიღეთ, ვუპაუხეთ ორივემ ოდნავი ჩაღიმებით.

— ბატონი შალვა სამიანსაც კი არ წერს, და თქვენ ორივემ როგორ მოახერხეთ ორიანების მიღება? ჩაგვაცივდა ერთი თანაკურსელთაგანი.

შალვა ამირანაშვილის მიერ დაწერილი ორიანების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ სამხატვრო აკადემიას და რექტორის ყურამდეც მისულა, რომელიც ამის გამო მეტად კმაყოფილი დარჩენილა. იმ დღეს აკადემიაში დაძრული საინტერესო ჩოჩქოლიც დიდხანს გაგრძელებულა.

შალვა გამოსულა აუდიტორიიდან, შეხვედრია ოროსან სტუდენტებს და უთქვამს, მეორე დღეს თერთმეტ საათზე მისულიყვნენ მასთან.

მეორე დღის თერთმეტ საათზე მასთან მისულ ოროსან სტუდენტებისათვის ოთხიანები გაეფორმებინა უწყისში და მოუბოდიშებია მათთან, რომ ორიანების შემდეგ ხუთიანების დაწერის უფლება არ ჰქონია. ოროსანი სტუდენტებისთვის, როგორ ერთ, ისე მეორესთვის თავისი წიგნი «ქართული ხელოვნების ისტორია» საჩუქრად გადაუცია და გამოურთმევია პირობა, რომ ისწავლიდნენ და მომავალი წლის ამავე დროს ხუთიანებზე ჩააბარებდნენ.

5). გამოცდები უნივერსიტეტში

რომელიღააც წელს, შალვა ამირანაშვილი ისტორიის ფაკულტეტზე გამოცდას იბარებდა ხელოვნების ისტორიაში. გამოცდები უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ფაკულტეტის დეკანი შევიდა შალვასთან და ყურთან რაღაც წაუჩურჩულა. შალვამ გაუღიმა და უთხრა: «შემოვიდესო». გამოცდის ჩასაბარებლად შემოვიდა თბილისის «დინამოს» ფეხბურთელი მეკარე სერგო კოტრიკაძე, რომელიც ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების მესამე კურსის სტუდენტი იყო. შალვას ესიამოვნა ფეხბურთელის დანახვა, რაღაც საინტერესო გაიხსენა და გამოესაუბრა სტუდენტ-ფეხბურთელს.

— ერთხელ კულტურის სამინისტრომ ერთი ბილეთი მაჩუქა თბილისის «დინამოსა» და ინდოეთის ერთ-ერთი კლუბის ფეხბურთის გუნდის შეხვედრაზე დასასწრებად. ბილეთი შევთავაზე ჩემს ორ ვაჟიშვილთაგან ერთ-ერთს. მათ ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ, თუ ვინ წავიდოდა ფეხბურთზე. ძმები გავაშველე იმით, რომ მე გადავწყვიტე წასვლა და პირველად ჩემს სიცოცხლეში ვეწვიე სტადიონს. მინდორზე ერთად გამოვიდნენ: ინდოელი და ქართველი ფეხბურთელები, რომელთაც ფეხზე წამოდგომით და ტაშის გრიალით მივესალმეთ. თბილისის «დინამოს» ამშვენებდა შემართულად გამომყურე ბრგე ვაჟკაცები, გამოწყობილები ცისფერ მაისურებსა და ლურჯ ტრუსებში, შიპებიან ბუცებსა და მუხლსქვემოთ ხის ფილებით შემოწყობილი გეტრებით. ინდოელი ფეხბურთელები მინდორზე გამოვიდნენ შავ ფორმებში და სრულიად ფეხშიშვლები, რომელთა დანახვაზე შევცბით მაყურებლები, ერთიანად გაურკვევლობა დაგვეუფლა ყველას და სინანულის გრძნობაც გამოიწვია მათმა სპორტულმა ჩაცმულობამ.

გაისმა საბჭოთა კავშირის ჰიმნის ხმა. სტადიონი წამოიზლაზნა და ფეხზე დავდექით. მერე შეასრულეს საქართველოს ჰიმნი, შემდეგ კი ინდოეთის ჰიმნიც მოგვესმა, ველოდებოდით გუჯარათის შტატის ჰიმნსაც, მაგრამ ჩვენთან სტუმრად ჩამოსულ ფეხბურთელებს თურმე არ წამოეღოთ ნოტები და ამიტომ ვეღარ აჟღერდა მათი შტატის ჰიმნი. ბოლოს შეწყდა ჰიმნობანა, და, როგორც იქნა, მიწევ-მოწევით ყველა ჩავეტიეთ სამად გადებულ მოგრძო ფიცრებზე. მსაჯმა შემოავლო თვალი სტადიონს და ღონივრად ჩაჰბერა სასტვენს.

თამაში დაიწყო. დინამოელები ერიდებოდნენ ფეხშიშველა ინდოელ ფეხბურთელებთან ახლო თამაშს, რომ შემთხვევით არ დაჯახოდნენ მათ, ან ბუციანი ტერფი მოულოდნელად არ დაედგათ მათთვის ფეხზე. თამაშობდნენ ერთმანეთთან პასებით, ისე რომ მოწინააღმდეგე ინდოელები უბურთოდ დარბოდნენ წინ და უკან. რამოდენიმე ხანიც და მასპინძელთა მოულოდნელად ბურთი თითონვე შეგორდა ინდოელთა კარში. პირველ გოლს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამეც. პირველი ტაიმი რომ დამთავრდა, ტაბლოზე ხუთით ნული იყო აღნიშნული ციფრებით. ინდოელთა საცოდაობით ვიწვოდი, მეტი ვეღარ გავუძელი, ავდექი და პირველი ტაიმის დამთავრებისთანავე თავჩაქინდრუნული გამოვედი სტადიონიდან და გამოვემართე სახლისკენ. დაამთავრა თავის სათქმელი შალვა-გამომცდელმა რომელსაც სიამოვნებით უსმენდა სტუდენტი-ფეხბურთელი.

— ის თამაში ცხრით ორი მოვიგეთ! დაიტრაბახა გამოცდაზე მოსულმა სერგო კოტრიკაძემ.

— ძალიან კი გივაჟკაციათ! შეუქო ნათქვამი ხელოვნებათმცოდნემ და დააყოლა:

— კი მაგრამ, ორი ბურთი როგორ-ღა გაუშვით?

დირექტივა იყო ზემოდან ერთ ბურთი რომ გაგვეშვა, ხოლო მეორე, მოდუნებულ მცველთა დაუდევრობის გამო, მართლაც გაგვიტანეს. მე-

ორე გოლი ისე გაუხარდათ, თითქოს თამაში მათ მოეგოთ, აუხსნა სტუდენტმა ლექტორს.

ასეც ხდება, დაუდასტურა შალვამ და თან დააყოლა, თქვენ თამაშზეც მსმენია. ხელოვნების თვალსაზრისით თურმე კოხტა მოძრაობით იჭერთ ბურთს. ჩემი ოცნებაა და მგონი მთელი საქართველოც ამას ნატრობს, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდეთ ოდესმე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა კი რუსებთან ომის მოგებას ნიშნავს!

— მაგასაც მივაღწევთ მალე! ანუგეშა შალვა, სერგო კოტრიკაძემ.

— ღმერთმა მოგხედოთ, ხმადაბლა ჩაილაპარაკა შალვამ.

— მატრიკული გააქვთ? შეეკითხა გამომცდელი.

სერგო კოტრიკაძემ მატრიკული გაუწოდა და თავაზიანად წარმოთქვა:

— ინებეთ, ბატონო შალვა!

შალვამ მატრიკული გადაფურცლა, სათვალეების ზემოდან ახედა ფეხბურთელ სტუდენტს, ოდნავ ჩაიღიმა და ნიშანი ჩაწერა. მატრიკული დახურა და ხელის სწრაფი მოძრაობით კოტრიკაძისაგან კარგა მოშორებით და მაღლა, ე. წ. «დევიატკა»-ში ისროლა მატრიკული.

სტუდენტი-მეკარე კოტრიკაძე არ ელოდა პროფესორ-გამომცდელის ასეთ უცნაურ საქციელს, წამსვე მასში ინსტიქტმა იმარჯვა, ოდნავ გვერდით გადაქანდა და ორივე ხელით მატრიკული «ცხრიანი»-დან ჩამოხსნა.

შალვამ მოუწონა სპორტული მოძრაობა სერგოს და სახე ღიმილით გაებადრა. გულში უხაროდა გამომცდელს, რომ სპორტული ხელოვნების შესაფასებლად მატრიკულში ჩაწერილი ნიშანი მართლაც რომ გაუმართლა კოტრიკაძემ. თბილისის «დინამო»-ს მეკარე კმაყოფილი იყო გამომცდელის ამ დაუჯერებელი საქციელით და გულიანად უღიმოდა შალვა ამირანაშვილს.

გმადლობთ, ბატონო შალვა! დარცხვენით გადაუხადა მადლობა სერგო კოტრიკაძემ და ძალაუნებურად მატრიკული გადაშალა. ისევ ოდნავ გაუღიმა გამომცდელს და დანანებით განუცხადა:

— ბატონო შალვა! რატომ გამიფუჭეთ მატრიკული?

— თბილისის «დინამო»-ში თქვენი გოლკიპერობა სპორტული ხელოვნებაა, რომელსაც თქვენ ფრიადზე ასრულებთ და შეფასებაც ასეთივე დაიმსახურეთ! განუმარტა გამომცდელმა.

— ყველა საგანში მიწერია დამაკმაყოფილებელი და თქვენც ასეთივე ნიშანი უნდა ჩაგეწერათ ჩემთვის. ახლა კი თქვენ მიერ ჩაწერილმა ფრიადმა «გამიფუჭა» მატრიკული. ამასთანავე, თქვენი შეფასება მავალდებულებს რომ ხელოვნების ისტორია მართლადაც ვისწავლო. პირობას გაძლევთ, რომ ასეც მოვიქცევი, შეპირდა სტუდენტი ლექტორს.

გამომშვიდობებისას შალვა ამირანაშვილმა გაუღიმა ფეხბურთელ სერგო კოტრიკაძეს და მამაშვილურად ჩაეხუტა.

6). მამის სათხოვარი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის III კურსზე, სადაც შალვა ამირანაშვილის მეორე ვაჟიშვილი ჯუანშერი იყო სტუდენტად, ერთი სემესტრის განმავლობაში შალვა ამირანაშვილი ატარებდა ლექციებს ხელოვნების ისტორიაში.

ერთხელ, რატომღაც სტუდენტი ჯუანშერ ამირანაშვილი ვერ დაესწრო მამის ლექციას და ეს რომ შეამჩნიეს თანაკურსელებმა, სუყველა ერთიანად გაიკრიფა აუდიტორიიდან. ლექტორ შალვას ცარიელი აუდიტორია შერჩა თვალებში. ასეთი ვითარება გამეორდა.

ლექტორმა შალვა ამირანაშვილმა დეკანატში დაიბარა სტუდენტი ჯუანშერ ამირანაშვილი და თხოვა, რომ აღარ გაეცდინა ლექციები ხელოვნების ისტორიაში.

7). ცემა-ტყეპა ცკ-ას მისაღებში

ერთი ნათესავის თხოვნით შალვას დედა ასინეთ ჩხენკელი, რაღაც საქმის ჩასაწყობად მივიდა თავის შვილიშვილ ირაკლი ჯაფარიძესთან, რომელიც მუშაობდა რეფერენტად საქართველოს კომპარტიის პირველ მდივან ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძესთან.

ორშაბათი დღე იყო და ცკ-ას მისაღებში საკმაოზე მეტი მომსვლელი უცდიდა მასპინძლობას. ცოტა ხანში ცკ-ას თანამშრომელი ირაკლი ჯაფარიძე ჩამოვიდა მისაღებში და მიესალმა დაუპატიჟებელ ბებიას. სანამ ბებია ასინეთი სათქმელს ეტყოდა შვილიშვილს, ირაკლიმ დაასწრო და მორიდებული ტონით მიმართა მას: «აქ არავინ გაიგოს, რომ მე შალვა ამირანაშვილის დიშვილი ვარ!». ამ სიტყვების მოსმენისთანავე წამოენთო ბებიამისი ასინეთი და მოურიდებელი ხმამაღალი ტონით შეჰყვირა შვილიშვილ ირაკლის: «რა, უკადრისობ შალვას და თაკილობ მის დიშვილობას» სწრაფად მიახალა სიტყვები და «აი შენ, აი შენ» შეძახილით, ჯერ ხელისგულით ერთ მხარეს გაულაწუნა სილა ამოვსებულ ლოყაზე ქრისტიანმა ბებიამ და შემდეგ იმავე ხელის შებრუნებული მტევნით, როგორც იტყვიან ხელუკუღმა, მეორე ლოყაც დაუზიანა ცკ-ას თანამშრომელს.

რამოდენიმე თვეში ირაკლი ჯაფარიძე გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

XVII

1). სტუმრად ლენინგრადში აკადემიკოს იოსიფ აბგაროვიჩ ორბელთან

სტუდენტობის პერიოდში, ზამთრის არდადეგების დაწყებისთანავე, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი

ძირითადად მოსკოვში, და ლენინგრადშიც მივფრინავდით დროს გასატარებლად.

რუსეთის ძველ და ახალ დედაქალაქებში მხიარულობის მოყვარულებს, და მათ შორის ჩვენც, ძმებ ამირანაშვილებს, ამ ტრადიციადქცეული რიტუალისთვის არ გვიღალატია არც 1957 წლის ზამთარს. გასამგზავრებლად მომზადებული ძმების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მამამ გამოგვიცხადა: «თქვენთან ერთად მეც მოვდივარო» და გვთხოვა მატარებლით გვემგზავრა, რის გამოც ორ დღეს სუფთად ვკარგავდით. ჩვენ მაინც დავყაბულდით მამის ამ მოულოდნელ მიპატიჟებას.

მოსკოვისკენ საღამო ჟამს დაძრული მატარებელი დილით უკვე შავი ზღვის სანაპიროს მიჰყვებოდა. ჯერ კიდევ თენდებოდა, რომ კუპეში გამოგვეცხადა ჩემი ძმის ძმაკაცი, ჩვენი თანაკურსელი, გამომეტყველებით მელასავით მომღიმარი პირსახისა და შესახედაობით ჩაფსკვნილდაკუნთული ანზორ მაისურაძე. სამივე ამირანაშვილს გულახდილად გაგვიხარდა მისი დანახვა, რადგანაც ჩემს ძმასთან ძმაკაცობის გარდა, ის ჩვენი ოჯახის სასურველი სტუმარი იყო და როგორც შინ ჩვენთან, ისე გარეთაც, ხშირად ერთად გაგვიტეხავს ღვთისნიერი პური. მატარებელში მოულოდნელად მოვლენილი სტუმარი კუპეშივე მივიპატიჟეთ სასაუზმოდ. შემდეგ ვაგონ-რესტორანშიც ვისადილეთ ერთად. მეორე დღეც ამგვარი რეჟიმით წარიმართა და მოსკოვში ჩასვლისთანავე, გამოვემშვიდობეთ ოჯახის მეგობარს. საღამოს კი, მამის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ღამის ჩქაროსნული «სტრელა» მატარებლით გავემგზავრეთ ლენინგრადში.

მომეტებულად ცივი, ლენინგრადული ზამთრის სისხამ დილას მატარებლიდან გადმოსულებს ცხვირები აგვევსო დამპალი ფოთლების სურნელებით გაჟღენთილი ჰაერით, რომელიც სახის ოდნავი დამანჭვით ძალაუნებურად შეგვესუნთქა. მოდი და, ნუ შეისუნთქავ! მიუჩვეველ ადაპტციას გავდიოდით, რომ სამივემ ერთად თვალნათლივ დავინახეთ მომღიმარი სახით ჩვენკენ მომავალი ჩვენი ოჯახის მეგობარი ანზორ მაისურაძე. ჩვენ ცოტაოდენ გაგვიკვირდა მისი დანახვა რუსეთის ძველ დედაქალაქში, რადგანაც, როგორც ჩვენ ვიცოდით, იგი მოსკოვში რჩებოდა. მისალმებისთანავე მან ვაგზლისპირად მდებარე სასტუმრო «ოკტიაბრსკაიას» მიაშურა, ჩვენ კი მანქანით გავემგზავრეთ მამის მეგობარ ლეონიდ ანტონოვიჩ მაცულევიჩის ბინაზე, სადაც სტუმრად ვიყავით მიპატიჟებულნი. მანქანის დაორთქლილ შუშებში ტროტუარს მიტმასნული სახლები არ ჩანდა. მძღოლს უხაროდა ქართველთა სტუმრობა და მის ყოველ შეკითხვას მამა ეპასუხებოდა. ცოტაოდენი პაუზის შემდეგ მამამ ჩვენ მოგვმართა ანზორ მაისურაძეზე: «არ მომწონს ეგ ბიჭი». ჩვენ აინუშიაც არ ჩავაგდეთ მამის სიტყვები და ვერც კი გავიგეთ, თუ რატომ გვითხრა ასეთნაირად. მანქანა დანიშნულ ადგილას შეჩერდა.

ლენინგრადელმა მასპინძლებმა ნიკოლოზის დროიდან მოყვითალოდ შეფერილ ძველებური სტილის სახლის ერთ-ერთი ბინის ფართო ოთახში მოგვათავსეს სამივენი. წამსვე ცხელი ჩაის დასალევად სამზა-

რეულოში მიგვიპატიჟა გაუჩერებლივ მოლაპარაკე დიასახლისმა. შემდეგ კი მამაჩვენის რჩევით, იქვე მაღაზიიდან სადილისთვის საჭირო, ჩვენთვის კი გაუგებარი სანოვაგე ამოვიტანე და შუადღე ოდნავ გადასულს, თითქმის უგემურად ვისადილეთ ქართველებმა.

მამის მეგობარი, სპეციალობით არქეოლოგი, ასევე ანტიკური და ბიზანტიური ხელოვნების სპეციალისტი იყო. ჩვენ, ძმები ამირანაშვილები, დიდი ინტერესით ვათვალიერებდით მასპინძელი მეცნიერის კაბინეტის შუშიან თაროებში მწყობრად განლაგებულ უნიკალურ წიგნებს. ერთმანეთთან მოსაუბრე მეგობრებს არ გამოპარვიათ ხელოვნების ისტორიის ლიტერატურით ჩვენი დაინტერესება და ხანდახან სიამოვნებით გადმოგვხედავდნენ ძმებს.

კარგად დაღლილ-დაქანცულებს გვიან საღამოს მიგვეძინა კიდეც ჩვენთვის შეთავაზებულ მოურგებელ საწოლებში.

თითქმის დანაშაულის ტოლფასია, იყო ლენინგრადში (ანუ პეტერბურგში) და არ ესტუმრო მუზეუმ ერმიტაჟს. ამიტომ მეორე დღეს, ორიგინალური ფერწერული მხატვრობით მოფენილ კედლებს შევცქეროდით და არც თუ ისე ხშირად გაუგებარი შთაბეჭდილებით ვიტვირთებოდით. ჩვენთან იყო ჩვენი ოჯახის მეგობარი ანზორ მაისურაძეც, რომელიც დროდადრო, საგამოფენო დარბაზის ცარიელ სავარძელს მოურიდებლად ავსებდა და თითქმის წამოწოლილი «ტკბებოდა» ევროპული შედევრებით. დღის ოთხი საათი იქნებოდა, რომ ოთხივე გამოვედით ერმიტაჟიდან და უკვე ლამპიონებით გაჩახჩახებულ ნევის პროსპექტზე ფეხით გავისეირნეთ სუსხიან ზამთარში, თითქმის სირბილით მიმომსვლელთა შორის. შემდეგ, ჩვენებური დროით, ე. ი. საღამო-ხანს, ვისადილეთ სასტუმრო «ასტორია»-ს რესტორანში, სადაც ახალგაზრდებს მეორე დღის გეგმა გაგვაცნო მამა-შალვამ.

დილით დათქმულ ადგილას შევიკრიბეთ ძმები და მეგობარი ანზორ მაისურაძე. მამას ტაქსი გამოეძახა და მანქანაში რომ მოვთავსდით, შალვამ უთხრა მძღოლს: პეტერგოფი. ამ დროს ანზორმა იუარა პეტერგოფში წამოსვლა, მოიმიზეზა, ბევრჯერ ვყოფილვარო და თანაც ზაფხულშიც, გვითხრა ერთგვარი მორიდებით და მობოდიშებით გადმოვიდა მანქანიდან. მანქანა დაიძრა პეტერგოფის მიმართულებით. საკმაო მანძილი რომ გავიარეთ, მამის ხმა შემოგვესმა, რომელმაც მიმართა მძღოლს: «Я передумал. Едемте в Эрмитаж!». მძროლმა შემოატრიალა მანქანა და ერმიტაჟისკენ გზას დაადგა.

ერმიტაჟს რომ მივუახლოვდით, მამამ ისევ მიმართა მძღოლს: «Остановите машину у служебного входа, пожалуйста!». მანქანიდან გადმოსული ძმები ერთხანს შევყოვნდით, სანამ მამა გადმოვიდოდა მანქანიდან.

ცირკში გაკეთებულ ილეთს თუ მიამსგავსებდა შალვას გადმოსვლას მანქანიდან. კარების გაღებისთანავე ჯერ მარჯვენა ფეხს გადმოდგამდა და ცოტაოდენ კარებისკენ გამოიწეოდა. მარრჯენა ხელს მანქანის ღია კარებს დაავლებდა ზემოდან და წამოდგომას იწყებდა. ამ დროს მისი შლიაპა (ზაფხულობით) ან ბოხოხი ქუდი (ზამთრობით) მანქანის სახუ-

რავს ედებოდა და ვარდნას იწყებდა. ცალი ფეხით ასფალტს მოჭიდებული, უკვე მის თავს სანახევროდ მოცილებულ ქუდს მარცხენა ხელის სწრაფი მოძრაობით იჭერდა და მანქანიდან გამოყოფილ თავზე ოსტატურად ათავსებდა. შემდეგ, იწყებდა წამოდგომას და ასორმოცდაათამდე კილოგრამი წონისაგან განთავისუფლებული მანქანა თითქოს შვებით ამოისუნთქავდა და ასფალტამდე ღრმად ჩაწეული თავის პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდებოდა. ლენინგრადის იმ სუსხიან დღესაც მანქანიდან გადმოსვლისას, ჩვეული ილეთები ბატონმა შალვამ უშეცდომოდ შეასრულა.

მამის ილეთებს შემყურე შვილებმა, ძვალსა და რბილში გამჭოლი ზამთრის სუსხი მომეტებულად ვიგრძენით. როგორც იქნა, სამივე ქართველი გამთბარი ჰაერით გავსებულ ერმიტაჟის მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილ შესასვლელში შევცვივდით. თეატრში ფოიეში გვეგონა თავი, რადგანაც «გარდერობი» დავინახეთ. მამამ პალტოების გახდა გვთხოვა, თითონ კი კედელზე მიკრულ ტელეფონთან მივიდა და ნომრის აკრეფა დაიწყო. ხურდა ფულით გავივსე მარჯვენა ხელისგული და ჩამოსართმევად ხელი გავუწოდე გარდერობშჩიკს. გაკვირვებულმა, ისე შემომხედა, თითქოს მისი ძველი ნაცნობი ვყოფილიყავი. «Здравствуйте»-ს შეპასუხებით ხელი ჩამომართვა და «спасибо»-ს დაყოლებით ხურდა ჩაიჩხრიალა ჯიბეში. ჩემი პალტო ხელის ერთ გაწვდენაზე ჩამოკიდა. ძმის პალტოც ჩემ პალტოს მიაკიდა და გვითხრა: «Вы из Грузии? Я бывал в Тбилиси, еще до войны!». ჩვენ გვესიამოვნა, რომ ჩვენში ქართველები ამოიცნო. მამის პალტოც იქვე ახლოს ჩამოკიდა და დიდი მოწიწებით ნომერი გადასცა სასიამოვნო სტუმარს.

ცოტა ხანში მამა და 1934-1951 წლებში ერმიტაჟის დირექტორი იოსიფ აბგაროვიჩ ორბელი მისალმებისთანავე გადაეხვივნენ და ლოყებით შეეხნენ ერთმანეთს. (როგორც დიდი ენათმეცნიერის ნ. ი. მარის მიმდევარი და მეგობარი, ასევე მისი მეცნიერული კონცეფციის გამზიარებელი, ი. ა. ორბელი 1951 წელს გაათავისუფლეს ერმიტაჟის დირექტორობიდან. როდესაც მას ასეთი «განაჩენი» გამოუტანეს, მან ყველას გასაგონად წარმოთქვა: «На черном хлебе и воде я пережил блокаду Ленинграда, переживу и это унижение!».

არც თუ ისე დიდი ტანის, მაგრამ სიმპათიური შესახედაობისა და ძლიერი გამომეტყველებით აღსავსე შესანიშნავი მოხუცი, ძმებ ამირანაშვილებს ხელის ჩამორთმევით გაგვეცნო და სამივეს გვთხოვა გავყოლოდით. ერმიტაჟის მხატვრულ ლაბირინთებში არც თუ ისე დიდი ხნის სიარულის შემდეგ, იოსიფ აბგარიჩმა შეაღო მუხის მოჩუქურთმებული ფართო კარი და მარმარილოს კიბეებით თავქვე დავეშვით მცირე სარდაფებით მოფენილ ბნელ ქვედა სართულზე. იოსიფ აბგარიჩმა ხელის ჩვეული მოძრაობით ჩართო ჩამრაზი (ქართველებისთვის უფრო გასაგები დასახელებით: «რუბიკნიკი») და აქა-იქ ჭერს მიბჯენილმა ნათურებმა მკრთალი სინათლით შეავსეს სივრცე. სარდაფის კედლები შეფენილი იყო ჭერქვეშა კარნიზზე გამოკიდული შავი ფარდებით. ჩვენი

გზამკვლევი ერთ-ერთ კუთხეში მივიდა და ხელის მძლავრი მოძრაობით თოკზე გამობმული უშველებელი ფარდა გადასწია.

— ოი, საოცრებავ! თავშეუკავებლივ და მშობლიურ ენაზე თითქმის წამოიყვირა მამაჩვენმა შალვამ და მეგზურს მიმართა:

— Откуда они здесь?

— ჰმ, დაინტერესდით, ჩემო შალვა! ქართულად შეაშველა სიტყვა ერმიტაჟის ყოფილმა დირექტორმა (ი. ა. ორბელი დაიბადა და აღიზარდა ქუთაისში).

განცვიფრებულ ძმებ ამირანაშვილებს თვალწინ გადაგვეშალა ქვის მონოლითებზე ამოკვეთილი მხატვრული სიუჟეტები, რომლებიც ჭეშმარიტად ისტორიულ წარსულს ღაღადებდნენ. ჩვენდა გასაკვირად, რელიეფური ქანდაკებით შეზავებული მონოლითები საგულდაგულოდ იყო დახერხილი. ქვაში ნაკვეთი მხატვრული რეალობის მთლიანობა აკურატულად იყო დანაწევრებული მოგრძო ოთხკუთხედებად. დახერხილ ნაწილები თითო-ოროლა რუსული ასოებით და არაბული ციფრებით იყო მონიშნული თეთრი საღებავით. დაყოფილ მხატვრულ რელიეფებზე დანაწილებულად მოჩანდნენ მოძრაობაში აღბეჭდილ ადამიანთა სხეულის ნაწილები. ერთ მთლიანობაში მათი აღქმა და წარმოდგენა შეუძლებელი იყო.

— Это, части распиленного Алтаря из древнего города Пергама, всемирно известного строительного произведения искусства эллинистического периода, გულღიად და გაღიმებული სახით აგვიხსნა სარდაფის სტუმრებს ი. ა. ორბელმა. შემდეგ, მისთვის ჩვეული აკადემიური სიდინჯით განაგრძო: «Как известно, Пергамский музей был открыт в Берлине, задолго до Второй мировой войны. По окончании войны, в конце 1945 года, наряду с другими ценными трофейными реликвиями, из Германии в Советский Союз был вивезен и Пергамский алтарь, который разместили в хранилищах Пушкинского музея в Москве и Государственного Эрмитажа в Ленинграде. Общеизвестно, что еще при жизни И. В. Сталина, Советским Правительством было вынесено Постановление о создании 'Музея Победы' на основе трофейного материала. Однако, после смерти И. В. Сталина, Первый секретарь ЦК КПСС Никита Сергеевич Хрущёв принял решение о возвращении трофейных ценностей немецкому народу. Возвращению подлежит и Пергамский Алтарь, в музей в Восточном Берлине. Это произойдёт в ближайшие месяцы. Я думаю, Н. С. Хрущёв против создания Музея Победы, который фактически будет Музеем Сталина. К тому же, уже есть приказ об упаковке музейных ценностей, привезённых из Германии.»

ვათვალიერებდით პერგამონის სამსხვერპლოს დახერხილ ნაწილებს, მაგრამ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში შექმნილი ძეგლის ერთ მთლიანობაში წარმოდგენაზე და საერთო შთაბეჭდილებაზე ზედმეტი იყო საუბარიც კი.

ჩვენ გამოვედით ერმიტაჟიდან და მივედით მასპინძელ ლ. ა. მაცულევიჩთან, სადაც სადილად ვიყავით მიპატიჟებულნი. ლინტონიჩმა (როგორც მას შემოკლებით ეძახდნენ და ჩვენც ასე მივმართავდით) პუშკი-

ნის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლზე ბილეთები დაგვახვედრა. საღამო მეტად სასიამოვნოდ გავატარეთ. ვნახეთ თბილისელი რეჟისორის ა. ტოვსტონოგოვის მიერ დადგმული სპექტაკლი «ოპტიმისტური ტრაგედია», რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, როგორც საბჭოთა ყაიდაზე აღზრდილ ახალგაზრდებზე.

პერგამონის სამსხვერპლოსთან დაკავშირებით უნდა გავიხსენო, რომ 1982 წლის მაისის თვეში ტურისტული მოგზაურობით ვიყავი თურქეთში. რუსულისმცოდნე უნგრელმა გიდმა დაგვათვალიერებინა ის ტერიტორია, სადაც ათ-თალიდების სამეფოს მთავარი ქალაქი პერგამონის ნანგრევები იყო ჯერ კიდევ ჩვენ დრომდე შემორჩენილი. მაშინ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნის პირველ ნახევარში, პერგამონის მეფის ევმენიოს II-ის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე: 197-159 წლები) ბრძანებით აშენდა ავადმყოფთა და დაუძლურებულთა მკურნალობის, ღმერთ ასკლეპიეიონზე სახელდებული სამსხვერპლო ტაძარი. ორიგინალური შენობის კედლები შემკული იყო რელიეფური ქანდაკების სიუჟეტებით. აქ გამოსახული იყო ოლიმპიური ბერძენი ღმერთების ბრძოლა ტიტანებთან, რომლებსაც განასახიერებდნენ გალთა მომთაბარე ტომები. ეს ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა გალების წინააღმდეგ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ს-ის 20-იან წლებში, ბერძენთა გამარჯვებით დამთავრდა.

— სწორედ ამ შემაღლებულ გორაკზე, სადაც ახლა თქვენ იმყოფებით, მდებარეობდა პერგამონის დიდებული სასახლე. აგვიხსნა გიდმა და განაგრძო:

— XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მცირე აზიის ტერიტორიაზე ისტორიული ძეგლების აღმოჩენის მიზნით ჩატარებული სამუშაოების დროს, გერმანელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს პერგამონის სასახლის ნანგრევები. მათ თხოვნით მიმართეს თურქეთის მაშინდელ სულთანს, რომელმაც არქეოლოგებისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად ეს «ქვები» (როგორც სულთანი დაცინვით უწოდებდა) ბეჭედდასმული ხელწერილით აჩუქა გერმანიას. არქეოლოგებმა გათხარეს ნაქალაქარი, გემებით გაიტანეს ისტორიის მღაღადებელი «ქვები» გერმანიაში და მათგან ააწყვეს პერგამონის სამსხვერპლო ტაძარი. მადლობის ნიშნად, თურქეთში, პერგამონის ადგილსამყოფელზე გერმანელებმა დარგეს ორი მრავალტოტებიანი და ხშირფოთლოვანი ხე, რომლის ჩრდილქვეშ დაესვენებინათ მზით გათანგულ მეცხვარე თურქებს. გთხოვთ, მობრძანდეთ, და ჩვენც შევისვენოთ ამ ორი ხის ქვეშ. და მართლაც, თაკარა მზეზე სიარულით დაღლილები და სახეგარუჯულები გერმანელების მიერ ჩაყრილი იმ ორი ხის ქვეშ რომ აღმოვჩნდით, შესანიშნავი სიგრილე ვიგრძენით.

ამბობენ, განაგრძო გიდმა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, რუსებმა დახერხეს და გაიტანეს პერგამონის სასახლე რუსეთში. მართლაც იყო თუ არა გატანილი რუსეთში, ამის შესახებ სიმართლე არავინ იცის.

ამ დროს, არც ვაცხელე, არც ვაცივე, და წამოვაყრანტალე:

— Камни Пергамского дворца, я видел в Ленинграде, в подвалах Эрмитажа!

ეს სიტყვები რომ მოესმა ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელს, თურქეთის ისტორიისა და ენის სპეციალისტს, პროფესორ ნოდარ კომახიძეს, თითქმის წამომიყვირა: «ე, ბიჭო, არ თქვა მაი! ნუ ამბობ მაგას! გაჩუმდი!»

რუსულის მცოდნე უნგრელმა გიდმა ყურები ცქვიტა და შემომიტია:

— Вы правду говорите, что видели камни Пергамского дворца в Советском Союзе?

მე სწრაფად შევაფასე შექმნილი სიტუაცია და ღიმილის დაყოლებით ვუპასუხე გაკვირვებულ გიდს:

— Не спрашийваете ерунду, где я их мог видеть! Разве что, во сне!

ამ გარემოების მცოდნე გიდმა სპეციალურად რამდენიმეჯერ ჩაახველა და თვალი ამარიდა.

ჯგუფის ხელმძღვანელს ესიამოვნა ჩემ მიერ თქმული ტყუილი, გადმომხედა და მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა.

ამ შემთხვევიდან ორი დღეც არ იყო გასული, რომ გიდი წამომელაპარაკა (ისე რომ ჩვენ არავინ არ გვისმენდა) და გამიმეორა პერგამის სასახლის მონახულების დროს ჩემ მიერ ალალბედზე წამოყრანტალებული შეესაბამებოდა სინამდვილეს თუ არა. მე დაუყოყნებლივ დადებითად დავუდასტურე ჩემი ნათქვამის სისწორე. მაშინვე მომმართა, ხომ არ შემეძლო ეს მეთქვა თურქული გაზეთების კორესპონდენტებთან.

ამაზე ცივი უარი განვუცხადე. მივუგე, რომ ეს სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს და საჯაროდ მისი თქმის უფლებით არ ვარ უფლებამოსილი, არც საზღვარგარეთ და არც სამშობლოში. ის რაც ვთქვი, დაუფიქრებლივ წამომცდა.

2). სტუმრად ხელოვნებათმცოდნე ელენა ფიოდოროვნა ბურენკოვასთან

ლენინგრადში, ერთ საღამოხანს, დიდი ტორტით ხელდამშვენებული სამივე ამირანაშვილი სტუმრად მივედით მამის მეგობარ ქალთან, ხელოვნებათმცოდნე ელენა ფიოდოროვნა ბურენკოვასთან. იგი იყო ტანად თოჯინასავით შეპუტკუნებული და ამასთანავე მშვენიერი პირსახის ქალი, დანახვისთანავე ერთი ღამით სიყვარულის გრძნობას რომ აღგიძრავდა, სწორედ ისეთი. განსაკუთრებით მომწონდა ამ ლენინგრადელი მშვენების ცხვირის ფორმა და ამიტომაც მის სახეს ანტიკური პერიოდის ქალ ქანდაკებათა სახეების სილამაზეს ვამსგავსებდი. მას მართლადაც სიამოვნებდა ჩემი შეფასება და ჩემს გასაგონად ხშირად იმეორებდა: «ანტიკური ცხვირი მაქვს ხომ?». ქმრად ჰყავდა მომცრო ტანის კაცი, რომელსაც მოფერებით «შუსტრიკ»-ს ეძახდა, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამ ზედმეტ სახელს უმართლებდა კიდეც. მათ ოჯახს თავისებური სილამაზით ამშვენებდა მათი თვრამეტი წლის ქალიშვილი, სათვალეებიანი ელეონორა ნიკალაევნა ლუკიანიუკი, რომლის მიმართ ძალაუნებუ-

რად სასიყვარულო გრძნობები აღგვეძრა ორივე ძმას. მასპინძლებთან ერთად მათ სახლში დაგვხვდა ორი ხანში შესული ებრაელი მეცნიერი, რომლებიც მთელი საღამო ხუმრობდნენ და ოხუნჯობდნენ. ასევე ანეკდოტებს ყვებოდნენ ებრაელებზე და თითონვე სიცილით იგუდებოდნენ. საღამომ საინტერესო სჯა-ბაასში ჩაიარა, ისე რომ სტუმრები და მასპინძელები კმაყოფილებას განვიცდიდით ერთნაირი დოზით. სტუმართაგან ერთ-ერთმა ებრაელმა დაიხელთავა დრო და მომეტებული ინტერესით შეეკითხა შალვა ამირანაშვილს:

— Говорят, что вы знаете иврит ещё с детства?

მამამ გადახედა ღაჟღაჟა წვერებმოშვებულ ებრაელს და გაუღიმა.

— Тогда вот что, შალვას ებრაულით დაინტერესებული ებრაელი ადგა, მივიდა კარადასთან, გადმოიღო შავ ყდაში ჩასმული ბრტყელი და ფართეფორმატის წიგნი, ნებისმიერად გადაშალა, წინ დაუდო ქართველ მეცნიერს და მიმართა:

— Будьте любезны, если вас не затруднит, прочитайте, пожалуйста!

ყველანი გავისუეთ. მამამ ჯიბიდან ამოიღო სათვალე, ცხვირზე მოირგო და გადაშლილ წიგნს დახედა. შემდეგ, ერთი მაგრად შეისუნთქა და გაისმა ჩვენთვის გაუგებარი სიტყვების რახარუხი. ორივე ებრაელი გაფართოებული თვალებით შესცქეროდნენ შალვას და ებრაელებისათვის დამახასიათებელი მონდომებით წაკითხულ სტრიქონებს განცვიფრებით უსმენდნენ.

— Браво, Шалва Ясонович! Великолепно! Вы прекрасно читаете! Так хорошо, как настоящий учёный еврей! Честно говоря, я не ожидал от вас такого знания языка! Но вот что, вашему чтению не хватает благодати, потому что вы не еврей! შეაფასა შალვას წაკითხული ერთ-ერთმა მათგანმა.

— ახლა ებრაელობაც მომინდომა ამან! წაგვჩურჩულა ჩვენებურად მამაჩვენმა.

XVIII

ფრანგული ენის მასწავლებელი ქალი: გვარად ბიტეპაჟი, გერმანიის ქალაქ ბრაუნშვაიგიდან

რაც თავი მახსოვს, სულ ფრანგულ ენას ვსწავლობდი. ამ მხრივ საუკეთესო იყო ბავშვობის წლები. მაშინ, როცა ფრანგულს გვასწავლიდა მადამ «ბონჟური», მამის მეგობარი ანა მუხრანსკაია-ბაგრატიონი, რომლის მომღიმარე სახე და გასხივოსნებული თვალები ხანდახან ახლაც გამიელვებს თვალწინ.

მეორე მსოფლიო ომი ხუთი წლის დამთავრებული იყო, როცა ბავშვობის უბნიდან საცხოვრებლად გადავედით ვაკეში, უნივერსიტეტის მოპირდაპირედ მდებარე ნაცრისფერ სახლში. იმის გამო, რომ მამას შემოვლილი ჰქონდა საფრანგეთი და სამი თვე ცხოვრობდა პარიზში, ძალიან მოწადინებული იყო რომ მის შვილებსაც კარგად გვცოდნოდა

ფრანგული. ვიღაცის დახმარებით გვიპოვა ერთობ უცნაური მასწავ-ლებელი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან რეპატრიანტი ქართველი კაცი, გვარად ქარელი. ჩვენ მას «მისტერ ქარელს» ვეძახდით. რო-გორ და რატომ დაბრუნდა საქართველოში არავინ იცოდა, მაგრამ მისი მონაყოლიდან გვსმენოდა, რომ მას ხშირად იბარებდნენ შინსაქკომში და ამერიკის შპიონად გამოჰყავდათ, რაზეც თვითონ ყოველთვის უარს უცხადებდა. «ჩამოვედი იმიტომ, რომ აქ უკეთესი ცხოვრება მეგონაო» ეპასუხებოდა მათ. ასე იყო თუ ისე, ქართულ წამებას გადარჩენილი რამოდენიმე წლით ციხის საკანში მაინც მოათავეს ყოველ შემთხვევის-თვის. გამოსვლისთანავე, ლუკმა პურის მოსაპოვებლად ფრანგულისა (ჯერ საფრანგეთში ცხოვრობდა) და ამერიკული ინგლისურის (შემდეგ აშშ-ში) მასწავლებლობა დაიწყო. მასწავლებელს არაფერი არ გააჩნდა, სად ათენებდა და სად აღამებდა არავინ იცოდა. ისიც საკითხავი იყო, თუ აღამებდა-ათენებდა მაინც. ჩამოფლეთილ-ჩამოგლეჯილი დადიოდა, საჯდომზე ათასჯერ გამოკერებული შარვალი ეცვა; პერანგის გარეშე სა-ოცრად მოძველებულ პიჯაკს ტიტველ ტანზე იცვამდა. რომ არ შეგვემ-ჩნია ეს, პიჯაკის სახელოებზე პერანგის მანჟეტები ჰქონდა გამოკერე-ბული, ხოლო გულ-მკერდს უფარავდა ჰალსტუხიანი და თეთრ საყელო-იანი ჩასადგმელი წიმსაფარი. პარიზის ქუჩებში ნასწავლი ფრანგული იცოდა და ჩვენც გვსიამოვნებდა ქალაქური ჟარგონით ნაუბარი ფრან-გული. მამაჩვენის მოძველებული შარვალ-პიჯაკიდან და პერანგებიდან ჩვენი ბები ასინეთი გადაუკეთებდა მას ტანსაცმელს და მასწავლებელიც მორგებულად იცვამდა და თან «მერსი გრანმამან»-ს ეუბნებოდა აუტა-ნელი გამოთქმით. რატომღაც ერთხანს მოგვცილდა კიდეც, და როგორც ეს მოგვიანებით გავიგეთ, რამოდენიმე ხნით ისევ ციხეში ჩაესვათ სამ-შობლოში რეპატრიანტი ქართველი. ერთობ ლმობიერად მოექცნენ, კი-დევ კარგი არ დახვრიტეს, მართლაც რომ საბჭოურ პროპაგანდას აყო-ლილი უცხოეთში მაცხოვრებელი ალალი ქართველი.

მამაჩვენის გარდაცვალებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ მისულა ჩემი ძმის სახლში. პირველ ჯერზე და შემდეგაც კარგად გამასპინძლე-ბიან, ახალ ტანსაცმელში გამოუწყვიათ და ფულიც უჩუქებიათ. გულუხვ მასპინძლობას და პატივისცემას დაეჩვია და კარგა ხანსაც სტუმრობდა მათთან, სანამ აუტანელი სიცოცხლე და მათხოვრული ცხოვრება არ მო-ბეზრდა.

მამამ არც აცხელა, არც აცივა, და მორიგი ფრანგულის მასწავლე-ბელი გვიშოვა. ეს იყო საფრანგეთიდან თბილისში ჩამოსული სომეხი ოვანეს ეტერიანი. მან უბრალოდ იცოდა ფრანგული, მასწავლებლობა ნაკლებად და სულ ჩვენს ძახილში იყო. მას «ვიტ-ვიტა» შევარქვით. ფრანგულის გარდა მას, ქართველი ცოლის სახლში, სადაც ჩასიძებული იყო, გახსნილი ჰქონდა ევროპული ცეკვის კურსები და ამით ირჩენდა თავს და არჩენდა ცოლს. შემდეგ მოაფიქრდა ფულის შოვნა ევროპუ-ლად. ცოლის ბინის ერთი ოთახი «ხავერად» გადააქცია და დიდი ხა-ნიც ცოლ-ქმარი მომსახურეობას უწევდა მასთან მიმსვლელ წყვილებს.

ეს ცუღლუტობა მეზობლების დახმარებით მალე გაუგეს და რამდენიმე წლით ციხეში ამოაყოფინეს თავი ორივეს.

საფრანგეთიდან ჩამოსული სომეხი მასწავლებელი შეცვალა ასევე საფრანგეთიდან ჩამოსულმა ქართველმა კაცმა. ის საბედისწეროდ ენდო საბჭოურ პროპაგანდულ ცდუნებას და ჩამოვიდა იქ, საიდანაც 1921 წელს მისი მშობლები ემიგრირდნენ. მას სახელად შარლი ერქვა, ჩვენ კი «ჩარლი» შევარქვით ინგლისურის ყაიდაზე. მისი გვარი მივიწყებას მიეცა და მგონი თურქესტანიშვილი იყო. მას სწავლების დასავლეთ ევროპული მეთოდიკა ჰქონდა შემუშავებული. იგი სალაპარაკო ფრაზებს გვიწერდა და გვაზეპირებინებდა. გულწრფელად გვიყვებოდა სხვადასხვა ამბებს პარიზის შესახებ, იხსენებდა ყველაფერს და თან თვალები წამდაუწუმ მოდიდო ცრემლებით ევსებოდა. შეტანილი ჰქონდა განცხადება საფრანგეთში დაბრუნების შესახებ, მაგრამ პასუხი რატომღაც იგვიანებდა. ისიც უცდიდა, მეტი გზა არც ჰქონდა. და აი, რომელიღაც ხანს აღარ გამოჩნდა ჩვენთან, ნუთუ ისე წავიდა, რომ არც დაგვემშვიდობა? ჩვენი ოჯახიდან სიკეთის მეტი, არა გაყვებოდა რა!

ასე იყო თუ ისე, კარგა ხანს უმასწავლებლოდ დავრჩით!

ეზოში ბურთს ვთამაშობდით, როდესაც ბინის შუშაბანდიდან დაგვიძახეს: ორთავე ამოდით, ფრანგულის მასწავლებელი მოვიდაო! გაგვიკვირდა, ასე მოხერხებულად თუ სად შოულობდა მამაჩვენი ფრანგულის მასწავლებლებს! და უფრო მეტად უცხოელებს. ბედმორჩილები შევედით სასტუმრო ოთახში და გაკვირვებულებს თვალებში შეგვრჩა არც თუ ისე ხანდაზმული ქალი, რომელიც ერთი შეხედვით რატომღაც აღვიქვით კეთილშობილ ქალად. გაცნობისთანავე შევუმჩნიე ოდნავ კეხიანი, მაგრამ მცირე მოყვანილობის კოხტა ცხვირი, რომელიც ამშვენებდა კიდევაც მის იერსახეს; ღია ფერის ჭრელი თვალები ჰარმონიას უწყობდნენ მის ოდნავ დახრილ მოდიდო შუბლს; არასტანდარტული ფორმის, თითქოს ხაზივით წვრილი ტუჩები ნამდვილად გაგრძნობინებდა მის არისტოკრატულ წარმომავლობას. ქალურობის გამომსახველი ნაკვთები ჯერ კიდევ კარგად ეტყობოდა მთელ მის ტანს და დანახვისთანავე წარმოგესახებოდა, რომ მეტად მიმზიდველი ქალი უნდა ყოფილიყო ახალგაზრდობაში.

ფრანგულ ენაზე მოსალმების შემდეგ მისთვის შეთავაზებულ სკამზე ჩამოჯდა და ფრანგულ ენაზე ჩვენც გვთხოვა, ჩამომჯდარვიყავით. სკოლის ფრანგული წიგნი გადაგვაშლევინა იმ გვერდზე, სადაც მეორე დღისთვის მოსამზადებელი გაკვეთილი გვეგულებოდა. როგორც უფროსმა ძმამ ჯერ მე დავიწყე კითხვა, ყოველი წაკითხული სიტყვის შემდეგ მასწავლებლის სათნო ხმით უმშვენიერესი ფრანგული გამოთქმით მეორდებოდა ჩემი ფრანგულით არც თუ ისე ცუდათ გახმოვანებული თითქმის ყოველი სიტყვა. დიდებულ ინტონაციას უნდა ავყოლოდი და მეც, თუთიყუშივით ზუსტად ვიმეორებდი მასწავლებლის მიერ პარიზული აქცენტით გამოქარგულ სიტყვას. იგი ფრანგულის გადმოცემით ჯობდა მის წინამორბედ ჩვენს მასწავლებლებს, მაგრამ ჩამოუვარდებოდა მადამ «ბონ-

ჟურს», რომელმაც ფრანგული ნამდვილად შეგვაყვარა მობეზრებული სწავლის გზაზე დამდგარ ბავშვებს. ახალი მასწავლებელი გვარად «ბიტეპაჟ» იყო, ჩვენ კი მას «ეკიპაჟ»-ი შევარქვით. მთელი დღე გაკვეთილიდან გაკვეთილზე დადიოდა და ამიტომ.

გადიოდა წლები და მე და ჩემი ძმა ვითვისებდით ფრანგულს, მაშინ უკვე ადაპტირებული მოთხრობების კითხვით, საუბრით საყოფაცხოვრებო თემებზე. რამოდენიმე ხანში დავინტერესდი ფრანგულის მასწავლებლის ცხოვრებით და იმითაც, თუ საიდან მოდიოდა მისი გვარი, ან რა უნდოდა ამ გვარის ქალს საქართველოში. მას არაფრის გახსენება არ სურდა, რაღაც სევდა აღეძვრებოდა, მეტად მტკივნეული და არ გასახსენებელი. «ზალაში», სადაც ვმეცადინეობდით, იდგა დიდი შავი როიალი. მასწავლებელი ისე მოკალათდებოდა მაგიდასთან, რომ მის წინ მდგარ როიალს უყურებდა, და ალბათ მხოლოდ თავისთვის რაღაცას თუ იხსენებდა.

ბოლოს როგორღაც დავიყოლიე მისი ცხოვრებისეული ამბების მოყოლაზე. ოღონდ ერთი პირობით: ფრანულად! რასაკვირველია, დავეთანხმე. მოყოლის დროს ჩემთვის ახალ-გაუგებარ სიტყვებს ვათარგმნინებდი. რატომღაც ვატყობდი, მეტად უჭირდა გარდასულ წელთა ცხოვრებისეული ამბების გახსენება. მაგრამ მაინც თავს ძალას ატანდა და სიმწარემორეული გადაერთვებოდა თავის წარსულში.

მაშინ ჩემი სტუდენტობის პერიოდი იყო და ბევრ ახალგაზრდულ ცდუნებას ვიყავი აყოლილი, ამიტომაც ფრანგულის გაკვეთილებიც რაღაცნაირად მომბეზრდა და გადავედით ახალი უცხო ენის შესწავლაზე. ეს იყო გერმანული ენა, რომელიც როგორც შემდეგში გავარკვიე, მისთვის მშობლიური ენა ყოფილა. მეტი მონდომებით მინერგავდა გერმანულს. ფრანგულად მხოლოდ თავის ცხოვრებისეულ ამბებს იხსენებდა და ცოტა უსიამოვნოდ მიყვებოდა.

და აი, რაც შემრჩა მისი ნაამბობიდან:

«მე დავიბადე პეტერბურგში, სადაც ფუფუნებაში გაიარა ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებმა. მამაჩემი — მიხაილ ავგუსტოვიჩ ბიტეპაჟი, დედით და მამით პირწმინდა გერმანელი იყო. მისი წინაპრები ცხოვრობდნენ გერმანიაში, ქვედა საქასონიის ქალაქ ბრაუნშვაიგში. ჩვენ არისტოკრატული გვარის შთამომავლები ვართ, გვარად ფონ ბიტეპაჟ. ჩემი წინაპრები ჯერ კიდევ XVIII ს-ის მიწურულს ბრაუნშვაიგიდან საცხოვრებლად ახალდაარსებულ პეტერბურგში გადმოსახლდნენ. ჩვენი გვარის პირველი ცნობილი წარმომადგენელი იყო ფრიდრიხ ფონ ბიტეპაჟ, რომელმაც XIX ს-ის დასაწყისშივე თავისი სახსრებით ბამბის მანუფაქტურული ფაბრიკა გახსნა რუსეთის ევროპულ დედაქალაქში (ეს ფაბრიკა 1918 წელს დაექვემდებარა საბჭოურ კონფისკაციას). ამ გვარის მეორე ცნობილი პიროვნება იყო ფერდინანდ ფონ ბიტეპაჟ, რომელიც წიგნებით მოვაჭრე მსხვილი კაპიტალისტი იყო პეტერბურგში (მისი საქმიანობაც კონფისკაციას დაექვემდებარა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ). იყო კიდევ მათი ნათესავი, ე. წ. «ბიტეპაჟ-მებელშჩიკ», რომე-

ლიც ევროპიდან ამარაგებდა რუსეთის საიმპერატორო კარს უმაღლესი კლასის ავეჯით. მამაჩემი მიხაილ ფონ ბიტეპაჟი იყო მეორე გილდიის ვაჭარი, საფორტეპიანო ფირმა «იაკოვ ბეკკერ»-ის ინსტრუმენტული პროდუქციით მოვაჭრე ევროპასა და რუსეთში. რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ბიტეპაჟთა ოჯახის საქმოსან წევრებს მინიჭებული ჰქონდათ რუსეთის ღირსეულ მოქალაქეთა საპატიო სახელი.

ბავარიელმა გერმანელმა, ფორტეპიანოს ხელოსანმა იაკოვ ბეკკერმა, პეტერბურგში ჩამოსახლებისთანავე, კერძოდ, 1841 წელს დააარსა კლავიშიანი ინსტრუმენტის წარმოების ფაბრიკა, რომელმაც იმთავითვე სახელი გაითქვა როგორც რუსეთში, ისე ევროპაში. სამოცი წლის იაკოვ ბეკკერმა როიალისა და პიანინოს სახელგანთქმული თავისი ფირმა სამართავად გადასცა მამაჩემს, მეორე გილდიის ცნობილ დიდვაჭარ მიხაილ ავგუსტოვიჩ ბიტეპაჟს და მის თანაფირმელ პაველ ლეონტიევიჩ პეტერსსონს.

იაკოვ ბეკკერის გარდაცვალებამდე რამოდენიმე თვით ადრე, მამაჩემმა მ. ა. ბიტეპაჟმა მთლიანად შეისყიდა ი. ბეკკერის ფაბრიკა და იმ დროს არსებული მაღალტექნიკით აღჭურვა მუსიკალური ინსტრუმენტების — როიალისა და პიანინოს ფაბრიკა. ეს მოხდა XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. მიუხედავად იმისა, რომ საიმპერატორო კარმა შესთავაზა საქვეყნიოდ ცნობილ ვაჭარსა და იმჯერად ფაბრიკის მფლობელს, მისი სახელი მიენიჭებინა განახლებული ფირმისათვის, წარმოების მესაკუთრემ გადაწყვიტა მის მიერ გამოშვებული ინსტრუმენტებისათვის ისევ «იაკოვ ბეკკერის» სახელწოდება შეენარჩუნებინა. საგულისხმოა, რომ უკვე 1888 წლის დეკემბრის თვეში ფირმამ იზეიმა მეათიათასე როიალის გამოშვება მ. ა. ბიტეპაჟის თაოსნობით.

«მე დავიბადე 1895 წელს პეტერბურგში. მაშინ ჩვენს ოჯახს თექვსმეტ ოთახიანი ბინა ჰქონდა ყაზანის ქუჩის შვიდ ნომერში, სადაც ძალიან მდიდრულად ვიყავით მოწყობილი. დედა შვედი ქალი იყო, რომელსაც თავის სილამაზის მეტი, ამქვეყნად არაფერი აინტერესებდა. ბინაში გვედგა შავი ფერის და ერთიც თეთრი ფერის საკონცერტო როიალი. მზრდიდნენ გუვერნანტკები: გერმანელი ქალი, რომელიც მხოლოდ გერმანულად და თვალწარმტაცი სილამაზის ფრანგი ქალი, რომელიც მხოლოდ ფრანგულად, მელაპარაკებოდნენ; დედა შვედურ ენაზე, ხოლო მამა რუსულად მესაუბრებოდა; დადიოდნენ მასწავლებლები და მამეცადინებდნენ სხვადასხვა საგნებში. ასევე ვიღებდი მუსიკალურ განათლებას, რომელსაც ჩემ პროფესიად ვისახავდი. მე დამჯერი გოგონა ვიყავი და გულმოდგინედ ვითვისებდი ყველაფერს, რომ მომეტებული შრომა-გარჯით დამეფასებინა მამის დიდი ამაგი ჩემდამი, რომელსაც თავდავიწყებით ვუყვარდი, ალბათ როგორც ერთადერთი შვილი, რადგან თავისთავს გადაყოლილი დედა წინააღმდეგი იყო გაემრავლებინა მიხეილ ბიტეპაჟის გვარი. შესანიშნავად ვუკრავდი და მხოლოდ შავი ფერის როიალზე ვმეცადინეობდი; სტუმრიანობის დროს ნებას მრთავდნენ თეთრი ფერის საკონცერტო როიალზე დამეკრა. ტონალობაში დიდ განსხვავე-

ბას ვერც კი ვამჩნევდი. ბედნიერად მიდიოდა ჩემი ახალგაზრდობის დრო, სწორედ ის დრო, რომელსაც მალე სოციალურად განსხვავებული აზრის აქტიურმა ადამიანებმა არ შეუცვალეს ცხოვრებისეული განვითარების გეზი.

ცოლად იტალიელს გამაყოლეს, გარიგებით, როგორც ხდება ხოლმე. მეორე წელს ბიჭი შეგვეძინა, და მამაჩემის სახელის გარდა. დასარქმევად სხვა სახელი არ არსებობდა. 1917 წლის იანვარში ბავშვს, სიცოცხლის ორი წელი შეუსრულდა. საბედისწეროდ, თებერვლის რევოლუციის დროს პატარა გუსტავი ფილტვების ანთებით გაგვიხდა ავად და დღეებით ნაკლულმა თებერვალმა ჩვენ ოჯახს მომავალი დააკლო. ერთადერთი შვილი სულ რამდენიმე დღეში გარდაგვეცვალა. ოჯახის მწუხარებას ისიც დაერთო, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ თითქოს უკეთესობისკენ გარდაქმნა საზოგადოება. შემდეგ პერიოდში სოციალურმა არეულობამ იმდენად მოიკიდა ფეხი იმპერიულ რუსეთში, რომ არავინ იცოდა, რა ხდებოდა ან რით უნდა დამთავრებულიყო საზოგადოებრივი გარდატეხა, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობოდა დედაქალაქში. კეთილის მოსურნეები მამას სთავაზობდნენ საჩქაროდ გადაეტანა ფირმა-ფაბრიკა რუსეთიდან დასავლეთ ევროპის რომელიმე ქალაქში და საერთოდ, თავის ოჯახთან ერთად იქ განეგრძო ცხოვრება და საქმიანობაც. შეძლებული საზოგადოება ცუდ პოლიტიკურ ამინდს უწინასწარმეტყველებდა პეტერბურგს. რუსულ კულტურას შეჩვეული მამაჩემი დაღონებული ფიქრობდა, ფიქრობდა მეტისმეტად გულახდილად. ეგონა რომ დაუფასებდნენ, ის ხომ მთელი ძალ-ღონით ემსახურებოდა მაღალ იმპერიულ საზოგადოებას, პოლიტიკიდან შორს ეჭირა თავი და არაფერში არ ერეოდა. იმედოვნებდა, რომ მისი საქმე საჭირო იქნებოდა ყოველგვარი საზოგადოებისათვის. კეთილის მსურველთა განსხვავებულ აზრებთან შედარებით მხოლოდ თავის აზრს ანიჭებდა უპირატესობას. თავისი სურვილით, და ისიც თვითნებურად გადაწყვიტა, რომ რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხთა მოსალოდნელ რევოლუციურ გარდაქმნას თავის საწარმოსთან ერთად პეტერბურგში დახვედროდა. მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილება საბედისწერო აღმოჩნდა არა მარტო მისთვის, არამედ მთლიანად ოჯახისათვის. დედაჩემს ჭკუა ეყო და გასწია შვედეთისაკენ. «როცა ყველაფერი დაწყნარდება, ჩამოგაკითხავთო?», გვანუგეშა. მე და ჩემმა იტალიელმა მეუღლემ მამის გადაწყვეტილებას ავუბით მხარი, და მაინც შენიღბული შიშით განვაგრძეთ ცხოვრება ევროპული კულტურით გარემოცულ პეტერბურგში. ჩემი მეუღლის დაჟინებული თხოვნით, იმ ძვირფასეულობას, რაც მამის შრომის შედეგად დაგროვილი გვქონდა, ყოველ შემთხვევისათვის ერთად მოვუყარეთ თავი და არასასურველი სიტუაციის შემთხვევაში მზად გვქონდა წასაღებად.

ოქტომბრის რევოლუციისთანავე საზოგადოების მდიდარი ნაწილი ევროპისკენ დაიძრა. ჩვენ კი, ოქტომბრის რევოლუციონერებმა სანამ თავში არ წამოგვარტყეს, ადგილიდან არ ვიძროდით. ქონების ნაციონალიზაციის მოტივით მამაჩემის მიხაილ ავგუსტოვიჩ ბიტეპაჟის კუთ-

ვნილი კლავიშიანი ინსტრუმენტების ფაბრიკა «ბეკკერი» დაუქვემდებარეს სრულ კომფისკაციას, ასევე ჩამოგვართვეს თექვსმეტ ოთახიანი საცხოვრებელი ბინა და გადაგვასახლეს კომუნალური სარგებლობის ერთ ოთახში. განძეულობიდან, რაც დაუფარავი აღმოჩნდა მათ თვალსაწიერში, ყველაფერი გაიტანეს; მადლობელი ვიყავით, რომ ცოცხლები დაგვტოვეს. გადავწყვიტეთ, როგორც კი საშუალება მოგვეცემოდა, სამხრეთისკენ მიმავალ მატარებელს გავყოლოდით. ჩემმა დაუჯერებელმა მამამ სმას მიჰყო ხელი, მაშინ როცა მთელი სიცოცხლე ალკოჰოლის წვეთიც არ გაუსინჯავს. მან წამოსვლა არ ისურვა, ნანობდა, რომ ვერ აუღო საჭირო ალღო მისთვის გაურკვეველ მომავალს. იგი სამუდამოდ მიენდო თავის სიცოცხლის მწარე დასასრულს, და ისიც მისი უსაზღვრო ბედნიერების ქალაქში.

მე და ჩემი მეუღლე, როგოც იქნა, მოვთავსდით სამხრეთისკენ მიმავალ მატარებელში. გაურკვეველი ფათერაკის მოლოდინში მაინც ვიძაბებოდით მომავალი ცხოვრებისთვის მარჩენალ ბარგს ჩახუტებულები. რევოლუციურ ცეცხლს და მთლიანად არეულ პეტერბურგს თანდათან ვშორდებოდით და არც წარმოგვედგინა, თუ რას მოგვიტანდა გაურკვეველი მომავალი.

შუაღამე ახლოვდებოდა და ჩვენი იმედის მატარებელი დონისპირა როსტოვს უახლოვდებოდა. მოულოდნელად მატარებელის ბორბლები აწრიპინდნენ და მთლიანი შემადგენლობა რამოდენიმე წამში უეცრად შეჩერდა. ერთბაშად მოძრავი მატარებლის მონოტონური ხმაური აუტანელმა სიჩუმემ შეცვალა. წამში ვაგონების ორივე მხრიდან ცხენების თქარათქური, ომახიანი შეძახილები და სროლა გაისმა. ცხოველური ყვირილითა და გაუგონარი გინებით შემოიჭრნენ ვაგონებში და ნახევრადმიძინებული მგზავრების ძარცვა-გლეჯა დაიწყეს. იარაღმოშვერილები არ ერიდებოდნენ არც მოხუცებსა და არც ბავშვებს. ვინც ცოტაოდენ გაუძალიანდებოდა, დაუზოგავად ტყვიას ახლიდნენ და მათ ნივთებს ფანჯრებიდან ისროდნენ. უეცრად მოვლენილი სიბოროტე ჩვენც მოგვიახლოვდა. ჩვენთან შემოჭრილ ერთერთ მძარცველს, სიცოცხლის ფასად ხმაამოუღებლივ მივაწოდეთ ჩემოდნები ერთი, მეორე, მესამე... რომლებიც რიგრიგობით ღია ფანჯარაში გადაისროლა და აწითლებული თვალებით მაინც სინანულით შემოგვხედა. მერე იქვე მდგარ ჩვენ სამოვარს შეავლო თვალი, ხელი ჩაიქნია და გაგვშორდა. ყველაფერი უცებ დამთავრდა. ჩვენ, ერთ დროს მდიდარი ცოლ-ქმარი ორიოდ წუთში სიღარიბის წუმპეში აღმოვჩნდით. ღონემიხდილები და სულამოხდილები გაუნძრევლად ვისხედით და ერთმანეთს არც კი ვუყურებდით. მოულოდნელ ბედმორჩილებას სასოწარკვეთამდე მივყავდით. ყველაფერი გათავდა: ცხოვრებაც და მას მიყოლილი სიცოცხლეც. ღამის წყვდიადში მსუბუქად და აუჩქარებლივ მირახრახებდა სამხრეთისკენ სიმძიმეებისგან დაცლილი მატარებელი.

მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს არც ერთს და არც მეორეს. სისხამ დილით ვაგონში გაისმა ქალის წკრიალა ხმა: «კიპიტოკ, პოჟალუ-

ისტა, კამუ კიპიტოკ!» ჯიბეები მოვიქექეთ და ორი ჭიქა ცხელი წყლით მოვითქვით სული. ღამის ამბებით შემზარავი მატარებელი კი კავკასიონის მთებს ზლაზვნით უახლოვდებოდა. მატარებელმა აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი და გეზი ბაქოსკენ აიღო.

ბაქოში ჩასვლამ შვება გვაგრძნობინა მხოლოდ. გადმოვედით ბაქანზე და ძალაუნებურად ღრმად შევისუნთქეთ ზღვის მხრიდან მონაბერი თბილი ჰაერი. გადავხედეთ ერთმანეთს, და წამით არც კი გვეგონა, რომ ცოცხლები ვიყავით. სადგურის ბაქანზე აღმოსავლურ ფერებში სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მოკრძალებით ჩამოვსხედით. ჯიბეებში ჩარჩენილი ხურდით მაგარ ჩაისთან ერთად მოტკბილო ფუნთუშაც დავაგემოვნეთ. ეს მაშინ მეფურ ტრაპეზს მიემსგავსებოდა. მართლაც რომ ბაქოელთათვის არაფერი მომხდარიყო, მატარებლის უიღბლო თავგადასავალს აინუნშიც არ აგდებდნენ. ჩვეულებისამებრ ფუსფუსებდნენ სადგურის ბაქანზე იქაურები, ზანტად მიდი-მოდიოდნენ, გადაუდებელ საქმეებზე ოდნავ ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ჩვენ რაც გადაგვხდა, მათთვის მოსაყოლად არავინ გარჯილა. ოდნავ წახემსებულები ხმაამოუღებლივ ვაგონში ავედით. და მალე თვალებიც მიგველულა. არ ვიცი რამდენ ხანში, მაგრამ თვალები რომ დავაჭყიტეთ, ორთქმავალი ღონივრად ეწეოდა ტფილისისკენ ერთმანეთზე იოლად გადაბმულ მორახრახე ვაგონებს. სულიერად და ფიზიკურად დაღლილებს ისე ღრმად გვეძინა, რომ სიზმრებმაც თავი გაგვანებეს და მარტოობაში თეთრად გაატარეს ღამე.

სისხამ დილით კი, ქშინვით დაღლილი ორთქმავალი, მართლაც როგორც ბეწვისხიდზე გამავალი ჩვენი სიცოცხლის გადამრჩენელი, უკვე საქართველოზე თავმომწონედ მიაგორებდა ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილ ნიკოლოზისდროინდელ ვაგონებს.

ტფილისის ბაქანი ხალხით იყო სავსე. იგრძნობოდა, რომ ჩვენ გარდა, ყველას ყავდა დამხვდური. ვაგონის ფანჯრიდან ვიცქირებოდით და გვსიამოვნებდა, რომ თავისუფალი საქართველო ჩვენც გვმასპინძლობდა. ვაგონიდან გადმოსასვლელად მოვემზადეთ და ფათერაკს გადარჩენილ «სამოვარს» ხელი წავავლეთ. მე და ჩემმა მეუღლემ ძლივს ავწიეთ «თვითსადუღარი», რომელიც მამაჩემმა გამოგვატანა და თან დაგვყოლა მანუგეშებელი სიტყვები: «დაგჭიდებათო», და მეტისმეტი სიმძიმის გამო ისევ ადგილზე დავდგით. ჩავიხედეთ მის მოგრძო საკვამურში და განცვიფრებისგან ალმური მოგვეკიდა სახეზე ორივეს. მამას პირამდე აევსო გაჭვარტლული საკვამური ოქრო-ვერცხლით და თვალმარგალიტით. მოულოდნელი განსაცდელისგან თავის დასაღწევად მამის მიერ საოცარი გამჭრიახობით გადამალული განძი მრავალმნიშვნელოვნად გვიცქერდა ჩაშავებული სიღრმიდან.

ცოტა ხანიც და სასტუმრო «ინტურისტში» მოვთავსდით. ღმერთს მადლობა შევწირეთ და მომენტალურად სამჯერ პირჯვარი გადავიწერეთ ორივემ. მართლაც, სამადლობელი იყო ზეციერი ღმერთი, რომ ბოლომდე არ გააწირინა ჩვენი საცოდავი სიცოცხლე ბედისწერას. მატარებ-

ლის მონოტონური ხმაურის შემდეგ ერთ ხანს სიჩუმის ხმაც კი გვესმოდა. მეუღლემ, რაღაც უმნიშვნელო ნივთი ფულზე გადაცვალა და მცირე დასვენების შემდეგ კარგა მაგრად დავნაყრდით.

რამოდენიმე ხანში უსაქმურობად აღვიქვამდით ჩვენს ყოფიერებას. რუსული ევროპის შემდეგ ჩვენთვის უცხო კოლორიტით შეპყრობილი მოგვეჩვენა ტფილისი. გოლოვინის პროსპექტს ტრამვაის რიხინ-რიხინი აცოცხლებდა, რაც პეტერბურგს გვაგონებდა. დემოკრატიული პროცესებით სავსე მომავლის მომლოდინე ტფილისელები მოსეირნე ნაბიჯით მიმოდიოდნენ მთავარი ქუჩის ორივე მხარეს. ქართული ცხოვრება ეროვნულობასთან შეთავსებას მოითხოვდა, ძალდატანებით თავის ფერხულში გვიზიდავდა და რამოდენიმე ხანში ჩვენც უკვე საზოგადოების განუყოფელ ნაწილად ვგრძნობდით თავს. დრო არ ითმენდა და ჩვენც, ტფილისურ ცხოვრებისეულ მორევში შევტოპეთ მეყსეულად. დაგვემართა ის, რაც ამ გასაოცარ ქალაქში ყოველი ჩამოსული უცხოელი უკავშირებდა ბედის რგუნებით შეზავებულ ხათაბალას. თბილისელებს რუსულად მივმართავდით. გამომცნაურებისთანავე მაშინვე გვატყობდნენ რომ მათიანები არ ვიყავით და არც რუსები რომ არ ვიყავით, და მხოლოდ კეთილი განწყობით მასპინძლებიც კარგი რუსულით გამოგველაპარაკებოდნენ ხოლმე.

მონოტონური ტფილისური ცხოვრება და მას მიყოლილი სიცოცხლეც, სანამ გაგრძელდებოდა, არც ერთმა არ ვიცოდით. ქმარმა სადღაც დაიწყო სიარული, სამი ან ოთხი საათით იკარგებოდა ხოლმე, მერე კი დაღლილ-დაქანცული მოდიოდა. «სამუშაოს ვეძებო», მანუგეშებდა.

რამოდენიმე თვემ შეუმჩნეველი სისწრაფით გაირბინა. ჩვენი სიცოცხლის გამახანგრძლივებელი «სამოვარი» წონაში იკლებდა. ვგრძნობდი, რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ რა? მარტო ნაფიქრი ვერ შველოდა ბედისწერის გარდაუვალობას. ბოლოს მეუღლემ გამიმხილა, რომ ცოტა ხანში მის სამშობლოში — იტალიაში გავემგზავრებოდით, საიდანაც მაშინ პეტერბურგს ეწვია და მამის ფირმაში დაიჭირა საქმე. ჩვენი შეწყვილების ოქროს ხანა ერთ-ერთ წვეულებაზე დაიწყო, სადაც გაგვაცნეს ერთმანეთი. იგი მაშინ, მამის მემკვიდრედ მოიაზრებდა თავს. თავდავიწყებით მექცეოდა, მეც უფრო მეტი სულიერი განცდით ვეპასუხებოდი მომღიმარ იტალიელს. ჩვიდმეტი წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეები ყველა ჩვენისთანებისთვის ცუდად დაიწყო. ფირმა «ბეკერის» სრული კომფისკაციის შემდეგ ერთ ოთახში მოგვათავსეს რევოლუციონერებმა და დიდი ვაივაგლახით დავიწყეთ «ახალი» ცხოვრება. ოჯახის ერთ უბედურებას მეორე დაემატა, მეორეს მესამე. მაშინ, როდესაც საქართველოსკენ გამომგზავრებისას მარჩენალი მამა უკანასკნელად ვიხილეთ სადგურის ბაქანზე, თვალებში ამოტივტივებული ცრემლებით. გამცილებლებში ვინმე ფრანგი რომ ყოფილიყო, აუცილებლად შეატრიალებდა მოარულ ნათქვამს: «სე ლა ვი»-ს ნაცვლად იტყოდა: «სე ნე პა ლა ვი».

ახლა კი, ტფილისის ამარად დარჩენილები, ახალი საშიშროების წინაშე ვიდექით ორი ადამიანი და უაზროდ იმ შველას ამაოდ ვითხოვდით სხვისგან, რაც ჩვენი ხელით უნდა გაგვეკეთებინა.

კიდევ რამოდენიმე დღეც და მეუღლემ ოპერაში დამპატიჟა «ტრავიატა»-ზე. წასვლის წინ ბეჭედი და ყელსაბამი გავიკეთე, მერე საყურეებიც მოვირგე და ქმარს გავუღიმე. მეუღლე ზურგის მხრიდან მომიახლოვდა, ყელზე შემომხვია ხელები და ნაზად წამჩურჩულა: ასე მდიდრულად გოლოვინსკზე ვერც კი გავივლით, ხომ შეგიხედავს, ქუჩები სავსეა მძარცველებით და რაიმე არ აგვაცალონ! ეგ შენი სამკაულები ჩვენი ხვალინდელი პურის ფულია! ჩვენი სიცოცხლეა! ამას ამბობდა და ნაზად და აუჩქარებლად ჩამომხსნა ყელსაბამი, მერე ყურებიც გამინთავისუფლა სიმძიმეებისაგან, შემოტრიალდა, გამიღიმა და ლოყაზე ნაზად მეამბორა. მერე ჩემს ბეჭდიან თითებს დაუწყო მოფერება. მე რატომღაც გავუძალიანდი და ბეჭედიანი თითები მოვკაკვე. ამ ერთ ბეჭედს მანც დავიტოვებ, თორემ ხომ გახსენდება, ჩვენი საქორწინო ბეჭდები ორივეს როგორ წაგვაძრეს თითებიდან! ქმარმა, რომელიც ცოლს ძარცვავდა, ცალი ყბით ჩაიცინა და ამჯერად დაეთანხმა შეტევაზე გადმოსულ ცოლს.

სასტუმრო «ინტურისტი»-დან, სადაც, უკვე ნახევარი წელი იყო გასული რაც ვცხოვრობდით, თავმომწონედ გამოვედით და გოლოვინსკს გავუყევით ოპერის თეატრისკენ. გვიანი შემოდგომის თბილი საღამო იდგა. მივსეირნობდით ნარნარად, უდარდელად, ყოველგვარი ფიქრისაგან დაცლილები და გვეამაყებოდა ოდნავი თავისუფლებაც. ვგონებ, მე უფრო მიყვარდა ჩემი იტალიელი მეუღლე და თავმომწონედ მივყვებოდი ოპერაში, სადაც თითქოს იგი სულს მოითქვამდა, როცა მის მოსანატრებელ სამყაროში მოხვდებოდა მცირე ხნით მაინც. ერთწამს შორეულ პერსპექტივას შევავლე ფიქრი, გადაწყვეტილი გვქონდა მოკლე ხანში მის მშობლებთან გავმგზავრებულიყავით იტალიაში და რატომღაც არ მეუბნებოდა, თუ სად ცხოვრობდნენ ისინი. «მივალთ და ნახავ» მანუგეშებდა. მეც არ ვაწუხბდი მას მოუფიქრებელი და ხშირი შეკითხვებით. «მალე შევეშვებით ამ ცრემლიან აწმყოს, გავემგზავრებით და ოდნავი სიხარულით მაინც მოვიჯერებთ გულს ჩემს სამშობლოში», მეტყოდა ხოლმე.

ოპერის შესასვლელთან ჩემი «იტალია» ვიღაცეებს თავმომწონედ ესალმებოდა, უღიმოდა, მათთან წალაპარაკებასაც ასწრებდა კიდეც. მე მიხაროდა. რომ საზოგადოების ცენტრში ვექცეოდით თანდათან. უცხო და სხვის სამყაროში ჩამოხეტიალებულ არარაობას ვგავდით ორივე, მაგრამ ნელნელა და აუჩქარებლად ვითვისებდით უცხო ყოფას, ვერთვებოდით მათი სულიერი ცხოვრების ჩვენთვის უჩვეულო ფერხულში. ორივე მოვთავსდით ბენუარის ლოჟაში და პარტერის სავარძლებში ჯერ კიდევ აქა-იქ ჩასმულ მაყურებლებს ვათვალიერებდით. მოუზომელი სიხარულის ალმურით ფერზე მოსული მეუღლე ერთ-ორ მანდილოსანს შორიდან მოკრძალებით მიესალმა ხელის მტევნის ოდნავი რხევით. მაინც ჩემთვის ვფიქრობდი, თუ როდის მოასწრო მათი გაცნობა და ცნობისმოყ-

ვარეობას შუაგზამდე მივყვებოდი, და მერე უინტერესოდ ვიშორებდი. თეატრის პარტერი ივსებოდა მაყურებლებით, რომლებიც ვანო სარაჯიშვილის მოსასმენად მოსულიყვნენ. მუსიკალური განათლება სრულყოფილად მქონდა მიღებული ევროპული კულტურით სახელგანთქმულ პეტერბურგში და თავდავიწყებამდე მომწონდა საოპერო თუ საბალეტო წარმოდგენის დაწყებამდე ხუთი-ათი წუთით ადრე საორკესტრო «იამაში» მუსიკოსთა მიერ სხვადასხვა ტონალობაში გამოცემული ჰანგების მოსმენა. ყოველი მათგანი თავის პარტიტურას იმეორებდა და მოსასმენად შესანიშნავი ჰანგებით შეწყობილ მუსიკალური ანარქიის უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენდა. მე ვტკბებოდი სულიერად, ეს იყო ჩემი სამყარო, რომელიც იმ ჟამად დიდი ხნის მივიწყებული მქონდა და არც კი მინდოდა, რომ როდესმე გამხსენებოდა. მე მარტო ჩემთან ვიყავი ჩემ სულიერ განწყობასთან და არც კი მინდოდა ჩემთვის ვინმეს ხელი შეეშალა. ოპერის თეატრის განათებულ დარბაზს თანდათანობით აკლდებოდა შუქი და სრულიად სიბნელეში ჩვენს თვალწინ ორკესტრმა ამოანათა. დირიჟორი პულტთან იდგა და «სმიჩოკის» კაკუნით აწყნარებდა ორკესტრანტებს. გაისმა ტაშის ხმა, დირიჟორი მოტრიალდა ჩვენკენ, მისალმება და მადლობა თავდაბლობით გამოხატა და ისევ ორკესტრს მიუბრუნდა. ერთ წამს სიჩუმის ხმაც კი ვიგრძენით, ცოტაც და დირიჟორის ხელის ქნევას აყოლილმა საამო მუსიკამ მოაღწია ჩვენამდე. ფარდა ზანტად აიწია ზემოთკენ და სცენის გრილი სურნელება შემოევლო ჩვენს თბილ სახეებს. როგორც მუსიკალური სამყაროს განუყოფელმა ნაწილმა შვებით ამოვისუნთქე, უეცრად მოსანატრებელ გარემოში აღმოვჩნდი მთელი ჩემი არსებით და საოპერო თეატრის სივრცეში ყოფნით ვინუგეშებდი თავს.

პირველი მოქმედება შუაგულს არც კი იყო მიღწეული, როცა ჩვენი ბენუარის კარი ფრთხილად შემოაღო ვიღაცამ და ხელის მოძრაობით ჩემს ქმარს მიმართა, ფოიეში გასულიყო. მეუღლე ნელი მოძრაობით ღია კარს გასცდა, სულ ცოტა ხანში დაბრუნდა და ყურთან წამჩურჩულა: «ჩვენი წასვლის საქმეზე სასწრაფოდ მიბარებენ, ცოტა ხანში დავბრუნდები»-ო. თმებზე მეამბორა, ლოყით ლოყაზე შემეხო და ფეხაკრეფით გავიდა. მე ადგილიდან არც გავნძრეულვარ, ისე ჩაიარა მეორე მოქმედებამ, შემდეგ მას მესამეც მიჰყვა, ისე რომ ჩემს ფიქრებში ამარად დარჩენილს ტაშის ხმაური დროდადრო მაბრუნებდა ამქვეყნიურ სამყაროში. სპექტაკლი დამთავრდა და გასასვლელებისკენ დაიწყეს მოძრაობა მაყურებლებმა. სინათლით გაბრწყინებულ დარბაზში შუქი გამორთეს, ხოლო გასასვლელების კარებებთან მბჟუტავი ნათურები მეტისმეტი მომთხოვნელობით გვეპატიჟებოდნენ გასასვლელისკენ. ჩემი ბენუარის კარი ოპერის მომსახურემ შემოაღო და მოკრძალებით გასასვლელისკენ მიმითითა. მე ძლივს დავძარი სავარძელს ჩაკრული ქვედატანი და წამოვტორტმანდი, წამიერად თავბრუ დამეხვა. ოპერის მომსახურე მასპინძელმა შემატყო და ხელი შემაშველა. ფოიეს ოდნავ გრილმა ჰაერმა სული მომათქმევინა და ნელი მოძრაობით გასასვლელისკენ გა-

ვემართე. გამოვცდი აჭრელებული ფერადი შუშით ჩასმულ გარე კარებს და ქუჩაში აღმოვჩნდი. ვიღაც მანდილოსანი მომესალმა, მაგრამ მე მისთვის ყურადღება არც კი მიმიქევია. ეს უზრდელური ქცევა ძალაუნებურად დამემართა. იმიტომ რომ მაშინ ჩემი გონება სხვა ფიქრებით იყო დატვირთული. მიმოვიხედე ირგვლივ, პირველად, მეორედ, მესამედ... ჩემი დასანახი არავინ ჩანდა. მივეყრდენი აფიშებით შემორაზულ მრგვალ დაბალ სტენდს და შავი ღრუბლებით მოჭედილ ცას დავუწყე უაზროდ ცქერა. იმ წამსვე ჩემში დაგუბებული ემოცია რატომღაც განუწყვეტლივ მკარნახობდა, რომ ქუჩის ცხოვრებით ატალახებულ წუმპეში უნდა შემეტოპა. არ ვიცი კიდევ რამდენმა ხანმა გაიარა. გვიან შევამჩნიე ჩემ თავს, რომ სასტუმროსკენ ვმოძრაობდი. ძლივს შევაღე მისი მძიმე კარი და თბილმა ჰაერმა ოდნავ მომიალერსა ცივ ლოყებზე. სასტუმროს დახლთან ვიღაცამ ჩემი ნომრის გასაღები მომაწოდა. მე ისე გამოვართვი გასაღები, რომ მისთვის არც კი შემიხედავს. ავედი მეორე სართულზე და როგორ მივედი ზუსტად ჩემი ნომრის კარებთან არც კი მახსოვდა. ანდა რომ მხსომებოდა, ვითომ შეიცვლებოდა რამე. გასაღები ორჯერ გადავატრიალე და ნაცნობ გარემოში აღმოვჩნდი. იმედის გრძნობა წამებში მაინც მასულდგმულებდა. ვიცოდი, რომ ის იქ არ დამხვდებოდა, მაგრამ არ მინდოდა ამ ნაფიქრალის დაჯარება. ოთახის სიცარიელემ ჩემში დაისადგურა და თავმომწონედ გაისუსა ჩემს აზროვნებაში. უბედურების გრძნობა შემომენთო სახესა და მთელ სხეულზე. წავრტოტმანდი და სანამ გული წამივიდოდა, მოვასწარი იატაკზე ჩაკეცვა. არ ვიცი რამდენ ხანში, მაგრამ როცა თვალის ქუთუთოები ამოძრავდნენ, მაგიდისა და სკამების ფეხები, როგორც ტყიდან ხეები, თითქოს მეალერსებოდნენ. ფანჯრისკენ მივატრიალე თვალები და ვამჩნევდი, რომ დილის სინათლე თანდათან მატულობდა. ამასთან ერთად ქუჩას შეფენილი ხმაური თანდათან ძლიერდებოდა. თავს ძალა დავატანე და ახლოს მდგარ სკამზე რის ვაივაგლახით ავფოფხდი. მინდოდა გამერკვია, რა მომივიდა, ან რატომ ვიყავი ასე ცუდათ.

ცოტა ხანში კარებზე მორიდებული კაკუნის ხმა გაისმა.

— ლა პორტ, ელ ე უვერტ, ვიენზ ისი, სილ ვუ პლე! («კარები, ღიაა, შემობრძანდით, გეთაყვა») ძლივს გავძახე აკანკალებული ხმით. როგორც ყოველ დილით, იმ დილითაც შემოვიდა ფართე ჯიბეებიან სუფთა წინსაფარში გამოწყობილი და კოხტად მორგებული მაქმანიანი თეთრი «ჩეპჩიკით» თავშემოსილი მომსახურე ქალი. დიდი ხნის წინათ ახალგაზრდობასგადასულ მაგრამ გამომწვევად გამომყურე მომხიბლველობას შენარჩუნებულ «გორნიჩნაია»-ს ორივე ხელით ეჭირა ვერცხლისფერი სინი. მას სინზე კოხტად გაეწყო მინანქრით შემოვარაყებული დაბალი და ყურიანი ორი საჩაიე ჭიქა თავის ლამბაქებით. იქვე მოეთავსებინა დიდი და პატარა მუცელგაბერილი ორი ჩაიდანი, რომელიც კოხტად იყო შემოწყობილი ახლადგამომცხვარი, ჯერ კიდევ ცხელი ფუნთუშებით. სასტუმროს მომსახურემ საუზმით სავსე სინი მაგიდაზე მოათავსა და რუსულად მომმართა: «ინებეთ ქალბატონო». მე მადლობის ნიშნად თავი დავუხარე და

თითქმის ღამენათევმა, უღიმღამოდ ძლივს წარმოვთქვი: «მერსი ბოკუ». სიკეთით განწყობილმა მასპინძელმა შემიმჩნია უძილობა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

ჩაი ჩამოვასხი ჩემთან ახლო მდგარ ჭიქაში, შემდეგ მექანიკურად მეორე ჭიქაც სანახევროდ ავავსე. ერთი ყლუპი ძლივს მოვსვი და ჭიქა ლამბაქზე მოვათავსე მოკრძალებით. თითქოს გონს მოვედი. წავბარბაცდი კარებისკენ და პირველ სართულზე მორიგეს დახლს დავეყრდენი ორივე იდაყვით. მორიგე მომესალმა და ჩვეული ოსტატობით დამილოცა კიდეც მშვიდობის დილა. მისალმების ნიშნად თავი ოდნავ დავხარე და წავილუღლუღე რუსულად: «ჩემთვის ხომ არავის არაფერი არ დაუტოვებია?».

— დიახ, ქალბატონო, მორიდებით მიპასუხა სასტუმროს მორიგემ და დააყოლა: «გუშინ, გვიან საღამოს, თქვენმა მეუღლემ სასტუმროში ცხოვრების ფასი მთლიანად გადაიხადა და კიდევ დამატებით, აქ თქვენი ყოფნის სამი დღის თანხაც დაგვიტოვა და სიტყვიერად დაგიბარათ: «მაპატიოს ჩემი საქციელი, დამივიწყოს სამუდამოდ და აღარასოდეს აღარ მეძებოსო». ამ სიტყვების გაგონება მართლაც მოულოდნელი იყო ჩემთვის. ჟრუანტელმა ელვასავით გადამირბინა თავიდან ფეხებამდე, ცივი ოფლი წვეთებად დამაჩნდა შუბლზე, გავშეშდი, თვალები ამიწყლიანდა და ცრემლებად გადმომეღვარა.

მასთან გატარებული მთელი ხუთი წელი ერთ წამში არარაობად გადაიქცა. თურმე, ბოლომდე მაინც ვერ შემიცვნია ის ადამიანი, რომელსაც მთლიანად ვენდე მთელი ჩემი უსუსური მეობით. რით უნდა მოწამლულიყო ის პიროვნება, რომლის სიყვარული ჩემდამი იყო მართლადაც გულწრფელი. ვერ ვგრძნობდი, ასე მოღალატურად რატომ მომექცა. მხოლოდ სიკეთე და სიყვარული მისდამი იყო ჩემი მამოძრავებელი ძალა. და მაინც რატომ შეიცვალა დამოკიდებულება ჩემდამი. დახლს ჩავეჭიდე, რომ არ წავქცეულიყავი, ვიღაც გარსონმა ხელი შემაშველა და სასტუმროს ოთახში აღვმოჩნდი, როცა გონება დამიბრუნდა. ცივი ჩაი მოვსვი და იქვე სკამზე დავეშვი ღონემიხდილი. ვიგრძენი, რომ ჩემ ირგვლივ სამყარო აღარ არსებობდა. ცოტა ხანში თავს ძალა დავატანე და საწოლზე დავეგდე, ბალიშში თავი ჩავრგე და მწარე ცრემლით ავტირდი. სიკვდილი შვება იყო ჩემთვის, რომელსაც ჩემი გონებით უკვე სანთელანთებული დავეძებდი. ვნატრობდი იმქვეყნიურ სამოთხეს მაინც, რადგან ამქვეყნიური ჩემი ცხოვრებით სრულიად უდანაშაულო ვიყავი ყოვლის შემწყნარებელი ღმერთის წინაშე.

დრო კურნავს სულიერად დათრგუნულ ადამიანს, სწორედ მეც ასე მომექცა მოძრავი დრო. მაგრამ დრო შეუჩერებლივ მირბის და მეც როგორც მისიანი, რომ გავყოლოდი გაქცეულს, არ დამენანებოდა ჩემი სიცოცხლე, პირიქით, კიდეც გამიხარდებოდა, თუ კი იმწამიერ მოვასწრებდი სიხარულს. დროსთან შერიგებას არ ვაპირებდი, და არც ის იკლავდა ჩემთვის თავს. მოსაღამოვდა. ნახევრად ფხიზლად გატარებულ საათებს კარგა ხანია რაც ბედუკუღმართად დატრიალებული ჩემი

აუტანელი სიცოცხლის წუთების დათვლა დაეწყოთ. მაინც ვფიქრობდი: ნუთუ არასდროს დამიბრუნდება და არ შემიშრობს სევდიან თვალებს ის პიროვნება, რომელსაც ჩემი ხუთწლიანი სიცოცხლე ვაჩუქე სიყვარულთან ერთად. იმედი მქონდა, მაგრამ რეალობა თანდათან მძალავდა. რატომ გამწირა სასიკვდილოდ და თან ასე დაუნდობლად? და მართლაც ზვარაკად ვეწირებოდი ჩემი ცხოვრების ერთადერთ იმედს, რომელიც ჩემგან შორს იყო, და ისე შორს, რომ ვეღარასოდეს შევხვდებოდი მას შემთხვევითაც. მე იმ მომაკვდავ კატის კნუტს ვგავდი, რომელიც ლუკმის გადასაყლაპად რის ვაივაგლახით ნაგვის მაღალ ყუთთან მისულიყო და ამაოდ ცდილობდა მასში მოხვედრას, ღმერთისგან ბოძებული სიცოცხლის გადასარჩენად.

სასტუმრო ოთახს თვალი გადავავლე და უჩვეულო უწესრიგობამ ამიყოლია. საშინელება გავიფიქრე და მართალიც აღვმოჩნდი. ტრილიაჟის უჯრა გამოვაღე და იქ მოთავსებულ სიცარიელეს თითქოს ხელით შევეხე. იქ, სადაც ჩვენი მომავალი ცხოვრების ხელუხლებელი საგანძური ინახებოდა, გამოფხეკილიყო. გავხედე ტორშერს, სადაც ოპერაში წასვლემდე ჩემი მძივები, ყელსაბამები, ნაირნაირი საყურეები და ბრასლეტები (რომელიც მამაჩემმა სამოვარში ჩაგვიწყო) იყო მოთავსებული, სულ ერთიანად გამქრალიყვნენ. გამოვაღე ტანსაცმლის კარადა და ჩემი ტანსსამოსიდან იქაც არაფერი დამხვდა. დავეგდე საწოლზე, და შემზარავი ჩუმი ხმით და გულამოსკვნით ვტიროდი დიდხანს. «ვაი, რომ კაცად არ ვარგებულხარ!» ვაწევდი სიტყვას ჩემს საშინელ ქმარს, რომელმაც წინდახედული ნაბიჯით ხელი მკრა და პირდაპირ სიკვდილს ჩამაბარა დაჩონჩხილ ხელებში.

სულიერი ყოფიერების ამარად დარჩენილი და უნუგეშო ფიქრებით საოცრად დატანჯული, საღამოხანს უკანასკნელად გამოვედი ჩემთვის უკვე სევდით სავსე სასტუმროდან. უმისამართოდ სად მივდიოდი ვერ ვიაზრებდი, ტფილისის მოალერსე ოდნავი სიო გაშმაგებულ სახეს მიგრილებდა. გადავიარე ალექსანდრეს ბაღი, სადაც ცოტა ხნით შევისვენე და აუტანელი სამი დღის დაღლილმა ერთხანს სული მოვითქვი. ბაღის მოგრძო სკამიდან რომ წამოვდექი, ჩემთვის უკვე აღარ არსებობდა ჩემ ირგვლივ მოძრავი სამყარო, ხოლო ჩემი გონება ერთი მიზნით იყო გამჭვალული. როგორმე ხიდამდე მიმეღწია და გავმქრალიყავი ჩემთვის უსიამოვნო და გაუსაძლისი სამყაროდან. ვორონცოვის ხიდის შუაგულამდე არც კი ვიყავი მისული, რომ უეცრად შევტრიალდი, ზედა ტანით გადავეკიდე მოაჯირს, გადავხედე ამღვრეულ ტალღებს და გონება დავკარგე.

გონს რომ მოვედი, ვიღაც თმაშევერცხლილი კაცი ორივე ხელით მკლავებში ჩამჭიდებოდა და ყურთან მსაყვედურობდა ჩემთვის გაუგებარი სიტყვებით:

— «რას აკეთებთ, ქალბატონო, რამ გაიძულათ, ეს ცხოვრება იმად არ ღირს, რომ მას მსხვერპლად შეეწიროთ!», თითქმის მიყვიროდა და თან მაჯანჯღარებდა, რომ მოვსულიერებულიყავი. ოდნავ გავახილე თვალები და ძალაუნებურად მივენდე ჩემზე გამწყრალ ადამიანს. მან

ხელი გამაშვებინა მოაჯირისთვის, ერთი-ორი ნაბიჯით მომარიდა საბედისწერო ადგილს. შემდეგ ორივემ ერთად ნელი მოძრაობით დავიწყეთ სვლა ვორონცოვის მოედნისკენ. მე კი, მის ხელკავზე ჩაჭიდებული, ძლივს მივათრევდი ფეხებს და რის ვაივაგლახით ვაცილებდი ერთმანეთს. მეზიზღებოდა ჩემი გასაცოდავებული არსება. მწარედ ვნანობდი, რომ ვერ ვუშველე ჩემ თავს, ვერ დავუსხლტდი აქაურობას.

ძალიან გულისხმიერ, მაგრამ ჩემთვის უცნობ ადამიანს სულიერად მივენდე და გზადაგზა მოვუყევი ჩემი გასაჭირი. მან ხელი აღარ გამიშვა და წამიყვანა თავისთან; შემომთავაზა დავრჩენილიყავი მასთან ოჯახში და მეცხოვრა იქ, როგორც მისი ოჯახის წევრს.

* * *

ბიტეპაჟმა შეწყვიტა ფრანგულად საუბარი (იგი ყოველთვის ფრანგულად მიყვებოდა თავის თავგადასავალს) და ალმაცერად გადმომხედა. ასე გვერდულად შემომხედავდა მხოლოდ მაშინ, როცა მომდევნო გაკვეთილზე აგვიანდებოდა. ვატყობდი, ამჯერად უკვე დაგვიანებული იყო. მე გავაცილე ქუჩამდე და მანქანაში ჩავსვი, ფული გადავუხადე და მასწავლებლის მიერ ფრანგულად ნათქვამი მისამართი გადავუთარგმნე მძღოლს. «უცხოელია»? იკითხა მძროლმა. «დიახ, ფრანგია!» თითქოს ვიცრუე მე, არა და, ისტორიულად ქართველებისთვის «ფრანგი» ყოველთვის ევროპელს აღნიშნავდა.

არ გავიდოდა გაკვეთილი, რომ ჩემი თანდასწრებით ხმამაღლა არ დაელოცა ის ოჯახი, რომელმაც მისი სასოწარკვეთის ჟამს აღმოუჩინა მას ცხოვრებისეული დახმარება. თავისთვის, მაგრამ რატომღაც ხმამაღლა ლოცავდა პროფესორ აგლაძეების ოჯახს და თანაც მაღალფარდოვანი ისეთი სიტყვებით, რომლებსაც ეკლესიაში თუ გაიგონებდა კაცი. მადლიერი იყო იმ ოჯახის, რომლის დიდებულმა თავკაცმა გადაურჩინა მას სიცოცხლე მისი უბედურების ჟამს. «პროფესორ აგლაძის ოჯახი» ყოველთვის მადლიერებით მოიხსენებდა მათ.

მე რომ გავიცანი ჩემი მასწავლებელი, ის უკვე ცალკე ცხოვრობდა ვერეს უბანში, «ლურჯ მონასტრად» წოდებული ეკლესიის ეზოში, პატარა ზომის ერთოთახიან სახლში. დილაობით ჩაის იცხელებდა და მირთმევდა წინა დღით ნაყიდი ფუნთუშის დაყოლებით. შუადღეს ოდნავ გადასულს ალექსანდრ მელიქ-აზარიანის სახლის პირველ სართულზე მოთავსებულ კაფეტერიაში დადიოდა სასადილოდ (შემდეგ იქ აფთიაქი იყო გახსნილი; ახლა კი მაცივრებს და კონდიციონერებს ყიდიან ფირმა «ბეკო»-ს ქუდქვეშ). ერთგვარ სიამოვნებას გრძნობდა მოწაფეებთან ყოფნის დროს და ხანდახან ცხოვრებისეულ ფიქრებში ერთწამიერად გადაერთვებოდა. ძმები ამირანაშვილები მაშინვე გავისუსებოდით და ხელს არ ვუშლიდით, ვაცდიდით, სანამ თითონვე დაანებებდა ფიქრებს თავს და დაბრუნდებოდა ჩვენთან.

ჩვენთვის უცნაური გვარის ბიტეპაჟი (ამ გვარს როგორც სახელს ისე ვეძახდით ქალბატონ მასწავლებელს) წარმოშობით გერმანელი იყო და

მშობლიურ ენაზე სხაპასხუპით აფრქვევდა სიტყვებს. მე მოვიწადინე გერმანულის შესწავლაც, მაგრამ ცოტა ხანში გული ავიცრუე და თავი გავანებე წამოწყებულ საქმეს, რადგანაც სტუდენტურ ახალგაზრდობას თავისი გაჰქონდა და უსაქმურობას ბევრი დროც ეწირებოდა. ამის გამო სტუდენტობის დროს კვირაში ერთხელ ვთხოვე მეცადინეობა, როდესაც ძალდატანებით ვაყოლინებდი თავის ცხოვრებისეულ ამბებს. კვირაში ერთხელ მოდიოდა ჩვენთან ფრანგულის მასწავლებელი და გვქონდა საუბარი ამ შესანიშნავ ევროპულ ენაზე. ადამიანურად მეცოდებოდა მასწავლებელი, თანაც ქალი, რომელიც შრომობდა, რომ ლუკმა-პურით გაეტანა ისედაც მობეზრებულ მის სიცოცხლეს აყოლილი ცხოვრება. არ ვშორდებოდი, რადგანაც ვგრძნობდი, რომ ყველაფერი მეტად უჭირდა. ამიტომ მასწავლებლისთვის კუთვნილ გასამჯელოს მამას ისე ვახდევინებდი, თითქოს კვირაში ორჯერ ჩაეტარებინოს ჩემთვის გაკვეთილი. ვეუბნებოდი, რომ ბიტეპაჟმა ჩამიტარა რვა გაკვეთილი და ერთი თვის ფული გადაუხადეო. მამაც ხმაამოუღებლივ ასრულებდა ჩემს თხოვნას. ფულის მიღების დროს თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა ჩემი მასწავლებელი, მე კი იმ დროს მკაცრი გამომეტყველებით შევაგებებდი სახეს და ფრანგულად დავუყოლებდი: «სილანს, სილ ვუ პლე», ისიც გრძნობდა ჩემგან წამოსულ სიკეთეს, თავდახრით ჩუმდებოდა და თვალებით მადლობას მიხდიდა. მას მხოლოდ მცირეოდენი ჭირდებოდა სიცოცხლით შევსებული ყოველდღიური ცხოვრებისათვის. შრომობდა ყოველთვის და ალბათ იშრომებდა იმ ბოლო დღესაც, როცა გაბრიელი მისთვის მოიცლიდა.

ვატყობდი, რომ ბიტეპაჟს სიამოვნებდა ჩვენთან სტუმრობა. ხშირად არა, მაგრამ ხანდახან, ჩაის და რაიმე ნამცხვარს შემოგვთავაზებდა მამაჩემის დედა, ბები ასინეთი. მასწავლებელი მეტად მოკრძალებით და თავაზიანად მიირთმევდა ლანჩს. წახემსებისას ვატყობდი, რომ წარსულს გაყოლილ და შთანთქმულ ახალგაზრდობის სამოთხეში წამიერად გრძნობდა თავს.

სასტუმრო ოთახში სადაც ვმეცადინეობდით, შავი როიალი გვედგა, რომელიც მართალია არ იყო «ბეკკერის» ფირმის, მაგრამ ემოციურად განწყობილი მასწავლებელი ისეთი სიამოვნებით უყურებდა მას, რომ მის წარმოსახვაში თითქოს უკრავდა კიდეც. მე ვერ ვგრძნობდი მისი წარსულის სულიერ სამყაროს. უბრალოდ, მაშინ არ ვიცოდი მიზეზი მისი აღტკინებისა მუსიკალური ინსტრუმენტისადმი. შესაძლებელია, ბავშვობიდან ახალგაზრდობამდე იგი ეწაფებოდა მუსიკალურ განათლებას, და ახლა ცხოვრება ხელს არ უწყობდა მიკარებოდა მისთვის ბავშვობიდანვე ნაცნობ მიჯრით გაწყობილ თეთრ-შავ კლავიშებს. ჩვენთან ყოფნის დროს არც არასდროს წამოცდენია დაუოკებელი სურვილი ერთხელ მაინც დაეკრა როიალზე. რა სავალალოა, რომ მხოლოდ დღეს, ჩემი სიბერის დღეებში ნათლად წარმომესახა ჩემი მასწავლებლის ჩემთვის მიუწვდომელი მაშინდელი გრძნობები.

გავიდა დიდი ხანი და მასთან ერთად დაუთვლელი დროც.

მე დავოჯახდი და უცხო ენებისთვის უკვე აღარ მეცალა. ხანდახან თუ გადავავლებდი ფრანგულ ლიტერატურას თვალს. მეუღლე თუ დამინახავდა, რომ ვკითხულობდი, იმ წამსვე რაღაც საოჯახო საქმეს დამავალებდა. «დელომ ზაიმის», მეუბნებოდა რუსულად.

ერთ დილით, მამამ დამირეკა და მითხრა ის, რაც საერთოდ რომ არ მცოდნოდა, ჯობდა ალბათ. «ბიტეპაჟი გარდაიცვალაო, დღეს გამოსვენებაა ტრავმატოლოგიური საადავმყოფოდან, ორ საათზე» მითხრა და იმწამსვე დამიკიდა ყურმილი.

რასაკვირველია მივედი. ცრემლებს თვალებზევე ვიშრობდი, ჩემთვის ჩუმად, ხმაამოუღებლივ. მისმა გაკვეთილებმა გადამირბინა თვალწინ, ის ადამიანი ყოველთვის ცოცხლობდა ჩემში და ახლაც, მისგან გამოთქმული ფრანგული სიტყვები მისივე ხმით მესმოდა განუწყვეტლივ. თხუთმეტზე მეტი წელი იყო გასული, რაც არ მენახა საერთოდ (ასეთი ქცევა დღემდე კისერზე მაწევს ლოდივით, ვერასდროს ვაპატიეს ჩემს თავს). მას შემდეგ, რაც კურტანივით ავიკიდე ოჯახისეული დავიდარაბა, რაც ცხოვრების აღმართზე თანდათანობით მძიმდებოდა და ტვირთმოკიდებულს ქურთი «ნასილშჩიკივით» წელში მხრიდა.

სასახლეს რომ გავხედე, ჩემი მასწავლებელი გაფითრებული იწვა და ზეციურ ანგელოზთა სიმკრთალე მთლიანად მოსდებოდა მის სახესა და ხელის მტევნებს. სულით ძლიერი და ფიზიკურად სუსტი ადამიანი მთელი სხეულით მიკრობოდა შემორაგულ სარეცელს. ვატყობდი, რომ აუტანელი ცხოვრებისგან და სულიერად აღქმული ტანჯვისგან ბოლომდე დაღლილ-დაქანცულიყო. მისი ხმაამოუღებელი არარაობა თითქოს მაგრძნობინებდა, რომ სიკეთის მთესველი ადამიანი მაინც მაგრად ეწვალებინა დაუპატიჟებელ სიკვდილს. მარადიულ არარაობას, ფარისევლური მოფერებით და ტკივილების შეპარული მატებით მაგრად მოეჭირა დაჩონჩხილი ხელები უძლურის გაუსაძლისი სიცოცხლისათვის. დამცინავად მომღიმარე სახით, უსასრულოდ ცოცხალი სიკვდილი უსირცხვილოდ მიაცილებდა გასაცოდავებულს სამუდამო მხარეში. ვერ მოვიაზრე და გაურკვეველი იყო ჩემთვის, ასე ულმობლად თუ რატომ დაასვა იმქვეყნის ბატონ-პატრონმა სიმწრის უკანასკნელი დაღი ამქვეყნის უსუსურ მოხუც ქალს. მიაგნო რა! ნუთუ ცხოვრებისეულად ამ ბედკრული და დაბეჩავებულის მეტი იმ დღეს ვერავინ ნახა! მარადისობამ სწორედ რომ მიაგნო იმ ადამიანს, რომელსაც ცხოვრებისეული საშინელება აღარ აკმარა სიცოცხლეში. მიქელ-გაბრიელი დანაშაულად უთვლიდა თავს, რომ მოსაფერებლად ვერ გადაეხვია ხიდზე მდგარ სიმწრით აღსავსე ლამაზი ახალგაზრდა ქალის სიცოცხლეს, რომელიც ვიღაცის ხელმა გამოსტაცა ბედისწერის მორევიდან.

იანვრის ბოლო რიცხვები იყო, მაგრამ მასწავლებლის გამოსვენების დღეს მზე ღრუბლებიდან ბჟუტავდა და საკმაოდ თბილოდა. მისი ცხედრის ირგვლივ ათამდე კაცი ვტრიალებდით; უმეტესობა მისი მოწაფეები ვიყავით, რომლებიც არც კი ვიცნობდით ერთმანეთს, სასახლის უსულო

პატრონი კი ყველას გვიცნობდა. სულგაცლილი მასწავლებელი პირველად და უკანასკნელად გვაერთიანებდა თავის გარშემო მის მოწაფეებს. მაგრამ ეშაფოტზე შემდგარ ჩვენს დამაკავშირებელ ადამიანს ჩვენთვის აღარ ეცალა. უსულოდ დარჩენილი თავის უკანასკნელ გზას თითონვე მიიკვლევდა. ცრემლმორეული გამტირებელი ნათესავი არავინ ყავდა. თბილისში გადმოხვეწილისათვის მისი გვარის არც ერთ ევროპელს, საერთოდ არც გახსენებიათ სადღაც საქართველოში მაცხოვრებელი მათი თანამემამულე.

როგორც შემდეგ შევიტყვე, სიკვდილის წინადღის საღამოხანს, მასწავლებლის სანახავად საავადმყოფოში მისულა ჩემი ძმა და მამა, რომელთაც უნუგეშებიათ საწოლს მიკრული ოლგა მიხეილის ასული ბიტეპაჟი. მათ ყველაფერი უღონიათ, რომ ქართველთათვის ამაგდარი უცხოელი უმტკივნეულოდ გადასულიყო სამუდამო სამყოფელში. იმ ბოლო ღამეს დამთავრდა სიცოცხლე, რომელიც ხიდზე გადაურჩა სიკვდილს.

მამაჩემმა, და მასწავლებლის რამოდენიმე მოწაფემ მივაცილეთ პეტრე-პავლეს სასაფლაოს სამარემდე. მესაფლავეებს მივეხმარეთ და მათთან ერთად ფრთხილად ჩავუშვით სამუდამო ადგილსამყოფელს ჩვენი მასწავლებელი, და ისე მოკრძალებით, რომ თითქოს არაფერი ტკენოდა მას. მან ხომ მაინც გაუძლო მისთვის გაუსაძლის ცხოვრებას და ჩვენ თვალწინ ღვთისნიერ მარადიულობას ერთი უსულო ადამიანიც შეემატა.

ორმა მესაფლავემ და ერთმანეთისადმი უცნობმა მოწაფეებმა ოთხკუთხედად ჩაჭრილი მიწა ფრთხილად ამოვავსეთ. ბიტეპაჟის ადგილსამყოფელის სანაცვლოდ დარჩენილი მიწაც ზემოდან დავაყარეთ მიწის სურნელებით შეფენილ საფლავს. ჩვენთვის უცნობმა ვიღაც ქალმა გადამჭკნარი ყვავილების თაიგული ფრთხილად მოათავსა საფლავის ამოვსებულ მიწაყრილზე. მესაფლავემ შავად შეღებილი რკინის ტრაფარეტი ჩაარჭო საფლავს. მასზე ზეთის თეთრი საღებავით წაწერილი იყო ხუთნიშნა ნომერი, გვარი არ ეწერა. მამამ მესაფლავეებსაც სამყოფეზე მეტი ფული გადაუხადა. მათ კი, ბევრჯერ ნათქვამი მადლიანი სიტყვებით აცხონეს გარდაცვლილი და დიდი მადლობა გადაუხადეს ყველას, და განსაკუთრებით, ჩვენ შორის მყოფ უფროს ადამიანს. ყველანი ვგრძნობდით, რომ ბიტეპაჟის საფლავთან უკანასკნელად ვიდექით. ყველანი ერთიანად ვგრძნობდით, რომ მეტჯერ იქ აღარავინ მივიდოდა. იმ იმედით ვიყავით მოსილი, რომ აღდგომის მეორე დღეს ვინმე გამვლელი თუ შეხედავდა უსახელოდ დანომრილ საფლავს და ქრისტეს სისხლში ამოვლებულ კვერცხს გადაუგორებდა თბილისელ უცხოელს. ამით მადლს მოისხამდა ჩვენ მაგიერ, ვისი მასწავლებელი ან უბრალოდ ნაცნობი იყო ფრანგულის მასწავლებელი, უცხოეთიდან ოდესღაც გადმოხვეწილი და ახლა, სამუდამო სამყოფელს მიბარებული და ქართული მიწით შემთბარი მისი უსულო მარადიულობა.

ყველა დავიშალეთ უხმოდ, ერთი ჭიქა შესანდობარიც არ შეგვისვამს, არც იქ საფლავთან და არც არსად სხვაგან. მესაფლავეებიც, ლუკმა პუ-

რის და ჭიქა ღვინის გარეშე დავტოვეთ. მოვალედ ვგრძნობდით თავს, მაგრამ..., აი ესეც, მისი მოწაფეები! მაშინ, და ალბათ ახლაც, მხოლოდ საქართველოს მიწაზე მანათობელი მზე თავის გულუხვი სხივებით თუ ათბობს წარმოშობით გერმანიის ქალაქ ბრაუნშვეიგში მაცხოვრებელი ბიტეპაჟების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლის, თბილისელი ქალბატონის ოლგა მიხეილის ასულ ბიტეპაჟის სამარადისო სამყოფელს.

იმ წელს, იანვრის მომდევნო თვეს, ბიტეპაჟის გარდაცვალებიდან ზუსტად ორი კვირის თავზე, გარდაიცვალა მამაჩემიც, რომელმაც თავიდან ბოლომდე უპატრონა ჩემს ფრანგულის მასწავლებელს. მხოლოდ ამაზე თუ შეიძლება ითქვას, რომ ბედი ჰქონიაო ბიტეპაჟს.

XIX

1). 60 წლის შალვა ამირანაშვილი. კარიკატურისტ გიგლა ფირცხალავას «მხატვრული შარჟი» და პოეტ ზაურ ბოლქვაძის «იუმორით გალექსილი სიმართლე»

1959 წლის მარტის თვეში შალვა ამირანაშვილს შეუსრულდა დაბადებიდან სამოცი წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით სატირულ-იუმორისტულმა ჟურნალმა «ნიანგი» გამოაქვეყნა კარიკატურისტის გიგლა ფირცხალავას მხატვრული შარჟი: შალვა ამირანაშვილს ხელში უჭირავს ხელოვნების მუზეუმის შენობა და იბღვირება. შალვამ, როგორც კი ნახა მისი მხატვრული სახე «ნიანგში», მაშინვე წამოიყვირა: «ზუსტი მსგავსებაა! ამ კარიკატურაში მე უფრო ვგავარ ჩემს თავს, ვიდრე სიცოცხლეში!». «ამ წუთში ჩადი და ათი მანეთის «ნიანგი» ამოიტანე, მეგობარ-ამხანაგებს უნდა დავურიგოო». მე უსიტყვოდ შევუსრულე თხოვნა. რამოდენიმე ხანში ისევ იმავ იშტაზე მოვიდა მამა, როგორც პირველჯერ, როცა თავის თავი ნახა «ნიანგში», მაშინვე დააძრო ხუთი მანეთი და მითხრა: «კიდევ ხუთი მანეთის ამოიტანეო». ჩავედი საყიდლად, მივედი ჯიხურთან და დახლზე არც ერთი ცალი «ნიანგი» აღარ დამხვდა. გამყიდველმა ჩხუბი დამიწყო, რამდენი წაიღე და კიდევ რად გინდაო. მე ავუხსენი და დავუმატე: «ხუთ მანეთად რამდენიც გინდა იმდენი გამატანეო» და ფული დახლს მივაკარი. გამყიდველმა თავი შეყო დახლ ქვეშ და ჟურნალების თხელი დასტა მომითავსა ხელებში. მე დიდი მადლობა გადავუხადე ორმაგ ფასად ნაყიდ ჟურნალებში. სიმწრით შეძენილი ჟურნალები მივუტანე მამას, რომელმაც ალმაცერად გადმომხედა. «მეტი არ ჰქონდაო» მივუყოლე სიტყვები და ესეც ვუთხარი: «კიდევ თუ დაგჭირდება, სხვაგან ვიყიდი», მეთქი.

ხელი წავატანე ერთ ჟურნალს, გადავშალე სათანადო გვერდზე, სადაც გიგლა ფირცხალავას მხატვრულ შარჟთან ერთად პოეტ ზაურ ბოლქვაძის იუმორისტული ლექსიც იყო მოთავსებული შალვა ამირანაშვილზე და თეატრალური გამოთქმით ხმამაღლა წავიკითხე: «უბისს

ავაგე ტაძარი, მეტეხიც ვიცი რაც არის, მრავალ ხატსა და ჩუქურთმას, ვწმინდე მტვერი და ნაცარი, ახლა მუზეუმს განვაგებ, ნაომარ-ნამამაცარი!» მამა მიღიმოდა და ნასიამოვნები აღიქვამდა ჩემ მიერ გამოთქმით წაკითხულ ჭეშმარიტების გამომხატველ იუმორს.

2). ჩემი მეგობარი როლანდ ბურჭულაძე

მეოთხე კურსზე რომ გადავედით, თანაჯგუფელი მეგობარი როლანდ ბურჭულაძე თავიდანვე არ აცდენდა ლექციებს, ხოლო შემდეგ გული აიცრუა და თვეში ერთხელ, სავსე მთვარესავით გაბადრული თუ გამოჩნდებოდა უნივრსიტეტში. შემდეგ კი საერთოდ ვერ ვხედავდით მას და აღარც თვითონ იკლავდა თავს ჩვენი ნახვით. დედამისისთვის რომ დაგვერეკა, ერთი და იგივე პასუხი მზად ჰქონდა მას: «ლექციებზეა უნივერსიტეტშიო», არა და უნივერსიტეტიდან ვურეკავდით, როცა ქეიფის ვარიანტი ავარდებოდა. უიმისოდ არც არასდროს გვიპურმარილია. ის ყველაზე მეტს სვამდა (ჩვენ რომ ზედმეტად არ დავმთვრალიყავით) და თვითონ მას, არც კი ეტყობოდა ბახუსი, ჩვენ კი «მიკროლიტრაშკებს» გვეძახდა. ქეიფის შემდეგ ჩამოგვარიგებდა სახლებში და მხოლოდ გამთენიისას მიადგებოდა თავის სახლს. და აი ასეთი ადამიანს ვეღარ ვპოულობდით მეოთხე კურსის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ერთ დღეს, პირველი ლექციის შემდეგ, მომდევნო ლექცია გაგვიცდა. ყველა ერთნაირად, ყოველ დილით ვერ ვასწრებდით საუზმობას და უხემსად გავრბოდით უნივერშიტეტში. იმ დღეს კი გაცდენილი ორი საათი, თუ სად უნდა გაგვეტარებინა, ვერ წარმოგვედგინა. მესამე ლექციას კი აუცილებლად უნდა დავსწრებოდით.

მე იქვე, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მოპირდაპირედ ვცხოვრობდი. ჩემი თანაჯგუფელები მივიპატიჟე ჩემთან ყავა-ჩაიზე და იქვე ჩემს სახლთან ნამცხვრების ყიდვაც მოვასწარი (ყავის სმა ახალი მოდა იყო ჩემი სტუდენტობის დროს). შესვლისთანავე ოჯახის დიასახლისს — მამიდაჩემს გავძახე, ჩაიდანი წამოედუღებინა. მეგობრები მივიპატიჟე სასტუმრო ოთახში. ერთი სავარძელში ჩასკუპდა, მეორე, იატაკიდან ჭერამდე კედელსმიდგმულ თაროებთან მივიდა და წიგნებს მიაჩერდა. მამიდამ სუფრა გააწყო, ოჯახური საუზმეც შემოგვთავაზა და ჩემი ნაყიდი ნამცხვრები ფართე სინზე მოათავსა. ახალდაყენებული ჩაი: «ქართული თაიგული» მიმზიდველ სურნელებას აფრქვევდა. მამიდაჩემმა ხსნადი ანუ უნალექო ყავაც შემოგვთავაზა, რაზეც ყველამ ჩვენ უარი განვუცხადეთ. «ყველას» მამიდამ ჩაი ჩამოგვისხა ფიალებში, ზედმეტად ერთი ფიალაც აავსო და სუფრასთან მიგვიპატიჟა. შემდეგ მამაჩემის კაბინეტის კარი ოდნავ შეაღო და ჩვენ გასაგონად ხმამაღლა გასძახა:

— როლანდ, მობრძანდით, საუზმე მიირთვით!

ამ სახელის გაგონებაზე ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ, შემდეგ ორმა ჩემმა მეგობარმა მე შემომხედა გაკვირვებით. მე მხრები ავიჩეჩე და ტუ-

ჩებიც გასაგებად დავბრიცე. კახელმა მეგობარმა ჩაიხითხითა და ყველას გასაგონად ხმამაღლა წარმოთქვა:

— ამას აქ რა უნდა!

მოპატიჟებული გურული ღიმილით შემოვიდა სასტუმრო ოთახში და ჩვენთან მოსალმების გარეშე, დაჩვეული მოძრაობით ცარიელი სკამი შეავსო.

— უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენთან დადის როლანდი, წარმოთქვა მასპინძელმა და განაგრძო: როგორც კი შალვა გადის სახლიდან, შემოდის ჩვენთან როლანდი, ზის მის კაბინეტში და წიგნებს კითხულობს, ბოლომდე გაგვიმარტა მამიდამ.

— ბიბლიოთეკის წიგნები აღარ გყოფნის, პატენი! უსაყვედურა მეგრელმა.

— ბატონმა შალვამ ნება დამრთო, გაიმართლა თავი გურულმა.

— ალბათ, თხოვნით შეაწუხე ადამიანი! უსაყვედურა კახელმა, ისე რომ ხითხითში გადასულ ღიმილს ვერ იცილებდა სახიდან.

— რაც ვერ მოვიძიე საჯარო ბიბლიოთეკაში, ის ლიტერატურა ბატონი შალვას კაბინეტში აღმოჩნდა. და ფაქტიურად ამან გადამაწყვეტინა გულბადის მამის შეწუხება. ბატონი შალვა დამეთანხმა, რომ მის კაბინეტში წამეკითხა ჩემთვის საჭირო წიგნები და ამიტომ აღმოვჩნდი აქ.

მე ჩაი ოდნავ მოვსვი და ნამცხვარს გემო გავუსინჯე. მეგობრებმა მომბაძეს და ჩაის ორი თუ სამი ყლუპი გადაუშვეს ხახაში, მერე ნამცხვარიც დააყოლეს.

დიასახლისმა ჩაი ხელმეორედ შემოგვთავაზა. ჩვენ სამივემ ერთხმად ვიუარეთ. გურულმა კი გაუწოდა უკვე გაცარიელებული ფიალა და მამიდაჩემმა ჩვეული მოძრაობით აუვსო.

— ლექციაზე ხომ არ წამობრძანდებოდით, გურულო! დამცინავად შესთავაზა კახელმა.

— ვისი ლექციაა? მაინც იკითხა გურულმა.

— თედო ლობჟანიძის! წაუყვირა კახელმა.

— როგორც მოგეხსენებათ, კომპარტიის ისტორია! კვერიც დაუკრა მეგრელმა.

— მოგცლიათ ერთი! მეტი საქმე არა მაქვს! დაბეჯითებით წარმოთქვა შალვა ამირანაშვილის ოჯახში გაშინაურებულმა გურულმა.

— თუ მეტი საქმე არა გაქვს, მაშინ დარჩი და იკითხე წიგნები! მერე გამოცდებზე რომ არ დაგიშვებენ, მაგასაც ვნახავთ! გავეხუმრე იმერელმა იმერული მოაზრებულობით და ალმაცერად გავხედე გურულს.

გურული ღიმილს არ იშორებდა სახიდან.

1959 წლის ივნისში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ ხელი მოაწერა უნივერსიტეტის მეცნიერთა საბჭოს გადაწყვეტილებას: «ისტორიის ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილების IV კურსის სტუდენტი როლანდ სერგის-ძე ბურჭულაძე დატოვებულ იქნას მეოთხე კურსზე».

საბჭოს გადაწყვეტილებას სულ სიცილით შეხვდა ჩვენი მეგობარი და ამბობდა: «შეეძლოთ გავეგდე კიდეც და ახიც იქნებოდა, მაგრამ შემიწყალეს» და ისევ იღიმებოდა.

ჩვენ კი ნამდვილად ვნანობდით თავკაცის უთავბოლოდ გამოცალკევებას ჩვენგან.

3). ძმა-ბახო

სტუდენტობის წლები შესანიშნავი პერიოდია ახალგაზრდის ცხოვრებაში. სწავლა და სერიოზული სიყვარული ერთმანეთს ვერ უქცევდნენ გვერდს და გვერდიგვერდ სულდგმულობდნენ. სტუდენტები თვალებს ვაცეცებდით და ვიღაც შეუცნობელს ვეძებდით წამდაუწუმ. ბიჭებს დანაწილებული გვყავდა კურსელი გოგოები და ერთმანეთის მიმართ ძალაუნებურად გაღვივებული ტრფიალი შეუმჩნევლად გვაახლოებდა ურთიერთს. ჩვენს თავკაცს, ჰასან ნადირაძეს, რომელიც ორი-სამი წლით ჩვენზე უფროსი იყო, ჩვენს შეუმჩნევლად გრძნობდა ჩვენში მოწოლილი სიყვარულის ძალას და ყოველთვის ცნობისმოყვარეობით ეღიმებოდა ჩვენზე. ეს ის პერიოდი იყო, როცა დროსტარებას გადაყოლილ ახალგაზრდას ყველაზე მეტად ჭირდებოდა მასთან დაკავშირებული სახსრები.

კურსის თავკაცს, როცა ჩემი ძმა გაეცნო და თავის სახელად წარმოუთქვა «ბუხუ», ჰასანა შეიშმუშნა და მოურიდებლად უთხრა მას: «ბუხუ» რა სახელია, ამიერიდან შენ იქნები «ბახო»!. ბუხუს მოეწონა ნათლიადქცეულ ჰასანას წამონათქვამი და ახალი სახელი იმთავითვე შეიმშვენა კიდეც. 1955 წლიდან დღემდე, ნაცნობი და უცნობიც მხოლოდ «ბახო» სახელით იცნობენ ჩემ ძმა ბუხუს.

ერთ საღამოს, როცა ლექციებიდან დიდი ხნის დაბრუნებული ვიყავი, კაბინეტიდან შემოგვესმა მამის განწირული ხმა: ესა და ეს წიგნი (დაასახელა წიგნის სათაური) მაგიდაზე იდო და ახლა აღარ ჩანს, სად უნდა გამქრალიყო.

ჩვენ, მე და ჩემი ძმა, მამის ყვირილზე შევვარდით მის კაბინეტში და მამის ცხვირწინ შევჩერდით. მამა იმდენად შეშფოთებული იყო, რომ თვალებს აცეცებდა, ეშინოდა არ დაკარგვოდა იმ მომენტში საჭირო წიგნი. ჩვენ ძმებმა ერთდროულად შევამჩნიეთ მამის მიერ დასახელებული წიგნი, რომელსაც თაბახის დაუწერელი ფურცლები უსწორმასწოროდ ეფარა. წიგნის აღმოჩენა იმდენად გაეხარდა მამას, რომ ორივე ძმა დაგვაჯილდოვა ხუთ-ხუთ მანეთით. ჩვენ გაგვიხარდა, რადგანაც ხინკლისა და ლუდის საყიდელი ფული უშრომელად ვიშოვეთ (მაშინ ცალი ხინკალი ხუთი კაპიკი ღირდა, გულ-ღვიძლის ღვეზელი კი ოთხი კაპიკი. მთელ რუსთაველზე ცნობილი იყო, რომ საუკეთესო ღვეზელი და ხინკალი მზადდებოდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან ახლოს, კინოთეატრ «ვოროშილოვის კლუბის» შესასვლელში მოთავსებულ სასაუზმეში, რომელსაც ხშირად ჩვენც ვსტუმრობდით).

ამ შემთხვევიდან არც იყო გასული ორი თუ სამი დღე, რომ მამის სამუშაო კაბინეტიდან ისევ შემოგვესმა მამის გამეტებული ყვირილი: «აქ წიგნი მქონდა გადაშლილი და აღარ ჩანს, მომიძებნეთ ახლავე!» ძმებმა ამირანაშვილებმა დავუწყეთ წიგნს ძებნა. «რანაირი ფორმატის იყო?» შეეკითხა ჩემი ძმა ბახო. მამამაც დაუსახელა ფორმატი. ცოტა ხნის ძებნის შემდეგ წიგნი იპოვა ბახომ და ხუთი მანეთიც მანვე დაიმსახურა.

რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ აყვირდა მამა: «წიგნი დამეკარგა და მიპოვეთ ჩქარაო!» საჭირო წიგნი ისევ ბახომ უპოვა და ხუთი მანეთი მანვე ჩაიჯიბა. მე, დავეჭვდი, რადგან რატომღაც მხოლოდ ბახო პოულობდა მამის თვალსაწიერიდან გამქრალ წიგნებს, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რაში იყო საქმე.

ერთხელაც ძმას თვალი გავაყოლე, რომელიც სასადილო ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა და მამის კაბინეტში მოურიდებლად შევიდა. შემთხვევით ოდნავ ღიად დატოვებული კარების მოგრძო ღრიჭოს მივატანე თვალი და დაინტერესებით გავიჭვრიტე. ძმის შეუმჩნევლად დავინახე, რომ მამის საწერ მაგიდაზე გადაშლილი წიგნი ბახომ დახურა და იქვე თაროზე მოთავსებულ წიგნებში ოსტატურად ჩასვა.

საღამო ხანს, მამის ყვირილისთანავე, დავასწარი ძმას და მამის კაბინეტში აღმოვჩნდი. ჩანიშნული თაროდან ბახოს მიერ გადამალული წიგნი სასწრაფოდ ამოვიღე და მამას ცხვირწინ მოვუთავსე მაგიდაზე. მამამ ფული გადმომცა, სწორედ მაშინ როცა ჩემი ძმა შემოდიოდა კაბინეტში. მას თვალები აუწყლიანდა. ხელი გადავხვიე მხარზე და ორივე გავედით კაბინეტიდან. «ეს ფული შენ გეკუთვნის» ვუთხარი სასწრაფოდ ძმას და ხუთი მანეთი ჯიბეში ჩავუკუჭე. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ მამას აღარ ეკარგებოდა წიგნები.

4). ძმაკაცები: ლეონ მელიქსეთ-ბეგი და შალვა ამირანაშვილი (მეგობარ გიორგი შაყულაშვილის მოგონება)

გამოკითხვა რომ ჩაატაროთ — თქვენი ცხოვრების საუკეთესო ხანა რომელი იყოო, ალბათ მათი 90% გეტყვით, სტუდენტობის წლებიო. მართალნიც იქნებიან, გარკვეულწილად უზრუნველობის, გარკვეულწილად პიროვნებად ჩამოყალიბების, გარკვეულწლად შენი აღმზრდელების შეცნობის ის დროა, შემდგომ ცხოვრებასთან ჭიდილში რომ გამოგადგება.

როგორც უმეტესობას, მეც ბევრი რამ შემომრჩა იმ წლებისგან მოსაგონარი. ერთ-ერთ მათგანზე მინდა მოგიყვეთ.

როგორც ახლა ვიხსენებ, ეს ამბავი გაზაფხულზე მოხდა. ლექციების დამთავრებისთანავე უნივერსიტეტის ეზოში გამოვეფინეთ. ყურადღება არ მიგვიქცევია იმისათვის, რომ ჟინჟღლავდა და ბაღში განლაგებულ მოგრძო მერხებს მივაშურეთ, თან ენერგიულად ვუყვებოდით ერთმანეთს ახალ-ახალ ამბებს.

უცებ შევნიშნეთ, რომ უნივერსიტეტის შენობიდან ერთად გამოვიდნენ პროფესორი ლეონ მელიქსეთ-ბეგი და აკადემიკოსი შალვა ამირა-

ნაშვილი. მათი ერთად ყოფნა უბოროტო ღიმილს იწვევდა. ბ-ნი ლეონი მომცრო ტანის, მოძრავი კაცი იყო, მისთვის სასურველი სიმაღლის მისაღწევად მაღალქუსლებიან ფეხსაცმელს იცვამდა. ეს მეთოდი ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ამართლებდა, რადგან შალვა ამირანაშვილი გარეგნულად მისი სრული ანტიპოდი გახლდათ — მაღალი, სრული, მძიმედ მოძრავი, გოლიათის შთაბეჭდილებას ახდენდა.

ამასობაში ჟინჟღვლა წვიმაში გადავიდა. ბ-მა ლეონმა სათანადო ზომებს მიმართა. პორთფელიდან ქოლგა გამოაძრო, გახსნა და შეეცადა თანამგზავრიც ქოლგის ქვეშ მოექცია. ბ-ნი შალვა ზემოდან დაჰყურებდა ლეონსაც და ქოლგასაც. საქმეს ვერც იმან უშველა, როცა ბ-ნი ლეონი ფეხის წვერებით მიაბიჯებდა.

საკვირველი ის იყო, რომ ბ-ნ შალვას არც კი გახსენებია — ქოლგა გამოერთმია, თვითონ დაეკავებინა. იგი დინჯად მოაბიჯებდა. ყურადღებას არ აქცევდა მეგობრის ფაცი-ფუცს, რაღაცას სერიოზული სახით უყვებოდა.

წვიმა კი, ორ მეგობარს დაუფიქრებლად ასველებდა.

XX

1). შეხვედრა ლაშა ჯანაშიასთან

საღამოხანს მამამ შემომძახა თავის კაბინეტიდან:

— თმის გასაკრეჭად მივდივარ, და ხომ არ წამომყვები?

— წავიდეთ, მოუფიქრებლივ შევთავაზე თავი ჩემი, მგონი, მეც კარგა გასაკრეჭი ვარ, წავილუღლუღე მის გასაგონად.

გამოვედით სახლიდან, რომელიც უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ქუჩისკენ მიმართული გვერდულის პირდაპირ ოთხ სართულად იყო ამოყვანილი. თბილისში ცნობილი რუსი არქიტექტორის ნიკოლაი ვასილიევიჩ სევეროვის მიერ დაპროექტებული ეს შენობა ფასადის მხრიდან მოგრძო რკინის აივნებით იყო შემორაგული, რაც მაშინ ქალაქის იერის წარმოსახვას თითქოსდა ამართლებდა, ახლა კი, ნამდვილად აუშნოებდა. სწორედ ამ გადაგვარებული შენობიდან გამოვედით. საღამო ქალაქის დამძიმებული ჰაერი ძალაუნებურად ღრმად შეგვესუნთქა ორივეს. ქალაქის ცენტრისკენ გავუყევით იმ ტროტუარს, რომლის მოგრძო ნაწილიც მიტმასნებით გასდევდა თბილისის №1 ღვინის ქარხნის კარგა მაღლით ატუზულ ქვის კედელს. კედლის შუაგული თაღით იყო გარშემოწერილი, ხოლო თაღქვეშ ოთხკუთხა ნასვრეტებდაყოლილი შეულესავი კედელი იყო ამოყვანილი. ღვინის კასრებით სავსე სარდაფს დაყოლილი ნასვრეტებიდან მძლავრად უბერავდა მათრობელა სურნელით გაჟღენთილი ჰაერის ჭავლი. ცოტა ხანს რომ გესუნთქა ამ დაღვინებული ჰაეროვანი მაამებლით, კარგადაც გამოთვრებოდი და ბარბაცით თუ გაუყვებოდი გზას. ღვინის ქარხნისპირა ტროტუარზე გავლისას, ნასვრეტებიან კედლის სიახლოვეს შემთხვევით შევნიშნე ხესმიყრდნობილი

ერთი ახალგაზრდა, რომელიც მოგვიანებით გალაკტიონის სტილის ქართული პოეზიის ნამდვილ კლასიკოსად ჩამოყალიბდა. მაშინ კი, ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობის პოეზიას უკვე კარგად ეტყობოდა ზეციდან ჩამოფრქვეული პოეტური წარმოსახვით აღქმული ამქვეყნიური მარადიულობა. იმ დროს კი თურმე, ხეს მიყრდნობილი ახალგაზრდა ბახუსის სარდაფიდან საამო გამონაბერით შეკმაზული მუზებით უსაზღვროდ იტვირთებოდა და, ერთმანეთს მიტმასნული სიტყვების გარითმებით აღიქვამდა გასალექსად განწირულ წუთისოფელს.

სწორედ ამ სასწაულ ღვინისპირა შუაგზას ცოტაოდენ რომ გავცდით, მამა და შვილმა თვალნათლივ დავინახეთ ჩვენკენ მომავალი ისტორიკოსი ლაშა ჯანაშია, დიდებული მამის დიდებული შვილი. მოაბიჯებდა ამაყად, ნიკაპ ოდნავაწეული, მოცისფრო თვალებზე ღიაჩარჩოიანი განუყრელი სათვალეებით, ოქროსფერნარევი თმებით, არისტოკრატულად მკრთალი ფერსახით, ტანზე ხალვათად მორგებული ღია ფერის კოსტუმით. გვარიშვილობით თავმომწონე ახალგაზრდა მამაკაცი გამვლელთა ყურადღებას მართლადაც იპყრობდა. გამორჩეული შესახედაობა შესამჩნევად ანსხვავებდა მას დანარჩენ გამვლელ-გამომვლელთაგან. ღვთისნიერი გამომეტყველებით შემკული სახის ადამიანი მონოტონური ნაბიჯით გვიახლოვდებოდა და როცა გავუსწორდით ერთმანეთს, ბატონმა ლაშამ, სახეზე მოდებული სასიამოვნო ღიმილის ოდნავ გაელვებით და მისთვის დამახასათებელი არაბოხი ხმის ტემბრით, ნამდვილად რომ გულკეთილად წარმოთქვა:

— გამარჯობათ, ბატონო შალვა!

მამამ ყურებამდე გაუღიმა ბატონ ლაშას, ოდნავ თავიც დაუკრა და ისიც გახმოვანებული სალმით მიეგება სასიამოვნო შემხვდურს.

მე, ბატონ ლაშას შორიდან ვიცნობდი და ახლა ერთგვარად მომეცა საშუალება ახლოდან გაცნობის ტოლფასად მივსალმებოდი მართლაც შესანიშნავ ადამიანს. სალმით კი მივესალმე მორიდებით, მაგრამ მისალმებისთანავე მეხივით ჩამოვარდნილმა აზრმა წამიერ გამიელვა. თითქოს ციდან წამოსულმა უცნაურმა ჟრუანტელმაც ჩამომირბინა ერთიანად თავიდან ფეხებამდე და უკვალოდ შთანთქა დალოცვილმა მიწამ. მამამაც ოდნავ შეანელა მოძრაობა და ერთ წამს თვალები სიამოვნებისაგან ოდნავ მოჭუტა. ლოცვასავით გავიფიქრე, ნეტავ არ ვყოფილიყავი იმ დროს იქ, და თანაც მამის გვერდით! სწორედ ამის გამო, რომ მამასთან ერთად ვიყავი, იმ დროს დამნაშავედ ჩავთვალე თავი, მაგრამ გასაქცევი გზა მთლიანად მოკვეთილი მქონდა. ჩემთვის აუტანელ გაგებად მივიჩნიე, რომ მე მამასთან ერთად მოვდიოდი, ხოლო ლაშა ჯანაშიას აღარ უმშვენებდა მხარს მამამისი, იმ დროს პირველი ქართველი სიმონ ჯანაშია, რომელიც სიცოცხლეშივე საქართველოს სიმბოლოდ იყო ქცეული. ამიტომ გრძნობა და გონება ერთიანად ამოვარდნილიყო ჩემი არსებიდან და სადღაც მოუსავლეთში გაქცეულიყო. ღვთისნიერი გაგებით რომ შემძლებოდა, უჩემოდ დაკარგულ სულს თან გავყვებოდი გაუჩინარებამდე, მაგრამ თვალით აღქმულ ყოფიერებას თავისი გაჰქონდა.

ჩვენ გავუსწორდით ერთმანეთს. ბატონი ლაშა სიამოვნებით უყურებდა მამამისის მეგობარ შალვას და ღიმილს არ იშორებდა სახიდან. ერთი ნაბიჯითაც არ ვიყავით დაცილებული ერთმანეთს, რომ ფიქრით წარსულში მყოფმა შალვამ ძალაუნებურად ხმამაღლა ამოიკვნესა ყელსმობჯენილი სიტყვებით:

— როგორ ჰგავს მამამისს!

შალვას მიერ წარმოთქმული სიტყვები მეხის გავარდნას გავდა. მყისვე თვალი შევავლე ბატონ ლაშას მომღიმარ სახეს. ამის გაგონებაზე სულ ერთი წამით ბატონი ლაშას ღვთიური სახეს სიამოვნების ალმური მოსდებოდა მთლიანად. თანდაყოლილი ღიმილიც შესამჩნევად უკრთოდა ტუჩებზე. ჩვენგან შეუმჩნევლად, ბატონი ლაშა წამიერ ბედნიერებას გრძნობდა მთელი თავის არსებით. ბატონი ლაშა და ზეცად ატყორცნილი მამამისი — ქართული მეცნიერების წინამძღოლი სიმონ ჯანაშია სულიერად ერთ პიროვნებად ესახებოდა ფიქრებში გადართულ შალვა ამირანაშვილს. მის წარმოსახვაში მამა და შვილი ჯანაშიები ერთ პიროვნებაში აგრძელებდნენ ამქვეყნიურ სიცოცხლეს.

ვცილდებოდი ამ შეხვედრის მადლმოსხმულ წამს და ჩემი გონება წარსულისა და აწმყოს მარადიული ერთიანობის უსასრულობით იტვირთებოდა.

გადავიარეთ დაკუთხული ქვებით ფენილი პეტრიაშვილის ქუჩის დასაწყისი, გვერდი ავუარეთ კუთხეში მომწყვდეულ ფოსტას და მივადექით საპარიკმახეროს.

ყოველ პარიკმახერი იცნობდა ბატონ შალვას და ყველას გულით გაუხარდა მათთან მისი მისვლა. ისინი შემოეხვივნენ დიდი ხნის წინათ გაცნობილ შალვას. ამასობაში მათგან ერთ-ერთმა (რომლის რიგიც იყო იმან) თავისკენ დაითრია კიდეც სასურველი კლიენტი. «როგორ ბრძანდებით, ბატონო შალვა», თითქმის ხმამაღალი შეძახილით მან მიაცილა თავისი მონაპოვარი სარკეებიან დახლამდე და მოხერხებულად შეუდგა ტანქვეშ უშველებელი სავარძელი. მეც მოვთავსდი რიგით დალაქთან. ნიხრით ორმოცდაათ კაპიკად თმის გაკრეჭაში, ჩვეულებისამებრ მანეთიანი გადავუხადე ოსტატს, რომლისგან მადლობა დავიმსახურე. მამამ კი გაკრეჭაში გაწვდილი ათმანეთიანიდან ხურდა არ გამოართვა თავმომწონე დალაქს, რომელმაც ქუჩის პირამდე გამოაცილა ბატონი შალვა და თან დაუყოლა: «ორ კვირაში ისევ გასაკრეჭი იქნებით ბატონო შალვა, გელოდებით, აუცილებლად შემოგვიარეთ!»

ბატონმა შალვამ მრავლისმეტყველად გაუღიმა წინდახედულ დალაქს და ღიმილითვე დაემშვიდობა.

2). გალაკტიონი

ყოველი ქართველისთვის უძვირფასესი გალაკტიონის თვითმკვლელობამდე ორი წლით ადრე, შალვა ამირანაშვილს გარდაეცვალა ღვთისნიერი ცხოვრებით სულიერად მოსილი დედა — ასინეთ ჩხენკელი, ცხრა შვი-

ლისა და სიბერის დროს ორი შვილიშვილის აღმზრდელი. ეს უკვე მერამდენე სიკვდილი იყო შემოსული ჩვენს ოჯახში, თვლაც კი მიჭირდა. მათ შორის: სისხლში ინფექციის შეჭრის შედეგად დაღუპული დედა — ნინო წერეთელი; ქერჩის ბრძოლებს შეწირული ბიძაჩემი — გივი ამირანაშვილი; ომიდან მიღებულ «პოხორონკა»-ს გამო სიკვდილს თანგაყოლილი სათნო მოხუცი, ტვინში სისხლჩაქცეული ბაბუ — იასონ ამირანაშვილი; დეიდაჩემი, სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტი ახალგაზრდა მხატვარი ეთერ წერეთელი. მაშინ ომის დამთავრება ყველას ერთიანად გვიხაროდა, და ჩვენი სიხარული უსაზღვრო იყო, როდესაც ერთ დღეს, ჩვენი ბინის ღია კარებში ჩაიხატა ომიდან დაბრუნებული ამირანაშვილების რძალი, კეხურა ვაშლისფრად ლოყებშეწითლებული და ცხვირაპრეხილი, რუსული სახის ულამაზესი ლიუდმილა! ჩვენი ოჯახის სიცოცხლის ნაკლულობა მთლიანად შეავსო ორდენებითა და მედლებით გულმკერდდამშვენებულმა რძალმა! ომის მსვლელობისას საველე ჰოსპიტალში ქირურგიის მედდად მომუშავე ახალგაზრდა ქალმა, ყველა ჩვენიანისთვის უსაყვარლესმა ადამიანმა, მამის ძმის ცოლმა.

ახლა ისევ, მწუხარებამ მოიცვა სიმწრისნაჩვევი ჩვენი ოჯახი, რომელსაც ბოლო ამოსუნთქვამდე თავკაცობდა ბები ასინეთ ჩხენკელი.

ვუყურებდი სასახლის ფიცრებით შემორაზულ ბების უსულო არსებას და მართლაც მეტისმეტად ვგრძნობდი ჩემში დახშულ სულიერ ტკივილს! იმ დროს ყველაფერი ერთიანად სულ ერთი იყო ჩემთვის! ვერ ვიაზრებდი, უიმისოდ როგორ უნდა მეცხოვრა. ჩემში მყისიერად ამოტივტივებული სიმწარე თანდათან და მომეტებული გულმოდგინეობით მამწარებდა!

ვემშვიდობებოდი ადამიანს, რომელსაც განცხრომით და კეთილდღეობით უნდა გაეტარებინა ბოლო წლების თავის ცხოვრება. მაგრამ მოულოდნელად, მას ბედად დაევალა შალვას შვლების აღზრდა, რასაც უსიტყვოდ სიცოცხლის ბოლო შეალია მთლიანად, რაც ბუნების კანონით არც კი ევალებოდა.

ჩემთვის სამწუხარო იმ დღეებში ძალაუნებურად თვალს ვადევნებდი სამძიმარზე შემოსულებს, რომელთაგან ზოგი მეც მართმევდა ხელს, ზოგიც მკოცნიდა თმებზე, იშვიათად ლოყაზე! ძალიან განვიცდიდი, ვგლოვობდი განმარტოებულად, ჩემთვის მხოლოდ, ყველასაგან განცალკევებით! ჩემდათავად თითქოს ვგრძნობდი უცნაურს და ამის გამო იმწამს მეუფლებოდა უჩვეულო განცდა: ჩვენი ოჯახის სეირის საყურებლად ხომ არ შემოდიოდნენ ისინი!

გარდაცვლილი თანამეოჯახე, მართალია სულის გარეშე, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ჩვენთან იყო იმ დღეებში, და აღარც იყო ჩვენთან ის ადამიანი, რომელსაც მთელი ოჯახის კეთილდღეობა ლოდივით აწვა მხრებზე! ჭირისუფლები ვემშვიდობებოდით ადამიანს, რომელმაც ფეხზე დაგვაყენა ყოველი ჩვენთაგანი და შეუცნობელი ცხოვრების ფერხულში ღვთისნიერად დაგვილოცა გზა!

ჩვენს ბინაში შემომავალი ხალხის ჩამწკრივებული ნაკადი არ წყდებოდა.

ერთმანეთის ბიძაშვილები: ხელოვნებათმცოდნე შალვა და ოპერის მომღერალი პეტრე ამირანაშვილები მადლობას უხდიდნენ მოსასამძიმრებლად და მწუხრის გასაზიარებლად შემოსულებს! გვარის თავკაცებს თანაუგრძნობდნენ ახლო თუ შორეული ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები და უბრალოდ, უცნობებიც კი. ჩვენი გულისტკივილის ყოველი მოზიარის მიერ რწფელად გამოთქმულ მწუხრს, მწუხრითვე ვმადლობდით. ბები ასინეთის შვილებთან ერთად ვიდექით ჩვენც, ბების გაზრდილი შვილიშვილები, ძმები ამირანაშვილები და თითქოს სხვებზე ოდნავ მეტად განვიცდიდით მოზღვავებულ გარდაუვალობას.

ბოლო პანაშვიდი იყო. იმ დროს თვალი ყველაფერს ამჩნევდა და ყველას აღიქვამდა. უცებ, მოსამძიმრეთა ნაკადი შეწყდა და სასახლეს გარშემოხვეულები მოულოდნელის მოლოდინში ერთიანად გავინაბეთ. ცოტა ხანიც და, ოთახში შემოსასვლელი კარი მთლიანად შეავსო სამძიმარზე შემოსულმა, უშველებელი სიმაღლისა და მხარბეჭიანი გარეგნობის, თითქოს ცის სამყაროდან იაკობის კიბით ჩვენთან ჩამოსულმა ბრგე პიროვნებამ, ღმერთისდარი გამომეტყველებით და შევერცხლილად დაფერილი თმებით, მადლიერი სიცოცხლის ფასად მოციმციმე თვალებით შემომყურე მისი უდიდებულესობის ადამიანმა. ყველა გავირინდეთ. მწუხარებით აღსავსე ოთახში შემოსულმა, წრის დასარტყმელად ნაბიჯი აღარ გადადგა. კარებთანვე ზურგით კედელს მიეყრდნო, ისე რომ სასახლისთვის თვალი არ მოუშორებია. ჭირისუფლები სათაყვანო პოეტს ვუყურებდით და ვცდილობდით გაგვეგო მისი სულის მოძრაობისა და უცნაურად მეტყველი სახის ნამდვილი არსი. ის კი, უმოძრაოდ იდგა კედელს მიყრდნობილი და სასახლისკენ ეჭირა თვალი. თითქოს სიჩუმემ მოძრაობა დაიწყო გარინდულ სივრცეში და იმ წამსვე ოთახის წარმოუდგენელი სიცარიელე მთლიანად შეივსო სიჩუმით. აღარავინ შემოდიოდა სამძიმარზე და სულიერება ნებივრობდა მწუხრით სავსე გარემოცვაში. ყოველი გარინდული ვიყავით, ხელი რომ არ შეგვეშალა შორეულ ფიქრებში ჩაკარგული გალაკტიონისთვის! ის კი, მისთვის დამახასიათებელი გრძნობა-გონებით აცილებდა «სამუდამო მხარეში» გზადმიმავალ ასინეთ ჩხენკელს!

მიუწვდომელის მიწვდომას ცდილობდა გალაკტიონი და არც თუ ისე უშედეგოდ! შესაძლებელია, თავის ღვთისნიერ დედას ხედავდა ასინეთში, ანდა ორივე ერთად ესახებოდა მას. და იგი კაცურად, უცრემლოდ გლოვობდა დედასთან გაორებულ დედას! ჩვენს გაგებაში ამოუცნობლივ ბრწყინვალებდა მდუმარე გალაკტიონი. სხვის შეუწუხებლად მოფიქრალი მხოლოდ თავის სამყაროს გრძნობდა და მარტოდ იწვოდა «ჩამავალ მზის» ნათებით! დაუთვლელმა დრომ და გონებამ დაამთავრა ხეტიალი გალაკტიონში და წამიერ გამოერკვა სხეულს მიტმასნული სული, რომელსაც მოულოდნელად აღექვა ამქვეყნიური ყოფიერება, რაც ცოტა ხნით მხოლოდ, მისთვის გადაქცეულოყო არარაობად.

მიუწვდომელი საოცრებაა სიცოცხლე და სიკვდილი! ან ორივე ერთად!

გალაკტიონმა თავი ოდნავ მაღლა ასწია და ნელი მოძრაობით მოშორდა კედელს. კარებისკენ ზურგით მოძრაობა დაიწყო, ისე რომ თვალი არ მოუშორებია აღარარსებული სიცოცხლისათვის. იგი სამუდამოდ გამოემშვიდობა სასახლის უსულო მკვიდრს და მორიდებით დატოვა დამწუხრებული ოჯახი.

ეს ყველაფერი საოცრებას გავდა ჩემს შეგნებაში. გალაკტიონის ფიქრებში ვერავინ გაბედა შეტოპვა, გამოაღწევდა კი? ჩვენთვის ამოუცნობელ საიდუმლოდ დარჩა მისი ფიქრები, რითაც ოდნავ მაინც თუ მოგვეფერა ხონელი ასინეთ ჩხენკელის ოჯახს.

რამოდენმე ხანში სამძიმარის გამოსახატავად ჩამწკრივებულთა რიგი ისევ ამოძრავდა.

მცირეოდენი ხანი არც იყო გასული ჩვენი მწუხრიდან, რომ სტუმრად ვიყავი ბიძაჩემთან ოპერის მომღერალ პეტრე ამირანაშვილთან. ბევრი ვისაუბრეთ ასინეთ ჩხენკელის მოსაგონრად. წამოსვლისას დანანებით მითხრა: ბიცოლა ასინეთის ბოლო პანაშვიდზე მინდოდა სიმღერით გამომვშვიდობებოდი ჩემს აღმზრდელს, მაგრამ რატომღაც ვერ შევძელი, ზებუნებრივმა ძალამ შემაჩერა. მხოლოდ ჩემთვის გულში წამღერებით წარმოთქმული სიტყვებით უკანასკნელი გზა ჩემებურად დავულოცე სულიერად ჩემს დედას ასინეთ ჩხენკელს.

XXI

1). დიასახლისის წინსაფარი

სადილის დრო ახლოვდებოდა. ოჯახის დიასახლისი (შალვას და) ჯერ კიდევ სამზარეულოში ჯახირობდა, როცა ოჯახის თავი შალვა დაბრუნდა სამსახურიდან. შემოსვლისთანავე პალტო საკიდზე მოათავსა. სადილამდე მოასწრო კაბინეტში შესვლა და წინადღით დაწერილ ფურცლებს ერთბაშად გადაავლო თვალი. რამდენიმე ხანში ოჯახის წევრები ერთად ვიყავით შეკრებილი, როცა მამის დამ — ვარვარამ გაშლლ სუფრასთან ღიმილით მიგვიპატიჟა. როცა ყველანი სასადილო მაგიდას შემოვუსხედით, შემოსასვლელში ზარის ხმა გაისმა. მაგიდის გარშემო შემომსხდარებმა, თითქოს შეთანხმებულად დავიზარეთ ბინის კარის გაღება და ერთიანად მივაჩერდით ფეხზე მდგარ დაუღალავ დიასახლისს. მამიდა, რომელმაც სწრაფად აუღო ალღო გარედან შემოწოლილ სიტუაციას, დაუზარებლივ გავიდა შემოსასვლელში. და სანამ კარებს გაუღებდა შემოსწრებულ სტუმარს, მოიხსნა წინსაფარი და დროებით მოათავსა თავისი ძმის — შალვას პალტოს სამკლავეში. კარების გაღებისთანავე, ჩვეული ღიმილით შემოიპატიჟა სტუმრად შემოსწრებული ნათესავი, გულახდილად მაგიდასთან მიიპატიჟა, სკამი მიართვა და სასადილოდ ცხირწინ სერვიზიც მოუთავსა.

ოჯახის წევრებმა და ნათესავმა ჩვეულებრივსამებრ კარგად გავატარეთ ის საღამოც. დანაყრებულმა ოჯახის თავმა შალვამ მოხსნა თავი სალაპარაკო გუდას და არტისტული მონაყოლით სასიამოვნოდ დაგვატკბო.

მეორე დღეს ოჯახის თავკაცმა და წევრებმა საგარეო საქმეებს მივაშურეთ. საყიდლებზე წასული მამიდაც სანოვაგით დატვირთული დაბრუნდა. სამზარეულოში შესვლამდე დაუწყო წინსაფარს ძებნა, მაგრამ ამაოდ, გუშინ სად მიაკიდა, აღარ ახსოვდა. მიანება თავი წინსაფრის ძებნას და უწინსაფროდ სადილის შემზადებას შეუდგა. მალე ყველაფერი ისე გამეორდა, როგორც წინა დღით, ოღონდ შემოსწრებულის გამოკლებით. სადილად შეკრებილებს მამიდა შეგვეხმიანა, «ჩემი წინსაფარი ხომ არ გინახავთო» და ყველამ თითქმის ერთხმად უარი განვუცხადეთ.

მესამე დღეს, როდესაც ოჯახის უფროსი სამსახურიდან დაბრუნდა, შემოსვლისთანავე თავის დას გადასცა ცელოფნის პარკში კოხტად მოთავსებული ფერადი წინსაფარი. მის დას გაუხარდა საჩუქარი და იმ წამსვე წელზე მოირგო. შემდეგ თავის ძმას — შალვას ოდნავ წაეხმარა პალტოს გახდაში. ამ დროს, ჩემდა გასაკვირად, გაოცებულმა მამიდაჩემმა წამოიძახა: «აგერ არ ყოფილა ჩემი წინსაფარი, შალვას პალტოს სამკლავეში! არც კი ვიფიქრებდი, რომ აქ ვიპოვიდი». მამამაც გაიკვირვა, რომ მისი პალტოს სახელურში აღმოჩნდებოდა სამი დღის უკან დაკარგული წინსაფარი.

— ამით დადიოდი შალიკო? განცვიფრებით შეეკითხა გაკვირვებული და.

— სამკლავეში რაღაც კი მიშლიდა, მაგრამ ვერც კი წარმომედგინა, რომ მთელი ეს დღეები შენს წინსაფარს დავატარებდი აკადემიაში, მუზეუმში, უნივერსიტეტში... ღიმილით უპასუხა შალვამ.

2). ვახშამი რესტორანში

ერთ ზაფხულს სახლში მარტოდ დარჩენილ შალვას ეწვია დიშვილი ვასიკო, რომელიც იმ წელს შესასვლელ გამოცდებს აბარებდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ვასიკოს კარგადაც ეხერხებოდა კერძის მომზადება და ბიძამისი შალვაც ერთ ჭიქა ღვინოსთან ერთად სიამოვნებით მიირთმევდა დიშვილის მიერ შემზადებულ საუზმეს, სადილს და ვახშამსაც.

ერთ დღეს სამსახურიდან დაბრუნებული მამა სადილობამდე ცოტა ხნით წამოწვა და მოისვენა, თუ წაუძინა კიდეც. რამდენიმე ხანში თვალები მოიფშვნიტა, პირზე წყალი შეისხა და სასადილო ოთახში გავიდა. ვასიკო არ იყო სახლში: იმ დღეს გამოცდის ჩასაბარებლად ყოფილა წასული. სასადილო ოთახში მამას დახვედრია აულაგებელი სუფრა, საინები საჭმლის ნარჩენებით, პურის გამხმარი ნატეხები, ცარიელი ჭიქები შიგ დალექილი ღვინით... ასეთი სუფრის შემყურე მა-

მას გაუფიქრია, რომ ალბათ უკვე მისადილია. უღიმღამოდ გასულა სატრაპეზოდან, შესულა კაბინეტში და ჩვეულებისამებრ დაუწყია მუშაობა. ორი საათის მუშაობის შემდეგ ბუნებრივმა მოთხოვნილებამ (შიმშილმა) კიდევ უფრო მეტად შეაწუხა შალვა. გამოცდის ჩასაბარებლად წასული ვასიკო კი იგვიანებდა. მას თურმე, წუხანდელი ნასადილევი სუფრა მოუცლელობის გამო არ აელაგა და დილით ნაჩქარევზე წასულიყო გამოცდის ჩასაბარებლად. შალვა ისევ დააცქერდა ნასუფრალს და ისევ მიაშურა კაბინეტს. სულ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ წამოვარდა იმედგადაწურული შალვა და სირბილით მიაშურა ვერაზე ახლად გახსნილ რესტორან «საქართველოს». კარგად დანაყრებულა, მოულხენია კიდეც და სახლში ნასიამოვნები დაბრუნებულა.

სახლში დიშვილი დახვედრია სავახშმოდ გაშლილ სუფრასთან ერთად. მოუბოდიშებია, რომ წუხანდელი ნასუფრალი ვერ აალაგა. ბოლო გამოცდა კი კარგად ჩააბარა და პირველმა შალვამ სტუდენტობა მიულოცა დიშვილს. მთელი დღის მშიერმა ვასიკომ კარგად მოილხინა, ბიძამისმა შალვამ კი სამაგალითოდ დაყენებული ინდური ჩაი სიამოვნებით მიირთვა.

3). შალვა ამირანაშვილი: შტანგისტი

როგორც ჩვეულებრივ, ისე იმ დღესაც, შალვა ამირანაშვილი იჯდა ხელოვნების მუზეუმის კაბინეტში და წერდა სტატიას, სასწრაფო დაკვეთას ასრულებდა გაზეთისათვის.

კაბინეტის კარებზე მოკრძალებული კაკუნის ხმა გაისმა.

— მობრძანდით! ხმამაღლა შეეხმიანა დირექტორი.

შემოვიდა ორი ახალგაზრდა და ორივე თავაზიანად მიესალმა შალვა ამირანაშვილს.

— გისმენთ! უთხრა დირექტორმა და საწერი კალამი ნაწერ ფურცელზე ნელ-ნელა დაუშვა.

— ბატონო შალვა, დაიწყო ერთმა მათგანმა, მივიღეთ ცნობა, რომ თქვენ ბოლნისის სიონის ეკლესიიდან წამოგიღიათ ნახევარტონიანი დაკუთხული ქვა, რომელზედაც წარმოდგენილია აქამდე აღმოჩენილთაგან პირველი ქართული ასომთავრული წარწერა. როგორც თქვენთვის ჩვენზე უკეთესად ცნობილია, ეს ის წარწერაა, რომელიც გაშიფრა აკაკი შანიძემ და მისი შედგენის თარიღად V საუკუნის მეორე ნახევარი დაასახელა. ბოლნისის საეკლესიო არქიტექტურის წარწერიანი ნაწილის ჩამოხსნა და წამოღება საქართველოს სახელმწიფო კანონებით ნებადართული არ არის. ამიტომ ბოლნისის ეკლესიის ეპიგრაფიკული ძეგლი დაუყონებლივ უნდა დაუბრუნდეს პირვანდელ ადგილსამყოფელს.

შალვა ამირანაშვილმა ზომიერი მოთმინებით ბოლომდე მოისმინა დაუპატიჟებელი სტუმრების საყვედური და საგამოფენო დარბაზში შესთა-

ვაზა წამოსვლა მათ, რაზეც სასიამოვნო ენთუზიაზმით დაეთანხმა ორთავე. მალევე სამივემ შეაბიჯა მუზეუმის იმ ოთახში, სადაც თვალსაჩინოდ გამოფენილი იყო ოთხკუთხედად გათლილი ნაცრისფერი «ქვა», რომლის წინა პირზე ნათლად იკითხებოდა ასომთავრული ასოებით შესრულებული ქართული წარწერა.

შალვა მივიდა წარწერიან ქვასთან, შემდეგ შეხედა ახალგაზრდებს და თხოვა, ცოტაოდენ უკან დაეხიათ, რაიმე ხიფათს არ გადაყროდნენ. მათ შეუსრულეს დირექტორს თხოვნა და განცვიფრებულებმა ცოტაოდენ მოშორდნენ ნახევარტონიან «ქვას».

შალვამ თვალი შეავლო წარწერიან ქვას, ჯერ შემოუარა გარშემო, შემდეგ პიჯაკი გაიხადა და იქვე, სკამზე მოათავსა, აიკაპიწა სახელოები და ისე მივიდა ნახევარტონიან «ქვასთან», როგორც შტანგისტი რკინის ორბორბლიან ძარასთან. ორივე ხელი მოხერხებულად დაავლო «შტანგა-ქვას», მარჯვნივ და მარცხნივ შეხედა ხელებს, რომლებიც ოდნავ აამოძრავა და შემდეგ სახე მიაპყრო სტუმრებს. სპორტსმენ-შტანგისტმა უჩვეულო მოძრაობით გულმკერდზე დაიდო «ნახევარტონიანი წარწერიანი ქვა», ჩაისუნთქ-ამოისუნთქა და თავს ზემოთ ასწია ბუტაფორიის სიმძიმე. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა «შტანგისტმა» თვალი შეავლო გაოცებულ სტუმრებს, თითქოს რაღაც სიგნალის მოლოდნში. ხოლო ორივემ უნისონში ძალაუნებურად წამოიძახა: «დაუშვით!». შალვამ მკერდზე დაიდო ე. წ. «შტანგა-ქვა» და ნელი მოძრაობით დაუშვა მის განკუთვნილ ადგილზე. მუზეუმის დირექტორმა პიჯაკი მხარზე გადაიგდო და ნელი ნაბიჯით დაიძრა საგამოფენო ოთახის გასასვლელისაკენ.

გაკვირვებულმა სტუმრებმა თვალებს არ დაუჯერეს. ერთობ მწყობრი ნაბიჯით მიუახლოვდნენ წარწერიან ქვას, ერთი ერთ მხრიდან, მეორე მეორე მხრიდან და «შტანგა-ბუტაფორიას» მოუსინჯეს სიმძიმე.

დერეფანში მიმავალ შალვა ამირანაშვილს აჩქარებული ნაბიჯით წამოეწივნენ და რამდენიმეჯერ გაუმეორეს საბოდიშო სიტყვა. შემდეგ თავჩაქინდრულებმა და «კუდამოძუებულებმა» უხმოდ დატოვეს ხელოვნების მუზეუმის შენობა.

4). «მეცნიერება წინ მიდის»

მამასთან სტუმრად ვიყავი ხელოვნების მუზეუმში გადაუდებელ საქმეზე. მისი კაბინეტის კარი შემოაღო მამის მეგობარმა ალექსანდრე წოწელიამ. რაღაც საქმე ჰქონდა მამასთან. საუბარს რომ მორჩნენ, ორივე ფეხზე წამოდა. მასპინძელმა კარებამდე მიაცილა სტუმარი, რომელიც გასასვლელში შემოტრიალდა და მიმართა დასამშვიდობებლად მომზადებულ მასპინძელს:

— ბატონო შალვა, ჩემი შვილი მედეა წოწელია სასანური ირანი ხელოვნების ისტორიის განხრით სპეციალისტდება. მისი ხელმძღვანელია ლენინგრადელი მეცნიერი ხელოვნებათმცოდნე ვლადიმირ ლუ-

კონინი. მედეამ ახლახან გამოაქვეყნა სტატია სასანური ხანის ერთ-ერთი თასის შესახებ. სხვადასხვა მხატვრულ-ისტორიულ მასალათა შედარებითი შესწავლის საფუძველზე მან ოდნავ შეცვალა ამ თასის თქვენებური დათარიღება და სრულიად დასაბუთებულად წარმოადგინა ახალი დათარიღება. რას იტყოდით თქვენ ამის შესახებ?

— მეცნიერება წინ მიდის! მოჭრით უპასუხა გაღიმებულმა შალვამ, მხარზე ხელი გადახვია მეგობარს და დაკმაყოფილებული გააცილა ბატონი ალექსანდრე წოწელია.

XXII

სხარტი პასუხები

— Шалва Ясонович, когда вы работаете? კითხვა დაუსვა ჟურნალ «Литературная Грузия»-ს კორესპონდენტმა შალვა ამირანაშვილს.

— Мозг всегда в работе! უპასუხა შალვამ.

* * *

— ფრანგი არქეოლოგი რომან გირშმანი მაგარი მეცნიერია? შევეკითხე მამას.

— მხეცია! მიპასუხა მამამ.

* * *

ქართული განძის ჩამოსატანად პარიზში ჩასული შალვა ამირანაშვილი, ჩასვლის დღესვე შეხვდა თავის მასწავლებელს საგანძურის მცველ ექვთიმე თაყაიშვილს. შეხვედრისთანავე, ბატონმა ექვთიმემ შესძახა შალვას:

— როგორ დაბერებულხარ, შალვა, ძლივს გიცანი!

არა-და მართალი იყო ბატონი ექვთიმე.

საფრანგეთში გამგზავრებამდე შალვა ამირანაშვილს ორ-სამ წელიწადში იმდენად გაუთეთრდა თმა, რომ წამლად ერთ შავღერს ვერ უპოვიდი. ამის მიზეზი იყო: მეუღლის გარდაცვალება; შემდეგ «პახარონკის» მიღება ფრონტიდან უმცროსი ძმის ქერჩში დაღუპვის შესახებ; რასაც მოჰყოლია მამამისის (ტვინში სისხლის ჩაქცევით) უეცარი სიკვდილი.

* * *

— თავისი მოძველებული უბნებითა და მონგრეული შენობებით პარიზი ალბათ, დიდი ხანია რაც ზედმოყრილი ნაფტალინის სურნელებით არის მთლიანად გაჟღენთილი, არა? შევეკითხე საფრანგეთში ნამყოფ მამაჩემს.

— შენ ეგრე გეგონოს, ტუტუცო! უკულტურად შემომიტია კულტურის მოამაგემ.

* * *

ღიმილის დაყოლებით მამა ხშირად იმეორებდა გამოთქმას: Баранов считают по головам, академиков по членам!

* * *

მამის სიცოცხლის ბოლო წლების ერთ დღეს, რუსთაველზე რაღაც საქმე მქონდა და დავემგზავრე მანქანაში. წითელ შუქნიშანზე მანქანა უეცრად შეჩერდა უშუალოდ გადასასვლელი თეთრი ხაზის პირთან. პროსპექტის გადაკვეთა დაიწყო ბუნებრივი სიმეტრიულობით გასაოცარი მოყვანილობის და წარმოუდგენელი მიმზიდველი გარეგნობით დამშვენებულმა ქალმა. სახეზე შევატყვე, რომ ამ მოძრავ არსებას თვალს მოურიდებლად აყოლებდა ქალებით გაუმაძღარი მამაჩემი. შევუმჩნიე აღტაცებაც და მოურიდებლად შევეკითხე:

— რა, მოგეწონა, პაპიკ-ჯან?

— «გათავდა ესე ამბავი, ვითარ სიზმარი ღამისა», ჩამიაფორიზმა რუსთაველი ანაზდად და ჩაიღიმა.

— რაღაც ვერ გატყობ მაგას, ძვირფასო შალვა იასონიჩ, ჩავუპასუხე სიმართლე.

* * *

— კომუნისტურ პარტიაში რომ შეგაყოფინეს თავი, გეხმარება რამეში პარტია? დავეკითხე ბატონ შალვას.

— პირიქით, მე ვეხმარები პარტიას! დაჯერებით შემომიტია მამამ.

— ეგ როგორ? დავინტერესდი.

— ფულს ვუხდი საწევროების სახით! მიპასუხა გულწრფელად.

* * *

მამის მიერ სხარტად ნათქვამი დამამახსოვრდა და ახლა გამახსენდა:

«მაიმუნის გაადამიანებას არ მოვსწრებულვარ, ადამიანის გამაიმუნებას კი ფეხის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებიო».

* * *

მე და ბების საახალწლო საყიდლებზე წამოგვყვა მამა ვერეს ბაზარში. მამამ გვიან შეამჩნია, რომ ცალი ხელთათმანი ამოვარდნოდა ჯიბიდან. აქეთ-იქით ცქერა რომ დაიწყო, უცნობი შეეკითხა: «დაკარგეთ რამე, ბატონო?». «ცალი ხელთათმანი», მიუგო შალვამ. «ნუ ღელავთ ბატონო, თქვენ ხელთათმანს ახლავე მოგირბენიებს პატარა ბიჭი და ცოტა ფული

აჩუქეთ მას», ანუგეშა უცნობმა. «კარგი» დაეთანხმა შალვა. მართლაც, ვიღაც ბიჭმა გაუწოდა ცალი დაკარგული ხელთათმანი. მამამ მადლობის ნიშნად იმდენი ფული ჩაუკუჭა ხელებში ბავშვს, რომ იმ თანხით სამ წყვილ ხელთათმანს იყიდდა კაცი.

* * *

მამა, როგორც ყოველთვის მუშაობდა თავჩაქინდრული. რატომღაც აზრად ამეკვიატდა მამის მიერ ნაამბობიდან ისტორიად ქცეული ერთი მომენტის გახსენება. ვფიქრობდი 1923 წელს რუსეთიდან ქართული განძის დაბრუნების შესახებ. ამ საქმის შესრულებაში შ. ამირანაშვილს წამოეხმარა ი. სტალინი, რომელმაც ბლოკნოტის ფურცელზე მის მიერ ჩაწერილი თავის ტელეფონის ნომერი გადასცა მამაჩემს, კრემლის კომენდატურაში მათი შეხვედრის დროს.

— მამა, შევძახე ცნობისმოყვარეობით, 1923 წელს კრემლის კომენდატურაში სტალინმა, მისი ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცელზე თავის ხელით ჩაწერილი ტელეფონის ნომერი რომ გადმოგცა, ხომ შენახული გაქვს ის ფურცელი, რომელიც ახლა ისტორიულ დოკუმენტად ფასობს?

ჩემს მოურიდებელ შეძახილზე წამიერ შეცბა, ოდნავ უჩვეულოდ შეინძრა და საწერი კალამი ნაწერ ფუეცელზე უდიერად დააგდო. სახე ჩემკენ მოატრიალა და უცნაური გამომერტყველებით შემომხედა. შემდეგ ოდნავი აღელვებით, ძლივს აკინძა საპასუხოდ სიტყვები:

— ის ფურცელი აღარ არსებობს. მეშინოდა არ დამკარგვოდა და ვინმეს ცუდათ არ გამოეყენებინა მასზე დაწერილი ტელეფონის ნომერი, რასაც ჩემს საწინააღმდეგოდ ააგორებდნენ.

მე ვერ გავერკვიე მის პასუხში და გაოგნებულმა დავტოვე მამის კაბინეტი.

* * *

ლეგენდაა თუ სინამდვილე ძნელი ამოსაცნობია, მაგრამ სამეცნიერო საზოგადოებაში ახლაც მუსირებს შემდეგი: შალვა ამირანაშვილის წიგნი «ქართული ხელოვნების ისტორია» პირველი გამოცემა (თბ. 1944 წ.) წაუკითხავს ი. სტალინს და უთქვამს: «Книгу Шалвы Ясоновыча Амиранашвили 'История грузинского искусства' надо перевести на русский язык и напечатать на хорошей бумаге».

* * *

ჩემი ორი წლის შვილ შალვასთან ერთად ვაცილებდი მამა შალვას, რომელიც შვილიშვილთან სტუმრობდა. ქუჩაში გამოსვლისთანავე შეგვხვდა შინისკენ მიმავალი მამის მუზეუმის თანამშრომელი, რომელიც ჩემს მეზობლად ცხოვრობდა. ის იყო ძვირფას ნივთთა შემფასებელი, გერმანელი ექსპერტი, გვარად კელლერი. სახით სიმპათიური მოხუცი

იყო, მაგრამ მეტისმეტად თეთრწვერმოშვებული. მამასთან საუბრის დროს ფაფუკი წვერი ისე უთამაშებდა მოხუცს, რომ შალვას შვილიშვილის ყურადღება მიიქცია. ჩემს ხელში აყვანილი ბავშვი გაოცებული სახით თვალს აყოლებდა წვერების მოძრაობას და იღიმოდა. ამ დროს, ჩვენთვის მოულოდნელად, ბავშვი ცალი ხელით წვდა კელლერს წვერებში და მუჭში ჩაიბღუჯა. კელლერმა საუბარი შეწყვიტა და ბავშვს მიაჩერდა. პატარა ამირანაშვილის მოურიდებელ ქცევაზე მე და მამას სიცილი ბოლომდე წაგვსკვდა. მოურიდებრლად გაბადრული ბავშვი ხელს არ უშვებდა კელლერის წვერებს და თავისკენ ექაჩებოდა. ჩვენ კი ღიმილს ვერ ვიშორებდით სახიდან. კელლერმა სამივე ამირანაშვილის მომღიმარე სახეები წყენად ჩათვალა და იმ წამსვე მოუფიქრებლად პირზე მომდგარი სიტყვებით დაგვასაჩუქრა: «Первобытное общество!» სამივეს წამოგვიყვირა სამჯერ.

მეორე დღეს შალვა ამირანაშვილმა მთელ მუზეუმს შეატყობინა, და შემდეგ დღეებშიც ყველას უყვებოდა, რომ მისმა შვილიშვილმა შალვამ წვერებით დაქაჩა კელლერი.

* * *

ტელეფონზე თხოვდნენ შალვას. რამოდენიმე ხანში მოსაუბრეს უპასუხა:

«თქვენ რომ მთხოვთ მასეთი საქმეები ტელეფონის დარეკვით არ კეთდება. ახლავე შევხვდეთ და პირადად ვეახლოთ მინისტრს».

* * *

ერთ დღეს მამამ შემომჩივლა:

— აღარ ვარ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი!

— რით დაიმსახურე ასეთი ვაჟკაცობა? შევეხმიანე თავმომწონედ.

— გელათის მახლობლად ბაზალტის ქვის კარიერია. ახლახან ქანების მოტეხვა დაიწყეს აფეთქებით. საფრთხე შეექმნა გელათის მონასტერს, რომელიც აფეთქების დროს რყევებს განიცდის. შესაძლებელია ისტორიული ძეგლი დროთა განმავლობაში დაინგრეს. სამივე ხელოვნებათმცოდნემ (გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე) შევიტანეთ ღია წერილი პროკურატურაში. აფეთქებები შეწყდა და მეც შემიწყვიტეს დეპუტატობა.

— კარგი საქმისათვის არა მხოლოდ დეპუტატობა, არამედ თავიც არ უნდა დაგენანოს! პატრიოტულად ვანუგეშე მამა. «და შენ დეპუტატობას ნანობ?» დავუბოლოვე ჩემებურად.

* * *

დავით პეტრეს ძე ამირანაშვილმა ტელეფონით შემატყობინა:

ერთ საღამოს შალვა გვესტუმრა. ოჯახის დიასახლისის ქეთევანის მიერ გაშლილ სავახშმო სუფრით ნასიამოვნებმა ბიძაშვილებმა ერთმანეთს თავისებურად გადაულაპარაკეს:

— ოპერასთან რომ ჩავივლი, სულ შენს აფიშებს ვხედავ ჩემო პეტრე, დაიწყო მისმა ბიძაშვილმა შალვამ, თითქმის ყოველ საღამოს სპექტაკლი გაქვს: გირჩევ შუალედებში მეტ ხანს დაისვენო და, ასე ვთქვათ, სხვაც ამღერე ამ ოპერაში! მორიდებით დააბოლოვა პეტრეს მისამართით ნათქვამი სიტყვა შალვამ.

— შენ რა, ჩემზე ნაკლები ხარ? შეუტია თავისებურად პეტრემ. თავჩაღუნული ზიხარ მაგიდასთან და წერა-წერაში დღეს აღამებ, ღამეს კი ათენებ. მაგდენიც არ შეიძლება, შე კაცო!

— ვმუშაობ, იმიტომ რომ ცხოვრება ხელს არ მიწყობს, ოჯახის გარდა რამდენი ვინმე მყავს შესანახი და სარჩენი!

— შენ რომ იცოდე, მეც მაგ დღეში ვარ! ძალაუნებურად შესჩივლა პეტრემ.

ბიძაშვილებმა მოფიქრებულად ერთმანეთს ჩახედეს თვალებში და ბას-ბარიტონის ტონალობაში სასიამოვნოდ გადაიხარხარეს დუეტად.

* * *

იმ წლებში ოპერის თეატრში ხშირად მიდიოდა სპექტაკლი «აბესალომ და ეთერი» და თითქმის ყოველთვის მთავარ როლებში მღეროდნენ ნოდარ ანდღულაძე (ტენორო) და პეტრე ამირანაშვილი (ბარიტონი). სწორედ იმ პერიოდში ჩემი შვილი შალვა ჭადრაკით იყო გატაცებული და ერთ საღამოს თანრიგის მოსაპოვებლად საკვალიფიკაციო შეჯიბრებისათვის დაწყვილების კენჭისყრაში იღებდა მონაწილეობას. წყვილების დასახელების დროს ჭადრაკის სასახლის დარბაზში ვისხედით მონაწილე ბავშვების მშობლები, ნათესავები და მოინტერესე საზოგადოებაც. კენჭისყრის შედეგად პირველ წყვილად დასახელდნენ: ანდღულაძე — ამირანაშვილი. ამ შეწყვილებული გვარების გაგონებისთანავე დარბაზს ერთიანად სიცილი წასკდა და ტაშით დააჯილდოვეს ახალგაზრდა მოჭადრაკეები.

ჩემმა შვილმა, შალვა ამირანაშვილმა პირველი პარტია წააგო. აცრემლებული თვალებით შემომხედა და მითხრა: «შუა თამაშში შეცდომა დავუშვიო».

* * *

ერთ საღამოს, ყოველნაირი საუკეთესო კერძით სავსე და რძესავით შესარგი ღვინით შეზარხოშებული, მანქანით მომიყვანეს სახლში მეგობრებმა. სასმელით გაჯერებულს შინ შემოსვლისას, წესად მქონდა შინაური კერძით ოდნავი წახემსება. იმ საღამოსაც შემოვუჯექი სასადილო მაგიდას და სიამოვნებით მივირთვი დიასახლისის მიერ შემოთავაზებული საოჯახო ულუფა.

როგორც, მეორე დღეს აღფრთოვანებით მომიყვნენ, მაგიდაზე ჩემს ცხვირწინ მდგარ მოსუფთავებულ საინზე თავი ჩამომიდვია და იმწამიერ ღრმად დამძინებია. გვიანსაღამოს მამა აუცილებლად მიირთმევდა ჩაის თაფლთან ერთად და შემოსულა სასადილო ოთახში სატრაპეზოდ. ასეთ მდგომარეობაში რომ დავუნახივარ, რასავირველია, არ ესიამოვნა და ყველას გასაგონად თავდაუჭერელი ყვირილით მოუმართავს ჩემთვის:

— ადე, შე ლოთო! შე ლოთო; წადი და დაწექი საწოლში ახლავე!

ძილის ბურანში მყოფს, ამ შეძახილზე თავი წამომიწევია და მის გასაგონად ამაყად მიპასუხია:

— ლოთი სახლში გეყოლებათ, იქ მოიკითხეთ! მითქვამს მამაჩემისთვის და ისევ თავდადებულს საინზე, გამიგრძელებია ძილი.

— მეც მაგას ვჩივიო! ჩემს გასაგონად დაუჩივლია მამას.

* * *

შალვა ამირანაშვილს მეტსახელად «Слоник»-ას ეძახდნენ. არა და, მოყვანილობით მართლაც რომ გავდა სპილოს.

* * *

სწორედ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირსა და ჩილეს შორის («პინოჩეტეს» ანტისახალხო რეჟიმის დამყარების გამო) შეწყდა ყოველგვარი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, სანტ-იაგო დე ჩილეში დაიბეჭდა იქ მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, სპეციალობით ქართველოლოგ ვიკტორ ნოზაძის შვიდტომეული «ვეფხისტყაოსნის» მეცნიერული შესწავლის შესახებ.

იმ პერიოდში ჩილედან საბჭოთა კავშირში გამოგზავნილი ყოველი ამანათი თუ ბანდეროლით შეფუთული წიგნი ან რაიმე სხვა ნივთი «იკარგებოდა» გზაში და ადრესატამდე ვერ აღწევდა. საბჭოთა ხელისუფლების ამ ხელოვნურ მოქმედებას ისიც მოაყოლეს, რომ ვიკტორ ნოზაძის შრომების წაკითხვა და გამოყენება, და მითუმეტეს მისეული განმარტებანი «ვეფხისტყაოსნის» კვლევასთან დაკავშირებით საერთოდ აკრძალეს ქართველ მეცნიერთათვის. ეს მოქმედება ცნობილი გახდა ქართულ სამეცნიერო წრეებში აღიარებული მკვლევრის ვიკტორ ნოზაძისათვის. მის ფასდაუდებელ ნაშრომებს რომ მიეღწია ქართველ ადრესატამდე, გონებამახვილმა ჩილელმა ქართველმა შემდეგ ხერხს მიმართა: მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებს ჯერ აგზავნიდა პოლონეთში თავის მეგობრებთან (რომელთა შორის იყო ქართველოლოგი იან ბრაუნი), ხოლო ეს მეგობრები უკვე პოლონური შეფუთვით ვიკტორ ნოზაძის წიგნებს აგზავნიდნენ საქართველოში. პოლონეთიდან გამოგზავნილი ამანათების კონტროლზე არ იყო დადებული სანქცია, ამიტომაც ფოსტა არ ინტერესდებოდა ამანათების შიგთავსით. ასეთი გზით ბევრმა ქართველმა მეცნიერმა დაუბრკოლებრივ მიიღო საჩუქრად ვიკტორ ნოზაძის შრომები. მათ

შორის იყო შალვა ამირანაშვილი, რომელიც სათუთად ინახავდა ვიკტორ ნოზაძისაგან ასეთი გზით მიღებულ ბეჭდურ საჩუქრებს.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების გამგემ აკადემიკოსმა ვალერიან გაბაშვილმა, რომელიც იმ დროს XII საუკუნის საქართველოს კულტურის საკითხებზე მუშაობდა მიზანდასახულად შემომჩივლა: «ბატონ შალვას ხომ არა აქვს ვიკტორ ნოზაძის შრომებიო». მე დასტურის ნიშნად კვერი დავუკარი. ბატონი ვალერიანი თითქოს გამოცოცხლდა, ისეთი ალმური მოეფინა სახეზე. მე, მამაჩემის თანხმობით, იმ წამსვე მოვურბენინე ვიკტორ ნოზაძის შრომები. მან მუშაობა დაიწყო, ისე რომ საღამომდე საწერ მაგიდიდან თავი არ აუღია. მე მამის სიტყვებიც გადავეცი ჩემს ხელმძღვანელს, რომ ვიკტორ ნოზაძის წიგნების გამოყენება საბჭოთა მთავრობის მიერ აკრძალული იყო. ამაზე ბატონმა ვალერიანმა მიპასუხა: «მოვა დრო, და აკრძალვა მოიხსნებაო». უკვე გვიანი საღამო იყო, როცა ორივე: ჩემი ხელმძღვანელი ვალერიან გაბაშვილი და მისი განყოფილების თანამშრომელი მე — გულბად ამირანაშვილი გამოვედით ინსტიტუტიდან. მოთმინებადაკარგულმა დარაჯმა ინსტიტუტის კარები შიგნიდან სასწრაფოდ ჩარაზა და დასაძინებლად გაეშურა.

* * *

შალვა ამირანაშვილის ნაამბობიდან:

XX ს-ის 60-იან წლებში, ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა 1937 წელს რეპრესირებულ-დახვრეტილი და საბჭოთა «ოტტეპელის» («დათბობის») დროს რეაბილიტირებულ-აღდგენილი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს სახალხო არტისტის სანდრო ახმეტელის თეატრალური შემოქმედების მრგვალი თარიღი. სანდრო ახმეტელის მხატვრულ-რეჟისორული შემოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობის პერიოდის მისი მეგობარი, ქართული ფილოსოფიის უბადლო წარმომადგენელი აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე.

მოხსენების წასაკითხად კათედრაზე ასულმა შალვა ნუცუბიძემ, დამსწრე საზოგადოებისადმი მისალმებისთანავე, შემდეგი სიტყვები წარმოთქვა:

— რუსთაველის თეატრის სცენაზე თავმოყრილ პრეზიდიუმში, სამთავრობო და თეატრალურ წარმომადგენელთა შორის იმყოფება პიროვნება, რომელიც არ უნდა მონაწილეობოდეს სანდრო ახმეტელისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე. კატეგორიულად ვთხოვ, დაუყონებლივ ადგეს და გაბრძანდეს პრეზიდიუმიდან!

ამ სიტყვების თქმისთანავე თეატრის სცენაზე და მაყურებელთა დარბაზში სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა. ყველა რაღაცას ელოდა, მაგრამ უშედეგოდ!

აუტანელი სიჩუმე შალვა ნუცუბიძემ დაარღვია:

— ვთხოვ, არ დამასახელებინოს მისი გვარ-სახელი, და ისევ მოვუწოდებ მას: «გავიდეს ზედმეტი ადამიანი!» შალვა ნუცუბიძემ სახე მისკენ მიაბრუნა, ვისაც მოუწოდებდა დაეტოვებინა სცენაზე განთავსებული პრეზიდიუმი.

სიჩუმე აპოგეამდე მისულიყო. ყველასათვის მოულოდნელად პრეზიდიუმს უეცრად მოსწყდა ყველასათვის კარგად ცნობილი უმაღლესი დონის მსახიობი და კულისებში გავარდა თვალშეუმჩნევლივ. მაყურებელთა შორის აქა-იქ კანტი-კუნტად და შემზარავად გაისმა ტაშის შემოტკაცუნების ხმა. იმ წამსვე ტაში აგრიალდა და ოვაციაში გადაიზარდა. გაუნძრევლად პრეზიდიუმის სკამებს მიკრულთაგან, არა თუ ტაშის ხმა, არამედ ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა.

კათედრაზე ამხედრებულმა შალვა ნუცუბიძემ, თითქოს კლანჭებქვეშ მოქცეული ნანადირევით კმაყოფილი, არწივივით გაიბრიქა, თავი ოდნავ გვერდით გადახარა, თვალები სულიერად «შემონთებულ მზეს» მიაპყრო და დაიწყო:

— სანდრო ახმეტელი...

XXIII

1). თხოვნით საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანთან

საბურთალოზე, სპეციალისტების სახლში მოთავსებული ხუთოთახიანი ბინა, სადაც შ. ამირანაშვილის ოჯახი ვცხოვრობდით, მამამ სახელმწიფოს ჩააბარა თბილისის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის გვერდული ფასადის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ოთხსართულიანი სახლის ოთხოთახიანი ბინის სანაცვლოდ, სადაც თბილისელი არქიტექტორი ნ. პ. სევეროვი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. მახსოვს, თუ როგორ გადმოგვქონდა აუარება წიგნები და ერთიანად გადაბმული თაროები, მოკლედ ყველაფერი, საჭირო თუ არასაჭირო საოჯახო ნივთი, რაც წლების განმავლობაში დაგროვილიყო ხუთოთახიან ბინაში. ჩემთვის გაურკვეველი მიზეზის გამო, რატომღაც აკადემიკოსის ოჯახი მოვთავსდით ოთხოთახიანი ბინის სამ ოთახში, ხოლო ამ ბინის დიდ მეოთხე ოთახში ცხოვრება განაგრძო არქიტექტორ ნ. სევეროვის მიერ იქ ჩატოვებულმა მისმა ნათესავმა, ახალგაზრდა ინჟინერ-რკინიგზელმა, რომელსაც პირობის თანახმად ორ კვირაში უნდა დაეცალა მის მიერ დაკავებული ოთახი. ინჟინერი ყოველდღე გვპირდებოდა, რომ უახლოეს ხანში გადავიდოდა, მაგრამ გადიოდა დღეები და თვეები, თვეებს წლებიც მისდევდა, ამასობაში ინჟინერმა არც აცხელა, არც აცია და დაქორწინდა, შეეძინა პირმშო ვაჟი, შემდეგ მეორე ბიჭიც მოაყოლა და გადასვლაზე უარი გამოგვიცხადა.

ორი ოჯახი ერთ ბინაში შევეწყვეთ ცხოვრებას, მაგრამ ტუალეტში შესვლაზე მუდამ ცოცხალი რიგი იდგა, განსაკუთრებით დილაობით. ბატონ

შალვას პატივს ვცემდით და ურიგოდ ვუშვებდით ტუალეტში. ერთნაირი მორიდებით გზას ვუთმობდით შინაურები და გაშინაურებულებიც. შევეჩვიეთ შექმნილ მდგომარეობას და მოსაქმეებაში ხელს არ ვუშლიდით ერთმანეთს. მაინც იყო შემთხვევები, რომ ვერ ვითმენდი და უნივერსიტეტის ეზოში მოთავსებულ ტუალეტში გავრბოდი თავქუდმოგლეჯილი.

ერთ დღეს დილით მეზობელი შევიდა შხაპის მისაღებად (სააბაზანო და ტუალეტი ერთად იყო მოთავსებული), ამ დროს შალვას ისე გაუჭირდა, რომ მოგვიხდა გასაპნული მეზობლის გამოძახება.

ეს იყო და ეს. მამა ესტუმრა ცენტრალურ კომიტეტს, საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მიმღებში შ. ამირანაშვილს ჰკითხეს, თუ რა საკითხზე უნდა შეეწუხებინა მას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. ხელოვნებათმცოდნე მეცნიერმაც სამდივნოს მუშაკს გულახდილად აცნობა საქმის ვითარება.

მოულოდნელ სტუმარს მომღიმარე სახით შეხვდა ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძე. მისალმების შემდეგ, შალვა ამირანაშვილი სანამ ხმას ამოიღებდა, ვ. პ. მჟავანაძემ ჩვეული ოსტატობით დაასწრო სტუმარს და თამამად უთხრა მოფიქრებული სათქმელი:

— შალვა იასონოვიჩ, თქვენ ბრძანდებით ერთადერთი ადამიანი, რომელიც ალბათ ბინის სათხოვნელად არ მოხვიდოდით ჩემთან! თქვა და, ოდნავ ჩაღიმებით განაგრძო:

— რისთვის შეწუხებულხართ შალვა იასონოვიჩ?

შალვამ ალმაცერად შეხედა ვასილ პავლოვიჩს, პასუხად ვერაფერი მოისაზრა კულტურული გამომშვიდობების გარდა, და საჩქაროდ გამოვიდა ცეკას მდივნის კაბინეტიდან.

2). იმერელი სტუდენტი

ბიძაშვილმა ჯემალ ფოცხვერიამ ჩემთან საუბრისას გაიხსენა:

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისი იყო. მაშინ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვმუშაობდი. იმ ერთ, ჩემთვის დაუვიწყარ დღეს, ვარ ჩემს კაბინეტში და რაღაც დოკუმენტის ჩამოყალიბებაზე ვმუშაობ. ამ დროს, მდივანმა შემატყობინა, ვიღაც სტუდენტს გვარად ამირანაშვილს, თქვენი ნახვა უნდაო. არ გასულა რამოდენიმე წუთი, რომ განსაკუთრებული მოწიწებით და მორიდებული მობოდიშებით კაბინეტში შემოვიდა სტუდენტი და თავაზიანი მოკრძალებით მომესალმა. ინტონაციაზე ეტყობოდა, და დიდი გამოცნობაც ამას არ ჭირდებოდა, რომ ახალგაზრდა იმერეთიდან იყო ნამდვილად. ჩემ წინ იდგა თაკარა მზით გაფერადებული სტუდენტი, რომელიც ჩემთვის წარმოჩინდა როგორც მწერალ დავით კლდიაშვილის მიერ აღწერილი იმერელი კაცის პროტოტიპი, ან თუნდაც მხოლოდ ამ მხარის ღირსეული მემკვიდრე. ჯერ ერთი და, ძლივს დავსვი სკამზე, მერე და,

მე რომ რაღაც საქმისთვის წამით წამოვდექი, ისიც ფეთიანივით წამოვარდა. ხელმეორედ დიდი ვაივაგლახით ისევ მოვათავსე სკამზე მეტისმეტად მორიდებული იმერელი და ისიც დაჟინებული მოთხოვნით. უცნობი სტუდენტი ისეთ მოწიწებას და თავდაჭერილ პატივისცემას გამოხატავდა ჩემ მიმართ, რომ ვერ წარმომედგინა თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი მის მიმართ: გავწყრომოდი თუ გულიანად ამეტეხა ხარხარი. ერთი რამ კი უცილობელი იყო. მას სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც «გაჭირვებაში» იყო ჩავარდნილი და სათხოვნელად მოსულიყო. მოარული ჟარგონი რომ მოვიშველიო «საქმის ჩასაწყობად».

— რით შემიძლია გემსახუროთ? მოვიშველიე ნაცადი მიმართვა.

თავჩაქინდრულმა ამომხედა და გამოცდილი იერით ისევ მორიდებით შემიღიმა. საკმაოზე მეტად მოხრილი წელში გასწორდა (მგონი, რაც კი ჩემთან შემოვიდა, მას შემდეგ არც კი გამართულა) და ხელის ნელი მოძრაობით გადმომაწოდა რაღაც ნაწერი ქაღალდი. გაკვირვებულმა გამოვართვი და გავშალე ორად გადაკეცილი ფურცელი. წამიერ თვალებს არ დავუჯერე. შეხედვისთანავე, მაშინვე ვიცანი ბიძაჩემის შალვა ამირანაშვილის ხელწერილი, რომელიც რამდენჯერმე გადავიკითხე, რაც სასიამოვნო გრძნობას მიღვივებდა.

«1970 წ. 28 იანვარი. ძვირფასო ჯემალ, ამ წერილის მომტანი არის ჩვენი ნათესავი თამაზ ამირანაშვილი ქუთაისიდან. ძალიან გთხოვ მოუსმინე მას და გაუწიე დახმარება. იგი წესიერი ყმაწვილია. პატივისცემით შალვა ამირანაშვილი».

ვკითხულობდი ბიძაჩემის ნაწერს და ფიქრებში გადავერთვებოდი ანაზდად. ნუთუ მე მომწერა ეს წერილი ბიძაჩემმა, ხომ შეიძლებოდა დავეძახებინე და უბრალოდ ეთქვა სათხოვარი ჩემთვის. მაგრამ მან თავისი სახასიათო თვისებების გამო, იქვე, იმავ წუთს, დაწერა ჩემთვის წერილი და ამით იქვე დაამშვიდა «გაჭირვებულ-გაღლეტილი» სტუდენტი.

რა თქმა უნდა, სტუდენტს დავეხმარე, გამოცდები ჩავაბარებინე და ინსტიტუტიდან აღარ გარიცხეს. თანაც ვთხოვე, როგორც კი ეს მისი პრობლემა გადაწყდებოდა დადებითად, მისულიყო მის გადამრჩენ შალვა ამირანაშვილთან, მადლობა გადაეხადა და სიტყვა-სიტყვით ეთქვა ჩემი დანაბარები: «პირადად ჩემგან დიდი მადლობა გადაეხადა იმ პატივისცემაში, რომ ბიძაჩემმა შალვამ წერილი გამომიგზავნა». და კიდევ, შევპირდი ახალგაზრდას, რომ შემდეგში, თუკი რაიმე გაუჭირდებოდა, დავეხმარებოდი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ასეთსავე წერილს მომიტანდა ბიძაჩემისაგან. როგორც შემდეგში შემატყობინა მადლიერმა სტუდენტმა, ყოველივე ჩემი დანაბარები უთქვამს ბიძაჩემისათვის, რომელსაც გულიანად უცინია.

ჩემდა «საუბედუროდ» ეს ზრდილი იმერელი ახალგაზრდა თვალითაც აღარ მინახავს, თორემ შევავსებდი ჩემ ბიბლიოთეკას შალვა ბიძიას ხელწერილებით.

3). უცნობი ხელოვნების მუზეუმში (მეგობარ რომან ცუხიშვილის გახსენება)

ვიღაც უცნობმა შეაღო ხელოვნების მუზეუმის კარები და მორიდებით იკითხა:

— მუზეუმის დირექტორი სად შეიძლება ვნახო?

— აბრძანდით მის კაბინეტში მეორე სართულზე, უპასუხა მილიციის ფორმაში გამოწყობილმა მორიგემ და ვიწრო გასასვლელისკენ მიუთითა სტუმარს. ცოტა ხანში იგი დირექტორის კაბინეტის კარებთან აღმოჩნდა და ფრთხილად დააკაკუნა.

— მობრძანდით, გაისმა დირექტორის ბარიტონული ხმა.

— გამარჯობათ, ბატონო შალვა, მაპატიეთ რომ გაწუხებთ! კარების შეღებისთანავე თითქმის მორცხვად დააყოლა ფრთაშესხმული სიტყვები სტუმრად მოსულმა და ხელმეორედ მოიბოდიშა.

— დიახ, გისმენთ! დაბრძანდით! იმავე ტონალობაში გაისმა იგივე ხმა და ხელის ჩვეული მოძრაობით სავარძელზე მიუთითა.

— ჩვენს ოჯახში უკვე დიდი ხანია, რაც ინახება ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრული ტილო, რომელიც მამაჩემმა, XX ს-ის დამდეგს პირდაპირ მხატვრისგან შეიძინა, სულ რაღაც მცირეოდენი თანხის სანაცვლოდ. მოურიდებლად ჩამოაფრქვია სიტყვები სტუმარმა და მოტანილ სურათს შემოფარებული ძველი გაზეთი ხელის სხარტი მოძრაობით შემოხსნა.

ხელოვნებათმცოდნე გაოცებით უყურებდა ფერწერას და თვალებს არ უჯერებდა. მის წინ იყო ნიკო ფიროსმანაშვილის ორიგინალური მხატვრობა, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა.

— ოჯახში სავალალო სიტუაცია შეგვექმნა მოულოდნელად. მეუღლე დამიავადმყოფდა და სასწრაფო ოპერაციაა საჭირო. ჩვენს ოჯახს ეს მხატვრული რელიქვია გააჩნია და მეტი არაფერი. გადავწყვიტეთ მუზეუმს მივყიდოთ, რომ ჩვენს სამშობლოს არ დაეკარგოს ძვირფასი ნივთი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ქართველი ხალხის საკუთრებად არის ქცეული. ჩვენ ამ სურათში მხოლოდ იმ თანხას ვითხოვთ, რაც საოპერაციოდ არის საჭირო. სულ ხუთასი მანეთი! თქვა და მორიდებით თავი დახარა სტუმარმა.

წლის ბოლო იყო და სამუზეუმო ფინანსები ნულზე იყო დაყვანილი. დეკემბრის ხელფასიც დარიგებული ჰქონდა ბუღალტერიას. გამოსავალი არ ჩანდა. მომდევნო წლის ფინანსებს მხოლოდ პირველ კვარტალში ჩარიცხავდნენ, და ალბათ, მარტის თვეში. მაგრამ მთავარი მაინც იყო ის, რომ ფიროსმანი მუზეუმში უნდა დარჩენილიყო!

სიტუაცია დაიძაბა და შესაბამისად მუზეუმში ატყდა ჩოჩქოლი. დირექტორი მოურიდებლად გაერია თანამშრომლებში და ყველას ამცნო შექმნილი მდგომარეობა. უცებ ვიღაცამ თითქმის წამოროშა: «მოდით შევაგროვოთო». ამის გაგონებაზე ფიროსმანის ხელოვნების დამფასებელმა დირექტორმა გულჯიბიდან საფულე ამოაცურა და ბუღალტერს გადაუპიქვავა ხელებში. ბუღალტერმა ჩვეული ოსტატობით გადათვალა

თანხა, ოთხმოცი მანეთი აღმოჩნდა. თანამშრომლები რიგში ჩადგნენ და დაისუფთავეს ჯიბეები. ზოგი სადღაც გაიქცა და მოარბენინა რაც შეეძლო. თანამშრომლებთაგან ერთსულოვნად ყველამ მიიღო მონაწილეობა: იმ დროს მანეთსაც ფასი ედებოდა. რამდენიმე ხანში ისევ ბუღალტერმა გადათვალა შეგროვილი თანხა, რომელიც სამასი მანეთი აღმოჩნდა. ფული გადასცეს დირექტორს. თანამშრომელთა ერთსულოვნებით კმაყოფილი დირექტორი კაბინეტში შებრუნდა და სახელდახელოდ შეგროვილი თანხა სასიამოვნო სტუმარს გადასცა, და თან დაუყოლა:

— აქ სამასი მანეთია, ხვალ თორმეტ საათზე მობრძანდით, და დანარჩენ ორასსაც მიიღებთ. უთხრა, შვებით ამოისუნთქა და ფიროსმანს ჩააცქერდა.

სტუმარი უკანასკნელი შეხედვით გამოემშვიდობა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მხატვრულ საკუთრებას და გულაჩუყებული ფეხაკრეფით გამოვიდა დირექტორის კაბინეტიდან.

მეორე დილით, შალვა ამირანაშვილმა განცხადებით მიმართა თბილისის უნივერსიტეტის რექტორს, რომ სტამბაში დასაბეჭდად ჩაშვებული მისი წიგნის ჰონორარიდან მისთვის ნაადრევად გამოეყოთ ორასი მანეთი.

შუადღისას ორასი მანეთით შეიარაღებული შალვა ამირანაშვილი პირნათლად დახვდა გუშინდელ სტუმარს და დათქმული თანხა უკლებლივ გადასცა.

4). რუსთაველის ნაკვალევს აცდენილები

საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით 1960 წელს, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები ენათმეცნიერი-ქართველოლოგი აკადემიკოსი აკაკი შანიძე, ენათმეცნიერი-სემიტოლოგი აკადემიკოსი გიორგი წერეთელი და პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე ისტორიული მნიშვნელობის მისიის შესასრულებლად გაემგზავრნენ პალესტინაში, შოთა რუსთაველის ფრესკული გამოსახულების გამოვლენის მიზნით.

რადგანაც საქმე ეხებოდა საეკლესიო მხატვრობას და პალესტინაში გასაგზავნად მომზადებულ ჯგუფში არც ერთი მათგანი არ იყო ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სპეციალისტი, ამიტომ საქართველოს მთავრობამ მოითხოვა საბჭოთა მთავრობაისაგან სამკაციან ჯგუფს დამატებოდა მეოთხე, აუცილებლად ხელოვნებათმცოდნე. და ისიც, ქართველ მეცნიერთაგან რომელიმე: აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, ან აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, ან აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე.

იმ მოტივით, რომ ამ საქმის საწარმოებლად საბჭოთა კავშირის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიდანვე დამტკიცებული იყო მხოლოდ სამი პიროვნების გაგზავნა, ამიტომ აღარ შეცვალეს ექსპედიციის მონაწილეთა რაოდენობა. სამაგიეროდ საბჭოთა კავშირის მთავრობამ შესთავაზა საქართველოს მთავრობას სამი დამტკიცებული პი-

როვნებიდან რომელიმე შეეცვალათ ხელოვნებათმცოდნით, რაზეც არ დათანხმდა საქართველოს მთავრობა. შესაბამისად სამკაციან ჯგუფს არ დაემატა ზემოაღნიშნულ სამ ხელოვნებათმცოდნეთაგან რომელიმე ერთი სპეციალისტი. პალესტინაში წამსვლელთა ჯგუფს დააკლდა ხელოვნების მცოდნე მეცნიერი, რომლის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ჯვარის მონასტერში არსებული ფრესკული მხატვრობის რაობის გარკვევის თვალსაზრისით.

XXIV

1). შალვა ამირანაშვილი: საპატიო მილიციონერი

ჩემს ბიძაშვილ ჯემალ ამირანაშვილს სადღაც ვაჟკაცურად უჩხუბია და როგორც დამნაშავე, მილიციაში მოხვედრილა. მილიციისათვის დაუწერელი კანონი ყოფილა, რომ ახლად დაკავებულს, ერთი სატელეფონო ზარის გაშვების უფლება ჰქონია. ჯემალ ამირანაშვილს მოფიქრებულად უსარგებლია ამ უფლებით, დაურეკავს ბიძამის შალვა ამირანაშვილისთვის და დახმარება უთხოვია.

«ასეთი საქმეები ტელეფონის დარეკვით არ გვარდება» გაუფიქრია შალვა ამირანაშვილს და მისულა მილიციაში. მილიციაში მისულ ადამიანში მილიციის თანამშრომლებს ნამდვილად შეუცვნიათ აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და მილიციის უფროსს დიდი პატივით მიუღია.

— ჩემი ძმიშვილი მოხვედრილა თქვენთან მილიციაში და...? ვეღარ დაამთავრა შეკითხვა თავჩაღუნულმა აკადემიკოსმა.

— რას ბრძანებთ, ბატონო შალვა, ალბათ რაიმე გაურკვევლობას ექნებოდა ადგილი! თუ საქმე შეკერილია, ახლავე გადავკერავთ! ანუგეშა შალვა ჩვეული ტერმინოლოგიით მილიციის უფროსმა. შემდეგ, ტელეფონის ყურმილი აიღო თუ არა, მასში გაისმა ხმა: «გისმენთ, უფროსო!»

— შემომიტანეთ ამირანაშვილის საქმე! უბრძანა და შალვას მიაჩერდა.

საქმეში რომ ჩაიხედა, საქმის შემომტანს უყვირა შალვას გასაგონად: «არ გრცხვენიათ, კაცი სასტიკად უცემიათ, ცხვირ-პირი დაუმტვრევიათ მისთვის და თქვენ მილიციაში ამოაყოფინეთ თავი? ცოტა ხნით შეჩერდა, საქმეში ისევ ჩაიხედა და დაწყებული ყვირილით განაგრძო: «უწმაწურად არ მათქმევინო, თვალები სად გქონდათ»? «დასახიჩრებული კაცი, ბატონი შალვას ძმიშვილი, იმის მაგიერ საავადმყოფოში რომ წაგეყვანათ, თქვე ბრმებო, მილიციაში მომიყვანეთ? რა უნდა გელაპარაკოთ! ამ შეცდომისთვის გაგაგდებ სამსახურიდან და მერე ხომ ისწავლი ჭკუას! გადი გარეთ და სასწრაფოდ შემოიყვანე დაზარალებული!

გაოცებულ შალვა ამირანაშვილს, შეეცოდა მილიციის ქვემდეგი, სამსახური არ დაკარგოსო და უფროსს დაწყნარება სთხოვა.

— მეტის ღირსია მაგი! არ ცხრებოდა უფროსი.

დაზარალებული საღ-სალამათი შემოვიდა და ბიძას მიესალმა.

— რატომ შეაწუხე ბიძაშენი, ამხელა კაცი! ვერ მითხარი პირდაპირ! შვილო, ხომ არ გაწუხებს რამე? მიმართა დამნაშავეს. ჯემალ ამირანაშვილი ხმას არ იღებდა. ახლავე წადი და სხვა დროს არ შეაწუხო ბიძაშენი, აწი ხომ გეცოდინება, რომ აქა ვარ! და პირდაპირ მე მომმართე! იცრუა თუ ნამდვილად ასე თქვა, ვერ გაარკვია ჯემალიმ.

მილიციის უფროსი მიუბრუნდა შალვას და თხოვა:

— ბატონო შალვა, ხვალ თუ მოიცლით ჩვენთვის და წაგვიკითხავთ ლექციას ქართული განძის გატანა-ჩამოტანის შესახებ, დიდათ მადლობელი დაგრჩებით.

მამა დაეთანხმა. და მეორე დღეს ლექცია ჩაატარა გაშინაურებული მილიციის განყოფილებაში. ხმა გავარდა, შალვა ამირანაშვილი ლექციებს კითხულობს მილიციაშიო და შემდეგ ჯერზე მეზობელ რაიონშიც მიიწვიეს. მეზობელმა თავის უშუალო მეზობელს გადაუძახა და იქაც ლექციის წასაკითხად წაიყვანეს ხელოვნებათმცოდნე აკადემიკოსი. ამბობდნენ, რომ შალვა ამირანაშვილმა თბილისის ათივე რაიონული მილიცია შემოიარაო ლექციების კითხვა-კითხვითო. ბოლოს, თბილისის საქალაქო მილიციის თლა უფროსმა მიიწვია თავისთან უკვე შინაური შალვა ამირანაშვილი და საზეიმო ვითარებაში გადასცა მილიციის პირადობის მოწმობა, სადაც დიდი ასოებით იყო ჩაწერილი: «შალვა ამირანაშილი. ქალაქ თბილისის საპატიო მილიციონერი».

2). შალვას სახელით ავტოინსპექციაში (შალვას მეუღლის: ნინო წერეთლის ძმიშვილ ზურაბ წერეთლის ნაამბობი)

თბილისის ავტოინსპექციაში მთავარი ინსპექტორის მოადგილედ მუშაობდა ჩემი ბიძაშვილი (დედის ძმიშვილი) ზურაბ წერეთელი, მეტსახელად «ბაია». ჩემთან საუბარში ზურაბ წერეთელს დათქმული ჰქონდა, ავტოინსპექციაში თუ გვარით ვინმე ამირანაშვილის ან წერეთლის საქმე შემოდის, მათ, შალვა ამირანაშვილის და მისი მეუღლის ნინო წერეთლის ხათრით, ყველა ვარიანტში ვეხმარებიო.

ერთ დღეს შალვა ამირანაშვილის ნათესავი ჯემალ ამირანაშვილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დააჯარიმეს, თან მანქანის ფლობის საბუთები წაართვეს და მეორე დღეს ავტოინსპექციაშიც დაიბარეს. საბუთების გამოსატანად მისული ამირანაშვილისთვის უთქვამთ, რომ თქვენი საქმე განსახილველად მთავარი ინსპექტორის მოადგილემ ზურაბ წერეთელმა წაიღოო. ავტოინსპექტორმა საგულდაგულოდ გადაათვალიერა ჯემალ ამირანაშვილის სამანქანო საბუთები და კარგა გვარიანად მომზადებული შეხვდა მის კაბინეტში შემოსულ ავტოსაგზაო წესების დამრღვევს. ჯერ გულმხურვალე სალმის დაყოლებით სავარძელში მოათავსა ახალგაცნობილი ამირანაშვილი და მოიკითხა კიდეც, ძალიან ხომ არ შეგაწუხეთ, აქ რომ მობრძანდითო. თავიდანვე ჯემალ ამირანაშვილს ჰგონებია, რომ ვინმემ ხომ არ ჩაუწყო საქმე და სიგარეტი შესთავაზა სახელმწიფო მოხელეს. როცა ორივემ გააბილა და

ამოსუნთქული ნაფილტვარი კვამლით «კალცო»-ების გაშვება დაიწყეს, ინსპექტორის მოადგილეს უკითხავს დაზარალებულისათვის, ხელოვნებათმცოდნე აკადემიკოსს, შალვა ამირანაშვილს ხომ არ ენათესავებითო. ჯემალი აზრზე მოსულა, მიმხვდარა თუ რაშიც იყო საქმე და თავმოწონებით უპასუხა:

— შალვა ამირანაშვილი ბიძაჩემიაო, რიხიანად უთქვამს ჯემალს. ზურაბი არ ელოდა ასეთ პასუხს, ოდნავ დაეჭვებულა და ხელმეორედ დაუსვამს იგივე შეკითხვა. თავისჯერად ჯემალმა იგივე გაუმეორა ნათქვამი. ამჯერად ჯემალის პასუხი დამაჯერებლად ჟღერდა ზურაბისთვის. სინამდვილეში ჯემალის მამა და შალვა ერთმანეთის ბიძაშვილები იყვნენ.

ახლა ზურაბ წერეთელმა დაიწყო შალვასთან ნათესაური კავშირის მოყოლა:

— მამაჩემის და — ნინო წერეთელი, ცოლად ჰყავდა შალვა ამირანაშვილს, უთქვამს თავმომწონედ ინსპექტორს.

— კუკური და ბუხუნის დედა? შეუკითხავს ჯემალს.

— დიახ, უთქვამს ზურაბს, კუკური და ბუხუნი ჩემი მამიდაშვილები არიან!

ორივე ფეხზე წამომდგარა და გადაუკოცნიათ ერთმანეთი.

ამ გასაცნობ ამბავს რესტორანიც მოჰყოლია. შეზარხოშებულები ფულის გადახდისათვის ერთმანეთს ხმამაღლა ეკამათებოდნენ. ფულის გადასახდელად მოწვეულ ოფიციანტს ორივეს გასაგონად ხმამაღლა უთქვამს:

— «თქვენი საქეიფო გადახდილიაო» და რესტორნის კუთხეში მოთავსებულ მაგიდისკენ გაახედა ორივე. ნაქეიფრებს, შორიდანვე ხელის ქნევით ესალმებოდა ჩაფსკვნილ-დაკუნთული, ბრგე კაცი, ხოლო მეორე ხელით კოცნას უგზავნიდა ნაცნობებს. ესენიც ტანდემად აყვნენ მას.

რესტორნიდან გამოსული მოქეიფეები, სანამ თავ-თავიანთ მანქანებში ჩასხდებოდნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ და არკვევდნენ, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ჩაფსკვნილ-დაკუნთული, ბრგე კაცი.

3). შეხვედრა ბნელ დერეფანში

ერთხელ ხელოვნების მუზეუმთან ერთმანეთს შეხვდნენ ნათესავები: შალვა ამირანაშვილის ქალიშვილი ნათელა და მისი ბიძაშვილი ჯემალ ფოცხვერია. აღმოჩნდა, რომ ორივე მიდიოდა შალვას სანახავად მუზეუმში და ერთად განაგრძეს გზა. სანამ დირექტორის კაბინეტამდე მივიდოდნენ, უნდა გაევლოთ ბნელი დერეფანი, რომელშიც ძალაგამოლეული ერთი ნათურა ოდნავ ბჟუტავდა. დღის სინათლე კი საერთოდ ვერ აღწევდა დერეფნამდე. სტუმრად მოსულმა ნათესავებმა, როგორც კი ბნელ დერეფანში შედგეს ფეხი, დაინახეს, რომ მათკენ მოაბიჯებდა მუზეუმის დირექტორი შალვა ამირანაშვილი, რომელიც ნათელასთვის იყო მამა, ხოლო ჯემალისთვის იყო ბიძა. ორივე გაღიმებული სახით მიუახლოვდა: ერთი მამას, ხოლო მეორე ბიძას. დირექტორი უეცრად

შედგა მათ წინაშე, წამიერ გადახედა ორივეს და მბრძანებლური ტონით მიმართა მათ:

— ახალგაზრდებო, ვის ეძებთ აქ?

4). ზემო იმერეთის სოფლის ეშხი

ერთ დასიცხულ ზაფხულს, ზემო იმერეთის სოფელ ჭორვილაში სტუმრად დაპატიჟეს შალვა ამირანაშვილი, რომელსაც მეც ავეკიდე ძველი ხურჯინივით. გვმასპინძლობდნენ მთის სუფთა ჰაერით ნასუნთქი და აპოლონისებური სიმეტრიით გამოყვანილი ტანფეხის ახალგაზრდა ძმები ნადირაძეები: არქეოლოგი ჯურხა და საქართველოს ისტორიის მკვლევარი გიორგი, რომელსაც ცელქი და დაუდეგარი ბავშვობით გამოირჩეოდა და ამიტომ ჰასანას ეძახდა მთელი სოფელი.

იმ წელს, ძმები ნადირაძეების მეთავეობით ტარდებოდა არქეოლოგიური გათხები მეზობელი სოფლების: საირხესა და ჭორვილას მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ მიდამოების არქეოლოგიურ ფენებში მათ მიერ გამოვლენილი იქნა ანტიკური პერიოდის ნივთები: კერამიკული წარმოების საოჯახო ჭურჭლეულობის ნატეხები; ბრინჯაოსგან დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების საგანთა შემორჩენილი ნამსხვრევები. ძმები ნადირაძეების მიერ აღმოჩენილი იქნა ელინისტური პერიოდის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ორნამენტებით შემკული სვეტსაყრდენი, რამაც განცვიფრებაში მოიყვანა ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი. იმ წელს აღმოჩენილი სხვადასხვა არტეფაქტებით დადასტურებული იქნა, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული ძველ ბერძნულ და რომაულ კულტურას იმერეთის ამ მაღალმთიანეთში. აღმოჩენილი მასალის რაობის შესახებ სჯა-ბაასი წარიმართა ბატონ შალვასა და ძმებ ნადირაძეებს შორის, რომელიც ჩემი თვალთახედვით ნამდვილ მეცნიერულ სიმპოზიუმს ჰგავდა. მასწავლებელსა და მოწაფეებს მეტადრე გაცხარებული კამათი ჰქონდათ გამომზეურებული ისტორიული მასალების დათარიღების თვალსაზრისით.

არქროლოგიური მონაპოვრები გვერდზე იყოს და, ჭორვილაში მისულ მამა-შვილ ამირანაშვილთათვის განუმეორებელი ბედნიერება იყო მეცნიერი ძმების მშობლების ბატონ შალვა ნადირაძის და ქალბატონ თებროლე წერეთლის ოჯახში სტუმრობა. წარმოუდგენლად ზღაპრული მასპინძლობა გაგვიწიეს, ქალაქში რომ არც კი დაესიზმრება კაცს. მართლადაც გაშლილი იყო სამეფო სუფრა და ერთი შეხედვითაც იმწამიერ თვალიც ხარბი მოუთმენლობით ნაყრდებოდა. ნაირნაირი კეძებით გულუხვად მოფენილი სუფრით აღფრთოვანებულმა ამირანაშვილებმა, საოცრად სტუმართმოყვარე მასპინძლებს სადღეგრძელოებით აღვუვლინეთ ღვთისნიერი ლოცვა: «მრავალრიცხოვანი თაობებით ღმერთმა ასულდგმულოს და ამრავლოს, ახაროს და აბედნიეროს ჭორვილელ ნადირაძეანთ დღეგრძელი მემკვიდრეობა ა მ ი ნ !»

ჩვენი სტუმრობის დროს შალვა ნადირაძის ოჯახს ამშვენებდა ხუთ ბიჭი და ერთი ქალიშვილი. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ მხრივ მათი ოჯახი ყოველი ქართული ოჯახისთვის მისაბაძი მაგალითია!

ულამაზეს სუფრაზე სულიდან ამოფრქვეული გულწრფელი და მეგობრული სიყვარულით გაჯერებული სადღეგრძელოები ისმებოდა, და თან ბოლომდე. ორივე შალვა, სტუმარი ამირანაშვილი და მასპინძელი ნადირაძე თავდავიწყებით ეტანებოდნენ ახლადთავმოხდილი ჭურიდან ამოწურულ იმერულ ძველშავს. სხვადასხვა ფორმის სასმისებით (რომლებიც კედელსმიტმასნულ თაროზე იყო გამომწვევად განლაგებული) ღვინის სმა მართლაც ამშვენებდა სუფრას. კარგად შემხიარულები ვიყავით, როცა ერთნაირად მოდიდო ყანწები მიართვეს ორივე შალვას: სტუმარსა და თავკაც მასპინძელს. ორივემ ვახტანგურად ბოლომდე ჩაიწურა ოჯახის საკეთილდღეოდ დაწურული ნექტარი. ჩვენ, მათ გვერდით მჯდომი თანამესუფრეები ორი სრულყოფილი ქართველის დაძმობილების უშუალო მოწმეები ვიყავით.

იმ ლამაზ საღამოს ნადირაძეების სახლის აივნიდან თვალწარმტაცად მოჩანდა კავკასიონის მთებს ოდნავ შეფენილი მოელვარე სერი, რომელიც ჩამავალი მზით გასხივოსნებულ ცის კაბადონს ეტმასნებოდა. მასპინძლის ეზოში ახლად გადაკრეჭილ სურნელოვან ბალახზე თავდავიწყებით დარბოდა ჩაბსკვნილ-დაკუნთული სამი თუ ოთხი წლის ბიჭი, რომელიც თავისებურად ზეიმობდა ოჯახის სიხარულს. მამა-შალვამ თავისკენ მოუხმო უშველებელ ეზოში მარტოდ მყოფ ყველაზე უმცროს შვილს. ენერგიამომატებულმა ბავშვმა მამის დაძახებისთანავე სწრაფად მოირბინა ჩვენთან და ქედმაღლურად გაგვეცნო:

— ელდარი მქვია, თავაწეული სითამამით წარმოთქვა და უკვე თავჩაქინდრულმა უხალისოდ დაუმატა: მამა კი «კანეცას» მეძახის. შეუცნობელი გაკვირვებით წარმოთქვა და ერთობ თითქოს შერცხვა კიდეც თავისივე ნათქვამის. ბავშვის პასუხისთანავე გულღიად გაგვეღიმა ღვინომოკიდებულ მესუფრეებს და გადავხედეთ უკვე თავისებური მეობით ამაყად მომზირალ ბავშვს. ელდარს სახე მთლიანად მოღუშოდა და მზად იყო გასაქცევად. მამამისმა თმებზე მოეფერა თითქმის გულნატკენ «ნაბოლარას» და ზურგზე ხელის მტევნის ოდნავი წაკვრით, ბიჭმა ისევ ეზოს მიაშურა.

ღვინით კარგად გაჯერებულნი, აივანზე გამოვედით მე და ჯურხა. არ მინდოდა მეთქვა, რის თქმასაც ვაპირებდი, მაგრამ რომ არ მეთქვა ამით უფრო დამნაშავე ვიქნებოდი ჩემი თავის წინაშე და მოკრძალებით მაინც შესაკითხად მოვემზადე. იგი სმენად გადაიქცა და თავი მცირედ გადმოხარა ჩემკენ.

— დღეს, შუადღისას მამას ვთხოვე გამყოლოდა ჭორვილასოფლის შარამდე და ეჩვენებინა ჩემთვის ის სახლი, სადაც დედაჩემი ნინო წერეთელი დაიბადა და აღიზარდა. მამა შეყოვნდა და უარი მითხრა.

ჯურხამ ნათქვამი გაიგო. ხმაამოუღებლივ ჩუმად ყოფნა ამჯობინა. შევატყვე, რომ არაფრის თქმას არ აპირებდა.

ჩემთვის გავიფიქრე: სოფლის ლაბირინთებში ჩადგმული იქნებოდა ნინოს მამის დავით წერეთლის სახლი და მაინტერესებდა მისი ნახვა, და თუგინდ იქ მცხოვრები ჩემთვის უცნობი, უახლოესი ნათესავების გაცნობა. მამა ერთობ შეცბა და ხვეწნით უარი განმიცხადა დედის სახლის ჩვენებაზე. მოუშუშებლად მეწყინა და მწყინს დღემდე, რომ მამამ დაუნდობლად და ერთი სიტყვა-თქმით გამიწყვიტა დედის წარსულის აღდგენა ჩემში. მამისგან გულდაწყვეტილი და მართლაც მხარჩამოგდებული, იმ ზაფხულის დღიდან ვცოცხლობ ჭორვილელ წერეთელთა ოჯახიდან სამუდამოდ განკვეთილი, სამარადისო სიკვდილამდე მოძულებული, ჩემს ჭორვილელ ნათესავთაგან უსიტყვოდ განდევნილი. მაშინ კი დავეცალკევე მამას, რომელიც დღისით წაძინებას ცდილობდა და ვუთხარი, ნადირაძეანთ აივანზე ვიქნები, თქო.

სულ ცოტა ხანში აივნიდან ჩამავალი კიბით სწრაფად დავეშვი ეზოში, გადავკვეთე შემორაგული ნათესდაყოლილი ფართობი და ღობეში გაჩხერილი ჭიშკრით გავედი შარაზე. შუადღეს გადასული იყო და მეტისმეტად ცხელოდა. ჭრიჭინებს აკლებული ჰქონდათ იქაურობა და ერთმანეთთან გადაძახილებსაც ასწრებდნენ. მივდიოდი ოდესღაც მოკირწყლულ ორღობეში და ფერდობს შეფენილ სახლებს მონატრებული სიყვარულით ვუყურებდი. ჯერ ერთს, მერე მეორეს, მესამეს და ასე შემდეგ. კარგა მანძილი გავიარე და საკვირველება ის იყო, რომ ეზოებში კაცის ჭაჭანება არ იყო. ყველანი ერთიანად შეყუჟულიყვნენ თავ-თავიანთ გრილ სახლებში და სიცხით გათანგულ გარე სამყაროში რა ხდებოდა, არც კი აინტერესებდათ. ამ მისაჩვევს დიდი ხანია რაც მიჩვეულები იყვნენ. მართალია სოფელში ვიყავი, მაგრამ ქალაქურმა მორცხვობამ მაინც დამძლია და ვერ მოვყევი «მასპინძელო, მასპინძელო»-ს ძახილს. ასე ჩუმად და გულისტკივილით გამოვიარე ერთ ჯერზე გავლილი გზა და ვგრძნობდი, რომ ძლივს მივათრევდი ფეხებს.

ახლა კი, კარგა საღამო ხანს, აივანზე მე და ჯურხა ისევ ჩუმად ვიდექით, და თანდათანობით მოწოლილი სიბნელით ღამის გამუქებას ვამჩნევდით. საქეიფო ოთახში ილიჩის ნათურა აენთოთ და თვალნათლივ გამოჩნდა, რომ სუფრას თავს დასტრიალებდა და არაფერს აკლებდა ნადირაძეანთ ქალიშვილი, რომელიც მთელი მონდომებით ეხმარებოდა დიასახლის დედას. ჩემდა უნებურად, ჩემ თავს შევამჩნიე, რომ მასპინძელი შალვას ასულ-ქალიშვილის სპეტაკი არსებისკენ ბუნებრივად მიიწევდა ჩემ საგულედან ამოვარდნილი ოცნება. არაჩვეულებრივი სილამაზე გამოკრთოდა მის ბუნებრივ მოძრაობაში, რაც მეტისმეტად მოქმედებდა ჩემზე და თითქოს მასულდგმულებდა კიდეც იმწამიერ.

ღვინო სითამამეს მატებს ადამიანს და მეც მის ტყვეობაში მოვექეცი.

ჩემს მეგობარ ჰასანას ვერც კი გავუბედავდი, რომ გამებედა კიდეც, იმ ცალი ხელით სიკვდილემდე მცემდა. ამიტომ დავიმარტოხელავე ადვილად დამყოლი ჯურხა და სრული გადაწყვეტით მივმართე:

— მომათხოვე ცოლად, შენი და! დაუნდობლად მივახალე ამონთებული სიტყვები და მაინც ძლივს გამოვცარი თითქმის ბრძანების კილოთი ნათქვამი ჩემი ცხოვრებისეული გადაწყვეტილება.

სიტყვაძუნწი ჯურხა უეცრად ჩაფიქრდა, ტუჩები დაბრეცით წინ გამოზნიქა, შუბლიც ოდნავ დაინაოჭა, მოუფიქრებელმა სიტყვამ არ გამისწროსო, უჩვეულოდ შეიშმუშნა კიდეც და მოფიქრებული პასუხი დინჯად მომიგო:

— შე-ყვა-რე-ბუ-ლი ყა-ავ-სო! გასაგები დამარცვლითა და გაგრძელებული წამღერებით წარმოთქვა, შემდეგ ჩემს გასაგონად ღრმად ჩაისუნთქ-ამოისუნთქა და მოურიდებლად ამარიდა ორივე თვალი.

პირდაპირ, და გასაგებად ნათქვამ პასუხს მართლადაც არ ველოდი. თითქოს მდუღარე წყლით სამუდამოდ გულჩათუთქულმა და უიმედობით წამსვე ბოლომდე შეპყრობილმა, ძლივს გასაგონი სიტყვები აუჩქარებელად და ძალაუნებურად წავილუღლუღე:

— მერე რა, ყავდეს მეთქი! ამოვღერღე საპასუხოდ და აპრიორულად თავიდანვე დავთანხმდი სამთა სასიყვარულო ცხოვრებას.

ასეთ პასუხს არც ჯურხა ელოდა ჩემგან და ანაზდად ორივ თვალი გამისწორა. მერე გადახარხარებით გაგვეცინა ორთავეს და ლოყების მიტმასნებით ე. ი. ახლებურად ჩავეხუტეთ ერთმანეთს. ხელიხელ გადახვეულები სუფრასთან მივედით და ერთმანეთის გვერდი-გვერდ ჩამოვსხედით.

კარგად შექეიფიანებული მასპინძელი-თამადა შრომისმოყვარე ქალიშვილის სადღეგრძელოს სვამდა. ჩვენ შევუხმატკბილეთ ზეცით მოვლენილ ოქრო სიტყვებს და უნისონში ბოლომდე შევსვით ქალიშვილის სადღეგრძელო.

კედლის მონოტონურ საათს ღამის თორმეტი დიდი ხნის უკან ჩამოერეკა, სუფრასთან განშორება კი არავის არ გვინდოდა.

5). მეცა ვარ, შვილიშვილი!

60-იანი წლების ბოლოს ვაკის პარკის ტერიტორიაზე, სურნელოვან ნაძვნარში აშენდა საბავშვო ბაღი. გამოჩენილი ადამიანები და მაღალი თანამდებობის პირები თავიანთ შვილიშვილებს აღსაზრდელად სწორედ რომ ამ ბაღში ათავსებდნენ. მამას ვთხოვე ამ საქმის დაგვირგვინებისათვის მისულიყო ბაღის გამგესთან სათხოვრით. მამამ შემისრულა მისთვის უხერხული თხოვნა და ბაღის გამგემ აკადემიკოს კაცს უარი ვერ უთხრა.

ერთხელ, საბავშვო გამომცემლობიდან ჟურნალისტი და ფოტოგრაფი ესტუმრნენ საქვეყნოდ ცნობილ ამ საბავშვო ბაღს. დავალებული ჰქონდათ ბაღის ყოფა-ცხოვრების აღწერა და სათანადო ფოტოების გადაღებაც. ფოტოგრაფირება რომ დაამთავრეს, ბაღის გამგემ სტუმრებს შესთხოვა:

— აი, ის ბიჭი, გიორგი ძოწენიძის (საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) შვილიშვილია და გთხოვთ ცალკე გადაუღოთ სურათი!

საქმიანმა სტუმარმა სიამოვნებით შეუსრულა თხოვნა საბავშვო ბაღის გამგეს და ფოტოაპარატი რამოდენიმეჯერ დააჩხაკუნა. როცა დაამთავრა გადაღება, უეცრად მასთან მიიჭრა აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის შვილიშვილი პატარა შალვა, წინ წამოეჭიმა და მოთხოვნით უთხრა:

— გადამიღეთ სურათი! მეცა ვარ შვილიშვილი!

ყველას სიამოვნებით გაეღიმა და ისევ გაისმა ფოტოაპარატის ჩხაკუნის ხმა.

XXV

1). ინციდენტი ხელოვნების მუზეუმში

საქართველო-ირანის კულტურულ-მეგობრული ურთიერთობის გაღრმავების მიზნით თბილისს ეწვია ირანის შაჰინშაჰი, მისი უზენაესობა მოჰამედ რეზა ფეჰლევი (1944-1978) მეუღლესთან ერთად და ირანის მეჯლისის დელეგაციის თანხლებით.

უმაღლესი უცხოელი სტუმრის დიდ ინტერესს წარმოადგენდა ირანული კულტურის და ხელოვნების ისტორიული ექსპონატების დათვალიერება, რაც ხელოვნების მუზეუმში იყო დაცული. მის უზენაესობას გაგონილი ჰქონდა (როგორც შემდეგში გაირკვა) და უნდოდა თავისი თვალით მოენახულებინა ქართული ქრისტიანული ოქრომჭედლობის უნიკალური ძეგლები, რომლებიც საგანგებო დაცვით ინახებოდა ხელოვნების მუზეუმში. შაჰინშაჰისათვის ახსნა-განმარტება უნდა გაეწია მაღალფარდოვანი სპარსული ენის შესანიშნავ მცოდნეს, მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების განყოფილების გამგეს, ეროვნებით სირიელს, ქალბატონ ანგელინა გრიგოლიას, რომელიც ქმრისგან დაპატრონებული გვარით სარგებლობდა.

სწორედ ამ პერიოდში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე ჩაირიცხა ეროვნებით სპარსელი პიროვნება აღა მორთეზა ფათემი მეჰდი. პოლიტიკური მიზეზების გამო ირანიდან საბჭოთა კავშირში გადმოხვეწილი აღა მორთეზა ფათემი ოჯახთან ერთად ჯერ მოსკოვში დაასახლეს საცხოვრებლად. რუსეთის ზამთრის ჰავას შეუჩვეველი სპარსული ოჯახი მალე საცხოვრებლად გადმოიყვანეს თბილისში და მისთვის სამუშაო შტატი დაუშვეს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

თეირანში მაცხოვრებელი აღა მორთეზა ფათემი მეჰდი ჩართული ყოფილა შაჰინშაჰის პოლიტიკის (ირანის ევროპეიზაციის) წინააღმდეგ აგორებულ მოძრაობაში და ემხრობოდა ირანის გარდაქმნას ისლამურ სახელმწიფოდ. შაჰინშაჰის მიერ გატარებული ზეწოლის შედეგად ამ მოძ-

რაობის აქტიური წევრები გაიხიზნენ საფრანგეთში, სადაც აღმოჩნდა აღა მორთეზა ფათემი მეჰდიც. თუ რატომ შეცვალა მორთეზა ფათემიმ საფრანგეთი საბჭოთა კავშირით, ჩემთვის შეუცნობელია.

თბილისში დასახლებული მორთეზა ფათემი ჩამოყალიბდა ქართული პოეზიის სპარსული ბჭკარედების გამლექსავად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსოლოგები უმზადებდნენ ქართული პოეზიის პროზაულ თარგმანს სპარსულ ენაზე, ხოლო იგი შესანიშნავად გალექსავდა. ამ ხერხით სპარსულად გამოიცა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის რჩეული, ასევე მის მიერ სპასულად გალექსილი ნაწყვეტები «ვეფხისტყაოსნიდან». აღა მორთეზა ფათემის სპარსულ ენით გადმოცემული სიდიადე სავსებით ესადაგებოდა ქართულ პოეზიას. უანგაროდ ამეცადინებდა მსურველებს სპარსული ენის სრულყოფილად დაუფლებაში. არ ღალატობდა სპარსულ ტრადიციულ კულტურას და წვერთან ერთად წარბებსაც იპარსავდა. გვაწონებდა თავის პირსახეს და თან ამბობდა: «დიდი ამბავი, ჩვენ თუ წარბებს ვიპარსავთ, თქვენ ქართველები, უმეტესწილად ულვაშებმოპარსულნი ხართო». მოკლედ გაითქვიფა ქართველებში და შესანიშნავად გრძნობდა თავს.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელმა აღა მორთეზამ და ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური განყოფილების გამგემ ხანუმა ანგელინამ გაცნობისთანავე და-ძმობა შეფიცეს ერთმანეთს.

როგორც კი გაიგო აღა მორთეზა ფათემიმ ირანის შაჰინშაჰის თბილისში ჩამოსვლის ამბავი, და ისიც, რომ სპარსელთა მბრძანებელი ხელოვნების მუზეუმს უნდა სწვეოდა, დიდხანს იფიქრა და საბოლოოდ გადაწყვიტა: შაჰისათვის პატიება ეთხოვა მის საწინააღმდეგო მოძრაობაში მონაწილეობისათვის. იგი დაუკავშირდა ხანუმა ანგელინას და ორივემ ერთად სამოქმედო გეგმაც შეიმუშავეს.

იმ დღეს, როცა ხელოვნების მუზეუმის დასათვალიერებლად შაჰინშაჰი იყო მიწვეული, სისხამ დილით დაძმობილები მივიდნენ ხელოვნების მუზეუმში. ხანუმა ანგელინამ მოხერხებულად შეაპარა ძმობილი აღა მორთეზა ხელოვნების მუზეუმში და თავის კაბინეტში ჩაკეტა და ოთახი თავისივე ბეჭდით დალუქა კიდეც. მისი ოთახი სამუზეუმო სეიფიდან ფეხის ორ ნაბიჯზე იყო მოთავსებული. ზუსტად ნაშუადღევს ირანის შაჰინშაჰი განუყრელი ამალით ეწვია მუზეუმს და უპირველესად ქართული საეკლესიო ოქრომჭედლობა და საერო დანიშნულების განძეულობა დაათვალიერა. ირანის შაჰინშაჰს მეგზურობას უწევდნენ თვით ხანუმა ანგელინა და სპეციალობით ირანისტი პროფესორი ჯემშიდ გიუნაშვილი. დათვალიერების დამთავრებისთანავე, როდესაც შაჰინშაჰი გამოვიდა სეიფიდან, ხანუმა ანგელინამ გამოაღო მისი ოთახის კარი, საიდანაც ფეთიანივით გამოვარდა აღა მორთეზა ფათემი და ირანის მბრძანებელს ჩაუვარდა ფეხებში. ყველას გასაგონად პატიებას თხოვდა შაჰინშაჰს და თან სპარსულ ენაზე შედგენილი სათხოვარი წერილი გაუწოდა მას. ირანის მბრძანებელმა სათხოვარ წერილს ხელი არ მოკიდა. მაშინ აღა ფათემიმ წერილი შაჰს ფეხებთან მოკრძალებით დაუდო. შაჰინშაჰმა

ანიშნა თარჯიმანს ბატონ ჯემშიდ გიუნაშვილს, აეღო წერილი. ჯემშიდ გიუნაშვილმა წერილი მოკრძალებით აიღო და შაჰინშაჰს შეხედა. შაჰმა გადაულაპარაკა ჯემშიდ გიუნაშვილს, რომ წერილი გადაეცა ირანის ამალის მაღალჩინოსან სამხედროსათვის. ჯემშიდ გიუნაშვილმა შეასრულა შაჰის თხოვნა. (ინფორმაცია მიღებული მაქვს პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილისაგან, რაც დაადასტურა ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა შალვა ამირანაშვილმა. ხანუმა ანგელინასთან ამ თემაზე არ მისაუბრია).

გავიდა კარგა ხანი. მამასთან ვახშამზე, გამახსენდა ეს ინციდენტი და შევეკითხე ოჯახის თავკაცს, თუ რა ბედი ეწია თბილისში მაცხოვრებელ სპარსელს. მამამ ამიხსნა: «აღა მორთეზა ფათემიმ ირანის შაჰისაგან მიიღო პასუხი. ირანის სახელმწიფო ვალდებულებას იღებს ყოველმხრივ უზრუნველყოს აღა მორთეზა ფათემი მეჰდის ოჯახის: მეუღლისა და მათი ორი ვაჟიშვილის დაბრუნება და კეთილდღებრივი ცხოვრება ირანში; ხოლო აღა მორთეზა ფათემი მეჰდი, როგორც შაჰინშაჰის სახელმწიფოს წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი ანუ როგორც სამშობლოს მოღალატე, დაექვემდებაროს ირანული სასჯელის უმაღლეს ზომას: «ჩამოხრჩობას».

როგორც ქართველებში იტყვიან, ალბათ სხვაგანაც, ბატონი მურთაზ ფათემიშვილი ქვეშიდან გამოძვრა. სიკვდილს არჩია საქართველოში ცოცხლად დარჩენა ოჯახთან ერთად.

2). მიღებაზე საქართველოს კომპარტიის მეორე მდივანთან

დილის თერთმეტი საათი სრულდებოდა, როცა შ. ამირანაშვილმა შეაღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის კაბინეტის მისაღები ოთახის კარი.

— გამარჯობათ, ბატონო შალვა, ღიმილით მიესალმა მდივანი ქალი, ფეხზე წამოდგა და სავარძლისკენ მიუთითა, გთხოვთ დაბრძანდეთ.

შალვა ამირანაშვილი მოთავსდა სავარძელში და ნაწერი ფურცლებით შევსებული საქაღალდე ცალ მუხლზე მოითავსა.

— თქვენ თერთმეტ საათზე ხართ ჩაწერილი და გთხოვთ ცოტა ხანს მოითმინოთ, თავაზიანად შესთავაზა მასპინძელმა.

შალვამ მადლობის ნიშნად გაუღიმა მდივან ქალს.

ამასობაში კედლის საათმა თერთმეტი თერთმეტჯერ ჩამოჰკრა. მდივანმა ქალმა ღილაკს თითი დააჭირა და ხმადაბლა წარმოსთქვა: შალვა ამირანაშვილი გეახლათ. ოდნავი პაუზის შემდეგ ღილაკს თითი მოაშორა და ღიმილნარევი სიტყვებით მიმართა შალვა ამირანაშვილს:

— დაუგეგმავი შეხვედრაა თანამშრომლებთან და გთხოვათ ცოტა ხნით კიდევ დაელოდოთ, მორიდებით თხოვა მდივანმა სტუმარს.

შალვამ თანხმობის ნიშნად ისევ გაუღიმა მდივან ქალს.

მონოტონურად მომუშავე საათს გაევლო ზუსტად ნახევარი საათი და სიჩუმით სავსე ოთახში მძლავრად ერთჯერ ჩამოკრა. სავარძელში ჩამჯდარი შალვა შეიშმუშნა და საქაღალდე მეორე მუხლზე გადაიტანა.

— ამდენ ხანს არ უნდა გაგრძელებულიყო ეგრეთ წოდებული «ლეტუჩკა» თანამშრომლებთან, ალბათ სერიოზულ საქმეზე მსჯელობენ, თავი გაიმართლა მდივანმა ქალმა.

— ხდება ხოლმე; აქ გადასაწყვეტი ყოველი საკითხი მნიშვნელოვანია, სიტყვა შეაშველა შალვამ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და მკაფიოდ გაისმა თანაბარტონალობაში მომუშავე საათის მძლავრი წიკწიკის ხმა.

გაიარა საათის მოგრძო ისრის მიერ ათვლილ წუთთა დაუთვლელმა რაოდენობამ. «ლეტუჩკას» ბოლო არ უჩანდა. შალვამ მაჯის საათს დახედა. მერე კედელზე მიკრულ საათსაც ახედა. ძლივს წამოდგა უკიდურესობამდე ჩაზნექილ, ისედაც დაბალი სავარძლიდან და მდივან ქალს მიმართა:

— თორმეტს აკლია ათი წუთი, თორმეტ საათზე ლექცია მაქვს უნივერსიტეტში და სტუდენტებს ვერ გავუცდენ ლექციას, გარკვევით წარმოთქვა, გამოემშვიდობა მდივან ქალს და სამდივნოდან აჩქარებული ნაბიჯით გავიდა. პირველის ნახევარი იქნებოდა, რომ «ლეტუჩკელები» გამოვიდნენ მეორე მდივნის კაბინეტიდან. კაბინეტთან მიმდებარე ოთახში დამონტაჟებულ რუპორში გაისმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მომთხოვნი ხმა:

— შალვა ამირანაშვილი შემოვიდეს!

3). სტუმრად არქეოლოგ თინათინ ქარუმიძესთან

არ მახსოვს როდის, მაგრამ კარგად დამამახსოვრდა სულიერი სიამოვნების მომგვრელი ის საღამო, როდესაც მე და მამა ვერეს უბანში ვესტუმრეთ ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელს, არქეოლოგ თინათინ ქარუმიძეს. მის ბინაში შესვლისთანავე, ქალბატონმა თინამ შალვა ამირანაშვილს წარუდგინა მასთან სტუმრად მისული კეთილშობილი შესახედაობისა და სიმპათიური გარეგნობის პიროვნება. უზადო გულწრფელობით და ცხადი გულახდილობით ბოლომდე შევსებულმა ახალგაცნობილმა ხელი ჩამოართვა შალვას და შესაშური ღიმილის დაყოლებით გარკვევით წარმოთქვა: «ფერდინანდ თავაძე». შალვა, რატომღაც წამიერ შეყოვნდა, მერე ისიც მიაყოლა, რომ სიტყვაც ვერ ამოღერღა. ქალბატონმა თინამ იმ წამსვე შეუმჩნია შალვას შენელებული რეაქცია და სანამ მისი დირექტორი სათქმელად თავის ვინაობას გაამხელდა, ხმამაღლა გადაულაპარაკა ნათესავს: «ეს შალვა ამირანაშვილია». ქალბატონმა თინამ სხარტი გამოთქმით დაასახელა მოპატიჟებული სტუმრის გვარ-სახელი და შემდეგ მეც მიმაყოლა: «ეს კი, მისი ვაჟიშვილია გულბადი», დამარცვლით წარმოთქვა მისთვის თითქოს ძნელად გამოსათქმელი ჩემი სახელი. შემდეგ კი თითქოს დაღლილმა შვებით ამოისუნთქა.

ძალაუნებურად იმ წამსვე, რატომღაც გავიფიქრე: «გვარი თავაძე იმდენად გავრცელებული და ცნობილია საქართველოში, რომ არ გამკვირ-

ვებია, პირიქით, გამიხარდა კიდეც იმის გამო, რომ სკოლაში ვმეგობრობდი რევაზ თავაძესთან, რომელი პიანისტად ჩამოყალიბდა (გაკვეთილების დროს ხშირად, მერხზე ავარჯიშებდა თითებს); ხოლო ქართველი კაცისათვის დარქმეული სახელი ფერდინანდი, ჩემი სახელისა არ იყოს, პირველად მესმოდა». ქართველი კაცისთვის უცნაური სახელების დარქმევით გურულები გამოირჩევიან, ეს ისე, სხვათა შორის.

ქალბატონმა თინამ სამივე მიგვიპატიჟა სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან. სტუმრებმა სუფრასთან მიდგმულ სკამები ერთგვარი მორიდებით ავახრიალეთ და ზედ ჩამოვსხედით. მასპინძელმა თავმომწონედ ცხვირწინ ჩაის ჭიქები დაგვიწყო. სუფრის შუაგულს ამშვენებდა საშაქარლამო მაღაზიიდან ამოტანილი ხილის ტორტი, რომელიც იმ დროს მოდად იყო ქცეული. მაგიდაზე ეწყო ვანილის სურნელებით გაჟღენთილი ნაირფორმატიანი ნამცხვრებიც. ქალბატონმა თინამ თავის ვაჟიშვილს გასძახა, რომელიც ზალას მიმდებარე ოთახში წიგნს კითხულობდა: «ვაჟიკო, მობრძანდი, ჩაი მიირთვი!» შვილის გასაგონად გატყორცნილი ეს სიტყვები ისეთნაირი მორიდებით წარმოთქვა დედამ, თითქოს მასთან მცხოვრები სკოლის ასაკის შვილი სტუმრად ყოფილიყო მასთან მისული. სასტუმრო ოთახში ზლაზვნით შემოვიდა უკვე ახალგაზრდად ჩამოყალიბებული და შესამჩნევად შეწვერულვაშებული «ვაჟიკო». იგი თითქმის უსიამოვნოდ მიესალმა ბიძამისს და ბატონ შალვას. მე კი ღიმილნარევი სახის გამომეტყველებით გამეცნო და ცარიელ სკამზე მოურიდებლად დაეშვა.

ქალბატონი თინა სამზარეულოში გავიდა ჩაიდნის შემოსატანად. რამოდენიმე ხანში მასპინძელი დაგვიბრუნდა ჩაიდნით ხელდამშვენებული. მდუღარე წყლით ავსებული ჩაიდანი მაგიდის კუთხეში მდგარ ხის ქვესადგამზე მოათავსა და სუფრას გადახედა.

— ხომ არ მოიწყინეთ უჩემოდ? სხარტად წარმოთქვა და მისთვის დამახასიათებელი ხითხითით მოურიდებლივ დაგვირღვია ჩვენთვის უკვე აუტანელი მყუდროება. მერე ერთი ხელით ჩაის ფერის ჩამოსხმაც დაიწყო, ხოლო მეორეთი მდუღარე წყლით პირამდე ავსებდა ჭიქებს და თან ახალდაყენებულ ინდურ ჩაის უქებდა გემოვნებას. ჩაის ჩამოსხმა რომ მოათავა, ყველას ერთიანად გადმოგვხედა და კეთილი ხმით შეგვთავაზა ტკბილეული, რაც საოჯახო სუფრას ამშვენებდა.

შალვა ამირანაშვილისა და ფერდინანდ თავაძის მეგობრობას სათავე დაედო ქალბატონ თინა ქარუმიძის ოჯახში, რაც სვებედნიერი აღმოჩნდა თანაბრად ორივესთვის. იმ დღიდან მოყოლებული მათი ყოველი შეხვედრა, და საერთოდ მათი ურთიერდამოკიდებულება, ძმადნაფიცთა მეგობრობის ნამდვილი განსახიერება იყო. ამის გამო, ბატონების შალვას და ფერდინანდის ოჯახებიც ერთმანეთისადმი ხშირ სტუმარმასპინძლებად გადაიქცნენ.

მე ჩემებურად შევნატროდი მათი გულებიდან ამონთებულ მეგობრობას, რასაც სამაგალითოდ ვისახავდი ათასნაირად შევსებულ ცხოვრების გზაზე.

4). «უპატრონო» სტუდენტი (ლექტორ შალვა ამირანაშვილის სტუ-დენტ მანანა გაბაშვილის მოგონება)

პირველ სექტემბერს წიგნებითა და ალბომებით ხელდატვირთული შალვა ამირანაშვილი ლექციის წასაკითხად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისწინა ეზოში შესვლისთანავე, უნივერსიტეტის დამმაარ-სებლებთა სიცოცხლით შევსებულ ქანდაკებათა მიმართ უდიდესი პატი-ვისცემით მისალმების ნიშნად, ჩვეულებისამებრ ქუდი მოიხადა და თავი ოდნავ დახარა. იგი მაშინ ხანდაზმული იყო, მაგრამ უნივერსიტეტი-სადმი სიყვარულის ცეცხლი ჯერ კიდევ არ განელებოდა და ძველებურად ღვიოდა მასში.

პირველი კორპუსის უშველებელი სივრცის აუდიტორიის საკმაოდ მძიმე კარი, სადაც მას ლექცია უნდა ჩაეტარებინა, დინჯად და აუჩქა-რებლად შეაღო, მაგრამ უცნაური მოულოდნელობისგან სახტად დარ-ჩენილი, კარის ზღურბლზევე შეჩერდა. სტუდენტებით სავსე აუდიტო-რიის ნაცვლად იქ მას დახვდა მხოლოდ ერთი სტუდენტი, და ისიც გო-გონა. სტუდენტი-გოგონა მაშინვე წამოდგა და მორიდებით მიესალმა შე-სასვლელში შეყოვნებულ ლექტორს.

— მარტო თქვენ ბრძანდებით? საპასუხო მისალმებისთანავე შეეკი-თხა ლექტორი ფეხზე წამომდგარ სტუდენტს.

— დიახ, ბატონო შალვა, სასიამოვნო ხმის ტემბრით უპასუხა მისდამი უკვე სიმპათიით განწყობილმა სტუდენტმა და ოდნავ გაუღიმა კიდეც.

ლექტორი შეტრიალდა და ხმაამოუღებლივ მოსცილდა აუდიტორიას.

რვა სექტემბერს, კვლავ წიგნებითა და ალბომებით ხელდამშვენე-ბულმა შალვა ამირანაშვილმა, ისევ შეაღო იმავე აუდიტორიის კარი, სადაც ლექცია ჰქონდა დანიშნული. გაკვირვებულს, ახლაც თვალებში შერჩა ისევ ის სტუდენტი-გოგონა, რომელიც გასულ კვირას იხილა. სტუ-დენტი ისევ ფეხზე წამოდგა და თავაზიანად მიესალმა კარებში შეჩერე-ბულ შესახედავად წარმოსადეგ და იმავდროულად ჭარმაგ ლექტორს. იმჯერადაც, ზუსტად ისევ ის სცენა გამეორდა, რასაც გასულ კვირას ჰქონდა ადგილი. ლექციის ჩასატარებლად მოსულ ლექტორს კიდევ უფრო მეტი გაოცება გამოეხატა სახეზე და ვრცელ აუდიტორიაში მყოფ ერთადერთი სტუდენტის მისალმებას მხოლოდ ოდნავ შეღიმებული სალ-მითვე შეეპასუხა. შემდეგ თვალი შეავლო აუდიტორიის უშველებელ შიდა სივრცეს, აქეთ-იქითაც მიმოიხედა კიდეც, კარებშივე დინჯად შეტ-რიალდა და ხმაამოუღებლივ დაშორდა თითქოს დასჯილივით ფეხზე მდგარ, გაკვირვებულ და მომეტებულად გაოცებულ ერთადერთ სტუ-დენტს. მან კი, ამჟამადაც სინანულით გააყოლა თვალი ალბომებსა და წიგნებს, შალვა ამირანაშვილს რომ უშედეგოდ მოჰქონდა და მიჰქონდა.

გავიდა კიდევ ერთი კვირა.

ისევ წიგნებითა და ალბომებით მომარაგებულმა, შალვა ამირანაშ-ვილმა ჯერ აუდიტორიაზე მილურსმულ ნომერს შეხედა, შემდეგ ნელი მოძრაობით შეაღო ჯერ კიდევ სიმაგრე-სიმძიმე შენარჩუნებულ ნიკო-

ლოზისდროინდელი უშველებელი კარი. აღარ გაკვირვებია, როდესაც აუდიტორიის დიდ სივრცეში მოთავსებული ისევ ის სტუდენტი შერჩა თვალებში. სტუდენტი გაოცებული ღიმილით და დაწყლიანებული თვალებით, და ისიც მოკრძალებით თითქოს რაღაცის თქმისთვის ემზადებდა. (ჩემთან საუბრებში მამა მეუბნებოდა: «ასკაციან» ჯგუფს ველოდიო, იქ კი ყოველჯერ მხოლოდ ერთი სტუდენტი, და ისიც გოგონა, მხვდებოდაო»). კარის ჩარჩოში სურათივით ჩასმულ-გამოხატული შალვა ამირანაშვილი ერთ წამს მაინც ჩაფიქრდა, და ის ის იყო უსიტყვოდ უნდა შეტრიალებულიყო, რომ უცებ სტუდენტის ხმა მოესმა და უნებლიედ მზერა შეაჩერა მასზე.

— ბატონო შალვა, ძალიან გთხოვთ, წამიკითხეთ ლექცია! გთხოვთ ძალიან! შეაგება სტუდენტმა თხოვნით შევსებული სიტყვები.

ახლა უკვე სტუდენტი გაოცდა: გაკვირვებული შეცქეროდა შალვა ამირანაშვილს, რომელსაც ანაზდად სიცილი წასკდა და მოურიდებლად ხითხითიც აუვარდა. შემდეგ წამიერ ისე როხროხი მიაყოლა, რომ ლამის იგუდებოდა.

იმ ლექციის დამთავრებისას სტუდენტ მანანა გაბაშვლისთვის უკითხავთ, «რა დაემართა შალვას ამირანაშვილს, ასე ხმამაღლა რამ გააცინაო». მამაჩემმა კი მაშინ ამ გოგონას, აი რა უთხრა: «ამ ხნის კაცი მოვიყარე, ამდენი წელია ვასწავლი, მაგრამ ასეთი თხოვნით სტუდენტს ჯერ ჩემთვის არ მოუმართავსო».

წასასვლელად მომზადებული შალვა ამირანაშვილი აუდიტრიაში ხალისიანად შემობრუნდა, წიგნები და ალბომები წინა მერხზე დააწყო. შემდეგ კათედრასთან მდგარ სკამს დაავლო ხელი, იმავე მერხს წინა მხარეს მიუდგა, ჩამოჯდა და ახლა უკვე ახლოდან, მოწადინებული სტუდენტი-გოგონა კიდევ უფრო დიდი ინტერესით შეათვალიერა და დაიწყო:

— «მე წაგიკითხავთ ქართული, ევროპული და აღმოსავლური ხელოვნების ისტორიას», პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო ლექციის კითხვა ხელოვნებათმცოდნე ლექტორმა. სამივე თემის ისტორიული პერიოდები მოხაზა და შემდეგ ევრაზიის არქეოლოგიური მასალის მნიშვნელობაზე შეჩერდა. მომდევნო ლექციებზე აღმოსავლეთის ქვეყნების შუმერულსა და აქადურ არქეოლოგიურ მასალასაც შეეხო; დაწვრილებით განიხილა ელამის სამეფოს არქეოლოგიური მონაპოვრები და საგანგებოდ აღნიშნა, ელამური ენისა და ქართველური ენების შესაძლო ნათესაობის შესახებ, რაც უცხოელი მეცნიერების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას წარმოადგენდა. შემდეგ ლექციებზე განსაკუთრებული ყურადთება მიაქცია სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიას მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების მაგალითზე. და ბოლოს, დიდი ადგილი დაუთმო ევროპულ არქეოლოგიას: დაწვრილებით შეეხო ალტამირას გამოქვაბულის უძველეს კედლის მხატვრობას.

ყოველ ლექციაზე მოტანილი წიგნებიც ჰქონდა გადაშლილი და ალბომებიც, სათანადო ფოტოსურათებსაც უჩვენებდა ინტერესიანსა და მისი საგნისადმი განწყობილ სტუდენტს, ხელოვნების განსაკუთრებული მოყ-

ვარე რომ აღმოჩნდა. ყოველ ლექციაზე სტუდენტიც და ლექტორიც დიდი ხალისით მუშაობდნენ. სტუდენტმა თავიდანვე დაინახა და შეაფასა შალვა ამირანაშვილის ლექციების განსხვავებული სტილი და ისიც, რომ ლექტორი კიდევ უფრო დიდ ინტერესს უღვივებდა მას თავისი დარგისადმი.

ლექციის დამთავრებამდე შალვა ამირანაშვილი აუცილებლად დროს მოიტოვებდა და სტუდენტის კითხვებს პასუხობდა. კითხვები და პასუხები ამა თუ იმ პრობლემის ირგვლივ ხშირად მსჯელობაში გადადიოდა. ამითაც ლექტორს სტუდენტი ხელოვნების ისტორიაში შეჰყავდა, მეცნიერულ ანალიზსა და კვლევას აზიარებდა და აჩვევდა. შალვას მოსწონდა გოგონას განათლება და ერუდიცია. ცოტა არ იყოს, მას უკვირდა კიდევაც მისი საინტერესო დაკვირვებები და მიგნებები, მიხვედრილობა და ანალიტიკური აზროვნების გასაოცარი უნარი. განსაკუთრებით ეს კარგად ჩანდა ხელოვნების ალბომებში წარმოდგენილი მხატვრული ნიმუშების ანალიზისას, როდესაც სტუდენტი გოგონა პარალელებს სხვადასხვა კულტურებთან ავლებდა. ვერ წარმოიდგენ, მოგვიანებით მეუბნებოდა მამა, როგორ მახარებდა მისი ალღო და ნიჭის განსაკუთრებული თვისებები. ამიტომაც შალვა ამირანაშვილმა, გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ, ასეთი ინიციატივა გამოიჩინა. კვირაში ერთხელ სტუდენტ გოგონას ხელოვნების მუზეუმში იბარებდა და მისთვის ნიშანდობლივი ენთუზიაზმით ექსპონატებს ათვალიერებინებდა. გარდა იმისა, რომ ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდა ამა თუ იმ ექსპონატის შესახებ, მას ისე ეპყრობოდა, თითქოს მისი საკუთარი შვილი ყოფილიყო.

შალვა ამირანაშვილმა კიდევ უფრო გაიხარა, როდესაც გაიგო, რომ მისთვის გამორჩეული სტუდენტი, ასე სერიოზულად რომ ეკიდებოდა ხელოვნების ისტორიის შესწავლას, თურმე ხატავდა კიდევაც და დიდი მისწრაფებაც ჰქონდა ფერწერისადმი. მამა ახალგაზრდობაში თავადაც ხატავდა. დღემდე ჩვენს ოჯახში მისი რამოდენიმე ფერწერული ტილო ინახება: «მოლოდინი», «მანდილოსანი», «ავტოპორტრეტი» ... ვინაიდან სწორედ ამ კუთხითაც ლექტორისა და სტუდენტის ინტერესები დაემთხვა, ისინი ხშირად მხატვრობის ტექნიკაზეც საუბროდნენ და ზოგადად ფერწერაზეც. როდესაც შალვა ამირანაშვილმა დაისახა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო ამ სტუდენტის მეცნიერული მომავლის თაობაზე, უცბად გააცნობიერა, რომ მან მისი სახელი იცოდა მხოლოდ, მას მანანა ერქვა, მაგრამ გვარი არ უკითხავს.

— მანანა, რა გვარისა ბრძანდებით? მიუმართავს ბატონ შალვას მისთვის ბოლო ლექციაზე.

— გაბაშვილი, მიუგო სტუდენტმა.

ლექტორი წამით დაფიქრდა, იცოდა, რომ მანანა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა, ამიტომაც სხვა კითხვაც დაებადა.

— თქვენ ვალერიან გაბაშვილის ნათესავი ხომ არ ბრძანდებით? მომეტებული ინტერესით უკითხავს მისთვის მამაჩემს.

— ვალერიან გაბაშვილი ჩემი მამაა! დაუდასტურა სტუდენტმა.

— ესე იგი თქვენ ჩემი მეგობრის, სერგის მაკალათიას შვილიშვილი ხართ? უკითხავს მამაჩემს.

— დიახ, თავმომწონედ უპასუხია მომღიმარ სტუდენტს.

წამით შეფიქრიანდა ლექტორი, მერე გულღიად გაუღიმა სტუდენტ-გოგონა მანანა გაბაშვილს და დაუყოლებია:

— აბა თქვენ დიდებული პატრონები გყოლიათ, უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი! მე კი «უპატრონო» მეგონეთ, ამიტომ თქვენს მეცნიერულ მომავალზე უმჯობესია თქვენებს დაეკითხოთ! და როგორც ისინი გადაგიწყვეტენ, იმ მეცნიერულ გზას დაადექით.

ამ ამბის გაგების შემდეგაც იყო, შალვა ამირანაშვილმა ისევ გულიანად რომ იცინა, უფრო ზუსტად, კარგა ხმამაღლა იხარხარა. დამთხვევა თუ პატადოქსია, რომ მანანა გაბაშვილს ამ ლექციის შემდეგაც ისევ ჰკითხეს: «რა აცინებდა ასე გულიანად შალვა ამირანაშვილსო».

მე ჩემდათავად, შალვა ამირანაშვილსა და მანანა გაბაშვილს საუკეთესო ლექტორსა და სწავლამოწყურებულ სტუდენტს ვუწოდებდი. მათი ბოლო ლექციაც ასევე შთამბეჭდავი ყოფილა, რაც ორივეს სამუდამოდ დაამახსოვრდა. მართალია სტუდენტის გვარი და მისთვის ცნობილი ოჯახისადმი კუთვნილება უკვე იცოდა, მაგრამ მამას მაინც ვერ მოუთმენია და გულდაწყვეტილი გულწრფელობით მანანასთვის უთქვამს: «ვინც მოინდომებს, ყველა მე მიგზავნის არაპროფესიონალებს მუზეუმში სამუშაოდ, მუზეუმიც სავსეა არასპეციალისტი თანამშრომლებით. ჩემს ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მე თვითონ გთავაზობთ ჩემთან სამსახურს; თქვენ შედარებითი კვლევითი და ანალიტიკური აზროვნებით დაჯილდოებული სტუდენტი ბრძანდებით, რაც მეტად გაამართლებს თქვენს მეცნიერულ გზას. გთხოვთ, დაუფიქრდეთ სერიოზულად და ისე გადაწყვიტოთ სპეციალობად ხელოვნებათმცოდნეობის არჩევა. პირველად ვამბობ ამ სიტყვებს: «თქვენში მე ვხედავ ჩემს მემკვიდრეს».

ხშირად მამაჩემს მანანა გაბაშვილის ხსენებაზე თვალები გაუბრწყინებოდა ხოლმე. იგი მიყვებოდა, როგორ ურჩევდა სტუდენტ მანანას გაჰყოლოდა ხელოვნებათმცოდნეობას, სადაც მას დიდი წარმატებები ექნებოდა. «ჩემს მემკვიდრედ მოვიაზრებდიო და მისთვის რას არ გავაკეთებდიო», იტყოდა ხოლმე მამაჩემი გულდაწყვეტით. «მანანა კი მიღიმოდა და დუმდა, უპასუხოდ ტოვებდა ჩემს ყოველ წადილსა თუ შეთავაზებასო», დამიმატებდა სათქმელს და ფიქრებში გადაერთვებოდა.

ამ სტრიქონების წერისას გავაცნობიერე, რომ მანანა ორ ცეცხლს შუა იყო მოქცეული. მრავალმხრივობა და ფართო ინტერესები მას ისედაც სტანჯავდა. მაგრამ როგორი რთულია, როდესაც ჯერ სულ ახალგაზრდა, თანაც სტუდენტი ორ ისეთ დიდ მეცნიერს შორის აღმოჩნდები, როგორებიც იყვნენ შალვა ამირანაშვილი და ვალერიან გაბაშვილი.

მე მანანასგან ვიცოდი, რომ მამამისს არ უნდოდა, რომ აღმოსავლეთმცოდნე გამხდარიყო, ქალისთვის მძიმე დარგად მიაჩნდა. მაგრამ დასძენდა ხოლმე, არ ვიცი ბოლოს რა დაინახა ჩემში ისეთი, რომ აღარსად გამიშვა. ყოველ შემთხვევაში, სიცილით მეუბნებოდა მანანა: «მამა-

შენს მამაჩემმა აჯობა და მარტო მე კი არა, არამედ მას საკუთარი შვილიც წაართვაო».

ისე მოხდა, რომ მე და მანანა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ერთ განყოფილებაში აღმოვჩნდით და საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობის საისტორიო სკოლის ფუძემდებლის, ვალერიან გაბაშვილის ხელმძღვანელობით ვმუშობდით ორივე. მაშინაც, როგორც მანანა, ისე მამაჩემი ხშირად იგონებდნენ მათთვის ამ მეტად საინტერესო პერიოდს. მაგრამ გულბად, მეუბნებოდა მანანა, «ამ ისტორიაში, ყველაზე მეტად იცი კიდევ რა მახარებდა? დამოუკიდებლად, ჩემით რომ შევძელი მეცნიერებაში გზის გაკვალვა და რომ მამაშენმა არ იცოდა, რომ მე ვალერიან გაბაშვილის შვილი ვიყავი. მართალია, ბატონ შალვას გული დავწყვიტე, მაგრამ ის, რაც მან ჩემში ლექციებითა და ხელოვნებაზე საუბრებით ჩადო, არ დაკარგულა. მანაც, ისევე როგორც მისი ტიპის სხვა ჭეშმარიტმა მეცნიერებმა, საკუთარ მაგალითზე დამანახეს მთავარი, რომ პროფესიონალური მეცნიერების სიყვარული და მისდამი მსახურება იგივე სამშობლოს სიყვარული და მსახურებაა. ამიტომაც, ჩვენი მამების თაობის ლექტორები ჩვენში არა მხოლოდ სტუდენტსა და მომავალ მეცნიერს, არამედ, პირველ რიგში მოქალაქეს და პიროვნებას ზრდიდნენ».

«მხატვრობა და ხელოვნება კი ჩემი ცხოვრების მუდმივი და თანმდევი მოვლენაა. ბატონი შალვასა და ჩემი საუბრები მხატვრობასა და ფერწერაზე მაშინაც მაგონდებოდა», მეუბნებოდა მანანა, «როდესაც ჩემი ფერწერული ტილოები სამხატვრო საბჭოზე რამდენიმე ტურის გავლის შემდეგ, ცისფერ გალერეაში ცნობილი პროფესიონალების გვერდით, საგაზაფხულო თუ საშემოდგომო გამოფენებზე იკიდებოდნენ. კომუნისტურ პერიოდში ამის უფლება მე არ მქონდა დიპლომის უქონლობის გამო, მაგრამ მხატვარი თამაზ ხუციშვილი საჭიროდ მიიჩნევდა მათ გამოფენას. ამიტომაც მას ჩემი ფერწერული ტილოები, საკონკურსოდ, თავისი ხელით მიჰქონდა. ჩემი ორი ნახატი ელენე ახვლედიანის დიდ და ულამაზეს საიუბილეო გამოფენაზეც მოხვდა, რის გამოც სიხარულისგან ლამის ცისფერ გალერეაში დავსახლდი».

მანანამ ორი წიგნიც გააფორმა, მათ შორის ნიკოლოზ გაბაონის (ვალერიან გაბაშვილის) «აივნიანი ქალაქი» და საკუთარი მონოგრაფია «საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში.» «როდესაც სტატიას ვწერდი ვარძიის ცნობილი ფრესკების თაობაზე», მითხრა ერთ დღეს მანანამ, «ოცნებაში მინდოდა, რომ ის შალვა ამირანაშვილს წაეკითხა. კიდევ ერთი ოცნება მქონდა, რომ მას ჩემი ფერწერული ტილოები ენახა და მათ შესახებ თამაზ ხუციშვილის დაწერილი სტატიაც წაეკითხა. ამიტომაც მე თვითონ ეს სტატია მამაშენის, შალვა ამირანაშვილის თვალითაც წავიკითხე, რომლის ფრაგმენტებიც მომყავს: «მანანა გაბაშვილის მხატვრობა, რომლისთვისაც ფერწერის მაღალი დონეა ნიშანდობლივი, თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში. მაგრამ მისი მხატვრობა ვიწრო წრის გარდა, სამ-

წუხაროდ, ფართო საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობია... სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ვერც ერთი ექსპერტი ვერ იტყვის, რომ მას არა აქვს მიღებული სახვითი ხელოვნების სრული განათლება... სასურველია ახლო მომავალში მისი პერსონალური გამოფენა ვიხილოთ, ხოლო ხელოვნებათმცოდნეთა მხრიდან ამ მხატვრის შემოქმედების სერიოზული შეფასება. თანამედროვე ქართული მხატვრობის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია და საჭიროდ მიმაჩნია გამოიცეს მანანა გაბაშვილის მხატვრული შემოქმედების ამსახველი ალბომი.»

«ბევრისგან გამიგია და მეც მიფიქრია», მითხრა ისევ მანანამ ერთ-ერთი შეხვედრისას, «როდესაც კვლავაც, მერამდენედ შალვა ამირანაშვილი მოვიგონეთ, რომ ამ ქვეყანაზე შემთხვევით არაფერი ხდება. როდესაც ეროვნული მუზუმის თანამშრომელი გავხდი, მაშინვე გავიფიქრე, ეს ხომ შალვა ამირანაშვილის სურვილიც იყო, რომელიც ბოლოსდაბოლოს ახდა».

ვუსურვებ წარმატებას მამა-შვილ ამირანაშვილთათვის მართლაც ძვირფას მანანა გაბაშვილს ამ ფრიად სასიხარულო საქმეში!

5). იასამანის თაიგული (ჯემალ ამირანაშვილის მოგონება)

ნაადრევი გაზაფხულის სითბო იგრძნობოდა თბილისის ირგვლივ. იმ დღეს ჩვენი ბიძაშვილი ჯემალ ამირანაშვილი სამსახურის შემდეგ ძმაკაცებთან ერთად საქეიფოდ ასულიყო წყნეთში. კარგა შესაზარხოშებელი პურ-მარილის შემდეგ, სისხამ დილით გაღვიძებოდა და სუფრაზე დარჩენილი ერთი ბოთლი ბორჯომი, სულმოუთქმელად შეუსვამს. კარგ გუნებაზე მოსული, ჰაერზე გამოსულა და დილის ცვრით დანამულ ახლად ამოზრდილ ბალახზე გაუსეირნია. საიდანღაც, ნიავით მონაბერი დაკვირტული იასამნის მათრობელი სურნელი უგრძვნია და ძალაუნებურად გაჰყოლია მის უხილავ კვალს. იასამნად ამოფრქვეულ ბუჩქთან ღრმად ჩაუსუნთქავს მაამებელი ნექტარით შეზავებული ჰაერი და ერთობ უცნაურ ფიქრებში გადართულა. როგორც იტყვიან, არც აცივა, არც აცხელა და დაუწყია ტოტებმოყრილი იასამანის ბუჩქიდან უშველებელი თაიგულის შეკვრა. ორივე ხელი შემოუხვევია ბუნების სილამაზიდან მითვისებულ ჯერ კიდევ სიცოცხცლით სავსე ნობათისთვის და თავქვე დაშვებულა თბილისისკენ.

იასამნებით გადატენილი მანქანა ხელოვნების მუზეუმის კარებთან შეჩერდა, სადაც ეგულებოდა ბიძამისი შალვა ამირანაშვილი. იასამნით დატვირთული ძლივს გადმოსულა მანქანიდან და პირდაპირ მუზეუმის დირექტორის კაბინეტისკენ აუღია გეზი. იქ დამხვდურ თანამშრომლებს ეღიმებოდათ და ვერ მიმხვდარიყვნენ რაში იყო საქმე. კაბინეტის კარებს ფეხის მოკრძალებული მოძრაობით ოდნავ მიუკაკუნა. შემოესმა ბიძამისის ბარიტონი:

— მობრძანდით!

დირექტორის კაბინეტის გაღებული კარის ჩარჩო მთლიანად შეივსო იასამნის სურნელოვანი თაიგულით. მომტანს მხოლოდ შარვლის ტოტები და ფეხსაცმელები უჩანდა. დირექტორი შალვა შესცქეროდა კარებში ჩახატულ თაიგულს და ვერა გაეგო რა. თაიგული ამოძრავდა და საწერ მაგიდას წინა მხრიდან მიდგმულ სავარძელში თავმომწონედ მოთავსდა. მომტანი წელში გასწორდა, და მხოლოდ მაშინ შალვამ შეიცნო ნათესავი ჯემალ ამირანაშვილი.

— ძია შალვა, გილოცავ გაზაფხულს, გისურვებ სრულ ჯანმრთელობას და მრავალჟამიერ დიდი ხნის სიცოცხლეს! იასამანი ჩემი ხელით თქვენთვის დავკრიფე და გულწრფელად მოგართვით, რატომღაც ვიფიქრე გაგიხარდებოდათ!

— გახარებით კი გამიხარდა, მაგრამ საიასამნე კაცად რატომ მიმიჩნიე?

— ცუდი არაფერი მიფიქრია, უბრალოდ ჩავთვალე, რომ არ გამკიცხავდით ამ უჩვეულო საქციელისათვის, უბრალოდ ვიფიქრე, შემიქებდით ამ მოუფიქრებელ ნაბიჯს!

— მოდი, იცი რა ვქნათ, ჩემო ჯემალ! თქვა და დაუმატა: თაიგულის ნახევარი მომეცი, ხოლო მეორე ნახევარს შენ მოკიდე ხელი და წამომყევი.

ორივენი, ნახევარ თაიგულებით ხელდამშვენებულები გამოვედით კაბინეტიდან. ძია შალვამ შეაღო ერთ-ერთი ოთახის კარი და იქ დამხვდურ თანამშრომელ ქალებს იასამნის თითო-თითო ტოტი მიართვა; შემდეგ იგივე გაიმეორა მეორე ოთახში, შემდეგ მესამეში... ასე მიურიგა მისთვის დაკრეფილი იასამანი მუზეუმის თითქმის ყოველ ქალ თანამშრომელს! ისინიც, ვერ ხვდებოდნენ რაში იყო საქმე და გაკვირვებულები დიდ მადლობას უხდიდნენ დირექტორ შალვას ამ უჩვეულო საქციელისათვის. გულნატკენ ჯემალს კი ეგონა, რომ შალვა ბიძია ამ თაიგულს მთლიანად სახლში წაიღებდა და გაახარებდა ოჯახს.

ისინი ერთად გამოვიდნენ მუზეუმიდან და რესტორანს მიაშურეს. უმცროსმა ამირანაშვილმა თამადობა არ დაუთმო უფროს ამირანაშვილს.

XXVI

1). მეგობრობის ერთი ეპიზოდი (შალვა ამირანაშვილი და გიორგი წერეთელი)

1966 წელს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ტარდებოდა საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა არჩევნები აკადემიის ნამდვილ წევრებად. ენათმეცნიერების განხრით საქართველოდან წარდგენილი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი წერეთელი, ხოლო ხელოვნებათმცოდნეობის დარგში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შალვა

ამირანაშვილი. სწორედ იმ თვეს, როცა საკავშირო აკადემიაში არჩევნები იყო დანიშნული, სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდი მოკოვში. მამაჩემის, ხელოვნების მუზეუმის დირექტორის შალვა ამირანაშვილის და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (სადაც იმჟამად მე ვმუშაობდი) დირექტორის გიორგი წერეთლის საარჩევნო საქმიანობისადმი ძალაუნებურად გამიჩნდა დაუოკებელი ინტერესი და მართლაც მომიხდა სათანადო ყურადღების მიქცევაც ამ არჩევნებისადმი.

ისტორიის ფურცლებს რომ გადავავლოთ თვალი, გაგვახსენდება, რომ 1943 წელსაც ქართველი მეცნიერები შალვა ამირანაშვილი და გიორგი წერეთელი ერთად იყვნენ წარდგენილნი ასარჩევად საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მეცნიერება ცოცხლობდა მაშინაც, როცა საბჭოთა ახალგაზრდების სიცოცხლის ფასად მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომი ფაშიზმის წინააღმდეგ. სწორედ ასეთ პირობებში ჩატარდა არჩევნები მაშინ. 1943 წლის 4 ნოემბერს ორი ქართველი მეცნიერი, სემიტოლოგი გიორგი წერეთელი და ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი ერთხმად აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად. ორი ქართველის სამეცნიერო მიღწევების დაფასებით, საქართველოში განვითარებული ქართული სემიტოლოგია და ქართული ხელოვნებათმცოდნეობა აღიარებული იქნა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო საზღვრებში. ეს მაშინ ქართული საზოგადოებრივი მეცნიერების დიდ წარმატებას ნიშნავდა.

მამაჩემი და გიორგი წერეთელი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ისინი ყოველთვის საინტერესოდ საუბრობდნენ ერთმანეთთან მეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე. ამჯერადაც მათ სასტუმრო «მოსკვა»-ში ერთმანეთის მეზობლად ჰქონდათ ნომრები აღებული. მე კი იმ დროს მამასთან გადავედი სასტუმროში საცხოვრებლად, რომ თვალყური მედევნებინა არჩევნებისათვის.

ყოველი დილით ბატონი გიორგი ურეკავდა ტელეფონით შალვას და სასაუზმოდ ეპატიჟებოდა იქვე ბუფეტში. ისინი ასევე ერთად სადილობდნენ მეცნიერებათა აკადემიის სასადილოში, და ასევე ერთადაც ვახშმობდნენ სასტუმროს რესტორანში, თუ ამის დროითი საშუალება ეძლეოდათ. საკავშირო წევრ-კორესპონდენტთა ტრაპეზს არასოდეს მივერთებულვარ, მეუხერხულებოდა ჩემი თავმდაბალი ხასიათის გამო და იქვე ახლოს, მათგან განცალკევებით ვილუკმებოდი.

ბატონი გიორგი, როგორც პიროვნება, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. ვინც კარგად დაუკვირდებოდა მას, იმ წამსვე შეიგრძნობდა მის შინაგან სიდიადეს. ვგრძნობდი, რომ მასაც დიდად მოსწონდა თავისი თავი, და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიამაყით დატვირთული იყო ბოლომდე. მეობის დონის წარმოჩენით ყველაზე მაღლა იდგა და ირგვლივ მყოფთ არც კი გვეთაკილებოდა მისი სრულყოფილება, პირიქით მოგვწონდა კიდეც. როგორც ჩვენ, ისე ბატონი გიორგი თითონვე სრულად დარწმუნებული იყო, რომ იგი უკეთესთა შორის საუკეთესო ენათ-

მეცნიერი იყო სემიტოლოგიის დარგში და ამიტომაც მართლდებოდა მისი თავმომწონეობაც. ამასთან ერთად, მისგან ყოველჯერ აშკარად იგრძნობოდა ჩვენთვის შეუცნობელი მისი მეცნიერული სიბრძნე. იგი ბუნებრივად დაჯილდოებული იყო ზემოქმედების გასაოცარი უნარით, რასაც საზოგადოებრივ ურთიერთობებში საჭიროებისდაგვარად იყენებდა მაქსიმალურად. საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული გამორჩევით პატივს ცემდნენ ბატონ გიორგი წერეთელს და ყოველთვის მას ირჩევდნენ მეთავედ საკავშირო, თუ საზღვარგარეთ ჩატარებულ სემიტოლოგიურ სიმპოზიუმებსა და კომფერენციებზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი არასდროს არ ყოფილა კომუნისტური პარტიის წევრი.

ამ მხრივ, მოკრძალებული იყო შალვა ამირანაშვილი და მის თანასწორად აღიქვამდა ყოველი დონის მასთან მოსაუბრეს. გიორგი წერეთელი პატივმოყვარე პიროვნება იყო, შალვა ამირანაშვილი კი არა, რაც ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელი პიროვნული არსიდან გამომდინარეობდა. პატივმოყვარე გიორგი წერეთელს განსაკუთრებული სიდიადით აფასებდნენ საბჭოთა რუსები, შალვა ამირანაშვილი კი თაკილობდა მათგან მომდინარე პატივისცემას და მათთვის შეუმჩნევლად იშმუშნებოდა კიდეც. შალვა ამირანაშვილი უმაღლესი ცოდნის მეცნიერად თვლიდა გიორგი წერეთელს, მაგრამ ყოველთვის ნანობდა იმას, რომ ამ ბუმბერაზ მკვლევარს ცოტა ჰქონდა ნაშრომები.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში დანიშნული პლენარული სხდომის დღეს ჩვენ ნომერში დილაადრიან გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. ყურმილი აიღო მამამ: «დილა მშვიდობისა, ჩემო გიორგი, გამოვდივარ!». ცოტა ხანში ნასაუზმევი მამა შემოვიდა ნომერში და დანანებით მითხრა: «სანამ მე გავფათურდები, გიორგის საუზმის ფული გადახდილი აქვს უკვე. ყოველთვის მასწრებს და ძალიან ვწუხდები». «ეგ არაფერი, შენ კარგად იყავი», ვანუგეშე ჩემებურად. მამამ ალმაცერად გადმომხედა და ხმაამოუღებლივ დამტუქსა თვალებით.

ბატონ გიორგის ტაქსი გამოეძახა და სამივე მოვთავსდით მანქანაში. აკადემიის შენობაში შესვლისთანავე ბატონმა გიორგიმ დირექციისკენ გაუხვია, ხოლო ჩვენ სხდომათა დარბაზს მივაშურეთ. სხდომაზე შესვლა თავისუფალი იყო და მეც როგორც მოინტერესემ, ამოვყავი თავი რუსულად მოჩოჩქოლე დარბაზში.

სხვადასხვა დარგის მეცნიერებით კარგად შევსებულიყო დარბაზი, მამა კი გასასვლელ-შემოსასვლელ კარებში ჩადგა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, თითქოს ვიღაცას ეძებდა. ამ დროს დარბაზის შუაგულიდან ქართულად გაისმა მძლავრი შეძახილი:

— შალვა, აქეთ წამოდი, აქეთ!

ორივემ გავხედეთ მას, ვისგანაც ხმა გავიგონეთ. მამას, გაღიმებულ სახეზე ცხვირქვეშა ულვაშებიც აუთამაშდა და მე მომაპყრო მზერა. «მე უკანა რიგებში ჩავჯდები», მოსაზრებით სასწრაფოდ ვუთხარი და წამსვე დავშორდი მას. როგორც იქნა, მამა დაიძრა. გავხედე და შევამჩნიე მამას, რომ მთელი ყურადღება მიეპყრო მას მოვერცხლისფერო თმებ-

ქვეშ მომღიმარი სახისათვის, რომელიც მთელი მონდომებით თავისკენ იწვევდა შალვას. ფეხზე მდგარი მომპატიჟებელი ხელისჩამორთმევით მიესალმა შალვას და მის გვერდით ცარიელ სახელურებიან სკამზე დაბრძანება შესთავაზა. მამა მოთავსდა სავარძლისებურ სკამზე და შვებით ამოისუნთქა. ორივემ, ერთმანეთთან ხმადაბალ ლაპარაკს აუბა მხარი. (როგორც ეს მოგვიანებით შევიტყვე, შალვას თანამოსაუბრე იყო მათემატიკოს-აკადემიკოსი ილია ვეკუა).

ცოტა ხანში, როცა დარბაზი მთლიანად გადაიჭედა და, როგორც იტყვიან, ტევა არ იყო, დარბაზში შემოვიდა გიორგი წერეთელი, თავის განუყრელი ტყავის საქაღალდით გულსმიხუტებული. მან, შემოსვლისთანავე შეამჩნია მეგობრები და მტკიცე ნაბიჯით გაემართა მათკენ. იგი ნელი ნაბიჯით და მეტისმეტი სიდინჯით უახლოვდებოდა სკამებზე მოთავსებულ ქართველებს. მან შორიდანვე აითვალისწუნა ილია ვეკუას გვერდით მჯდარი ცხვირაპრეხილი ახალგაზრდა და მხოლოდ მას დაჟინებით შეაცქერდა. სულ ორი ნაბიჯი დარჩა სავალად გიორგი წერეთელს, რომელიც ახირებულ მზერას არ აშორებდა ილია ვეკუას გვერდით მჯდარ რუს მეცნიერს. მისთვის შესამჩნევად გიორგი წერეთელმა თვალები დაივიწროვა და მზერით თითქოს დაგესლა მსხვერპლი. მეცნიერ-მასპინძელი მყისვე მოსწყდა სკამს და უკანმოუხედავად გავარდა, ალბათ იმ სინანულით, რომ თითონვე არ შესთავაზა ადგილი მისთვის უცნობ მეცნიერ-სტუმარს.

გიორგი წერეთელი ხელის ჩამორთმევით მიესალმა ფეხზე წამომდგარ ილია ვეკუას, ხოლო სახელურებიან სკამში ძლივსჩატეულ შალვას ხელით შეეხო მხარზე და ოდნავ გაუღიმა. შემდეგ სხარტად ჩაჯდა მონაპოვარ საბრძანებელში და ჩვეული მოძრაობით ფეხი ფეხზე გადაიდო. იმ მომენტში ალბათ, განუყრელ პაპიროსსაც სიამოვნებით გააბოლებდა.

რამდენიმე წუთში საკავშირო აკადემიის პლენარული სხდომა გახსნა აკადემიკოს-პრეზიდენტმა ვსევოლოდ ვიაჩესლავოვიჩ კელდიშმა. დადგენილი რიგის მიხდვით ერთმანეთს ცვლიდნენ მომხსენებლები და ზუსტად ორ საათში სხდომისათვის განკუთვნილი დროც ამოიწურა. აკადემიის სასადილოში შესვლაზე უარი განვუცხადე მამას და სამმა ქართველმა ერთად დააგემოვნა რუსულად შემზადებული «ობედ»-ი.

ილია ვეკუას რჩევით, გიორგი წერეთელი დარჩა აკადემიაში, ხოლო მე და მამა გავემართეთ სასტუმროსკენ.

ისე მოსაღამოვდა, რომ გიორგი წერეთლის ნომერში აწკრიალებულ ზარს, არავინ პასუხობდა. უკვე გვიანი საღამო იყო, რომ გვესტუმრა აკადემიის არჩევნებში ერთ-ერთ კოორდინატორად დანიშნული, სსრკ-ს ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი გიორგი ევგენიევიჩ ტრაპეზნიკოვი. მე და გ. ე. ტრაპეზნიკოვმა ერთმანეთი გავიცანით საკავშირო სარეზერვო ოფიცერთა სამხედრო კურსებზე და კიდევაც დავუმეგობდით ერთმანეთს. სამივემ ცოტა წავიხემსეთ იქვე ბუფეტში და დავბრუნდით ნომერში. არც თუ ისე ცოტა ხნის შემეგ, ხმა ამოიღო ჩვენმა ტელეფონმა,

მივწვდი ყურმილს და მომესმა ბატონი გიორგის ხმა: «გულბად, ახლავე შემოვალ თქვენთან».

რამდენიმე ხანში ჩვენი ნომრის კარებზე მოკაკუნების ხმა გაისმა. მე სხარტად გამოვაღე კარები და მივესალმე ბატონ გიორგის. შემდეგ ფეხზე წამომდგარი გ. ე. ტრაპეზნიკოვი გაეცნო სტუმარს. «Георгий Евгеньевич Трапезников» უთხრა ბატონ გიორგის ჩემმა რუსმა მეგობარმა. «გიორგი Васильевич», გაეცნო მას ბატონი გიორგი და დაუყოლა: «Значит тёзки». «Так получается», სიამოვნებით დაუდასტურა ახალგაცნობილს ქართველებთან ტრაპეზის მოყვარულმა გ. ე. ტრაპეზნიკოვმა. Академик Трапезников Вадим Александрович, кем он приходится Вам? დაინტერესდა გიორგი წერეთელი. Он мой дядя, იცრუა გ. ე. ტრაპეზნიკოვმა (არა და, ვადიმ ალექსანდროვიჩი სინამდვილეში მამამისი იყო). საინტერესოა, ათ ქართველს ერთი რუსი რომ გვერიოს ჯგუფში, ყოველი ქართველი რუსულად იწყებს საუბარს. ამ დაუწერელმა კანონმა ჩვენ სამივეზეც იმოქმედა.

— გვიანობამდე შევრჩი აკადემიას, დაიწყო რუსულად გიორგი წერეთელმა, შევხვდი ბევრ ჩემს მეგობარს. მათგან გავიგე, რომ ისინი ცდილობენ აკადემიკოსად ენათმეცნიერ ჟირმუნსკის გაყვანას. მძლავრი მოწინააღმდეგე მე აღმოვჩნდი. არ იციან, თუ როგორ გადაწყვიტონ დილემა. ასეთ შემთხვევაში, მეორე ადგილის გამოყოფაზე უარი მიიღეს ვ. ვ. კელდიშისგან. გუმანით ვგრძნობ, ჟირმუნსკის სასარგებლოდ ჩემგან ინიციატივას ელიან. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში, წინააღმდეგობის სანაცვლოდ უმჯობესია მოვხსნა ჩემი კანდიდატურა, რომ მათგან დადებითი დამოკიდებულება დავიმსახურო. ალბათ, ასეც მოვიქცევი». დაასრულა სათქმელი გიორგი წერეთელმა. მოულოდნელად, ალაპარაკდა აკადემიაში არჩევნების საქმეთა კოორდინატორი გ. ე. ტრაპეზნიკოვი:

«— როგორც ჩემთვის გახდა სავსებით სარწმუნოდ ცნობილი, ამჯერად, ხელოვნებათმცოდნეობის განხრით მხარს უჭერენ ერმიტაჟის დირექტორის ბარის ბარისიჩ პიოტროვსკის კანდიდატურას. მისი ტოლფასი კანდიდატურა თქვენ ბრძანდებით, შალვა იასონიჩ, მაგრამ ამჯერად იხრებიან ბ. ბ. პიოტროვსკის სასარგებლოდ, ალბათ თქვენთვის გასაგები მიზეზების გამო. კულისებში ისიც ითქვა, ამჯერად თუ შ. ამირანაშვილი მოხსნის კანდიდატურას, უახლოეს მომავალ არჩევნებზე უთუოდ გარანტირებული იქნება თქვენი არჩევა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ბატონო შალვა იასონიჩ, ხვალ თქვენგან ინიციატივას ელიან თქვენი კანდიდატურის მოხსნის შესახებ ბარის ბარისიჩ პიოტროვსკის სასარგებლოდ.» — დაამთავრა სათქმელი ჩემმა მეგობარმა გ. ე. ტრაპეზნიკოვმა.

— ჩემო შალვა, ისევ რუსულად ჩაება საუბარში გიორგი წერელელი, მეც ზუსტად იგივე მდგომარეობაში ვარ, როგორც შენ. მე, ხვალ მოვხსნი ჩემს კანდიდატურას ჟირმუნსკის სასარგებლოდ. შენც გირჩევ მოხსნა შენი კანდიდატურა პიოტროვსკის სასარგებლოდ. მომავლისათვის ასე აჯობებს. გახსოვს, ჩემო შალვა, 1943 წლის 4 ნოემბერს მე და შენ,

ერთად აგვირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად. ორი წლის შემდეგ, ზუსტად ისე მოხდება, როგორც იმ ომიან ორმოცდასამ წელს! ძმურად გთხოვ, შენც მოიქეცი ისე, როგორც მე. ასე აჯობებს საქმისათვის. შალვა უღიმოდა ბატონ გიორგის და გეორგი ევგენიჩს, და საპასუხო სათქმელს უგვიანებდა.

მეორე დღეს, აკადემიის თავყრილობაზე, სიტყვა ითხოვა გ. ვ. წერეთელმა. იგი ავიდა კათედრაზე და ლაკონური წინადადებით მოიხსნა თავი არჩევნებიდან ჟირმუნსკის სასარგებლოდ. დარბაზი ოვაციით შეხვდა გ. ვ. წერეთლის მიზანმიმართულ გადაწყვეტილებას.

— კიდევ ვის სურს გამოვიდეს სიტყვით? დარბაზში გაისმა პრეზიდენტ ვსევოლოდ ვსევოლოდიევიჩ კელდიშის ხმა. გაჟღერებული მოწოდება რამდენიმე წამში კიდევ გამეორდა. გიორგი წერეთელმა შალვას გადახედა. შალვა ამირანაშვილი გაუნძრევლად ჩაჭედილიყო ხის სახელურებიან სავარძელში და არც აპირებდა წამოდგომას. დარბაზში წამიერ უჩვეულო სიჩუმე ჩამოწვა. პრეზიდიუმი დაითრგუნა შალვა იასონიჩ ამირანაშვილის მოულოდნელი უმოქმედობით.

ჩატარდა არჩევნები.

მეორე ქართველმა ბრძოლაში ექვსით შვიდზე წაგება არჩია.

საღამო ხანს მოსკოვის აკადემიაში გამართულ ბანკეტს აკლდა «ბრძოლაში» დამარცხებული ქართველი, რომელიც მატარებლით საქართველოსკენ მიიჩქაროდა.

2). ხელოვნებათმცოდნე-აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და პოეტ-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე

სიცხით დახუთულ იმ ერთ ზაფხულს მინისტრთა საბჭოს აგარაკზე წყნეთში ვისვენებდი ცოლ-შვილთან ერთად. ღამის წვიმით გაგრილებულ ერთ დილას მამა ჩვენთან ამოვიდა შვილიშვილების სანახავად. მანქანა თბილისში გაუშვა მძღოლის რაღაც საქმისათვის და დღის ოთხი საათისთვის დაიბარა, ამოსულიყო მის წასაყვანად. თითქოს შეკვეთით, მშვენიერი გრილი ამინდი შემოგვეგება მამის სტუმრობის დღეს და ნაძვნარში გავისეირნეთ ბავშვებთან ერთად. თითქოს დაღლილები რომ შემოვბრუნდით, მის რძალს თამარს აივანზე სუფრა გაეშალა წასახემსად. მსუბუქად დავნაყრდით. განსაკუთრებით შვილიშვილებს მოწონდათ ბაბუსთან ყოფნა და მის ცქერაში სიამოვნებისგან თვალები უფართოვდებოდათ. ბაბუ შალვა ცოტა ხნით წამოწვა და ჩათვლიმა კიდეც. საათის ისარები დათქმულ დროს უახლოვდებოდნენ, როცა მამა-შალვა გამოემშვიდობა თავის შვილიშვილებს: შალვას და ნინოს. ისინი, პირველი შვილიშვილები იყვნენ და შევატყვე მამას, რომ გასაოცარი გრძნობით ულივლივებდა თვალები.

მანქანის ცდაში, მამას მოთმინება აღარ ეყო და საჩქაროდ გავედით სამანქანო ტრასაზე. უკვე ზუსტ ოთხ საათს შეეხო საათის მცირე ისარი,

ხოლო დიდი ისარი თორმეტს უახლოვდებოდა. შალვას მიერ დაბარებული მანქანა რატომღაც ჯიუტად იგვიანებდა. მამას ცოტაოდენ ნერვიულობა დაეტყო და ასეთ შემთხვევაში რა მოემოქმედა, ვეღარ გადაეწყვიტა. თბილისიდან მომავალი დაბარებული მანქანა კი ჯერ კიდევ არ ჩანდა. უეცრად, თბილისისკენ მიმავალ მანქანათა მწკრივში ერთ-ერთმა მძლავრად დაამუხრუჭა და შალვას ცხვირწინ გაჩერდა. მანქანიდან გადმოვიდა ყველა ქართველისათვის ძვირფასი მამაკაცი ირაკლი აბაშიძე და სასიამოვნოდ გაღიმებული მიესალმა შალვას.

— გამაჯობა, ჩემო შალვა, აქ რას აკეთებ? ხელის ჩამორთმევისთანავე გულღიად მიაყარა სიტყვები ბატონმა ირაკლიმ.

— მანქანას ველოდები, ცეკა-ში ვარ დაბარებული და მაგვიანდება! ძლივს გასაგონად და არც ისე ხალისით წარმოთქვა გულაჩუყებულმა შალვამ.

— აი მანქანა! შესძახა შალვას ირაკლიმ და ხელი გაიშვირა კრემისფერი «ვოლგა»-სკენ.

— აქ დაბრძანდი, ჩემო შალვა! თავაზიანად შესთავაზა ბატონმა ირაკლიმ და მანქანის წინა კარი გამოუღო შალვას.

შალვას ესიამოვნა მიპატიჟება, გვერდი აუარა ღია წინა კარს, ხელის ჩვეული მოძრაობით გამოაღო მანქანის უკანა მხარის კარი და ჩაჯდომა დაიწყო. ვისაც არ უნახავს, თუ როგორ ჯდებოდა შალვა მანქანაში, მისთვის წარმოუდგენელია მონაყოლის მთელი ეშხითაც გაგება. და ახლაც, «შალვას ჩაჯდომა მანქანაში» უმუსიკო კონცერტს ჰგავდა. მამამ მარჯვენა ხელი მოავლო უკანა კარის ზედა ნაწილს, ძლივს მოიხარა და მარცხენა ფეხი შედგა მანქანაში. ჩაჯდომის მომენტში, თავზე კოხტად მორგებული ჭილოფის «შლიაპა» წამოედო კარისზედა სახურავის ნაწილს, თავიდან მოეხადა შალვას და ვარდნა დაიწყო. სანახევროდ ჩამჯდარმა შალვამ მარჯვენა ხელი შეუშვა კარის ზედა ნაწილს, სხარტი მოძრაობით ჰაერშივე დაიჭირა «შლიაპა» და უკვე სანახევროდ ჩამჯდარმა, თავზე მოითავსა. შემდეგ ოდნავ შეიწია და მარჯვენა ფეხი შემოდგა მანქანაში. ბატონი ირაკლი უყურებდა შალვას ილეთებით გაჯერებულ ამ თეატრალურ სანახაობას, გულში ალბათ ბოლომდე ხითხითებდა და სახეზეც სიამოვნების ალმური უკრთოდა. შალვას მოთავსება სავარძელში მანქანას მეტისმეტად დაეტყო. შალვა იმ დროს ასორმოცდაათამდე კილოგრამს იწონიდა და ჩაჯდომისთანავე, მანქანის უკანა ნაწილი იმდენად დაიწია ქვემოთ, რომ ბორბლები შეეხნენ მათ ზედა საფარს. სამაგიეროდ ზემოთ ავარდა მანქანის წინა ნაწილი, ე. წ. «კაპოტი» და სანახევროდ გადაეფარა მძღოლის წინა მინას. შალვას მხრიდან კარი მიხურა ბატონმა ირაკლიმ, დამრეცად მდგარ მანქანას შემოურბინა და მეორე მხრიდან გამოაღო კარი იქ, სადაც შალვა იჯდა. წარმოსადეგად მაღალი და სპორტული აღნაგობის, ამასთანავე სასიამოვნო შესახედაობის ბატონი ირაკლი, ათლეტური ტანის და ყოველნაირი მამაკაცური მონაცემებით ბუნებრივად დაჯილდოებული პიროვნება იყო. სიმპათიურად განლაგებული სახის ნაკვთებით დამშვენებული ბატონი ირაკლი მაღალ-

პიროვნული თვისებებით ხასიათდებოდა და კეთილად შესაშური იყო ყველასთვის. კოხტად მორგებულ ღია ფერის კოსტუმში გამოწყობილ მის აპოლონისებურ სიმეტრიას არც კი ეტყობოდა, რომ ასამდე კილოგრამს იწონიდა. სამაგიეროდ მისი მოთავსება მანქანაში, მეტისმეტად საგრძნობლად დაეტყო უკვე ასორმოცდაათიან კილო შალვათი დამძიმებულ მანქანას. უკანა ბორბლები მეტისმეტად მიეტმასნენ მათ ზედა საფარს, ხოლო მანქანის წინა ნაწილი ე. ი. «კაპოტი» თითქმის მთლიანად გადაეფარა წინიდან მძღოლს. მძღოლი, რაც შეიძლებოდა გასწორდა წელში, რომ სავალი გზის რაღაც ნაწილი მაინც დაენახა. მძღოლმა, როგორც კი იგრძნო მხარზე ბატონი ირაკლის ხელის შეხება, დაძრა მანქანა, მაგრამ ვაი იმ დაძვრას. ძრავა აბღავლდა და თრახათრუხით ძლივს დაიძრა მანქანა. მანქანის უკანა ბორბლები ზედასაფარს ისე მიეტმასნენ, რომ მათი ხახუნისგან კვამლმაც დაიწყო გამოფრქვევა. მე თვალი გავაყოლე თბილისისკენ დაშვებულ აუწონელ მთლიან სიმძიმეს და სხვის გაუგონრად ვფიქრობდი, ღმერთს კეთილდღეობა გამოეჩინა წყნეთიდან დაშვებული ბუმბერაზების მიმართ.

მართლაც ძვირფასი ადამიანები იყვნენ: შალვა ამირანაშვილი, რომელსაც საზოგადოება «სლონიკას» ეძახდა და ირაკლი აბაშიძე, რომელსაც ქართველი ხალხი საქართველოს უგვირგვინო მეფედ აღიარებდა.

საღამო ხანს მამასთან დავრეკე, რომ გამეგო, როგორ იმგზავრეს. მამამ მომიგო: შუაგზაზე, მე რომ ვიჯექი იმ მხარეს, ბორბალი დაეშვა მანქანას. მძღოლი სანამ გამოცვლიდა, ორივემ დავიგვიანეთ ცეკა-ში.

3). შალვა ამირანაშვილი და არქიტექტორი ვანო ჩხენკელი

შალვა ამირანაშვილის ბიძაშვილი იყო (შალვას დედის-ასინეთ ჩხენკელის ძმის შვილი) არქიტექტორი ვანო ჩხენკელი, რომელმაც თბილისის ფილარმონიის შენობა დააპროექტა და სხვ.

ერთ დასიცხულ ზაფხულს, როცა ოჯახის პატრონებს ცოლშილი გაეყვანილი ჰყავდათ მთის ან ზღვის აგარაკებზე, საღამო ხანს ერთმანეთს შეხვდნენ ნათესავები: შალვას ბიძაშვილი — ვანო ჩხენკელი და ვანოს მამიდაშვილი — შალვა ამირანაშვილი. გულითადი მოკითხვების შემდეგ, ვანო ჩხენკელმა უთხრა შალვას:

— ამ ორი დღის უკან, სახლში რომ დავბრუნდი, ჩემ მიერ დილით ჩაკეტილი შესასვლელი კარი ღიად იყო დატოვებული. მოულოდნელობის გრძნობით ბინაში შესულს ერთიანად ყველაფერი ატრიალებული დამხვდა: ტანსაცმლის კარადები სიცარიელემდე გამოშიგნული; კომოდის უჯრები გამოსუფთავებული; ჩემი საწერი მაგიდის ნივთები მიმობნეული იატაკზე, უჯრები გამოცარიელებული; თაროებიდან წიგნები გადმოყრილი; ლეიბები და ბალიშები ერთიანად დაჭრილ-დაკუწული. მოკლედ, მომხვდური ვიღაცეები რაღაცას ეძებდნენ ჩემს ბინაში.

— ღონემიხდილი დავეშვი სასადილო მაგიდას მიდგმულ სკამზე. ერთ ხანს ვიჯექი გაოგნებული. ცოტა ხანში თვალი შევავლე მაგიდის ზედა-

პირს. ჩემს თვალსაწიერში გაიელვა გადაკეცილმა თაბახის ფურცელმა, ცოტა მოშორებით მიგდებულიყო ჩემი საწერი პასტაც. ხელის უნებლიე მოძრაობით გავშალე გაკეცილი ფურცელი, სადაც უსწორმასწორო ასოებით ეწერა:

— ქალაქ თბილისის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარევ!

— ბატონო ვანო!

— ბოდიშს გიხდით ბინის ანგრევისთვის და ერთსაც გეტყვით: «უმაღლესი თანამდებობის კაცს ცხოვრების შნო არ გქონიათ!».

4). პოლონელ მეცნიერთა მასპინძლობა შალვა ამირანაშვილის ოჯახში

თვალნათლივ მახსოვს წვეულება ჩვენ ოჯახში. მამაჩემს მეგობრები ყავდა მოპატიჟებული: სემიტოლოგი გიორგი წერეთელი, თურქოლოგი სერგი ჯიქია, ბიზანტინოლოგი სიმონ ყაუხჩიშვილი, აღმოსავლეთმცოდნე ვალერიან გაბაშვილი და შალვას ოჯახის განუყრელი მეგობარი მეტალურგმცოდნე ფერდინანდ თავაძე. ვმასპინძლობდით პოლონეთიდან ჩამოსულ სტუმრებს: ენათმეცნიერ ანანიას ზაიანჩკოვსკის და ყველა ქართველისთვის ცნობილ ქართველოლოგ იან ბრაუნს. დათქმულ დროს შევიკრიბეთ ჩვენს ბინაში, ერთი მოპატიჟებულის გარდა. სუფრას ოდნავ მოგვიანებით შემოვუსხედით, რადგან ველოდებოდით შალვას მეგობარს, რომელიც მომეტებულად იგვიანებდა.

ქართული სუფრის ტრადიციისამებრ, პირველი სიტყვა მასპინძელმა შალვამ წარმოთქვა. სტუმართა დასალოცი სადღეგრძელოს მომდევნოდ, მამაჩემმა სუფრის თამადად მე დამასახელა. მაშინ ახალგაზრდობას ოდნავ გადაცილებული ასაკის ვიქნებოდი და თავიდანვე ვიუარე მამის შემოთავაზება. აზრადაც არ მომსვლია, შევძლებდი თუ არა ასეთ წარმომადგენლობითი სუფრის გაძღოლას, მიუხედავად იმისა, რომ თანატოლებთან სუფრაზე პირველ სიტყვისთქმას არავის ვუთმობდი. იხტიბარი აღარ გავუტეხე მამას და გავბედე აკადემიკოს სტუმრებთან თამადობაში თავი გამომეჩინა.

სუფრა თავდაჭერით და მორიდებით მიმყავდა. მე თვითონ მიკვირდა, თუ როგორ ვართმევდი თავს შექმნილ აკადემიურ რეალობას; მიკვირდა, თუ საიდან ამომიტივტივდებოდა მაღალფარდოვნად წარმოსათქმელი სიტყვები. ხშირად ჩემს სადღეგრძელოებს თითქმის ოვაციებით და გაოცებული შეძახილებით ხვდებოდნენ პოლონელი სტუმრები. ქართველოლოგი იან ბრაუნი სიტყვა-სიტყვით უთარგმნიდა ანანიას ზაიანჩკოვსკის ჩემ მიერ გამოთქმულ ფრაზებს. ისიც თვალებში მიცქერდა და კმაყოფილებით აღითქვამდა ჩემს მიერ გახმოვანებულ სადღეგრძელოებს.

ცოტა ხანში სუფრა იმდენად შეზარხოშდა, რომ აკადემიკოსების მიერ ერთიანად გამოთქმული საყვედურებით ამევსო გული: ბატონი გიორგი სიჩქარეში მდებდა ბრალს; ბატონი ვალერიანი, ბუხურია ჭიქებით სმაში, რაც, მისი აზრით ასეთ სუფრას არ უხდებოდა. მხოლოდ იან ბრაუნმა

ამიბა მხარი, რომელიც ღვინის სმაში მწყობრად მომყვებოდა, როგორც ქართულ სუფრას ნაჩვევ-ნაზიარები კაცი. ამასთან ერთად იგი თავმომწონედ მეჯიბრებოდა კიდეც ღვინის სმაში და სადღეგრძელოების მოხდენილად თქმაში (შესანიშნავად ფლობდა ქართულს, უცხოელისთვის ძნელად გამოსათქმელი ქართული ასოების ზუსტი გამოთქმით). პოლონელი ქართველოლოგი ბოლომდე ცლიდა სასმისს და გაცარიელებულ «ბაკალს», ამოპირქვავებულს, დამიტრიალებდა ცხვირწინ. ბატონი სერგი არ იკლებდა შესანიშნავ რქაწითელს (რომელიც სპეციალურად კახეთიდან მოართვეს შალვას პოლონეთიდან ჩამოსული სტუმრების გასამასპინძლებლად). ბატონი სიმონი ყოველ სადღეგრძელოზე სანახევროდ ცლიდა სასმისს. ბატონი ანანიასი მხოლოდ ერთი ყლუპით აგემოვნებდა დიდებულ კახურს, ისე, თითქოს სადეგუსტაციოდ ყოფილიყო მოწვეული. სუფრა კარგად იყო შელხინებული, როცა სასტუმრო ოთახის კარებში გამოჩნდა დაგვიანებული მოპატიჟებული, ბატონი ფერდინანდ თავაძე. მოსალმებასთან ერთად, მან მომღიმარე სახე თავისებურად შემოგვაგება თვითეულს და მზერა შეაჩერა უცხოელ სტუმრებზე. ჩვენდა გასაოცად, ბატონი ფერდინანდის უჩვეულო ზემოქმედების გავლენაში მოქცეული პოლონელები ფეხზე აღიმართნენ და ხელისჩამორთმევით მიესალმნენ ახალგაცნობილს. სახელები და გვარები სხარტად გაუცვალეს ერთმანეთს. სიტუაცია ისე უცნაურად დაიძაბა, რომ სუფრის წევრებმა რატომღაც უცხოელებს მივბაძეთ, ჩვენდა უნებურად ყველანი ერთად წამოვიზლაზვნეთ და ღიმილით გადავხედეთ ერთმანეთს.

დიასახლისმა თავაზიანად შესთავაზა სკამი დაგვიანებულ სტუმარს და ერთდროულად შემოვუსხედით მაგიდას. სკამების რახარუხი რომ მიწყდა, ქართული სუფრის ადათ-წესის გახსენებამ მიშველა და ყველას გასაგონად ხმამაღლა წარმოვთქვი: «ჯარიმის სახით ყანწი შეუვსეთ შემოსწრებულს». საჯარიმო ყანწი სერვანტში წამოწოლილიყო და ალმაცერად იმზირებოდა ჩვენკენ. დიასახლისი დასწვდა ყანწს და გადასცა მერიქიფე-ნათესავს, რომელმაც დოქის პირს შეუყუდა ეროვნული სასმისი. მომეტებულად დიდ ყანწში ცივნამმოდებული დოქიდან სანაქებო ღვინო ჩუხჩუხით იღვრებოდა. ბატონი ფერდინანდი ოჯახის მეგობარი იყო, თორემ უტაქტობას ჯარიმის სახით, ნამდვილად ვერ გავუბედავდი. თავის მხრივ ბატონი ფერდინანდი ზუსტად ასეთ შემოთავაზებას ელოდა. იგი წამოდგა, შევსებული ყანწი მორიდებით გამოართვა მერიქიფეს, რატომღაც ასწი-დასწია, თითქოს წონას უსინჯავდესო და ფრთაშესხმული სიტყვის სათქმელად მოემზადა.

— შესანიშნავი რქაწითელია, ბატონო ფრედ, მოსინჯვისთანავე, მაამებლად შესვამთ ბოლომდე, ჩემებურად გავამხნევე შალვას ოჯახის მეგობარი. მოხდენილმა ქართველმა ყველას გადახედა და დაძრა სიტყვა:

— «ძვირფასო მეგობრებო! სასიამოვნო სტუმრებო! (იანმა წასჩურჩულა თარგმანი ანანიასს), ბოდიშს ვიხდი დაგვიანებისათვის, გთხოვთ მაპატიოთ! ამ ეროვნული სასმისით გაუმარჯოთ მათ, ვინც ადღეგრძელეთ! და კიდევ: ამ ნაციონალურ სუფრაზე არ შეიძლება არ შეისვას

პოლონეთისა და საქართველოს ხალხთა მეგობრობის სადღეგრძელო. გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას! და რომ საუკუნოდ გაგრძელებულიყოს! ასევე მომავალშიც უფრო მეტად განვითარდეს პოლონელ და ქართველ მეცნიერთა ურთიერთ თანამშრომლობა მეცნიერული კვლევის ყოველ დარგში (ქართველებს უნისონში გაგვეღიმა, ვუცდიდით იანს, სანამ უთარგმნიდა ანანიასს, მათაც ევროპული მორიდებით შემოგვთავაზეს მოკრძალებული ღიმილი). მომავალშიც, მრავალჟამს გაგრძელებულიყოს პოლონელთა სტუმრობა საქართველოში და მასპინძელთა ქართულად დახვედრა. ასევე ქართველთა სტუმრობა პოლონეთში და ქართული ყაიდით პოლონელთა მასპინძლობა».

ამ სიტყვებით დაამთავრა სადღეგრძელო მომღიმარმა ბატონმა ფერდინანდმა და ტუჩების ოდნავი მოძრაობით შეეხო ყანწში გამომწყვდეულ სიამოვნებას. გემოს მოსინჯვისთანავე სულმოუთქმელად დაცალა ყანწი, აავსებინა მერიქიფეს და გადმომცა მე. სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა ქართველებს, ხოლო პოლონელებმა განცვიფრების ნიშნად უნისონში ტაში შემოჰკრეს.

იმ მომენტში არაფრად არ მაწყობდა ყანწით ღვინის შესმა, მაგრამ ჩემი ქართველობა მაინც მაძალებდა ყანწითაც გამესინჯა რქაწითელი.

შემოსწრებულს დღეგრძელობა ვუსურვე და ძლივს ავითვისე სიკეთით მორთმეული ყურძნის დაღვინებული ნაჟური.

დაგვიანებული სტუმრის სტუმრობამ შალვა ამირანაშვილის ოჯახში გაშლილ სუფრას შემატა მხიარულობა და ხალისი, გულახდილი საუბრის წადილი და გულწრფელად დამეგობრების სტიმული. სტუმარმასპინძლობით აღძრული სიამოვნება ღვივდებოდა ერთმანეთის მიმართ და მჟღავნდებოდა გულწრფელი ემოციებით.

მასპინძლები და სტუმრები უღიმოდნენ ერთმანეთს, თან შეხმატკბილებულად ითვისებდნენ ქართველ და პოლონელ ხალხთა უანგარო სიყვარულით თქმულ და შესმულ სადღეგრძელოებს!

5). ძმებად შეფიცულნი: სიმონ ყაუხჩიშვილი და შალვა ამირანაშვილი

სიმონ ყაუხჩიშვილისა და შალვა ამირანაშვილის მეგობრობას «უხსოვარი დროიდან» ჩაეყარა საფუძველი. მაშინდელი საზოგადოების ცხოვრებისეული ურთიერთობა ზანტად მიჰყვებოდა ყალიბში მოქცეულ ახალ დროებას. საბჭოურ პოლიტიკაზე მიჯაჭვული ყოფიერება სამომავლოდ მაინც იკაფავდა ეროვნული სულისკვეთებით შეზავებულ გზას. სოციალური წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიული მოვლენების კვალდაკვალ, წლებს უცვლელად მიჰყვებოდა ამ ორი დიდი მეცნიერის გულახდილად წრფელი და მარად გულმხურვალე მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება ერთმანეთისადმი.

ბატონები სიმონი და შალვა ხშირად სტუმრობდნენ ურთიერთს. ერთხელ ჩვენს ოჯახში შემობრძანდა ბატონი სიმონი და გულზე მიხუ-

ტებული «ქართლის ცხოვრების» პირველი ტომი შემოგვიტანა. ოფლშეუმშრალი რუდუნებით აკინძული ქართველთა ისტორიის მატიანე ბატონმა სიმონმა საჩუქრად გადასცა მეგობარ — შალვას. ისინი თავაუღებელი მშრომელები იყვნენ და ბეჭდური გამოცემებით ხშირად ასაჩუქრებდნენ ერთმანეთს. სწორედ ამ მიზეზითაც ბატონი სიმონის ხელდამშვენებულმა სტუმრობამ უკვე მერამდენეჯერ სიხარულით აღავსო ჩვენი ოჯახი. ბატონი სიმონის სიკეთით სავსე დამოკიდებულება ჩვენდამი მომეტებულად გვასულდგმულებდა და პატრიოტული გრძნობებით აღსავსე ჩვენს სულიერებას საგრძნობლად აძლიერებდა. სპეტაკი კაცისგან შემოწოლილი გულწრფელი გრძნობები უსაზღვროდ ლივლივებდნენ შალვას ოჯახის ყოველი წევრის თვალებში.

«ქართლის ცხოვრების» სიმონ ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში აღნუსხული, მრავალ საუკუნეს გამოვლილი ქართველი ერის ისტორიის მაუწყებელი ტექსტები, ქართული წყაროთმცოდნეობითი აზროვნების ნამდვილ გამარჯვებას ნიშნავდა. სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ აკინძული ქართული წყაროები, ქართველთათვის სამაგიდო წიგნად იყო ქცეული, და არა მარტო ქართველთათვის.

იმ საღამოს სიმონმა და შალვამ დიდხანს ისაუბრეს. შალვას დედამ, ცხრა შვილისა და ორი შვილიშვილის აღმზრდელმა ასინეთ ჩხენკელმა სავახშმო სუფრასთან მიიპატიჟა შეზრდილი ძმაკაცები. საოჯახო სუფრაზე შესანიშნავი ქართული ღვინოც დააგემოვნეს. მართლაც დასაჯერებელი იყო, რომ ოჯახის ანგელოზი ჭეშმარიტად თავს ევლებოდა სპეტაკ მეგობართა ტრაპეზს და ასევე უსულდგმულებდა მათ ყოველდღიური ცხოვრებისა და მეცნიერული წინსვლის აზრს.

მე მაშინ პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი...

... ხოლო იმ წელს, როცა უნივერსიტეტში სტუდენტად ყოფნის ოთხი წელი შემისრულდა, სიმონ ყაუხჩიშვლმა «ქართლის ცხოვრების» მეორე ტომი გამოაქვეყნა და ჩვეულებისამებრ, ახალი წიგნით ხელში ჩვენთან შემობრძანდა.

უნვერსიტეტის დამთავრების წელი ღირსშესანიშნავი იყო იმითაც, რომ აკადემიკოს გიორგი წერეთლის მეთავეობით დაარსდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომლის პირველი დირექტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელიც თითონ ბატონი გიორგი იყო.

გიორგი წერეთლის თაოსნობით განყოფილებებს სათავეში ჩაუდგნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები: ბიზანტინოლოგიას, სიმონ ყაუხჩიშვილი; სემიტოლოგიას, კოსტანტინე წერეთელი; თურქოლოგიას, სერგი ჯიქია; შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ისტორიას, ვალერიან გაბაშვილი; ინდურ-ირანული ენების განყოფილებას, მზია ანდრონიკაშვილი; სპარსულ ფილოლოგიას, ვლადიმერ ფუთურიძე; აღმოსავლეთის ქვეყნების ახალ ისტორიას, ოთარ გიგინეიშვილი; აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიური კვლევის განყოფილებას, ვლადიმერ ახვლედიანი; ექსპერიმენტულ ლაბორატორიას, ალექსანდრე ციბულევსკი; ძველ აღმოსავლურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა პერსპექტიული

ახალგაზრდა, მრავალ ძველ და ახალ ენათა უბადლო მცოდნე თამაზ გამყრელიძე, თვით გიორგი წერეთლის აღზრდილი და მის მეცნიერულ მემკვიდრედ მოაზრებული.

მძლავრი სპეციალისტებით დაკომპლექტებულმა ინსტიტუტმა 1960 წლიდან დაიწყო სამეცნიერო მუშაობა. და უკვე, მისი არსებობის პირველ ათეულ წელს, გამოქვეყნებულ წიგნებსა და გამოკვლევებს, სტატიებსა და კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებს თვლა არ ჰქონდა. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების მაღალკვალიფიციურად დაცვა. გადიოდა წლები, და ახალი მეცნიერული სიტყვით შეზავებული შრომებით ივსებოდა ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა.

ყოველმხრივ სასიქადულო მამულიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი ყოველთვის მხარში ედგა აღმოსავლური მეცნიერების წინსვლას. როგორც წესი, იგი თავდაუზოგავად მუშაობდა არა მარტო ბერძნულ და ბიზანტიურ ლიტერატურასა და ისტორიაში, არამედ დიდი წვლილი შეჰქონდა ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარების საქმეში. და ეს, ჩვენთვის ძვირფასი ბატონი სიმონის ყოველდღიური დაუღალავი მეცნიერული მუშაობის შედეგი იყო. ბატონი სიმონი არ აცდენდა არც ერთ დღეს, რომ სამსახურში არ მოსულიყო. ყოველ სამუშაო დღეს, და ხშირად, შაბათ-კვირასაც, ინსტიტუტში საწერ მაგიდასთან იჯდა და თავაუღებლივ შრომობდა. იგი სამაგალითო იყო ინსტიტუტის ყოველი თანამშრომელისთვის და ჩვენც ხშირად ვბაძავდით მას. მის საწერ მაგიდაზე ყოველთვის ეწყო ქართული, ძველბერძნული, ლათინური, ბიზანტიური პერიოდის ბერძნული და სხვა საჭირო ხელნაწერები და წყაროთა დასტამბული გამოცემები, რადგანაც საკვლევი ტექსტის ყოველ სიტყვას ამოწმებდა და ისე შეჰქონდა თავის შრომებში.

ამ ბუმბერაზ მეცნიერს ხელშეწყობა მხოლოდ ერთი მხრივ ჭირდებოდა. კაბინეტს მიმდებარე დერეფანში აბსოლუტური სიჩუმე უნდა ყოფილიყო, რასაც ბატონი სიმონი მეტად აფასებდა. ბატონი სიმონის ეს თხოვნა ინსტიტუტის ყოველმა თანამშრომელმა ვიცოდით. რაიმე საქმის გამო თუ მაინც და მაინც მეხუთე სართულზე მოვხვდებოდით, სადაც ბატონი სიმონის კაბინეტი იყო მოთავსებული, ფეხაკრეფით დავდიოდით და ხშირად საუბარსაც ვწყვეტდით ერთმანეთთან. მითუმეტეს, რომ მუშაობის დროს ბატონ სიმონს მისი კაბინეტის კარი ყოველთვის ღიად ჰქონდა დატოვებული. ოდნავ გამოღებული იყო კაბინეტის ფანჯარაც, და მაცოცხლებელი სუფთა ჰაერით მუდამ სავსე იყო მისი სათაყვანო სამუშაო ოთახი. თითონ, თითქოს მორიდებით, კუთხეში იჯდა და დაუღალავი მუშაობისათვის დღენიადაგ მობილიზირებული იყო.

ბატონი სიმონი მეტად საინტერესოდ მუშაობდა. საწერი მაგიდის სიახლოეს, ხელის ერთ გაწვდენაზე მოთავსებული ჰქონდა საჭირო წიგნებით სავსე სატრიალებელი თაროები, რომელიც მისივე დაკვეთით გაეკეთებინა ხელოსანს. მუშაობის დროს, სასურველი წიგნის მოსაძებნად

ისე მძლავრად დაატრიალებდა თაროებს და იმწამიერ შეაჩერებდა კიდეც, რომ მბრუნავი თაროების მძლავრი ჭრიალის ხმა ისმოდა მთელ დერეფანში. ასეთი უცნაური ხმის გაგონებისთანავე ვგრძნობდით, რომ ბატონ სიმონს მუშაობა დაეწყო. მაშინათვე, მეხუთე სართულის დერეფნის კუთხეში სიგარეტის მწეველი თანამშრომლები ვანებებდით თავს გაბოლებას და ფეხაკრეფით ვტოვებდით დერეფანს.

ერთხელაც შემთხვევით, და ისიც დაუფიქრებლივ, მოვხვდი სიმონ ყაუხჩიშვილის სართულზე. ძალაუნებურად უნდა გამევლო მისი კაბინეტის ღია კარის წინ. შეტრიალებისა და უკან გაბრუნების წამიც არ მქონდა დარჩენილი და, ღია კარებთან მისული, მოვემზადე შორიდან მისალმებისათვის.

მოურიდებლად მოახლოებული ნაბიჯების კვალდაკვალ, ბატონი სიმონი სმენად გადაქცეულიყო, სათვალეები შუბლზე მოეთავსებინა და ოდნავ გაკვირვებით, ღია კარისკენ იცქირებოდა (ალბათ ფიქრობდა, ვინ ურღვევდა მყუდროებას). კაბინეტის კართან რომ აღმოვჩნდი, მორიდებული თავდახრით და ოდნავ გასაგონი ხმით მივესალმე: «გამარჯობათ, ბატონო სიმონ!»

ბატონმა სიმონმა ერთი კი შემომხედა და წამსვე შემომყვირა:

— მოდი აქ, ახლა, ბიჭო შენ!

მე არც კი მეგონა თუ მცნობდა, და დაძახებისთანავე ღია კარებში გავეჩხირე. შემდეგ როგორც იქნა მის ოთახშიც შევეტიე და საწერი მაგიდისკენ ფრთხილად გადავდგი ნაბიჯი ერთი, შემდეგ მეორე, და მესამეც... სანამ მას მივუახლოვდებოდი, ბატონმა სიმონმა სწრაფად გადმოიღო ღია კარადიდან მუქი მოყვითალო ფერის არც თუ ისე თხელი წიგნი, ყდა «გადაშალა» და ხელის ერთი გაკვრით სამახსოვრო სიტყვები წააწერა. შემდეგ მოურიდებლივ ჩემკენ ისროლა წიგნი, რომელიც წამსვე დავიჭირე და თან სხარტად სიტყვებიც დამიყოლა:

— ჰა, წაუღე მამაშენს!

ნასროლი წიგნი ხელებში კოხტად მოვათავსე, მაღალფარდოვანი სიტყვებით დიდი მადლობა გადავუხადე ბატონ სიმონს და კულტურული ქცევის საფასურად ზურგით კარებისკენ დავიწყე სვლა. შემოწოლილი გრძნობების ამარად დარჩენილმა, იმ წამსვე წიგნის ყდას მივაჩერდი და სათაური წავიკითხე: «ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ». კარებში რომ გავდიოდი, დამაინტერესა, სამახსოვროდ ნაჩუქარ წიგნს ასე სწრაფად რა წააწერა ბატონმა სიმონმა. თავი სამშვიდობოზე მეგონა გასული და ჩემდა უნებურად, სუფთა მექანიკური მოძრაობით ხელმა წიგნის ყდა «გადაშალა». თვალებში შემრჩა ორსიტყვიანი წარწერა: «შალვას სიმონისგან». კაბინეტის ღია კარებს ჯერ არ მოცილებულმა, ოთახის სიღრმეში მაგიდასთან მჯდარ ბატონ სიმონს გაკვირვებით გავხედე. ბატონ სიმონს საწერ-კალამი მოემარჯვა და წინადადების დასაწერად ემზადებოდა, როცა აშკარად იგრძნო მისკენ მიმართული ღიმილნარევი მზერა. ამასთან ერთად, ჩემს სახეს გაურკვევლობაც ნათლად გამოეხატა.

ამ დროს, მოულოდნელად, ბატონი სიმონი ლომივით წამოვარდა ზეზე, ისე რომ მაგიდა ოდნავ შეირყა და სკამიც კედელს მიებჯინა, ღრმად ჩაისუნთქა და ნახევრად პროფილში მოტრიალდა ჩემკენ. მარჯვენა ხელი გამოიშვირა კარის ჩარჩოში ჩახატული გულბად ამირანაშვილისკენ და საჩვენებელი თითის ქნევით ტუჩთაგან გამოცრილი სიტყვები მომახალა:

— «დიახ», იყვირა სიმონ ყაუხჩიშვილმა და მომეტებულად ხმამაღლა დააყოლა: «ჩვენ, ტიტულები არ გვჭირდება!».

მე თავი ჩავღუნე, და როგორც მართლაც დამნაშავე, გამოვიძურწე ბატონი სიმონის თვალთახედვიდან. მძიმედ და აუჩქარებლივ ვშორდებოდი ბატონი სიმონის კაბინეტს და უცნაურად შემოწოლილი ფიქრებით იტვირთებოდა ჩემი დაბინდული გონება.

«და მართლაც, სიმონ ყაუხჩიშვილი და მისგვარი პატრიოტი მეცნიერები დიდებით მოსილი ის ადამიანები იყვნენ, რომელთა ტიტულებს, დიახაც, რომ მხოლოდ მათი სახელები წარმოადგენდნენ. ისინი პატიოსანი შრომითა და ყოველდღიური რუდუნებით, თავიანთი სიცოცხლის ფასადაც ემსახურებოდნენ ბრძოლას საქართველოს თვითმყოფადობისთვის. ამ სასიქადულო მამულიშვილთა დანატოვარი ნაშრომები სწორედ ის «ჯარისკაცები» არიან, რომლებიც იცავდნენ, იცავენ და დაიცავენ საქართველოს მეცნიერულ წარსულს, აწმყოსა და მომავალს».

XXVII

1). პოლონეთში ტურისტებად

1973 წელს პოლონეთის კულტურის სამინისტროს ეგიდით პოლონურ ენაზე გამოქვეყნდა შალვა ამირანაშვილის ნაშრომი «ქართული ხელოვნების ისტორია». წიგნის მთარგმნელებმა დაურეკეს ქართველ ავტორს, ჰონორარის ასაღებად პოლონეთში ჩავიდოდა, თუ გამოეგზავნათ თანხა საქართველოში. ამ ამბის გამოაშკარავებისთანავე შალვას შვილებმა ერთიანად ავტეხეთ ჟრიამული და მამას შევთავაზეთ, რომ ტურისტებად წავსულიყავით პოლონეთში, და იქ დაგვეხარჯა მისი ჰონორარი. სასიამოვნო ამბავი ერთხელ ხდება ცხოვრებაში და, როგორც წესი, არასდროს არ მეორდება. ამ მიზნით ფრთაშესხმულებმა ავიყოლიეთ მამა, რომელიც ტუსაღივით ხმაამოუღებლივ დაგვეთანხმა. შესაბამისმა სამსახურმა ოთხკაციანი ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნა შალვა ამირანაშვილი და სამივე შვილი ერთ მამასთან ერთად მატარებლით გავემგზავრეთ პოლონეთში.

საბჭოთა კავშირის და პოლონეთის გამყოფ საზღვართან, მდინარე ბუგის მარჯვენა სანაპიროზე გმირ ქალაქ ბრესტში ორი საათით შეგვაჩერეს. საბჭოთა რუსმა მესაზღვრეებმა გაგვისინჯეს პასპორტები, ვიზუალურად დაამოწმეს, რომ პასპორტში სწორედ რომ ჩვენი სახეების სურათები იყო ჩაკრული, შემდეგ ბარგი ერთი თვალის გადავლებით შეათვა-

ლიერეს, გამოგვაბრძანეს ვაგონის კუპედან, თითონ შიგ მოთავსდნენ და კარებიც მიიხურეს. რამოდენიმე ხანში გამობრძანდნენ და გვითხრეს: «ვსიო ვ პორიადკე»-ო, გზა დაგვილოცეს და გაგვშორდნენ. ჩვენი კუპედან ორი თუ სამი კუპეს მოშორებით, შემოგვესამა მძაფრი კივილ-წივილის ხმა. პოლონელი ქალები ისე განწირულად და სასტიკად ყვიროდნენ, თითქოს საბჭოთა მესაზღვრეები ძალდატანებული სიყვარულით ეფერებოდნენ. ვხედავდით, თუ როგორ გადაიყვანეს ვაგონიდან, და თხუთმეტ თუ ოც წუთში დააბრუნეს თითქოს დამშვიდებულები.

როგორც იქნა, აუტანელი პროცედურები მორჩა. მესაზღვრეთა ნაცნობი სახეები გარედან უცქერდნენ დაძრული მატრებლის იმ ვაგონს, სადაც ჩვენ ვიყავით გამომწყვდეულები და ხელოვნურად დამუშავებული ღიმილით თითქოს გვაცილებდნენ.

ელმავალმა წვრილი საყვირით შეჰკივლა და მდინარე ბუგზე გადებულ ხიდზე ნელი სვლით შეგორდა. მე და მამა ვაგონის მოგრძო დერეფნის ფანჯრასთან ვიდექით. მამა რას ფიქრობდა არ ვიცი, მაგრამ მე მოუთმენელი ცნობისმოყვარეობით ვიცქირებოდი ჩემთვის უცხო ევროპის დასანახად. ღამის ბინდს გადაკრულ დილაადრიან სინათლეზე, ზედ ბუგზე შევნიშნე ყვავებით მოფენილი ნაცრისფერი ცა. ზამთრით გაყინულ დილას, ყოველგვარი შემოწმებისა და ვიზის გარეშე ყვავები ერთმანეთისადმი მონოტონური «ყვა-ყვა»-ს გადაძახილებით საბჭოთა კავშირიდან პოლონეთში მიფრინავდნენ. ცხოვრებაში ნუთუ უნდა შენატროდე ყვავებს, ვფიქრობდი სხვისგაუგონარად ჩემთვის, რომ ყოველგვარი საზღვრის გარეშე შენც გადაგელახა საზღვარი. თურმე, ხანდახან იქმნება მომენტი, როცა უეცრად წამოგეწეოდა ფიქრი, რომ ლიბერალი ყვავობაც გულის წადილი იყო მხოლოდ.

ბუგს გადასულმა მატარებელმა შეანელა სვლა და პოლონეთის მიწაწყლის საზღვრისპირა სადგურზე შეჩერდა. გაღიმებული სახით ჩვენთან კუპეში შემოვიდა პოლონელი მესაზღვრე, რომელსაც მოელვარე თვალებში შესამჩნევად ეტყობოდა, რომ საკმარისზე მეტად ათვისებული ბახუსი ძალავდა. კუპეში შემოსვლისთანავე თვალი მიატანა ფანჯრისპირა მომცრო მაგიდაზე მოთავსებულ ქართულ კონიაკს. პასპორტებში საჩქაროდ ჩაგვირტყა ბეჭედი. მე თვალებში შევხედე მესაზღვრეს და თავის ოდნავი მოძრაობით კონიაკისკენ მივახედე. იგი წამსვე მიმიხვდა, დაუყონებლივ წვდა კონიაკს, ჩვეული ოსტატობით გულჯიბეში საჩქაროდ მოითავსა და «ჯინკუე ბარძო»-ს დაყოლებით დიდი მადლობა გადაგვიხადა ქართველებს.

2). ვარშავაში, სეიმის სასტუმროში

ვარშავაში სტუმრად ჩასულებს დამხვდურმა მასპინძლებმა შემოგვთავაზეს პოლონეთის სეიმის (პარლამენტის) სასტუმრო. მამა და ნათელა დერეფნის დასაწყის ნაწილში მოათავსეს ორსაწოლიან უტუალეტო ნომერში. ჩვენ ძმები კი გადაგვისროლეს გრძელი დერეფნის ბოლოში, სე-

იმის წევრთა სარგებლობის ტუალეტის უშუალო მიმდებარე ნომერში. ჩვენი ნომერი ტუალეტისაგან გამოყოფილი იყო სიფრიფანა ფიცრის კედელით ანუ ე. წ. «ბაგდადკით» და ამიტომ ბუნებრივი მოთხოვნილების ყოველნაირი გამოძახილი უნებურად ირეკლებოდა ჩვენი ყურთასმენით. სეიმში მოვხვდით სწორედ იმ დროს, როცა იქ სხდომები მიმდინარეობდა და ტუალეტით მოსარგებლე პოლონელების ორკესტრს ქართველების ბას-ბარიტონიც შეემატა. ასე თუ ისე, ქართველ სტუმართა ათვისებულ ნომრებში მხოლოდ ცივი წყლის ონკანი იყო კუთხეში მომწყვდეული, მას მიტმასნულ ნიჟარასთან ერთად.

მამა სამოცდათოთმეტს იყო მიღწეული და ღამით ხშირად სარგებლობდა ტუალეტით. პირველ ღამესვე, ღამის ორზე და დილით ხუთზე მამას მისთვის შორეულ ტუალეტში მოუხდა გასეირნება. ჩვენ რატომღაც ვფხიზლობდით, ან დროდადრო გვეღვიძებოდა. აშკარად ვცნობდით უშველებელი სიგრძის დერეფანში მამის აჩქარებული ნაბიჯების ხმას და ნამდვილად გვეცოდებოდა ასორმოცდაათ კილოგრამიანი მამაჩვენი.

მეორე ღამით გასუსული ველოდებოდი მამის ფეხის ხმის გაგონებას. თითქმის არ მეძინა, ვფიზლობდი რატომღაც. მაგრამ იმ მეორე ღამით არავითარი ნაცნობი ფეხისხმა არ ისმოდა დერეფნიდან. არ მესიამოვნა მაინც. ვერ გავერკვიე ვერაფერში. ძმას კი გემრიელად ეძინა.

დილის მაციანის შემდეგ, ძმებმა შევუღეთ მამას და ჩვენ დას ნომრის კარები, სკამებზე ჩამოვსხედით და დავუწყეთ მათ ცდა სასაუზმოდ ერთად წასასვლელად. ჩვენი და ნათელა იბღვირებოდა და რატომღაც მოღუშული სახით ჩვენთან ჩხუბს აპირებდა. როგორც იქნა, ამოღერღა კიდეც სათქმელი:

— იცით, ჩვენი მამა რას აკეთებდა მთელი ღამის განმავლობაში?

მე გამიკვირდა შეკითხვა და გამეხარდა კიდეც; თანაც გავიფიქრე, ვინმე პოლკა ხომ არ დაიხელთავა ცხოვრებაში ქალების მოყვარულმა ჩვენმა მამა-კაცმა.

— რას აკეთებდა? პასუხის ნაცვლად შეეკითხა ჩვენი ძმა.

— წყლის ნიჟარაში ფსამდა! მოუბოდიშებლად თამამად წარმოთქვა და ყურებამდე გაწითლდა ისედაც მოწითალო ლოყებით დამშვენებული ჩვენი და.

შემონთებული სიამოვნებისაგან მე გამეღიმა და ღიმილი დიდი ხნით შემრჩა გაბადრულ სახეზე. ძმამ ბახომ მრავალმნიშვნელოვნად გადმოხედა და მოთეთრო კბილები გამოაჩინა. ჩვენმა დამ განაგრძო:

— მითხარით, ჩემო ძვირფასო ძმებო, ვინ ასწავლა მამას წყლის ნიჟარაში მოფსმა? დაგვისვა მისთვის უხერხული შეკითხვა ჩვენმა უმცროსმა დამ.

ბახომ მზერა მოაშორა დას და დაიწყო გულიანი სიცილი.

— დამატებით, კიდევ უფრო მეტი რამ ხომ არ ასწავლე მამას, გონებით გამჭრიახო ბახო? შეუტია ნათელამ მოსაზრებულობით გადატვირთულ ძმას. წამსვე მიუტრიალდა, შუბლი შეიჭმუხნა და დატუქსვის მომეტებული სურვილით თვალებით მიანათა. ამ სიტყვების გაგონებაზე უფრო

მეტად ახარხარდა ძმა ბახო. მე მეღიმებოდა და გულში ვუქებდი მოსაზრებულობას ძმას; მან ხომ მთელი ღამით ტუალეტში სიარულს გადაარჩინა მამა!

ნათელამ მამასთვისაც მოიცალა:

— ეი, შენ, აკადემიკოსო მამავ, რას აკეთებდი მთელი ღამე?

მამამაც გულღია სიცილი შეაგება შვილ ნათელას და მაინც შერჩენილი სირცხვილისგან მომღიმარე სახე ოდნავ დახარა.

— ამის შემდეგ საქვეყნოდ ცნობილი ხელოვნებათმცოდნის და კულტურის დიდი მოამაგის სახელს უნდა ატარებდე შენ? არ ცხრებოდა ნათელა, ოდნავ შეყოვნდა და შემდეგ ჩვენც გადმოგვწვდა:

— ისეთი სუნი იდგა, რომ ყარდა აქაურობა მთელი ღამე! ისევ თუხთუხებდა ჩვენი აღელვებული და ნათელა, და მამას მიმართა გამეტებით:

— შე კაი კაცო, ონკანი მაინც გაგეღო და წყალი ჩამოგეშვა! კულტურისა და ხელოვნების პროფესიონალო პროფესორო, ვერ მოიფიქრე მაგდენი?

— ამდგარიყავი და შენ ჩაგეშვა წყალი, რა მოხდებოდა! შეუტია ბახომ უმცროს დას.

— სანამ მე მივხვდებოდი რაში იყო საქმე, დაგვათენდა კიდეც! თავს ვერ იკავებდა ნათელა.

— მამა, ჩვენ გავალთ ნომრიდან და თუ ახლაც გეფსია, ბარემ აქვე მოითავე, მართლაც შევთავაზე დასამშვიდებლად.

— მერე წყლის ჩამოშვება არ დაგავიწყდეს! ბოლოჯერ შეუტია ნათელამ.

— კარგით, გეყოფათ! წარმოთქვა ბახომ, წავიდეთ ვისაუზმოთ.

3). ქართველები სტუმრად პოლონელი მეცნიერის ოჯახში

მამის წიგნის გამომცემელ-რედაქტორებმა ერთ-ერთი პოლონელის ოჯახში სტუმრად მიგვიპატიჟეს. აუცილებლად უნდა მივსულიყავით ზუსტად დაბარებულ დღის ოთხ საათზე.

— ალბათ, სადილად გვეპატიჟებიან ქართველებს, ჩვენებური წესჩვეულების მიხედვით, ჩავილაპარაკე მე.

— მაშ რა აზრი აქვს სადილობას, მივალთ და ვისადილებთ სტუმრად, გადავწყვიტეთ ოთხივე ქართველმა და კარგა მოშიებულები ვესტუმრეთ პოლონელ მასპინძელს.

მოგვესალმა ცოლ-ქმარი პოლონურად, მერე იგივე გაიმეორეს რუსულად, თითქოს პოლონური ენის გაკვეთილზე ვიყავით მისულები. რამოდენიმე ხანში გაგვიყვანეს სასადილო ოთახში, სადაც გაშლილი სუფრა დაგვხვდა. სუფრის შუაგულში თავს იწონებდა უშველებელი თეთრი ტორტი, მოჩუქურთმებული მსუყე კრემით. ოთხკუთხა მაგიდის ოთხივე მხარეს ეწყო ჩაის ჭიქები. დასხდომამდე ჩვენ გადავხედეთ ერთმანეთს, ვიგრძენით რომ შევცდით, ევროპული წესის მიხედვით რომ არ ვისადილეთ.

რა გაეწყობოდა, დავემორჩილეთ შექმნილ სიტუაციას. მასპინძელმა ღიმილით გადმოგვხედა ოთხივეს. ალბათ, შესანიშნავმა აზრმა გაუელვა თავში, როცა გამოაღო სერვანტის დამინული ნაწილი, ალკოჰოლის სასმელი ჭიქები გადმოიღო და სათითაოდ ცხვირებს წინ დაგვილაგა. შემდეგ გამოაღო იმავე სერვანტის ქვედა დახურული ნაწილი და ინტერესიანმა ბახომ თვალი შეავლო იქ ჩადგმულ სხვადასხვა მარკის სასმელებს. სწორედ იქიდან ოჯახის თავმა გამოგვიძვრინა მაინცდამაინც პოლონური არაყი და ჩამოდგა შუაგულ მაგიდაზე. ეს იყო პოლონელთათვის ყოველდღიურად გამოსაყენებელი მახოხია სასმელი, რომლის ეტიკეტზე დიდი ასოებით ეწერა: «პოლსკა ვოდკა ვიბოროვა», ე. ი. «პოლონური გამორჩეული არაყი». შემდეგ მოგვმართა ოთხივეს ქართულად: «მი-რტვ-იტ».

ცხოვრებაში, საერთოდ, ჩემს ძმას ბახოს ახასიათებდა «ნაგლობა». მას იმ წამსვე გაახსენდა ეს მისი თანდაყოლილი თვისება, მოიმარჯვა დანა, ტორტი ოთხ ნაწილად გაყო და დიდრონი ნაჭრები საინებზე მოგვითავსა.

— ხუთ ნაწილად მაინც დაგეჭრა ეგ ტორტი, მასპინძელს მშიერს ტოვებ? მივმართე ლმობიერად და ჩურჩულით ძმას.

— ხუთად არ იჭრება, მიპასუხა მკვახედ და განაგრძო: თანაც ის ნასადილევი იქნება ნამდვილად!

დავწყნარდით და დავიწყეთ ოთხივემ დიდრონი ნაჭრებით ტორტის ჩალუკვმა. მასპინძელი გაოცებული იყო ჩვენი ქცევით და მაინც ოდნავ გვიღიმოდა, მისი აზრით «კავკასიის მთების» ნადირ-შვილებს.

ბახო წაწვდა არაყს, რომ გაეხსნა. ამჯერად მას გაუმეორდა «ნაგლობა» და გაუხსნელი არყის ბოთლი ისევ მაგიდაზე მოათავსა. მერე წამოდგა, მივიდა მასპინძლის სერვანტთან, გამოაღო ქვედა უშუშო კარი და იქ ჩადგმულ სასმელებს დაუწყო დათვალიერება. (როგრც გვიან შევიტყვეთ, თურმე მასპინძელს შესანიშნავი ჰობი ჰქონია, აგროვებდა სამარკო სასმელებს და ამ საქმით დახელოვნებული კოლექციონერიც ყოფილა). ბახომ სასმელების კოლექციიდან გამოაძვრინა ოთხკუთხედი ფორმის რვაასგრამიანი ოქროსფერი სასმელი, რომლის დანახვაზე მასპინძელს, გული რომ არ წასვლოდა, სკამზე ჩამოჯდომა მოასწრო. მან პოლონური თავდაჭერილობა დროულად მოიშველა, სიმწრის ოფლმორეულმა მაინც გაუღიმა ბახოს. ჩვენმა მსხნელმა ეს დასტურად მიიჩნია და სასმელი მაგიდაზე დადგა. ეს იყო «ძველებური რომი», რომელსაც რაც თავი ახსოვს იმ დღიდან ინახავდა მასპინძელი, ახლა კი დიდებული სასმელი ხელიდან ეცლებოდა. ბახომ გახსნა სასმელი და მასპინძელსაც ანიშნა, მისთვის ჭიქა მოეტანა. ჭიქებში «რომის» ჩამოსხმისთანავე ოთახში მიმზიდველი სურნელება დატრიალდა. ოქროდ ღირებული სასმელი ავითვისეთ ქართულად. ერთ ჭიქას მეორე მივაყოლეთ, მეორეს მესამე და ასე შემდეგ, მზისფერი სასმელის ამოწურვამდე. მასპინძელმა ცარიელი ბოთლი სერვანტში შეინახა, ქართველთა ამ უცნაური საქციელის მოსაგონად.

4). ქართველოლოგი იან ბრაუნი: ქართველთა დიდი მეგობარი

იან ბრაუნი დაგვიმეგობრდა ორივე ძმას. კარგ დროს ვატარებდით ერთად. ვათვალიერებდით ვარშავის ღირსშესანიშნაობებს, დავდიოდით მუზეუმებში და განსაკუთრებით კაფეებში გვიყვარდა ჩაჯდომა.

ერთხელაც დათქმულ დროზე გვეწვია იან ბრაუნი სეიმის სასტუმროში. რა უნდა მოგვენახულებინა იმ დღეს, გეგმა არ გვქონდა შემუშავებული. ვისხედით და ვსაუბრობდით. ამ დროს ჩემმა ძმამ თავდაუჭერლად წამოროშა:

— იან, წაგვიყვანე რა, ბოზებში?!

პროფესორი იან ბრაუნი არ მოელოდა ასეთ თხოვნას. შეიშმუშნა, გაწითლდა კიდეც, მამაჩვენ შალვას გადახედა, რომელსაც იმ მომენტში ჩვენთვის არ ეცალა, და ისევ ჩვენ შემოგვხედა.

— რა მოხდა, დიდი ამბავი რომ წაგვიყვანო! კვერი დავუკარი მე.

— თქვენ თითონ ვერ წახვალთ? შემოგვიტია ქართულად პოლონელმა.

— ჩვენ სად უნდა ვეძებოთ, ქალაქში რომ გავდივართ, დაბრუნებისას სასტუმროს ძლივს ვაგნებთ, ვუთხარი დასაჯერებლად.

— ჰმ, აღმოხდა პოლონურად ქართველოლოგს.

— «ჰმ» არ უნდა მაგას, ადექი და წაგვიყვანე! მბრძანებლური კილოთი გაუმეორა ბახომ.

— კარგით, წაგიყვანთ! წაგიყვანთ ჩემს სტუდენტებში, საუკეთესო დროს გაატარებთ! როგორც იქნა ამოროშა და დაგვეთანხმა ბრაუნი.

— უჩემოდ არ წახვიდეთ, მეც მოვდივარ! თითქმის წამოიყვირა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ჩვენი საუბრის შინაარსში ჩაუხედავმა შალვამ.

უნდა გენახათ იან ბრაუნი, ამ სიტყვების გაგონებაზე თუ რა დღეში ჩავარდა, ნამდვილად ვერ აღვწერ.

5). მატარებელში კრაკოვისკენ

მატარებელზე იან ბრაუნმა გამოგვაცილა. სადღაც ეჩქარებოდა, დროზე ადრე გამოგვემშვიდობა და გვითხრა: «კრაკოვში ტუალეტები გექნებათო», რითაც დიდათ გაახარა ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელი, ამად მაინც ღირდა კრაკოვის მონახულება, სეიმის გრძელ კარიდორში სიარულს.

კუპეში რომ დავლაგდით, გამოვედი ვაგონის გასასვლელში და მივეყრდენი ფანჯრის მინას. ჩემი ხასიათის შესაბამისი ღრუბლიანი ამინდი იდგა და მონოტონურად ცრიდა კიდეც. ამ დროს გვერდი ამიარა ვაგონში ამოსულმა შესანიშნავი მოყვანილობის და მიმზიდველად გამომყურე დაჭორფლილსახიანმა ქალბატონმა. იგი ჩვენგან არც თუ ისე შორეულ კუპეში მოთავსდა. გამცილებელმა ხელბარგი მიუტანა კუპემდე, სასწრაფოდ გამოემშვიდობა და გასასვლელისკენ გამოემართა. ტანად მოყვანილი და შესახედავად ლამაზი ქალის გამცილებელს სახეზე შევხედე

და როგორც თითქოს ახალგაცნობილს, ოდნავ გავუღიმე. მან შემატყო ჩემი სურვილი, და ისიც, რომ არ ვიყავი პოლონელი. წამსვე მიმიხვდა და ჩემს გამოუთქმელ შეკითხვას ზუსტად უპასუხა: «კინოაკტრისა ბეატა ტიშკევიჩ». ჩემი პოლონური «ჯინკუიე ბარძო»-თი შემოიფარგლებოდა და მივუფრქვიე კიდეც ეს ორი სიტყვა სასიამოვნოდ მომღიმარე უცნობს. იგი პოლონურად გამომემშვიდობა და კეთილი მგზავრობაც მისურვა.

მატარებელი დაიძრა და აუჩქარა სვლას. კრაკოვამდე ოთხი საათის მგზავრობა გველოდა და რითი გამერთო თავი, არ ვიცოდი. მგზავრ პოლონელთა ხასიათის გამო, მატარებელს ორი ვაგონ-რესტორანი ჰქონდა შებმული შუაგულში, რაც ვარშავის ბაქანზევე დავაფიქსირე. გეპატიჟები რესტორანში! შევთავაზე ძმას, რაც ძალზე ესიამოვნა, რომ თითონ ფულს არ დახარჯავდა (ყოველთვის თავის ფულის ხარჯვას მოფიქრებულად ერიდებოდა). ცოტა წავიხემსეთ და რესტორნიდან ლუდის ბოთლებით ხელში გამოვედით ვაგონის ტამბურზე. იქვე კარებთან, ვიღაც პოლონელი იდგა და ლუდს მიირთმევდა. ჩვენც ტამბურის კედელს მივეყრდენით და ჯერ ოდნავ მოვსვით ლუდი. რამოდენიმე ხანში უცნობი წამოგველაპარაკა: რომანია? ჩვენ არას ნიშნად უნისონში თავები გავაქნიეთ. თავმომწონე პოლონელი მოიღუშა, «ფუ»-ს დაყოლებით ზიზღით წარმოთქვა: «სოვეტსკი სოიუზ» და სასწრაფოდ გაგვშორდა. დაშორებულ პოლონელს სასწრაფოდ მივაყოლეთ სიტყვები: «ჯორჯია, ჯორჯია»! მაგრამ გულმოსულ პოლონელს, ასევე ლუდით გაჯერებულს, ისიც მატარებლის მონოტონურ ხმაურში არაფერი აღარ ესმოდა. «ერთი მაგის კარგიც...» ბოლომდე წააწია გინება ბახომ.

ამ შემთხვევით ნაწყენი ძმები შემოვედით ჩვენს ვაგონში. იმ კუპეს რომ მივუახლოვდით, სადაც საამო პოლონელი კინომსახიობი გვეგულებოდა, კუპეს დამინულ კარებში ძალაუნებურად თვალი მოვკარით პანი ბეატას, რომელიც სიგარეტს ეწეოდა. როცა შემოგვხედა, ტუჩის ოდნავი მოძრაობით შევუღიმე. მან პასუხად ღიმილივე დამიყოლა. კარგი ამინდის ნიშნად მეგულა პოლკას ადვილად ამოსაცნობი ღიმილი.

როგორც იქნა შევედით ჩვენს კუპეში და ჩამოვსხედით. მიზეზი ცხვირთან იყო მომდგარი და საბაბს ვეძებდი. უცნაური იდეით გავიმსჭვალე და ძმას მივმართე:

— მგონი, შენ რაღაც საჩუქრები გაქვს წამოღებული თბილისიდან, აბა გადმოალაგე!

ბახომ იმ წამსვე შემისრუულა თხოვნა, მოხსნა თავი ცელოფანის პარკს და საჩუქრად ნაყიდი ჯართის «სისულელეები» გადმოყარა. ავარჩიე გულსაკიდი, თავის მედალიონით, არც ისე იაფად გამომყურე და დავიხელთავე საჩუქრად. კუპედან გასვლა რომ დავაპირე, მომესმა ძმის ხმა:

— ასორმოცდაათი ზლოტი!

— რა ასორმოცდაათი ზლოტი? შევუბრუნე სიტყვა.

— რა და უნდა გადამიხადო მაგ ნივთში! შემომიტია თავისებურად.

— რას მიჰქარავ, ორმანეთიანში ასორმოცდაათ ზლოტს მართმევ? ამ ფულით ყავის კარგ სერვიზს იყიდი აქ, თავის სარძევეთი!

— ეგრეა, თუ ყიდულობ, იყიდე, თუ არა და ხელი გაუშვი!

იმ მომენტში შაყირი მეგონა და ავყევი ძმის სიტყვებს, სამი ორმოცდაათიანი ზლოტი გადავუთვალე. ძმამ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და ფული ჯიბეში მოითავსა.

«ძვირფასი» ნივთით ხელში გავემართე ბეატა ტიშკევიჩისკენ.

როცა მივუკაკუნე მის კუპეს, დამინულ კარებში ხელით მანიშნა, კარი გამეღო. მივესალმე ფრანგულად და ფრანგულადვე ვუთხარი, რომ თბილისიდან ვარ და ძალიან გამეხარდა თქვენი ნახვა. გაცნობის ნიშნად გთხოვთ მიიღოთ ჩემგან საჩუქარი. მან რამოდენიმე ფრანგული სიტყვით მადლობა გადამიხადა და განაგრძო ჩემთან საუბარი რუსულად. როცა ორივეს სიტყვის თქმის საღერღელი გამოგვეცალა, დავემშვიდობე და გამოვედი მისი კუპედან.

მატარებლის მონოტონურ ხმაურს მაქსიმალურად ვგრძნობდი. ხმაურის ხმა გაჰქრა იმ წამსვე, როცა ვაგონის გასასვლელში, ზუსტად ჩვენ კუპესთან ახლოს დავინახე პანი ბეატა, რომელიც ჩასასვლელად გამზადებულიყო. გამოვედი კუპედან, წინ გადავუდექი და გამოცდილი ღიმილით ისევ გავუღიმე. მან მითხრა, რომ გადაღებებზე მიდის და კრაკოვამდე უნდა ჩავიდეს მატარებლიდან. ჩემი ნაჩუქარი ორმანეთიანი ბრელოკი მიმზიდველად ამობურცულ გულმკერდს უმშვენებდა, რაც ძალიან გამიხარდა და წამით გავიფიქრე «ნეტავ ბრელოკი ვყოფილიყავი». ასე ახლოს, პირველად და ალბათ უკანასკნელად, ვხედავდი ლამაზი ნაკვთებით დამშვენებულ და უკიდურესობამდე დაჭორფლილ მის მომხიბლავ სახეს. მოკითხვა დამაბარა კინორეჟისორ სიკო დოლიძესთან, რაც თბილისში ჩასვლისას ტელეფონით შევუსრულე ბეატა ტიშკევიჩს. გამომშვიდობების წამი რომ დადგა, ჩემი სახე ოდნავ წავწიე მისი სახის მიმართულებით. ბეატა არც კი შეირხა და თვალებით მაგრძნობინებდა მისთვისაც სასურველ წადილს. საკოცნელად ტუჩებით მივედე მის ლოყას, მის ტუჩებთან ისე ახლოს, რომ მისი ტუჩების ნაწილიც საამებლად ავითვისე. ვიგრძენი სასიამოვნო ჟრუანტელი, რომელმაც ჩემი სხეული წამსვე ჩაირბინა და ფეხებშუა მომექცა ვაჟკაცურად. სიამტკბილობის მომენტი უცნაურად დამირღვია მშობელმა მამამ და ღია კუპედან მომთხოვნელად გამომძახა:

— ვის კოცნი, ბიჭო! ვისთან შედიხარ კონტაქტში შე მამაძაღლო!

ამ შეძახილზე, ბეატას ტუჩის ნახევარს წამით ჩამოვშორდი და მამას, გამოჩენილი კინომსახიობის გასაგონად ხმამაღლა ვუპასუხე: ეს ქალი პოლონელი კინომსახიობია, ბეატა ტიშკევიჩი!

პოლონელმა, თავის გვარსახელის გაგონებაზე გახედა კუპეს და მიესალმა შალვა ამირანაშვილს. გაკვირვებულმა შალვამ ქალბატონის მისალამებას ოდნავი თავდახრით უპასუხა.

ჩემდა უნებურად წამების თვლით მგრძნობიარე მის სხეულს არ ვშორდებოდი. მატარებელი ნელი სვლით უსადგურო ბაქანის გასწვრივ ჩერ-

დებოდა. ბეატამ ლოყით ლოყაზე შემეხო და ტკბილი ხმით ჩამჩურჩულა: «დო ვიძენია».

ჩვენ მოვშორდით ერთმანეთს და პოლონური სილამაზე ტანის ნელი რხევით ტამბურში გავიდა. სავსებით ვგრძნობდი, თითქმის მთელი ჩემი არსებით, რომ მას მივყვებოდი.

რამოდენიმე წამში მატარებელი შეჩერდა. ბაქანზე მყოფი მასპინძლები აღფრთოვანებული შეძახილებით შემოეხვივნენ ბეატა ტიშკევიჩს.

მატარებელი ისევ ამოძრავდა. ბაქანზე დარჩენილისთვის იმ წამიდანვე «არარაობად» გადავიქეცი, ხოლო ჩემთვის ის მაშინ «ყველაფერი» იყო, რაც საოცნებოდ მომავალს შემივსებდა.

6). ვარშავისკენ მიმავალი მატარებლის მოლოდინში

ღირსშესანიშნაობებით თავმომწონე კრაკოვიც შემოვიარეთ, რომელიც თავის იერით შუასაუკუნეების ევროპული ქალაქის ნამდვილი სახიერებას წარმოადგენდა. კრაკოვს ამშვენებდა ისტორიული ძეგლი შიდაციხე «ვაველი» და მას მიმდებარე ოდესღაც მდიდართა უბანი, რომელიც გარშემორტყმული იყო მოწითალო აგურით ნაშენი მაღალი გალავნით. გალავნის გარეთ ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ძველ ვაჭარ-ხელოსნის ფარდულთა აქა-იქ გადარჩენილი ნაშთები, მათთვის დამახასიათებელი შემორჩენილი იერით. ქალაქის გალავანს გარედან მიტმასნულ ერთიანობას აღმოსავლურად «რაბათი» ეწოდებოდა.

ძველი უბნების შემოვლისა და კაფე «კავიარნა»-ში სულის მოთქმის შემდეგ მასპინძლებმა შემოგვთავაზეს დაგვეთვალირებინა ქალაქთან ახლომდებარე ისტორიულ ძეგლად ქცეული საკონცენტრაციო ბანაკი «ოსვინციმი». მამა კატეგორიულად წინააღმდეგი წავიდა, რამაც თანგამყოლ პოლონელთა გაკვირვება და განცვიფრებაც გამოიწვია. მამამ შვილები ააცილა საშინელი სანახაობებისგან გამოწვეულ ემოციებს. მალე დადგა ის საღამოც, რომ კრაკოვიდან ისევ ვარშავაში ვბრუნდებოდით.

დეკემბრის გვიანი საღამო იყო და კრაკოვის სადგურში მეტისმეტად ციოდა. მთიან კურორტ ზაკოპანედან წამოსული მატარებელი თოვლიან ქარბუქში მოყოლილიყო და ეტყობოდა, დიდი ხნით დაიგვიანებდა. მოსაცდელ დარბაზში აუარება მგზავრი ირეოდა და იქ შესვლას და დასაჯდომად ადგილის ძებნას, აზრი არ ჰქონდა. შუაღამისკენ მიახლოებულ საღამოს ყინვის გრადუსებიც ემატებიდა. მოსაფიქრებელსაც მოფიქრება უნდა და ჭკუადამჯდარმა ბახომ სადგურის ბაქანზე თვალი მიატანა ლუდისგან დაცლილ დიდ კასრს ე. წ. «ბოჩკას», რომელიც მოაგორა მყუდრო ადგილას და «ფეხზე» წამოაყენა. «აქ დამიცადეთ» გვითხრა და სადღაც გაუჩინარდა. მალე მოიტანა «პოლსკა ვოდკა ვიბოროვა» და ოთხი ბაკალი ლუდი, რომელიც კასრზე შემოაწყო. შემდეგ ისევ გაიქცა და სახელდახელო სუფრაზე მოათავსა «კრაკოვული» ძეხვისა და შვეიცარიული ყველის ბუტერბროდები. მოკლედ

რომ ვთქვათ, ქართველების ცხვირწინ სუფრა გაიშალა. ჩვენს ხმამაღალ მხიარულებას, სადგურს შეჩვეული მაწანწალა ძაღლიც მომეტებული ინტერესით ადევნებდა თვალს. შავტუხა ოთხფეხა სტუმარი თანდათან ჩვენი თანამესუფრეც გახდა, რომელმაც მეგობრობის თათი გამოგვიწოდა ოთხივე ქართველს. და დიდრონი თვალებით გვიყურებდა თოვლმოდებული პარტერიდან. მხიარულობით ავარდა ქართული ტრაპეზი პოლონური განხრით. მომეტებული ხალისით «კრაკოვურ»-ს ვუყოფდით მასპინძელი ქვეყნის ოთხფეხა «თანამესუფრეს». მამა შალვა თამადად «იჯდა», რომელიც კონტროლს ვეღარ უწევდა შვილების ხმამაღალ ლაპარაკს.ხუთივე ერთად სულმოუთქმელად და სიამოვნებით ვითვისებდით სახელდახელოდ გაშლილ სუფრას. უსაქმური მგზავრები შორიდან გვადევნებდნენ თვალს და ნამდვილად უხაროდათ ბახოს მიერ მოფიქრებული მხიარულობის ცქერა. გულიანად ეღიმოდათ ჩვენს ქართველობაზე და სუფრაზე შემოსწრებას ვერ ბედავდნენ.

კარგად გამჯდარი გვქონდა ოთხივე ამირანაშვილს პოლონური არაყი, რომ მომღიმარმა ძმა ბახომ მითხრა:

— ეს დაპურება შენი ასორმოცდაათი ზლოტის პესნაა, რომელიც ორი მანეთი დამიჯდაო!

მეც ჩემებურად დაუყვავე:

— შენ რომ ხარ, მასეთი კაცი ოჯახისთვის საჭიროა!

შუაღამეს კარგა გადაცილებული იყო, როცა ელმავალმა პოლკაქალივით შემოგვიკივლა და ცხვირწინ გაგვიჩერა ვაგონები. მატარებელში ჩასაჯდომად მომზადებული პოლონელი მგზავრები თავაზიანად გზას გვითმობდნენ აკადემიკოსის მეთაურობით თავზეხელაღებულ ქართველ სტუმრებს, რომლებმაც შტურმით ავიღეთ ვაგონი. გული დამეწვა, როცა ვაგონის ფანჯრიდან თვალი მოვკარი ჩვენს გაშინაურებულ მეხუთე თანასუფრელ შავტუხას, რომელიც მოდიდო აცრემლებული თვალებით გვეხვეწებოდა: «წამიყვანეთ»-ო.

7). დილაადრიან ვარშავაში.

როგორც იქნა, მატარებელმა მოაღწია ვარშავამდე. უკვე დილის ხუთი საათი იყო. გავხედეთ ტაქსის რიგს, სადაც ოცამდე კაცი დავთვალეთ. ტაქსები კანტი-კუნტად უახლოვდებოდნენ რიგს. ვგრძობდი, რომ მოგვიწევდა სიცივეში დგომა, ორი საათი მაინც.

— ახლავე მოვალ! გვითხრა ჩვენმა მხსნელმა ბახომ.

არ გასულიყო ხუთი წუთი, რომ ჩვენ წინ გაჩერდა ტაქსი (პოლონეთში ყოფილა კანონი, გათავისუფლებული ტაქსი ახლომდებარე ტაქსის გაჩერებაზე უნდა მისულიყო აუცილებლად). ბახო გადმოვიდა წინა კარიდან და მამას შესთავაზა ჩაჯდომა. როგორც კი მოთავსდა მამა და ტაქსმა საგრძნობლად ჩაიწია, მერე ჩვენც ჩავსხედით.

ტაქსის რიგში პოლონურად ატყდა ჩოჩქოლი. ჩვენში ამოიცვნეს უკულტურო საბჭოთა ტურისტები და დაგვიწყეს გინება, რომელიც ჩვენ არ გვესმოდა.

მძღოლმა ძლივს დაძრა მანქანა და რიხინრიხინით გაგვაქროლა სეიმის სასტუმროსკენ, სადაც გველოდებოდა უტუალეტო ნომრები. ცხელ შხაპზე ხომ ზედმეტი იყო ფიქრიც კი.

XXVIII

1). ბიძაჩემი შალვა ამირანაშვილი. (ექიმ მერაბ მანჯგალაძის მოგონება).

ამ ცოტა ხნის წინ ახალ ავტობუსს დამგზავრებული, ნუცუბიძის პლატოდან ვაკეზე გავლით მივემართებოდი მეგობართან შეხვედრაზე «რუსთაველის» მეტროსადგურთან. ფილარმონიასთან გაჩერებაზე ავტობუსი მოხერხებულად ჩაეტია იქ მდგომ სხვა ავტობუსებს შორის. გამოსასვლელად მომზადებულ მგზავრთათვის აუტანელი წამიერი ლოდინის შემდეგ, კარებებმა იკადრეს გაღება. განახლებას გადარჩენილ ქუჩის ძველ საათს მექანიკურად ავხედე და აღვიქვი, რომ შეხვედრემდე ჯერ კიდევ დიდი დრო მქონდა დარჩენილი. ანაზდად მომაფიქრდა, ვერეს უბანი ფეხით ხომ არ გამევლო და როგორც ბოლო ჩამსვლელი მგზავრი მოჩქარებით გადმოვედი ავტობუსიდან. საწვიმრად მომზადებული ამინდის ჯანსაღი ჰაერი ღრმად შევისუნთქე და ფილარმონიიდან მეტრომდე ფეხით დავუყევი ვერეუბნის ტროტუარს. ბავშვობიდან დღემდე ბევრჯერ გათელილი ჩემი ძველი უბნის ეს მთავარი ქუჩა, იმწამიერ უცნაური სიახლის გრძნობებს მიღვივებდა. სასიამოვნო იყო იმ დროს ბუნების კაპრიზით საწვიმრად მომზადებული ღრუბლიანი ზეცაც, რომელიც სულ ცოტა ხანში მაისის თავსხმა წვიმას გვპირდებოდა. ეს ბუნებრივი სტიქიაც სულ ერთ წამში ისეთნაირად დაგასველებდა ტანსმიტმასულ ძაფამდე, რომ თავშესაფრად ვერეს ბაზრის მიმდებარე სახლის მოჩუქურთმებულ სადარბაზოში შესვლასაც ვერ მოასწრებდი. გრძნობისმომგვრელი სუნთქვით გავხედე შენობას, რომლის პირველ სართულზე წიგნების მაღაზია იყო ოდესღაც (ჩვენი ახალგაზრდობის დროს) მოთავსებული, ახლა კი არაფრის მეტყველი უაზრობა მოეთავსებინათ განმანათლებელი წიგნების მაგიერ. იქვე კუთხეში, ძველ უბნელებისთვის ცხოვრებისეულ გასტრონომს რომ დაედო ბინა, ახლაც იგივე გასტრონომი იყო ჩასურათებული, სახეშეცვლილი და უსიამოვნოდ გამომყურე, თითქოს მისთვის გაუგებარ სიახლეს ჯერ კიდევ არმიჩვეული. სახლს მიმდებარე ტროტუარის სამანქანო გზისპირა მხარეს ახალი დროის შესაფერისი მოგრძო სკამები ლამაზად ჩაემწკრივა თბილისის მერიას. ვერესუბნის ამ სახლის სწორედ იმ სადარბაზოსთან გავლისას, რომლის გვერდულზე მიტმასნული იყო მარმარილოს ფილა ქართველი პოეტის იოსებ გრიშაშვილის გვარსახელის ზედნაწერით, ნაცნობი ხმა შემომესმა: «საით მი-

იჩქარი გულბად!» შემომძახა ხმამ გაღიმებულ სახიდან ერთი ამოსუნთქვით.

— გამარჯობა, მერაბ, აქ რას აკეთებ? აზრდაყოლებით წამომცდა ნაჩვევად სათქმელი სიტყვები და მოგრძო სკამზე წამომჯდარ ათლეტური გარეგნობის ვეება ბიძაშვილს ექიმ მერაბ მანჯგალაძეს მივაპყარი მთელი ჩემი ყურადღება.

— სიგარეტს ვეწევი დაწყნარებით, სახლში მიშლიან მოწევას; ხომ გახსოვს, აქედან ორ ნაბიჯზე ვცხოვრობ, ბაქრაძის ქუჩაზე დედმამისეულ ბინაში. დიდი ხანი არ არის რაც ოთხმოც წელს გადავცილდი და მსიამოვნებს ყოველი დღე. სუფთა ჰაერზე გამოვედი და მანქანიდან გამონაბოლქვიც დადებით ემოციებს მიღვივებს. თუ არ გეჩქარება, მოდი ჩამოჯექი. დიდი ხანია რაც ერთმანეთი არ გვინახავს, შემომაჩეჩა ტკბილნარევად სიტყვები.

მეც შევუსრულე თხოვნა მერაბს და ჩამოვჯექი. მიმოვიკითხეთ ნათესაობა და მეგობარ-ნაცნობები, რომელთაგან ბევრიც «სამუდამო მხარეში» იყო გადასული.

— ერთი ამბავი გამახსენდა და აუცილებლად უნდა გიამბო, თქვა და მაშინვე სიგარეტიდან გამოქაჩული კვამლი ღრმად შეისუნთქა, შემდეგ ამონასუნთქი კვამლით ძველბიჭურად რგოლო რგოლში გაუყარა.

— ვაა, ეგეთები ჯერ კიდევ გახსოვს, მერაბ? დავეკითხე ინტერესით.

— შემომჩა და მეც ვირთობ თავს! მიპასუხა და ჩაიცინა. შემდეგ დაიწყო:

— გახსოვს ჩემი მანქანა «ზაპოროჟეცი?» შემეკითხა და გადმომხედა. მე ნამდვილად მახსოვდა და კვერიც დავუკარი.

— ჰო და, მოვდივარ ჩემი მანქანით და ვხედავ, ტროტუარზე დგას მამაშენი და მანქანის გაჩერებას ცდილობს. გავუჩერე მანქანა, გადმოვედი და მივესალმე ბიძაჩემ შალვას. მაშინ ერთმანეთს ბატონობით მივმართავდით. ახლა კი დამოკლებული სახელით თუ არ შეეხმიანე, ემჩნევათ რომ წყინთ და ერთობ ახალ მოდას აუყოლელ გოიმად გთვლიან.

— ბატონო შალვა, რამ შეგაწუხათ? მორიდებით მივმართე.

— ჩემ მანქანას რაღაც გაუფუჭდა და მე კი მუზეუმში აუცილებლივ უნდა მივიდე, მიპასუხა ისე, რომ არც კი უნდოდა თქმა და მაინც ძლივს ამოღერღა სიტყვები.

— შალვა ბიძია, მე წაგიყვანთ, მართალია სათქვენო საკადრისი არ არის ჩემი მანქანა, მაგრამ ახლა ნამდვილად გამოგადგებათ! მივუგე მამაშენს და მანქანის კარი გამოვაღე ბოლომდე. რამოდენიმე ხანში როგორც იქნა მოკეცდა და ისე მოთავსდა «ზაპოროჟეცში» ორ მეტრამდე აზიდული ბიძაჩემი, რომ ცალი ფეხი ვეღარ შეიტანა მანქანაში და გარეთ ასფალტზე დარჩა. რა მეღონა ვერ მომესაზრა. «რაც იქნება იქნება» ვანუგეშე ჩემი თავი და ბიძაჩემის მარჯვენა ფეხს დავწვდი, რის ვაივაგლახით მოვუთავსე მანქანაში, შემდეგ კარიც ფრთხილად მივხურე. ძია შალვასკენ ოდნავ გადაქანებული მანქანა დავძარი და რამოდენიმე წუთში ხელოვნების მუზეუმის შესასვლელთან შევჩერდი. მანქანაში შესვლა-

გამოსვლაში დაოსტატებული ბიძაჩემი, იმჯერად სხვის დაუხმარებლივ გადმოვიდა მანქანიდან. შალვასგან დამძიმებულ ჩემ მანქანას ნამდვილად შევატყვე, რომ შვებით ამოისუნთქა. რასაკვირველია მეც გადმოსული ვიყავი შალვას დასახმარებლად, მაგრამ შალვამ ამჯერად თვითონ ივაჟკაცა და როცა საოცრად დაკუჭული ბიძაჩემი წელში გასწორდა, ჩემი ზაპოროჟეცი წელამდეც არ წვდებოდა. ყურებამდე გაღიმებული პირსახით შევცქეროდი ბიძაჩემს და მეამაყებოდა, რომ რაღაცით მაინც ვასიამოვნე გოლიათი ადამიანი. გადაკოცნით გამომემშვიდობა და მუზეუმის შესასვლელისკენ დაძრული, უცებ შეჩერდა, ჩემკენ მოტრიალდა და მითხრა:

— «ჩემო მერაბ, ამის შემდეგ რომ დამინახო ქუჩაში, ძალიან გთხოვ აღარ გამიჩერო მანქანა».

ამ სიტყვების თქმამ და გაგონებამ ერთნაირად იმოქმედა ჩვენ ორივეზე. მე და მერაბს, ბოლომდე გაღიმებული სიცილი წაგვსკდა. ამ ამბის გახსენებით და მოსმენით ნასიამოვნებებს ღიმილი კიდევ დიდხანს გვეტყობოდა სახეზე.

დიდი ხნის წინათ ხანში შესული ბიძაშვილები ძლივს წამოვდექით და რის ვაივაგლახით შევიცვალეთ ფიზიკური მდგომარეობა. შემდეგ ერთმანეთს ახლებურად ლოყით ლოყაზე შევეხეთ და გუგებს ოდნავ მომდგარი ლივლივა ცრემლებით სავსე თვალებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ზეცას ფენილი ღრუბლებიდან გამოცრილმა წვიმის წვეთებმა ოდნავი წინწკლებით გვაგრძნობინა სიცოცხლის გარდამავალ მარადიულობაზე სარწმუნო ფიქრებით აღსავსე ჩვენი დაშორების წამი.

2). რესტორანი «დარიალი» რუსთაველის პროსპექტზე

მაშინ, როდესაც ევროპის მიმსგავსებულად მოდად გადაიქცა «ყავის სმა ნამცხვრით», და საყავე კაფეები ემატებოდა და ემატებოდა თბილისს, რუსთაველის პროსპექტზე «ლაღიძის წყლების» გვერდულის მოპირდაპირე შენობის კუთხეში მოთავსებული იყო ძველთა დროიდან მტვერდადებული უმოქმედო სარდაფი. საქართველოს ეკონომიკის დარგის მაღალი თანამდებობის მავან და მავან პირებს, აზრად მოუვიდათ ამ უმოქმედო სარდაფის რესტორნად გადაკეთება. მალევე დასტურიც მიიღეს საქალაქო საბჭოდან (ახლა რომ მერიას ვუწოდებთ), რომელმაც სიამოვნებით აუბა მხარი ეკონომიკურად გამართლებულ შესანიშნავ ნაფიქრალს. ეს იდეა საზოგადოებრივ დაწესებულებათა მშენებლობისა და გარემონტების იმავე წლის «სმეტა»-შიც ჩასვეს. დაიწყო სარდაფის გადაკეთება, გარემონტება, მოპირკეთება, მოხატვა და სულ ცოტა ხანში რუსთაველზე მოსეირნე ახალგაზრდებმა შევამჩნიეთ ჩვენი დროსტარებისთვის მზრუნველი ხელისუფლების მიერ ნაწყალობევი ეს სასიამოვნო სიახლეც. სწორედ მაშინ, ამ ახალგაზრდობის ნაწილიც მე და ჩემი მეგობრები ვიყავით.

ერთ უსაქმურ საღამოს, რუსთაველზე ხეტიალს მოჯერებულნი და გერმანული ანგარიშით შეიარაღებულნი, მივუახლოვდით სარდაფში ჩასმულ ახალ რესტორანს. ძალაუნებურად აბრას ავხედეთ და სიამოვნება მოგვგვარა შეჩუქურთმებული ასოებით მასზე გამოყვანილმა დასახელებამ: «ფიროსმანის სარდაფი». მხოლოდ ამ წარწერის ტრფიალის გამო თამამად ჩაგვესვლებოდა მაყალზე მოშხივარი მწვადის სურნელებით გაჟღენთილ ამ სარდაფში. გუმანით ვხვდებოდით, რომ უჩვეულო ან უცნაური რამ უნდა დაგვხვედროდა მრუდეკიბით ჩასასვლელში, თუნდაც ცოტაოდენ იდუმალნარევი. ჩასასვლელთან ფერმკრთალსახა ახალგაზრდა იდგა, კინტოს შავ ტანსამოსში გამოწყობილი, ფართე, ლივლივა შარვლით კოჭებთან შეკრული, გულმკერდთან ოდნავ გვერდზე გაჭრილი საკინძიანი ხალათით, წელზე კოხტად შემომოჭერილი ვერცხლის ქამრით და თავსმორგებული წინაპრეხილი შავი ქუდით. შესახედაობით, ეს სიამოვნება მე-XIX საუკუნეში ჩაკარგულ «აივნიან ქალაქს» გაგრძნობინებდა მოქარგული ძველსიტყვაობის თავისებური ეშხით, რომელიც აღმოსავლეთმცოდნე აკადემიკოსის ვალერიან გაბაონის (გაბაშვილის) წერით დაუზარებელ კალამს ეკუთვნოდა. ლამაზად გამომყურე კინტოში კრთოდა ძველი სიდიადე, თუნდაც ქართულ სცენაზე წარმოდგენილ ძველ ვოდევილებში თუ გენახა, ისეთი. სწორედ ასეთმა მასპინძელმა ტკბილსიტყვა ქართულით და ოსტატურობას ნაჩვევი ღიმილით მოგვიპატიჟა, თან საცეკვაო მოძრაობის გამომხატველ ილეთს ნაჩვევი ხელით ჩასასვლელისკენ მოგვიხმო და გულღია მასპინძლობა შემოგვთავაზა.

ახალგაზრდებმა, ჩამოყალიბებულ მამაკაცებად ვიგრძენით თავი და მრუდე კიბეებით თავქვე დავეშვით ზღაპრად აღქმულ სარდაფში. ელვა რომ წამიერ გაანათებს, ისეთ გასხიოსნებულ სამოთხეში მოვხდით. მკლავზე გაქათქათებული ხელსახოცით დამშვენებულმა და შესაფერისად ქართულ ყაიდაზე ჩაცმულმა მიმტანმა (ოფიციანტმა) იქვე კუთხეში ხისგან გამოთლილ აჩუქურთმებულ მაგიდასთან მიგვიპატიჟა. შესაკვეთად სანამ სიტყვას დავძრავდით, თიხისგან ამოყვანილი ხელადით ღვინო მოგვართვა და ცხვირწინ თიხის ჯამებიც ჩამოგვიმწკრივა. ჩვენთაგანმა უფროსმა, რომელიც ქართულ სიტყვიერებით დანარჩენებს გვჯაბნიდა, ღვინო ჩამოგვისხა, ჯამი ხელისგულზე მოითავსა და გულსატკენი შინაარსით დამძიმებული ორი სიტყვა წარმოთქვა: «ფიროსმანს გაუმარჯოს!».

ჩვენც მხოლოდ ერთი სიტყვით ავუბით მხარი თამადობა დასაკუთრებულს და პირადად მე, ჯერ ღვინოს გემო მოვუსინჯე და შემდეგ თამამად შევსვი კახურად დაყენებული სასმელი, რომელსაც ოდნავად ტანინი ძალავდა. ღვინო, მართლაც კარგი გამოდგა, ზედმეტი ქების გარეშე.

პირველი ჯამის დაგემოვნებულად გამოცლის შემდეგ თვალი აფერადებულ კედლებს მივაპყარით. სარდაფის ოთხივე კედელზე ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერის რეპროდუქციებს მოეყარათ თავი, რომელიც ისტორიული საქართველოს ყოფიერებას გვახსენებდა. სურათებიდან

გვიმზერდნენ მოქეიფე ყარაჩოხელები, მედუდუკეები, მედოლეები და იქვე ატუზული სირბილით დაღლილი მიმტანებიც. ფიროსმანის ნააზრევის კედელსმიტმასნული აფერადებული დროსტარებაც გვიმზერდა ძველი საუკუნის მიღმიდან. ჩვენც მხარი ავუბით მას ჩვენი სიცოცხლის საუკუნეში! ჟრუანტელგავლით ვიგრძენით, რომ ქეიფი და დროსტარება ჩვენი ეროვნული საუნჯეა, რომელიც ღმერთის წყალობით მემკვიდრეობით გადადის და გადადის კიდეც თაობიდან თაობაზე, ღვინის სამშობლოდ მსოფლიოში აღიარებულ ქართველთა საქართველოში.

ჩვენკენ მომავალ მომტანს სურვილი მივაგებეთ სანუკვარი სიტყვებით: «წასახემსი და მწვადები» შევუკვეთეთ და ვუთხარით: თვალი გეჭიროს, რომ ღვინის ხელადა ყოველთვის სავსე ყოფილიყოს სუფრაზე! მომტანიც შესაშური ღიმილით თავს გვიხროდა.

მართლაც შესანიშნავი საღამო გავატარეთ იმ საღამოს!

გავიდა დაუთვლელი დრო. ისე როგორც ახალგაზრდებს, ძველებსაც რუსთაველზე გასეირნება ერთ სიცოცხლედ უღირდათ. ამ სიცოცხლით დამტკბარმა და ლაღიძის წყლით ნასიამოვნებმა ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილმა ანაზდად სარდაფში ჩარაზულ რესტორნის აბრას მიაპყრო ყურადღება. თვალნათლივ ვხედავდი, როგორ მოიღუშა და სახეზე ფერიც ეცვალა მამაჩემს. «ლაღიძედან» გამოსვლისას თვალი მიეტანა აბრასთვის, რომელზედაც შელამაზებული ასოებით ზედწერილი ამოეკითხა: «ფიროსმანის სარდაფი». ერთობ შეცბა და მაშინვე, ჩემთვის გაურკვეველი რაღაცისთვის საომრად მოემზადა.

მეორე დღის დილაადრიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და ხელოვნების განყოფილებაში, იქ მომუშავე თანამშრომლებს მისვლა დაასწრო შალვა ამირანაშვილმა. ყველას დაბეჯითებით აუხსნა, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი არის უზომოდ დიდი ხელოვანი, თვითნასწავლი მხატვარი, და არა ვიღაც ლოთი, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ და მისი სახელის საქეიფო სარდაფი გაგიხსნიათ. სიტყვებს ტყვიებსავით აფრქვევდა ხელოვნებათმცოდნე და მართალიც იყო.

რამოდენიმე ხანში ქართველი სალხის ახლო წარსულის მოსაგონრად, და თუგინდ მხატვარ ნიკალასადმი შესანდობარის სათქმელად რუსთაველის გამზირზე დაარსებულ მშვენებას — «ფიროსმანის სარდაფს» ეს გულამაჩუყებელი წარწერა შეუცვალეს შეუფერებელი დასახელებით. კიდევ კარგი რომ ფიროსმანისეული სტილით შესრულებული კედლის მხატვრობა არ გადაფხიკეს.

და მაინც «ლაღიძის წყლებთან» ახლოს მდებარე გაურკვეველი დასახელების სარდაფში საპურმარილოდ ჩასული ჩვენი თაობის ახალგაზრდები ფიროსმანის მხატვრობით მოცულ სამყაროში მოქეიფე ქართველებად ვგრძნობდით თავს. მომავალზე ფიქრებისთვის ხელს არ გვიშლიდა შეცვლილი დასახელება, რომელსაც მალე დავუბრუნებდით კუთვნილ სახელს.

3). არაბული ენის გაკვეთილები სისხამ დილაობით

სამოც წელს გადაცილებულ შალვას არაბული ენის გახსენების წადილი აღეძრა და გაკვეთილების ჩასატარებლად მოიპატიჟა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ კაიროს უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორი, რომელსაც სახელად აზიზა ერქვა. იმ საბჭოთა ეპოქაში ვერც კი ნახავდი დასავლეთიდან ან აღმოსავლეთიდან საქართველოში შემოსულ უცხოელს. ახლა კი ერთობ უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე, ოდესღაც ჩვენი დამპყრობლების მემკვიდრეთა სამყაროდან კულტურული ურთიერთობის დასანერგად ჩამოსული უცხოელი. არაბ მასწავლებელსა და მის ქართველ მოწაფეს, უნივერსიტეტში გაეცნოთ ერთმანეთი და ნაცნობობა პედაგოგიურ ურთიერთობაში გადაეზარდათ. ორივეს, ყოველდღიური დრო მთლიანად გაწერილი ჰქონდათ და გაკვეთილები დილის შვიდ საათიდან ცხრის ნახევრამდე დანიშნეს.

ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს, დილის შვიდ საათს რომ აკლდა ზუსტად ხუთი წუთი ჩვენ ბინაში შემოდიოდა თეთრ კოსტუმში კოხტად გამოწყობილ მზის თაკარა სხივებისგან ფერმოკიდებული მოყავისფერო აზიზა. თავის რიხიან ხმაზე არაბულად მოსალმებით არა მარტო ჩვენ გვაღვიძებდა, არამედ ჩვენი ბინის მიმდებარედ მაცხოვრებელ მეზობლებსაც. ისეთი ძლიერი ბარხატული ბარიტონი ჰქონდა, რომ მოწადინების შემთხვევაში მთელ სახლს შეეძლო შეესწავლა აზიზას მიერ გამოთქმული არაბული ენა. სასიამოვნო შესახედაობის ეგვიპტელი არაბი, თავის ხმამაღალი საუბრით იზიდავდა მსმენელს. შორიდანვე გრძნობდი მის გულკეთილობას და უაღრესად სანდო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა ყოველ ახალგაცნობილში. შესანიშნავად ფლობდა რუსულს და ქართულად ლაპარაკიც ეხერხებოდა.

შალვა რომ არაბულს კითხულობდა, უმეორებდა ზოგიერთი სიტყვის ეგვიპტური დიალექტით გამოთქმას და ხან კი შეცდომით თქმულ შალვას არაბულ სიტყვაზე რიხიანად იცინოდა. არაბულის გამო, დილის შვიდი საათიდან მთელი ოჯახი ფეხზე ვიდექით. ძალაუნებურად არაბისა და ქართველის მიერთ ტანდემად თქმული სიტყვები სამუდამოდ ისადგურებდნენ ჩვენ ყურებში. ყოველი გაკვეთილის შემდეგ დილაადრიანად წასახემსი საუზმეზე ორივეს ხელგაშლით ეპატიჟებოდა შალვას და ვარვარა, რომელიც დიასახლისის როლს ასრულებდა ჩვენ ოჯახში. საუზმისას, არაბულ ანეგდოტებს ყვებოდა აზიზა და თავის გამრჯე მოწაფეს გულიანად აცინებდა. ცხრას რომ ათი წუთი დააკლდებოდა, მობოდიშებით წამოდგებოდა სტუმარი და უნივერსიტეტში გარბოდა ლექციების საკითხავად.

ერთ კვირა საღამოს მამა ნაქეიფარი დაბრუნდა სახლში. თვალები ელულებოდა ისე ეძინებოდა, მაგრამ გაიხსენა, რომ არაბული ენის გაკვეთილი არ ჰქონდა ორშაბათისთვის მომზადებული. დამიხელთავა და მითხრა: «ახლა დავიძინებ და შენ, პირველ საათზე გამაღვიძე». პირველ საათამდე ძილი არ გავიკარე და ზუსტად პირველ საათზე ხელით მხარზე

შევეხე მამას. თვალები გაახილა და წამჩურჩულა: «ათი წუთიც მაცადე». რასაკვირველია, შევუსრულე თხოვნა და მართლაც ათ წუთში დაბარებულივით გაიღვიძა, შეიმოსა და საწერ მაგიდას მიუჯდა. მთელი საათნახევარი ბუტბუტებდა თავისთვის ოჯახის წევრებისათვის ხელი რომ არ შეეშალა. მე ღრმად მეძინა და მაინც გამეღვიძა, როცა მამა ხელახლა ჩაწვა ლოგინში. მე, მაშინაც გამეღვიძა, როცა მამა ფეხზე იყო და აზიზასთან შეხვედრისთვის ემზადებოდა.

დილაადრიან ჩვენ ოჯახში შემოსვლას დაჩვეული არაბი მასწავლებლის მომეტებულად ხმამაღალმა საუბრმა შალვას ოჯახის ყოველი წევრი სუყველა ერთიანად გაგვაღვიძა. დილაადრიანი ფხიზლობა ჩვეულებად გადაგვექცა და ჩვენც რომ არაბული გვესწავლა, ურიგო არ იქნებოდა.

სუფრაზე მოპატიჟებულებმა სიამოვნებით დააგემოვნეს საუზმე. აზიზამ გადმომხედა და ყველას გასაგონად ქართულად განაცხადა: «დღეს, ხუთიანზე მიპასუხა შალვამ».

აზიზა რომ წავიდა, დავეკითხე: ასე გიჭირს ფრიადოსნობა?

— დიდი ხანი არა არის, რაც ვმეცადინეობ და პირველი ხუთიანი მხოლოდ დღეს დავიმსახურე.

— მამი, თუ გინდა არაბულში ფრიადოსანი გახდე, წინადღით ქეიფი არ დაგავიწყდეს!

მამამ გამობღვერით შემომხედა და გულიანად გადაიცინა.

4). სამეცნიერო კომფერენცია სამხატვრო აკადემიაში (შალვა ამირანაშვილის სიძის გივი გუმბარიძის უფროსი ძმის მხატვარ-კერამიკოსის რეზო გუმბარიძის გახსენება)

სამხატვრო აკადემიაში მიმდინარე კომფერენციაზე მომხსენებლები ცვლიდნენ ერთმანეთს. პრეზიდიუმში, დირექციასთან ერთად იყვნენ მიწვეული სტუმრები, მათ შორის ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილიც. შალვას ჩვეულებად ჰქონდა ათვისებული: მომხსენებელს უსმენდა დახუჭული თვალებით. პრეზიდიუმში მყოფ შალვას ეს თვისება დარბაზში მოთავსებულ მსმენელებს შემჩნეული ჰქონდათ და მაინც უკვირდათ შალვას ეს უცნაური საქციელი. მე კი ვიცოდი მამის ეს თვისება. მას ხშირად უთქვამს ჩემთვის, თვალდახუჭული როცა ვუსმენ, მომხსენებელზე მეტ კონცენტრაციას ვახდენ და ყველაფერი მისი საუბრიდან, სიტყვაუკლებლივ მესმის. სწორედ ასეთი მდგომარეობა სუფევდა კომფერენციის დარბაზში მაშინაც, როდესაც მომხსენებელი მოქანდაკე თამაზ ჭყონია აკეთებდა მოხსენებას ბექა და ბეშქენ ოპიზართა შემოქმედებაზე. მართლაც ამ შესანიშნავი ოქრომჭედლების ძვირფასი შემოქმედება შემორჩენილია სახარებათა ყდებზე, ოქროსა და ვერცხლის ფილებზე, საეკლესიო ნივთებზე. მოქანდაკემ შესანიშნავი სიტყვებით დააბოლოვა მოხსენება: «ქართული სახვითი ხელოვნების უძვირფასეს მარგალიტს წარმოადგენს ძმები ბექა და ბეშქენ ოპიზარების შემოქმედება». უცებ,

ყველას დასანახად შალვა ამირანაშვილს გაუფართოვდა თვალები და გაოცებული მზერით სარეპლიკოდ სიტყვა ითხოვა. მან მიმართა მომხსენებელს:

— «თქვენ, თუ დამიმტკიცებთ, რომ ბექა და ბეშქენ ოპიზარები იყვნენ ძმები, მე დაუყონებლივ წარგადგენთ გინესის რეკორდზე» მიმართა მომხსენებელს ხელოვნებათმცოდნე შალვამ.

დიდი მადლობა ბატონ რეზო გუმბარიძეს ამ ფაქტის გადმოცემისათვის.

5). საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს შეთავაზება

საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროდან სტუმარი ეწვია შალვა ამირანაშვილს ხელოვნების მუზეუმში. შალვა დირექტორმა გიდობა გაუწია ოქროს ფონდში და შემდეგ მუზეუმის ბიბლიოთეკაში ჩაიზე მიიწვია რუსული კულტურის მოღვაწე. გულთბილ საუბარში დამეგობრებულმა მოსკოველმა ჩამოსვლის მიზეზი გაანდო შალვას.

— ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორი სულ ცოტა ხანში გადაყავთ «იუნესკო»-ში სამუშალდ. მის ადგილზე საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრმა თქვენი კანდიდატურა დაასახელა. თქვენი კანდიდატურა მოწონებული იქნა სსრკ კომპარტიის კულტურის განყოფილებაში. თუ თქვენ თანახმა იქნებით ამ შეთავაზებაზე, ყოველგვარი პირობები შეგექმნებათ სამუზეუმო საქმიანობისთვის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აგირჩევენ და შესაფერისი საბინაო პირობებიც გექნებათ. ეს საუკეთესო შეთავაზებაა და უარის სათქმელად საფუძველი არ არსებობს. თქვენი რუსი მეგობრები თქვენს ჩამოსვლას ელოდებიან.

მამა შინ რომ ბრუნდებოდა, თუ რამე სიახლე სათქმელად ჰქონდა ენაზე მომდგარი, ძალიან ეტყობოდა სახეზე. საღამოხანს, როგორც კი ვისადილეთ და მესამე ულუფად ხილს მიირთმევდა ბატონი მამაჩვენი, უცებ გუდა-ნაბადს შეხსნა პირი და დაიწყო:

— დღეს, მოსკოვის პუშკინის სახელობის მუზეუმის დირექტორობა შემთავაზეს! მოულოდნაელად წარმოთქვა და ოჯახის წევრების რეაქციას წამით დაელოდა.

შალვას სამივე შვილს, გვესიამოვნა და გაგვიხარდა კიდეც ეს შეთავაზება. წარმოვიდგინეთ მოსკოვში უზრუნველი ცხოვრება და რუს ქალებთან დროსტარების მოლოდინით გაგვინათდა გონება. მომავალი ცხოვრებისეული წამები ერთიანად შევიგრძენით და სამომავლო სიხარულით აღვივსეთ.

— ამასთან ერთად, განაგრძო მამამ, დამპირდნენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობას, ოთხ თუ ხუთ ოთახიან ბინას ქალაქის ცენტრში და მომსახურე მანქანას! ესეც მოაყოლა ადრეთქმულ სიტყვებს.

ჩვენ სულ გადავირიეთ და ჭკუიდანაც შევიშალეთ სიხარულით! იმ დროს მოსკოვში ცხოვრება, ჩვენთვის ევროპაც იქნებოდა და ამერიკაც! ანაზდად ტკბილ ოცნებებში გადავერთეთ ძალაუნებურად. მაგრამ მამა, უეცრად დადუმებული, აღარ ძრავდა სიტყვას.

— როდისთვის უნდა გადავბარგდეთ მამი? შევეკითხე გულდაჯერებით ჩაჩუმებულ მამას.

— არასდროს! თითქმის წამოიყვირა და იმავე ინტონაციით განაგრძო:

— მე, ჩემ მუზეუმს ვერ დავტოვებ! ესეც ხმამაღლა და გარკვევით გვითხრა.

— უარი განუცხადე? დავეკითხე გაკვირვებით.

— დიახ, მიპასუხა გულმოსვლით, უარით გავისტუმრე მოსკოველი სტუმარი.

— ძალიან გივაჟკაცია, ამას ჭკუიდან გადასულიც კი, არ იზამდა! შევუქეთ ნამოქმედარი მის გვარზე მოხტუნავე შვილებმა.

— თქვენ არაფერი გესმით! თქვე ვირთაგნებო! დაგვასაჩუქრა გადასაფრენად ფრთებშესხმული შვილები.

6). ფიქრები შაჰინშაჰის ირანის სახელმწიფო ემბლემაზე

ჩემი სტუდენტობის დროს სახელმწიფო ემბლემებით დახუნძლულ ალბომს წავაწყდი და როგორც ირანის ისტორიის სპეციალისტი დავინტერესდი ირანის სახელმწიფო დროშით. ისტორიულად ირანულენოვან ხალხთა ტოტემს წარმოადგენდა ლომი, რომლის სახელმწიფო ემბლემად წარმოსახვა აქემენიანთა ხანას უკავშირდება. ირანში ფეჰლევიანთა გვარის სამეფო დინასტიის დროს (1924-1978) სამფეროვანი დროშის შუაგულში გამოსახული იყო ლომი. ლომს, წინგამოწვდილ მარჯვენა თათში მოთავსებული ჰქონდა მრუდე აღმოსავლური მახვილი, რომელიც კლანჭის გაგრძელებად ბოლოვდებოდა. ირანის დროშაზე მახვილიანი ლომის გამოსახვის სიუჟეტი, ყაჯართა დინასტიის დამაარსებლის ემბლემას წარმოადგენდა, რაც ტრადიციით ფეჰლევიანთა ირანს ერგო. ლომი ირანის ისტორიული სიძლიერის ნიშნად აღვიქვი, ხოლო მახვილი ირანელთა მებრძოლ სულს დავუკავშირე. მიგნებით აღფრთოვანებული მივუახლოვდი მამას, რომელიც საწერ მაგიდასთან მუშაობდა და გადაშლილი ალბომი ცხვირწინ მოვუთავსე. შემდეგ, როგორც შემეძლო მაღალფარდოვანი სიტყვებით და აღტაცებით დავუხასიათე ირანის სახელმწიფო დროშა. მამამ მოთმინებით მომისმინა და მითხრა:

— «ლომს არაფრად ჭირდება მახვილი» მიპასუხა, შემომხედა და ჩემებური ქართულით დააბოლოვა სათქმელი: «მახვილი აფარჩაკებს ირანის ლომს». შემდეგ ხელისკვრით გვერდზე გამწია და წერა განაგრძო.

7). გურამ ამირანაშვილის თხოვნა ტელეფონით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტმა გურამ ამირანაშვილმა ვაივაგლახით ძლივს დახურა მეორე კურსი და საბოლოოდ გული აიცრუა უნივერსიტეტის სტუდენტობაზე. მისი აზრით, მას სწავლა არ გაუჭირდებოდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და იქ გადასვლა განიზრახა. მიიკითხ-მოიკითხა, თუ როგორ უნდა გადაეწყვიტა პრობლემად ქცეული საქმე. მავანმა და მავანმა ურჩია, რომ სპი-ს რექტორი, საქათველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპინდენტი იოსებ ბუაჩიძე, აკადემიკოსობას აპირებს და ვინმე აკადემიკოსი თუ გყავს ნაცნობი, იმას ათქმევინეო შენი ამბავი. ამ შეთავაზებაზე გურამ ამირანაშვილს გაახსენდა ბიძამისი აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და ერთ მშვენიერ საღამოს ესტუმრა მას ბინაზე. გურამმა ბიძამისს უამბო თავის გასაჭირი და გაუწოდა ქაღალდზე დაწერილი ტელეფონის ნომერი, რომ შალვას დაერეკა იოსებ ბუაჩიძისთვის.

— შენ რომ გინდა, მასეთი საქმეები ტელეფონით არ კეთდებაო, უთქვამს შალვას და დაუმატებია: ხვალ ათ საათზე მოდი ჩემთან და ერთად მივიდეთ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორთან.

მეორე დღეს, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტის რექტორატში გამოცხადდა შალვა ამირანაშვილი ძმიშვილთან ერთად. მდივანმა გოგონამ რექტორ იოსებ ბუაჩიძეს შიდასარგებლობის ტელეფონით მოახსენა, რომ აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი მოსულიყო მის სანახავად რაღაც საქმეზე. იმწამსვე, სპი-ს რექტორმა სახელდახელოდ მოწვეულ სხდომაზე თხუთმეტწუთიანი შესვენება გამოაცხადა და მოჩქარებული ნაბიჯით გამოვიდა კაბინეტიდან. მოწიწებით მიესალმა ბატონ შალვას და კაბინეტში მიიწვია.

— ჩემი ძმიშვილი გურამ ამირანაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. აპირებს თქვენ ინსიტუტში გადმოსვლას, სადაც მეტი პერსპექტივა ექნება. გთხოვთ დაეხმაროთ ამ საქმის განხორციელებაში.

— სიამოვნებით ბატონო შალვა. დღესვე შეუძლია საბუთები გადმოიტანოს და მისი სურვილისამებრ შესაფერის ფაკულტეტზე ჩავრიცხავ დაუყონებლივ. თანაც მის სწავლა-განათლების საქმეს ჩემ კონტროლზე ავიყვან და ვეცდები, რომ არაფერი გაუჭირდეს.

ბატონ შალვას გაეხარდა დადებითი პასუხი და გულწრფელად გადაუხადა მადლობა. დამშვიდობებისას ბატონმა იოსებმა მიმართა ბატონ შალვას:

— წელს არჩევნებია მეცნიერებათა აკადემიაში და დიდად დამავალებთ თუ თქვენი იმედი მექნება. დარწმუნებით წარმოთქვა შალვას გასაგონად. ბატონი შალვა მიუხვდა წადილს, გულიანად გაიღიმა და წარმატებას დაპირდა არჩევნებში.

XXIX

1). მამა და შვილის შელაპარაკება

— მამა, ეგოისტივით რომ დაისაკუთრე ხელოვნებათმცოდნეობა, რა იქნებოდა შენი სამი შვილიდან და მგონი მეოთხეც გყოლია სადღაც (ჩუმ-ჩუმელა შენა), რომელიმე ერთი ჩვენთაგანი მაინც შენს კვალს გაჰყოლოდა! აი, თუნდაც მე? დავეკითხე ერთ მშვენიერ საღამოს საწერ მაგიდასთან თავჩაქინდვრით მომუშავე აკადემიკოსს.

— შეენ? ხა, ხა! მიპასუხა დაცინვით.

— რა «ხა, ხა»-თი მეპასუხები, თავის დროზე უნდა მომესაზრა, თორემ ახლა რა დროსია! დანანებით წარმოვთქვი.

— არ გირჩევდი შვილო! დაბეჯითებით მომიჭრა.

— ვითომ რათაო, დათაო? ჩავაცივდი.

— შეენ, ჰმ? გააჟღერა თავისთვის.

— ჰო მე, რა ჰმ, ვითომ!

— ჩემს დარგზე რომ წამოსულიყავი, შე ფუქსავატო შენა, შეგჭამდნენ და შეგახრამუნებდნენ ჩუბინაშვილები! მიპასუხა დაბეჯითებით.

2). მოსკოვის გამომცემლობა «Искусство»-ს რედაქციაში

საფრანგეთის გამომცემლობა Cercl d'Art-მა 1962 წელს ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა შალვა ამირანაშვილის ნაშრომი ქართული მინანქრის შესახებ: Les emeaux de Georgie. ამავე გამომცემლობამ იტალიურ ენაზე მილანოში 1963 წელს გამოსცა იგივე ნაშრომი: Smalti dela Georgia. ორივე ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი სწრაფად გავრცელდა ევროპაში და 1964 წელს ზემოაღნიშნულმა გამომცემლობამ ქართველი ხელოვნებათმცოდნის შალვა ამირანაშვილის წიგნი გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებულ შტატებში: Medieval Georgian Emales of Russia, New York 1964, რასაც ასევე დიდი წარმატება მოჰყვა. როდესაც «ქართული მინანქრების» პირველი ორი წიგნი (ფრანგულ და იტალიურ ენებზე) იყო გამოქვეყნებული, შალვა ამირანაშვილს მოუხდა მოსკოვის გამომცემლობა «Искусство»-ში მისვლა, სადაც გამოსაცემად მზადდებოდა მისი ნაშრომის «История грузинского искусства»-ს მეორე რუსული გამოცემა. თავიდანვე გამომცემლები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ქართველ ხელოვნებათმცოდნეს, ხოლო შემდეგ ოდნავ რაღაცით განაწყენდნენ და ზოგიერთი თანამშრომელი გავიდა კიდეც ოთახიდან. გამომცემლობის დირექტორმა უსიამოვნოდ გადახედა შალვა იასონოვიჩს და მორიდებული ტონით დაიწყო:

— შალვა იასონიჩ! ძალიან მოხარულები ვართ, რომ თქვენი წიგნი ქართული მინანქრების შესახებ გამოქვეყნდა საზღვარგარეთ, პარიზსა და მილანში. მაგრამ თუ არ მიწყენთ საყვედური უნდა გითხრათ საბჭოთა გამომცემლობის სახელით და ასეთსავე საყვედურს იმსახურებთ როგორც ხელისუფლებისგან, ისე პარტიული ორგანიზაციისგან. საბჭოთა

კულტურის მოამაგე ადამიანი ბრძანდებით, რატომ გადაგვახტით თავზე და თითქოს ამხედრებულმა გააჭენეთ ევროპისკენ. თქვენი წიგნის გამოცემა ჯერ გეცადათ აქ, ჩვენთან გამომცემლობაში. ჯერ ჩვენთვის უნდა შემოგეთავაზებინათ საბჭოთა ხალხისათვის ესოდენ საჭირო გამოცემა. რას გვეტყვით თავის გასამართლებლად?

— მე გასასამართლებელი არაფერი მჭირს. რომ საყვედურობთ ჩემ ამ საქციელს, უმჯობესი იქნებოდა ჩაგეხედათ თქვენს არქივში. ამ წიგნის რუსული ტექსტი და ფერადი ფოტოები პირადად თქვენ ჩაგაბარეთ 1957 წელს ბატონო რედაქტორო. თქვენ კი იმ წელსვე გამოცემას დამპირდით. გავიდა ხუთი წელი. თქვენ რომ არ გამოეცით ჩემი ნაშრომი, იმასაც მე მსაყვედურობთ?

3). ფიროსმანი და «პრაღის გაზაფხული»

1968 წელს, დღემდე დაუვიწყარი პოლიტიკური მოვლენები განვითარდა ევროპის შუაგულში, ჩეხოსლოვაკიაში. ჩეხი და სლოვაკ ხალხთა მოთხოვნილების შესაბამისად დაიწყო პოლიტიკური გამოსვლები დევიზით: თავისუფალი განვითარებისა და სოციალური ლიბერალიზაციისთვის. პროცესების ცენტრს წარმოადგენდა დედაქალაქი პრაღა, რომელსაც მთელი მსოფლიოსათვის «ზლატა პრაგას» სახელით არის ცნობილი. მაშინ, საბჭოთა კავშირის წეს-წყობილებაზე აწყობილი ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელი იყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პირველი მდივანი ალეკსანდერ დუბჩეკი (1968 წ. იანვრიდან 1969 წ. აპრილამდე), რომელიც სათავეში ჩაუდგა საბჭოური განვითარების საწინააღმდეგო რეფორმების გატარებას სახელმწიფოში. რეფორმისტული მოძრაობა მიზნად ისახავდა სოციალისტურ ბანაკში მოთავსებულ ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლებას ძალისმიერად თავსმოხვეული საბჭოთა კავშირისეული მარწუხებისგან. და ასევე, თავისუფალი სტატუსის შემოღებას ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების ეროვნული განვითარებისთვის. საზოგადოებრივი სწრაფვა თავისუფლებისაკენ ერთიანად მოედო მთელ ჩეხოსლოვაკიას, რაც პერსპექტივაში ნიშნავდა: ჩეხოსლოვაკიაში დაბანაკებული საბჭოთა ჯარების კონტიგენტის გაყვანას და სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირის ბანაკიდან («ვარშავის ხელშეკრულება», რომელიც დაიდო პოლონეთში 1955 წელს ნატო-ს საპირწონედ) გამოსვლას.

სწორედ ამ საზოგადოებრივი მოძრაობის დროს, კერძოდ 1968 წლის აგვისტოსათვის ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს კულტურის (მოსკოვზე გავლით) სამინისტროებს შორის დაგეგმილი იყო თვითნასწავლ მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერული ტილოების გამოფენა პრაღის სახვითი ხელოვნების მუზეუმში.

როგორც ამის შესახებ შალვა ამირანაშვილი მატყობინებდა, 1968 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში მხატვარ-რესტავრატორ გიორგი მაქაცარიასთან ერთად პრაღაში ჩავედიო, ხოლო ფიროსმანის სურათები უკვე შემოტანილი დაგვხვდა მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ექსპოზიციის-

თვის. სურათების გაშლას, რომელსაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით, რამოდენიმე დღე ჭირდებოდა.

1968 წლის 20 აგვისტოდან 21 აგვისტოს შუაღამეს, ვარშავის ხელშეკრულების საფუძველზე გაერთიანებულმა სამხედრო კონტიგენტმა, სადაც მთავარ როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, ყოველი მხრიდან გადმოლახეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრები და ხუთი ათასი საბრძოლო ერთეულით სროლების გარეშე მოედვნენ ჩეხებისა და სლოვაკების მიწა-წყალს. მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცილების მიზნით ქართველი სტუმრები შ. ამირანაშვილი და გ. მაქაცარია ჩეხმა მასპინძლებმა ჩაიყვანეს მუზეუმის სარდაფში, იქვე ჩაიტანეს ფიროსმანის სურათები, დაუყენეს დაცვა და გამოკეტეს მუზეუმის შენობა, შექმნილი არასასურველი პოლიტიკური ვითარების განმუხტვამდე. სარდაფში გამოკეტილ ქართველებს სასმელ-სანოვაგეს ფანჯრის სარკმლიდან აწვდიდნენ. ასეთი ვითარება გაგრძელდა ოც დღეზე მეტ ხანს, სანამ არ მიწყნარდა ამბოხებული საზოგადოება და არ გაუქმდა სამხედრო საკომენდანტო საათი. როდესაც ჩეხოსლოვაკია ისევ საბჭოურ ცხოვრებისეულ კალაპოტში მოათავსეს, გამომზეურდნენ «სარდაფის ტყვეებიც». «ქართველი გმირები» შეუდგნენ ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობის გამოფენის მომზადებას.

4). ფიროსმანი პარიზში

1969 წელს, საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა შალვა ამირანაშვილმა და მხატვარ-რესტავრატორმა გიორგი მაქაცარიამ ნიკო ფიროსმანაშვილის ასამდე ფერწერული ტილო საგამოფენოდ გაიტანეს საფრანგეთში. გამოფენა მოეწყო მსოფლიოში ცნობილი ლუვრის მუზეუმის მარსანის გალერეაში.

მამა, აღფრთოვანებით მიამბობდა გამოფენის გახსნის ცერემონიალის შესახებ. სიამოვნებით იხსენებდა ყოველ დეტალს, რითაც შემკული იყო მაშინ საგამოფენო დარბაზები. მაღალი გემოვნებით გარემოცული სივრცე კი თავისთავად ქართველი თვითნასწავლი მხატვრის, ფიროსმანაშვილის დიდ ევროპულ დაფასებასა და აღიარებას ნიშნავდა. გამოფენას მოულოდნელობებისაგან იცავდა ნაპოლეონ ბონაპარტისეული დროის ჩაცმულობით გამოწყობილი სამხედროები, რომელთა წარმოჩენას ამშვენებდნენ ყველასათვის კარგად ცნობილი იმდროინდელი სამკუთხა თავსაბურავები. მამას მეტად ახალისებდა გამოფენის მცველთა ჩაცმულობა და მოწონებით შესცქეროდა მათ.

გამოფენამ ბევრი პარიზელი მიიწვია. გახსნას დაესწრნენ სამთავრობო დელეგაცია და კულტურის საზოგადოების წარმომადგენლები, მხატვრები და მწერლები, გაზეთების გამომცემლები და ჟურნალისტები, ასევე ცნობისმოყვარე ფრანგები. გამოფენის დამთვალიერებელთა შორის უნდა დავასახელოთ: დიდი ფრანგი მწერალი და ფიროსმანის შემოქმედების უბადლო მცოდნე ლუი არაგონი და მისი

ცხოვრებისეული თანამგზავრი რუსი ემიგრანტი ელლა კაგანი, რომელიც ფრანგულმა სამწერლობო საზოგადოებამ გაიცნო მისი პირველი ქმრის გვარით და ოდნავ შეცვლილი სახელით: ელზა ტრიოლე. ამ ულამაზესი ქალბატონის პიროვნებით ერთ დროს მოჯადოებული იყო ბაღდადელი პოეტი-ტრიბუნი ვლადიმირ მაიაკოვსკი. გამოფენის გახსნას დაესწრო ევროპულ მხატვრობაში ახალი მიმართულების ფუძემდებელი პაბლო პიკასო. ბევრ ცნობილ დამსწრეთა შორის შალვა ამირამაშვილის ყურადღება მიიქცია ერთმა ხანშიშესულმა ქალბატონმა, რომელიც ხშირად სტუმრობდა გამოფენას და დიდხანს იდგა ფიროსმანის მიერ დახატულ ფერწერულ ტილოსთან, რომლის ქვედაკიდეს ფრანგულად ეწერა «Actrice Marguerite» (Peinture 1909).

გამოფენა «ფიროსმანი პარიზში» დასასრულს უახლოვდებოდა, როცა შალვა ამირანაშვილმა უკვე მერამდენეჯერ, დაინახა სილამაზეშერჩენილი სახის გამომეტყველებით გამომყურე ისევ ის ქალბატონი, რომელიც თვალმოუშორებლივ «მარგარიტას» შესცქეროდა თითქმის ყოველ დღე.

შალვა ამირანაშვილმა თავისთან მოიხმო გიორგი მაქაცარია და თხოვა, შეუმჩნევლად დაკვირვებიდა სურათ «მარგარიტასთან» მდგარ ქალბატონს და მხატვრის თვალით შეედარებინა სურათზე გამოსახულ პიროვნებასთან. გიორგი მაქაცარიამ შეუსრულა თხოვნა შალვა ამირანაშვილს და მოახსენა მას:

— ბატონო შალვა! საოცარი მსგავსებაა სურათთან მდგარ ქალბატონსა და სურათზე გამოსახულ «აქტრისა მარგარიტას» შორის. ოვალურ ჭრილში ჩასმული თვალები, სახის მოყვანილობა და სახის ფერიც, ამჟღავნებენ, რომ თითქოს ერთი და იგივე პიროვნებაა სურათზეც და იმ ქალბატონშიც, რომელიც ამ სურათს შესცქერის! ბატონო შალვა, გამარკვიეთ, რაშია საქმე? დაინტერესდა მხატვარ-რესტავრატორი.

— ხანში შესული ეს ქალბატონი, აქტრისა მარგარიტაა! ათრთოლებული ხმით დაბეჯითებით წარმოთქვა შალვა ამირანაშვილმა.

გამოფენის დახურვის დღეს, ოთხმოც წელს გადაცილებული ფრანგი მსახიობი მადამ მარგრეტ დე სევრი ეახლა შალვა ამირანაშვილს და თხოვა, სამახსოვროდ სურათი გადაეღო მას ფიროსანის მიერ შესრულებულ აქტრისა მარგარიტას ნახატთან. ნებართვის მიღებისთანავე, ერთმანეთის გვერდიგვერდ საუკუნოდ აღიბეჭდა ხანში შესული პარიზელი შანსონიე მარგრეტ დე სერვი და XX საუკუნის დასაწყისის პერიოდისათვის ტფილისში საგასტროლოდ ჩასული ახალგაზრდა მარგარიტას სახის იერშეუცვლელი და თვალების მარადიული ბრწყინვალებით შემკული სახეები.

«სადაურსა სად წაიყვან» ჩაუწერია რუსთაველს. სადაც არ უნდა წახვიდე და სადაც არ უნდა არსებობდე, სანთელ-საკმეველის მანათობელი გზით მავალი ხატება მაინც გიპოვნის.

ფიროსმანის მარგარიტამ პარიზში მიაგნო თავის ცოცხალ მუზას.

5). 1961 წლის პერიპეტიები

1961 წელს თბილისში დამთავრდა სპორტის სასახლის მშენებლობა და მისი გახსნის ცერემონიალზე ელოდებოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვს. გენსეკის ჩამოსვლის დღეს, ყველანი გამოგვყარეს სამსახურებიდან და ჩაგვამწკრივეს რუსთაველის პროსპექტზე, და იმ ქუჩებზეც, სადაც საბჭოთა კავშირის მეთაურს უნდა გამოევლო ღია მანქანით. ჩემი სამსახური მოთავსებული იყო მთავრობის სასახლის ახლომდებარედ, და ამიტომ ჩვენი დაწესებულების თანამშრომლები განვლაგდით კინოთეატრ «რუსთაველთან».

სანამ უმაღლესი რუსი სტუმარი ჩამოივლიდა რუსთაველის პროსპექტზე ათასმა უცნაურმა ფიქრმა გამიელვა და მეც ანაზდად მათ გახსენებას ავყევი ძალაუნებურად.

«დღეს რომ საპატიო სტუმრად საქართველოს მოევლინა, იმ საბჭოთა ხელისუფალის ნ. ს. ხრუშჩოვის ბრძანებით 1956 წლის 9 მარტის ნაშუაღამევს, რუსთაველის პროსპექტზე კავშირგაბმულობის სახლიდან ტყვიები დაუშინეს იქ შეკრებილ ქართველ ახალგაზრდობას: სტუდენტებსა და მოსწავლეებს, რომლებიც მარტის დასაწყისიდან მშვიდობიან მიტინგს მართავდნენ მშრალ ხიდთან ახლომდებარე ბაღში, სადაც ი. ბ. სტალინის ძეგლი იყო აღმართული.

რვა მარტის გვიანი საღამო იდგა, როცა მომიტინგეებს შორის გაისმა პროვოკაციული შეძახილები: საქართველო იბრძვის რომ გამოეყოს საბჭოთა კავშირს და ლოზუნგად ქცეული ეს მისწრაფება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მთელ მსოფლიოს. შეძახილებით აღგზნებულები მშრალ ხიდს მიმდებარე სტალინის ბაღიდან დავიძრათ კავშირგაბმულობის სახლისაკენ იმ დევიზით, რომ ქართველი ახალგაზრდების დაუოკებელი მოთხოვნები დაუყოვნებლივ გვეცნობებინა საზღვარგარეთის დემოკრატიული ძალებისთვის. პროვოკაციამ გაჭრა და მომიტინგეები აზვირთებულ ტალღად დავიძარით კავშირგაბმულობის სახლისკენ, რომელიც იმ დროს მოთავსებული იყო რუსთაველის პროსპექტ №8 შენობაში. უკვე შუაღამე ახლოვდებოდა, როცა მომიტინგეებმა იერიში განვახორციელეთ კავშირგაბმულობის შესასვლელზე, რომელიც გადარაზული დაგვიხვდა. ახალგაზრდათა მღელვარებამ იმატა და ძალმომრეობითი შტურმით შესასვლელის აღებას შევეცადეთ. ამ დროს, ამ შენობის ზედა სართულის ფანჯრები გაიღო, ფანჯრებს მიფარებული შავი ფარდები გარდი-გარდმო გადაიწია და გამოჩნდნენ ტყვიამფრქვევების და ავტომატების ლულები. «Огонь» შეძახილზე, რომელიც ჩვენც შემოგვესმა, ამოქმედდა იქ ჩასაფრებულთა ყოველი იარაღი ერთიანად! იმ წამიერ განცვიფრებაში ჩავარდნილებმა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით არც კი ვიცოდით. აქეთ-იქედან მოგვესმა შეძახილები: «დაწექით, დაწექით!». გაოგნებულებმა შევასრულეთ მოთხოვნა. ჯგუფ-ჯგუფად ვინც კი წამოიწეოდა მათ მისამართით გრძელდე-

ბოდა სროლა. როგორც შემდეგ გავიგე, ჩემს მეგობრებს: როლანდ ბურ-ჭულაძეს ვიღაც დაჭრილი გამოუთრევია სამშვიდობოზე, ხოლო პავლე თოფურია ასფალტს მიეკრო და მკლავური მოძრაობით გამოუღწევია. როგორც მერე შევიტყვე, ტყვიებს გვიშენდნენ თბილისში ლოკალიზირებული მერვე პოლკის რუსი სალდათები. მათ შორის, არც ერთი არ იყო ეროვნებით ქართველი, ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად. თეატრ «რუსთაველის» სიახლოვეს მოთავსებულ სასტუმრო «თბილისის» რესტორნის ვიტრინებს არც ერთი ტყვია არ ჰქონდა მოხვედრილი, არც ერთი მინა არ ყოფილა ჩამსხვრეული. სამაგიეროდ მათ შორის ამოყვანილ ქვის გამყოფ შვეულ სვეტებს დიდხანს ეტყობოდათ უიარაღოდ მებრძოლ ქართველებს აცდენილი ტყვიებით მიყენებული ღრმა ჭრილობები. იმ ღამეს სიცოცხლეს დაემშვიდობა ასსამოცდაათი ახალგაზრდა და ამაზე მეტი, დაჭრილი დაბრუნდა შინ სიტყვისუთქმელობის ბრძანების საფასურად. ახლა მაინც შესაძლებელია ასსამოცდაათ მებრძოლ ქართველთა მოსახსენებელი დავთქვათ ყოველწლიურ ცხრა მარტს. მაშინ კი, 1961 წლის 22 აპრილს, დიდი ზარ-ზეიმით ვხვდებოდით იმ ადამიანს, რომელსაც ასსამოცდაათი ქართველის სიცოცხლე ცოდვად ჰქონდა სამუდამოდ შემოდებული კისერზე».

ამ ფიქრებით ვიყავი გაოგნებული და ვერავის ვერაფერს გავუზიარებდი, უტყუარი მანუგეშებელიც არავინ მეგულებოდა.

ამ დროს, იმ მხრიდან საიდანაც უნდა გამოჩენილიყო საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალური მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩემთან მყოფთ და მეც, უეცრად შორიდან შემოგვესმა სიცილ-კისკისის ხმა და ტაშის ერთსულოვანი გრიალი. ამხიარებულ ადამიანთა უჩვეულო ხმაური თანდათან ძლიერდებოდა. და აი, თვალნათლივ დავინახეთ ცისფრად აფერადებული ღია (ტენტგადახდილი) უცხოური მარკის მანქანა, რომელსაც გაფითრებული სახით მართავდა ისედაც ფერმკრთალი ჩვენებური ახალგაზრდა. იგი სერიოზულობით იყო გარემოცული მთელი თავისი არსებით და გასავლელ გზას არ აცილებდა თვალს. ღია მანქანის უკანა მხარეს იდგა ორი პიროვნება. ერთი პირტიტველა და თავმოტვლეპილი, ხოლო მეორე შავწვერმოშვებული და სახეზე მზემოკიდებული. ტროტუარზე მდგარმა თბილისელებმა შევიცანით სახეგაბადრული პლეხანოველი კიკა, რომელიც ხელის აწევით გვესალმებოდა. მის გვერდით მდგომი შავწვეროსანიც ხელს გვიქნევდა. საბჭოთა პერიოდში ნიკიტა ხრუშჩოვის და ფიდელ კასტროს დაცინვა მრავალწლიანი ციხით უნდა დასჯილიყო, მაგრამ ხალხში მდგარი მილიციონერებიც ჩვენთან ერთად იცინოდნენ. ხალხის მხიარულება ტალღასავით მიყვებოდა მანქანას, რომელსაც ტაშის გრიალით ვაცილებდით.

ამ ინციდენტიდან ოცი წუთიც არ იყო გასული, რომ მართლაც გამოჩნდნენ ღია მანქანაში მდგომი ნ. ს. ხრუშჩოვი და ვ. პ. მჟავანაძე. ხელის ქნევაში და შეძახილებში გამოცდილმა მასპინძლებმა ცინიკური ღიმილით გავაცილეთ ჩვენთვის არასასურველი სტუმარი.

საქართველოს სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის თანამშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის თბილისში ჩამოსვლამდე რამოდენიმე თვით ადრე მათ აღკვეთეს მოსალოდნელი ტერორი, რომელიც მიზნად ისახავდა 1956 წლის ცხრა მარტის მოვლენების საპასუხოდ ნ. ს. ხრუშჩოვის ლიკვიდაციას. ინტერნეტით მოვიძიე მასალა, სადაც აღწერილია თუ ვინ გეგმავდა და როგორ უნდა განეხორციელებინათ ტერორისტული აქტი რუსი სტუმრის სალიკვიდაციოდ. მოგვაქვს ამონარიდი ინტერნეტიდან:

«1960 წლის 14 დეკემბერს საქარველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ნიკიტა ხრუშჩოვზე ტერაქტის მზადების ბრალდებით სამი პირი დააკავა: შოთა, იგივე ოთარ მექვაბიშვილი, ალბერტ (ალეკო) მელაძე და აბრამ (აბრეკ) ბათოშვილი. მოგვიანებით, აიყვანეს მეოთხეც: სტუდენტი აკაკი მდინარაძე».

ნ. ს. ხრუშჩოვის თბილისში ყოფნის დროს, ზედმეტად აღელვებულმა შ. ამირანაშვილმა შემდეგი ამბავი გამანდო:

ნ. ს. ხრუშჩოვზე თავდასხმა უნდა განეხორციელებინათ ტერორისტებად შერაცხულებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ვინმე მექვაბიშვილი (დანარჩენის გვარები არ დაუსახელებია). როგორც სარწმუნოდ მითხრეს, ტერაქტი უნდა მომხდარიყო ხელოვნების მუზეუმის შესასვლელში, იმ მომენტში, როცა მუზეუმის შესასვლელს გაივლიდა ნ. ს. ხრუშჩოვი. ტერორისტები იქნებოდნენ მილიციის ფორმებში ჩაცმულები, მილიციის პირადობის ყალბი მოწმობებით ჯიბეში (ყოველ შემთხვევისათვის), რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვის მუზეუმში მოსავლამდე 10 წუთით ადრე თითქოს სპეცდანიშნულების ბრძანების საფუძველზე შეცვლიდნენ მუზეუმის კარებში მდგარ მილიციის ნამდვილ მუშაკებს. მილიციის ფორმებში გამოწყობილი ორი ტერორისტი, შესასვლელის გარდიგარდმო უნდა დამდგარიყო და მუზეუმში ნ. ს. ხრუშჩოვის შემოსვლის მომენტში აეფეთქებინათ ორი ხელყუმბარა (ალბად «ლიმონკად» წოდებული). ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ისინიც იბრიდებოდნენ. სწორედ ეს განსახორციელებელი აქტი აღკვეთა საქართველოს უშიშროების სამსახურმა.

მაგრამ მაინც, სუკ-ის წინდახედული ინიციატივით ხელოვნების მუზეუმის მაგიერ ნ. ს. ხრუშჩოვი მიიყვანეს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში.

ამ ინფორმაციამ იმდენად იმოქმედა შ. ამირანაშვილს ჯანმრთელობაზე, რომ მან რამოდენიმე დღის შემდეგ ინფარქტი მიიღო და მთელი ორმოცი დღის განმავლობაში საწოლს იყო მიჯაჭვული. ჩვენ, მისი შვილები: გულბადი, ჯუანშერი და ნათელა ღამღამობით მორიგეობით ვფხიზლობდით, რომ შემთხვევით არ წამომჯდარიყო მამა საწოლზე. მკურნალმა ექიმმა ანუგეშა, კიდევ თხუთმეტი წელი იცოცხლებო, რაც აუხდა კიდეც.

დიდი ხნის შემდეგ დავეკითხე მამას «მაინც რა მოხდებოდა, რომ აეფეთქებინათ ნიკიტა ხრუშჩოვი».

— რა და, ქართველებს მთლიანად გადაასახლებდნენ ციმბირში შინჩამოუსვლელად, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყოველი ქართველიც გამოესალმებოდა სიცოცხლეს და საქართველოც აღარ იარსებებდა!

6). საბჭოთა ხალხის დაპურებისათვის

1959-1961 წლებში საბჭოთა კავშირის კომპარტიის სახელმწიფო პროგრამით ყამირი მიწების ათვისება ჩატარდა ყაზახეთში. ბოლო წელს, იმდენი მოსავალი (საპურე ხორბალი) მიიღეს, რომ ვაგონები არ ყოფნიდათ მის გადმოსაზიდად ცენტრალურ რაიონებისკენ. გატეხილ ყამირზე მოუმკელი თავთავი მთლიანად დალპა, და 1961 წელს საშემოდგომო ხვნა-თესვა არ მოხერხდა. ამიტომ შემდეგი წლის მოსავალზე ზედმეტი იყო ფიქრიც კი.

1962-1963 წლებში საბჭოთა ხალხს შემოაკლდა მადლიანი საკვები. პურის მაღაზიებთან ორ-სამსაათიან რიგში უნდა ჩამდგარიყავი და არც იცოდი მოგიწევდა თუ არა იმ დღეს ოჯახის დაპურება. ამ სავალალო პირობების ამოსაკვეთათ საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა სამუზეუმო განძეულობის გაყიდვა და აღებული თანხით ხორბლის შემოტანა კანადიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ამ საქმის განსახორციელებლად ზემოხსენებულ წლებში გაყიდული იქნა დასავლეთ ევროპული და რუსული მხატვრობის შედევრები ერმიტაჟიდან და რუსული მუზეუმიდან, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმიდან და ტრეტიაკოვსკის გალერეიდან და კიდევ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სხვადასხვა მუზეუმებიდან. სწორედ ასეთ ვითარებაში მამამ, მასთან საუბრის დროს განმიცხადა:

— «კიდევ კარგი, რომ ნ. ს. ხრუშჩოვს არ დაათვალიერებინეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძური; თორემ ნამდვილად აღარ გვექნებოდა ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხახულის კარედი; აღარ გვექნებოდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გადარჩენილი და საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოტანილი საისტორიო და საეკლესიო ნივთები; აღარ გვექნებოდა საქართველოს მეფე თამარის გულსაკიდი ჯვარი; აღარ გვექნებოდა ბექა და ბეშქენ ოპიზარების ხელნაკეთი ნივთები: ოქროსა და ვერცხლის მოჩუქურთმებული ფილები; არ გვექნებოდა ქართველი ხალხის არსებობის დამადასტურებელი ხელოვნების არა ერთი ისტორიული ნივთი; აღარ გვექნებოდა თრიალეთის გათხრების დროს აღმოჩენილი ქართული კულტურის მაუწყებელი არქეოლოგიური მასალა; აღარ გვექნებოდა არც ოქროს თასი ბედიიდან და არც კრანახის ორიგინალი «მაჭანკალი»; და არც უამრავი სხვა საეკლესიო ნივთი. ყველაფერი ეს საბჭოთა ხალხის დაპურებას შეეწირებოდა ძნელბედობის ჟამს, რომელიც ნ. ს. ხრუჩშოვის ბეცი ეკონომიკური პოლიტიკით იყო გამოწვეული. სწორედ მისი მმართველობის დროს ევროპისა და აშშ-ს მუზეუმებმა შეიძინეს საბჭოთა კავშირში დაგროვილი მსოფ-

ლიო მხატვრული ხელოვნების წარმოუდგენელი სიმდიდრე. ნამდვილად, ქართველი ხალხის ბედს წმიდა მარიამის წილხვდომილობა წყალობს!»

დამიმთავრა სათქმელი 1939 წლიდან კომპარტიის წევრმა შ. ამირანაშვილმა.

XXX

1). აკადემიის სამეცნიერო კომისიის თავმჯდომარე შალვა ამირანაშვილი წლიური თემების შესამოწმებლად აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში

1962 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ განყოფილებაში გაერთიანებული ინსტიტუტების წლიური თემების შესრულების მდგომარეობის შესამოწმებლად გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს შალვა ამირანაშვილი. მე, მაშინ ვმუშაობდი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა მამის მეგობარი პროფესორი ვალერიან გაბაშვილი. როდესაც განყოფილებაში შემოვიდნენ კომისიის წევრები, თანამშრომლები ფეხზე წამოვიჭერით და მივესალმეთ მეცნიერ-შემმოწმებლებს. მამამ შემომხედა, ოდნავ ჩაიღიმა და მისთვის განკუთვნილ სკამზე მოთავსდა.

ბატონი ვალერიანი უხსნიდა კომისიის წევრებს და განსაკუთრებით ბატონ შალვას განყოფილების თანამშრომლების ნამოღვაწარს. შალვა ამირანაშვილი მართლაც ინტერესდებოდა ნაშრომებით და მოკრძალებული სიტყვებით დადებითად აფასებდა. ხანდახან გადახედავდა გვერდების რაოდენობას, ხან მომეტებული ყურადღებით ათვალიერებდა ნაშრომის შესრულებისათვის გამოყენებულ წყაროებს და ლიტერატურას.

— აი, თქვენი ვაჟიშვილის გულბადის ნაშრომი. იგი ამუშავებს «თანსარის წერილს» სასანური ირანის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესასწავლად. წარმითქვა ბატონმა ვალერიანმა და ჩემ მიერ კარგად შეფსკვნილი საქაღალდის თასმები, სადაც ჩემი ნაშრომი იყო მოთავსებული, ძლივძლიობით გახსნა. გახსნილი საქაღალდე გადასცა კომისიის თავმჯდომარეს. შალვა ამირანაშვილს არც კი დაუხედავს ჩემი ნაშრომისათვის ისე დახურა და თასმითაც მაგრად შეკრა.

ბატონმა ვალერიანმა უცნაურად გადმომხედა, და მაგრძნობინა თითქოს მე უნდა დამევალებინა ასეთი საქციელი კომისიის თავმჯდომარისათვის. მე გავხედე ჩემ ხელმძღვანელს და მხრების აჩეჩებით მხოლოდ მის გასაგონად წავიჩურჩულე: «მე რა შუაში ვარ!».

შალვა ამირანაშვილს ერთი სული ჰქონდა შეხვედროდა გიორგი წერეთლის მიერ მეცნიერულად აღზრდილ თამაზ გამყრელიძეს, რომე-

ლიც იმ დროს ძველი აღმოსავლური ენების განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

იმავ დღის საღამო ხანს მამას დავეკითხე:

— შეუმოწმე განყოფილება თამაზ გამყრელიძეს?

— ეგ გვერდზე იყოს, მე მაინტერესებდა რას იტყოდა თამაზ გამყრელიძე ჩემ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაზე «საქართველოში ნაპოვნი არქაული დამწელობის შესახებ».

— მერე, რა გითხრა, მომწონსო?

— ჩემი კონცეფცია არ მიიღო.

— არ მიიღებდა, რასაკვირველია. მას ქართული ანბანის წარმოშიბის საფუძვლად მიაჩნია ბერძნული ალფაბეტური წყობის მიმსგავსებულობა, გამდიდრებული ქართული ენისათვის დამახასიათებელ ფონემათა გამოსახვისთვის საჭირო ქართული გრაფემების შექმნით. ალბათ ეს უნდა მომხდარიყო მაშინ როდესაც ბერძნული კულტურა და მწიგნობრობა გავრცელდა ქართლის სამეფოს პირველი მეფის ფარნავაზის დროს, ე. ი. ახალ წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი დამწერლობის ნიშნები, რომლებიც შენ მიერ არის გამოკვლეული, არ მომდინარეობს ბერძნული ნიშნების თუნდაც ნაირსახეობებიდან. მას საფუძვლად არაბერძნული ენის გრაფემა უზის ალბათ. შესაძლებელია არამეული, ან თუნდაც სხვა ჩვენთვის უცნობი დამწერლობის სტრუქტურა, რომლის გრაფემას იყენებდნენ ქართული სიტყვების გადმოსაცემად. საქართველოში აღმოჩენილი არქაული წერილობითი ძეგლი არა ერთი სპეციალისტი მეცნიერის კვლევის საგანი უნდა გახდეს.

— რა წამოჩიტული მეცნიერივით მსჯელობ? მომმართა მამამ გაკვირვებით.

— ბატონ ვალერიან გაბაშვილის მეცნიერულ სკოლას ვეუფლები, ჯერ კიდევ სტუდენტობიდან! მივუგე თამამად.

— იმედია არ შემარცხვენ! მოწოდებით განმიცხადა.

— შენი შერცხვენა გვერდზე იყოს, მთავარია ბატონ ვალერიანს გავუმართლო იმედი და დავუფასო ამაგი, ვუპასუხე და მაინც ვინანე, რომ მამა გავწირე.

2). აღდგენილი ეკლესია

XX საუკუნის 20-30-იან წლებში შალვა ამირანაშვილი ბევრს მოგზაურობდა საქართველოში დანგრეული ეკლესიების თუ ციხე-სიმაგრეების აღნუსხვის, ტოპო- და ფოტოგრაფირების, ასევე მათი პასპორტიზაციის შედგენის მიზნით. ამასთანავე გამოკვლევა «უბისი»-ს გამოქვეყნების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქართული ხელოვნების ისტორიისათვის საჭირო მასალების შესაგროვებლად.

1932 წელს შ. ამირანაშვილმა მოხსენება წარადგინა გამოჩენილი რუსი ბიზანტინისტის ფიოდორ ივანოვიჩ უსპენსკისადმი (1845-1928) მი-

ძღვნილ სამეცნიერო კომფერენციაზე, რომელიც ჩატარდა პარიზში. ხელოვნებათმცოდნის მოხსენება ეხებოდა ქართული, ბიზანტიური და სლავური საეკლესიო მხატვრობის შედარებით შესწავლას XII-XIII საუკუნეთა მიჯნის პერიოდისათვის. ამავე პერიოდის ბიზანტიურ და ქართულ საეკლესიო მხატვრობას მკვლევარმა შეუდარა ნოვგოროდში მდინარე ნერედიცას ნაპირზე ქრისტეს ფერიცვალების სახელზე XII საუკუნის მიწურულს აშენებული ეკლესიის არქიტექტურასა და შიდაკედლის მხატვრობას.

ნოვგოროდში ჩასულ შ. ამირანაშვილის მიერ ადგილზე გაკეთებული იქნა ნერედიცას ეკლესიის გეომეტრიული ჩანახაზი, შენობის გარესივრცის ანაზომები, საეკლესიო მხატვრობის სტილის დახასიათება, შიდა კედელთა ფოტოგრაფირება, კედლისმხატვრობის ასლების გადაღება. გაკეთდა ყველაფერი, რაც ესაჭიროებოდა ამ ძეგლის რაობის წარმოდგენას და შიდასივრცის მონუმენტალური მხატვრობის სრულყოფილ კვლევას. ეს საჭირო იყო მოხსენებისათვის XII საუკუნის ბიზანტიური, სლავური და ქართული საეკლესიო არქიტექტურისა და მხატვრობის შედარებითი შესწავლისათვის. მოხსენება გამოქვეყნდა პარიზში ფრანგულ ენაზე. სულ ახლახან შ, ამირანაშვილის მოხსენება ნერედიცას ეკლესიის მხატვრობის შესახებ რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში «მაცნე» (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია).

უზომოდ სამწუხარო იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდში ადამიანთა სიცოცხლის მოსპობასთან ერთად ნადგურდებოდა საბჭოთა კავშირის ქალაქები და სოფლები, სიცოცხლისა და არსებობის საცხოვრისები, წარსული კულტურის ისტორიული ძეგლები. XII საუკუნის მიწურულს ნოვგოროდში შექმნილი ქრისტიანული ტაძარიც ომის ქარცეცხლში გაეხვია, მთლიანად შთაინთქა და განადგურდა ჯერ კიდევ 1941 წელს. ბოლომდე დაიწვა ნერედიცას ეკლესიის XII საუკუნეში შესრულებული კედლის მხატვრობაც.

ნანგრევებად ქცეული ეკლესიის ხელახალი მშენებლობა მოხერხდა მხოლოდ 1956-1958 წლებში. რუსული უნიკალური ტაძრის აღდგენას ხელმძღვანელობდა არქიტექრორ-რესტავრატორი გრიგორი მიხაილოვიჩ შტენდერი. ნერედიცას ეკლესიის ხატწერითი მხატვრობის აღდგენაში მათ გამოიყენეს შალვა ამირანაშვილის მიერ შესრულებული ასლები, ჩანახაზები, აღწერილობები, ეკლესიის შიდა და გარესივრცის ფოტოგრაფიული მასალა, რომლებიც რესტავრაციის დროს ჩატანილი იქნა ნოვგოროდში უშუალოდ შ. ამირანაშვილის მიერ. ქართველი ხელოვნებათმცოდნის მასალასთან ერთად ეკლესიის იერსახის აღმდგენას წამოეხმარა გამოჩენილი რუსი მხატვრის ნიკოლაი კონსტანტინოვიჩ რერიხის მიერ 1935-36 წლებში შესრულებული ფერწერული ტილოც, სადაც მთელი მაშინდელი სიდიადით გამოსახულია ღვთისგან გაბრწყინებული ნერედიცას ეკლესიის XII საუკუნის არქიტექტურული სახე.

3). აკადემიკოსი ვასილი ვასილიევიჩ სტრუვე თბილისში

1944 წლის იანვარში გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე ბარის ბარისოვიჩ პოიტროვსკი სადოქტორო დისერტაციას იცავდა ერევანში, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საჯარო სხდომაზე. სხდომას ესწრებოდნენ რუსი მეცნიერები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან. დისერტაციის დაცვას დაესწრო ურარტუს არქეოლოგიური მასალებით დაინტრესებული შალვა ამირანაშვილიც. მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულმა დისერტაციამ «ურარტუს ისტორია და კულტურა» საბჭოთა მეცნიერთაგან დიდი მოწონება დაიმსახურა. თბილისისკენ გამომგზავრებულ შალვა ამირანაშვილს ვასილი ვასილიევიჩი სტრუვეც გამოყვა, რომელიც საქართველოში ცოტა ხნით შეჩერდა.

ლენინგრადში გამგზავრებამდე, თბილისში ყოფნით აღფრთოვანებული ვასილი სტრუვე შეხვდა შალვა ამირანაშვილს და გამოესაუბრა.

— ეს წამია, საბურთალოს ბაზრიდან მოვდივარ (მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სპორტის სასახლის ასაშენებელ ტერიტორიაზე გაშლილი იყო ე. წ. «საბურტალინსკაია ტალკუჩკა», სადაც ყველაფერს ყიდდნენ და ყველაფერს ყიდულობდნენ).

— თბილისის ბუკინისტური წიგნებით ხომ არ დაინტერესდი? შეეკითხა შალვა.

— არა, ეგ გვერდზე იყოს. ჩემმა ლენინგრადელმა მეგობრებმა დამაბარეს, ერევნის შემდეგ აუცილებლად გაიარე თბილისში, გვიყიდე ჩიბუხები (სტალინის გამო მაშინ მოდაში იყო) და ჩამოგვიტანეო. ალბათ, საბჭოთა თავკაცს ბაძავენ ანდა, უფრო ხელსაყრელი უნდა იყოს ჩიბუხით გაბოლება. მეც მათ შევუსრულე თხოვნა. და აი, ხელდამშვენებული მოვდივარ საბურთალოს ბაზრიდან. დაამთავრა სათქმელი ვასილი ვასილიევიჩმა და ქაღალდში კოხტად გახვეული შეკვრა დაანახა შალვა იასონოვიჩს.

— საბურთალოს ბაზარზე ერთი საოცარი რამ მოხდა! «ტრუბკებს» (ჩიბუხებს) რომ ვყიდულობდი, განაგრძო ლენინგრადელმა მეცნიერმა. გამყიდველს ვთხოვე, ათი ცალი «ტრუბკა» გამიხვიეთ, მას გაუფართოვდა თვალები, სახეც აუწითლდა თითქოს. სასიამოვნო გამომეტყველების დაყოლებით ათივე ჩიბუხი კოხტად გამიხვია მოსქელო ქაღალდში და მოწიწებით გადმომცა. გადასახდელი ფული რომ მივუთვალე, დიდი მადლობით დამაჯილდოვა და ჩემდა გასაკვირად, ხელიც ჩამომართვა. შემდეგ მორიდებით მომმართა: «ერთი წუთით მოითმინეთ, ბატონო» მითხრა და მეთერთმეტე ჩიბუხი საჩუქრად გადმომცა. შეკვრას აღარ დავუწყე გახსნა და საჩუქარი პიჯაკის გულჯიბეში მოვათავსე. გამოსამშვიდობებლად ჯანმრთელობა, ბედნიერება და გამძლეობა მისურვა. მეც გულთბილად გამოვემშვიდობე. შესანიშნავი ხალხია ქართველები და ჩვენც რუსები ყველაზე მეტად მათ ვაფასებთ საიუზში.

ნაუცბათევად გულჯიბიდან ამოიღო საჩუქარი. შალვას დაანახა და სიტყვებიც დაუყოლა: «შესანიშნავად არის გამოთლილი, მაგრამ რატომღაც ძალიან ფართო ნასვრეტი აქვს». შალვა თვალებს არ უჯერებდა და მოურიდებლად აკვირდებოდა საჩუქარს. ვასილი ვასილიევიჩ სტრუვეს ხელში ეჭირა შიბაქი, რომელიც შალვას ცხვირთან მიეტანა. შალვა ემოციას ძლივს იკავებდა და მაინც დაეკითხა: «გახვეული ათი ცალიც ზუსტად ისეთია, როგორიც ეს ერთი»?

— «აბსოლუტურად იდენტური»! დაუდასტურა ლენინგრადელმა სტუმარმა.

— ხუთი-ათი წუთი დრო თუ გაქვთ ვასილი ვასილიევიჩ, ჩემს მეზობელთან მივიდეთ სტუმრად, შესთავაზა შალვამ.

— «რა გაეწყობა, თუ თქვენი სურვილია, მივიდეთ»! დაეთანხმა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი. კარის მეზობელმა სიამოვნებით მიიპატიჟა შალვა და მისი მეგობარი სტუმარი და თათარიახნად წახემსებაც შესთავაზა დაუპატიჟებელ სტუმრებს. წახემსება თავიდანვე იუარეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დაეთანხმნენ გულწრფელ მომპატიჟებელს. სანამ სუფრას შემოაწყობდა ახალგაზრდა დიასახლისი, შალვამ თხოვა, აკვანში ჩაკრული მისი პირმშო ძე ეჩვენებინა უცხო სტუმრისთვის. ქალი შეცბა, მაგრამ შალვას გაღიმებულ სახეს რომ შეხედა, გაკვირვებით დაეთანხმა.

— «სტუმარს აინტერესებს საფსმელი როგორ არის მოწყობილი აკვანში» მოურიდებლად მოუჭრა გაშინაურებულ მეზობელს შალვამ. თვალებგაბრწყინებულ ქალს ოდნავ ჩაეცინა და აკვანთან ახლოს მიდგმულ სკამებზე ჩამოსხა ორთავე. სულ ცოტა ხანში გაისმა სანატრელი ხმა. აკვანსგამობმულ გამჭვირვალე ქილაში დიდი ხმაურით სითხე იღვრებოდა. შალვამ სტუმარი აკვნის ქვეშ შეახედა და დაანახა მისთვის უჩვეული სანახაობა. სითხის ხმაური რომ შეწყდა, მხოლოდ მაშინ მოაცილა თვალი ქილას სტუმარმა. მეტისმეტი გაკვირვებით მეგობარ შალვას შეხედა და მიმართა:

— «Это что? Разве что, канализация?» ამ სიტყვების გაგონებაზე დიასახლისმა და შალვამ უნისონში გადაიხარხარეს. რუსი გაკვირვებით უცქერდა მათ და თვალებით განმარტებას ითხოვდა.

— «თუ არ დაიზარებ, მოაცილე ბავშვს არტახები და უჩვენე სტუმარს ქართული აკვანი თავის მოწყობილობებით» მორიდებით თხოვა შალვამ ახალგაზრდა დიასახლისს. დედიკო-ქალმაც არ დაიზარა და საფენებით გადაკრული ბავშვი მთლიანად გააშიშვლა. სტუმარი გაკვირვებით უცქერდა ბავშვს ფეხებ შუა, სადაც კოხტად ჩადგმული ნაცნობი ნივთი შენიშნა და მაშინვე თითქმის გაკვირვებით წამოიძახა:

— «Неужели Вы, грузины, курительную трубку для этой цели употребляете?

დედამ ამასობაში ბავშვის ონკანიდან გაათავისუფლა შიბაქი, ამოიღო და მოურიდებლივ თვალებთან ახლოს მიუტანა სტუმარს.

— «სწორედ ასეთი «კურიტელნაია ტრუბკა» თერთმეტი ცალი მიმაქვს ლენინგრადში საჩუქრად ჩემი მეგობრებისათვის», დაბეჯითებით თქვა

რუსულად და მომეტებული დაკვირვებით მიაჩერდა თვალებთან ახლოს მიტანილ შიბაქს. «არავითარი განსხვავება», ისევ წარმოთქვა თავის ენაზე და მოგვმართა:

— Что вы хотите этим сказать, то что я купил шибаки? დაგვეკითხა გაკვირვებით. სწორედ რომ მასეა! ჩავურუსულეთ ორივე ქართველმა.

რუსმა პროფესორმა გემრიელად გადაიცინა, გადმოგვხედა ჩვენ და გვითხრა:

— Как грузинские курительные трубки, эти шибаки я подарю своим друзям!

მხიარულმა დიასახლისმა წასახემსებლად მიგვიპატიჟა სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე.

4). «თარიხ-ე 'ალამ არაი-ე 'აბბასი» («ქვეყნის დამამშვენებელი შაჰ-აბასის ისტორია»)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის ჯგუფში, სადაც ვიღებდი უმაღლეს განათლებას, ლექციის წასაკითხად შემოვიდა ათლეტური გარეგნობის ბრწყინვალე შესახედაობის მამაკაცი, გაგვეცნო როგორც «ვალერიან გაბაშვილი» და შესანიშნავი ბარიტონული ხმით პირველი ლექცია ჩაგვიტარა აღმოსავეთის ქვეყნების ისტორიაში. იმ პირველ დღიდანვე მოკიდებული ხუთივე სტუდენტმა მეცნიერულად ჩვენი მომზადების გზამკვლევად დავისახეთ სანიმუშო ცოდნით დაჯილდოებული ლექტორი. იგი მომეტებულად ცდილობდა ყოველთვის დაგვხმარებოდა, რომ ირანის ისტორიის სრულყოფილ სპეციალისტებად ჩამოვყალიბებულიყავით. მაშინაც ჩვენი სიხარული უსაზღვრო იყო, როდესაც უნივერსიტეტის დამთავრების წელსვე ხუთივე კურსდამთავრებული ჩავირიცხეთ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლეთის ისტორიის გაყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სტუდენტობის წლების ჩვენი ლექტორი პროფესორი ვალერიან გაბაშვილი. დღე დღეს მისდევდა, ჩვენ კი უბადლო ხელმძღვანელის წყალობით ჩვენი საქმის ნამდვილ სპეციალისტებად ვყალიბდებოდით. რამოდენიმე ხანში დისერტაციების დაცვაც დავიწყეთ და ბოლოს და ბოლოს ვიგრძენით, რომ ვალერიან გაბაშვილის საკადრის სპეციალისტებად გვთვლიდა აღმოსავლეთის ისტორიის მეცნიერების აკადემიური სამყარო.

ერთ დღეს, ისე როგორც ყოველდღე თავჩაქინდრულები ვმუშაობდით. ფართო საწერ მაგიდასთან ბატონი ვალერიანი სამაგალითოდ შრომობდა. მაგიდაზე ეწყო თაბახის ფურცლები და სახელდახელოდ გათლილი ფანქრები. წერდა მხოლოდ ფანქრით, დიდი ასოებით და ერთ ცარიელ ფურცელზე მისი ნაწერი ხუთი თუ ექვსი სტრიქონი ეტეოდა. როცა სტატია მზად ჰქონდა, გადაიკითხავდა და ზოგჯერ ტექსტს ცვლიდა. ერთი ფურცლიდან ტექსტის ნაწილს ამოჭრიდა და სხვა ფურცელს მიაწებებდა. ან ფურცლის ზურგზე ჩაწერდა ახალ აზრს და ისრით უჩვენებდა თუ სად უნდა ჩასმულიყო. გაჭრა-გამოჭრას, მიწებება-ჩამატებას გულდასმით ეკიდებოდა და სახეზე ეტყობოდა, რომ ამგვარი სამუშაო სიამოვ-

ნებდა კიდეც. დღის პირველ საათზე განყოფილების თანამშრომელები სასადილოდ გავრბოდით სამსახურთან ახლომდებარე ვაჭრობის სამინისტროში. ერთ დღეს ისე მოხდა, რომ სასადილოდ არ გავყევი თანამშრომლებს და, მე და ბატონი ვალერიანი მარტონი აღვმოჩნდით დანარჩენ თანამშრომელთაგან დაცარიელებულ განყოფილების ოთახში. იმ პერიოდში ბატონი ვალრიანი სტატიას ამზადებდა შაჰ აბასის პერიოდის ირანისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ.

— რა უნდა გითხრათ, გულბად! მომმართა უეცრად. წიგნში ჩარგული თავი ამოვწიე და ვუპასუხე ხელმძღვანელს:

— გისმენთ ბატონო ვალერიან! წარმოვთქვი და სასმენად გავინაბე.

— როდესაც ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით აღმოსავლეთის ისტორიას ვიკვლევდი, ხშირად დავდიოდი თბილისის ბუკინისტურ მაღაზიებში სპეციალური ლიტერატურის შესაძენად. ერთ დღეს, შემთხვევით წავაწყდი ისკანდერ მუნშის ნაშრომის «თარიხ-ე ალამ არაი-ე აბბასი» ლითოგრაფიულ გამოცემას, რომელიც აუცილებლად უნდა შემეძინა ჩემი სპეციალობით მუშაობის წარსამართავად. ბუკინისტური წიგნების გამყიდველმა იმდენად ძვირი დამიფასა, რომ ფულის შესაგროვებლად დრო მჭირდებოდა. აი, ის დროც დადგა. ფულშეიარაღებული მივადექი სანუკვარ მაღაზიას. თვალებდაწყლიანებულმა ბუკინისტმა გულდაწყვეტით შემომჩივლა: «მაშინ, როცა იყავი, გეთქვა და შეგინახავდიო. დიდი ხანი არ არის რაც ის წიგნი გაიყიდაო». მე ელდა მეცა და აღარ ვიცოდი, რა მეღონა. ყველაფერი თითქოს გადატრიალდა ჩემს მეცნიერულ ცხოვრებაში. ის კი მოვიფიქრე დავკითხოდი, ხომ არ იცოდა ვინ იყიდა ის წიგნი. წიგნების მყიდველ-გამყიდველმა მიპასუხა: «ხელოვნებათმცოდნე ამირანაშვილმა შეიძინაო». ამის გაგონებაზე ორ წყალს შორის მოვექეცი და არ მეგონა ნაპირამდე გამოვტოპავდი კი საერთოდ.

ამ ნაამბობის მოსმენისთანავე გული სინანულით ამევსო და არ ვიცოდი რა მეღონა.

ამ ნაამბობიდან სულ ცოტა ხანში, 1971 წელს ბატონ ვალერიან გაბაშვილის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე მზადდებოდა. მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ერთი საქმით ვიყავით დაკავებული. საიუბილეო საღამოები, კომფერენციები, ალაფურშეტების მაღალ დონეზე უნდა წაგვემართა. ასეც მოხდა: იუბილე ბრწყინვალედ ჩატარდა. სწორედ ამ პერიოდში «თარიხ-ე ალამ არაი-ე აბბასის» გარშემო ბატონ ვალერიანის მონაყოლი გამახსენდა და დაუყოვნებლივ ვუამბე მამას, რომელიც საწერ მაგიდას მიმჯდარიყო. მამა მაშინვე წამოდგა, მივიდა ერთ-ერთ თაროსთან და ოდესღაც ბუკინისტებთან ნაყიდი ფართოფორმატიანი სპარსული წიგნი სათაურით: «თარიხ-ე ალამ არაი-ე აბბასი» გადმოიღო, გადმომცა და მითხრა:

— ბატონ ვალერიან გაბაშვილს მიუტანე, ჩემგან საჩუქრადო.

მამის სათხოვარი დაუყონებლივ შევასრულე.

XXXI

ქართული ოქრომჭედლობის ისტორიულ ნივთთა ადგილმონაცვლეობა კატეგორიულად დაუშვებელია!

მას შემდეგ, რაც ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობამ მთელი ევროპა შემოიარა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და კულტურის სამინისტრომ ერთობლივი წინადადებით მიმართეს შალვა ამირანაშვილს, რომ საჭიროა ქართული ოქრომჭედლობას გაეცნოს არა მარტო ევროპა, არამედ დანარჩენი მსოფლიოც, და თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც კი.

ამის თაობაზე ცეკა-ში დაბარებულმა შ. ამირანაშვილმა უპასუხა:

— საუკუნეებგამოვლილი ქართული ოქრომჭედლობის მასალების ადგილიდან დაძვრა სასტიკად დაუშვებელია და არავითარ შემთხვევაში არასდროს არ შეიძლება მოხდეს. ქართველი ხალხის მიერ შექმნილი თითოეული ძეგლი ყოველწლიურად განიცდის დაძველებას, შეუმჩნეველ ჩამოშლას და განუხრელ ეროზიას. ეს კი მოითხოვს თითქმის ყოველწლიურ რესტავრაციულ შველას და რაც მთავარია, აუცილებელ თვალყურს მათი დღევანდელი რაობის შენარჩუნებისათვის. თუ აქეთ-იქით ვატარეთ უნიკალური ქართული ძეგლები, მაშინ, ის რაც დღემდეა შემონახული, მათგან არაფერი დარჩება ქართველთა მომავალ თაობებს. საქართველოს კულტურით დაინტერესებული ყოველი მსურველი ევროპიდან და თუგინდ დანარჩენი მსოფლიოდან, უნდა ჩამოვიდეს საქართველოში და აქ გაეცნოს ქართველი ხალხის არსებობის დამადასტურებელ ყოველ ისტორიულ ძეგლს.

XXXII

1). შეხვედრა ხელოვნების დიდოსტატ ნინო რამიშვილთან

1964 წლის ნოემბრის შუა რიცხვები ცვლიდნენ ერთმანეთს. სამოცდახუთი წლის შალვა ამირანაშვილს, რომელსაც ბუნებით დადგენილი წესის მიხედვით შვილიშვილის შვილი უნდა ყოლოდა, პირველი შვილიშვილის დაბადებას ზეიმობდა. იმ დღეებში, დაიხელთავა «ლეჩკომბინატის» ნაცნობი ექიმი, რომელიც საღამოთი შვილიშვილს გააცნობდა. ჯერ კიდევ საღამოს ბინდი არ გადაეკრა ცას, როცა შალვა ამირანაშვილმა შეაღო ლეჩკომბინატის სამშობიარო ნაწილის ეზოდან შენობაში შესასვლელი კარი და მოსაცდელ ოთახში კედელს მიტმასნულ სავარძლისმაგვარ სკამზე ჩამოჯდა. მე რატომღაც ავედევნე მას და მოსაცდელში შემოსული რომ დამინახა, მხრები აიჩეჩა. მეც იგივე მოძრაობით ვუპასუხე და მის შორიახლოს დავდექი.

ცოტა ხანიც კი არ იყო გასული, რომ ლეჩკომბინატის ეზოდან შენობას მიტმასნულ ვესტიბიულში შემობრძანდა ქალბატონი ნინო რამიშვილი. ქართული ცეკვითი ხელოვნების სამაგალითო ოსტატმა და

ილიკო სუხიშვილთან ერთად შეუცვლელმა თაოსანმა თავისი სულიერი ბრწყინვალებით, შესამჩნევად აავსო ლეჩკომბინატის თითქმის ცარიელი მოსაცდელი ოთახი. ქართული ცეკვის უბადალო წარმომადგენელი ქალბატონი ნინო ხალხში იმდენად სახელმოხვეჭილი ხელოვანი იყო, რომ ყველა ქართველი და ყოველი საბჭოთა არაქართველი, აგრეთვე საზღვარგარეთელი მოტრფიალეც შეხედულობით ცნობდა ამ დიდებულ ადამიანს. ვესტიბიულში ნინო რამიშვილის შემოსვლისთანავე, მამაჩემი ვაჟკაცური მოძრაობით ფეხზე წამოდგა, მოწიწებით და გულწრფელობის აშკარა გამოხატვით მიესალმა ქართველი ხალხის სასახელო პიროვნებას. ქალბატონმა ნინომ, მისთვის დამახასიათებელი მოხდენილი ღიმილით მოიკითხა შალვა, და იმ მომენტში ერთადერთი დასასმელი შეკითხვაც თამამად დაუსვა:

— ჩემო შალვა, აქ რას აკეთებთ? მაინც მოკრძალებით შეეკითხა ქალბატონი ნინო და ოსტატურად დაჩვეული გაღიმებული სახით შალვას შეაცქერდა.

— ამ დღეებში ბაბუა გავხდი, იმერულ ყაიდაზე უპასუხა შალვამ და მორიდებით განაგრძო: შვილიშვილის სანახავად მოვედი! უპასუხა მართლადაც ოდნავ აღელვებულმა შალვამ.

— რას ამბობთ შალვა, წუხელ მეც ბებია გავხდი და აი, ჩემი პირმშო შვილიშვილის სანახავად მოვედი! სხარტად უპასუხა ქალბატონმა ნინომ და ერთად ჩამოსხდნენ სავარძლისმაგვარ სკამებზე.

— ჩემო შალვა, შვილიშვილად ბიჭი შეგეძინათ თუ გოგო? მართლაც ინტერესით ჩაეკითხა ნინო.

— ბიჭია, მოკლედ უპასუხა შალვამ.

— ოო! თუ მასეა საქმე, თქვენ შვილიშვილს თქვენი სახელი არ ასცდება ნამდვილად, თქვა ნინომ და უნისონში გაუღიმეს ერთმანეთს შვილიშვილებად დაბადებული ახალი სიცოცხლეებით ნასიამოვნებებმა.

რამოდენიმე ხანს, ქალბატონი ნინო შალვასაგან შეკითხვას ელოდებოდა. შალვაც ცდილობდა შეკითხვის დროზე დასმას, მაგრამ მეტისმეტი მორცხვობის გამო აგვიანებდა. ამ დროს ნინომ შეუკითხავი კითხვის საპასუხოდ პირდაპირ დაიწყო:

— მე და ილიკოს შვილიშვილად, გოგო შეგვეძინა. შვილმა თენგიზმა სახელის შერჩევა მე დამავალა. მართლაც რომ ჩვენი სურვილები დაემთხვა ერთმანეთს. ქართველი ქალისთვის ნინოზე უკეთესი სახელი არ არსებობს. სადღაც, შორეულ მომავალში, მან უნდა გააგრძელოს ილიკოსა და ჩემს მიერ ფუძეჩაყრილი საქმე. შვილიშვილის სახელი და გვარი: ნინო სუხიშვილი, სამარადისოდ სულიერად გვაერთიანებს ჩვენ ორივეს.

შალვა მორიდებული ღიმილით პასუხობდა მაღალი კულტურის დაყოლებით ნათქვამ ნინო რამიშვილის მიერ ოქროდ ნაქარგ სიტყვებს.

შემდეგ ერთმანეთთან განაგრძეს საუბარი, რომელიც მე აღარ მესმოდა.

ჩემთვის მოულოდნელად მამამ ხელით მანიშნა, რომ მათთან მივსულიყავი და მეც ჩქარი ნაბიჯით მივუახლოვდი. უზომო თავდაბრით მივესალმე ქალბატონ ნინო რამიშვილს, რომელმაც გულწრფელად გამიღიმა და მომილოცა მამობა. მეც ტუჩებგაუხსნელი ღიმილი შევაგებე სასიამოვნო გამომეტყველების ქართულ მშვენებას. ქალბატონმა ნინომ მოურიდებლად ამათვალ-ჩამათვალიერა ჯერ ზემოდან ქვემოთ, მერე ქვემოდან ზემოთ და თან რაღაც კითხვებს მისვამდა, რომლებზედაც მე ღიმილით უნდა გამეცა პასუხი, ხოლო მე თავდაჭერილად და ყოველნაირი ღიმილის გარეშე ვპასუხობდი.

ჩემი ფიზიკური ნაკლი (უსწორმასწოროდ დაგრეხილი კბილები) ყოველთვის რაღაცაში ხელს მიშლიდა. ტანფეხი ნორმალური სიმეტრიის მქონდა, ევროპულ და ქართულ ცეკვებსაც კარგად ვცეკვავდი და თან ჩემ მიერ გამოგონილ ილეთებსაც მოხდენილად ვამატებდი. ქალბატონ ნინოს მაშინვე შევატყვე, რომ ცდილობდა ჩემს გაცინებას, მე კი ჯიუტად არც კი ვიღიმებოდი მასთან საუბრის დროს. შემდეგ, თითქოს თავი გამანება, შალვას მიუბრუნდა და რაღაც კითხვები დაუსვა. შალვაც ტუჩების ოდნავი მოძრაობით პასუხობდა. ქალბატონი ნინო მოულოდნელად ჩემკენ შემოტრიალდა და რაღაც უცნაურად გასაგები წინადადებით მომმართა. მეც თავი ვეღარ გავაკონტროლე და ყურებამდე გახსნილი ტუჩებით წამსკდა სიცილი. ქალბატონ ნინოს სახე მოეღუშა, შუბლი ოდნავ შეიჭმუხნა და ვიგრძენი, რომ სინანული თვალებზევე დაეტყო. მე, ჩემი ფიზიკური მონაცემების გამო ბოლომდე დათრგუნულმა, ზურგი შევაქციე ხელოვნებით გატაცებულ ორ მოსაუბრეს და ნელი ნაბიჯით გავედი ვესტიბიულიდან.

სახლში დაბრუნებულმა მამამ შემომიტია:

— რას გარბიდი. შენ გეძებდით. მე და ქალბატონმა ნინომ ერთად ვნახეთ ჩვენი შვილიშვილები. უცნაური სულმოსილება დაგვეუფლა ორივეს. ბუნების დაუწერელ კანონის ფარგლებში მოვექეცით შვილიშვილებთან ერთად. ასეთი განცდა მარადიულობაზე მეტად ფასობს. ჩვენს ამ გაურკვეველი უცნაურობის ტყვეობაში აღმოვჩდით: ვიგრძენით, რომ ჩვენი სისცოცხლე და ხელოვნება გაგრძელდებოდა მომავალში. დაუსაბამო სიცოცხლეს ჩვენი გარდასახვით მოემატა აზრი. ნინომ თავის პირმშო შვილიშვილს რომ შეხედა, ახალი ნინო ამოიცნო მასში. მე რომ შენს ბიჭს შევხედე, თვალებს არ დავუჯერე. ზუსტად დაპატარავებული შენ იყავი. იგივე სიხარულით აღვივსე, როცა შენ დაიბადე.

2). არქეოლოგი ოთარ ჯაფარიძე და ხელოვნებათნცოდნე შალვა ამირანაშვილი

1955 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზე არქეოლოგიის საფუძვლების შესახებ ლექციის წასაკითხად აუდიტორიაში შემოვიდა ახალგაზრდა ლექტორი, დოცენტი

ოთარ ჯაფარიძე. სიმეტრიულად ანტიკური ქანდაკებასავით ჩამოსხმული გარეგნობის მქონე და სრული მამაკაცური იერით ბუნებრივად დაჯილდოებული პიროვნება შესაშური ღიმილით მოგვესალმა ორმოცდაათ ახალბედა სტუდენტს. მაღალფარდოვანი ქართული ენის შესანიშნავი ცოდნით ლექტორმა არქეოლოგიას გვაზიარა გასუსულად მსმენელი ყოველი სტუდენტი. აქსიომად არის ქცეული, რომ სტუდენტი ყოველთვის გრძნობს ლექტორის მეცნიერული მომზადების დონეს და შესაბამისი გატაცებით უსმენს მას. ბატონი ოთარი, სწორედ ისეთი ლექტორი იყო, რომ მაქსიმალური ყურადღება გვეუფლებოდა მის ყოველ ლექციაზე და ყოველ მის ნათქვამ სიტყვას იმთავითვე ვითვისებდით. ოთარ ჯაფარიძეს სამაგალითო მეცნიერად მიიჩნევდა ყოველი ჩვენთაგანი, რომელიც იმედოვნებდა მიმსგავსებოდა საგნის სრულყოფილი ცოდნით დაჯილდოებულ პიროვნებას.

როგორც გვიან შევიტყვეთ, მისი თანატოლი ლექტორები ბერძნულ ქანდაკებას ამსგავსებდნენ ბატონ ოთარს და ზედმეტ სახელადაც «აპოლონს» ეძახდნენ. როგორც მე, ისე ბევრმა ჩვენთაგანმა არქეოლოგიის საფუძვლები ფრიადზე ჩავაბარეთ. მაგრამ სავალალოდ, ოთარ ჯაფარიძის მიერ წაკითხული ლექციებიდან დღემდე მახსოვს მხოლოდ ორი რამ: გამოჩენილი ფრანგი არქეოლოგის გვარი და სახელი: «გაბრიელ დე მორტილიე», რასაც ბატონი ოთარი თითქმის ყოველ ლექციაზე იმეორებდა, და მეორე: ხანდახან ლექციის კითხვის დროს მივიდოდა ნათურის ჩამრთავთან და სინათლის ანთება-ჩაქრობით, ასე ვთქვათ ერთოობდა. მე აშკარად მახსოვს და ეს უჩვეულო მისი რიტუალი მასაც ემახსოვრება უთუოდ. რა მუღამი ჰქონდა ამას, დღემდე ვერ მიმხვდარვარ. ახლა კი, ამ სტრიქონების წერის დროს ვხვდები, რომ ბატონი ოთარი მისი ლექციის დროს ერთმანეთში დაბალი ხმით მოსაუბრე სტუდენტებს აფრთხილებდა, ხელს ნუ მიშლითო.

უთუოდ საჭიროა ითქვას, რომ ოთარ ჯაფარიძის არქეოლოგად ჩამოყალიბებას ამ დარგისადმი მისი მიდრეკილების გარდა, ხელი შეუწყვეს საგნის მაღალკვალიფიციურად მცოდნე მეცნიერებმა: გამოჩენილმა ქართველმა არქეოლოგმა გიორგი ნიორაძემ და ქართული არქეოლოგიის რუსმა წარმომადგენელმა ბორის კუფტინმა. ამ ორი დიდი მკვლევრის ნაშრომებზე აღზრდილმა ოთარ ჯაფარიძემ თავის ახალმეცნიერული სიტყვა თქვა ქართული არქეოლოგიის წინსვლისა და განვითარების საქმეში. ამას გარდა, ოთარ ჯაფარიძის უთუო საზრუნავს წარმოადგენდა მომავალი თაობის მეცნიერებად აღზრდა უნივერსიტეტში, რასაც დიდსულოვნებით ეკიდებოდა.

წლების მანძილზე გაწეული შრომითი რუდუნების შედეგად ოთარ ჯაფარიძე ერთპიროვნუად გადაიქცა საქართველოს არქეოლოგიის ნამდვილ მემატიანედ. აქვე უნდა ითქვას, რომ იგი იმდენად სამაგალითო არქეოლოგი იყო, რომ თვალმიუწვდომელ ტრიალ მინდორზე გასული, მხოლოდ ერთი შეხედვით დაუყოვნებლივ აღმოაჩენდა იმ ნასახლარ ადგილს, სადაც კი არქეოლოგები უნდა შედგომოდნენ გათხრებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული არქეოლოგიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოთარ ჯაფარიძე და ხელოვნების მუზეუმი, სადაც დირექტორობდა შალვა ანირანაშვილი ერთობლივად ხშირად აწყობდნენ არქეოლოგიურ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

რომელიღაც ერთი წლის ზაფხულს, თბილისის უნივერსიტეტისა და ხელოვნების მუზეუმის მიერ დაიგეგმა ერთობლივი ექსპედიცია ახალიათონის მთიან ფერდობზე, რომელიც «ეშერა» სახელით არის ცნობილი. წინასწარი დაზვერვითი მონაცემებით ეშერაში უნდა არსებულიყო ათასწლეულების მიღმისდროინდელი უძველესი ნამოსახლარი, რომლის არქეოლოგიურ მასალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა სამხრეთ კავკასიის ხალხთა ერთობლივი თანაცხოვრებისა და საერთო განვითარების ისტორიის შესასწავლად.

სწორედ ამ ექსპედიციის მომზადების დროს, ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილმა თხოვა ექსპედიციის ხელმძღვანელს ოთარ ჯაფარიძეს, რათა მისი უსაქმური შვილები წაეყვანა არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის მიღების მიზნით. ამ იდეას სიამოვნებით დაეთანხმა ბატონი ოთარი, რომელსაც ჭკუაში დაუჯდა თავის სკოლისასაკის შვილების წაყვანაც ამ მიმზისველ ექსპედიციაში.

ივლის-აგვისტოს პერიოდში მთიანი აფხაზეთის ეშერად წოდებულ დამრეც ფერდობზე კარვები გავშალეთ და შევუდექით ექსპედიციურ ცხოვრებასა და გათხრითი სამუშაოების წარმოებას. ბრწყინვალე ხელმძღვანელი გამოდგა ბატონი ოთარი, არაფერს არ იზარებდა და ყოველდღიურად გასაკეთებელი საქმის არა მხოლოდ მეთავე, არამედ აქტიური მონაწილეც იყო.

იმ წელს, ჩვენი არქეოლოგიური დაჯგუფების წევრები იყვნენ:

თვით ხელმძღვანელი ოთარ ჯაფარიძე, რომელსაც მთელი ექსპედიცია «აპოლონ ბელვედერსკის» ვეძახდით; ხელოვნებათმცოდნე ოთარ სანებლიძე, რომელსაც მთელი მსოფლიო «ტორქსინას» ეძახდა; ნოდარ იაკობაშვილი, რომელსაც ჩვენ «ივ მონტანს» ვამსგავსებდით; ზემოიმერელი არქეოლოგი ჯურხა ნადირაძე, რომელიც ზედმეტი სერიოზულობით გამოირჩეოდა; თავმომწონედ მომღიმარი სახის და ენამოსწრებული ამირან ჩხარტიშვილი; ყველაფრის მცოდნე და სიტყვაამყოლად მოსაუბრე მერი გაჩეჩილაძე; ასევე მხარს გვიმშვენებდნენ ფოტოგრაფი ლეონიდე, მთამსვლელი ალიოშა და კიდევ სხვებიც.

ბატონი ოთარის შვილმა შვიდი თუ რვა წლის ნანამ ძმებ ამირანაშვილებს კუკურინი და ბუხუნინი შეგვარქვა და მთელი ექსპედიცია გვარისმაგვარ ამ სახელებს გვეძახდა აკადემიკოსის შვილებს.

არქეოლოგიური მუშაობა მიდიოდა მთელი სერიოზულობით. ბატონი ოთარის სიყვარულით ყველა ვმუშაობდით მომეტებული მონდომებით. საღამოობით არქეოლოგიურ ფენებში ამოთხვრილები, მანქანას (რომელსაც ბატონმა ოთარმა შეარქვა «კატერინა»), ჩავყავდით ახალი ათო-

ნის სანაპიროზე და ზღვის ტალღებს ვესტუმრებოდით. მთელი სანაპირო (განსაკუთრებით ქალები) უყურებდა და ტკბებოდა ბატონი ოთარ-აპოლონის ცურვის კლასიკური სტილით.

ერთ დილით, ექსპედიციის ყოველი წევრი სამუშაოდ რომ მივდიოდით, ერთი არასასიამოვნო ამბავი მოხდა. ჩვენთან ერთად გათხრებზე დადიოდნენ ბატონი ოთარის შვილები: კახა და ნანა. გზად სოფლის ორღობეში რომ გავდიოდით, რომელიღაც სახლის დარაჯმა, შავ-თეთრა ფერის ძაღლმა ჩვენს შორის შეარჩია სასიამოვნოდ ჩასაკბეჩი ბავშვი ნანა ჯაფარიძე და მოურიდებული კბენა-კბენით ჩაიგემრიელა პირი. ნანას ატირებულ ხმაზე, გათხრებზე წასვლა საერთოდ დაგვავიწყდა. მივცვივდით ბავშვს და რითი უნდა გვეშველა მისთვის, არც გვაფიქრდებოდა. ნანა კი თითქმის უიმედოდ გაიძახოდა: «მტკივა, და რა ვქნა! მეწვის და რა ვქნა!». ყველას დაგვეწვა გული, ყაბულს ვიყავით რომ ნანას მაგიერ რომელიმე ჩვენთაგანისათვის, ან თუნდაც მთელი ექსპედიციისათვის ეკბინა ან დავეგლიჯეთ იმ მამაძაღლ ძაღლს. ბატონმა ოთარმა ერთი კი გვითხრა: «თქვენ გათხრებს მიხედეთ» და ბავშვთან ერთად სოხუმში ჩავიდა. საღამო ხანს, ფეხზე ბინტგადახვეულ ნანას ვუსურვეთ მალე გამოჯანმრთელება. ის კი, თავის მწუხარების ამარა, გვიყურებდა აცრემლებული თვალებით.

ამ შემთხვევიდან ზუსტად მეორე დღეს მთელი ექსპედიცია სიხარულით შევხვდით ენეოლითოსის ხანის (ჩვ. წ.-მდე III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისის პერიოდის) არქეოლოგიურ ფენებში მონოლითი ქვების ფილებისაგან შემდგარი გადახურული ოთხკუთხა სამარხის ე. წ. «დოლმენის» აღმოჩენას.

იმ წამსვე ექსპედიციის ხელმძღვანელი ოთარ ჯაფარიძე დაუკავშირდა შალვა ამირანაშვილს, რომელმაც საქართველოს მთავრობის და აფხაზეთის ავტონომიურ მთავრობის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე მიიღო ნებართვა «დოლმენის» თბილისში გადმოტანის შესახებ.

მეტად შთამბეჭდავი იყო ის დღე, როდესაც ოთხი ათასზე მეტი წლის წინანდელ ჩვენ წინაპართა ძვლებით, ასევე საბრძოლო და საოჯახო ინვენტარით სავსე სამარხი დაძრეს ადგილიდან და საქართველოს დედაქალაქში მიუჩინეს ბინა.

დოლმენის გადმოტანის დროსაც ერთი მეტად დასამახსოვრებელი ამბავი მოხდა. ამწე «კრან»-მა, დოლმენის ხუთტონიანი ბრტყელი ფართოფორმატიანი ქვები თავისუფლად მოათავსა სპეციალურ მანქანა «ტრაილერზე», ხოლო სამარხი აკლდამის ასოცკილოგრამიან საცობს, მანქანის ძარაზე რომ მოეთავსებინათ, ვერადავერ შეაბეს ტროსი. ექსპედიციის მონაწილე «ვაჟკაცი» ქართველები წაეჭიდნენ საუკუნეებგამოვლილ ქვის საცობს, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს. ამ დროს ეშერას აფხაზმა მაცხოვრებლებმა, რომლებიც ქართველების წვალებას სინანულით უყურებდნენ, წამოიყვირეს: «ხაჩიკას დაუძახეთ, ხაჩიკას». მართლაც, რამოდენიმე ხანში გამოჩნდა ჩაფსკვნილ-დაკუნთული სომეხი კაცი, რომელმაც ქვის საცობს ჯერ ხელი მოფერებით გადაუსვა, მერე

დაწვდა, ორივე მკლავით შემოეხვია და ერთი აწევით გულზე მიიხუტა. სომეხი კაცის შიშველი ზედატანი გაოფლილ ერთკუნთად გადაიქცა, რომელიც მზის სხივებზე ბრწყინავდა. ქართველების მსხნელმა სომეხმა ნელი მოძრაობით საცობი მანქანამდე მიიტანა და დამატებითი ძალღონის მოშველიებით მანქანის ძარაზე მოათავსა. ექსპედიციის გახარებულმა ხელმძღვანელმა ბატონ ხაჩიკას სამადლობელოდ ფული შესთავაზა, რაზეც ხაჩიკამ უარი განუცხადა და ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა.

საღამოხანს, ექსპედიციის თავკაცები საპურმარილოდ ჩაჯდნენ «ბესეტკა»-ში, სადაც მათ მხარს უმშვენებდა აფხაზეთის მზით გარუჯული სომეხი ხაჩიკა.

3). შალვა ამირანაშვილი და ეროსი მანჯგალაძე (შალვას უკანასკნელი ზაფხული ქობულეთში)

როგორც ყოველი წლის ზაფხულის უკანასკნელ თვეს, ისე იმ უკანასკნელი წლის აგვისტოშიც, შალვა ამირანაშვილი ისვენებდა ყოველწლიური განრიგით მორგებულ ქობულეთში, ჯანმრთელობის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს სანატორიუმში. უზმოზე, სისხამ დილით ექიმის მიერ დანიშნულ პროცედურებს ასრულებდა ზღვის ტალღებში, ხოლო საღამოობით ზღვისპირა ხეივანში სეირნობდა მობერებულ ძმაკაცებთან ერთად. სამ დღეში ერთხელ ექიმს დაბარებული ჰყავდა თავისთან კაბინეტში და გაჯანსაღებისთვის მორგებულ დარიგებებს აძლევდა შესასრულებლად. მე დასიცხულ თბილისში ვიყავი, როცა მამამ დამირეკა და მასთან ჩასვლა მთხოვა.

საკუთარი ოჯახის საქმეებით თავმობეზრებულმა ერთგვარი შვება ვიგრძენი. მეორე დღის დილაადრიან უკვე, ზღვის სანაპიროზე ვიდექი და სიამოვნებით შევცქეროდი ზღვის ლივლივა ზედაპირზე მობანავე ლოყებგაბერილ შალვას. დამინახა თუ არა, გამიღიმა და ხელის აწევით მომესალმა.

მართლადაც დაუვიწყარია დღესაც ის თორმეტი დღე, რომელიც მამასთან ერთად უსაზღვროდ სასიამოვნოდ გავატარე იმ დროს ჩემგან დაუფასებელ ზღვისპირა სამოთხეში. ყოველ დამსვენებელს სურდა გამოსაუბრებოდა შალვას, მისგან მოესმინა წარსულთან დაკავშირებული სხვადასხვა საინტერესო ამბები, ანდა უბრალოდ მისალმებოდა მის გულღია კეთილშობილებას. ერთ საღამოს ლექციაც წააკითხეს ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილისა და საფრანგეთში გატანილი ქართული განძის დაბრუნების შესახებ. მომხსენებელი სიამოვნებით იხსენებდა ისტორიად ქცეულ წარსულს. მომეტებული აღფრთოვანებით ესაუბრებოდა მსმენელებს ექვთიმე თაყაიშვილის თავდადების შესახებ, რომელმაც ქართული საგანძური უკლებლივ შეუნარჩუნა და ჩამოუტანა ქართველებს. იმ ოცდაოთხწლიანი გაუსაძლისი ემიგრაციის დროს, საფრანგეთში გატანილ ეროვ-

ნულ სიმდიდრესთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოდან წასული ცოცხალი განძი იყო, რომელიც დე გოლისა და სტალინის ძალისხმევით ეროვნულ საგანძურთან ერთად დაუბრუნდა დედა საქართველოს.

იმ დროს, ჩვენთან ერთად ამავე სანატორიუმში ისვენებდა შალვას მეგობარი მწერალი სანდრო შანშიაშვილი და მისი ქალიშვილი მხატვარი ელენე შანშიაშვილი. ქალბატონმა ელენემ მიიპატიჟა შალვა თავისთან და რამოდენიმე სეანსში მისი ფერწერული პორტრეტი შეასრულა. მე რომ სურათი ვნახე, საოცარი მსგავსება შევამჩნიე. მართლაც რომ შალვას ორეული მიცქერდა ოთხკუთხა ჩარჩოდან. მე ახლაც მადლობის გრძნობით ვარ გამჭვალული ქალბატონ ელენესადმი, რომელმაც შალვა ამირანაშვილის გარდაცვალებიდან ცოტა ხანში, მის მიერ შექმნილი «შალვას პორტრეტი» სახსოვრად გადასცა ჩემი დას ნათელას და მის მეუღლეს გივი გუმბარიძეს. იმთავითვე სურათში ის აზრი ჩაქსოვდა, რომ შალვამ ჩვენს დიდ ოჯახში გააგრძელა სიცოცხლე. ასეთი ორიგინალური ქცევით ქალბატონმა ელენე შანშიაშვილმა უსაზღვრო მეგობრული სიყვარული დაუტოვა შალვას ოჯახს, სადაც მადლობის გრძნობა მხატვრისადმი დღესაც ღვივის მაშინდებურად.

დაუწერელ კომედიას ჰგავდა სისხამ დილით შალვას შეტოპვა ზღვაში. ხანდახან მობანავეთა აუწერელ ყურადღებას იქცევდა, შალვას «ტრუსიდან» გამოვარდნილი ინსტრუმენტი. ამის გამო, «პლავკებში» კოხტად გამოწყობილ მობანავეთა თავშეუკავებელ ღიმილს შეუცნობელი ღიმილითვე პასუხობდა შალვა. ერთ ადრიან დილით, ზღვაში შეტოპვისთანავე, შალვას ახლომახლო მობანავეები სასწრაფოდ ამოცვივდნენ წყლიდან. მეორე დილითაც გაიმეორეს ასეთი უცნაური საქციელი. მესამე დღეს შალვა შეეკითხა, თუ რატომ იქცეოდნენ ამგვარად. მეგობრებმა უნისონში უპასუხეს: «თქვენ რომ შემოდიხართ წყალში, გვეშინია, ზღვა არ გადმოპიპინდეს და არ დავიხრჩოთო». ამის თქმაზე ყველამ ერთად სიამოვმებით დიდხანს იცინა.

ერთ საღამოს ბულვარზე გასასეირნებლად გასული შალვა ისეთ წვიმაში მოხვდა, კასრიდან რომ ერთბაშად გადმოასხამ წყალს. თავი ვერსად შეაფარა და თავიდან ფეხებამდე გასაწური შემოვიდა ოთახში. გატიტვლებული შალვა კარგად გავამშრალე და მეორე ხელი ტანსაცმელი ჩავაცვი. ამასობაში გამოიდარა კიდეც და ჩამავალმა მზემაც გამოაჭყიტა თბილი სხივებით. მშალ ტანსაცმელში მოთავსებული შალვა მომეტებული სიხარულით სანატორიუმის ეზოში თამამად მიმოდიოდა და წვიმისაგან დასველებულ ყოველ შემხვედრ ნაცნობს სასიამოვნო მისალმებით უღიმოდა.

თბილისში გამომგზავრების წინა დღეს მაღაზიაში გაყოლა მთხოვა. თავის დიდი ოჯახის დიასახლისებისთვის საჩუქრად ახალმოდური უთოები და ნაირფერებით ამოქარგული წინსაფრები იყიდა.

ქობულეთიდან წამოსვლის დღე კი მტკივნეულად აღვიქვით ორივემ: მამამ და შვილმაც. და ამასთანავე, იმ დღის პირველი ნახევარი თითქოს მელანქოლიურადაც წარიმართა. დილაადრიან ზღვისპირეთს უკანასკნელად ვესტუმრეთ. დამშვიდებული თბილი ტალღებიც მოფერებით გვეალერსებოდა. (იმ დროს ვერც გავიაზრებდით, რომ ის დილა უკანასკნელი აღმოჩნდებოდა შალვასთვის, და ასვე ჩემთვისაც, რადგანაც მამის გარდაცვალების შემდეგ ქობულეთს საერთოდ არ გავკარებულვარ და არც გავეკარები არასოდეს, დარჩენილი ჩემი სიცოცხლის ბოლომდე). ცოტაოდენ ზედმეტად დიდხანს ვლივლივებდით წყალის ზედაპირზე. ძლივს მოვწყდით წყლით სავსე საოცრებას და, დაქანცულები, და ფეხებდამძიმებულები გამოვედით ქვიშიან ნაპირზე. წამოსვლისას, ბოლოჯერ შევავლეთ თვალი ჰორიზონტამდე თვალწვდენილ ზღვას და მადლობის ნაცვლად ზურგი შევაქციეთ მომფერებელ ზღვისპირა ტალღებს.

ვისაუზმეთ ჩვეულებრივ. შემდეგ მამამ გასწია ექიმის კაბინეტისკენ, საიდანაც მალე დაბრუნდა და ყურში ჩამჩურჩულა: «ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზეა, ამასთან, ყოველდღიურად დილის ვარჯიშები გამომიწერა და ასევე მთელი დღის განმავლობაში ჩემთვის სასურველ დროს, სუნთქვითი ვარჯიშებიც დამინიშნა».

დილის გახანგრძლივებული მაციონის შემდეგ ცოტა ხნით ტანსაცმელჩაცმული წამოწვა. თხელი საბანი მაინც გადავაფარე და 15-20 წუთით დაიძინა კიდეც. შემდეგ ჩიტივით წამოფრინდა და სანაპირო ნაძვნარში გასასეირნებლად მოემზადა. რატომღაც მეც თან გამიყოლა და მეტად დაწყნარებულმა, აუჩქარებელი ნაბიჯით დაიწყო სეირნობა.

ამ დროს, სად იყო და სად არა, ჩვენ პირისპირ აღმოჩნდა ქართველი ხალხის უზომოდ სასიყვარულო ადამიანი, მსახიობი და ფეხბურთის უბადლო კომენტატორი ეროსი მანჯგალაძე.

— ჩემო შალვა! დაიჭექა ეროსიმ და ორ მეტრამდე სიმაღლის ორი ბუმბერაზი გადაეჭდო ერთმანეთს. ისეთი სიძლიერით ჩაეხუტნენ, რომ ლამის დედამიწა ზანზარს დაიწყებდა. ხელგადახვეულებმა ერთად განაგრძეს გზა. მათი ღიმილნარევი საუბარი იმდენად ხმამაღლად იფრქვეოდა, რომ გამვლელ-გამომვლელნი სიამოვნებით შესცქეროდნენ მათ და ძალაუნებურად ისმენდნენ ორი ქართველის გულახდილ საუბარს. ემოციები მეტად ამოძრავებდა მსახიობ ხელოვანს, ხოლო თავშეკავებულ ხელოვნებათმცოდნეს მხოლოდ სახეზე ემჩნეოდა მასში დადუღებული გრძნობები.

სანატორიუმის შენობას რომ მიუახლოვდნენ, დამსვენებლები უკვე ნელი ნაბიჯით სასადილოს უახლოვდებოდნენ. ისინიც შეუერთდნენ უსწორმასწოროდ მიმავალ მწკრივს და შალვამ თავის სუფრასთან მიიპატიჟა მეგობარი ეროსი. სასადილოს მიმტანმა შეუმჩნია შალვას ეს პატივისცემა და მე მიმიყვანა ეროსი მანჯგალაძისათვის განკუთვნილ სუფრასთან. ვახშამიც ასეთნაირად წარიმართა.

ამასობაში მოახლოვდა ჩემი და მამაჩემის გამომგზავრების დროც. სანატორიუმში ხმა გავარდნილიყო, რომ შალვა ამირანაშვილი მიდის თბილისში, და თითქმის მთელი სანატორიუმი გამოეფინა გამოსამშვიდობებლად. ემშვიდობებოდნენ შალვას, მე კი ყურადღებასაც არავინ მაქცევდა. ისე, კანტი-კუნტად, თუ ვინმე ხელს ჩამომართმევდა. სანატორიუმის დირექტორმა, მთავარმა ექიმმა შავი «ვოლგა» შესთავაზა შალვას სადგურში წასასვლელად. როცა მანქანის საბარგულში ბარგს ვათავსებდი, ეროსი და შალვა ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს. ყველა მათ უყურებდა. ამ დროს გაისმა ეროსის მჭექარე ხმა:

— ჩემო შალვა, რამდენ ხანს ისვენებდით აქ?

დამსვენებლები თორმეტი დღით ჩამოდიოდნენ ზღვაზე, დანარჩენ დროს კი ან მთას მიაშურებდნენ, ანდა ბუნებას მიტმასნულ თავთავიანთ აგარაკებს ესტუმრებოდნენ. აკადემიკოს კაც შალვას არასდროს არ ჰქონია საკუთრებაში აგარაკი და ამიტომაც, ზღაზე დასვენებისათვის ოცდაოთხდღიან პერიოდს დამსახურებულად ითავსებდა. ეროსი მანჯგალაძის შეკითხვის გაგონებისთანავე შალვამ თავი მორცხვად ოდნავ დახარა და გატრუნული ხალხის გასაგონად ძლივს წაილუღლუღა:

— ოცდაოთხი დღე!

შალვას გასაცილებლად გამოფენილ ხალხს ხალისიანი ღიმილი ტალღასავით ერთიანად გადაევლო პირსახეზე. გულგახსნილმა ეროსიმ კი ბანში გარდამავალი ბარიტონით მოურიდებლად იგრიალა:

— ხალხნო! შალვა ამირანაშილმა ოცდაოთხი დღე დაისვენა და ამ ოცდაოთხ დღეში შეჭამა ორმოცდარვა კატლეტი! (სადილად ასათვისებელ მეორე კერძს ყოველდღე ამშვენებდა ორი კატლეტი მაკარონის, ვერმიშელის ან წიწიბურას გარნირთან ერთად). სიცილ-ხარხარი უეცრად წასკდათ შალვას ირგვლივ შეკრებილ დამსვენებლებს, ისინი უღიმოდნენ მორცხვ და მორიდებულ შალვას, და უსაზღვროდ ემადლიერებოდნენ მის კეთილშობილებას.

ეროსი და შალვა ჩაეხუტნენ ეთმანეთს ისეთი სიძლიერით, რომ თითქოს მიწა ისევ აზანზარდა, როგორც დილით სანაპიროზე შეხვედრისას. ახალგაზრდული ენერგიით ფრთაშესხმული ეროსი მიეხმარა შალვას მანქანაში ჩაჯდომისას. მანქანამაც იგრძნო შალვას სიმძიმე და საგრძნობლად დაიწია ქვემოთკენ, ისე რომ ბორბლებსაფარი ბორბლებს შეეხო. მძღოლმა მანქანა ძლივს დაძრა. იქ შეკრებილი დამსვენებლები შეძახილებით და ხელის ქნევით ემშვიდობებოდნენ გულაჩუყებულ შალვა ამირანაშვილს.

უკანონო კანონიერებას ყოველთვის თავისი გააქვს და თანაც ნაადრევადაც. მომდევნო წლის თებერვალში მთელი თბილისი ემშვიდობებოდა ხელოვნების მუზეუმის შენობიდან გამოსვენებულ შალვა ამირანაშვილს, ერთი ხელოვნებათმცოდნის გარდა, რომლის სიხარულიც უსაზღვრო იყო.

XXXIII

1). ჩვენი გვარის წარმომავლობა

XVII ს-ის მიწურულს, აფხაზეთის შერვაშიძეების საგვარეულოს მთავართა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ზეგნაყმა მის სამ ვაჟიშვილს სამემკვიდრეო მფლობელობაში დაუდგინა: **1)**. კოდორის ხეობა დაუმტკიცა უფროს ძეს, როსტომს. **2)**. მდინარეების: კოდორისა და ღალიძგას შორის მოთავსებული ტერიტორია, (რომელსაც მოგვიანებით «აბჟუა» ეწოდა), მიაკუთვნა შუათანა შვილს, ჯიღეშიას. **3)**. მდინარეების: ღალიძგასა და ინგურს შორის მოთავსებული მიწა-წყალი, (რომელსაც მოგვიანებით «სამურზაყანო» შეერქვა) არგუნა უმცროს შვილს ყვაპუს.

დასავლეთ საქართველოს ანუ შავიზღვისპირა საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ყვაპუს ძე მურზაყან შერვაშიძის (ჩაჩბას) უფროსმა მემკვიდრემ ხუტუნია შერვაშიძემ (ჩაჩბამ) სამურზაყანოს მკვიდრ აფხაზთაგან შემდგარი შეიარაღებულ მეომართა რაზმით, 1757 წლის 14 დეკემბერს, კვირადღეს აქტიური მონაწილეობა მიიღო იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1752-1784) ლაშქრობაში თურქ-ოსმალთა და მათთან გაერთიანებულ მოღალატე ქართველთა (თავადი ლევან აბაშიძე და რაჭის ერისთავი როსტომი) წინააღმდეგ ბრძოლაში. გადამწყვეტი შეტაკება გაიმართა ზემო იმერეთში, ხრესილის ველზე (ტყიბულთან ახლოს), სადაც შემოტყუებული იქნა იმერეთის დასაპყრობად დასავლეთ საქართველოში შემოჭრილი თურქი-ოსმალოები. ხრესილის ბრძოლაში «ლომებრ მყეფ» სოლომონ I-მა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთის სამურზაყანოს მთავარს ხუტუნია შერვაშიძეს (ჩაჩბას), რომელმაც მისთვის უკანასკნელ შეტაკებაში მტრის თექვსმეტი მეომარი განგმირა. მართალია, იგი შეეწირა ამ სასახელო ბრძოლას, მაგრამ ამით მან აფხაზ და ქართველ ხალხთა მეგობრობისა და სიყვარულის დიადი მაგალითი დაგვიტოვა მომავალ თაობებს. მაშინ სამურზაყანოს მთავრის ხუტუნია შერვაშიძის (ჩაჩბას) გმირობა დიდსულოვნად დააფასა იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა. ხრესილის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ ხუტუნია შერვაშიძის (ჩაჩბას) შვილიშვილს ბედიის მთავარ ლევან ჩლეონის ძეს ხუტუნია(უტა)-ს სამუდამო მფლობელობაში გადასცა ქვემო იმერეთის სოფელ ჩხარის სიახლოეს არსებული თავისუფალი მიწები.

არ შევცდები, თუ გავიაზრებ, რომ ხრესილის ბრძოლაში გაწეული გმირობის გამო აბხაზ ხუტუნია შერვაშიძე(ჩაჩბა)ს, იმერეთში შერქმეოდა ქართველურ ტომთა მითიური გმირის სახელი ამირანი. იმერლებს ხუტუნია წარმოესახათ ამირანივით თავდადებული და მძლე, ძლიერი და სწრაფი, მგელის მუხლივით დაუღალავი და ხარივით ამტანი. ამის გამო ხრესილის ბრძოლის გმირს მხოლოდ ხუტუნია შერვაშიძეს შეეძლო ეტარებინა კავკასიის ხალხთა მებრძოლი გმირის ტოტემური შინაარსობლივი მნიშვნელობით დატვირთული სახელი ამირანი.

ამასთან ისიც უნდა ითქვას, ადვილი შესაძლებელია ზემოთქმული ლეგენდა იყოს, ან პირიქით, თუნდაც ისტორიული ამბავი, მაგრამ მთავარია ის, რომ ქვემო იმერეთის სოფელ ჩხარში დასახლებულ ამირანაშვილთა გვარის ეპონიმმა (ხუტუნია ანუ მებრძოლი სულის გამო «ამირანი») საფუძველი დაუმკვიდრა ჩხარელ ამირანაშვილთა გვარის მემკვიდრეობით მარადიულობას.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ქვემო იმერეთის სოფელ ჩხარში (თერჯოლის რაიონი) ამირანაშვილთა მრავალი თაობა აღიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გვარის მემკვიდრეთა უმრავლესობამ დატოვა მშობლიური კუთხე, ახლა ჩხარში ამირანაშვილთა თორმეტი ოჯახი სახლობს.



ინფორმაცია მოვიძიეთ:

ვ. ზუხბაია. «განძი ქართული მიწისა» (ტელე სივრციდან).
კ. კვაშილავა. ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. თბ. 2011 წ.
Нико Дадиани. Жизнь Грузии. Тб. 1962 г.
Ю. Чиковани. Род Абхазских князей Шервашидзе. Тб. 2007 г.

2). გვარის გენეალოგია

იასონ ლუარსაბის-ძე ამირანაშვილისა (1879-1942) და ასინეთ სოლომონის-ასულ ჩხენკელის (1881-1957) გადმოცემის მიხედვით, მე გულბად შალვას-ძე ამირანაშვილს შედგენილი მაქვს სამი ძმა შერვაშიძის (როსტომი, ჯიღეშია, ყვაპუ) ერთ-ერთი შტოდან (ყვაპუ) წარმომავალი ამირანაშვილების გენეალოგიური ნუსხა.

ჩვენი გვარიდ წარმომავლობა უკავშირდება ხუტუნია(უტა) შერვაშიძე(ჩაჩბა)ს, რომლის მემკვიდრე ძეა ბერი ამირანაშვილი. იგი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის (1789-1810) მდივან-მწიგნობარი ყოფილა. ბერი ამირანაშვილის მიერ შედგენილი სამეფო საბუთები ინახება ქუთაისის საისტორიო არქივში. ცნობა მომაწოდა მამაჩემმა შალვა იასონის-ძე ამირანაშვუილმა (1899-1975).

1850 წელს, რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის (1825-1855) ბრძანებით შესაბამის სამსახურს შეუდგენია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მაცხოვრებელ თავად-აზნაურთა გვარების ჩამონათვალი, თანდართული გენეალოგიური ნუსხით. ამ საგვარეულო ნუსხაში 363, 364, 365 და 366 ნომრებით წარმოდგენილია იმერეთში მცხოვრებ აზნაურ ამირანაშვილთა გვარის წარმომადგენლები. ასევე ცნობილია, რომ იმერეთში მცხოვრებ აზნაურ ამირანაშვილთა საგვარეულო გერბიც არსებულა. ამ გერბის გამოსახულება შემონახულია ნაქარგობაზე, რომელიც ინახება თბილისის ოპერის მომღერალ მედეა პეტრეს ასულ ამირანაშვილის ოჯახში.

მოგვაქვს ამონარიდი აზნაურ ამირანაშვილთა შესახებ:

Выписка из книги:

Посемейный список по княжеским и дворянским родам Имерети

Книга составлена в Имерети 1850 году специальной сенатской комиссией под председательством сенатора А. Митусова и утверждена Русским царём 6 декабря 1850 г. в С.-Петербурге.

ДВОРЯНЕ АМИРАНАШВИЛИ

363. ВАХУШТИЙ БЕРОВ, жена его ВАРВАРА.
Сыновья их: ИЕССЕЙ, ТАРИЕЛ, ДИМИТРИЙ
Жена ИЕССЕЯ КОКИНА.
Сыновья их: АМИРАН, ЛУАРСАБ.

364. ПАВЕЛ ВАХТАНГОВ Жена его МАЙЯ.
Сыновья их: НИКОЛАЙ, АЛФЕЗ, АНТИМОЗ.
Дочери: САЛОМЕЯ, ВАРВАРА.

365. ЛЕВАН ГЕОРГИЕВ. Жена его ДАРЕДЖАНА.
Сыновья их: ГЕОГРГИЙ, ДМИТРИЙ, НИКОЛАЙ, ДАВИД.
Жена ГЕОРГИЯ МАРИЯ.

366. Вдова ЗУРАБА , СУСАНА.
Сыновья ея: ДАВИД, РОСТОМ.
Жена ДАВИДА , ЕЛИЗАВЕТА.
Сыновья их: ИОСИФ, САЧИНО.
Дочери: МАРФА, МАКРИНА.

Подлинное подписали:
Председатель комиссии сенатор: А. МИТУСОВ.
Члены: Е. ЗАМЯТИН, Д. ВЕНСВИТИНОВ.
Правитель дел: А. ЕВРЕННОВ.

რუსეთის საიმპერატორო არქივის ჩანაწერებში აღნიშნულია იმერეთში მცხოვრებ აზნაურ ამირანაშვილთა ოთხი შტოს ჩამონათვალი. 363 ნომრით წარნოდგენილია აზნაურ ბერი ამირანაშვილის საგვარეულო შტო, რომელსაც განვეკუთვნებით თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში მცხოვრებნი.

ჩხარის ამირანაშვილთა განშტოებები ვსახლობთ თბილისში, ქუთაისში და კიდევ საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

ამირანაშვილთა გვარის სამი შტოს (364, 365, 366) ჩამომავლობა ჩემთვის უცნობია.

3). საგვარეულო შტო ჩხარის ამირანაშვილები და მათნი ნათესავნი



I. ამირანი


ამირანი
ერთასია
მინადორა
დესპინე
ისიდორე
ნესტორი
ალექ-
სანდრე
როდამესი
მიტრო-
ფანე
ნინა
ბიძინა
წიწა
გივი
ავთან-
დილი
დავითი
თენგიზი
დოდო
კოწია
მიტუშა
ჯორჯიკა
ნინა
ვალოდია
გრიშა
სერგო
ჯილდა +
თენგიზ
კიკაჩე-
იშვილი
ჯანგირი

II. მარიამი

III. ლუარსაბი + ასპიროზ ჭუმბურიძე




ლუარსაბ ამირანაშ-ვილი + ასპიროზ ჭუმბუ-რიძე
იასონი + ასინეთ ჩხენკელი
შალვა + ანა ბალ-ტუნოვა
შალვა + ნინო წე-რეთელი
გულბადი
შალვა
თამაზი
არტემი
ნინო
ანა ამირა-ნაშვილი
არჩილ ჩხიკვაძე
ჯუანშერი
გიორგი
დანიელი
ხათუნა
ძმები ჩი-ქოვანები
შალვა + ვალენ-ტინა სტროევა
ნათელა + გივი გუმ-ბარიძე
თენგიზ გუმბა-რიძე
თამარი + პარმენ ჯაფარიძე
თამაზი
ირაკლი
ფარნაოზი
საურმაგი
მარინა
სარგისი ჯაფარი-ძეები
ვარვარა + პანაიოტ მაჩკა-ლიდი
მელ-პომენა
ვასილი ამირა-ნაშვილი
ნინული
არჩილი
ალექ-სანდრე
კოკა
ნიკა
დავითი + ლი-უდმილა რაზუმოვა
ვალენ-ტინი + მუზა ხანი
იგორი
ინდირა
ილია
პეტრე ლაბარ-ტყავები
ნინა + მიხეილ გაჩეჩი-ლაძე
მედეა
დავითი
ნინო გაბუნიები
მარიამ მა-ისურაძე
ბადრი გაჩეჩი-ლაძეები
მედეა
მარიამ
ნიკა ნაკანები



[1]დაიღუპა ქერჩის ბრძოლებში 1941 წლის 25-31 დეკემბრის დღეებში.

IV. მაია

V. ყარამანი

ვანო, გრიშა, რაჟდენი, ანეტა, ქსენია, თამარი, დოდო

VI. რომანოზი


რომანოზი
ნესტორი
მიშა
სოსო
ოთარი
დათიკო
თემური
დავითი
გოგოცა
ვასილი + ივლიტე
თამარა
გოგია (დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში)
სევერიანე
რაინდი
ამირანი
იამზე
დოდო
კოლია
ალისა
ძმები ბარა-თაშვილები
ნაზიკო
ბაბუცა (ბაბო)
მიხაკო
ლიანა იაშვილი + ჯემალ ფოცხვერია
გია
კახა
ნიკო
დიტო
ანა-მარია
ენგუზი იაშვილი + თამარ ბო-ჭორიშვილი
პლატონი
ბათა
სერგო
სოსო
ნათელა
ანეტა
თაფლო

ტარიელის შტო.

VII. რაჟდენი



VIII. ალმასხანი



IX. ვახტანგი

X. თეიმურაზი

XI. ვარდენი

4). საგვარეულოს ცხოვრებიდან

ეს არს სოფელ ჩხარის ამირანაშვილები, რომლებიც ვმრავლდებით და ამასთან ერთად ვკარგავთ ერთმანეთს.

ლუარსაბ ამირანაშვილის (ცოლი: ასპიროზ ჭუმბურიძე) სახლში (რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი) აღიზარდნენ მათი ძეები: ვარლამი, იასონი და მათი ასულები: ლიდა, ანუშკა, ნუცა, სონია, ვერა.

ვარლამის შთამომავლთაგან საქვეყნოდ ცნობილ პიროვნებად ჩამოყალიბდნენ: საოპერო თეატრის მომღერლები, მამა-შვილი: პეტრე ვარლამის-ძე ამირანაშვილი და მედეა პეტრეს-ასული ამირანაშვილი; იასონის მემკვიდრეთაგან, ცნონილია ხელოვნებათმცოდნე — შალვა იასონის-ძე ამირანაშვილი. ლუარსაბ იესეს ძე ამირანაშვილის შვილიშვილები: პეტრე ვარლამის ძე და შალვა იასონის ძე აღიზარდნენ ბაბუის მიერ აშენებულ სახლში, სადაც ახლა გახსნილია პეტრე და შალვა ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ეგიდით პეტრე და შალვა ამირანაშვილების სახლ-მუზეუმის შექმნაში, დიდი ამაგი გასწიეს პეტრე ამირანაშვილის მემკვიდრემ მომღერალმა მედეა ამირანაშვილმა და შალვა ამირანაშვილის უმცროსმა ვაჟიშვილმა ჯუანშერ ამირანაშვილმა.

განსაკუთრებულად დასაფასებელია, რომ პეტრე და შალვა ამირანაშვილთა სახლ-მუზეუმის მოძველებული შენობის აღდგენაში დიდი წვლილი შეიტანა ვასილ და ივლიტე ამირანაშვილთა შვილიშვილმა რაინდი სევერიანეს ძე ამირანაშვილმა. პირადად მისი უშუალო ხელმძღვანელობით ყოველმხრივ განახლდა ლუარსაბის შთამომავალ ამირანაშვილთა სამკვიდრებელი. რაინდი სევერიანეს ძე ამირანაშვილის გულწრფელი რუდუნებით აგურ-აგურ ამოყვანილი იქნა ლუარსაბ იესეს ძე ამირანაშვილის საგვარეულო ფუძე-სახლი. ამ ღვაწლისათვის დიდი მადლობა რაინდი სევერიანეს ძე ამირანაშილს. დიდად დასაფასებებლია მისი კეთილშობილებით აღსავსე საქმე და უანგარო სიყვარული თავისი გვარის წარსულისადმი. ახლა, ამირანაშვილთა ეს სახლ-მუზეუმი საამაყოა ჩხარელთა და თბილისელ ამირანაშვილთათვის, და ალბათ, მოკრძალებით თუ ვიტყვი, ყოველი ქართველისათვის!

ჩხარის და მისი შემოგარენის სოფლების მცხოვრებლები, მათ შორის განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეები, ხშირად სტუმრობენ სასიქადულო მამულიშვილთა სახლ-მუზეუმს.

ქართველ ხალხთან ერთად საქართველოს საოპერო ხელოვნების და ხელოვნებათმცოდნეობის საზოგადოება ხშირად პატივს მიაგებენ პეტრე და შალვა ამირანაშვილთა სახლ-მუზეუმს.

საამაყოა ისიც, რომ პეტრე და შალვას სახლ-მუზეუმს მხარს უმშვენებენ ჩხარს მიმდებარე სოფლების მკვიდრნთა: მწერალ დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი სიმონეთში, მწერალ გრიგოლ რობაქიძის სახლ-მუზეუმი სვირში და სხვა ამგვარი მეზობლური ღირსშესანიშნაობანი.

XXXIV

1). ინფორმაცია ტელე-ეკრანიდან

2016 წლის 7 ივნისს, საღამო ხანს, შემთხვევით ჩავრთე ტელე-არხი «მედია-კავშირი ობიექტივი». მიმდინარეობდა ტელეწამყვან ქალბატონ მანანა არველაძის მიერ მომზადებული გადაცემა: «თაობიდან თაობამდე», რომელიც იმ საღამოს ეძღვნებოდა აწ განსვენებულ მხატვარ გოგი ხუციშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს.

სტუმრად მიწვეულები იყვნენ გოგი ხუციშვილის ქალიშვილები: ეთნოლოგი ქეთევანი და ხელოვნებათმცოდნე ნინო ხუციშვილები, აგრეთვე ბატონები: პარმენ მარგველაშვილი, ლადო ასათიანი და ლევან ჭოღოშვილი.

გადაცემამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. გაიხსენეს გოგი ხუციშვილის ორიგინალური მანერით შესრულებული მხატვრობა; ასევე საინტერესო ამბები მის ფერწერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით; დიდი მოწონებით შეაფასეს თბილისში ჩატარებული პერსონალური გამოფენები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მისი მხატვრობის გამოფენას პარიზში, სადაც ევროპული სტილით მხატვრობაში დაოსტატების მიზნით ჩვენი თანამემამულე ორი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. ასევე მის პარიზულ გამოფენას დაემატა ქართველი მხატვრის მიერ პარიზშივე შექმნილი რამოდენიმე მხატვრული ტილო, რომლებსაც შესამჩნევად ეტყობოდა მონმარტრის ნაირსახოვანი ფერწერის ოდნავი გავლენა. ამ კუთხით მისმა მხატვრობამ დიდი ინტერესი გამოიწვია უცხოელ და ადგილობრივ ე.ი. პარიზელ დამთვალიერებელთა შორის. იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზეც დადებითად იქნა აღქმული და შეფასებული გოგი ხუციშვილის მხატვრობა და ასევე მისი საინტერესო შეხვედრები ევროპული ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

ამასთან ერთად, ქალბატონმა ქეთევან ხუციშვილმა დიდი აღტაცებით გაიხსენა გოგი ხუციშვილის გულწრფელი ურთიერთობა მის ხელმძღვანელ, ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილთან. ამ შემთხვევაში მან განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას:

«არ შეიძლება აქ არ ვთქვა გოგი ხუციშვილის გულითადობის მაგალითი. არ იყო იოლი მაშინ, ევროპაში წასვლა-წამოსვლა. მითუმეტეს, როცა ვადაა განსაზღვრული».

«გოგი ხუციშვილი სტაჟირებით იყო მივლენილი პარიზში, როცა მისი ხელმძღვანელი შალვა ამირანაშვილი გარდაიცვალა 1975 წელს. ამ ინფორმაციის მიღებისთანავე გოგი ხუციშვილმა მიმართა პარიზში საბჭოთა საელჩოს თხოვნით, რომ ცოტა ხნით გაეშვათ თბილისში შალვა ამირანაშვილის დაკრძალვაზე. რა თქმა უნდა, მიიღო უარი. ასეთ შემთხვევაში გოგი ხუციშვილმა განუცხადა საელჩოს წარმომადგენლებს: «მე ვწყვეტ სტაჟირებას და მივდივარ თბილისში შალვა ამირანაშვილის დაკრძალვაზე». ეს კატეგორიული განაცხადი იმდენად შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ყველასათვის, რომ მას დართეს კიდეც გამგზავრების ნებართვა. ამასთანავე დიდი მადლობა გამოუცხადეს მხატვარ გოგი ხუციშვილს და ყველგან აღნიშნეს, როგორი ბედნიერი ყოფილა ის მასწავლებელი, რომ თქვენი სახით ჰყავს ასეთი თავდადებული მოწაფე».

მე, ჩემდათავად, გულწრფელად მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ქეთევან ხუციშვილს, ნამდვილად ამ მამაშვილური დამოკიდებულების გახსენებისათვის.

აქვე დავძენ, რომ ქართული განძის გადამრჩენი ექვთიმე თაყაიშვილი, ხელოვმებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი და მხატვარ-ხელოვანი გოგი ხუციშვილი, სამივე ერთად წარმოადგენს ტრიადას ერთ მთლიანობაში და მათი ერთარსებული სახეც ქართველ ერთან ერთად სულიერად აგრძელებს მარადიულ სიცოცხლეს.

2). სამედიცინო კონსილიუმი

1975 წლის 9 თებერვალს, კვირა საღამოს, სრული 76 წლის ასაკში (შალვა ამირანაშვილის დედის ასინეთ ჩხენკელის გადმოცემით შალვას დაბადების ნამდვილი თარიღია: 1899 წლის 2 თებერვალი) ვირუსული გრიპით დაავადებულს და გარდაცვალების დღეს ზედიზედ სამჯერ მიღებული ინფარქტის შედეგად, შალვა იასონის-ძე ამირანაშვილს სამარადისოდ შეუწყდა გულისცემა «სიკვდილის სასახლედ» აღიარებულ «ლენინგრადსკაიაში».

საქვეყნოდ ცნობილმა ექიმებმა სახელდახელოდ მოწვეულ კონსილიუმზე შალვა ამირანაშვილის სიკვდილის მიზეზად შეთხზული დიაგნოზი ჩაწერეს. შალვა ამირანაშვილის გარდაცვალების მოწმობაში მართებული დიაგნოზიც რომ ჩაეწერათ, ამას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა განსვენებულისთვის.

3). აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი (კვალი ნათელი) ნეკროლოგი გაზეთებიდან

ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის უცვლელი წევრი, პროფესორი შალვა იასონის-ძე ამირანაშვილი.

მრავალმხრივმა და ფართო დიაპაზონის მკვლევარმა სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლის მანძილზე დაუფასებელი ღვაწლი დასდო ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების საქმეს. მის სახელთანაა დაკავშირებული წინაფეოდალური ხანის ქართული ხელოვნების ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერული კვლევა, რითაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების ქრონოლოგიური ჩარჩოები. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი დაუღალავად იღვწოდა ქართული კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის.

შალვა ამირანაშვილი დაიბადა 1899 წელს ქ. ონში. 1917 წელს დაამთავრა ფოთის კლასიკური გიმნაზია და ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, სადაც ხელი მოჰკიდა ქართული სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგის საფუძვლიან შესწავლას. შალვა ამირანაშვილმა სტუდენტობის პერიოდიდანვე დაიწყო ძველი ქართული ფრესკების კვლევა და 1929 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფიული ნაშრომი უბისის კედლის მხატვრობის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას.

შუაფეოდალური ხანის ქართული ოქრომქანდაკებლების ბექა და ბეშქენ ოპიზარების შემოქმედების შესწავლას მიეძღვნა შალვა ამირანაშვილის მონოგრაფიული ნარკვევი «ბექა ოპიზარი», რომელშიც სათანადოდ არის შესწავლილი ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები. ანჩისხატის ტრიპტიქი, წყაროსთავისა და ბერთას სახარების ვერცხლით შეჭედილი ყდები, რომლებიც ბექა და ბეშქენ ოპიზარების შემოქმედების ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებს წარმოადგენენ.

წლების განმავლობაში დაუღალავი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად შეკრებილი მრავალრიცხოვანი მასალის განზოგადების საფუძველზე შალვა ამირანაშვილმა გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომი — «ქართული ხელოვნების ისტორია». ეს წიგნი ჯერ კიდევ ერთადერთი გამოკვლევაა ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში, სადაც ჩვენი ქვეყნის ხელოვნების ისტორიის საკითხები პალეოლითის ხანიდან მოყოლებული XX საუკუნემდეა წარმოდგენილი და მხატვრულ-ისტორიული

თვალსაზრისით შესწავლილი. მის მეორე კაპიტალურ ნაშრომში «ქართული კედლის-მხატვრობის ისტორია» ასახულია მონუმენტური მხატვრობის ისეთი ძეგლები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არ იყო შესწავლილი ან საერთოდ არ იყო ცნობილი.

შალვა ამირანაშვილის კვლევის სფეროში შედის დასურათებული ხელნაწერების, ლითონზე პლასტიკის, ტიხრული მინანქრის მეცნიერული შესწავლა. მაგრამ მკვლევარის ინტერესები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. იგი დიდი რუდუნებით იკვლევს სასანური ირანის მხატვრული კულტურის ძეგლებს.

შალვა ამირანაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში. მისი ნაშრომი «საქართველოს ტიხრული მინანქრები» გამოქვეყნდა საფრანგეთში, იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. შალვა ამირანაშვილის ნაშრომი, რომელიც ქართულ ოქრომჭედლობასა და ტიხრულ მინანქრებს შეეხება, გამოქვეყნდა პრაღაში ჩეხურ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. 1973 წელს კი პოლონურ ენაზე ითარგმნა და ვარშავაში გამოიცა «ქართული ხელოვნების ისტორია».

შალვა ამირანაშვილი მეცნიერულ-კვლევით მუშაობას კარგად უთავსებდა პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი წარმატებით ხელმძღვანელობდა თბილისის სამხატვრო აკადემიისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის კათედრებს.

შალვა ამირანაშვილი ერთ-ერთი მოთავეთაგანი იყო საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ჩამოყალიბებისა. იგი, როგორც ამ საზოგადოების პრეზიდიუმისა და კრებულ «ძეგლის მეგობარის» სარედაქციო კოლეგიის უცვლელი წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის მუშაობაში. ამ კრებულის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა შალვა ამირანაშვილის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული წერილები და სტატიები. მისი გამოსვლები და მოხსენებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართული კულტურის ძეგლთა გულშემატკივრებს შორის.

შალვა ამირანაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის სამუზეუმო საქმიანობაში. 1939 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორია. ქართული ხელოვნების არა ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც ამჟამად ხელოვნების მუზეუმის დარბაზებს ამშვენებს, შალვა ამირანაშვილის მირ არის საქართველოს სხვადასხვა რაიონში მოძიებული და ჩამოტანილი.

1945 წელს, საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით შალვა ამირანაშვილი პარიზს მიავლინეს, 1921 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ საზღვარგარეთ გატანილი ეროვნული საგანძურის სამშობლოში ჩამოტანის მიზნით. ეს ისტორიული მნიშვნელობის მისია მან წარმატებით განახორციელა.

შალვა ამირანაშვილი იყო მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს ნამდვილი წევრი, საფრანგეთის სააზიო საზოგადოების წევრი, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს VI და VII მოწვევათა დეპუტატი.

საბჭოთა მთავრობამ შალვა ამირანაშვილის ღვაწლი ღირსეულად დააფასა. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით.

შალვა ამირანაშვილი მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც ხალხი არასდროს ივიწყებს და რომელნიც თაობებთან ერთად საუკუნეების მანძილზე ცოცხლობენ, როგორც ერის კულტურისთვის თავდადებული მოღვაწენი.

4). როლანდ ბურჭულაძე. აკადემიკოსის ღვაწლი. (გაზეთი «თბილისი» 1994 წლის 25 მარტი №43.)

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის საკითხები. ოცდათექვსმეტი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა იგი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს. ამ წლების განმავლობაში შრომასა და გარჯას არ იშურებდა, რათა მუზეუმი, ეს ერთგვარი ხიდი და სარკმელი წარსულსა და თანამედროვეობას შორის, სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო და ჰქონოდა ისეთი სახე, რაც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურის მქონე ხალხის ხელოვნების მუზეუმს შეეფერებოდა. შრომა დაუფასდა: საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს გაიზარდა, გაფართოვდა და ჩამოყალიბდა თანამედროვე მუზეუმად. მაგრამ ეს არ მომხდარა უცებ და უმტკივნეულოდ. დღეს, მუზეუმის დარბაზებში თავმოყრილი საგანძური, XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში არც კი არსებობდა საქართველოს ტერიტორიაზე: ერთი ნაწილი მეფის რუსეთის დროს გატანილი იქნა და დაბინავებული რუსეთის სიძველეთსაცავებსა და რუსულ კერძო კოლექციებში, ხოლო მეორე ნაწილი მენშევიკებმა ემიგრაციაში თან წაიღეს.

ბედმა ინება და საქართველოსთვის მისი ეროვნული განძის დაბრუნებაში ფასდაუდები წვლილი შეიტანა შალვა ამირანაშვილმა: ჯერ კიდევ 1922 წელს, იმ ქართველ მეცნიერთა ჯგუფში, რომელსაც ევალებოდა რუსეთიდან საქართველოს კუთვნილი საარქივო და სამუზეუმო კოლექციების დაბრუნების საკითხის მოგვარება, როგორც ექსპერტი შეყვანილი იქნა ახალგაზრდა მეცნიერი შალვა ამირანაშვილი. ხოლო მოგვიანებით, 1945 წელს, კიდევ უფრო საპატიო და საპასუხისმგებლო მისიის შესრულება ხვდა წილად: საფრანგეთიდან ჩამოიტანა ის განძი, რომელიც 1921 წელს მენშევიკებმა გაიტანეს ევროპაში.

უზარმაზარი ენერგია შეალია შალვა ამირანაშვილმა სხვადასხვა მუზეუმებში თუ კერძო კოლექციებში გაფანტული ქართული სიძველეების ერთად თავმოყრასა და აღწერას. სწორედ ამ სამუშაოს წარმატებით შესრულებამ გახადა შესაძლებელი, რომ მეტეხის პლატოზე მოთავსებული ხელოვნების მუზეუმი «მეტეხი», პუშკინის ქუჩაზე ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობაში განთავსებულიყო და ჩამოყალიბებულიყო თანამედროვე სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმად. მუზეუმში გაშლილმა მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი ქართული კულტურის პროპაგანდას უცხოეთის ქვეყნებში. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის შრომები, რომლებიც საზღვარგარეთ გამოქვეყნდა. ჭეშმარიტად ძნელია სხვა რომელიმე ქართველი მეცნიერის დასახელება, რომელსაც ქართული კულტურის საზღვარგარეთ პროპაგანდაში უფრო მეტი წვლილი შეეტანოს, ვიდრე შალვა ამირანაშვილს. ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული, ამ მიმართულებით ის აქტიურად თანამშრომლობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ორგანიზაციებთან. მაგრამ ამავე საუკუნის 60-იან წლებში ამ თანამშრომლობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია: 1962 წელს პარიზში გამოიცა შალვა ამირანაშვილის შრომა ქართული ტიხრული მინანქრის შესახებ. ამ შრომაზე დაწერილ რეცენზიაში ჟან როლენი წერდა, რომ ამაზე უფრო ძვირფასი, გამომცემლობა «სერკლ დ'არტ»-ს არაფერი გამოუციაო. იგივე შრომა განმეორებით დაიბეჭდა იტალიასა და ამერიკაშიც. მეცნიერის შრომა ქართულ მინანქარზე და ჭედურ ხელოვნებაზე გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო პოლონეთმა გამოსცა ქართული ხელოვნების ისტორიის ერთტომეული.

თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი არ შემოზღუდულა მარტოოდენ ქართული ხელოვნების პრობლემატიკით. იგი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ბიზანტიური და ირანული ხელოვნებისადმი.

მეტად ძნელია მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის სრულად ჩამოთვლა და შეფასება. ერთი რამ კი ცხადია: მან მთელი თავისი ცხოვრება, ძალა და ენერგია ქართველი ხალხის ხელოვნებისა და კულტურის შესწავლას შეალია. გარდა ამისა, ბევრი რამ შეიძლება ითქვას მისი როგორც მოქალაქისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ. მაგრამ იქ სადაც სიტყვას ძალა აღარ შესწევს, ყველაზე კარგად ადამიანის ნაშრომ-ნაღვაწი მეტყველებს ხოლმე.

როლანდ ბურჭულაძე

5). შალვა ამირანაშვილის მარადიული «ჯარისკაცები»

ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილმა გამოაქვეყნა ოცი წიგნი, სადაც მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხები. ასევე სხვადასხვა კრებულებში, ჟურნალებში, გაზეთებში მას დასტამბული აქვს სამასზე მეტი სტატია როგორც ქართული

ხელოვნებათმცოდნეობის შესწავლის დარგში, ისე მსოფლიო ხელოვნების ისტორიის საკითხების კვლევა-ძიებისთვის. გამოქვეყნებული აქვს უამრავი წერილი და რეცენზია, შემონახულია სტენოგრაფიულად ჩაწერილი ლექციები და საჯარო გამოსვლები. «ოქროს ფონდშია» დაცული მისი არა ერთი გამოსვლა საქართველოს რადიოთი.

საერთო წარმოდგენა რომ შეგვექმნას, აღვნიშნავ მხოლოდ წიგნურ ფონდს:

- «უბისი. მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის». ტფ. 1929;
- «ბექა ოპიზარი». ტფ. 1937. (მეორე გამოცემა: თბ. 1956);
- «Иранская станковая живопись». Тб. 1940 г.;
- «Иранская живопись XVIII-XIX вв». Тб. 1941 г.;
- «ქართული ხელოვნების ისტორია». თბ. 1944 (მეორე გამოცემა: თბ. 1961. მესამე გამოცემა: თბ. 1971);
- «История грузинского искусства». Москва 1950 г. (მეორე გამოცემა: Москва 1963 г.);
- «История грузинской монументальной живописи». Тб. 1957 г.;
- «Государственный музей искусств Грузинской ССР». Тб. 1960 г.;
- «Вклад Грузии в сокровишницу художественной культуры». Тб. 1963 г.;
- «Les emaux de Georgie. Merveilles de L'Art en Orient». Text traduit par Fransois Hirsch. Paris : Editions Cercle d'Art. 1962 ;
- «Smalti della Georgia». Milano: Electa Editrice. 1963;
- «Medieval Georgian Emales of Russia. Text by Shalva Amiranashvili». Publishers: Harry N. Abrams. INC-New York. 1964;
- «Грузинская миниатюра». М. 1966 г.;
- «Нико Пиросманашвили». Тб. 1967 г.;
- «საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება». თბ. 1968 წ. (მეორე გამოცემა: 1978 წ.);
- «Грузинское искусство». Тб. 1968 г.;
- «Georgian Art». Tbilisi University Press. Tbilisi. 1968;

- «L'Art Georgien». Tbilisi University Press. Tbiisi. 1970;
- «Georgian Metalwork from Antiquity to the 18-th century». Prague: Artia. 1971;
- «Georgian Metalwork from Antiquity to the 18-th century. Photography by Karel Neubert». Hamlin, London, New York, Sydney, Toronto 1971;
- «Kunstschatze Georgiens». Prague, 1971;
- «Poklady Gruzie». Prague: Obelisk. 1971;
- «ხახულის კარედი. Хахульский триптих. The Khakhuli Triptych». თბილისი: ხელოვნება 1972 წ.;
- «Sztuka Gruzinska». Przelozyla Maria Zagorska. Warszawa: Panstwowe Wydawnictwo Naukowe. 1973;
- «ქართველი მხატვარი დამიანე». თბილისი: გამომცემლობა ხელოვნება. 1974 წ.;
- «იხ. შალვა ამირანაშვილი. ბიობიბლიოგრაფია». თბილისი 2014 წ. «Shalva Amiranashvili. Biobibliography». Tbilisi 2014;

შალვა ამირანაშვილს განზრახული ჰქონდა «მსოფლიო ხელოვნების ისტორიის» შედგენა ათ ტომად. გამოსაქვეყნებლად მომზადებული დარჩა პირველი და მეორე ტომი (ხელნაწერი ინახება მისი მემკვიდრე შვილის ჯუანშერ ამირანაშვილის ოჯახში).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში 1950 წელს შედგა შალვა ამირანაშვილის წიგნის «ქართული ხელოვნების ისტორიის» თბილისი 1944 წ. და «История грузинского искусства» Москва 1950 г. საჯარო განხილვა. ამ სხდომის სრული სტენოგრამა ხელშეუხებლივ დაცულია ჯუანშერ ამირანაშვილთან. ამ სტენოგრამის გამოქვეყნებაც მიზანშეწონილია, რათა ორი მეცნიერის: ლექტორის: გიორგი ჩუბინაშვილის და მისი სტუდენტის: შალვა ამირანაშვილის მეცნიერული «პაექრობა» შეფასდეს დღევანდელი გადასახედიდან.

6). მედია-კავშირი «ობიექტივი» შალვა ამირანაშვილის შესახებ

2018 წლის ნოემბერი
ილია ჩაჩიბაია

«შალვა ამირანაშვილი. გამოჩენილი ისტორიკოსი. საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ქართული ხელოვნებათნცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მუზეუმების საერთაშორისო და საკავშირო საბჭოების წევრი.

ქართული ხელოვნების, არქიტექტურის, მხატვრობის, ოქრომჭედლობის, ხელნაწერების და ტიხრული მინანქრის უბადლო მკვლევარი და დამცველი. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე.

ფასდაუდებელია შალვა ამირანაშვილის მონოგრაფია «ქართული ხელოვნების ისტორია». წიგნი ერთიანობაში წარმოგვიდგენს ქართული კულტურის განვითარების სრულ სურათს უძველესი დროიდან და დღესაც სპეციალისტებისა და ფართო მკითხველის სამაგიდო წიგნია.

შალვა ამირანაშვილი საქართველოს უზენაერი საბჭოს ორგზის დელეგატია. ოთხი უმაღლესი სახელმწიფოს ორდენის მფლობელი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი შალვა ამირანაშვილის სახელს ატარებს.

შალვა ამირააშვილი დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მედია-კავშირი «ობიექტივი».

XXXV

თბილისის ამაღლების ტაძრის დეკანოზის ამირან ამირანაშვილის ღვთიური სიტყვა

ბატონი შალვა ამირანაშვილი

«დიდ არს უფალი და
საკვირველ არიან
საქმენი მისნი»

ეპოქა, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარა ბიძაჩემმა ბატონმა შალვა ამირანაშვილმა, შეიძლება ითქვას, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა «წარღვნას», რომელიც უფალმა მოუვლინა კაცობრიობას ურწმუნოების, უღმერთობისა და ღვთის გმობის გამო. XX საუკუნის ევროპა თითქმის მთლიანად მოიცვა ფესვგადგმულმა და ფართოდ აზვირთებულმა ათეიზმმა. ამასთან ერთად ათეისტურ საბჭოთა კავშირში (1922 წ. დეკემბერი – 1991 წ. დეკემბერი) მძლავრად ამუშავდა და საზოგადოების მრავალ წარმომადგენელთა მიმართ საბედისწეროდ გავრცელდა ხელოვნურად დანერგილი «პოლიტიკური ტერორი».

მზაკვრულმა და გავეშებულმა, სასტკმა და ვერაგმა ძალმომრეობამ ფართოდ მოიკიდა ფეხი შავბნელი ლოზუნგების გავრცელებით: «ნგრევა წარსულისა», «აღგვა პირისაგან მიწისა ყოველივე ძვე-

ლისა», «დაუნდობელი მოოხრება დრომოჭმულისა», «დაქცევა გარდასულ წელთა მონაპოვრისა». ამ მოწოდებებით აჩანაგებდნენ და აოხრებდნენ ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე საქართველოში შექმნილ ქრისტიანული კულტურის იშვიათ ძეგლებს, დაუნდობლად ანადგურებდნენ ჟამთა განმავლობაში დაგროვილ უნიკალურ ეროვნულ საუნჯეს და ქართველობის დამადასტურებელ ისტორიულ სიმდიდრეებს.

ამ ქაოსში უფალმა ჩვენს ქვეყანას მოუვლინა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული მებრძოლი თაობა. როცა ეშმაკი ანგრევს, უფალი აშენებს და ამ მიზნით აერთიანებს საზოგადოებას. ჩვენი წარსულის მღაღადებელ ისტორიულ ძეგლთა ნანგრევებს აღდგენა და მეცნიერულად შესწავლა სჭირდებოდა. ყველაფერს თავის სახელი უნდა დარქმეოდა და ისე გადასცემოდა შთამომავლობას. XX საუკუნის ოცდაათიან წლებში თავსმოხვეული საზოგადოებრივი სირთულეების მიუხედავად მაინც ჩამოყალიბდა და შეიქმნა ქართულ ნიადაგზე ფესვგამდგარი საქართველო. ამ დროს ქართველმა ხალხმა შეძლო ეროვნული სულისკვეთებით უფრო მძლავრად წარმოეჩინა მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა. იქმნება სწავლა-განათლების განახლებული კერები, ინერგება მეცნიერული კვლევა-ძიების ახალი მიმართულებანი.

სწორედ ამ ეპოქამ წარმოშვა ჩვენი გვარის ბუმბერაზი ადამიანები: ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი; მსოფლიო დონის მომღერლები: პეტრე ამირანაშვილი და მისი მეუღლე ნადეჟდა ცომაია; ამ ორი მომღერლის სასიქადულო ასული, ვოკალური ხელოვნების დიდოსტატი მედეა ამირანაშვილი. ახლა იგი დემოკრატიის გზაზე შემდგარი საქართველოს სასიმღერო კულტურის წარმოსაჩენად ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის კონსერვატორიაში. მის მიერ აღზრდილი მრავალი თაობა წარმატებით მოღვაწეობს როგორც მშობლიურ, ისე ევროპის ქვეყნების საოპერო სცენებზე.

ახლა სიტყვას ვამბობ შალვა ამირანაშვილზე, რომლის მრავალ ნაშრომს მთელი მსოფლიო იცნობს და საქვეყნოდ აღიარებს. მე უფლებას არ მივცემ ჩემს თავს და ვერც შევძლებ ჯეროვნად შევაფასო შალვა ამირანაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა, და ამიტომ ამჯერად შემოვიფარგლები მხოლოდ რამოდენიმე თბილი საბიძაშვილო მოგონებით.

1965 წლის ზაფხულში დედასთან ერთად ჩხარიდან ჩამოვედი თბილისში. ჩვენი საგვარეულოს პირველი ნავსაყუდელი იყო მამიდაჩემი სადიკო, რომელიც ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე ცხოვრობდა. კონსულტაციები დავიწყეთ პირდაპირ შალვა ბიძიას ოჯახში, რომლის დაც, ქალბატონი ვარიჩკა ოჯახის მდივნობას უწევდა მეცნიერ ძმას. იმავ საღამოსვე, ქალბატონი ვარიჩკა შეეხმიანა პეტრე ამირანაშვილის მეუღლეს, ასევე ცნობილ მომღერალ ნადეჟდა ცომაიას, რომელმაც თავისთან მიგ-

ვიწვია. მეორე დღეს მასთან ვიყავით სტუმრად თერთმეტსართულიან სახლში. დედაჩემმა და ნადიამ ვარიჩკასთან და შალვასთან ერთად გულღიად გაიხსენეს ახალგაზრდობა, სოფელი ჩხარი და ამირანაშვილთა საკარმიდამო, ხუმრობით წაიმღერეს კიდეც, ალბათ ჩემს გასამხნევლებლად.

ნერვიულობისგან მე ყელი მთლად გამიშრა. პირდაღებული ვუყურებდი ოთახის კედლებზე განლაგებულ საოპერო პერსონაჟებს: პეტრეს, ნადეჟდას და მედეას მიერ გასახიერებულებს. ხმა სულ ჩამივარდა, და მოსასულიერებლად ძლივს გავბედე: «თუ შეიძლება ერთი ჭიქა წყალი», წამოვილუღლუღე. წყალი კი დავლიე, მაგრამ როდესაც ნადია ცომაია როიალს მიუჯდა და გამები აკრიფა, სულ დავიბენი. ხმასთან ერთად ალბათ სმენაც დავკარგე. არ ვიცი და აღარც მახსოვს, როგორი აკანკალებული ბგერები აღმომხდა.

დასკვნა: «კონსერვატორია ჯერ ამისთვის ადრეა, რაიმე სასწავლებელი შევურჩიოთო», ბრძანა პროფესორმა ნადეჟდა ცომაიამ.

მეორე დღეს კონსულტაცია ისევ შალვას ბინაზე გაგრძელდა. როგორც კი შევედი მასთან, შალვა ბიძიამ გულში ჩამიკრა, შემდეგ მემთხვია შუბლზე. იმ წამიერ მთლად დავპატარავდი, ვინაიდან ჩემ წინ იდგა ახოვანი და ჭაღარათმიანი რაინდული გარეგნობის ბუმბერაზი, და ამასთანავე ბავშვივით ალალი გულის უდიდესი პიროვნება. წინა საღამოს წამოწყებული საუბარი გაგრძელდა კარგად დაყენებული ჩაის სმით, და გადაწყდა: ჩამებარებინა ზაქარიაძის სახელობის კულტურის სასწავლებელში, და თანაც შალვა ბიძიამ ბრძანა: «ქალაქს და თეატრებს გაეცნობა, და მერე ვნახოთო».

რამოდენიმე ხანში, შალვა ბიძიამ თვითონ წამიყვანა და ჩემი თავი ჩააბარა სასწავლებლის დირექტორს ბატონ ვახტანგ გურგენიძეს. წარჩინებით დავამთავრე სასწავლებელი და გამანაწილეს სუხიშვილების ანსამბლში. მაგრამ ჩემი ლიმიტი თეატრალური ინსტიტუტისათვის მქონდა შემონახული და მისი რეალიზება არ მაძლევდა მოსვენებას.

აღსანიშნავია შალვა ამირანაშვილის უდიდესი ავტორიტეტი, განსაკუთრებით კულტურისა და ხელოვნების სფეროში. მაგალითი, რომელიც მინდა გავიხსენო, ამის ჭეშმარიტი დადასტურებაა. დადგა ჟამი ჩემი თავი გამომეცადა თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტზე. ბატონი შალვას პირველი დავალება, გამეცნო ქალაქი და თეატრალური ცხოვრება — პირნათლად შევასრულე. უფრო მეტიც, სოფლიდან ქალაქში ჩამოსულმა ახალგაზრდამ ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ამოვყავი თავი. ოპერის გუნდის მსახიობობა ურთულესია იმ პირობებში, როდესაც არავითარი მუსიკალური განათლება არ მქონდა მიღებული. ჩემი ბუნებრივი ხმით დაინტერესებულმა სადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტმა ანზორ თამარაშვილმა ცოტა მომამზადა და ოპერაში წამიყვანა. ბატონმა ჯანსუღ კახიძემ გაცნობისა და მოსმენის დღესვე განცხა-

დება დამაწერინა და 1967 წელს ოპერის გუნდის მსახიობი გავ-ხდი.

ამ სტიმულმა ისე გამათამამა, რომ ჩემი თეატრალური მისწრაფე-ბის ამბავი შალვა ბიძიას აღარ გავანდე და პირდაპირ შევიტანე სა-ბუთები ჩემთვის სასურველ ინსტიტუტში. როცა უფალი გფარავს, მფარველ ანგელოზს გიგზავნის, რისა გეშინოდეს? საბუთების მი-ღება მიმდინარეობდა რამდენიმე ოთახში, თანაც მას მცირე გასაუბ-რებაც ახლდა, რის გამოც რიგი ნელა მიდიოდა. სწორედ ამ დროს უეცრად შევნიშნე, რომ ინსტიტუტის მოგრძო დერეფანში დინჯად და აუჩქარებლად მიმოდიოდა საშუალო აღნაგობის უსიმპათიურესი მა-მაკაცი. იგი თვალშეპარულად რიგში მდგომ აბიტურიენტებს გვათ-ვალიერებდა და ზოგჯერ ვინმეს გამოესაუბრებოდა კიდეც. სწორედ ეს კაცი ანაზდად ჩემთან შეჩერდა და ერთგვარი მორიდებით ყურში ჩამჩურჩულა: «რა გვარის ხარ, შვილო?» მეც ჩუმი ხმით და ოდ-ნავი გაუბედავობით გამოვთქვი ჩემი მოგრძო გვარი: «ამირანაშვილი». უცნობმა თვალი თვალში გამიყარა, ხელკავით რიგიდან გამომიყვანა და ისევ დაბალი ხმით შემეკითხა: «ბატონ შალვას იცნობთ?» შეკი-თხვას თავმომწონედ და ამაყად გავეცი პასუხი: «ბიძაჩემია». ამის გაგონებაზე ჩემთვის უცნობმა მოსეირნე ნაბიჯით მიმღებთან მიმიყ-ვანა დერეფნის ბოლოში. სანამ მივიდოდით, ერთი შეკითხვის დას-მაც მოასწრო, თუ ვიცნობდი პეტრე ამირანაშვილს. დასტურს, ჩემ-დათავად იმის თქმაც მივაყოლე, რომ ვმონაწილეობდი ოპერის თეატ-რის სასიმღერო გუნდში. სიკეთის მოსურნე სასიამოვნო უცნობმა გა-დასძახა საბუთების მიმღები კომისიის ერთ-ერთ წევრს, რომ მას მი-ეღო ჩემი საბუთები. ასე ჩავირიცხე თეატრალური ინსტიტუტის სტუ-დენტად, რაშიც ჩემ მიერ მოპოვებული ლიმიტიც წამომეხმარა. რო-გორც შემდეგ შევიტყვე, პიროვნება რომელიც საბუთების შეტანის დროს გამომემცნაურა, იყო ბატონი ილია თავაძე, ბიძაჩემის შალვა ამირა-ნაშვილის დიდი მეგობარი. ასე რომ, ამ შემთხვევაში არ შემიწუხე-ბია შალვა ბიძია, მაგრამ ყოველთვის მიკვირდა და თან მადლიერე-ბას განვიცდიდი, რომ ჩემი გვარის გაგების შემდეგ ასე ლმობიერად და ხელშეწყობით მომექცა ბატონი ილია თავაძე. აქვე დავძენ, რომ ბიძია შალვამ ეს საკითხი დაუსწრებლად გადაჭრა თავისი ავტორიტე-ტით. საკვირველი მხოლოდ ის იყო, რატომ ეკითხებოდა ილია თავაძე საბუთების ჩასაბარებლად რიგში მდგომ აბიტურიენტებს სახელსა და გვარს.

უნდა გავიხსენო ერთი კურიოზული შემთხვევაც. ჩვენი ჩხარელი ნათესავი რაინდი სევერიანეს ძე ამირანაშვილი (ამირანაშვილთა იესე-რომანოზ-ვასილის შტოს წარმომადგენელი) მეორედ აბარებდა შესას-ვლელ გამოცდებს თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფა-კულტეტზე. პირველ წელს ქულები არ ეყო. როცა მეორე წელ-საც ქულების საშიშროება შეგვექმნა, დაუყოვნებლივ ავვარდით ჩვენს მსხნელ შალვა ბიძიასთან. რამოდენიმე ხანში შალვა ბიძია გამოე-

ცხადა კულტურის მინისტრს ბატონ ოთარ თაქთაქიშვილს და დახმარება სთხოვა. იმ წელს სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტზე ხუთ ლიმიტირებულ ადგილს დაემატა მეექვსეც, სპეციალურად შალვა ამირანაშვილის ნათესავისათვის. მადლობის საფასურად რაინდი ამირანაშვილმა ბრწყინვალედ დაამთავრა სამხატვრო აკადემია და სოფელ ჩხარის კერამიკულ ქარხანაში წარმატებით მუშაობდა.

ჩემი უფროსი ძმა ჯემალ ამირანაშვილი ბავშვობიდან საქართველოს ისტორიის შესწავლით იყო დაინტერესებული. მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე სკოლის დამთავრებისთანავე სხვა სამუშაოზე მოეწყო რუსთავში, სადაც რამდენიმე წელი იმუშავა. ეს ამბავი როგორც კი გაიგო ბიძაჩვენმა შალვამ, მაშინვე ძმიშვილს ურჩია სპეციალობად საქართველოს ისტორია აერჩია და ჩაებარებინა შესასვლელი გამოცდები უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. ჯემალმა დაუჯერა ბიძაჩვენს და წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი საქართველოს ისტორიის სპეციალობით. მაგრამ თითქოს ბედმა უმტყუნა და მთელი ცხოვრება მსახურობდა თბილისის მერიაში მისთვის იმჯერად შესაფერის თანამდებობაზე. აქ მთავარი იყო ის, რომ ბიძაჩვენს სიტყვა არ გაუტეხა. დღეს მის ოჯახში იზრდება შვილიშვილი, რომელიც ამირანაშვილითა სასიქადულოდ დიდი შალვას სახელს ატარებს და იმედია, მომავალში გაამართლებს კიდეც ამ დაუშორებელ გვარსახელს.

ნათესავების მიმართ ქველმოქმედებაში ბატონ შალვას ბაძავდა ჩვენი ბიძაშვილი სოსო ამირანაშვილი, რომელიც იყო ეკონომიკური სასწავლებლის დირექტორი. ამ სასწავლებელს ხუმრობით ჩხარის ფილიალს ეძახდნენ. აქ სწავლობდა ჩემი და ელეონორა, ბიძაშვილები ნარგიზი და იამზე, დიშვილი გოგოცა და საერთოდ ზემო ჩხარელების მთელი ნათესაობა. ჩვენი ბიძაშვილების უფროს თაობას ბატონი შალვას ხელიც ეტყობოდა. ბაბო(ბაბუცა) ამირანაშვილი, რომელიც სტუდენტობის დროს ქართული ენის მეცნიერულად შესწავლას ეწაფებოდა დიდი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, და ამიტომაც მთელი თავისი ცხოვრება შანიძისეულ ქართულ ენას ასწავლიდა ჩხარელ მოსწავლეახალგაზრდობას. გუგულა ამირანაშვილი ჩხარის რაიონის ბიბლიოთეკის გამგეა დღემდე... და რომელი ერთი ჩამოვთვალო კიდევ, ეს სია შორს წამიყვანს.

გმადლობთ, ბიძია შალვა ყველაფრისათვის, შენი სიკეთით ვარსებობთ დღესაც შენი გვარიშვილი ნათესაობა და ჩვენი გვარის ყოველი მოკეთე.

მემკვიდრე საზოგადოება მადლობას გიხდის იმ საქმისათვის, რომ ევროპასა და მსოფლიოს გააცანი ქართული კულტურა და ხელოვნების ისტორია. შენ მიერ შექმნილი და შენი სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი გამდიდრებულია შენ მიერვე თავმოყრილი საერო და სასულიერო კულტურის უნიკალური ძეგლებით. რად ღირს,

წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გადარჩენილი ქართული ისტორიული საგანძური და ამ ეროვნული სიმდიდრის დაბრუნება საქართველოში, რაც დიდი რუდუნებით განახორციელა შალვა ამირანაშვილმა.

ჩვენო ძვირფასო შალვა! ყოველთვის იყავი და მუდამ დარჩები ჩვენი გვარის სიამაყედ, მფარველად და მედროშედ. შენმა სასიქადულო კუთხემ აღადგინა შენი და ბატონი პეტრე ამირანაშვილის სახლ-მუზეუმი თქვენი ბაბუის ლუარსაბის საკარმიდამოში, სადაც თქვენ ორივემ აიდგით ფეხი და აღიზარდეთ. თუ ქვეყნად ერთი ამირანაშვილიც იცოცხლებს, შენი მუზეუმები და შენი დიდი სახელი, ბიძაშვილ პეტრეს სახელთან ერთად, უკვდავია.

ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს და ამყოფოს შენი სული, ჩვენო სათაყვანო შალვა! შენი ძეგლი დიდების პანთეონში ამაყად ხვდება შენზედ მლოცველთ.

სიცოცხლის მარადიულობით იხაროს, იმრავლოს და სიკეთით აღივსოს შალვა ამირანაშვილის შთამომავლობა და მთლიანად ჩვენი გვარნათესაობა!

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!

ა მ ი ნ !

თბილისი 2016 წელი თვე ივლისი

სრულიად საქართველოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესი დიდი ილიას მიერ აღვლენილი ლოცვა-კურთხევა შალვა ამირანაშვილის საგვარეულოს მიმართ

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა დიდმა ილიამ 2016 წლის 19 აპრილს სამების საკათედრო ტაძარში ზეცით მადლფენილი ღვთიური სიტყვებით ლოცვა-კურთხევა აღავლინა ჩხარელ ამირანაშვილთა საგვარეულოს საკეთილდღეოდ.

სამარადისო მოსახსენებელით შეამკო ამირანაშვილთა გვარის სასიქადულო წარმომადგენლები:

ქართული ოპერის თეატრის მომღერალი პეტრე ამირანაშვილი

და

ხელოვნებათმცოდნე-აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი

მარადიული არსებობის მადლით დალოცა პეტრე და შალვა ამირანაშვილთა სახლ-მუზეუმი გვარის სამკვიდრებელ სოფელ ჩხარში (თერჯოლის რაიონი), სადაც ბიძაშვილებმა პეტრემ და შალვამ ფეხი აიდგეს და ბავშვობა გაატარეს, პაპის ლუარსაბ ამირანაშვილის მრავალრიცხოვან ოჯახში.

საქართველოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა დიდიმა ილიამ საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ამირანაშვილთა მემკვიდრეები:

ამაღლების ტაძრის დეკანოზი მამა ამირანი (ამირან ამირანაშვილი).

ოპერის თეატრის გამოჩენილი მომღერალი მედეა ამირანაშვილი.

მრეწველობის დარგის დამსახურებული მოღვაწე: კუკური ამირანაშვილი.

ამირანაშვილთა საგვარეულოს სახელით ამაღლების ტაძრის დეკანოზი მამა ამირანი გვარის დაფასებისთვის დიდ მადლობას მოახსენებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას დიდ ილიას.

Adenda

1945 წლის 24 ივნისი, კვირადღე

ფაშიზმზე გამარჯვებისადმი მიძღვნილ აღლუმზე საქართველოდან მოსკოვში მიწვეულ დელეგაციაში მონაწილეობდა ხელოვნების მუზეუმ «მეტეხის» დირექტორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი შალვა ამირანაშვილი.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ინტერესით ვეკითხებოდი შალვა მამას, ერთი-ორი სიტყვა მაინც ეთქვა მსოფლიო მნიშვნელობის ამ დღესასწაულის შესახებ. შეკითხვის დროს, იგი გაისუსებოდა და კრინტსაც არ ძრავდა.

მრავალი წლის გასვლის შემდეგ, ალბათ შემთხვევით, და ისიც მხოლოდ ერთხელ, მისთვის შესაფერისი სადილით კარგად დანაყრებულმა და შემხიარებულმაც, ხმამაღლა ამოღერღა ჩემთვის სასურველი სათქმელი. გაიხსენა ის წვიმიანი დღე, როცა მოსკოვში «კრასნაია პლოშჩად»-ზე ესწრებოდა გამარჯვების დღის აღსანიშნავად ჩატარებულ პარადს. დიდი აღფრთოვანებით იგონებდა თუ როგორ ყრიდნენ ფაშისტურ დროშებს სტალინის ფეხებთან.

ბატონმა შალვამ ხმის შესაშური ტონალბით წარმოთქვა, რომ საღამო ხანს, როგორც საქართველოდან მიწვეული ყოველი სტუმარი, ესწრებოდა გამარჯვებისადმი მიძღვნილ ბანკეტს საბჭოთა კავშირის დიდ სვეტებიან დარბაზში. აღნიშნა ისიც, რომ მაგიდები ისე იყო განლაგებული, რომ სტალინი გვხედავდა ყველას და სუფრის ყოველი წევრი ხედავდა სტალინს, რომელიც თამადობდა და ბოლომდე ცლიდა სასმისს. ბანკეტის მონაწილე შალვა ამირანაშვილმა ამ სიტყვებს ისიც დააყოლა, რომ საზღაპრო სუფრას ამშვენებდა რუსული არაყი და ქართული ღვინო.

სტუმრად შალვასთან

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისი იყო, და როგორც ხანდახან, ისე იმ დღესაც სკოლის შემდეგ მამას ჩავურბინე ხელოვნების მუზეუმში. მოურიდებლივ შევუღე კაბინეტის კარი და მასთან მისულ სტუმარში დიდებული ქართველი ლადო გუდიაშვილი შევიცანი. შალვა და ბატონი ლადო გულახდილად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. მამას ვანიშნე «დაგელოდებიო» და ფრთხილად მივხურე მისი კაბინეტის კარი.

არც თუ ისე ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტიდან გამოვიდნენ სტუმარი და მასპინძელი, რომელმაც მუზეუმის მთავარ კარამდე გააცილა მასთან სტუმრად მოსული მეგობარი. მამა რომ დაბრუნდა, მეც მაშინვე შევყევი კაბინეტში. იგი საწერ მაგიდას მიუჯდა და თაბახის ფურცელზე ფანქრით მკრთალი შტრიხების გავლება დაიწყო. მე ძალაუნებურად დავხედე მამის მიერ შესრულებულ ნახატს, რომელზეც გამოსახული იყო ლადო გუდიაშვილის პორტრეტი პროფილში. თურმე, ბატონ ლადოსთან საუბრის დროს, ხელის უნებლიე მოძრაობით საწერ თაბახის ფურცელზე მხატვარს ხატავდა ხელოვნებათმცოდნე. ბრწყინვალე მსგავსება დავინახე ცოცხალ არსებასა და უსულდგმულო მხატვრობას შორის, რომელმაც მაინც აშკარად მაგრძნობინა მასში დაბუდებული სიცოცხლე.

ხელოვნების ისტორიასთან ერთად მამას შეეძლო მხატვრობისთვის მოეკიდა ხელი, მაგრამ მან მეცნირებას დაუდო გული.

დიდი ხნის შემდეგ, საწყენად ის ჩამრჩა, რომ მამის არსებობის ამსახველ არქივში თაბახის საწერ ფურცელზე აღბეჭდილი ლადო გუდიაშვილის სახიერება აღარ მინახავს.

ორი სცენარი

საღამოხანს, გადავხედე მამის საწერ მაგიდას, და ორ ახალ საქაღალდეს მოვკარი თვალი. ერთს მათგანს ეწერა: გიორგი ლეონიძე. ფიროსმანი. კინოსცენარი. ხოლო მეორეს: გიორგი შენგელაია და ერლომ ახვლედიანი. ფიროსმანი. კინოსცენარი.

მეორე დღეს, მამა რომ სამსახურში წავიდა, მთელი დღე ვიჯექი მის სავარძელში და ორივე სცენარი გულდასმით წავიკითხე, ჩემ აზრთან ერთად დიდი ხნით დავმდუმდი და სცენარების შესახებ მამისთვის რაიმეს თქმას არც ვაპირებდი. რატომღაც, არაფერს არ ვეკითხებოდი სცენარების შემფასებელსა, თუ დამფასებელ შალვას.

რამოდენიმე ხანში, როდესაც უკვე მამის საწერ მაგიდაზე აღარ ჩანდნენ საქაღალდეში მოთავსებული სცენარები, დიდი ინტერესით დავეკითხე «ფიროსმანის» ბედის შესახებ. და აი, ბატონმა შალვამ რა მიპასუხა:

— მხარი დავუჭირე გიორგი შენგელაიას და ერლომ ახვლედიანის სცენარს. როცა ვკითხულობდი მათ ნამუშევარს, ეკრანზე მესახებოდა აკადემიურ ხელოვნებას აცდენილი ფერმწერის მიერ შესრულებული მისდროინდელი ყოფიერების ამსახველი სურათები და ცხოვრებისეული სიუჟეტები, შეზავებული მხოლოდ ფიროსმანის ხელწერისათვის დამახასიათებელი ორიგინალური ხერხებით და ფერთა ფენის უჩვეულო ოსტატობით. მთავარია ის, რომ იშვიათმა ქართველმა მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა თაობებს დაუტოვა ფერებში გაცოცხლებული მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ორიგინალური წარსული. ეს ყველაფერი უკლებლივ გადმოცემულია ორთა ქართველთა გასაოცარი საკინოხელოვნებო ოსტატობით შესრულებულ სცენარში.

— ბატონო მამა, აფერუნ შენს გადაწყვეტილებას! მეც მაგ აზრის ვიყავი, სცენარები რომ გადავიკითხე. ვუთხარი დასაჯერებლად ჭეშმარიტების მხარდამჭერ ხელოვნებათმცოდნეს და დავუმატე: «მაგრამ მეორე სცენარისტს რატომ დაწყვიტე გული?»

მამამ ჩაიღიმა და მიპასუხა: «ასეც ხდება ხოლმე».

სამსახურიდან გაპარული დირექტორი

მამაჩემ შალვას მეტად ხიბლავდა ფრანგი კინომსახიობი ჟან გაბენი. მისი მონაწილეობით, რაც ფილმები გადიოდა თბილისში, ყველაფერს ნახულობდა ორ-ორჯერ და მეტჯერაც.

ერთ დღეს, შალვას კაბინეტის კარი შეაღო ერთერთმა დამეგობრებულმა თანამშრომელმა და მისალმების შემდეგ ყურში ჩასჩურჩულა დირექტორს:

ბატონო შალვა, ჟან გაბენის მონაწილეობით ახალ ფილმს უჩვენებენ აქვე ახლოს «რუსთაველის» კინოთეატრში.

სიამოვნებით ვნახავდი! უნებლიედ წამოცდა გახარებულ დირექტორს.

მეც ასე ვიფიქრე და დღის ორ საათიან სეანსზე მაქვს ორი ბილეთი და ხომ არ წავსულიყავით? შეეკითხა გაშინაურებული თანამშრომელი.

უხერხულია, სამუშაოს გაცდენა, დანანებით ამოღერღა შალვამ.

რასაკვირველია, და არ არის სასურველი, მაგრამ კინოს ბილეთები ხელზე მაქვს, და ... აღარ დაამთავრა ისედაც გასაგები სათქმელი.

ეჰ, რაც არის არის, წავიდეთ! ოღონდ მუზეუმის ეზოს კარებიდან გავიდეთ გარეთ! უთხრა წინდახედულმა შალვამ.

ხელოვნების მუზეუმის ორი თანამშრომელი დათქმული გზით გამოვიდნენ მუზეუმის შენობიდან და დიდი სიფრთხილით გზა განაგრძეს კინოთეატრ «რუსთაველი»-სკენ.

დაუჯერებელი ამბავი დირექტორ-შალვას მამაცობის შესახებ მაშინვე ელვის სისწრაფით მოედო მუზეუმის მთელ თანამშრომლებს.

კინოფილმი დამთავრდა და დარბაზში შუქი აინთო. ნასიამოვნები შალვა წამოდგა და მოემზადა გასასვლელად. ძალაუნებურად თვალი შემოავლო სავარძლებიდან წამოშლილ მაყურებლებს, მიიხედ-მოიხედა კიდეც და იმ წამსვე სახტად დარჩა. იგი მაინც თვალებს არ უჯერებდა. მისს თვალსაწიერში აღმოჩნდა მისი მუზეუმის თითქმის ყველა მეცნიერ თანამშრომელი, რომლებიც მასთან ერთად უყურებდნენ კინოფილმს.

გაისმა შეძახილები:

«გამარჯობათ, ბატონო შალვა!»; «ბატონო შალვა, მოგეწონათ ფილმი?»; «ბრწყინვალეა არა, ჟან გაბენი!» «დიდებული მსახიობია!» «ტოლი არ უნდა ყავდეს არც საფრანგეთში და თუგინდ, არც ევროპაში»; ახლიდნენ შეკითხვებს, და ერთმაც მოურიდებლად ისიც გაუბედა დირექტორს: «ბატონო შალვა, ხშირად დადიხართ დღის სეანსებზე?»

ყველა გულღიად ეკითხებოდა და თანაც სასიამოვნოდ უღიმოდნენ «გამოჭერილ» შალვა ამირანაშვილს.

ამ ამბის შემდეგ ერთხელაც დამიდასტურა, რომ იმ ინციდენტის შემდეგ დღის სეანსზე კინოში აღარასდროს წავსულვარ, რომ შემთხვევით არ გადავყროდი ჩემი მუზეუმის თანამშრომლებს.



ახალგაზრდა შალვა. მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტული ფერწერა. (სურათი მოპოვებულია ინტერნეტში შალვას შვილიშვილის შვილის ანა ამირანაშვილის მიერ).



ლექტორი შალვა. პირველი ლექციები თბილისის უნივერსიტეტში.

შალვა, მის პირველ წიგნთან ერთად.

შალვა დისერტაციის დაცვის დროს.



შალვა ხელოვნების მუზეუმის კაბინეტში.

შალვა შვილებთან და მშობლებთან (ასინეთ ჩხენკელი და იასონ ამირანაშვილი) ერთად.



შალვას დედა ასინეთ ჩხენკელი შვილიშვილებთან ერთად.

თერჯოლის რაიონი. ძევრი. 1959 წ. მარცხნიდან: ნინო, ვარვარა, მარიამი. მარიამის მეუღლე ასტერი ბარათაშვილი; შალვას ძმა დავითი; ასტერის და მარიამის შვილები: ალექსანდრე, ნიკოლოზი.

შალვა და შალვას შვილები (გულბადი და ჯუანშერი) «თბილისის ზღვის»' ფსკერზე 1952 წლის 4 ნოემბერს.



შალვას შვილი ნათელა (გივი გუმბარიძის მეუღლე).

ბეთანია. 1950 წ. მარცხნიდან: დეკანოზი გიორგი; საქართველოში პირველი ფოტოგრაფი-ქალი სუსანა კლიპერტი; მისი მეუღლე ირაკლი ტარუაშვილი; პოეტესა ნინა ვასილიევა; შალვა ამირანაშვილი; დიმიტრი გორდეევი; თინათინ ქარუმიძე.

შალვა ამირანაშვილი თანამშრომლებთან და სტუმრებთან ერთად.

სულიერი ძმები: ბიზანტინოლოგი სიმონ ყაუხჩიშვილი და შალვა.

«შესანიშნავი ოთხეული» თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთან. მეცნიერებათა აკადემიკოსები. მარცხნიდან: აკაკი შანიძე; ილია ვეკუა; ვიქტორ კუპრაძე; შალვა ამირანაშვილი. (სურათი მოძიებულია გენადი სანაიას ფოტომასალიდან).



ქუთაისელი ნათესავის დასახმარებლად შალვა ამირანაშვილის მიერ შედგენილი ხელწერილი, გაგზავნილი თბილისელ ნათესავთან.

ამირანაშვილი გულბადი

საქართველოში
პირველი ქართველი
მოქანდაკე-ქალი
ნინო წერეთელი
(1902-1939)

ნაშრომს ვუძღვნი
მარგო, ვახტანგ და მადონა
წერეთლების
დაუვიწყარ სახეებს

თბილისი 2023

მოქანდაკე ნინო წერეთელი. მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის ფერწერა (შალვა ამირანაშვილის ოჯახის საკუთრება).

საქართველოში პირველი მოქანდაკე-ქალის ნინო წერეთლის პორ-ტრეტი.

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოში. ნინო წერეთლი და მის მიერ შექმნილი ძეგლი: სვანი მამაკაცი.

ქართული თეატრის დიდოსტატი რეჟისორის კოტე მარჯანიშ-
ვილის ბიუსტი, გამოძერწილი ნინო წერეთლის მიერ.

1). მოქანდაკე ნინო წერეთლის ნამუშევართა გამოფენა შალვა ამირანაშვილის სახელობის სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში

2002 წლის ნოემბერში ქართული კულტურისა და ხელოვნების საზოგადოებამ ქართველ ხალხთან ერთად ფართოდ აღნიშნა საქართველოში პირველი მოქანდაკე-ქალის ნინო წერეთლის (1902-1939) დაბადებიდან ასი წლისთავი. თარიღს მიეძღვნა ნინო წერეთლის მიერ გამოქანდაკებულ პორტრეტთა და მინიფერწერულ მხატვრულ ნამუშევართა გამოფენა ექსპონირებული შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზში.

გამოფენის გახსნის დღეს მოწვეულ სტუმართა შორის გამომწვევად შეინიშნებოდა ორი საკმაოდ მოხუცი ქალბატონი, რომლებიც თავის ახალგაზრდობის პერიოდშივე მოესწრნენ იმ დროს უკვე საქვეყნოდ ცნობილი მოქანდაკის ნინო წერეთლის საქანდაკებო ხელოვნებით აღსავსე სიცოცხლის უკანასკნელ წლებს. ყველასათვის შესამჩნევი განცდით ისინი ხმამაღლა აღიქვამდნენ მოქანდაკე ნინო წერეთლის ნამუშევართა გამომსახველობით სიდიადეს. ერთმანეთთან მეგობრულ საუბარში მეტისმეტი აღფრთოვანებით იხსენებდნენ მოქანდაკის მაღალკვალიფიციურ შემოქმედებით მოღვაწეობას. ძალაუნებურად ჩემი ყურადღება მიიქცია ამ ქალბატონთა გულწრფელი ემოციებით აღსავსე საუბარმა, რომელიც სიტყვასიტყვით მესმოდა და იმთავითვე ვივსებოდი მეტისმეტი სიმპათიით მათდამი. ხანშიშესული ხელოვანები ერთმანეთის მიმართ თანაზიარი შთაგონებით იყვნენ მოცულნი, რაც გამოწვეული იყო ნინო წერეთლის მიერ დანატოვარ ნამუშევართა ერთობლივ სივრცეში აღქმით. აშკარად ვგრძნობდი, რომ შესაძლებელია მათ უკანასკნელადაც გაიხსენეს შესანიშნავი მოქანდაკე ნინო წერეთელი, რომლის ხანმოკლე სიცოცხლეც დიდი ხანია რაც ორ თარიღს შორის იყო სამუდამოდ მოქცეული. გულწრფელი მოგონებით და ნინო წერეთლის სიცოცხლის ბოლო პერიოდში შექმნილი ძეგლებიდან გამოყოლილი ნათელი შთაბეჭდილებით მათ სრულად აღიდგინეს ცნობიერებაში საქანდაკებო სულისკვეთებით დაჯილდოებული ხელოვანი, გარდასულ წლებს ნაადრევად გაყოლილი პირველი ქართველი მოქანდაკე-ქალი.

გამოფენის გახსნაზე დამსწრე ახალდაზრდა თაობა თვალნათლივ ეზიარა გასული საუკუნის მეორე ოცეული წლის პერიოდში მოღვაწე პირველი ქართველი მოქანდაკე-ქალის ნინო წერეთლის მიერ დანატოვარ შემოქმედებას. საბჭოური იდეოლოგიის გავლენით წარმოშობილი მხატვრული ფორმებისგან განსხვავებით ნინო წერეთლის საქანდაკებო ხელოვნება მაინც მედწილად ხასიათდებოდა გამორჩეული ორიგინალურობით და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილით, რაც ყოველდღიური შრომით აღსავსე მოქანდაკის შემოქმედებაში შესამჩნევად იყო გამოვლენილი. ამის გამო, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული დემოკრატიის გარიჟრაჟზე აღზრდილ თაობას ერთობ მაღალი მხატვრული წარმოდგენა შეექმნა XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე

ორიგინალური და თავისუფალი საქანდაკებო ხელოვნების სულისკვეთებით აღსავსე ნინო წერეთლის საქანდაკებო შემოქმედების მიმართ.

ნინო წერეთლის შემოქმედებით გამოფენაზე დამსწრე საზოგადოება განსაკუთრებული ემოციით და თავშეუკავებელი აღტაცებით გამოხატავდა მათ სულებში მოზღვავებულ აღფრთოვანებას. ნინო წერეთლის თითქოს-და ცოცხლივ არსებობას ასულდგმულებდნენ მის მიერ მაღალმხატვრული წარმომსახველობითა და ნატიფი ტექნიკით შექმნილი პორტრეტული ქანდაკების სახეები. ნინო წერეთლის საქანდაკებო დანატოვარში ღრმად ჩაქსოვილი თავისებური მხატვრული ხელწერა, ხელოვნების ძეგლთა სრულყოფილებისა და მარადიულობის გამომსახველობას უსიტყვოდ ასრულებდა. გამორჩეულ ღირსებას იმსახურებდა ხელოვანის მიერ თითქმის საუკუნის მიღმა შესრულებული, ახლა კი, საგამოფენო დარბაზის კედლებს მიკრული თეატრალური ჟანრის მცირეფორმატიანი ფერწერა; დარბაზის კუთხეებში მოხდენილად განლაგებული ქვაში კვეთილი თუ მარმარილოში თლილი, ანდა ბრინჯაოში ჩამოსხმული იმ დროის ცნობილ პიროვნებათა პორტრეტული სახეები; თავისებური ყურადღებას იმსახებდა გამოსაცნობად ჩამაფიქრებელი უჩვეულო ფორმის მხატვრული ნაკეთობანი; გამოსარჩევ შეფასებად აღიქმებოდა სილამაზის ზუსტი სიმეტრიულობით გამოხატული და მომხიბლავი ნაკვთებით შემოსილი ქალის სხეულის გამოსახულება, რომლის შექმნაც იმ პერიოდის საქანდაკებო ხელოვნებისთვის საერთოდ არ იყო მიზანშეწონილი. და მაინც, ნინო წერეთლის მიერ გამოძერწილი, გამომწვევად გამომყურე შიშველი ქალის ფიგურა, სასიყვარულო მიმზიდველობის აზროვნებით გამოხატულ შემოქმედებად აღიქმებოდა როგორც იმდროინდელ, ასევე აღიქმება დღევანდელ ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა მიერ, რომლებიც თავისთავად, ერთობ თავისებური ემოციითა და სულს შემონთებული აღფრთოვანებით იტვირთებოდნენ.

მოქანდაკეობრივი ცხოვრების ინტერესის სფეროში მოქცეული ეს ულამაზესი გამოფენა, რომელიც მიძღვნილი იყო ნინო წერეთლის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი, გახსნის დღიდანვე საზეიმო ელფერით ბრწყინვალებდა. ასეთი სახელოვნებო გარემო მართლაც განსაკუთრებული მომხიბვლელობით იზიდავდა გამოფენაზე მოსულ, ხელოვნებით დაინტერესებულ ყოველ დამთვალიერებელს.

ნინო წერეთლის ნამუშევართა გამოფენაზე მოსული არაერთი სტუმარი, დარბაზში შემოსვლისთანავე საქანდაკებო ხელოვნების სივრცის ტყვეობაში ექცეოდა. ყოველი მათგანი იმწამიერ პატრიოტული სულისკვეთებითა და ამაღელვებელი ეროვნული გრძნობებით ივსებოდა. გამოფენის ჩატარების დროს უკვე პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი პერიოდი იდგა და მხატვრული სანახაობით მოხიბლულები, მომეტებული პათოსით იხსენებდნენ პირველი დემოკრატიული საქართველოს (1918 წლის 26 მაისი — 1921 წლის 24 თებერვალი) წიაღში აღმოცენებულ და ფესვგადგმულ ხელოვანთა ჭეშმარიტად სასიქადულო პლეადას:

ქართული ხელოვნების მედროშეს, სამუზეუმო საქმის ურყევ თაოსანს, ოცდაჩვიდმეტში სიცოცხლე-შეწყვეტილ მხატვარს და ქართული კულტურის ფასდაუდებელ მოამაგეს დიმიტრი შევარდნაძეს;

თავისებური მხატვრული სტილისა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური შემოქმედებითი ხელწერის გამო, ერთხანს დაუფასებელ დიდებულ ფერმწერ ლადო გუდიაშვილს;

ქართულ ხელოვნებაში საუკუნოდ ადგილდამკვიდრებულ თვითნასწავლ მხატვარს და პირადად მისი სულიერი კულტურისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხებით სამყაროს გამომსახველ ხელოვანს, უსაფლაოდ დასაფლავებულ ნიკო ფიროსმანაშვილს. ყველა ქართველისათვის საამაყო ფიროსმანი, არა მარტო საქართველოში, არამედ ახლა უკვე დასავლეთ ევროპაში დამსახურებულად ითვლება საყოველთაოდ ცნობილ მხატვარ-ხელოვანთა შორის მარად აღიარებულ ქართულ დიდებად.

მეტად დასაფასებელია და საქართველოსათვის დაკარგულად არასდროს არ შეიძლება ჩაითვალოს, 1921 წელს მამის ოჯახთან ერთად ევროპაში გადახვეწილი ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკე ქალი, ბუნებრივი სილამაზით დაჯილდოებული რუსუდან მდივანი (1906-1938). პარიზში ყოფნის დროს, კერძოდ, XX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში მან შექმნა საქართველოდან საფრანგეთში ჩასული იმპრესიონისტი მწერლის ნიკოლო მიწიშვილის (1896-1937) სკულპტურული ბიუსტი, რომელსაც ვერ უპატრონა მხატვრული შედეგრების ბუდემ და დღესდღეობით დაკარგულად ითვლება; ეს, რუსუდან მდივანის ერთადერთი საქანდაკებო ნაწარმოებია, რადგანაც შემდეგდ მან მხატვრობაში გამოცადა თავისი სახელოვნებო ბედი.

ქართულ მხატვრობაში გამორჩეულად მაღალი ადგილი უჭირავთ ევროპული ხელოვნებით ნაპკურ პეიზაჟისტ ელენე ახვლედიანსა და პორტრეტისტ ქეთევან მაღალაშვილს;

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხელოვნების ფრანგულ სკოლას ნაზიარები, საყოველთაოდ აღიარებული სახელოვანი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე და მისი კლასის შესანიშნავი მოწაფეები, მაღალკვალიფიციური შემოქმედებით განთქმული მოქანდაკე-ქალები: ნინო წერეთელი და თამარ აბაკელია; ასევე იაკობ ნიკოლაძის აღზრდილია განსხვავებული სახელოვნებო ხელკვეთის მქონე მოქანდაკე თამარ შარაშიძე;

ქართულ მხატვრულ კულტურაში თავიანთი მაღალი ადგილი დამსახურებულად ჰქონდათ მოპოვებული ქართველ დიდოსტატთა მამაკაც წარმომადგენლებს: დავით კაკაბაძეს, გიგო გაბაშვილს, შალვა ქიქოძეს, მოსე თოიძეს და ბევრ სხვას, რომლებიც იმჟამად, პირველი ქართული დემოკრატიის პერიოდში თაოსნობდნენ ქართული სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბების და განვითარების მისიას საქართველოში.

იაკობ ნიკოლაძისეული საქანდაკებო ხელოვნების მანერაზე აღზრდილი პორტრეტული სახეების შემქმნელი ნინო წერეთელი საზოგადოებაში გამოირჩეოდა მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული

მომხიბვლელობითა და სათნოებით. პიროვნულ სანდომიანობასა და მის უსაზღვრო გულისხმიერებას ერთობ შესანიშნავი გვარ-სახელიც ამშვენებდა. ამასთანავე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნინო წერეთლის ხელოვნება აღიქმებოდა როგორც იმდროინდელი წლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მიზანსწრაფული სიახლე.

თვალის ერთი გადავლებით მიღებული შთაბეჭდილებით აღსავსე მნახველთაგან საგამოფენო დარბაზში გაისმოდა სიტყვები: «შევცქერით და გვაოცებს», «აღვიქვამთ და გვანცვიფრებს», «გვაღელვებს და ვამაყობთ». ეს აღფრთოვანება კი სასიქადულო მამულიშვილის, ხელოვანი ნინო წერეთლის სამუდამოდ დანატოვარის მაღალ შეფასებად წარმოჩინდებოდა.

სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მოქანდაკე ნინო წერეთელი დამსახურებულად ჩადგა ქართული კულტურის დარგის სახელმოხვეჭილ ხელოვანთა მწყობრში. მისი ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, უბედნიერესი მოქანდაკე იყო ნინო წერეთელი, რადგან მას ბედად ერგო ყოფილიყო გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მემკვიდრე-მოწაფე.

ხელოვნებათმცოდნეების შეფასებით, ნინო წერეთლის აღმზრდელს იაკობ ნიკოლაძეს, სიცოცხლეშივე მოპოვებული ჰქონდა მეტსახელი: ქართველი «როდენი». ამ სახელგანთქმული მოქანდაკის მოწაფეობა კი ბევრს ავალებდა ახალგაზრდა ნინო წერეთელს მხატვრული ნიჭით ზებუნებრივად დაჯილდოებულმა ნინო წერეთელმა, შეისისხლხორცა დიდი მოქანდაკე-მოძღვრის იაკობ ნიკოლაძის ხელოვნების სანიმუშო ხელწერა, კვეთის გამორჩეული ტექნიკა, სამაგალითო სიზუსტით გადმოცემის ოსტატობა, სახის პორტრეტული აღქმის სრული მსგავსება და ზედმიწევნითი დახვეწილობა, რითაც მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე სავსებით ხასიათდებოდა ახალგაზრდად დარჩენილი ხელოვანი.

ნინო წერეთელი თავისებურად მიემსგავსა როდენის მსგავს მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის სტილსა და მანერას, და მხატვრულ ხელოვნებაში გამოსახა ღვთის მადლით აღსავსე მისი ნიჭი. იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებითი პათოსით ნაპკური ნინო წერეთლის ნამუშევრები გამოირჩევიან მოქანდაკეობისთვის დამახასიათებელი აუცილებელი თვისებებითაც. ზებუნებრივად თანდაყოლილი საქანდაკებო ხელოვნების უსაზღვრო შემეცნებითი უნარის წყალობით და მხოლოდ მისი მეობიდან გამომდინარე მხატვრულ-ესთეტიკურობის თვალსაზრისით მოქანდაკის მიერ სამყარო აღიქმებოდა უსაზღვრო მხატვრული შემეცნებით. ამგვარი მსოფლმხედველობის შემოქმედებას კი ნამდვილად ასაზრდოებდა ნინო წერეთლის მიერ ყოველდღიურად გაწეული დაუღალავი შრომა. ამ ნიშანდობლიობით დაჯილდოებულ ნინო წერეთლისათვის საჭირო იყო პორტრეტული სახეების შექმნაში ისე დაოსტატება, რაც მის ქმნილებებს გადააქცევდა ქართველი ხალხის ეროვნულ საკუთრებად და მარადიულ სამუზეუმო საგანძურად. სწორედ ასეთ დიდ პასუხისმგებ-

ლობას ავალებდა მას იაკობ ნიკოლაძის მოწაფეობა. ამ დაკისრებულ მისიას წარჩინებით გაართვა თავი მოქანდაკე ნინო წერეთელმა, როგორც შეუპოვარი მუშაობისა და შემოქმედებითი ძიების წყალობით, ასევე სამშობლო საქართველოს დაუშრეტელი სიყვარულით.

უსაზღვრო მწუხარებად აღიქვა იაკობ ნიკოლაძემ მისი აღზრდილის ნინო წერეთლის სიცოცხლის უდროოდ შეწყვეტა. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როცა იაკობ ნიკოლაძის თვალსაჩინო მოწაფემ შემოქმედებითი საქანდაკებო მუშაობის მწვერვალს მიაღწია. ბრწყინვალე დიდოსტატს უეცრად გამოეცალა მისი საქმის პირდაპირი გამგრძელებელი პორტრეტულ საქანდაკებო ხელოვნებაში. დიდმა იაკობ ნიკოლაძემ თავისებური ორიგინალობით დაიტირა უშუალო მემკვიდრე ნინო წერეთელი. მან, თავის ძვირფასი მოწაფის სკულპტურული პორტრეტი შექმნა და მარმარილოში გააცოცხლა სიცოცხლედაკარგული მისი აღზრდილი. ეს თავისთავად მოწმობდა ოსტატის მიერ მოწაფის შემოქმედებითი სიცოცხლის ღირსეულ დაფასებას.

ნინო წერეთლის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის ყოველი დამთვალიერებელი კარგად გრძნობდა, რომ მოქანდაკის ხანმოკლე სიცოცხლე სამუდამოდ ჩაიქსოვა მის მიერ შექმნილმა ხელოვნებამ. და მართლაც, ნინო წერეთლის მხატვრული გააზრებით შემოსილი პორტრეტული სახეები ნამდვილად აღიქმებოდა როგორც მოქანდაკის სიცოცხლის მაუწყებელ სიმბოლოებად.

ნინო წერეთლის ხელოვნების წყალობით, სიცოცხლით გასხიოსნებული წარსულიდან შემოგვცქერიან: თეატრალური რეჟისურის სიამაყე კოტე მარჯანიშვილი, ვოკალური ხელოვნების მარგალიტი სანდრო ინაშვილი, გამოჩენილი ქართველი ფერმწერი მოსე თოიძე და ბევრ სხვა სასიქადულო ადამიანთა სახეები...

ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილის ცნობით, იაკობ ნიკოლაძის დავალებით ნინო წერეთლის მიერ დაწყებული იყო ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის ბიუსტი შექმნა. ამ ბიუსტის პირველსახე, ჩამოსხმული თაბაშირში, ნინო წერეთლის მიერვე შესრულებულ კოტე მარჯანიშვილის ბიუსტთან ერთად ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-60-იან წლებში წარმოდგენილი იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ფოიეში. სწორედ იმ პერიოდში, თეატრის მაყურებლის დარბაზში შესასვლელის თაღოვან კედლებს ამშვენებდა დიდი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული ფერწერაც. თეატრში ჩატარებული რემონტის შემდეგ ნინო წერეთლის ხელოვნებით შესრულებული პორტრეტული სახეები და ლადო გუდიაშვილის კედლის მხატვრობა აქ აღარავის აღარ უნახავს. შალვა ამირანაშვილის გადმოცემით, ნინო წერეთლის მიერ თაბაშირში შესრულებულ ეგნატე ნინოშვილის ბიუსტი, მოქანდაკეს დაუმთავრებელი დარჩა, რადგანაც იგი იმ დროს სამუშაოდ გაგზავნეს ტაშკენტში. ნინო წერეთლის მიერ წამოწყებული საქმე განაგრძო მისმა მასწავლებელმა იაკობ ნიკოლაძემ, რომელმაც ეგნატე ნინოშვილის ბიუსტის შექმნა ბოლომდე დაასრულა. მოწა-

ფის მიერ დაწყებული და მასწავლებლის მიერ დამთავრებული, ანუ ორი ხელოვანის მიერ შექმნილი ეგნატე ნინოშვილის ბიუსტი 1932 წელს დაიდგა სამხატვრო გალერეას მიმდებარე ბაღის შესასვლელთან. იაკობ ნიკოლაძის მიერ როდენის პერიოდის ევროპულ სახელოვნებო სტილში გადაწყვეტილი ეგნატე ნინოშვილის შესანიშნავი გამოსახულება, დღესაც ამშვენებს რუსთაველის გამზირს. ნინო წერეთლისათვის ყოველთვის იყო საამაყო, რომ ამ ძეგლის შექმნაში მისი ხელწერაც იყო შედუღაბებული.

თბილისის გარდა, მოქანდაკე ნინო წერეთლის ნამუშევრების ორ მესამედზე მეტი, წარმოდგენილია ტაშკენტის, მოსკოვისა და ოდესის მუზეუმებში. ეს კი ქართველი ხელოვანი ქალის შემოქმედებითი დანატოვარის მარადიულობის დადასტურების ტოლფასია.

1902 წლის 13 ოქტომბერს დაბადებული ნინო წერეთლის სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა 1939 წლის 17 თებერვალს, რაც მწუხარების დაღად დაესვა მისი არსებობის სისხლით ნაპკურ ორ გაცოცხლებულ ქანდაკებას. ნინო წერეთლის ხანმოკლე სიცოცხლის მსგავად, ასევე მცირერიცხოვან წლებს მოითვლის მისი საქანდაკებო ხელოვნებით აღსავსე პერიოდი, რომელიც სამუდამოდ მოიკვეთა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის აპოგეის დროს.

XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე თვალსაჩინო ქართველ ხელოვანთა შორის განსაკუთრებულად მაღალ ადგილს იმსახურებს მოქანდაკე ნინო წერეთლის შემოქმედება. მან სამარადისოდ გვიანდერძა მის მიერ შექმნილი სახვითი ხელოვნების პორტრეტული სახები, რომელთა არსებობა მოქანდაკის სიცოცხლის მარადიულობის ტოლფასია.

ჩვენ მართლაც რომ ვამაყობთ ნინო წერეთლის სკულპტურული მემკვიდრეობით და იმედია, მარად იამაყებს ქართული სახელოვნებო კულტურით დაინტერესებული მომავალი ჩვენი თაობა.

2). ამირანაშვილების სტუმრობა პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილთან

ერთ დღეს მამაჩვენმა, შალვა ამირანაშვილმა ხელი დაგვავლო მის შვილებს: გულბად და ჯუანშერს და ვერეს (მაშინ გარუსებულ ყაიდაზე ვერე უბანს ვუწოდებდით ვერის უბანს; ვერე მდინარეს «ვერა რეჩკა»-ს და მისთ.) ბაზრის მოპირდაპირედ ახალ აშენებულ სახლში სტუმრად მიგვიყვანა ცნობილ პოეტ იოსებ გრიშაშვილთან.

ბინის კარები გაგვიღო მომცრო სიმაღლის გამხდარმა კაცმა, რომლის დანაოჭებულ პირყვითელა სახეს აქა-იქ ღრმად აჩნდა ხანდაზმული სიცოცხლის მაუწყებლად გამომყურე ღარები. შინაურ ტანსაცმელში გამოწყობილს, და ამიტომ ერთობ უცნაური სანახაობის მასპინძელს, მამაჩვენის დანახვის გამო მიღებული სიამოვნებისგან გასაოცარი სისწრაფით აუთამაშდა გიშრისფერი გუგები. სახესმოდებლი ღიმილით იმ წამ-

სვე გადაეხსნა პირბაგე, მოკრძალებული თავაზიანობის დაყოლებით და თბილად თქმული სიტყვებით შემოეპასუხა ჩვენს გულმხურვალე მისალმებას.

პოეტ-აკადემიკოსმა სასიამოვნოდ მოსასმენი ხმის დაბალი ტემბრით ბინაში მიგვიპატიჟა.

შესასვლელთან შალვამ და ბატონმა სოსომ ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს, მიუახლოვდნენ და გაჩერდნენ.

— ჩემო შალვაააა...! ჩვენთვის მოულოდნელად, მისთვის კი ჩვეული წამღერებით წარმოთქვა ბატონმა სოსომ.

— ჩემო სოსო! განცვიფრების გარეშე მოკლედ მოუჭრა შალვამ.

უეცრად ისინი დაეძგერნენ ერთმანეთს (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), სხარტი ჩახუტებით გადაეხვივნენ, ლოყით ლოყაზე შეეხნენ და ასეთ პოზაში გაუნძრევლად გაჩერდნენ.

გაოცებულმა ავხედე ორივეს და ორთა გადაჭდობა ჩემებურად აღვიქვი: ორ მეტრამდე სიმაღლის მამაჩემი შალვა ბეჭებში მეტისმეტად მოხრილიყო, ხოლო ტანმორჩილი ბატონი სოსო სარივით გაჭიმულიყო. თითქოს-და მათ შედუღაბებულ ფიგურებს ძალაუნებურად თვალი ჩავაყოლე იატაკამდე. ჩემდა გასაკვირად, საშინაო «ფლოსტებით» ფეხშემოსილი ბატონი სოსო ფეხის თითისწვერებზე იყო მაქსიმალურად აჭიმული. ბუნებით გამოწვეული მოძრაობით ახლა ქვემოდან ზემოთ თვალი ავაყოლე ჩახუტებულებს. შალვას მკლავებში მოთავსებული ბატონი სოსო საერთოდ არ ჩანდა. საქვეყნოდ ცნობილი პოეტ-აკადემიკოსი სრულად მხოლოდ მაშინ დავინახე, როცა მიკრობილები მოშორდნენ ერთმანეთს.

ახლა ჩვენთვის მოიცალა ბატონმა სოსომ და სასიამოვნო მზერა მოგვაპყრო მე და ჩემს ძმას.

— ნინო წერეთლის შვილებიიი...! უჩვეულო აღტაცებით და გამოთქმის ჩვეული ოსტატობით ანაზდათ წამოიძახა ბატონმა სოსომ და მისმა, თითქოს განწირულმა ხმის ტემბრმა ოთახი ჭერამდე აავსო. მაშინვე თვალებით თითქოს, ჭერს გადაღმა ცას შეუმზირა. შემდეგ, თითქოს ოცნებიდან დაბრუნდაო, ნელი ნაბიჯით მოგვიახლოვდა და თმებზე გვეამბორა ორივეს. როგორც იქნა შემოსასვლიდან მასპინძელი სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა და სახელდახელოდ გაწყობილ ტაბლა-სუფრაზე მიგვიპატიჟა. ძმები დაბალ სამფეხა სკამებზე ჩამოგვსხა, შალვა მის სავარძელში მოათავსა, თითონ კი ოთხფეხა ფინურ სკამზე გვერდულად ჩამოჯდა. შემდეგ ოდნავ წამოიწია, მე და ჩემს ძმას ლიმონათი ჩამოგვისხა ვერტიკალურად დაკუთხულ ჭიქებში და ვერცხლის ძველებური სინით თბილი ფუნთუშები შემოგვთავაზა.

— უდარდელად ვცხოვრობდი ხარფუხში, დაიწყო ბატონმა სოსომ. ახლახან მთავრობამ ეს ბინა მომცა და ძლივს გადმოვბარგდი ვერეს უბანში. ვგრძნობ, აქედან წამსვლელი არსად არა ვარ! სამარადისო გზას თუ გამაყოლებენ მხოლოოოდ! უსიამოვნო ღიმილით თავისებურად დაბოლოვა ნათქვამი.

— რას ამბობ, სოსო! თავშეუკავებლად წამოიყვირა შალვამ.

— ხომ ხედავ, ჩემო შალვა, სამივე ოთახი თაროებით გავაწყე და წიგნებით ავავსე, განაგრძო ბატონმა სოსომ და დანარჩენი ორი ოთახისკენ გაგვახედა სამივე სტუმარი. შემდეგ, თათარიახნიად მოაზრებულიც დააყოლა: საწოლის დასადგამი ადგილიც კი არ დამრჩა, თქვა და უცნაური მორიდებით ჩაიღიმა. ისევ განაგრძო:

— ჩემი ბიბლიოთეკის ნახევარზე მეტი ხარფუხში დავტოვე. იქვე დარჩა ჩემი გული და სული, მთელი ჩემი ახალგაზრდული ცხოვრებით, ჩემი სიცოცხლის აზრთან განუშორებლივ: «რითმაში კოხტად ჩასმულ პოეზიასთან ერთად». იქ, სადაც ფეხი ავიდგი და ლექსებით ფრთაშესხმული დავქროდი ჩემს აღმზრდელ უბანში, ახლა კი უსაზღვროდ მოსანატრებელ ხარფუხში, მოგონებებში ჩარჩენილ სანატრებელში, საუკუნეებს გამოვლილ ათასგვარი ისტორიებითა და მოულოდნელი ამბებით აღსავსე ძველ ტფილისში.

სამივე მეტისმეტი ყურადღებით ვუსმენდით ბატონ სოსოს და წინადადებას არ ვაწყვეტინებდით. ბოლოთქმული სიტყვის შემდეგ ბატონი სოსო უცებ შეჩერდა. შემდეგ, მცირედ ჩამოწოლილი პაუზა თითონვე დაარღვია:

— გახსოვთ დედათქვენი, ნინო წერეთელი! ჩვენთვის გასაგებად მოგვმართა და ერთხანს ორივე ძმებს თვალებში ჩაგვხედა. მერე კი სინანულით განაგრძო: აბა, საიდან გეხსომებოდათ, იმდენად პატარები იყავით. მეორე ბავშვი სულ თოთო იყო, სულ ოთხი თვის, ნაღველმორეულმა ძლივს აღმოთქვა მწუხარებით გაჟღენთილი სიტყვები. ჯერ მზერა შალვასკენ გადაიტანა, ღრმად ჩაისუნთქ-ამოისუნთქა, მერე ძმებს კიდევ ერთხელ, ამჯერად კი რიგ-რიგობით გადმოგვხედა და ისევ განაგრძო:

— დედათქვენი, ნინა წერეთელი (რატომღაც რუსულ ყაიდაზე მას სახელად ნინას ვეძახდით), თავისებური სილამაზის ქალი იყო; შინაგანი მშვენება ყოველწამიერ გამოკრთოდა მისგან; მეგობარ-ამხანაგებისგან საგრძნობლად გამოირჩეოდა ერთობ მიმზიდველი შესახედაობით. გარეგნობით? დაუსვა კითხვა თავის თავს და უპასუხა: სადათ იცვამდა, და ყოველთვის კოხტად გამოიყურებოდა, ისე როგორც მის პიროვნებას უხდებოდა; ურთიერთობაში თავაზიანი და თავდაჭერილი; საზოგადოებაში საინტერესოდ მოსაუბრე; მოკლედ ძვირფასი ადამიანი იყო; მე მას კარგად ვიცნობდი: გვქონდა ხშირი შეხვედრები მასთან, სახელოვნებო გამოფენებზე და ჩემთან, პოეზიის საღამოებზე; შეხვედრაზე ყოველთვის გულთბილად ვესაუბრებოდით ერთმანეთს, ხან ჩემს პოეზიაზე და ხან მის ქანდაკებაზე; მაშინ გუმანით ვხვდებოდი, რომ ნინა წერეთელს ლექსებიც უნდა ჰქონოდა დაწერილი; და აი ერთხელ, ნინამ მისი ლექსებით სავსე რვეულიც გადმომცა წასაკითხად და შესაფასებლად; ჩემს მეხსიერებაში არასოდეს არ არის დავიწყებული ნინა წერეთელი და ახლაც, როდესაც მასზე ვფიქრობ, თვალწინ მელანდება მისი გაღიმებული სახე და მეტყველი თვალები! თქვა ბატონმა სოსომ და ფიქრებში გადაერთო წამიერ.

ჩვენ, ნინო წერეთლის შვილები, გაყუჩებულები ვუსმენდით ბატონ სოსოს და ვცდილობდით არ დაგვივწყებოდა მისი ნათქვამი არც ერთი სიტყვა. მცირე პაუზის შემდეგ ბატონი მოსაუბრე ისევ ალაპარაკდა; ამჯერად მიმართა მამაჩვენს:

— ჩემო შალვა აი ის გაზეთი, სადაც ნინა წერილის შესახებ წერილი მაქვს გამოქვეყნებული.

სკამზე მჯდომმა ბატონმა სოსომ გაწვდილი ხელით თაროდან გადმოიღო ადრევე საგანგებოდ იქ მოთავსებული ფერწასული და საკმაოდ გაცვეთილი გაზეთი; შუაგულზე ფრთხილად გაშალა, მოწადინებით ჩააცქერდა სტრიქონებს და წამიერ ისევ ფიქრებში გადაერთო. ერთხანს დადუმებულმა და მონოლოგის არტისტული გამოთქმით მყისიერ შეპყრობილმა, მხოლოდ ჩვენთვის გასაგები დაბალი ხმის ტემბრით ბატონმა სოსომ დაიწყო მოქანდაკე ნინო წერეთლის შესახებ მის მიერვე დაწერილი მოგონების კითხვა. კითხვის დროს წინადადების ბოლო სიტყვას გამოთქვამდა დაგრძელებით და თან წამღერებით როგორც ლექსის კითხვის დროს ჩვეულებად ქონდა. მის ბაგეთგან გამოთქმული ყოველი სიტყვა უძვირფასეს ჰანგებად აღიქმებოდა ჩვენ მიერ.

წარსულზე ფიქრით გულნატკენი სამივე ამირანაშვილი დამუნჯებულები გაუნძრევლად ვისხედით, ხელი რომ არ შეგვეშალა ჩვენთვის ძვირფას ადამიანად აღქმულ მასპინძლისთვის. კითხვის დროს, ბატონი სოსო შეპარულად თვალს გადმოგვავლებდა სამივეს. ჩვენ კი მხოლოდ მისკენ გვქონდა მიპყრობილი მთელი ჩვენი ყურადღება და მეტისმეტი გულისყურით ვუსმენდით ჩვენთვის არარსებული ადამიანის შესახებ ბატონი სოსოსგან თქმულ ყოველ სიტყვას. ვუსმენდით მას, და თითოეულ ჩვენთაგანში ერთნაირად დაგუბებული უჩვეულო სიმძიმე სიმწრით ატანდა სულსა და გულში. არ ვიცოდით რა უნდა გვეთქვა, ანდა საჭირო იყო თუ არა, რომ გვეთქვა რამე არც ის ვიცოდით. თავისებური მანერით ბატონ სოსოს მიერ გამოთქმული სიტყვები, სადღაც ჩვენს გრძნობათა მორევში განწირულად შთაინთქმებოდნენ და ისადგურებდნენ სამუდამოდ. ვუსმენდით ბატონ სოსოს ნინო წერეთლის შესახებ და ძალაუნებურად დაფარული საიდუმლოების უსიტყვო მესაიდუმლენი ვხდებოდით.

არ ვიცი, ბოლომდე ჩაიკითხა თუ არა ბატონმა სოსომ მისივე საგაზეთო წერილი, რომ მოწყვეტით შეჩერდა, ხელის ნელი მოძრაობით გაზეთი ჩაკეცა და თაროზე მოათავსა. სულიერად დამძიმებული სკამიდან ოდნავ წამოიწია, წამოდგა და წელში აუჩქარებლად გაიმართა. ამ მოძრაობაზე უნებურად გავიფიქრე, გამომშვიდობების დროც ხომ არ დამდგარიყო. აშკარად შევამჩნიეთ, თუ როგორ უმძიმდა ბატონ სოსოს წარსულთან სულიერი შეხვედრის გაგრძელება. მამა მიუხვდა ამ მოძრაობას და ისიც ზეზე წამოდგა. ჩვენც უფროსებს მივბაძეთ.

სწორედ ამ დროს, გამიელვა უცნაურმა აზრმა, ხომ არ დამეწყო დედის შესახებ ლიტერატურული მასალების შეგროვება და მერე, მრავალ ათეული წლის შემდეგ გამომექვეყნებინა. ამ გრძნობით მთლიანად შეპყრობილმა, მყისვე გადავლახე მორიდებულობის უჩინარი საზღვარი

და მაინც მოკრძალებით, ერთგვარი მორცხვობით და გაუბედაობით მივმართე ემოციით დატვირთულ მასპინძელს:

— ძია სოსო! მათხოვეთ ეგ გაზეთი, სახლში წავიღებ, გადავწერ თქვენ მოგონებას დედაჩემის — ნინო წერეთლის შესახებ და ამ დღესვე დაგიბრუნებთ!

ბატონი სოსო არ მოელოდა მისთვის უცნაურ ასეთ თხოვნას და თითქოს საგონებელში ჩავარდა. როგორც იქნა მოიკრიბა აზრი სათქმელად და მხარზე ხელი გადამხვია:

— იცი რას გეტყვი ჩემო პატარა, ეს გაზეთი მე ერთი ეგზემპლარი მაქვს, მითხრა სახემოღუშულმა ბატონმა სოსომ.

— აუცილებლად დღესვე დაგიბრუნებთ, თქვენს ამ ერთ გაზეთს; მხოლოდ გადავწერ, რომ მეც მქონდეს დედაჩემის შესახებ თქვენი სტატია; პატიოსან სიტყვას ვიძლევი, რომ გაზეთს არ დავკარგავ, არც გავაფუჭებ, ისეთსავეს დაგიბრუნებთ, როგორსაც გამატანთ; მამაც თავმდებად დამიდგება! როგორც იქნა დავაბოლოვე თითქოს მჭერმეტყველურად გამოთქმული ჩემი წადილი.

— იცი, რა ვქნათ შვილო, ისევ თავისი განაგრძო ბატონმა სოსომ, დღეს უკვე არა, რადგან ძალიან დავიღალე; აი ხვალ, შემოირბინე ჩემთან ნებისმიერ დროს, დაგსვამ ჩემს საწერ მაგიდასთან და გადაწერე. ეს გაზეთი ერთი ცალი მაქვს, კიდევ ერთხელ შემახსენა ადრე ნათქვამი და დაუმატა: «ამ გაზეთით ნინა წერეთლის შესახებ ხსოვნას ვინახავ!» ასე რომ, ჩემს სიტყვაზე შემითანხმდი, აბა, ხვალ გელოდები!

გულთბილად გამოემშვიდობნენ ბატონები: სოსო და შალვა. ჩვენ ძმებს, ჯიქურ ჩაგვაცქერდა, თვალმოუცილებლივ დიდხანს გვიყურა და ნელი მოძრაობით მიხურა ბინის კარი.

მე კი გულნატკენმა და ჩემი ბავშვური ჭკუის ამარად დარჩენილმა, აღარ მივედი ბატონ იოსებ გრიშაშვილთან არც იმ დაბარებულ მეორე დღეს და არც შემდეგ დღეებში, და არც სხვა რომელიმე დღეს.

3). მოულოდნელი შეხვედრა მოქანდაკე თამარ შარაშიძესთან

ლექციების დამთავრების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტიდან რუსთაველის მოედნისკენ გავუყევით მთავარ ქუჩას. ვერეს უბანზე გავლისას, შემაჩერა ჩემკენ მომავალმა უცნობმა ქალბატონმა და ხავერდოვანი ხმის სასიამოვნო ტემბრით მომმართა:

— მეხსიერება თუ არ მღალატობს თქვენ მოქანდაკე ნინო წერეთლის უფროსი ვაჟიშვილი უნდა იყოთ?!

მე ჯერ თავაზიანად მივესალმე შემხვდურს და მხოლოდ შემდეგ დავუდასტურე ნათქვამი. მისმა სიტყვებმა ისეთი ინტონაციით გაიჟღერა, თითქოს ჩემთვის უცნობს დიდი ხნის წინათ ვყავდი გაცნობილი და ახლა, მრავალი წლის გასვლისთანავე ზუსტად ამოიცნო ჩემში ნაცნობი. თავიდანვე გაოცებული ვიდექი მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა დედის გვარ-სახელით მომმართეს.

სულ რაღაც წამებში სხვისთვის შეუმჩნეველმა თრთოლვამ ამიტანა. რაღაც უცნაურის გაგების ან გაუგებრობის გარკვევის მოლოდინში სულიერად მთლიანად დავიძაბე. ჩემთვის ჯერ კიდევ უცხო ქალთან სასაუბროდ შეჩერებულს, ხმაამოუღებლივ ჩამომშორდნენ მეგზურები და უჩემოდ განაგრძეს გზა. მარტოდ დარჩენილს, არსაიდან გაჩენილი თუ ზეცით მოვლენილი მელანქოლიური გრძნობა შემომაწვა და მის ტყვეობაში მოვექეცი მთლიანად. ჩემდაუნებურად თვალებიც ამიწყლიანდა და წარსულთან შეხვედრის მოლოდინში რატომღაც სუნთქვაც თითქოს შემეკრა. თავიდანვე სიტყვაც ვერ დავძარი სათქმელად. და ვიგრძენი, რომ სიცოცხლის ნიშანწყალიც ელვის სისწრაფით მეცლებოდა. მოძრავი ტრანსპორტის გამაყრუებელი ხმაურიც უკვე აღარ მესმოდა. ჩემთვის ქუჩაც ისე დაცარიელდა, რომ აღარც გამვლელ-გამომვლელებს ვამჩნევდი. ირგვლივ თითქოს ყველაფერი გაუჩინარდა, წარმოსადეგი ქალბატონის გარდა. მხოლოდ ჩემში ჯერ კიდევ დარჩენილიყო მაცოცხლებელი მუხტი, რომელიც მხოლოდ მასულგმულებდა. ჩემი გრძნობა და გონება ელვის სისწრსფით ამ გამოცხადებული ადამიანის მარწუხებში მოექცა.

— მე მოქანდაკე თამარ შარაშიძე ვარ, დედათქვენის ნინო წერეთლის მეგობარი, წარმოთქვა გარკვევით და ხელი გამომიწოდა. მე ხელის ჩამორთნევით ხმადაბლა წავილუღლუღე მამისაგან ნაწყალობევი გვარსახელი: გულბად ამირანაშვილი.

— დედათქვენი ნინო წერეთელი, გავიცანი ჩემი სტუდენტობის დროს, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოში. შეხვედრისთანავე დავუმეგობრდით ერთმანეთს და იმჯერად წარმოშობილი უსაზღვრო სიყვარული მისდამი, დღესაც არ განელებულა ჩემში! მითხრა ქალბატონმა თამარმა და დაჟინებით ჩამაცქერდა თვალებში. მე, ოდნავადაც მაინც ვერ გავუსწორე თვალი ჩემთვის ამაღელვებელი ხმით მოსაუბრეს. უძრავად ვიდექი და გაოგნებულს, მის შეუმჩნევლად ჟრუანტელი შეუჩერებლივ წრეს მირტყამდა მთელ სხეულში. თავიდანვე, საპასუხო სიტყვაც ვერ დავძარი და თან სათქმელიც გონებაშივე მეკეტებოდა. ძალას ვიკრებდი, რომელიც მასთან შეხვედრისთანავე აღარ მემორჩილებოდა უკვე. ვიდექი თითქმის გაუნძრევლად და ხმაამოუღებლივ ჩაჩუმებული. როგორღაც მოვახერხე შემეხედა მისთვის თვალებში, მაგრამ წამსვე ყურადღებაც მიმომეფანა. მაინც სადღაც გამირბოდნენ და სამუდამოდ იკარგებოდნენ ქალბატონი თამარ შარაშიძის მიერ ჩემს გასაგონად მომართული სიტყვები.

— ნინო წერეთლის შესახებ შედგენილი მაქვს წერილი, რომელიც მისი გარდაცვალების წელსვე დავწერე. სწორედ მაშინ, როცა ნინო უკვე აღარ იყო ჩვენ შორის, სინანულით წარმოთქვა და დაუმატა: ნაკლულმა თებერვალმა ნინოც გამოაკლო სიცოცხლეს. მისი არყოფნა ძალზე მტკივნეულად აღიქვა ყველამ, ვინც კი პირადად, ან შორიდან მაინც იცნობდა ნინოს. იმ დროს, ხელოვანთა შორის ნინო წერეთელი ერთადერთი მაღალი კლასის შემოქმედი იყო. ამასთან ერთად დასანა-

ნიც ის იყო, რომ ნინო წერეთლის დონეზე მის მაგივრობას ვეღარავინ გაწევდა და ალბათ დიდ ხანსაც. აქ მოწყვეტით შეწყვიტა სიტყვა ქალბატონმა თამარმა. შემდეგ, ხელით მხარზე ოდნავ შემეხო და მოუზომელი მოურიდებლობით ისევ ჩამხედა თვალებში.

მე ისევ გაუნძრევლად ვიდექი და გულიდან ამოხეთქილ სიმწარეს ძლივს ვაკავებდი. მოსაუბრის მიერ ხავერდოვანი ხმით წარმოთქმულმა სიტყვებმა თანდათან გამომარკვია და ოდნავ დამაბრუნა სინამდვილეში.

— ძალიან მინდა თქვენ გადმოქცეთ ჩემი წერილი ნინოს შესახებ. მაგრამ ახლა, ის წერილი თან არა მაქვს. აუცილებლად უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, წერილი რომ გადმოგცეთ, სიტყვები ჩემს გასაგებად წყვეტილად ჩამიმარცვლა ახალგაცნობილმა თამარ შარაშიძემ.

— როცა გნებავთ და, სადაც გნებავთ! ძლივს წარმოვთქვი მხოლოდ მისთვის გასაგონი დაბალი და შემკრთალის ხმით.

— კარგი, დამეთანხმა ქალბატონი თამარი და განაგრძო: ხვალ ლექციები როდის გიმთავრდებათ?

— ორის ნახევარზე, ვუპასუხე.

— მაშ ასე, გადაწყვეტით თქვა ქალბატონმა თამარმა, ხვალ, ორის ნახევარზე დაგელოდები უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან, გაჩერებაზე. ჩემი უსაზღვრო სურვილია, რომ თქვენს ოჯახში ინახებოდეს ჩემი წერილი ნინო წერეთლის შესახებ.

ჩვენ, როგორც თითქოს სულიერად დამეგობრებულები, დავემშვიდობეთ და დავშორდით ერთმანეთს. მეგობრებს აღარ დავედევნე და თითქოს გონებაარეულმა სახლისკენ ვიბრუნე პირი.

უნებლიედ გამიელვა მოგონებამ: თამარ შარაშიძედ რომ გამეცნო ქალბატონი იყო სწორედ ის პიროვნება, რომელიც წარმიდგინა მამამ შალვა ამირანაშვილმა 1952 წელს, ხელვნების მუზეუმის საექსპოზიციო გამოფენის გახსნის დღეს. დაძაბული მოგონებით მეხსიერების ბუდის დახვეული ნაოჭებიდან ამომიტივტივდა ერთხელ უკვე გაცნობილი თამარ შარაშიძე, რომელიც არც კი მახსოვდა.

მეორე დღის დათქმულ დროს ნინო წერეთლის მეგობარი თამარ შარაშიძე უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან, ტრანსპორტის გაჩერების სიახლოვეს იდგა. როგორც კი გამოვედი მთავარი კორპუსიდან, მაშინვე შევნიშნე ქალბატონი თამარი და ჩემი მოძრაობაც უხილავი ძალის ზეწოლით მისკენ წარიმართა. თანდათანობით ვუახლოვდებოდი წინადღით გაცნობილ ადამიანს, რომელიც შორიდანვე აღვიქვი საშუალოზე ოდნავ მაღალ ქალად; მას რუხი შეფერილობის მთლიანი ნაქსოვი კაბა ემოსა, წელზე ოდნავ შემოჭერილი წვრილი ქამრით, რაც ქალურობას მეტად მატებდა მოყვანილობით მის სიმეტრიულ გარეგნობას. ვუახლოვდებოდი მას და რატომღაც ვგრძნობდი, რომ სათნოება და მადლცხებული სიკეთე მალულად კრთოდა მისი სულიერი სამყაროდან. ამოვსებული ლოყები დიდ მარგალიტებად აჩნდნენ მის არისტოკრატულად ფერმკრთალ სახეს. ცხადად ეტყობოდა, რომ სიამოვნებდა გარემო, სიცოცხლით სავსე

ბუნება და შეუჩერებლივ მოძრავი ყოფიერება, რითაც ალბათ უწყვეტლივ იტვირთებოდა ჩემთვის ამოუცნობი მისი ცნობიერება. ვუახლოვდებოდი ქალბატონ თამარს და ჩემში უფრო და უფრო ძლიერდებოდა თითქოს-და დედისმაგვარ ადამიანთან შეხვედრის მოსანატრებელი სურვილი. თანდათან ვგრძნობდი ჩემს სახეზე მოდებულ ალმურს, რომლისგან მომდინარე მოალერსე სითბოც იმწამიერ ძლიერ მეუფლებოდა და მასულდგმულებდა კიდეც. გული მევსებოდა იმ ადამიანთან შეხვედრის წადილით, რომელსაც ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა დედაჩემთან, იმ ნინო წერეთელთან, რომლის სულისა და სისხლის ცოცხალი ნაწილიც მე ვიყავი. ვმოძრაობდი დედის სახედ აღქმულ პიროვნებისკენ და ერთ არსებაში უნებლიედ მესახებოდა ორივე ერთად: აქაური თამარი და იქაური ნინო. ვერ მივხვედრილიყავი, ამ ორიდან თუ რომელი ერთი, ან თუნდაც ორივე ერთად, რატომ მაღიზიანებდა ასე მწარედ და დაუნდობლად.

ფიქრებით დახუნძლული მივუახლოვდი და გულდაგულ მივესალმე ერთს, თუ ორივეს, ჩემი დაბინდული გონებით არც კი მინდოდა განმეს აზღვრა.

— გაგიმარჯოს, შვილო! ღიმილნარევი სევდით შემომესალმა მხოლოდ ერთი მათგანი — ქალბატონი თამარ შარაშიძე. მე მოკრძალებით შევხედე მას და თვალებში შემრჩა ნინოს სიცოცხლის ფასად შეზავებული თამარის თვალები, რომელთა ცრემლმორეულ გუგებში გონებით გამომეხატა დედის სახე და იმ წამსვე უკვალოდ გაუჩინარდა.

— როგორც დაგპირდი, შენთან ვარ, დაიწყო ქალბატონმა თამარმა. აი, ნინო წერეთლის შესახებ ჩემს მიერ დაწერილი მოგონება, მითხრა და გამომიწოდა თაბახის ფორმის ორ ფურცელნახევარზე გადაბეჭდილი ტექსტი. ხმაამოუღებლივ გამოვართვი და მაშინვე კითხვა დავიწყე. ქალბატონმა თამარმა ერთხანს მიყურა, მერე ჩემთვის მოულოდნელად შემაჩერა და მთხოვა, სახლში გამეგრძელებინა კითხვა.

— ძალიან მეძნელება თქმა, დაიწყო თამარ შარაშიძემ, მაგრამ უფრო გამიძნელდება, რომ არ გითხრა და სამუდამოდ დამრჩება სანანებლად. ეს მოხდა 1938 წლის ზაფხულში. თითქმის ორ წელზე მეტი იყო გასული მას შემდეგ, რაც მე და ნინო არ შევხვედრილვართ ერთმანეთს. და აი, ზემელზე («რუსთაველის მოედანზე» — განმიმარტა ქალბატონმა თამარმა) ვხედავ, ჩემდა სასიხარულოდ მოდის ნინო წერეთელი. ნინოს, ხელჩაკიდებით მოყავდა ახალფეხადგმული ბავშვი, რომელსაც სიარული ეზარებოდა. ურთიერთის დანახვაზე ორივენი გავვოცდით, მომეტებული სიხარულით გადავეხვიეთ და გადავკოცნეთ ერთმანეთი.

— როგორ ხარ, ჩემო ნინა! მივმართე მეგობარს, თან შეუკავებელ ღიმილს ვერ ვიცილებდი სახიდან, რას აკეთებ, სადა ხარ? (ჩვენ მეგობრები ნინოს ვეძახდით ნინას, კვლავ განმიმარტა ქალბატონმა თამარმა), რამდენი ხანია, რაც არ გვინახავს ერთმანეთი! არც შენი გამოფენისათვის მომიკრავს სადმე თვალი, ნუთუ დაამთავრე ქანდაკებაში მუშაობა? — მივაყარე კითხვები.

როცა დავწყნარდით და ამოვისუნთქეთ, ნინამ ღიმილი შემოიშველა და გულახდილად მიპასუხა:

— ხელოვნების განხრით სულ გავზარმაცდი! არ მეგონა, ამის მიზეზი ოჯახი თუ იქნებოდა! ჩემი ადრინდელი ცხოვრებისეული დავიდარაბის შემდეგ, სულ მთლიანად შევიცვალე! ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილს გავყევი ცოლად! ღმერთმა გვარგუნა ერთმანეთი, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. ბევრმა საერთო სულისკვეთებამ სამუდამოდ დაგვაკავშირა ურთიერთს. როგორც კაცი, შესანიშნავია! თქვა და გადაიკისკისა. შემდეგ დააყოლა, ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი გახდა შალვა.

— გულწრფელად მომილოცავს ჩემო ნინა, ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და მარადიულ სიხარულს გისურვებ წყვილად ცხოვრებაში! ეს კი, მაგრამ, ხელოვნება? ნუთუ საერთოდ დაივიწყე? ბოლოს და ბოლოს, იაკობ ნიკოლაძის მემკვიდრედ აღგიქვამს საზოგადოება, ვერ დავიჯერებ, რომ ამ ბოლო დროს არაფერი შეგიქმნია?

— მაინც ჩაავაცივდი ჩემებურად! სულმოუთქმელად მიამბობდა თამარ შარაშიძე.

— როგორ არა ჩემო თამარ! ახლა მე ცოცხალ ქანდაკებებს ვაკეთებ! თამამად მიპასუხა ნინამ და ნიშნისმოგებით დააყოლა: აი, პირველი ბიჭი, რომელმაც უკვე აიდგა ფეხი. მეორე ქანდაკებაც მზადდება და მალე იქნება! ისეთი აღტაცებით წარმოთქვა ეს სიტყვები და თქმისთანავე შუაწელიც წინ გამოზნიქა კიდეც, რომ თავი ვერ შევიკავეთ ვერცერთმა და მომეტებულად ხმამაღალი სიცილი წაგვსკდა ორივეს. როცა დავწყნარდით, ტკბილად ჩავკოცნეთ ერთმანეთი და დავემშვიდობეთ. რას ვიფიქრებდი, რომ თურმე, სამუდამოდ ვშორდებოდი ჩემს ნინო წერეთელს.

მე ყურადღებით ვუსმენდი თამარ შარაშიძეს, რომელიც გულდაწყვეტით მიამბობდა მეგობართან სამუდამოდ განშორების ამბავს. საერთოდ ვერ ვგრძნობდი, რა უნდა მეღონა, ნუგეში არსაიდან ჩანდა. ერთი კი მოვიფიქრე: ქალბატონი თამარი გულწრფელად მივიპატიჟე მამის, შალვა ამირანაშვილის ოჯახში, სადაც მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის მიერ შესრულებული ნინო წერეთლის პორტრეტი გვიხანგრძლივებდა ნინოს ბავშვებს სიცოცხლეს. ამასთან ერთად ავუხსენი ქალბატონ თამარს, რომ ჩვენი ბინა ფეხის ორ ნაბიჯზე იყო და იქ ვცხოვრობდით მხოლოდ ოთხნი: მე და ჩემი ძმა, მამა და მამის დედა ასინეთი.

მიპატიჟებისთანავე ქალბატონი თამარი შეკრთა, შეყოვნდა კიდეც, წამიერ გადაერთო ფიქრებში და თითქოს გამოფხიზლებულმა, მიპატიჟებაზე ღიმილნარევი სევდით უარი გამიცხადა. ჩემდა მოულოდნელად თმებზე მაკოცა, აცრემლებული თვალებით გამომემშვიდობა და ნელი ნაბიჯით აუჩქარებლად გამშორდა.

თვალმოუშორებლივ ვუყურებდი იმ ადამიანს, რომელმაც დედაშვილური გრძნობა გამიღვიძა და ემოციურად დამძაფრა. ახლა კი, სადღაც მეკარგებოდა, ალბათ სამუდამოდ. მას აღარ მოუხედავს ჩემკენ, ისე გაუჩინარდა ტროტუარზე მიმომსვლელთა შორის.

მე ისევ მარტო დავრჩი, როგორ სიმარტოვესაც განვიცდიდი თამარ შარაშიძის გაცნობამდე. მანუგეშებლად შემრჩა მისი წერილი ნინო წერეთლის შესახებ, რომელიც ისე ჩამკუჭოდა ხელებში, რომ ვერც კი შევამჩნიე.

4). თამარ შარაშიძე ნინო წერეთლის შესახებ

1925 წელს მიღებული ვიყავი თბილისის სამხატვრო აკადემიის მოქანდაკის ფაკულტეტზე, სადაც პირველად შევხვდი ნინო წერეთელს, იაკობ ნიკოლაძის საქანდაკო კლასის სახელოსნოში. ნინო წერეთელი, კოხტა და სასიამოვნო გარეგნობით, მომხიბვლელი ღიმილით და ლაკონური სიტყვა-პასუხით ხასიათდებოდა და იმდროინდელ საუკეთესო პორტრეტისტად ითვლებოდა. ჯერ კიდევ სტუდენტი ნინო წერეთელი, თავის ნიჭით, თავაზიანობითა და დაუღალავი შრომით იმსახურებდა საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას. ბევრი რამ მომისმენია და წამიკითხავს პრესაში ნინო წერეთლის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ. მეც მომწონდა ნინო, როგორც ნიჭიერი პორტრეტისტი. მუშაობის დროს, ხშირად გულწფელი სიყვარულითა და პატივისცემით გადავხედავდი ხოლმე ნინოს და მის ნამუშევარს. ხშირად, მუშაობის პროცესში მიმიმართავს შეკითხვით, რაზეც ნინო სიამოვნებით მაძლევდა სწორ და ამომწურავ განმარტებას.

ნინო წერეთელი ოჯახურ ცხოვრებაში იმავე თვისებებით იყო დაჯილდოებული: დინჯი, დაუზარელი, სათნო, ადამიანის მოსიყვარულე; იუმორსაც არ იყო მოკლებული იგი.

თითქმის ყველა გამოფენაზე მონაწილეობდნენ ნინო წერეთლის ღრმად ჩაფიქრებული, შინაარსიანი ნაწარმოებები. ღირსშესანიშნავ ნამუშევართა შორის ჩაითვლებიან ნინო წერეთლის მიერ შესრულებული პორტრეტები: სანდრო ინაშვილის, ნინა თამამშევას, აკოპჯან ღარიბჯანიანისა და სხვ.

1932 წელს ნინო წერეთელი ტაშკენტს გაემგზავრა სამუშაოდ. ტაშკენტიდან დაბრუნების შემდეგ ნინომ მომიყვა ტაშკენტში მისი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ. მართლაც, ნინოს მიერ ტაშკენტში შესრულებული საქანდაკებო შრომები ნათლად ასახავენ მის დაუღალავ და ნაყოფიერ შემოქმედებას, რითაც ნინო ხასიათდებოდა. ნინო წერეთლის მიერ შესრულებული იყო უზბეკეთის მთავრობის წევრების მ. ახუნდოვის, ა. ბაბაევის და სხვათა პორტრეტები. აგრეთვე, კოლმეურნე უზბეკისა და ზანგი მწერლის ძეგლები და სხვების.

ტაშკენტიდან დაბრუნების შემდეგ მე და ნინო ერთად ვმუშაობდით მოსკოვის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც სხვა სამუშაოებთან ერთად ნინოს მიერ შესრულებული იყო ლენინისა და სტალინის ბარელიეფები, რომლებიც მუზეუმმა დაიტოვა.

მოსკოვში ნინო ცხოვრობდა თავის დეიდასთან — თამართან, სადაც მას დეიდის ერთ დიდ ოთახში გამოყოფილი ჰქონდა განსაკუთრებული

კუთხე, თავის სამუშაოების შესასრულებლად. ეს კუთხე მეტად განსხვავდებოდა ამ ოთახის სხვა დანარჩენ ადგილისაგან: იგი შემკობილი იყო უზბეკური სუზანებით, კედლებზე აქა-იქ მიკიდებული ნახატებით, ეტიუდებით, დამთავრებული თუ დასამთავრებელი ბიუსტებით და სამუშაო იარაღებით. აქ იყო ქ. ოდესის მიერ დაკვეთილი პიროგოვის ბიუსტი, კ. მარჯანიშვილის პორტრეტი, რომელიც ხარისხის მხრივ გაცილებით მდარე იყო და იგი განსხვავდებოდა ნინოს მიერ შესრულებული დანარჩენ სამუშაოებისაგან. ჩემი აზრით ეს უნდა მიეწეროს ნინოს იმდროინდელი ოჯახური მდგომარეობით გამოწვეულ განცდებს.

ნინო წერეთლის ამ პატარა სახელოსნო კუთხეში სულიერად და ფიზიკურად ისვენებდა როგორც თვით ნინო, ასევე ჩვენც, მისი მეგობრები.

ნინოს ახასიათებდა უბრალოება, როგორც მუშაობაში, ისე ცხოვრებაში, რაც თითქოს უფრო მეტად ამკობდა და აკეთილშობილებდა მას. ნინო უბრალო იყო შრომაში, ოჯახში, საზოგადოებაში. ჩაცმადახურვაშიც კი ეტყობოდა ეს: სადად და უბრალოდ, მაგრამ ყოველივე ეს თითქოს უფრო ამკობდა, აკეთილშობილებდა მას და კიდევ უფრო უმდიდრებდა გემოვნებას.

ნინო მეგობრობაშიც მეტად გულწრფელი და კეთილშობილი იყო.

საბოლოოდ, ნინო ცოლად გაყვა შალვა ამირანაშვილს. რამდენიმე ხნის შემდეგ ნინოს შევხვდი თბილისში, ბავშვთან ხელჩაკიდებულს, იყო მეტად კმაყოფილი და ბედნიერი.

ამით დამთავრდა ჩემი და ნინოს მეგობრობა: ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ეს შესანიშნავი მოქანდაკე, გულწრფელი მეგობარი და ნამდვილი ადამიანი.

1939 წ.

მოქანდაკე თამარ შარაშიძე

5). გულწრფელი საუბრები მწერალ დავით კლდიაშვილის ასულ ქალბატონ ქეთევანთან

სტუდენტობის დროს ფარიკაობის სექციაზე დავდიოდი თბილისის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში. ხელმძღვანელობას მიწევდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები: ბიჭიკო მესხი და თემურ ისლამოვი. როდესაც პირველთანრიგოსნობას მივაღწიე, ჩემი მეგობრის პავლე თოფურიას დაჟინებული თხოვნით მივატოვე ფარიკაობა და გადავედი მასთან კალათბურთის სექციაში. აქ ვერ ვივარგეთ ვერცერთმა და როგორც უპერსპექტივოები, მალე გამოგვყარეს კიდეც.

ამის შემდეგ, ფარიკაობის უშუალო ხელმძღვანელი ბატონი თემური მემუდარებოდა დავბრუნებულიყავი ჩემს მიერ მიტოვებულ სპორტში, სადაც მალე საუკეთესო წარმატებები მექნებოდა. მაგრამ უშედეგოდ. ბავშვობიდანვე წესად ჩამომიყალიბდა, აცდენილ გზას არასდროს დავუბრუნებოდი, მომავალი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე.

უნივერსიტეტის დამთავრებიდან დიდი ხნის შემდეგ, სწორედ მაშინ, როდესაც უკვე კარგად იყო დასახლებული ლისის ტბიდან საბურთალოს-კენ დაქანებული ნუცუბიძის პლატოებად წოდებული ფერდობი, მეტრო «დელისთან» მხოლოდ შემთხვევით და სრულიად მოულოდნელად შევ-ხვდი ჩემი სტუდენტობის პერიოდის ფარიკაობის მწვრთნელს, ბატონ თემურს. იგი, ნუცუბიძის პლატოს პირველი მიკრორაიონისკენ მიმა-ვალი ავტობუსის გაჩერებაზე იდგა და ტრანსპორტს ელოდებოდა. ჩემ-თან მოსალმებისთანავე, ბატონმა თემურიმ დაუყონებლივ მიმართა მის გვერდით მდგომ არისტოკრატიული გარეგნობის ქალბატონს, რომელ-მაც მაშინვე ჩემი ყურადღება მიიქცია და მასთან შეხვედრისთანავე რა-ტომღაც ემოციურად დავიტვირთე. თვალებში შემრჩა ქალბატონის სიმ-პატიური სახე და თვალთა შესაშური გამომეტყველება, რომელთაც ამ-შვენებდა ნაადრევად შევერცხლილი თმის უცნაურად გამომყურე ნაუც-ბათევი ვარცხნილობა. ერთი შეხედვით წარმოსადეგი შესახედაობის ქალბატონი, რომელსაც გაესაუბრა ჩემი ფარიკაობის მასწავლებელი, წა-მიერ აღვიქვი თანდაყოლილ სილამაზეს ჯერ კიდევ შემორჩენილ პიროვ-ნებად.

— დედა გაიცანი, ეს გულბად ამირანაშვილია, ნინო წერეთლის უფ-როსი ვაჟიშვილი! დაუყონებლივ მიმართა თემურიმ ჩემთვის უცნობ ქალბატონს.

ამ სიტყვების გაგონებაზე უცებ შემრკრთალ ქალბატონს, მაშიმვე შე-ვამჩნიე, რომ თვალები წამსვე ცრემლებით აევსო და მოურიდებლივ ოდ-ნავ დამაკვირდა. შემდეგ ერთი ნაბიჯით ჩემკენ წამოიწია, გულზე მიმი-ხუტა და ერთხანს დადუმდა.

— გულბად, მომმართა ბატონმა თემურიმ, ეს დედაჩემია, ქეთევან კლდიაშვილი! ნინო წერეთლის დაქალი! სწრაფად და გასარკვევად წარ-მოთქვა თემურიმ ახსნა-განმარტებითი სიტყვები და მცირეოდენი აღელ-ვებით დედამისს მიმართა:

— სტუდენტობის დროს, ყოველ ჩვენს შეხვედრაზე ვემუდარებოდი გულბადს, დაბრუნებულიყო ფარიკაობის სექციაში. ცოტა ხანიც და, მის-გან საუკეთესო მოფარიკავე დადგებოდა! დანანებით წარმოთქვა ეს სი-ტყვები და თითქოს განმუხტა უეცრად შექმნილი დაძაბულობა.

— ო-ო! ნუ გააწყალე გული რა, შენი ფარიკაობით! მოურიდებლივ მიმართა დედამ შვილს და გულიდან ამონთებული გაკიცხვით დატუქსვა მიაყოლა კიდეც: მთელი თბილისი გინდა ავარჯიშო ამ ოხერ სპორტში! კარგი რა, მოეშვი!

როგორც მე, ისე ქალბატონი ქეთევანი გაოგნებულები ვიდექით ერ-თმანეთის პირისპირ. თითქოს ვაპირებდით ორივე რაღაცის თქმას, მაგ-რამ რატომღაც იმწამს ვერ ვახერხებდით. ნაუცბათევად წარმოშობილი მორიდებულობა, თითქოს ერთნაირად გვძალავდა ორივეს.

ამ დროს ნუცუბიძის ფერდობის პირველი მიკრორაიონისკენ მიმა-ვალი ავტობუსიც ჩამოდგა გაჩერებაზე და რადგან მომდევნო რეისზე გას-ვლას აგვიანებდა, აღარ გამორთო მძღოლმა მოტორი. თემურის დედა —

ქალბატონი ქეთევანი ავტობუსის დანახვაზე ზანტი მოძრაობით ჩამომეხ-სნა და შვილის დახმარებით აჩქარებული ნაბიჯით ავტობუსში ჩასაჯდომად გაემართა.

ავტობუსის სალონში სწრაფად მოთავსებულ ორ მგზავრს, რატომღაც მომეტებული გულდაწყვეტით დავემშვიდობე და დიდხანს გავადევნე თვალი პლატოსკენ ამოძრავებულ ავტობუსს. ვიდექი გაუნძრევლად და ვნანობდი, რომ ღვთისნიერ ადამიანთან გაცნობითი შეხვედა ერთ წამში დამთავრდა. საოცნებოდ ამედევნა ფიქრი, თუ როდის შევხვდებოდი მათ.

* * *

ამ გასაოცარი შეხვედრიდან ადევნებულ ფიქრებში განვლო თითქმის ერთმა თვემ. და აი ისევ, იმავე გაჩერებაზე «დელისთან», სადაც ჩვენ ერთმანეთს მაშინ დავშორდით, ვხედავ მონატრებულ ქეთევან კლდიაშ-ვილს, რომელიც ისევ ავტობუსის გაჩერებაზე იდგა, ამჯერად მარტოდ-მარტო.

მივუახლოვდი, დავენახე და თავაზიანად მივესალმე.

ქალბატონმა ქეთევანმა მაშინვე დაიწყო გულღიად საუბარი:

— ჩვენი პირველი შეხვედრიდან მოყოლებული სულ შენზე ვფიქ-რობდი, ჩემო გულბად. წარსული ცხოვრებიდან თანდაყოლილი ბევრი რამ გავიხსენე, რაც დედაშენთან — ნინო წერეთელთან მაკავშირებდა. წარმოთქვა და თითქოს რაღაც გაახსენდაო, წამით დადუმდა. მცირე პა-უზის შემდეგ ვითომც გამოფხიზლებულმა, მომეტებული პათოსით განაგ-რძო:

— მე და ნინო, ბავშვობიდანავე დავუმეგობრდით ერთმანეთს. ეს მოხდა ქალთა გიმნაზიის პირველ კლასში, როცა მე და ნინო ერთ მერ-ხზე მოგვათავსეს. მაშინვე გულწრფელი ერთგულებით გავიმსჭვალეთ ერთმანეთისადმი, რომლისთვის არასდროს გვიღალატია არცერთს. და-ქალებად მოვდივართ პირველი კლასიდან და როცა წამოვიზარდეთ, რო-გორც იტყვიან, ახალგაზრდული პერიოდის პირადული მისწრაფებების მესაიდუმლენიც გავხდით. მოკლედ, ერთმანეთისადმი ხალასმა ურთი-ერთობამ გულახდილ და უანგარო მეგობრებად ჩამოგვაყალიბა. თანა-ტოლები, ერთ არსებად აღგვიქვამდნენ ორივეს. მომეტებული პათოსით დაამთავრა ქალბატონმა ქეთევანმა ჩემთვის სასიამოვნოდ მოსასმენი მონოლოგი.

ამ დროს ავტობუსიც მისთვის დამახასიათებელი ხმაურით შემორი-ხინდა გაჩერებაზე.

— აი ავტობუსიც! თქვა დადასტურებით ქალბატონმა ქეთევანმა და დააყოლა: ნუცუბიძის ფერდობის ავტობუსები ერთმანეთისაგან მომეტე-ბული ინტერვალით მოძრაობენ. ახლა თუ ვერ მოვასწარი ჩაჯდომა, ისევ ერთი საათი მომიწევს ლოდინი.

ავტობუსამდე მივაცილე და წინა კარებში ასვლაშიც თავაზიანად მი-ვეხმარე. იქვე, კარებთან ახლოს ნახევრად გახსნილ ფანჯარასთან

მოთავსდა, მე კი კარების გვერდულს გარედან ძველბიჭურად მივეყრდენი. ქალბატონმა ქეთევანმა იგრძნო, რომ ავტობუსი ჯერ არ დაიძვრებოდა (მძღოლო გადასულიყო კაბინიდან სიგარეტის მოსაწევად), და მომმართა:

— ჩვენი მისამართია: ნუცუბიძის პირველი პლატო, მე-17-ე კორპუსი, შუა სადარბაზო, მე-7 სართული, ტელეფონი 31-20-29. გეპატიჟები. ამოსვლამდე წინასწარ დარეკე, მე და თემური სახლში რომ დაგხვდეთ. გულბად, აუცილებლად ამოდი ჩვენთან, ბევრი რამ მაქვს სათქმელი შენთვის, უთუოდ ამოდი გესმის. ყოველთვის გელოდებით. შენი სტუმრობა გაგვიხარდება ორივეს, მეც და თემურსაც, ხომ გესმის! აუცილებლად ამოდი! რამდენჯერმე გამიმეორა ჩემთვის სასურველად გასაგონი სიტყვები, მართლაც რომ მშვენებით წარმოსადეგმა ქალბატონმა.

რამოდენიმე წუთში მძღოლმა აამუშავა მოტორი და ნელი სვლით დაძრა ავტობუსი, შემდეგ ორივე კარის დახურვაც მოიფიქრა. მაამებლურად ვიგრძენი, რომ ავტობუსის ფანჯრიდან თვალმოუშორებლივ მომღიმარე სახე მიცქერდა. მე კი ღიმილს ღიმილით ვპასუხობდი და უსაზღვროდ მსიამოვნებდა დედაჩემის მეგობრის გულწრფელი გამოხედვა, რომელიც ჩემს მიერ მშობლიურ სახედ აღიქმებოდა.

* * *

განვლო რამოდენიმე კვირამ. ერთ დღესაც, სამსახურიდან დაბრუნებული ვხედავ, რომ ისევ იმ გაჩერებაზე ელოდება ავტობუსს ქალბატონი ქეთევანი. ბუნებრივად დამეუფლა მიმზიდველობის ძალა, რომელსაც ჩქარი ნაბიჯით ავყევი და გავწიე ჩემს გულში დედის მაგივრად აღქმულ ქალბატონ ქეთევანისკენ. თამამად მივუახლოვდი და თავაზიანი მოკრძალებით მივესალმე.

— შენსას არ იშლი! სალმის მაგიერ ისე ხმამაღლა შემომძახა ქალბატონმა ქეთევანმა, რომ თითქოს მათრახი გადაეჭიროს ჩემს მხრებზე. რატომ არ გსურს ამოსვლა ჩვენთან? არა მგონია, რომ გვთაკილობ! რა გაწუხებს, რომ ფეხს ვერ ადგამ ჩვენკენ? თითქმის გაბრაზებამდე გულმოსულობით და მკაცრი მოთხოვნით მისაყვედურა კდემამოსილებით აღსავსე ქალბატონმა ქეთევანმა.

— ყოველჯერ მინდა თქვენთან ამოსვლა, მოუზომლად ხშირად ვფიქრობ თქვენზე, მენატრება თემურის ნახვა და საერთოდ თქვენი ოჯახის გაცნობა. მაგრამ რატომ ვერ ამოვდივარ ვერც მიმხვდარვარ! არც კი ვგრძნობ, თუ რა საოცრება მამუხრუჭებს! რა მამძიმებს და რა ძალა მაქვავებს! გასაგებად რომ გითხრათ, სათქმელად მომდგარი სიტყვებიც უმისამართოდ სადღაც გამირბის! გულწრფელად ათასნაირად თავს ვიმართლებდი და კიდევ რა უნდა მეთქვა ან რით მენუგეშებინა დედისმაგვარი ჩემი ქალბატონი, აღარ ვიცოდი.

ამ დროს ავტობუსიც შემობრძანდა სანუკვარ გაჩერებაზე და თითქოს გამინეიტრალა ჩემთვის უხერხული მდგომარეობა.

— აბა, გელოდები, მალე ამოდი, თორემ ხომ ამჩნევ, რა სისწრაფით იწურება დრო! მომაძახა ავტობუსის წინა კარის საფეხურზე შეყოვნებულმა. იქვე, კარის სიახლოეს მჯდარმა ახალგაზრდამ თავისი ადგილი დაუთმო სახით ნაცნობ ქალბატონს და თითონ სხვაგან გადაჯდა. ავტობუსი დაიძრა. გამოსამშვიდობებელი მაინც ღიმილით შემომძინათა ქალბატონმა ქეთევანმა.

* * *

რამოდენიმე თვე ისე წაეწყო ერთმანეთს, რომ სამსახურიდან დაბრუნებულს ქალბატონი ქეთევანი აღარ მხვდებოდა გაჩერებაზე მეტრო «დელისთან». ასე გაიარა არც თუ ისე ცივმა ზამთარმა, გაზაფხულიც მეტისმეტად გრილი გამოდგა. ზაფხულის პირს, ისევ «დელისის» გაჩერებაზე მოულოდნელად დავინახე ისევ სიმშვენიერით აღსავსე ქალბატონი ქეთევანი. ნაუცბათევზე ვიგრძენი, რომ ჩემში უეცრად მოზღვავებულ უსაზღვრო სიხარულს საზღვარი, საზღვარს იქით გადასცდენოდა. აჩქარებული გულისძგერით შემომიტია შეხვედრის სიამოვნებამ. ჩემს ირგვლივ ყველა და ყველაფერი იმ წამსვე გაჰქრა და გაუჩინარდა ჩემს გაგებაში საოცარ ადამიანად აღთქმული არსების გამო. მოჩქარებით მივუახლოვდი ჩემთვის ზებუნებრივი სულიერებით აღსავსე ქალბატონს და ფრთხილად ყურთან წავჩურჩულე:

— გამარჯობა, ქალბატონო ქეთევან!

— არ გრცხვენია! შემოხედვისთანავე საფანტივით შემომაყარა სიტყვები, — ბოლოს და ბოლოს, თუ არ გინდა ამოსვლა, დაგერეკა მაინც! ამ ზამთარს ახალმოდური გრიპი შემეყარა და თუ გადავრჩებოდი, არ მეგონა.

— გიცქერით, და ღვთის მადლით მშვენივრად გამოიყურებით, შევამხნევე ქალბატონი ქეთევანი.

— ოო! შენ ეგა თქვი და! თემურიმ იმდენი ნაირნაირი წამალი მასვა და მაყლაპა, ნემსებითაც კარგა მაგრადაც დამჩხვლიტეს, რომ გრიპი აღარც კი მახსოვდა! მიღებული წამლებისგან უფრო ცუდად ვიყავი, გულახდილად გამიზიარა თავის გულისტკივილი.

— დრო ისე გარბის, გაიმეორა ადრეთქმული ქალბატონმა ქეთევანმა, რომ ყოველდღიური ცხოვრებაც სადღაც ბინდში იკარგება უკვალოდ! ჩემს ავადმყოფობაზე, ერთი ამბავი გამახსენდა და აუცილებლად უნდა გიამბო. ჰმ, ავტობუსმა ისევ ჩამიშალა შენთან საუბარი. ეს ოხერი, როცა არ გინდა რომ მოვიდეს, მაშინვე გამოჩნდება და როცა გეჩქარება, საერთოდ არ ჩანს.

ავტობუსში ავიდა, ისევ ფანჯარასთან მოთავსდა და მაშინვე გადმომძახა:

— ხვალ შაბათია! მოდი, თორმეტ საათზე შევხვდეთ ამ სასწაულ გაჩერებაზე. აუცილებლად უნდა გიამბო, რაც გამახსენდა!

ღიმილით დავეთანხმე და ამოძრავებულ ავტობუსს თვალი გავაყოლე მის გაუჩინარებამდე.

* * *

მეორე დღის შუადღეს მეტრო «დელისის» გაჩერებასთან ვიდექი. ძველი სტილით გაზაფხული ჯერ არ გასულიყო, ხოლო ახალი სტილით ზაფხულის დღეები იდგა. ნუცუბიძის ფერდობის ახალმშენებლობებიდან გამოფანტულ მტვერს გადარჩენილი მეტრო «დელისის» მიმდებარე გარემო დილიდან გამოყოლილი სიგრილით იყო ჯერ კიდევ სავსე. გათენებასთან ერთად სასიამოვნოდ ამოფრქვეული დილის გამაგრილებელი ნიავით ჯერ კიდევ სულდგმულობდა პაპანაქებად მომზადებული შუადღე.

ნუცუბიძის პირველი პლატოდან მომავალი ავტობუსი ჯერ არ ჩანდა.

ჩემთვის მშვენიერი ქეთევან კლდიაშვილის გაცნობა სულიერად მეამაყებოდა, რამაც მასთან დედობრივი გრძნობით გამჭვალულ დამეგობრებას შეუწყო ხელი. ქალბატონი ქეთევანის პირსახის მრავლისმთქმელი ნაკვთები და მისი განსახიერების მდიდრული შესახედაობაც მაგრძნობინებდა, რომ ახალგაზრდობაში თვალწარმტაცი პიროვნება უნდა ყოფილიყო. მადლცხებული და მოკრძალებული დედობრივი მზერა ერთგვარ ჰარმონიას უწყობდა სათნოებით მოსილ მის იერს. სიკეთით აღსავსე მის გამოხედვას ფაქიზად ეტმასნებოდა ბუნებრივი ვერცხლისფრით შემკული შეუფერადი ჭაღარა. ქალბატონ ქეთევანის სახიერ ნაკვთებს და მადლცხებულ გამოხედვას გამართლებულად ვადარებდი მხოლოდ წმინდა მარიამის ცოცხლივ მზერასა და დედურ თვალებს. ვამსგავსებდი იმდენად, რამდენადაც დედობრივად გამომეტყველი მზერა მუდამ უკრთოდა მას განვლილი ცხოვრების დაღებით მოხატულ სახეზე. გულის ძარღვამდე მსიამოვნებდა ქალბატონი ქეთევანის დანახვა, მასთან ყოფნა და მისი საუბრის მოსმენა. ღვთისნიერად მეგრძნობოდა, რომ სიცოცხლის ბოლო წამამდე წმინდა მეგობრული ურთიერთობის აპოგეამდე წამიყვანდა ყოვლისშემძლე ზეციური გამჩენი. ქალბატონი ქეთევანის მიერ გამოთქმულ ყოველ სიტყვაში აშკარად იგრძნობოდა მისთვის დამახასიათებელი უკიდეგანო გულწრფელობა. იგი გულმართალი იყო ყველგან და ყველაფერში. ამასთან ერთად, განვლილ ცხოვრებაში ბევრი ჭირ-ვარამის მნახველი ადამიანის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა, რაც ჩემი გრძნობით ბევრად ჭარბობდა მისი სიცოცხლისა და ცხოვრების სასიამოვნო წლეებს. მე არ ვიცოდი მისი პირადი წარსულის არც ერთი დაუწერელი ფურცელი, და არც ვეკითხებოდი. თუმცა ყოველთვის მსურდა გამეგო.

და აი, ქალბატონ ქეთევანის ავტობუსიც ჩამოდგა. ფეხზე წამომდგარ მგზავრთა შორის იგი არ ჩანდა. ჩემთვის ძვირფასი ქეთევანი ჯერ კიდევ იჯდა და მგზავრებისაგან ავტობუსის მთლიანად ჩამოცლას ელოდებოდა. ბოლოს, დავინახე რომ წამოდგა და ჩამოსასვლელად მომზადებულს, ავტობუსის კართან ხელი შევაშველე. დახუთული სივრციდან გადმოსულმა ქალბატონმა ქეთევანმა ერთგვარი შვება იგრძნო და

ღრმად შეისუნთქა ასფალტსმიკრული თბილი ჰაერი. ურთიერთმისალმებისთანავე შემეკითხა:

— ხომ არ დავიგვიანე?

— რომც დაგეგვიანათ, მაინც აქ ვიდგებოდი ფეხმოუცვლელი, დაგელოდებოდით დაღამებამდე, ან კიდევ მთელი ღამე და მეორე დღეც, და შემდეგაც, ვუპასუხე ალალად.

— თავაზიანობა გშვენის, მაგრამ მაინც ვერ ჩავწვდი შენს ახირებას, რატომ არ მოდიხარ ჩვენთან?! — ჯიქურ შემომიტია ძველებურად.

— მე თვითონაც არ ვიცი, დარცხვენით წარმოვთქვი. ალბათ, წარსულზე საუბრის მოსმენა ჯერ კიდევ მიჭირს და გამიჭირდება კიდევ დიდხანს. ასაკს მაინც თავისი გააქვს და მომავალში, თუ დაბერებას დამაცლის ზენაარი, სწორედ ის დროს დადგება, როცა მოხუცი ყველაფერს იტანს. მაშინ აღარ გამიჭირდება არც წარსულზე ფიქრი, არც წარსულის შესახებ ნაამბობის მოსმენა და თუნდაც გაუჩინარებული წლების გახსენება აზრის დაუყოლებლად.

— ასეთი სათქმელი პასუხად ახლა მოგადგა ენაზე, თუ დიდი ხნის მოფიქრებული გადმოაფრქვიე? — მოგების ნიშნად მოურიდებლივ შემეკითხა.

— ერთიც და მეორეც! ან ორივე ერთად! ცხოვრებისეული შტრიხები თუ არ გაჯდა შენში სამუდამოდ, მაშინ ყოველივეს, რაც თავს გადაგხდება, წარსული შთანთქავს უკვალოდ, ვუპასუხე სხარტად და თითქმის მოუფიქრებლივ.

— ჰმ, შენ გაგიმარჯოს! ტყვიასავით მესროლა სიტყვა და სწრაფად განაგრძო: ახლა მომისმინე, აჯობებდა სადმე ბაღის სკამზე ჩამომსხდარიყავით.

— მართლაც, შესანიშნავი აზრია, თათარიახნად დავეთანხმე წარმოთქმულ სიტყვებს. არც თუ ისე შორს, აი აგერ, მეტრო «დელისის» მეორე ჩასასვლელის სიახლოვეს, სახელდახელოდ ზაფხულის საუცხოო კაფე გახსნეს. საჭიროა დეგუსტაცია და უარს ნუ მეტყვით! მოვიაზრე ნაუცბათევზე.

— თუ საჭიროა დეგუსტსცია რა გაეწყობა, მივიდეთ შენს მიერ ნაქებ კაფეში! დამეთანხმა ქალბატონი ქეთევანი, ხელკავით ჩამეჭიდა და მოსეირნე ნაბიჯით გავწიეთ კაფესკენ.

სოკოსავით გათეთრებულ დიდი ქოლგის ქვეშ, იმ მხარეს სადაც ჩრდილი იყო მომდგარი, სკამი შევთავაზე ჩემ სტუმარს. ისიც ნელი მოძრაობით დაეშვა და ირგვლივ მიმოიხედა.

ამასობაში, შესამჩნევად გამხდარი და ცხვირაპრეხილი რუსი გოგონა ტანის ნარნარი რხევით მოგვიახლოვდა, თავის ოდნავი დახრით უხმოდ მოგვესალმა და გაღიმებული ტუჩების მოძრაობის თანდაყოლით, შეგვეკითხა:

— რას ინებეპტ?

ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების დასაწყის პერიოდში ორიგინალურად ნათქვამი მისი ქართული, ბევრ დადებით სიახლეზე მეტყვე-

ლებდა. ერთი შეხედვით იგრძნობოდა, რომ საბჭოთა კავშირის მარწუ-ხებიდან განთავისუფლებულ და დემოკრატიას გზადამდგარ საქართველოს უკვე თავისკენ მოექცია თავის ქვეყანაში მაცხოვრებელი უცხოენოვანი მოქალაქეები.

თანაგრძნობის საფასურად მისი ნათქვამის გაგონებაზე ჩემში ამიტივ-ტივებული ჩაღიმება ანაზდათ სახეზევე შევიშრე და ღიმილის გარეშე ვუ-თხარი:

— ორას-ორასი ნაყინი, ლიმონის ლიმონათი და შოკოლადის ერთი ფილა თავისი ფოლგით, ე. ი. მთლიანად!

— ქეთევან! — მივმართე შენობით ჩემს ქალბატონს, ცივ ნაყინს ცხელ ყავას ვაყოლებ, წლების მანძილზე ასეთი უცნაური გემოვნება გამომიმუ-შავდა. თქვენ, ნაყინთან ერთად მიირთმევთ ყავას? დავეკითხე.

— არა! ცივად მიპასუხა და დაყოლა: ყავა? ჰმ, არა!

— მაშ ასე, რაც შეგიკვეთეთ, მოიტანეთ! მივმართე მომღიმარ გოგო-ნას და დავუმატე: თურქულად შემზადებული ერთი ყავაც მოაყოლეთ, ოღონდ უ-შაქ-როდ! — დავუმარცვლე გარკვევით.

— კარგიტ! დამეთანხმა სიამოვნებით და გასაოცრად თვალმომტაცი ქალური რხევით დახლისკენ გასწია.

თვალმოუშორებელი შესახედაობის გოგონამ დიდხანს არ გვალო-დინა. თანაც, ამ შუადღეს მგონი პირველი სტუმრები მე და ჩემი ქალ-ბატონი უნდა ვყოფილიყავით. მოკრძალებით ჩამოაწყო მაგიდაზე შეკვე-თილი და თავაზიანად ერთი სიტყვაც დაგვიყოლა: «ინებეტ!». პატივისცე-მით მოპყრობაზე გულახდილი მადლობა გადავუხადე სასიამოვნოდ «მო-ცეკვავე» თვალმოუშორებელ გოგონას.

— შესანიშნავ გარემოში მომაქციეთ! — ნელი ტემბრით დაიწყო ქალბა-ტონმა ქეთევანმა და ნახევარკოვზ ნაყინს გემო მოუსინჯა.

— ჰმ, ნაყინსაც არა უშავს, კარგია! წარმოთქვა თითქმის გაკვირვე-ბით.

შოკოლადის ფილა გაუხსნელად დავამტვრიე, ზედა ქაღალდი მოვა-ცალე და ფოლგიანად საინზე მოვათავსე. შემდეგ მივმართე ქალბატონ ქეთევანს:

— ნაყინთან ერთად შოკოლადს სასიამოვნო გემო შეექმნება, ვუ-თხარი დაჯერებით.

— ვნახოთ, გავსინჯავ! არ დააყოვნა პასუხი.

მე კი, მოულოდნელის მოლოდინის გამო მომეტებით ვგრძობდი შინა-გან სიმხურვალეს და ჩემდა უნებურად შესაწირავად ვემზადებოდი შე-უცნობელი წარსულის გასაგონად. თითქოს ვხვდებოდი გუმანით, რა-ღაც უნდა მოეყოლა დედაჩემის — ნინო წერეთლის შესახებ. მის შეუმ-ჩნევლად დავიძაბე კიდეც მთელი ჩემი არსებით და ვღელავდი შინა-განი თრთოლვის დაყოლებით. აუტანელი მდგომარეობით ბოლომდე და-ვიტანჯე. მხოლოდ ჩემთვის გასაგონმა უცნაურმა დასაწყისმაც მოაღ-წია.

— დაოჯახების ბედმა ტაშკენტში გადამისროლა საცხოვრებლად. მე ალალად მივენდე მოსკოვში გაცნობილი უცხო ეროვნების ადამიანის ნამდვილ სიყვარულს და ციდან ჩამობერტყილ ჩემ ბედისწერას ვერ ვუღალატე. მალე გადავედით ტაშკენტში საცხოვრებლად და წლისთავზე პირმშოდ ვაჟიშვილი შეგვეძინა, რომელსაც ქართულ-უზბეკური სახელი «თემური» დავარქვით. ეს მოხდა შორეულ 1932 წელს. გაუფრთხილებლივ დაიწყო ქალბატონმა ქეთევანმა, თავის ცხოვრებისეული ამბის გაცნობა ჩემდამი.

ტაშკენტში იმ დროს საკმაო რაოდენობით ქართველები ვცხოვრობდით. ჩვენ ქართველებს მართალია არ გვიჭირდა, მაგრამ მაინც სულიერად ქრისტიანული და ეკონომიკურად ურთიერთდახმარებითი კავშირი გვქონდა ერთმანეთთან. ეროვნულ ერთიანობაში ხელს გვიწყობდნენ თვით მასპინძელი უზბეკებიც, რომლებიც პატივმოყვარეობასთან ერთად, ქართველებისა არ იყოს სტუმართმოყვარეობით უფრო მეტად გამოირჩეოდნენ. რაც მთავარია, უზბეკეთში მაცხოვრებელ სხვა ეროვნების ხალხთაგან ადგილობრივი მოსახლეობა უპირატესობას ქართველებს ანიჭებდა. ეს კი თავის მხრივ გამოწვეული იყო ჩვენი ხალხის მეტად გულთბილი დამოკიდებულებით მათდამი.

— ტაშკენტში მცხოვრები ქართველები დიდ ინტერესს ვიჩენდით უზბეკური კულტურისა და ხელოვნების მიმართ, ასევე ვინტერესდებოდით მათი ეროვნული ყოფა-ცხოვრებითა და წეს-ჩვეულებებით. დავდიოდით მუზეუმში, ვესწრებოდით ახალი გამოფენების გახსნას, ასევე შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან. ხშირად გვეპატიჟებოდნენ ქორწილში, ვტკბებოდით მათი რეპრიზული მუსიკის ჰანგებით, მოკლედ უზბეკური კულტურის მესაიდუმლენი ვიყავით ნამდვილად.

— და აი ერთხელ, შევიარე სახვითი ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ახლად გამოფენილი კოლექციების დასათვალიერებლად. ჩემი ყურადღება რატომღაც მიიპყრო მარმარილოში გამოთლილმა უზბეკი პიროვნების პორტრეტულმა ქანდაკებამ. ბიუსტი მაღალკვალიფიციურად იყო შესრულებული და სრულიად დამსახურებულად მნახველთა მოწონებასაც იმსახურებდა. ერთობ დამაინტერესა მოქანდაკის გვარმა, რომელიც იქვე ბიუსტის საყრდენზე იყო აღბეჭდილი. გვარი წავიკითხე ერთხელ, მეორედ, დამარცვლით წავიკითხე კიდევ და კიდევ, მაინც წაკითხულს არ დავუჯერე და უცნაურ საგონებელში ჩავვარდი გაურკვევლად. «საიდან სადაო, წმინდა საბაო» ძალაუნებურად გამიელვა ფრთაშესხმულად მოარულმა ქართულმა ისტორიულმა ფრაზამ. ისევ ჩავაკვირდი წარწერას, რომელიც მაგრძნობინებდა გარკვევით ჩემი ახალგაზრდობის მეგობრის მოქანდაკე ნინო წერეთლის გვარსა და სახელს. ვიდექი გაუნძრევლად და თვალის ერთ დახამხამებაში გონებაში გადამირბინა ნინოსთან ერთად გატარებულმა მთელმა ახალგაზრდულმა ცხოვრებამ, სამარადისოდ შიგ ჩაქსოვილი ამოუცნობი დეტალებით.

ქალბატონი ქეთევანი მცირედ შეჩერდა და სხვა თემის მოყოლა დაიწყო:

— გიმნაზია დიდი ხნის დამთავრებული მქონდა, როცა მამაჩემს, მწერალ დავით კლდიაშვილს რაღაც საქმეზე გავყევი მის მეგობარ მიქანდაკე იაკობ ნიკოლაძესთან. სახელოსნოში შესვლისთანავე დავინახე გიმნაზიის პერიოდის ჩემი მეგობარი ნინო წერეთელი, რომელსაც თეთრი ხალათი ეცვა და ძერწავდა ვიღაცის პორტრეტს. წივილ-კივილით გადავეხვიე ჩემს თანაკლასელსა და მეგობარ ნინოს, რომელსაც გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იშვიათად თუ ვნახულობდი. ჩვენი შეხვედრა აუწერელ საოცრებას გავდა. დიდი ხნით დაშორებული მეგობრები ვეხუტებოდით და ვკოცნიდით ერთმანეთს. ეს იყო მაშინ, ახალგაზრდობის დაუვიწყარ დროს. და აი ახლა! ამ დასიცხულ ტაშკენტში? ვდგევარ ჩემი მეგობრის ნახელავ ქანდაკებასთან და ფეხი ვერ მომიცვლია. ჩემი ცხოვრება, რომელიც გამოეყო თბილისს და ტაშკენტს დაუკავშირდა, მაინც ყოველთვის საქართველოს სიყვარულით იწვოდა. ვუყურებდი, ჩემი მეგობრის მიერ შექმნილ პორტრეტულ ქანდაკებას და მის ავტორთან ერთად მთელი ჩემი ახალგაზრდული ცხოვრება მელანდებოდა თვალწინ. თბილისში, იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოში ჩახუტების შემდეგ ნინოს აღარ შევხვედრივარ, თუმცა სად უნდა მენახა, ჩვენ შორის, ისე როგორც თბილისსა და ტაშკენტს შორის, თვალუწვდენელი დრო და სივრცე იყო გადაჭიმული. და აი ახლა, ამ დასიცხული ქალაქის მუზეუმში, გულგახურებულს მელანდებოდა მასთან შეხვედრა. გაოცებული და აღტაცებული, იმ წამს მხოლოდ ერთი მიზნით ვსულდგმულობდი, დამენახა და გადავხვეოდი ჩემს ნინოს, ჩემი ახალგაზრდობის მესაიდუმლეს. ვფიქრობდი მხოლოდ მასზე და მაინც, უნებურად მოვლენილი გაურკვეველი ტკივილით და მომეტებული გულისძგერით ივსებოდა მთელი ჩემი გონება. ვიდექი გაოგნებული და შემკრთალი, თითებით ვეფერებოდი წარწერაში გამოსახულ მეგობრის სახელსა და გვარს. სულით ჩათუთქული, ჩემს უნებურად დაბალი ხმით ქალური გულაჩუყებით ავტირდი. ოდნავ შევტორტმანდი, როცა ვიგრძენი, რომ იქვე მდგარი უზბეკი ცოლ-ქმრის ყურადღება მივიქციე. თვალებში მომდგარი ცრემლების ნაკადი თითქოს გულში ჩამეშრო. ერთი შეხედვით, დავწყნარდი კიდეც, აღელვებამ თანდათან გამიარა და ნელი ნაბიჯით დავცილდი ნინოს არსებობის მაუწყრბელ ქმნილებას.

— თითქოს გამოვცოცხლდი, მაგრამ უცნაური აზრი ამეკვიატა: რატომ იყო ჩამოსული ნინო ტაშკენტში ან საერთოდ, აქ რა უნდოდა? რა მიზეზმა გადმოხვეწა ქართველი ქალი უცხო მხარეს? ათასნაირი აზრი დამიტრიალდა გონებაში და თავგზა ამიბნია... აღშფოთებულმა მუზეუმის დირექციას მივმართე. მითხრეს, რომ არ იცოდნენ თუ სად ქირაობდა ბინას მოქანდაკე ნინა დავიდოვნა ცერეთელი. ამიტომ მირჩიეს: დაწყებული სამუშაოს გასაგრძელებლად ნინა დავიდოვნა ხვალ დილიდანვე მოვიდოდა მუზეუმში და მეც შემეძლო ხვალვე მოვსულიყავი აქ მასთან

შესახვედრად. თითქოს დავწყნარდი, მაგრამ მაინც, მთელი ღამე სულმოუთქმელად ველოდი მეორე დღის გათენებას...

— და აი, ბავშვობაში დაძმობილებულმა დაქალებმა გადავეხვიეთ და ჩავკოცნეთ ერთმანეთი! უსაზღვროდ სასიამოვნო ამ შეხვედრის სითბო დღემდე გამომყვა და დღესაც ასულდგმულებს ჩემი ცხოვრების ამქვეყნიურ ყოფას. ჩემ თავთან განმარტოვებისას ხშირად ვიხსენებდი და დღესაც გავიხსენე ტაშკენტური შეხვედრა და მეგობრობის სიტკბო ნინოსთან, ჩემთვის უძვირფასეს ადამიანთან. რა ვიცოდი, რომ ბედნიერ წლებთან ერთად თავს დამატყდებოდა მოუშუშებელ სევდას თანდაყოლილი ტკივილი, რაც მდევს მოუშორებლივ, მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე.

— ერთად გამოვედით მუზეუმიდან და დიდხანს ვსეირნობდით ქალაქის თვალწარმტაც ძველ უბნებში. თითქმის ყოველი ადგილობრივი შემხვდური ჩვენში ქართველების შეცნობისთანავე, ღიმილნარევი თავაზიანობით გვიყურებდა და ცნობისმოყვარე თვალებით გვაცილებდა. ცოტა ხნით ჩაიხანაშიც ჩამოვსხედით და დავაგემოვნეთ იქაური მწვანე ჩაი. მზის ჩასვლა აღმოსავლური არქიტექტურის ფონზე აუხსნელ პეიზაჟად გვესახებოდა.

— ჩემთან საუბრის დროს, ნინომ ტაშკენტში მისი ჩამოსვლის მიზეზიც გამიმხილა. მიზეზად დაასახელა მის ოჯახში წარმოშობილი უსიამოვნება, რაშიც ბრალი ცხოვრებისეულ მეგზურს ედებოდა მთლიანად. ვუყურებდი მას თვალებში და ვგრძნობდი, რომ განვლილი ოჯახური ცხოვრების გახსენებაც კი ამაზრზენი იყო მისთვის. მხოლოდ ამის გამო ნინოსთვის აუტანელი გახდა თბილისში ცხოვრება. სწორედ ასეთ ვითარებაში ერთგვარ შვებად გამოესახა კულტურის სამინისტროს მიერ მისთვის შეთავაზებული წინადადება: ერთი-ორი წლით სამუშაოდ წასვლა ტაშკენტში, სადაც ხელშეკრულებით შეასრულებდა უზბეკეთის სახვითი ხელოვნების მუზეუმის დაკვეთებს.

— სამშობლოში ნინო წერეთელს მოპოვებული ჰქონდა ცნობილი მოქანდაკის სახელი და სწორედ ასეთი აღმავლობის პერიოდში მოუხდა თბილისის დატოვება. ტაშკენტში ნინო წერეთლის მთავარი საზრუნავი იყო თავის სპეციალობა — მოქანდაკეობა, რაც განუზომლად საამაყო იყო მისთვის.

ქალბატონი ქეთევანი ერთხანს ჩაფიქრდა და ისევ განაგრძო:

— ნინოს მონახულების მიზნით ხშირად ვსტუმრობდი მუზეუმს, სადაც იგი სხვადასხვა სამუშაოს ერთდროულად ასრულებდა: ძერწავდა, თლიდა ქვაში ან მარმარილოში. კმაყოფილებით შევცქეროდი, თუ რა სისწრაფით გამოყავდა ადამიანის სახისთვის დამახასიათებელი ნაკვთები, ფარული ნიჭი ასაზრდოებდა მის მოქნილ თითებს, რომლებიც მეტად მოხდენილად მოძრაობდნენ რბილ თიხაში. საჭიროებისამებრ ოსტატურად იყენებდა საქანდაკებო დანიშნულების იარაღებს, რომლებიც ნინოს ხელით განსაკუთრებული მიზანსახვით კვეთდნენ თუ ჭრიდნენ ქვას ან მარმარილოს. ნინოს მოძრავ ხელებში ცოცხლდებოდნენ

ქართველის სახისაგან განსხვავებული გამომეტყველების პიროვნებათა ბიუსტები. სიამოვნებას მგვრიდა კეთილად შესაშური თვალით აღქმული მისი საქანდაკებო ხელოვნება, რაშიც ვლინდებოდა მხოლოდ ამ ფასდაუდებელი ოსტატისთვის დამახასიათებელი კეთილგონივრულობით აღსავსე თვისებების გამოხატულება. გულწრფელად მიყვარდა გიმნაზიის პერიოდიდან ჩემთან შეზრდილი მეგობარი, რომელიც ასეთივე გრძნობით იყო გამსჭვალული ჩემდამი.

— წარმოგიდგენია!!! მოულოდნელად თითქმის იყვირა სათნოებით მოსილმა ქალბატონმა ქეთევანმა. და ისეთნაირად, რომ ძალაუნებურად შევკრთი, ღონემაც წამიერ მიმტყუნა თითქოს, და ძალის მოსაკრებად ერთი ყლუპი ყავა ძლივს გადავუშვი ხახაში!

— საკვირველია პირდაპირ! განაგრძო ისევ იმავე პათოსით და ისევ ხმამაღლა, წამოიყვირა: წარმოგიდგენია! გამიმეორა და განაგრძო: გავცივდი იმ პაპანაქება ტაშკენტში და ძალიან მაგრადაც ავად გავხდი, მომეტებული ემოციით დაამთავრა წინადადება კდებამოსილებით აღსავსე ქალბატონმა ქეთევანმა.

— უკვე მეორე დღე იყო, განაგრძო შეუჩერებლივ, რაც დიდი სიცხით ვიწექი ლოგინში. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როცა ჩემი მეუღლე მოსკოვში იყო მივლინებით. ჩემი ყურადღებიანი მეზობელი მივაგზავნე ნინოსთან დახმარების სათხოვნელად.

— ნინო დაუზარებლივ გაჩნდა ჩემთან და დამიწყო მოვლა, როგორც პატარა ბავშვს. ხან ლიმონიან ჩაის მასმევდა, და ხან მურაბიან ცხელ წყალს. სიცხე მაინც არ მეშვებოდა და თანდათან ზემოთაც იწევდა. ჩემი მდგომარეობით შეწუხებული ნინო გადავიდა ჩემი კარის მეზობლებში, გაიკითხ-გამოიკითხა და როგორღაც ექიმს მიაგნო. ისიც გაარკვია, რომ ექიმი ერთ საათში მოვიდოდა. ნინო რომ გამხდარიყო ავად, მეც მოვუვლიდი, შეიძლება უფრო უკეთესად, ვიდრე ის მივლიდა.

— ექიმის მოსვლამდე, გამირთულდა მდგომარეობა და რატომღაც უფრო ცუდათ შევიქენი. სიცხე უკიდურესობამდე ამეწია, გული მერეოდა, თვალებშიც დროდადრო სინათლე მიბნელდებოდა. დასუსტებულმა, ძლივს გასაგონი ხმით წარმოვთქვი:

— ნინო, მიშველე!

— ნი-ი-ნო! გაგრძელებულად ძლივს გავიმეორე, თითქმის გულწასულმა.

— ნინო, ჩქარა! ცივი ტილო და-მა-ფა-რე შუუბლზე! ისევ შევძახე დამარცვლით.

— აღარ მახსოვს, კიდევ რამდენჯერმე გავიმეორე მისი სახელი.

— არსაიდან არავითარი რეაგირება! არა და, ვიცი, რომ სახლშია! როგორც იქნა ძლივს წამოვიწიე საწოლიდან და რის ვაივაგლახით მეორე ოთახს მივატანე თვალი. რას ვხედავ! ნინო ზის სარკის წინ და თმებს ისწორებს. დაუვლია ხელი ჩემი «პუდრისა» და «პომადისთვის» და, ასე ვთქვათ, ლამაზდება! თავს ძალა დავატანე და როგორღაც გავიხედე სასადილო მაგიდისკენ და ერთ წამს გავვოცდი. გადაფარებუ-

ლია გაქათქათებული სუფრა, გაწყობილია ჩაის ფიალები, აღმოსავლურ ხონჩზე კოხტად შემოწყობილია ნაირნაირი ნამცხვრები, იქვე დევს ხილით დახუნძლული სინიც და ახლადმოდუღებული ქართული ჩაიც ამშვენებს სუფრას!

— ჰმ, ეგეც ჩემი ნინო! გავიფიქრე წყენით, ემზადება ექიმის დასახვედრად! სულ დავავიწყდი ჩემს ავადმყოფობასთან ერთად!

— ნინო! გავძახე რაც შემეძლო ხმამაღლა, რას მაყვირებ, მომხედე ერთი წუთით მაინც, შენს იმედზე ვარ დარჩენილი, როგორც გატყობ, შენი ჭკუა-გონება კი სულ სხვა აზრებით არის მოცული!

— წუთი წუთზე ექიმი უნდა მოვიდეს, გამომძახა მეორე ოთახიდან, ისე რომ სარკესათვის თვალი არ მოუშორებია!

— გასაგებია, ექიმი უნდა მოვიდეს, ძლივს წარმოვთქვი, მაგრამ სანამ მოვა მომხედე, რატომღაც უფრო ცუდად ვარ, არ ვიცი რა მემართება!

— გასპეტაკებულ ლოგინში თოჯინასავით წევხარ! ისევ შემომძახა, სკამთან ერთად გადმოიწია, შემომხედა და თვალისმომტაცი ღიმილით მითხრა: ნახე, სახეზე ფერიც მოგსვლია, კაცმა რომ თქვას შესახედაობითაც ძალიან ლამაზად გამოიყურები! თავის ჭკუით გამამხნევა თითქოს.

— შენ რაებს ლაპარაკობ! რა დროს სილამაზეა, ლიმონის წვეთებით დამისველე ჩქარა ტუჩები! სადაცაა გული წამივა! უკვე გულმოსულმა ძლივს შევძახე.

— ნინომ სწრაფად შეასრულა, რაც ვუთხარი.

— ნუთუ ვეღარ ხედავ, რომ მე ჯერ კიდევ ავად ვარ! ექიმი რა სტუმარია, რომ მასთან შესახვედრად ასე საგულდაგულოდ ემზადები! აბა, შენ შენი თქვი, და! ჩემებურად დავაბოლოოვე წინადადება.

— ჰმ! შენი აზრით, არ უნდა მოვემზადო? საშინაო ხალათში უნდა დავხვდე ექიმს? თმაც აღარ დავივარცხნო, ჩაიც აღარ მივართვა? უცხო კაცი პირველად შემოდის შენს ოჯახში, რა უნდა იფიქროს ჩვენს ქართველობაზე! მოფიქრებულად შემომიტია ნინომ.

— ნინო ამ სიტყვებით მაწყნარებდა, გულთბილად მიღიმოდა, თან ბალიშსა და საბანს მისწორებდა.

— ამ დროს კარებზე მორიდებული კაკუნის ხმა გაისმა. ნინომ გადმომხედა და ისევ გამიღიმა. სანამ კარებს გაუღებდა ექიმს, სარკეში ჩახედვაც მოასწრო, ხელით ოდნავ თმებსაც შეეხო და ჩაუკეტავი კარი გამოაღო.

— ტაშკენტის კვალობაზე აბა ვინ შემოვიდოდა, შემოვიდა უზბეკი ექიმი! აღმოსავლურობის იერით ნორმალური შესახედაობის, ოდნავ შესუქებული, სუფთა და გაწკრიალებული ნაციონალური ტანსაცმლით. მისი შემოსვლისთანავე, ორივემ ყნოსვით ვიგრძენით, რომ ახალნაჭამი ფლავის სურნელებით აგვევსო ოთახი. ექიმმა ხელის დაბანა თხოვა ფეხზე მდგარ დიასახლისს.

— ექიმი ჩამომიჯდა საწოლზე და პულსი გამისინჯა, მერე პირი დამაღებინა, ჩაის კოვზით ენა ჩამიწია და თვალის ერთი შევლებით პირის

ღრუ დამითვალიერა, ხელისგულით შუბლზე შემეხო, მერე შემთბარ სიცხის საზომსაც დახედა.

— ექიმი წამოდგა, ნინომ კი მეორე ოთახში გაიპატიჟა. იგი სახელდახელოდ გაწყობილ სუფრას დაუპატიჟებლივ მიუჯდა, ამოიღო რეცეპტი და წამალი გამოწერა. ამასობაში ნინომ ახალმოდუღებული ჩაი ჩამოასხა და წახემსება შესთავაზა სტუმარ ექიმს.

— ექიმმა ორი ყლუპი მოსვა და ჩაის დაყენება შეუქო მასპინძელს. ნამცხვარი და ხილი იუარა. წასვლისას ჩემს ოთახში შემოიხედა, გამოჯამრთელება მისურვა და ორივეს სათითაოდ გამოგვემშვიდობა.

— ორ დღეში მართლაც უკეთესად გავხდი, მაინც ძლივს წამოვდექი, ჯერ შევტორტმანდი კიდეც და პირველხანს ბარბაცით დავიწყე სიარული.

— ჩემთვის თითქმის სატანჯველ იმ დღეებში ნინო ჩემთან ათენებდა ღამეს. ფეხზე რომ დამინახა, ესიამოვნა და მეორე დღეს მუზეუმში გავარდა სამუშაოდ. მონატრებულ საქმეს შეუდგა და მარმარილოში ვიღაც უზბეკის პორტრეტული ქანდაკების გამოთლა დაიწყო. გვიან საღამოს შემოიარა, ვახშამი შემიმზადა და საწოლზე წამომჯდარს მომართვა.

— რა ყურადღებით მისმენ გულბად, თითქოს ჩემ მიერ თქმულ ყოველ სიტყვას იმახსოვრებ! გულკეთილად მითხრა ქალბატონმა ქეთევანმა. საპასუხოდ ხმა არ ამომიღია, არ მინდოდა შეეწყვიტა საუბარი დაქალ ნინო წერეთელზე.

— ამის შემდეგ, ნახევარ წელიწადში, ნინოს ამოეწურა კონტრაქტი ტაშკენტის სახვითი ხელოვნების მუზეუმთან და თბილისში გასამგზავრებლად მოემზადა.

ჩვენ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს თბილისში შეხვედრამდე.

— დიდი ხანია, რაც ვზივართ ამ საგარეო კაფეში? იკითხა ქალბატონმა ქეთევანმა მოაზრებულად.

— თუ გნებავთ, წავიდეთ! შევთავაზე მიხვედრილად.

— სულიერად ძალიან დამღალა ნინო წერეთლის გახსენებამ. ჩემს გონებაში ყოველთვის ცოცხლობს განუყრელი მეგობარი ნინო. ახლაც გამიცოცხლდა თითქოს. ძლივს დავუბრუნდი სინამდვილეს, მაინც სინანულით წარმოთქვა სიტყვებად ქცეული აზრი ქალბატონმა ქეთევანმა.

ჩვენ წამოვდექით. თავაზიან მომსახურე გოგონას ფული გადავუხადე მადლობის დაყოლებით და ხურდა აღარ გამოვართვი.

— ძიძი მადლოპტ! შემოიარეტ კიდევ! ჩაგვიქართულა რუსმა გოგონამ და ღია ცისფერი თვალებით გულგამთბარი მზერა გამოგვაყოლა.

— ფეხით ხომ არ გაგვესეირნა? შევთავაზე ჩემს ქალბატონს.

— მხოლოდ ავტობუსის გაჩერებამდე! სიტყვისმოგებით მიპასუხა და გაღიმებული სახე შემაჩეჩა თვალებში.

მივედით გაჩერებაზე. ავტობუსი იდგა და მგზავრებს ელოდებოდა. როგორც ყოველთვის, ქალბატონი ქეთევანი წინა კარებში აბრძანდა. ვიღაც ქალს მიესალმა და მის გვერდით მოთავსდა. მძღოლი გასვლას

აჭიანურებდა. დროდადრო მე და ჩემი ქალბატონი გადავხედავდით ერთმანეთს, თვალებით თვალებს მოვძებნიდით და გულიდან მომდინარე ღიმილს პირსახიდან ვეღარ ვიშორებდით.

ავტობუსი ნელი სვლით ერთმანეთს გვაშორებდა ორ ადამიანს. ჩვენ კი ვუღიმოდით და ვგრძნობდით ურთიერთს, ერთმანეთის გაუჩინარებამდე.

ამ შეხვედრის შემდეგ ქალბატონი ქეთევანი ავტობუსის გაჩერებაზე აღარ მინახავს. და მეც, რა უცნაური ახირება მცოდნია თურმე, ვერც კი წარმომედგინა და არც შემიმჩნევია ჩემი თავისთვის ოდესმე! მისვლითაც ვეღარ მივედი მასთან, დარეკვითაც არც დამირეკავს და რატომ ვიქცეოდი ასე ულმობლად, უპასუხოდ მრჩებოდა ყოველთვის აუტანელი ჩემი საქციელი. ამის გულისთვის დამნაშავედ მაღიარებდა სამართლიანობის განაჩენის გამოტანით ცნობილი სასამართლოც და მრავალწლიან პატიმრობას მომისჯიდა კიდეც!

* * *

გავიდა დაუთვლელი დრო და მასთან ერთად დიდი ხანიც. ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა როლანდ ბურჭულაძემ დამირეკა და საშინლად უსიამოვნო ამბავი შემატყობინა: მწერალ სერგო კლდიაშვილს გარდაეცვალა და — ქეთევან კლდიაშვილი.

ამ სიტყვების გაგონებაზე უსაზღვრო დამნაშავედ ვიგრძენი თავი. ქეთევანის არ არსებობა დედის ხელმეორედ სიკვდილს ნიშნავდა ჩემთვის. ქეთევანი ხომ ნინოს სიცოცხლის მეგობარი იყო.

დღესაც მწარედ ვნანობ, რომ მთელ იმ ბოლო პერიოდში არ შევეხმიანე მას, მეტი დრო არ დავუთმე მის გადაშლილ გულს, ბოლომდე არ გავუწიე თანაგრძნობა მის მეგობრობას ჩემდამი, მეტი ყურადღებით ვერ მოვეპყარი მის დედაშვილურ გრძნობას...

ქეთევან კლდიაშვილის გასვენება უმწარესი გულისტკივილი იყო ჩემთვის. ეს ტკივილი თანმდევს ყოველთვის და ჩემთან ერთად თუ მოკვდება.

ნინო წერეთლის რჩეულ ნამუშევართა ფოტოები ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზიდან







შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზი (2002 წლის ნოემბერი)

ОТКРЫТА
ВЫСТАВКА
ЦЕРЕТЕЛИ



АНБЕНКО



გულბად ამირანაშვილი
წიგნად აკინძული სიცოცხლე

მოგონებათა კვალდაკვალ

I **1)**. მიპატიჟება რაჭაში. გვ. 10. **2)**. ჭიქა წყალი. გვ. 11. **3)**. ყირა ფოთის ეკლესია «სობორო»-ზე. გვ. 11. **4)**. სტუმრად ენათმეცნიერ ნიკო მართან. გვ. 12. **5)**. ებრაული ენის მასწავლებელი. გვ. 13. **6)**. თეატრალური ჩხარი. გვ. 14.

II **1)**. ჩაძინებული ლექტორი. გვ. 14. **2)**. ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით გამოცდაზე პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილთან. გვ. 15. **3)**. ივანე ჯავახიშვილის მოწოდება სტუდენტებისადმი. გვ. 15. **4)**. «მედროგე» შალვა. გვ. 16. **5)**. არტილერისტი შალვა. გვ. 17. **6)**. შალვა ამირანაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გამოშვების კურსდამთავრებული. გვ. 17.

III ქართული საეკლესიო და სამუზეუმო განძის დაბრუნება რუსეთიდან 1923 წელს. გვ. 19.

IV **1)**. პეტროგრადის ტრამვაიში. გვ. 28. **2)**. გზად საქართველოსკენ. გვ. 29. **3)**. დავითგარეჯის ფრესკების ფოტოგრაფირება. გვ. 29. **4)**. შალვას ძმა დავითი. გვ. 30. **5)**. ავთო ამირანაშვილის ნაამბობის გახსენება. გვ. 34.

V **1)**. რაც ბავშვური გონებით აღქმული შემორჩა მეხსიერებას. გვ. 35. **2)**. ჩემი და ჩემი ძმის აღმზრდელები: ბები და ბაბუ. გვ. 39. **3)**. მოულოდნელი ნაბიჯი. გვ. 40. **4)**. საცხოვრებლად ბები-ბაბუსთან. გვ. 45. **5)**. უბანი «ზემელი». გვ. 46.

VI **1)**. შალვას უმცროსი ძმის გივის გაწვევა ჯარში. გვ. 47. **2)**. ომის «სუსხი». გვ. 48. **3)**. გივი ქერჩის ბრძოლებში. გვ. 51. **4)**. «პახარონკა» ფრონტიდან. გვ. 52.

VII **1)**. მუზეუმ «მეტეხი»-ს მზადება ევაკუაციასთვის. გვ. 54. **2)**. მამა «ადაკემიკოსია». გვ. 54. **3)**. ბაგრატიონ-მუხრანსკაიას გვარის ქალბატონი ანა: «მადამ ბონჟურ». გვ. 55. **4)**. თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის დირექტორი: ბატონი ჯაჯუ ჯორჯიკია (უნებლიე ექსპერიმენტი). გვ. 56.

VIII **1)**. 1944 წლის 22 ოქტომბერი: დასამახსოვრებელი თარიღი. გვ. 57. **2)**. ინციდენტი კრემლის კომენდატურაში. გვ. 59. **3)**. პოლიტიკური ისტორიიდან: მსოფლიო ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირის აღიარება სრულუფლებიან ერთ სახელმწიფოდ. გვ. 59. **4)**. საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლის ვიზიტი მოსკოვში 1944 წლის 2-9 დეკემბერი. გვ. 60.

IX **1)**. მზადება საფრანგეთში გასამგზავრებლად. გვ. 61. **2)**. გზად საფრანგეთისკენ. გვ. 61. **3)**. შტორმი ხმელთაშუაზღვაზე, ბენგაზიდან მარსელში გადაფრენის დროს. გვ. 61. **4)**. პარიზის ბუკინისტურ მაღაზიებში. გვ. 63. **5)**. უცნაური დაპირისპირება. გვ. 64. **6)**. ლექცია ქართველ ემიგრანტებთან. გვ. 67.

X ქართველი ხალხის ეროვნული საგანძური. გვ. 68.

XI **1)**. ლურჯი ბერეტები. გვ. 80. **2)**. გამარჯვების მაისი. გვ. 80. **3)**. ჩხარელ ამირანაშვილთა გვარის სამკვიდრებელი. გვ. 80. **4)**. სოფლად გამგზავრების გადაწყვეტილება. გვ. 81. **5)**. შემთხვევა რკინიგზაზე. გვ. 82. **6)**. მშობლიურ სოფელში. გვ. 85. **7)**. მამაპაპისეული სახლი. გვ. 86. **8)**. სტუმრად მეზობელ სოფელ ძევრში ბარათაშვილებთან. გვ. 88.

XII **1)**. ჩემი ბავშვობის უბანი. გვ. 90. **2)**. «სტუმრად» ექვთიმე თაყაიშვილთან. გვ. 104.

XIII **1)**. ქაშვეთის ეკლესიის მხატვარი. გვ. 108. **2)**. ლადო გუდიაშვილი შალვა ამირანაშვილის შესახებ. გვ. 118.

XIV **1)**. გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი. გვ. 119. **2)**. ქართული მინანქრის დამზადების უბადლო სპეციალისტი ქიმიკოსი ირაკლი ტარუაშვილი და მისი გერმანელი გერი გერმან (ბუბი) კიუნე. გვ. 124.

XV **1)**. დამჯერი შვილი. გვ. 129. **2)**. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოძახებით. გვ. 130. **3)**. «ბრძოლა» სამუზეუმო შენობისთვის. გვ. 131. **4)**. ბინა ვაკეში. გვ. 132. **5)**. გადასასვლელზე უნივერსიტეტთან (მეგობარ ლია კოტაშვილის მონაყოლის გახსენება). გვ. 133.

XVI **1)**. ნაღდი კაცი: ბაბქენ ხორეგიან. გვ. 134. **2)**. დასამახსოვრებელი შეხვედრა. გვ. 138. **3)**. ჭიდაობა უნივერსიტეტისწინა ეზოში. გვ. 140. **4)**. გამოცდები სამხატვრო აკადემიაში (მეგობარ თამაზ ნატროშვილის ნაამბობი). გვ. 142. **5)**. გამოცდები უნივერსიტეტში. გვ. 143. **6)**. მამის სათხოვარი. გვ. 146. **7)**. ცემა-ტყეპა ცკ-ას მისაღებში. გვ. 146.

XVII **1)**. სტუმრად ლენინგრადში აკადემიკოს იოსიფ აბგაროვიჩ ორბელთან. გვ. 146. **2)**. სტუმრად ხელოვნებათმცოდნე ელენა ფიოდოროვნა ბურენკოვასთან. გვ. 152.

XVIII ფრანგული ენის მასწავლებელი ქალი: გვარად ბიტეპაჟი, გერმანიის ქალაქ ბრაუნშვაიგიდან. გვ. 153.

XIX **1)**. 60 წლის შალვა ამირანაშვილი. კარიკატურისტ გიგლა ფირცხალავას «მხატვრული შარჟი» და პოეტ ზაურ ბოლქვაძის «იუმორით გალექსილი სიმართლე». გვ. 171. **2)**. ჩემი მეგობარი როლანდ ბურჭულაძე. გვ. 172. **3)**. ძმა-ბახო. გვ. 174; **4)**. ძმაკაცები: ლეონ მელიქსეთ-ბეგი და შალვა ამირანაშვილი (მეგობარ გიორგი შაყულაშვილის მოგონება). გვ. 175.

XX **1)**. შეხვედრა ლაშა ჯანაშიასთან. გვ. 176. **2)**. გალაკტიონი. გვ. 178.

XXI **1)**. დიასახლისის წინსაფარი. გვ. 181. **2)**. ვახშამი რესტორანში. გვ. 182. **3)**. შალვა ამირანაშვილი: შტანგისტი. გვ. 183. **4)**. «მეცნიერება წინ მიდის». გვ. 184.

XXII სხარტი პასუხები. გვ. 185.

XXIII **1)**. თხოვნით საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანთან. გვ. 192. **2)**. იმერელი სტუდენტი. გვ. 193. **3)**. უცნობი ხელოვნების მუზეუმში (მეგობარ რომან ცუხიშვილის გახსენება). გვ. 195. **4)**. რუსთაველის ნაკვალევს აცდენილები. გვ. 196.

XXIV **1)**. შალვა ამირანაშვილი: საპატიო მილიციონერი. გვ. 197. **2)**. შალვას სახელით ავტოინსპექციაში (შალვას მეუღლის: ნინო წერეთლის ძმიშვილ ზურაბ წერეთლის ნაამბობი. გვ. 198. **3)**. შეხვედრა ბნელ დერეფანში. გვ. 199. **4)**. ზემო იმერეთის სოფლის ეშხი. გვ. 200. **5)**. მეცა ვარ, შვილიშვილი!. გვ. 203.

XXV **1)**. ინციდენტი ხელოვნების მუზეუმში. გვ. 204. **2)**. მიღებაზე საქართველოს კომპარტიის მეორე მდივანთან. გვ. 206. **3)**. სტუმრად არქეოლოგ თინათინ ქარუმიძესთან. გვ. 207. **4)**. «უპატრონო» სტუდენტი (ლექტორ შალვა ამირანაშვილის სტუდენტ მანანა გაბაშვილის მოგონება). გვ. 209. **5)**. იასამანის თაიგული (ჯემალ ამირანაშვილის მოგონება). გვ. 214.

XXVI **1)**. მეგობრობის ერთი ეპიზოდი (შალვა ამირანაშვილი და გიორგი წერეთელი). გვ. 215. **2)**. ხელოვნებათმცოდნე-აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და პოეტ-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. გვ. 220. **3)**. შალვა ამირანაშვილი და არქიტექტორი ვანო ჩხენკელი. გვ. 222. **4)**. პოლონელ მეცნიერთა მასპინძლობა შალვა ამირანაშვილის ოჯახში. გვ. 223. **5)**. ძმებად შეფიცულნი: სიმონ ყაუხჩიშვილი და შალვა ამირანაშვილი. გვ. 225.

XXVII **1)**. პოლონეთში ტურისტებად. გვ. 229. **2)**. ვარშავაში, სეიმის სასტუმროში. გვ. 230. **3)**. ქართველები სტუმრად პოლონელი მეცნიერის ოჯახში. გვ. 232. **4)**. ქართველოლოგი იან ბრაუნი: ქართველთა დიდი მეგობარი. გვ. 234. **5)**. მატარებელში კრაკოვისკენ. გვ. 234. **6)**. ვარშავისკენ მიმავალი მატარებლის მოლოდინში. გვ. 237. **7)**. დილაადრიან ვარშავაში. გვ. 238.

XXVIII 1). ბიძაჩემი შალვა ამირანაშვილი. (ექიმ მერაბ მანჯგალაძის მოგონება) გვ. 239. **2)**. რესტორანი «დარიალი» რუსთაველის პროსპექტზე. გვ. 241. **3)**. არაბული ენის გაკვეთილები სისხამ დილაობით. გვ. 244. **4)**. სამეცნიერო კომფერენცია სამხატვრო აკადემიაში (შალვა ამირანაშვილის სიძის გივი გუმბარიძის უფროსი ძმის მხატვარ-კერამიკოსის რეზო გუმბარიძის გახსენება). გვ. 245. **5)**. საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს შეთავაზება. გვ. 246. **6)**. ფიქრები შაჰინშაჰის ირანის სახელმწიფო ემბლემაზე. გვ. 247. **7)**. გურამ ამირანაშვილის თხოვნა ტელეფონით. გვ. 248.

XXIX 1). მამა და შვილის შელაპარაკება. გვ. 249. **2)**. მოსკოვის გამომცემლობა «Искусство»-ს რედაქციაში. გვ. 249. **3)**. ფიროსმანი და «პრაღის გაზაფხული». გვ. 250. **4)**. ფიროსმანი პარიზში. გვ. 251. **5)**. 1961 წლის პერიპეტიები. გვ. 253. **6)**. საბჭოთა ხალხის დაპურებისათვის. გვ. 256.

XXX 1). აკადემიის სამეცნიერო კომისიის თავმჯდომარე შალვა ამირანაშვილი წლიური თემების შესამოწმებლად აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. გვ. 257. **2)**. აღდგენილი ეკლესია. გვ. 258. **3)**. აკადემიკოსი ვასილი ვასილიევიჩ სტრუვე თბილისში. გვ. 260. **4)**. «თარიხ-ე 'ალამ არაი-ე 'აბბასი» («ქვეყნის დამამშვენებელი შაჰ-აბასის ისტორია»). გვ. 262.

XXXI ქართული ოქრომჭედლობის ისტორიულ ნივთთა ადგილმონაცვლეობა კატეგორიულად დაუშვებელია! გვ. 264.

XXXII 1). შეხვედრა ხელოვნების დიდოსტატ ნინო რამიშვილთან. გვ. 264. **2)**. არქეოლოგი ოთარ ჯაფარიძე და ხელოვნებათნცოდნე შალვა ამირანაშვილი. გვ. 266. **3)**. შალვა ამირანაშვილი და ეროსი მანჯგალაძე (შალვას უკანასკნელი ზაფხული ქობულეთში). გვ. 270.

XXXIII 1). ჩვენი გვარის წარმომავლობა. გვ. 274. **2)**. გვარის გენეალოგია. გვ. 276. **3)**. საგვარეულო შტო ჩხარის ამირანაშვილები და მათნი ნათესავნი. გვ. 278. **4)**. საგვარეულოს ცხოვრებიდან. გვ. 286.

XXXIV 1). ინფორმაცია ტელე-ეკრანიდან. გვ. 287. **2)**. სამედიცინო კონსილიუმი. გვ. 288. **3)**. აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი (კვალი ნათელი) ნეკროლოგი გაზეთებიდან. გვ. 289. **4)**. როლანდ ბურჭულაძე. აკადემიკოსის ღვაწლი. გვ. 291. **5)**. შალვა ამირანაშვილის მარადიული «ჯარისკაცები». გვ. 292. **6)**. მედია-კავშირი «ობიექტივი» შალვა ამირანაშვილის შესახებ. გვ. 294.

XXXV თბილისის ამაღლების ტაძრის დეკანოზის ამირან ამირანაშვილის ღვთიური სიტყვა. გვ. 295.

Adenda

1945 წლის 24 ივნისი, კვირადღე. გვ. 301. სტუმრად შალვასთან. გვ. 302. ორი სცენარი. გვ. 303. სამსახურიდან გაპარული დირექტორი. გვ. 303.

ამირანაშვილი გულბადი

საქართველოში პირველი ქართველი მოქანდაკე-ქალი

1). მოქანდაკე ნინო წერეთლის ნამუშევართა გამოფენა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. გვ. 321.

2). ამირანაშვილების სტუმრობა პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილთან. გვ. 326.

3). მოულოდნელი შეხვედრა მოქანდაკე თამარ შარაშიძესთან. გვ. 330.

4). თამარ შარაშიძე ნინო წერეთელის შესახებ. გვ. 335.

5). გულწრფელი საუბრები მწერალ დავით კლდიაშვილის ასულ ქალბატონ ქეთევანთან. გვ. 336.

ნინო წერეთლის რჩეულ ნამუშევართა ფოტოები ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზიდან გვ. 351.

შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზი (2002 წლის ნოემბერი) გვ. 354.